ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0182—509 X

# მნათობი

4

1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

წელიწადი 65-ე № 4 აპრილი, 1989 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

# შინაარსი

## პროზა, პოეზია

გურამ გეგეშიძე — სისხლის წვიმები. რომანი. ნაწილი პირველი. გაგრძელება 3
მარი აბრამიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 41
ვახტანგ გორგანელი — ლექსები . . . . . . . . . . 46
ნინო დაბრუნდაშვილი — მოთხრობები . . . . . . . . . 49
ანზორ აბულაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 65
ლია გედოშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 68
მამუკა სალუქვაძე — ლექსები . . . . . . . . . . . 70
გიგი თოფურია — ლექსები . . . . . . . . . 74
ქეთევან ჯავახიშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება. გაგრძელება 75

## ჩვენი მივლინებით

მირონ ხერგიანი — სვანეთის ატლანტიდა? — ვის სჭირდება იგი? . . . . . . 103

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნიკოლაუს ზომბათი — გრიგოლ რობაქიძე. თარგმნა გივი მუსხელიშვილმა 126
გურამ ბენაშვილი — ნიკო სამადაშვილი . . . . . . . . . . 130
ლია არჩვაძე — კეთილი სილამაზე . . . . . . . . . . . . 141
ამირან ავალიანი — ისტორიის გაკვეთილები . . . . . . . . . 148

## მეცნიერება

ლელა პატარიძე — „წიგნი ქირიანისა“ . . . . . . . . . 155

## მოგონებები, ფაქტები

კალისტრატე ცინცაძის სიტყვა . . . . . . . . . 166

იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წიგნების მიმოხილვა

ილია ფაიქრიშვილი — მღელვარე ემოციით, მოქალაქეობრივი პათოსით . . 171
ამირან არაბული — თანამედროვე ქართული მწერლობა და ხალხური საწყისები 173

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

# სისხლის წვიმები

## რომანი

### ნაწილი პირველი

თიკომ ისევ გადაიკისკისა, ბუჰუტასთან საუბარი, ეტყობა, ძალიან ართობდა. ეკლესიას საკმაო მანძილით რომ გაშორდნენ, ბუჰუტასაც გადაუარა წელანდელმა შიშმა, თუმცა იმის გააზრებამ, რომ უცხო ოჯახში ჩაიზე უნდა დარჩენილიყო, არანაკლები თავსატეხი გაუჩინა.

რაც თბილისში ჩამოვიდა, არცერთ თბილისურ ოჯახში სტუმრად არ ყოფილა. ბუჰუტას თავისნაირ ჩამოსულებთან ჰქონდა ურთიერთობა. მართალია, როგორც აქტიურ კომკავშირელს შეეფერება, თავი ამაყად ეჭირა, მაგრამ მაინც გრძნობდა იმ ახალგაზრდების უპირატესობას, რომლებიც კარგ, წარჩინებულ ოჯახიშვილებად ითვლებოდნენ. თვითონ ბოგანო ოჯახიდან იყო გამოსული და თუ ეს ღირსებას წარმოადგენდა ზოგიერთთა თვალში ამჟამად, ზოგიერთები მას და მისნაირებს აშკარა თუ არა, დაფარული ათვალისწუნებით მაინც უყურებდნენ, და როცა ასეთ მზერას, დამცინავს, თუ შემწყნარებლურს, უნებურად წააწყდებოდა, ბუჰუტა გრძნობდა თავის გაუთლელობას, არასრულფასოვნებას, რაღაც უჩინარ ნაკლს, რასაც აქტიური კომკავშირელობა ვერ ფარავდა და ვერც ვერასოდეს გადასწონიდა. ცხადია, აკლდა დახვეწილობა, კი არ აკლდა, სულ არ გააჩნდა, აკლდა ის, რითაც წესიერი ოჯახის წარმოშობა, ოჯახური აღზრდა ზურგს უმაგრებს ადამიანს, აკეთილშობილებს, ანთავისუფლებს. თანდაყოლილი მოკრძალება ამ ნაკლს ერთგვარად შლიდა, არბილებდა, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ აქრობდა. ამიტომ ძალაუფლების მქონე გამოჩენილ პარტიულ თუ სახელმწიფო მუშაკებზე არანაკლებ, ბუჰუტას ძველი ინტელიგენტებისა, ნათავადარებისა, ოდესღაც წარჩინებულ პირთა ერიდებოდა, რადგან ხედავდა, რომ მათ გააჩნდათ უცნაური შინაგანი ღირსება, ბუჰუტასნაირებისათვის მიუწვდომელი დაფარული სიამაყის განცდა. ზოგჯერ, ამაში სულაც არ ერია ქედმაღლობის იოტისოდენა ნიშანი, პირიქით, იმით იყო ეს თვისება მომხიბლავი, რომ ამჟღავნებდა ადამიანის ღირსების დაფასების შესანიშნავ უნარს. ასეთი ოჯახებისა და ასეთი ხალხისაგან ბუჰუტა შორს იყო. მაგრამ ისინი იზიდავდნენ მას. თიკოს ყურადღებამ და შინ მიწვევამ ერთბაშად დააბნია შეუჩვეველი და უბირი, მაგრამ მალე იგრძნო, თიკოს ოჯახის გაცნობის ინტერესი თანდათან სძლევდა მის მორცხვობას და რიდს. როცა თიკოს სახლის შესასვლელთან

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 3.

შეჩერდნენ და შემოდიო. კიდევ ერთხელ შეიპატიჟა ქალიშვილმა. ყოყმანი აღარ დაუწყია, პირიქით გაუხარდა, რომ ამ ცნობილ ოჯახს უნდა გასცნობოდა.

თიკომ გასაღები ამოიღო, სადარბაზოს კარი გააღო და ისინი ხის კიბეებს აუყვნენ მეორე სართულის ფართო შუშაბანდისაკენ. მოყანყალებული საფეხურები ფეხქვეშ ჭრიალებდნენ და სიძველის სუნი, ამ სახლში რომ იდგა, სულ სხვა სიძველეს უკავშირდებოდა ბუჭუტას შეგრძნებაში, არა ნივთიერს, არა ხელშესახებს, არამედ უხილავს, საიდუმლოს, თუ გნებავთ, სულიერს, გვარისა და ჯიშის სიძველეს. თოკით შეკრული ჩემოდანი ისევ უხერხულად ეჭირა ხელში, მაგრამ თიკოს ბინის კარს რომ მიადგნენ, იატაკზე დადო და კედლისკენ მისწია, ამას არავინ წაიღებს აქედანო, თქვა ხუმრობასავით.

— რა ისეთი ქონება გაქვს შიგა, რომ ეგრე უფრთხილდები? — დამცინავად ჰკითხა თიკომ, შეიძლება, ბუჭუტას სიტყვებში გლეხური ყაირათი დაინახა და არ ესიამოვნა.

— ისე ვთქვი, თორემ შიგ არაფერი მიყრია, საცვლების გარდა! — თავი იმართლა ბუჭუტამ, რადგან იგრძნო, რომ წამით ქალიშვილს გუნება შეეცვალა.

მაგრამ ეს იყო წამით. საცვლების ხსენებაზე თიკოს გულიანად გაეცინა.

— ნიფხავ-პერანგი? — დაცინვით იკითხა და სანამ ბუჭუტა პასუხს მოიაზრებდა, შუშის კარი შეაღო და პატარა ოთახში შეუძღვა სტუმარს.

ჭერიდან ჩამოშვებული მწვანე ჭაღი დაჰნათოდა ოთახის შუაგულში მდგარ მრგვალ მაგიდას და მის ირგვლივ შემოწყობილ ვენურ სკამებს, მოპირდაპირე კედელზე მსხვილ ჩარჩოში ჩასმული გიორგი სააკაძის ცნობილი სურათი ეკიდა, იტალიელი მისიონერის კასტელის მიერ შესრულებული მეჩვიდმეტე საუკუნეში. ბუჭუტა შეჩერდა და სურათს მიაჩერდა.

— ეს ხომ გიორგი სააკაძეა? — წარმოსთქვა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, — თავმომწონედ უპასუხა თიკომ, — ჩემი წინაპარი იყო!

მეორე კედელზეც ეკიდა ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასმული გადიდებული ფოტოსურათი მშვენიერი გარეგნობის ჭარმაგი მამაკაცისა, სქელთმიანისა და გრძელწვერასი, ევროპულ კოსტიუმში გამოწყობილის, გახამებულ მაღალ საყელოზე გაკვანძული ბანტით. ვიდრე ბუჭუტა რამეს იტყოდა, ისევ თიკომ დაასწრო.

— ეს კი პაპაჩემია, დედაჩემის მამა, ივანე ამილახვარი. არ გაგიგია, დიდი მეცნიერი იყო?!

— არა, არ გამიგია, — გამოუტყდა ბუჭუტა.

ამის შემდეგ თიკომ მეორე ოთახის კარი შეაღო და ბუჭუტა დიდ ოთახში შეიყვანა, სადაც განიერ სასადილო მაგიდას უსხდნენ ოჯახის უფროსი ბატონი ზურაბი და კიდევ რამდენიმე მანდილოსანი, რომელთაც მყისვე ახალმოსულებისაკენ მოაბრუნეს თავები. მაგრამ ბუჭუტა ველარაფერს ხედავდა, ისე იყო დაბნეული, რომ წინ ფეხის წადგმას ვერ ახერხებდა. ძლივს გაიგონა, ვიღაცამ ბოხი ხმით რომ უთხრა, მობრძანდითო. ოთახი მკრთალად იყო განათებული, ამ ოთახის ფერად კედლებსაც ამშვენებდნენ სხვადასხვა სურათები, ეპოლეტებიანი გენერლისა, ლამაზი, გაფაშფაშებული ქალებისა და კოხტად მორთული ბავშვებისა, მათ გვერდით ეკიდა ფაიფურის თეფშები, ირმის რქები და ძველებური იარაღი, მაგრამ ბუჭუტას მთელი ყურადღება თიკოს მამისკენ იყო მიმართული, სკამიდან რომ წამოდგა ახოვანი, მომღიმარი, ჭარმაგი ვაჟკაცი და ხელი გამოუწოდა, და ბუჭუტამ ძლივს მოახერხა ამ ხელის ჩავლება. ჭირისოფლდასხმულმა სწორედ ამ დროს გაიგონა სიოცრად ნაცნობი ალერსიანი ხმა:

— დედა?! ბუჭუტა არა ხარ შენ?

ბუჭუტამ მოიხედა და თამარ ვარდანიძის გაოცებული, მუდამ კეთილი ღიმილით გაბადრული სახე დაინახა. უცებ, თვითონვე ისე გაუხარდა ამ ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილვა, როგორც შორეულ ქვეყანაში დიდი ხნით გადახვეწილს მოულოდნელად შეხვედრილი ღვიძლი ნათესავისა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თამარის და ბუჰუტას ძმას ჰყავდა ცოლად, ახლა მართლაც შეიძლებოდა ნათესავებად ამათი მიჩნევა, და რაკი, როგორც მერე საუბარში გაირკვა, თვითონ თამარი თიკოს დედის ალალი მამიდაშვილი ყოფილიყო, ისე გამოდიოდა, თითქოს არც ბუჰუტა იყო მთლად უცხო ამ ოჯახისთვის. ეს სუსტი ძაფი ბუჰუტას ეამა. წითელნარიდან გადმოსახლებულ თამარს, ტარიელს და ქალბატონ ნინოს, ვახტანგის ციმბირში გადასახლების მერე, ამ კეთილ მოყვრებთან შეეფარებინათ თავი. ქალბატონი ნინო დარდისგან ლოგინად ჩავარდნილიყო, ხოლო ტარიელი რას აკეთებდა, თამარმა კარგად არ იცოდა.

— ქეთევანი რას შვება, როგორაა?

— რა უჭირს, კარგადაა!

თამარმა ჩუმად ამოიოხრა და ხელსახოცს დაუწყო წვალება. ბუჰუტა თამარს მიუსვეს გვერდით და ჩაი დაუსხეს. მაგიდაზე ჩაის ლამბაქებისა, ფინჯნებისა, საშაქრისა და მურაბიანი ვაზების გარდა ეწყო თხლად დაჭრილი პური და ყველი. სუფრასთან მსხდომნი დინჯად საუბრობდნენ, ხანდახან რუსულს ჩაურთავდნენ. შავად შემოსილი გრძელცხვირა მანდილოსანი ყვებოდა თავისი ბიძაშვილის, გვარად საგინაშვილის დახვრეტის ამბავს. ვაჟა-ფშაველას უფროს ვაჟთან ერთად მჯდარა იგი დასახვრეტთა საკანში. თხუთმეტი ახალგაზრდა მჯდარა მეტეხის ციხის იმ მყრალ საკანში და თხუთმეტივეს სცოდნია, სიკვდილი რომ ჰქონდათ მისჯილი. ხუთი ადრე დაუხვრეტიათ, უკანასკნელად ათნი დარჩენილან საკანში. ამ მანდილოსნის ბიძაშვილს გავლენიან ნაცნობ-ნათესავებმა სადაც ჯერ არს უშუამდგომლეს თურმე, და იქაც, მაღლა, ყოვლისშემძლეებმა გაიღეს წყალობა, შეიწყნარეს, თურმე, ახალგაზრდა სიცოცხლე.

— საკნიდან რომ გამოუყვანიათ, უკითხავს, ჩემს ამხანაგებს რატომ არ ათავისუფლებთო? — ყვებოდა გრძელცხვირა ქალი, — როცა გაიგო, მხოლოდ ის შეიწყალეს, არ ისურვა ასეთი თავისუფლება და ისევ საკანში შებრუნდა. გუშინწინ დაუხვრეტიათ სუყველანი, სიმღერით წასულან სასიკვდილოდ... — მთხრობელს ხმა ჩაუწყდა, ხოლო თიკოს მამამ მცირე პაუზის შემდეგ ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, ამხანაგებს ხომ ვერ უღალატებდა?!..

— ეგ რა ღალატია, თუკი ისინი სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი? — წამოსთქვა უცებ ბუჰუტამ და ყველანი გველნაკბენივით მკვეთრად მოტრიალდნენ მისკენ, გაკიცხვით, თითქოს გაოცებითაც კი შემოხედეს და ბუჰუტა მიხვდა, მისი სიტყვები ამ ადამიანთა წრეში საშინელ მკრეხელობად გაისმა, და თვითვე სცადა საქმის გამოსწორება: — მე იმის თქმა მინდოდა, რომ ვერც იმათ უშველა და ტყუილუბრალოდ თავიც დაიღუპა.

— როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო, ის ტყუილუბრალოდ არ დაღუპულა და ამხანაგებისა და სამშობლოს წინაშეც პირნათელი დარჩა, — მკაცრად უთხრა დაღუპულის ბიძაშვილმა ქალმა.

ასეთი მსჯელობა ბუჰუტას უცნაური მოეჩვენა. რა სარგებლობა მოიტანა იმ ყმაწვილი კაცის სიკვდილმა? განა უმჯობესი არ იქნებოდა ახალი რეჟიმის მოწინააღმდეგეთა რიგებში დგომას, ახალი წყობისთვის დაეჭირა მხარი? ეს ხალხი, ბუჰუტას აზრით, ვერ გრძნობდა საით უბერავდა განახლების ქარი. დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნება უკანასკნელი მარცხის შემდეგ, იყო სისულელე, უაზრობა, და ვინც მაინც ოცნებობდა, ის უიმედოდ იყო ჩამორჩენილი დროს. მაგრამ ბუჰუტა არც კამათს აპირებდა და არც ვინმეს დასმენაგამომჟღავნებას, თუმცა თავისი თავი უდრეკ კომკავშირლად წარმოედგინა და შეეძლო, კი არ შეეძლო, ევალებოდა კიდეც ამის გაკეთება. ბუჰუტა კომკავშირელი კი იყო, მაგრამ ამავე დროს

მერყევი ხასიათის ადამიანიც გახლდათ, თვითვე გრძნობდა თავის სირბილეს, რადგან სხვა მის ადგილზე, მართლაც უდრეკი კომკავშირელი, ალბათ, სულ სხვანაირად მოიქცეოდა. ბუჭუტა კი გულის სიღრმეში თანაუგრძნობდა ამ ოთახში მყოფი ადამიანების დარდსა და გაჭირვებას, გულთან ახლოს მიჰქონდა მათი სატკივარი, რადგან ისინი მტრებად არ მიაჩნდა, თუმცა იმ კლასის წარმომადგენლები იყვნენ, მტრად რომ იყო გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, ბუჭუტა ამათთან ამათიანი იყო ახლა, როგორც იმათთან იმათიანი ხდებოდა ხოლმე. შეიძლება, ისეთი პიროვნება იყო, რომელიც ადვილად ემორჩილება ყოველგვარ ზეგავლენას?

— ამ კაცთან მაგეთ ლაპარაკს მოერიდეთ, უბრალო ვინმე არ გეგონოთ, კომუჯრედის თავმჯდომარეა, ყველას დაგაჭერინებთ! — გაიგონა თიკოს ხმა.

ქალიშვილი იცინოდა, თვალები უცნაურად უციმციმებდა, მართლა უნდობლობას გამოხატავდა თუ სულაც არ ეშინოდა ბუჭუტასი და აშკარად დასცინოდა; ბუჭუტა ვერ გარკვეულიყო და უხერხულობისგან გაწითლდა, თუმცა გულის სიღრმეში ესიამოვნა მნიშვნელოვან კაცად რომ ჩათვალეს, თუნდაც საშიშ პიროვნებად, რომელსაც ძალაუფლება გააჩნდა და, თუ მოინდომებდა, შეეძლო თავის სურვილისამებრ გამოეყენებინა. წამით უპირატესობა და სიუცხოვე იგრძნო ამ ხალხისადმი. თავი ჩაქინდრა, მაგრამ მაინც შეამჩნია ფრთხილი მზერა, თიკოს მამამ რომ გამოაპარა მისკენ.

— აჰ, რავა გეკადრება, ბუჭუტა მაგნაირი ყმაწვილი არაა! — დაიცვა თამარ ვარდანიძემ თავისი თანასოფლელი, ხოლო თიკოს მამას სახეზე დამცინავი ღიმილი გამოეხატა.

— სასიამოვნოა თქვენი სახით აქტიური მოღვაწის გაცნობა, კომუჯრედის თავმჯდომარე ბრძანებულხართ, როგორ გესახებათ, ყმაწვილო, პროლეტარიატის დიქტატურა?

თიკომ ისევ გადაიკისკისა და ბუჭუტა ისევ გაღიზიანდა. ეს [illegible] ისე ნათელი იყო მისთვის, [illegible] და, რომ პრივილეგირებული კლასების დამხობით და ღარიბ-ღატაკთა უფლებების ცნობით მართლაც დიდი საქმე კეთდებოდა, ახალი ერა დგებოდა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა პროლეტარიატის დიქტატურა, ამის ახსნა არ შეეძლო. ერთხანს გაუძლო თიკოს მამის დამცინავ მზერას, მაგრამ მერე გულში ბოღმა მოაწვა.

— მე მგონი, ყველანი უნდა გათანაბრდნენ, ყველა ადამიანს ერთნაირი უფლებები უნდა მიენიჭოს. ამიტომ არის საჭირო კლასების მოსპობა.

— მაგაში სრულიად გეთანხმებით, — ახლა უკვე სავსებით გულწრფელი ჩანდა ბატონი ზურაბის ღიმილი, — მაგრამ თუ ერთი სახის დიქტატურის ნაცვლად მეორე სახის დიქტატურა დამკვიდრდება, ამით რა შეიცვლება, ეს არის გათანაბრება? გარდა ამისა, საქართველოში სად არის პროლეტარიატი, რომელი კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყანა ჩვენა ვართ, ასე ბრმად რომ გადმოვიღეთ სხვისი პრობლემა და ჩვენად ვაქციეთ. ნახევარი საქართველო პროლეტარების პარტიის წევრი გახდა, განა ეს სასაცილო არ არის დამონებული ქვეყნისაგან? ჩვენ რომ ჭკვიანი ხალხი ვყოფილიყავით, ეროვნული განთავისუფლებისათვის უნდა გვებრძოლა, დამოუკიდებლობის მოპოვებაზე უნდა გვეფიქრა და არა მსოფლიო პროლეტარიატზე. ჩვენი შინაური საქმეების გადაწყვეტის უფლება არა გვაქვს, ელემენტარული ავტონომია არ გაგვაჩნია, როგორც ერს, და ამაზე ხმას არ ვიღებთ, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ვემხრობით. თქვენი აზრი მაინტერესებს, როგორც ამ მოძრაობის მომხრესი.

— თუ მსოფლიოში არსებული ვითარება არ შეიცვალა, არც ჩვენი დამოკიდებული მდგომარეობა შეიცვლება არასოდეს, ამიტომ არის საჭირო მსოფლიო რევოლუცია, — დაიწყო ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭუტამ, მაგრამ ამ თემაზე საუბარი ვეღარ გააგრძელა, კარი გაიღო და ოთახში ტარიელ ვარდანიძე და მისივე ტოლი ახალგაზრდა შემოვიდნენ. წამით ყველანი მათ მიაჩერდნენ. ეს ახალგაზრდა თიკოს ბიძაშვილი ოთარ ამილახვარი აღმოჩნდა. ის იყო გენერალ გივი ამილახვრის შვილიშვილი. ის საფრანგეთში დაიბადა და ბავშვობა იქ გაატარა. მამამისი ვერდენთან ომში დაიღუპა, ხოლო დედამისმა, ორბელიანის ქალმა, რევოლუციის შემდეგ სამშობლოში გამოსწია და შვილიც თან ჩამოიყვანა. მოხუცი გენერალი პარიზში დარჩა საცხოვრებლად, ხოლო მისი რძალი და შვილიშვილი გასაბჭოების შემდეგ თავს ძლივს ირჩენდნენ თბილისში. ოთარის დედა ფრანგულს ასწავლიდა და ამით შოულობდა სარჩოს. ოდესღაც ბრწყინვალე თავადის ქალი, რომელსაც მთელი ევროპა მოვლილი ჰქონდა და მუდამ მაღალ წრეებში ტრიალებდა, ამჟამად პირსაც აღარ იბანდა და ზოგჯერ ტანსაცმლიანად წვებოდა ლოგინში. მის ბინაში აუწერელი სიბინძურე სუფევდა, ყველგან პაპიროსის ფერფლი ეყარა და გაურეცხავი ყავის ჭიქები იყო მიმობნეული. ამით ცხოვრობდა ეს მანდილოსანი, ყავით და პაპიროსით, და კიდევ კატებით, განუკითხავად რომ ბატონობდნენ, დახტოდნენ ერთმანეთში არეულ წიგნებსა და ქაღალდებზე. როგორც ამბობდნენ, ამ ქალბატონმა თორმეტი ენა იცოდა და ბევრსაც თარგმნიდა ამ ენებიდან, მისი ხელნაწერები მთელ ოთახში ეყარა უწესრიგოდ, გასაოცარი იყო, როგორ პოულობდა და ალაგებდა მათ. თარგმანებით ფულსაც შოულობდა, მაგრამ ისე უყაირათოდ ხარჯავდა, რომ სიღარიბიდან ვერ ამოდიოდნენ, თუმცა ბრწყინვალედ ნაცხოვრებ ქალბატონს, როგორც ჩანს, ეს მაინცდამაინც დიდად არ აწუხებდა. სამაგიეროდ, ოთარს იდაყვებგამოხეულ გაცრეცილ პიჯაკზეც ეტყობოდა, რომ უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე იყო მისული. მიუხედავად ამისა, სრულებითაც არ იწვევდა იოტისოდენა სიბრალულს, ისე ამაყად გამოიყურებოდა. იგი ხელზე ეამბორა ოთახში მყოფ მანდილოსნებს, მერე თიკოს გვერდით მიუჯდა და ჩაი დაისხა. ბუჭუტას ზედაც არ შეხედა, თითქოს ვერც შეამჩნია.

ტარიელი ოდნავ შეზარხოშებული ჩანდა. ლურჯი ხალათი ეცვა, ზედ სქელი სამხედრო ქამარი ჰქონდა შემოჭერილი, გალიფე შარვალზე კი — ვიწრო აზიური ჩექმები ამოწკეპილი. ზუსტად ასე იყო გამოწყობილი წითელნარიდან რომ გამოასახლეს, მისი ღარიბი ავლა-დიდებით ახუხულავებულ ურემს რომ მოჰყვებოდა სახრით ხელში, შარაგზაზე. ოღონდ ახლა წვერი ჰქონდა მოშვებული, ეტყობა, რაც თბილისში ჩამოვიდა, სადალაქოში არ შეუხედავს, თუმცა, წვერი უხდებოდა, ბუჭუტას დანახვაზე გულთბილად გაეღიმა და მყისვე მისკენ გამოემართა. ბუჭუტაც ფეხზე წამოდგა, გულწრფელი სიხარული რომ შეამჩნია ტარიელს, თვითონაც ძალიან გაუხარდა, თუმცა დიდი მეგობრები არასოდეს ყოფილან, მაგრამ ახლა, აქ, ამ ოჯახში, ძალიან უნდოდა ყველას თვალში ტარიელის მეგობრად და ახლობლად გამოჩენილიყო, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ბუჭუტამ გაიფიქრა, რომ ვარდანიძეებისათვის დამახასიათებელი ყველაზე გამორჩეული თვისება იყო ადამიანური სითბო და კეთილმოსურნეობა. უცნაური სულგრძელობა ახასიათებდა ამ ხალხს, თითქოს დიდი და პატარა არ არსებობდა მათთვის, ყველას თანაბარი ყურადღებით ეპყრობოდნენ და თავსდატეხილ ჭირსაც უხმაუროდ უძლებდნენ.

— როგორ ხარ, რას შვები? — შეეკითხა ტარიელს, როცა იგი გვერდით მიუჯდა.

— რა ვიცი, ჩემო ბატონო, რას ვიზამ? წითელნარიდან ქე გამომასახლეს და მამულიც ჩამომართვეს...

— ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება! — უნებურად ხმა გაუმკაცრდა ბუჭუტას.

— რა თქმა უნდა! — ჩაურთო ოჯახის უფროსმა.

ბუჰუტა ატყობდა, ეს ჭარმაგი კაცი ფარული ყურადღებით აკვირდებოდა და რატომღაც ეს ინტერესი, საკუთარი თავის მიმართ რომ გრძნობდა, უღძრავდა სურვილს, რაღაცით გამოეჩინა თავი, რაღაც მოემოქმედნა.

— მე ხვალვე მივალ იასე ნიგურიანთან. ჩვენებური კაცია, დიდი გავლენა აქვს მთავრობაში. ვეტყვი, რომ თქვენი ოჯახის გასახლება უსამართლო საქმე იყო! — მტკიცედ განაცხადა ბუჰუტამ.

იგი ხედავდა, რომ ყველანი თანაგრძნობით, მოწონებით და იმედითაც კი უყურებდნენ და ამის გამო თითქოს ბედნიერად გრძნობდა თავს.

— ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, ხვალიდანვე დავიწყებ მოქმედებას, — კიდევ უფრო გათამამდა ბუჰუტა.

— თუ მაგას იზამ... — სასოებით შემოხედა თამარმა და ოჯახის უფროსს მიუბრუნდა. — რას იტყვი, ზურაბ ბატონო?

— ძალიან კარგი იქნება, თუ მაგ ადამიანს დაუკავშირდებით, — თქვა ბატონმა ზურაბმა, — თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, თქვენისთანების ნება-სურვილზე ახლა ბევრია დამოკიდებული. საერთოდ კი, ერთი რამ უნდა გითხრათ, ყმაწვილებო! შენ თიკო, ოთარ, შენც, ტარიელ! აი, ამ ჭაბუკს მიბაძეთ, — ბუჰუტასკენ გაიშვირა ხელი, — საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე გაიმარჯვა, ეს გადაწყვეტილი საქმეა. თქვენ ამ წეს-წყობილების დროს მოგიწევთ ცხოვრება, ამიტომ აქედანვე უნდა დაიჭიროთ თადარიგი. უნდა შეხვიდეთ კომკავშირში, პარტიაში, უნდა დაწინაურდეთ, ფეხი უნდა მოიმაგროთ, შეეგუოთ და შეეთვისოთ არსებულ მდგომარეობას.

— როგორ შევეგუოთ, როცა საქართველო გაგვიუქმეს და რაღაც ამიერკავკასიის ფედერაცია დაგვიარსეს?! — შეეპასუხა ოთარი.

— თუ არსებობა გინდათ, ყველაფერს უნდა შევეგუოთ. ახლა ჩვენი დრო დგება! — მტკიცედ თქვა ბატონმა ზურაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდები ყურადღებით მისჩერებოდნენ მას, მაგრამ ხმა არცერთს არ ამოუღია. სიჩუმე ჩამოდგა.

14.

იმ საღამოს, კიდევ დიდხანს გაგრძელდა ბაასი. კარგა გვიანი იყო, როცა ბუჰუტა წამოდგა და მასპინძლებს გამოემშვიდობა. ამ დროისათვის გრძელცხვირიანი ქალბატონი და სხვა მანდილოსნები ზედიზედ გაიკრიფნენ ოთახიდან .ბუჰუტა ისე იყო შთაბეჭდილებებით დახუნძლული, როგორც მსხმოიარე ხე მწიფე ნაყოფით. მოდიოდა ქუჩაში და იგონებდა სულ ცოტა ხნის წინ განცდილს, თითქოს არ უნდოდა მოშორებოდა იმ განწყობილებებს და იმ ადამიანებს, რომელთა წრეში წელან სულ სხვანაირი სილაღე იგრძნო. როცა ტარიელმა და თიკომ კიბეზე ჩამოაცილეს, იმათ თვალებში დაუფარავი კეთილგანწყობა ამოიკითხა, ხოლო როცა ტარიელი უკან გაბრუნდა და თიკო ოდნავ შეყოვნდა, ქალის ღიმილმა და აჟუჟუნებულმა თვალებმა ბუჰუტა მიახვედრა, რომ მისთვის უხილავი საზღვარი გადალახა, რაღაც ზღუდე დასძლია, რომლის იქით, თიკოსნაირი ქალიშვილების მომხიბლავი და მაცდური ღიმილი არაერთხელ აუთრთოლებდა გულს სასიამოვნო მღელვარებით, და დაცარიელებულ, ბნელ ქუჩებში მომავალი იმ ღიმილს, იმ სახეს, იმ განწყობას, მთელ იმ საღამოს, იმ დღეს, იმდღევანდელ შეხვედრებს და შთაბეჭდილებებს კიდევ და კიდევ აღორძინებდა გონების თვალით, ხელახლა განიცდიდა, ხელახლა მიუყვებოდა დროსა და სივრცეში უკვე განვლილ გზას. ორთქლმავლების ქშენა და უეცარი შეკივლება კვეთდა გრილ ღამეს, სადგურიდან ბუფერების ჯახაჯუხი ისმოდა, თეთრი ორთქლი შადრევანივით აჭრილიყო ჰაერში, ხოლო ნაძალადევს ეძინა მშვიდი, სოფლური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილით. ბუჭუტამ ჰიშკარი შეაღო და თუთის ძირში გრძელ სკამზე მჯდარი გრიშა დაინახა, უფრო სწორად მის თითებში გაჩრილი პაპიროსის მბჟუტავი წერტილი, რომელსაც ბოლი ასდიოდა.

— რატომ არ გძინავს? — შეეკითხა ბუჭუტა.

— ახლა დავბრუნდი ნაძალადევის მუშათა კლუბიდან, კრებაზე ვიყავი, სერგო ორჯონიკიძე გამოვიდა სიტყვით.

— რაო რა თქვა?

— საინტერესო კრება იყო. მაგარი კამათი გაიმართა. ახლა საქართველოში ჩვენს გარდა ყველა პარტია აიკრძალა, შენ იცი ეგ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია შენიღბული კონტრრევოლუციონერი, რომლებიც არ ცხრებიან, არ იშლიან თავისას, ვერ გაიგო მაგ ხალხმა, რომ ბრძოლა წააგეს. ერთმა ყოფილმა მენშევიკმა ჰკითხა სერგოს, როგორ მოხდა, რომ ერთი სოციალისტური სახელმწიფო თავს დაესხა მეორე სოციალისტურ სახელმწიფოს ანექსიის მიზნითო? გესმის შენ? — აღშფოთებული იყო გრიშა.

— სერგომ რა უპასუხა?

— რას უპასუხებდა?! საკადრისი პასუხი გასცა. ეს ანექსია არ ყოფილაო, საქართველოს მშრომელთა მოთხოვნით შემოვიდა საქართველოში წითელი არმიაო!

მართალია, ამაზე ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ, მაგრამ რომელ მოთხოვნაზე იყო ლაპარაკი, ან ვინ აწერდა ხელს იმ მოთხოვნას, ბუჭუტამ არ იცოდა, და გაჩუმება არჩია.

— მეორე კონტრრევოლუციონერი საქართველოს ინდუსტრიალიზაციის წინაამდეგ გამოვიდა. ამისათვის განვითარებული მეტალურგიაა საჭიროო, საქართველოს სადა აქვს იმდენი ბუნებრივი რესურსები, მეტალურგია რომ განვავითაროთო. სერგომ უპასუხა, დაივიწყეთ ცალკე საქართველოს არსებობა, შეიგნეთ, რომ ამიერიდან იგი ნაწილია დიდი და მთლიანი საბჭოთა კავშირისა და ამ დიდი ქვეყნის ინტერესებს უნდა დაემორჩილოსო!

— კიდევ რა მოხდა?

— ერთმა ნაციონალ-უკლონისტმა გაბედა და ჰკითხა სერგოს, რა უფლებით გადაეცით ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი მეზობელ ხალხებსო? სერგომ უპასუხა, განა არ იცით ყოველგვარი საზღვრები რომ უნდა მოისპოსო? თუ კიდევ ბევრს იყბედებთ, მაგ თქვენი საქართველოს საზღვრებს თბილისში, შეითან-ბაზართან გადმოვიტანო! ასე ბოლშევიკურად დაიცვა ჩვენი პარტიის გენერალური კურსი, — შეკავებული აღფრთოვანებით ლაპარაკობდა გრიშა და მის თვალებში ფანატიკოსის ცივი ცეცხლი ბრწყინავდა, ჭრიჭინობელები კი მყუდრო ღამეს მდორედ ეხმიანებოდნენ.

— თუ ყოველგვარი საზღვრები უნდა მოისპოს, მაშინ ჩვენს მიწა-წყალს სხვებს რაღად ვაძლევთ? — მორიდებით იკითხა ბუჭუტამ.

— ბიჭო, შენ რა ნაციონალისტივით მსჯელობ? — გაბრაზდა გრიშა, — ვეღარ გაიგე, რომ ჩემი და შენი აღარ იქნება?

— თუ ჩემი და შენი აღარ იქნება, მაშინ ჩვენ რატომ არავინ არაფერს გვითმობს, და მაინცდამაინც ჩვენ ვუთმობთ ჩვენს მიწას სხვებს?

— შენ ვირის ტვინი ხომ არ გიჭამია? საიდან მოდიხარ, სად ყოფილხარ? დადგება დრო, როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებს, აღარც კლასები იქნება და აღარც ერები, შენ კი აქ საქართველოს საზღვრებზე მელაპარაკები! — შესძახა გრიშამ და ხელი ჰაერში ისე აღმართა, თითქოს ხმლის მოქნევას აპირებსო, მაგრამ რაკი ბუჭუტა ხმას არ იღებდა, დაწყნარდა და უფრო დამშვიდებით განაგრძო:

— დიდად საინტერესო საღამო იყო, უნდა დასწრებოდი. მაშინ მაგნაირ შეკითხვებს აღარ დამისვამდი. კრების შემდეგ შედგა კონტრრევოლუციურ ბანდებთან მებრძოლი ნებაყოფლობითი რაზმები. მეც ჩავეწერე, ერთ კვირაში კახეთში გავემგზავრებით, თავებს დავაჭრით მაგ ნაძირალებს...

რას წარმოიდგენდა ბუჭუტა, თუ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გამართლდებოდა. ამ საუბრიდან ერთი წლის შემდეგ, გრიშამ ბუჭუტას აჩვენა ფოტოსურათი, რომელზედაც კბილებამდე შეიარაღებული მებრძოლი რაზმი იყო გამოსახული. ნაწილი ამ რაზმის წევრებისა ფეხზე იდგა, მეორე რიგში — ისხდნენ, ხოლო რამდენიმე რაზმელი მიწაზე წამოწოლილიყო და წინ ეწყოთ ადამიანთა მოჭრილი თავები, აჯანყების უკანასკნელ მონაწილეთა. ერთერთ წამოწოლილ მებრძოლში ბუჭუტამ გრიშა შეიცნო, მოღიმარი და კმაყოფილი. მაგრამ ეს მოხდა მერე, იმ საღამოს კი გრიშას სიტყვები კლასობრივი მტრის მიმართ წარმოთქმულ ჩვეულებრივ მუქარად მოეჩვენა და ცხადია, აზრადაც არ მოსვლია, თუ მომავალში, ყოველივე ეს, ასე პირდაპირი მნიშვნელობით აღსრულდებოდა. იგი ჩუმად იჯდა, რადგან მისი გლეხური ბუნება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მიწების ასე ჰაიჰარად დარიგებას, ენანებოდა ყოვლად გაუგებრად და უაზროდ გაცემული ტერიტორია, მით უმეტეს, სრულიად არ ესმოდა ამ აქციის აუცილებლობა. მაგრამ გრიშას წინაშე თავისი ეჭვისა და პროტესტის ხმამაღლა გამოთქმას ვერ ბედავდა, უფროსი მეგობრის და ნათესავის უკმაყოფილება რომ არ გამოეწვია. ამ საუბრის დაწყებამდე უნდოდა გრიშასთვის თავისი დღევანდელი შთაბეჭდილებები გაეზიარებინა. მაგრამ დროზე მიხვდა, ნათავადართა და ინტელიგენტთა ოჯახის ხსენება პროლეტარული სულისკვეთებით გაჟღენთილ ადამიანთან ახლა ნამდვილად საშიში იყო, ამ პატარა წაკამათების შემდეგ კი სრულებით შეუძლებელი გახდა. მართლაც, ძნელი გასამხელი იყო, რომ შავ სიაში მოხვედრილ ადამიანთა გადასარჩენად ბოლშევიკ იასე ნიგურიანთან დახმარების სათხოვნელად მისვლას აპირებდა, გრიშას გვერდით მჯდარს, მისი შეუვალი გამომეტყველების შემყურეს და უდრეკი ხმის მსმენელს, მკრეხელობად ეჩვენებოდა თავისი დანაპირი და მართლაც დანა პირს არ უხსნიდა [illegible] ფიქრებულს, თუ როგორ აერიდებინა თავი ამ საქმისათვის. მთელი ღამე ძილღვიძილში გაატარა. ხან თიკო და მისი ოჯახი ელანდებოდა, ხან ვითომ კრებაზე იყო ნაძალადევის კლუბში, სადაც გრძელულვაშა კაცი ამტკიცებდა, რომ საქართველო აღარ არსებობდა და ქართველების ნაცვლად აქ სხვა ხალხები უნდა დაესახლებინათ. შიშისაგან შემკრთალს ეღვიძებოდა, მერე ისევ თავიდან იწყებოდა ზმანებები: თიკო, თიკოს მამა, გრიშა, გრძელულვაშა. მთელი ღამე ბორგავდა და შფოთავდა, მაგრამ როცა გათენდა, როცა ქალაქი ახმაურდა და ხალხი ამოძრავდა, ქუჩაში გამოსულმა ბუჭუტამ შვება იგრძნო; ათასგვარი შესაძლებლობები დაისახა დაუსაბამო მყობადში, უნაპირო სივრცედ რომ აღიქმებოდა ამ მზიან დილით, და ბუჭუტამ იოლად გადაწყვიტა იასე ნიგურიანთან სტუმრობა. იქ ნათელას ნახავდა, თიკოს ოჯახში გატარებული საღამოს მერე მაინც რომ ახსოვდა, თუმცა თიკო ისევ თვალწინ ედგა და მასზე ფიქრი უფრო სასიამოვნოდ აღელვებდა, იცოდა, ტარიელს თუ დაეხმარებოდა, ამით თიკოს გულს მოიგებდა და უნდოდა თიკოს გულის მოგება. იმასაც აშკარად გრძნობდა, იასესთანა გავლენიან ადამიანებთან ნაცნობობა მომავალში უთუოდ გამოადგებოდა და რაკი ჰქონდა საბაბი იქ მისვლისა, რაკი ბიძინაც თბილისში იმყოფებოდა და თავისი მეგობრის ტარიელ ვარდანიძის ბედით უეჭველად შეწუხდებოდა და მხარს დაუჭერდა, საღამომ რომ მოატანა, უამრავი სურვილებით და იმედებით ატაცებულმა ბუჭუტამ დასძლია გაუბედაობა და ნიგურიანებისკენ გასწია.

ალაყაფის გვირაბი გაიარა და ტანაყრილი ხეებიდან ჩამონაყარი დამჭკნარი ფოთლებით მოფენილ ეზოში შევიდა. ღელავდა, რადგან თავისი ბუნებით სულაც არ იყო თამამი კაცი, რომელიც ერთბაშად იღებს გადაწყვეტილებას და ახლა, უკვე ნიგურიანების კარზე მისული, ჯერ კიდევ ყოყმანობდა,

ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, სწორად იქცეოდა თუ არა. სწორედ ამ დროს, ვიღაც მაღალმა და გამხდარმა ქალმა, თმაგადაგლესილმა და წვრილცხვირამ, იღლიაში ამოდებული ჩანთით ეზოში ჩაიარა. მეორე სართულის შუშაბანდიდან მოკლეულვაშიანმა კუშტად მზირალმა კაცმა გადმოიხედა. ბუჭუტამ ქოჩორზე გადაისვა ხელი და მუშურ ყაიდაზე შეკერილ შალის ბლუზაზე შემოჭერილი ქამარი გაისწორა, მერე ეზოს მოავლო თვალი და ის-ის იყო აპირებდა იმ კაცისთვის ეკითხა, ნიგურიანი სად ცხოვრობსო, რომ პირველი სართულის გრძელ და განიერ აივანზე გამომავალი ერთერთი კარი გაიღო და იქიდან ნათელა გამოვიდა. გოგონამ ეზოში გამოიხედა, შუბლშეჭმუხნული მიაჩერდა ბუჭუტას, უცებ იცნო ის, სახე გაებადრა და გაისმა, ოთახისკენ სხარტად შებრუნებულმა როგორი სიხარულით წამოიძახა: ბიძია, ბუჭუტა მოვიდაო!

ნათელას წამოძახილმა ბუჭუტა ძლიერ გაახარა, მაგრამ თან ცოტა არ იყოს, შეაცბუნა. შეიძლება, ეს იყო ქვეცნობიერი გამოძახილი იმ შეხედულებისა, რომლის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, ქალს შეუფერებელ საქციელად, თითქმის დანაშაულად ეთვლება თავისი ქალური ინსტინქტის გამომჟღავნება მამაკაცის მოსანადირებლად, მამაკაცს კი არა. ბუჭუტას შერცხვა, ასე დაუფარავად და თამამად რომ გამოხატა გოგონამ თავისი სიხარული, მაგრამ მორცხვობა დასძლია და აივნისკენ გაემართა.

შინ იასე და მიხაკო იყვნენ, ისინი მაგიდასთან ისხდნენ, ეტყობა, ახლახან მოეთავებინათ ვახშმობა. ნიგურიანები თავაზიანად შეხვდნენ სტუმარს, მაგრამ ნათელას სიხარულით გათამამებულმა ბუჭუტამ, ბუნებით მორცხვმა ადამიანმა, მგრძნობიარემ და საკმაოდ ეჭვიანმაც, მყისვე შეამჩნია, თავისი ვიზიტით მაინცდამაინც დიდი სიამოვნება რომ ვერ მოჰგვარა მასპინძლებს. ცოტა არ იყოს, ნირი წაუხდა, შეიძლება ვიჩქარეო, გაიფიქრა, გუშინ დავშორდი ამ ხალხს და ასე მალე არ უნდა ვწვეოდიო, მაგრამ მეორეს მხრივ, ფი[illegible] ოთახში მიცემული დაპირება დაყოვნებას არ ითმენდა და ძალზე შეწუხდა, როცა დარწმუნდა, ბიძინა შინ არ იყო, რადგან იმისი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. უხერხულად დაჯდა შემოთავაზებულ სკამზე და მუქი შპალერით აკრულ კედლებს მოავლო თვალი. შორენკეცით მოპირკეთებული მაღალი კედლის ღუმელი ყველაზე უფრო თვალშისაცემი საგანი იყო ამ ბნელ ოთახში. მაგიდა, სკამები, საწოლი, „ატამანკა“, ფანჯარაზე ჩამოდებული თიხის ქოთანი ეკლიანი კაქტუსით, და სიჩუმე, უცნაურად ჩამოვარდნილი, გამთიშველი, სულ უფრო აბნევდა და აუცხოვებდა ბუჭუტას ამ ხალხისაგან, ჯერ კიდევ გუშინ ესოდენ დაახლოვებულად რომ ეჩვენებოდა. სწორედ ამიტომ: აქეთკენ ვიყავი და შემოვიარეო, თავი იმართლა.

— კარგად მოქცეულხარ, ყმაწვილო — გაამხნევა იასემ.

— წუხელის თქვენ რომ დაგშორდით, ერთი ჩემი თანაკურსელის ოჯახში შევიარე და იქაც დამხვდნენ ჩვენებურები, — წარმოსთქვა მერე როყიოდ და გაწითლდა.

— ვინ ჩვენებურები? — ჰკითხა მიხაკომ და უცებ ბუჭუტამ სიხარულით იგრძნო, რომ გამოსავალს პოულობდა, თავის მიზანს უახლოვდებოდა, თითქოს განგების ნება წარმართავდა, ხელს უწყობდა. ერთბაშად გამხნევდა, იმედი მიეცა, რაღაც ისე ძალდაუტანებლად, სრულიად უნებურად ჩამოაგდო საუბარი იმ თემაზე, რომლისთვისაც მოვიდა აქ.

— ვარდანიძეები, — თქვა მან, — თამარი და ტარიელი, ვახტანგი ციმბირში გადაუსახლებიათ, ქალბატონი ნინო ლოგინად ჩავარდნილა. ესენი იმ ჩემი თანაკურსელის ნათესავები ყოფილან და მაგ ოჯახში შეუფარებიათ თავი.

— რას ერჩიან ამ ხალხს, ვერ გავიგე, ბატონო! — წამოიძახა მიხაკომ გაცხარებით.

— მოიცა კაცო! — შეაწყვეტინა ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სემ მკაცრად, — ტყუილად არავის არ ასახლებენ.

— რამდენსაც გინდა!... ამ ახალგაზრდებმა მაინც რა დააშავეს, რაზე ჩამოართვეს სახლ-კარი და გამოყარეს მამულიდან?!

— გავიგებ მაგ ამბავს, თუ არაფერში მიუძღვით ბრალი, სახლ-კარსაც დაუბრუნებენ.

ამ დაპირებამ ბუჭუტა ისე აალელვა, რომ ფერიც კი წაუვიდა. ეს იყო დიდი გამარჯვება ბუჭუტასი, რადგან თავისი სიტყვა შეასრულა, დააინტერესა იასე ნიგურიანი ვარდანიძეების ბედით. ახლა მას თამამად შეეძლო თიკოს წინაშე პირნათლად წარმდგარიყო, რაც ასე ძლიერ სურდა. ერთბაშად, ძლიერ კაცად იგრძნო თავი, ყოვლისშემძლეობის განცდამ სითამამე გაუორკეცა და ისეთი ლაღი გუნება-განწყობით წამოვიდა იქედან, იმდენად ირწმუნა ცხოვრების სამართლიანობა და საკუთარი გეზის სისწორე და შეუცდომლობა, რომ თავს პირობა მისცა, კიდევ უფრო აქტიურად ემოღვაწა ქვეყნის საკეთილდღეოდ, დაწინაურებულიყო კომკავშირში. კომკავშირელი რომ არ ყოფილიყო, იასეს კეთილგანწყობას ვერ დაიმსახურებდა, კომკავშირი აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას, თავის გამოჩენა კი უყვარდა. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ახლა სწორედ თიკოს თვალში სურდა გამოჩენილიყო გამორჩეულ პიროვნებად, და ისე გამოდიოდა, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე დაწინაურება და საზოგადოებრივი საქმეებით გატაცება მისი პირადი ინტერესების სფეროშიც შედიოდა და პირადი კეთილდღეობისათვისაც სჭირდებოდა. ერთ კვირაში შემოიარე და გეტყვი პასუხსო, უთხრა გამომშვიდობებისას იასემ და იმ ერთი კვირის განმავლობაში, ბუჭუტა ისე იყო აღელვებული, თითქოს ქვეყნის მომავლის საქმე წყდებოდა, თუმცა აშკარად გრძნობდა, რომ უფრო თავისი თავისთვის უნდოდა ეს საქმე კარგად დამთავრებულიყო, ვიდრე ვარდანიძეებისთვის. ბუჭუტა ცდილობდა ეს უცნაური განწყობა ზოგჯერ [illegible]პებში გადაეყვანა, რადგან ყოველივე პირადული, თვით პიროვნების თავისუფლების ჩათვლით, გაქანებათა და მისწრაფებათა სივიწროვედ ითვლებოდა, ხალხი ისეთი განყენებული კატეგორიებით მსჯელობდა, როგორიც არის მსოფლიო რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურა, კლასთა ბრძოლა, საყოველთაო თანასწორობა, ბედნიერი მომავალი... რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომელთაც ძალუძთ ბევრი რამ იწინასწარმეტყველონ, მაგრამ ვის შეუძლია ზუსტად განსაზღვროს ჯერ არ არსებული ვითარება, ჯერ არ არსებული ძალების წარმოქმნა და მოქმედება? მიუხედავად ამისა, ახალგაზრდობის უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ბრწყინვალე მომავალს ქმნიდა და მომავალ თაობებს მიწიერ სამოთხეს უმზადებდა. ბუჭუტასაც ბედნიერი მომავლის ერთერთ მშენებლად მიაჩნდა თავი, და თუ ახლა ვარდანიძეების გადასარჩენად ზრუნავდა, ეს იმიტომ, რომ მომავალი საზოგადოება, მისი რწმენით, მხოლოდ სამართლიანობის პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული. ერთი კვირის თავზე, სამსახურში მიაკითხა იასეს და იასემ უთხრა, რომ თამარ და ტარიელ ვარდანიძეებს სახლ-კარს დაუბრუნებდნენ. ეს ამბავი მყისვე აუწყა თიკოს.

— რა იცი, ვინა თქვა? — გაოცებით შეეკითხა თიკო.

— რას ქვია, რა ვიცი?! დღეს ვიყავი იასე ნიგურიანთან და იმან შემატყობინა ეს ამბავი.

უცებ თიკოს თვალები აღფრთოვანების ცეცხლით განათდა, — შამში, რა ბიჭი ხარ, რომ იცოდე?! — აღტაცებით წამოიძახა მან, კისერზე ხელები მოხვია ბუჭუტას და აკოცა.

ეს იყო ბუჭუტას ტრიუმფი. იმ დღეს იგი მეორედ ესტუმრა თიკოს ოჯახს, მაგრამ ამჯერად უფრო თამამად და გაბედულად, რადგან ის იყო კეთილი ამბის მაცნე. როგორც გმირს, ისე შეჰყურებდნენ თვალებში თიკოს ახლობელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვარდანიძეებიც, თამარი და ტარიელი, ეს კი მეტისმეტად სიამოვნებდა. ბევრი თავისი თანამოაზრისგან განსხვავებით, ბუჭუტას არ სძულდა წარსული და აწმყო, თუმცა მშვენივრად ესმოდა ძველი დროების სიბნელე და ჩამორჩენილობა. მარტო ის რად ღირდა, პირველმა ქართველმა მფრინავმა ქებურიამ თავისი უცნაური თვითმფრინავით წიფლნარს რომ გადაუფრინა. ბუჭუტას ბებიას, კეკეს, რაღაც ზეციური ზღაპრული არსება რომ ეგონა ეს ხმაურიანი საგანი და შიშისაგან გულგახეთქილმა სახლის ქვეშ შელალა შვილიშვილები. ცხადია, ხალხი უმეცარი და უგუნური იყო, საჭირო იყო მისი გამოფხიზლება, კლასთა ბრძოლაც ეპოქის გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა. ძველის მსხვრევა ალბათ, საჭირო იყო, მაგრამ ზოგჯერ საქმე იქამდე მიდიოდა, რომ ერთმა პროლეტარულმა პოეტმა თბილისის ოპერის შენობის დანგრევა და გადაწვა მოითხოვა, რადგან ოპერა ბურჟუაზიული ხელოვნებაა და პროლეტარიატს რყვნისო. ასეთი უკიდურესობების ბუჭუტას არაფერი სწამდა, თუმცა ისიც ცდილობდა კლასობრივი თვალსაზრისით შეეხედა ცხოვრებისათვის. მაგრამ თვითონ ვარდანიძეები, მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენლები, ბუჭუტას არ სძულდა, არ ეჯავრებოდა, არ ემტერებოდა, რადგან ბევრი სიკეთე და სითბო ახსოვდა ამ ოჯახისგან, ჯერ კიდევ სრულიად ბალღს ბებია რომ დაატარებდა სასახლეში, სადაც ყველანი ეფერებოდნენ, ასაჩუქრებდნენ ხან დამტვრეული სათამაშოთი, ხან ხილით, ხან კამფეტით, და ბუჭუტაც ხარბად ჩაბღუჯავდა ხოლმე საჩუქარს თავის პატარა მუჭში და არ უნდოდა ვარდანიძეების სასახლიდან შინ დაბრუნება. ეს ყველაფერი ტკბილად ახსოვდა ბუჭუტას და თუმცა მომხრე იყო პრივილეგიური კლასების გაუქმებისა, ადამიანთა ფიზიკური მოსპობის იდეას სიძულვილით ეკიდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი დროის პირმშო იყო, არც თავადიშვილი და არც მღვდლიშვილი სალანძღავ სიტყვად არ მიაჩნდა, განსხვავებით ბევრ მის მსგავსთაგან, მით უმეტეს, თუ გაუქმებული კლასების წარმომადგენელნი ახალი ცხოვრების ფერხულში იდგნენ. თიკოსთან დაახლოვება ბალავარს უმაგრებდა მის სიამაყეს, მის თვითრწმენას, ხოლო იმ დღის მერე, სიხარულისაგან თავბრუდახვეულმა თიკომ რომ აკოცა, ბუჭუტას ხშირად ხედავდნენ ამ მომხიბლავ ქალიშვილთან ერთად უნივერსიტეტში, ქუჩაში, თეატრში თუ სხვაგან, და ამ ორ განსხვავებული წრის ახალგაზრდების დაახლოვება ბევრს უკვირდა კიდეც, თუმცა არაფერი იყო ამაში საკვირველი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა, რადგან, გარდა იმისა, რომ გუშინდელნი მდაბიონი ზევით მიისწრაფოდნენ, ხოლო გუშინდელნი აღზევებულნი ყოფილ მდაბიოებს შერიგებით უწვდიდნენ ხელს, — ბუჭუტა მეტად სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი გახლდათ, საშუალოზე მაღალი ტანისა, თხელი, წელწვრილი, სწორი ცხვირით, წაბლისფერქოჩრიანი, რბილი ლმობიერი გამომეტყველებით, და თავისი ბუნებითაც უფრო დამთმობი და მორიდებული ჩანდა, ვიდრე გამაღიზიანებლად თვითდარწმუნებული და უტეხი, ვითარცა მრავალნი და მრავალნი მისი წრისა და წარმოშობის ხალხისა. ყველა ეს თვისება, ახალგაზრდა ქალიშვილის თვალში, ცხადია ფრიად მიმზიდველს ხდიდა მას, ხოლო მას შემდეგ, ვარდანიძეების დახმარება რომ შეძლო, ბუჭუტასა და თიკოს შორის უფრო მეტი სიახლოვე წარმოიშვა, ვიდრე უბრალო ამხანაგობაა, თუმცა ამ ურთიერთობას ჩვეულებრივი ამხანაგობის ფორმა გააჩნდა ჯერჯერობით. ზოგჯერ ისინი ერთადაც მეცადინეობდნენ. მიდიოდნენ თიკოსთან და იმ ოთახში სხდებოდნენ, სადაც კედელზე იტალიელი მისიონერის კასტელის მიერ შესრულებული გიორგი სააკაძის პორტრეტი ეკიდა. ბუჭუტას ემაყებოდა, რომ ამ დიდი კაცის შთამომავლის ოჯახში იმყოფებოდა და შუა მეცადინეობისას. ზოგჯერ

თვალი გაუშტერდებოდა, მიაჩერდებოდა სურათს და სულ არ ესმოდა, რას უკითხავდა თიკო. მხოლოდ კარგა მოგვიანებით ხვდებოდა თიკო, რომ მისი სიტყვები ბუჭუტას თავში არ შესვლია, წიგნს მაგიდაზე დაახეთქებდა ხოლმე და გაჯავრებით იტყოდა, ასეთი მეოცნებე გლეხუჭა ჯერ არ მინახავსო! ბუჭუტა გრძნობდა, რომ ამ თითქოსდა ღვარძლით, თითქოსდა დაცინვით ნათქვამ სიტყვებში იყო დაფარული ალერსი, და ხმას არ იღებდა, მხოლოდ იღიმებოდა, მაშინ, როცა თიკოს დედა, ერთობ გულთბილი მანდილოსანი, თუ ასეთ სცენას შემთხვევით შეესწრებოდა, ოთახში რომ ჩაივლიდა შალმოხვეული, მკაცრად შესძახებდა ხოლმე ქალიშვილს: თიკო!

თიკოს მამა, ბატონი ზურაბიც თავაზიანად ეპყრობოდა ბუჭუტას, ერთხელ ამერიკული ჰალსტუკიც აჩუქა და მერე მთელი ნახევარი საათი ასწავლიდა გაკვანძვას. არა მარტო ჰალსტუკის გაკვანძვა, არამედ დანა-ჩანგლის ხმარება, ჩაის სმა და რუსულად ლაპარაკიც კი ისწავლა ამ ოჯახში ბუჭუტამ, რადგან დიდი უნარი ჰქონდა მიბაძვისა დაათვისებისა. ის თანდათან შეეჩვია თიკოს ძიძაობას, წინამძღოლის როლი თიკოს ეპყრა ხელთ, ის იყო წარმმართველი, თვითონ ჰქონდა ნაკისრი ამ ახალგაზრდა ხეპრის მოთვინიერება და მოშინაურება, დაჰყავდა მეგობრებში, აცნობდა ახალ ხალხს, აცნობიერებდა, ნელნელა შეჰყავდა იმ წრეში, რომელშიც თვითონ ტრიალებდა და თავისდაუნებურად ათბილისელებდა ბუჭუტას. ერთხელ ,რუსთაველის თეატრთან, მისი ოჯახის მახლობელ სახელგანთქმულ მსახიობს თამარ ჭავჭავაძესაც კი წარუდგინა, რომელიც სწორედ წინა საღამოს ნახეს „ცხვრის წყაროში“, და ამით განუზომელი აღტაცება მიანიჭა ბუჭუტას. ეს მეურვეობა, როგორც ჩანს, თიკოს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, თითქოს ბუჭუტას გაშალაშინებას მისთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მშობლისთვის შვილის აღზრდას. ალბათ, ეს იყო ქალური ინსტინქტის [illegible] ნება, სხვაზე ზრუნვით, [illegible] სამსახურით რომ გამოიხატება, და თუმცა ისინი თანატოლები იყვნენ, მათ შორის იმგვარი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, როგორც უფროსსა და უმცროსს შორის. „რასა იქმს შენი შვილობილიო?“ ხშირად ეკითხებოდნენ მეგობარი ქალები და თიკოც კმაყოფილებით პასუხობდა, იწვრთნება თანდათანო. ბუჭუტა კი უფრო და უფრო ეჯაჭვებოდა თიკოს, მაგრამ რა იყო ეს გრძნობა, მან ჯერ კიდევ არ იცოდა. ქალ-ვაჟის ურთიერთობაში ის არ იყო გამოცდილი და ამიტომაც ვერ ერკვეოდა თავის დამოკიდებულებაში, მაგრამ თიკო ახლა უახლოეს ადამიანად მიაჩნდა ამ ხმაურიან ქალაქში, სადაც მას არც ისე ბევრი ახლობელი ჰყავდა. ქალაქიც ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, ისრუტავდა ბუჭუტასნაირებს, ქუჩები სავსე იყო ხალხით, თუმცა ხშირად გაიგონებდით, ეს და ეს კაცი დახვრიტესო, მაგრამ არაფერი ეტყობოდა ქალაქის მოსახლეობას. ბრწყინვალე სპექტაკლები იდგმებოდა განახლებულ ქართულ თეატრში და საზოგადოების დიდი ნაწილის ყურადღება ახლა აქეთ იყო მიმართული, ახალგაზრდა მომღერლები მღეროდნენ ოპერაში, დიდუბეში ახლადჩამოყალიბებული ფეხბურთის გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ამ ახალ სანახაობასაც აწყდებოდა ცნობისმოყვარეთა დიდი ტალღა, იპოდრომზე გამართულ დოღში ისევ საუკეთესო ბედაურები იმარჯვებდნენ, მატარებლები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მიჰყავდათ და მოჰყავდათ მგზავრები თბილისის სადგურზე, უნივერსიტეტშიც იცვლებოდა წესები, კომკავშირელი სტუდენტები ადგენდნენ ჯგუფებს, რომელსაც „მსუბუქ კავალერიას“ უწოდებდნენ და თავს ესხმოდნენ ძველ პოზიციებზე მდგარ თავიანთ ლექტორებს, სასტიკად აკრიტიკებდნენ და უნივერსიტეტიდან გაძევებით ემუქრებოდნენ, მწერლები ახალ-ახალ დაჯგუფებებს და ჟურნალებს აარსებდნენ და ერთმანეთს დაუსრულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ედავებოდნენ, მაგრამ თუ ქუჩაში ჩაივლიდა რომელიმე გამოჩენილი მოღვაწე, ყველანი ყურადღებას აქცევდნენ, ხელოვნების, ლიტერატურის და მეცნიერების მოყვარულთა პირზე ეკერათ მათი სახელები, პოლიტიკური წინააღმდეგობები კი დღითი დღე მწვავდებოდა, „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!“ — ხშირად გაისმოდა ეს საშიში ლოზუნგი ცხარე კამათების დროს, და ამასთან ერთად სურსათი და სამოსი ჰქირდა, პური და ნავთი ძნელი საშოვნელი გამხდარიყო, გრძელ რიგებში მდგარი ბავშვები და დიასახლისები ჩვეულებრივ სურათად ქცეულიყო...

ის ზამთარი ისე გაილია, ბუჰუტას მოწყენა არ უგრძვნია, თუმცა ისევ შიოდა და სციოდა ნაძალადევში ნათესავებთან სამადლოდ შეკედლებულს. გაზაფხულს იგი განახლებული და აღორძინებული შეხვდა, როგორც ბუნება. ყოველი დღე სავსე იყო შთაბეჭდილებებით. მშობლიური სოფელი, შინ დარჩენილი მშობლები და და-ძმა თითქმის გადაავიწყდა, რადგან აქაური ცხოვრება უამრავ ნეტარებას ჰპირდებოდა. ბოლოს და ბოლოს ბუჰუტა მიხვდა, რომ თიკო უყვარდა, უმისოდ აღარ შეეძლო, სულ მასთან ყოფნა უნდოდა. ამ აღმოჩენამ თითქოს შეცვალა, თითქოს დაძაბა, თიკოს ყოველ სიტყვას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა, მის ყოველ მოქმედებას თუ უნებლიე საქციელს გამძაფრებით განიცდიდა, ზოგჯერ უმიზეზოდ აღიზიანებდა ისეთი რამ, რაც ადრე ღიმილს თუ მოჰგვრიდა. ქალიშვილიც ამჩნევდა ბუჰუტას მოულოდნელ ცვლილებას და გაოცებით ეკითხებოდა, რა იყო, რა მოგივიდაო? მაგრამ ბუჰუტა ვერ ბედავდა თავისი გრძნობის გამხელას, ვაითუ თიკოს არ ვუყვარვარ, უბრალო ამხანაგად მთვლისო, და შერცხვენისა ეშინოდა. მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ეს გაურკვეველი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. ხვალ ვეტყვიო, დანიშნავდა დღეს, მაგრამ ის დღე რომ დადგებოდა, ისევ შემდეგისთვის გადადებდა. ბოლოს გადაწყვეტილების დამთავრების მერე ავუხსნი ყველაფერსო, მაგრამ კვლავ ვერ შეარჩია შესაფერი შემთხვევა, და დადიოდა აფორიაქებული, მოუსვენარი, უკმაყოფილო. ძლივს ჩააბარა გამოცდები. გამოცდების დროს იშვიათად ხვდებოდა თიკოს, მაგრამ როცა ზაფხული დადგა და არდადეგები დაიწყო, გაიგო, თიკო ოჯახთან ერთად ბორჯომში მიემგზავრებოდა დასასვენებლად და გადაწყვიტა, ამ დროებითი განშორების წინ გაემჟღავნა გულის ნადები.

იმ ზაფხულს ბორჯომისკენ გაეშურა მთელი თბილისი, თეატრის მსახიობები, ახალგაზრდა პოეტები, მხატვრები და მუსიკოსები, ერთი სიტყვით, ნაღები საქართველოს საზოგადოებისა ამ მშვენიერ კურორტზე იყრიდა თავს, სადაც ხალხით გატენილ პარკში საღამოობით უკრავდა ორკესტრი, კურზალში პატარა წარმოდგენები იმართებოდა და დამსვენებლები ყოველდღიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მინერალურ წყალს სვამდნენ, საუბრობდნენ, სეირნობდნენ, სურათებს იღებდნენ. ბუჰუტას არ ჰქონდა იმის საშუალება ბორჯომში გაჰყოლოდა საყვარელ ქალს. სხვა აქტიურ კომკავშირელებთან ერთად, იგი ალაზნის არხის მშენებლობაზე გასამგზავრებლად ჩაეწერა, რადგან თავს მოვალედ თვლიდა ახალი ქვეყნის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. ამაზე ორი აზრი არ არსებობდა, მაგრამ მაინც გული სწყდებოდა, რომ მთელი ზაფხული ვერ ნახავდა თიკოს. მოწყენილი მივიდა გასაცილებლად. თიკოს ოჯახში ისეთი მხიარულება დახვდა, თიკოს დაქალები ისე კისკისებდნენ და თვითონ თიკოსაც ისე უხაროდა ბორჯომში გამგზავრება, რომ ბუჰუტა დაიბნა და ცოტა არ იყოს, ეწყინა კიდეც, თიკოს სრულიად რომ არ ანაღვლებდა მასთან დაშორება. ტყუილი იმედებიაო, გაიფიქრა გუნებაში.

— კარგი ბიჭი ხარ, რომ მოხვედი, ბარგს მაინც წამოგვიღებ, — ელაზღანდარებოდა თიკო და მართლაც, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრამვაიში ჩასხდა ეს ამოდენა ხალხი და სადგურზე გასწიეს, ყველაზე მძიმე ბარგის თრევა ბუჰუტას ხვდა წილად.

სადგურზეც მხიარულება და ჩვეულებრივი ქოთქოთი იყო, თიკოს ბუჰუტასთვის არ ეცალა, თავის დაქალებს ეტიკტიკებოდა, რომელთაგან ერთი ბორჯომში აპირებდა მოკლე ხანში წასვლას დასასვენებლად, მეორე — ქვიშხეთში, მესამე — ახალდაბაში, მეოთხე — წალვერში და მეხუთე — ბაკურიანში. ქალიშვილები კისკისებდნენ, მომავალ სასიამოვნო დროსტარებაზე ოცნებობდნენ და, ამასობაში, განშორების ზარმაც დაჰკრა. თიკოს დედა ვაგონში ავიდა, თიკოს მამა ვაგონის კიბესთან იდგა და ქალიშვილს აჩქარებდა. თიკომ სასწრაფოდ გადაკოცნა მეგობრები, მერე ბუჰუტას მიუბრუნდა, მხარზე ხელი დაადო, ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა. ბუჰუტა უეცრად ცაში აიჭრა, სახეზე კი შეეტყო, რომ უზომოდ ბედნიერი გახდა და თვითვე გრძნობდა, რომ ამ ბედნიერების დამალვა არ შეეძლო.

— თიკო, რაღაც მინდოდა მეთქვა შენთვის, მაგრამ რომ ჩამოხვალ მერე გეტყვი.

— კარგი, წერილი მომწერე, — გაბრწყინებული თვალები შემოანათა თიკომ, მერე ვაგონისკენ გაიქცა, კიბეზე ავიდა და ხელი დაუქნია. მატარებელი ნელა დაიძრა.

იმავე საღამოს ბუჰუტა დაჯდა და დიდი წერილი მისწერა. მთელი ღამე თხზავდა გულწრფელ აღსარებას, დაუფარავად უხსნიდა გულს, უმჟღავნებდა თავის სიყვარულს, ათასგვარ საალერსო სიტყვებს პოულობდა მისი ღირსებების გამოსახატავად და თავისი უდიდესი ერთგულების ნათელსაყოფად, ფერმიხდილი ღამის მდუმარება და გამოსამშვიდობებელი ამბორის ხსოვნა უმძაფრებდა ყოვლისმომცველ ვნებას, და სიტყვები მოედინებოდნენ, როგორც ანკარა წყაროს წვეთები, თითქოს ყოველივე კარგავდა თავის ჩვეულებრივ მნიშვნელობას და მაგიურ ძალას იძენდა, და თვით სიყვარული, [illegible]ლში კოცონივით რომ გიზგიზებდა და ყველაფერს ბრდღვნიდა, ენით უთქმელ, აუხსნელ, არნახულ საიდუმლოს ათინათს ემსგავსებოდა. ფანჯარაში რომ ოდნავ ინათა, სანთელი ჩაქრა და ბუჰუტაც მორჩა სასიყვარულო უსტარის წერას. უდიდესი შვება იგრძნო, უნეტარესი სიამოვნება. არც გადაუკითხავს, წერილი დაკეცა, კონვერტში ჩადო, თვითონ ლოგინზე მიწვა და ბულბულებმა გალობა რომ დაიწყეს ჯერ კიდევ იისფერ რიჟრაჟში, მკვდარივით ჩაეძინა. იმავე საღამოს გაგზავნა წერილი ბორჯომში და მეორე დღეს ალაზნის არხის მშენებლობაზე გაემგზავრა.

დილაადრიან ჩავიდნენ თელავში, ჯგუფი ათი კაცისგან შედგებოდა. ესენი იყვნენ მოხალისე აქტივისტები, თბილისის სხვადასხვა საწარმოო-დაწესებულებების მუშაკები, მათ შორის ორი ქალიშვილი, რომელთაც თმა მოკლედ შეეკრიჭათ და წელზე ქამარი შემოერტყათ მამაკაცურად, ალბათ, პროლეტარული სიმტკიცისა და შეუპოვრობის გამოსახატავად, მაგრამ მათი სხეულის მრგვალი ფორმები მაინც მიგანიშნებდათ ამ ახალგაზრდა, კომუნიზმის მშენებელი მანდილოსნების თანდაყოლილ დანიშნულებაზე. ყმაწვილებიდან ბუჰუტა მხოლოდ ერთს იცნობდა, დათიკო მიქაშავიძეს, იცნობდა კი არა, იგი მისი ამხანაგი იყო, თანაკურსელი, ტანმორჩილი, ქერათმიანი ჰაბუკი. მხოლოდ ეს ორნი იყვნენ სტუდენტები. ვინაიდან ჯერ ადრე იყო, ახალგაზრდებმა ბაზარში შეუხვიეს, ბუჰუტამ და დათიკომ კახური არაყი გადაკრეს და ზედ შარშანდელი გამხმარი ჩურჩხელა დააყოლეს. რაიკომში რომ მივიდნენ, კარგა შეზარხოშებულნი გახლდნენ. რაიკომში შეპირდნენ, რომ შუადღისთვის დროგს გამოუყოფდნენ და გაისტუმრებდნენ არხის მშენებლობაზე. ამის შემდეგ ქალაქში გაისეირნეს. ბუჰუტა სასიამოვნო სითამამეს გრძნობდა, თითქოს ბორჯომში წერილის გაგზავნით დიდი ტვირთი მოიშორა და უჩვეულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვება იგრძნო. ჩეკას შენობას რომ ჩაურეს, ერთი წუთით აქ დამიცადეო, უთხრა დათიკოს და შიგ შევიდა. არაფრის არ ეშინოდა, რწმენით და იმედით იყო ალსავსე. პირველივე ოთახის კარი გამოაღო და შეიხედა. მაგიდასთან ახალგაზრდა ჩეკისტი იჯდა, ხვეული თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი, მის ზურგს უკან, კედელზე მსოფლიო რუკა ეკიდა და ამ რუკაზე საბჭოთა კავშირი წითლად იყო ალნიშნული.

— რა გნებავთ? — შემოხედა ბუჭუტას მაგიდასთან მჯდარმა.

— მე თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრი გახლავართ უნდილაძე. ალაზნის არხის მშენებლობაზე მივემგზავრები, მინდოდა ჩემი ნათესავი გრიშა დევდარიანი მენახა, რამდენადაც ვიცი, აქაა მოვლინებული.

— მე ჯორჯაძე გახლავართ, — გაულიმა ჩეკისტმა და წამოდგა, თეთრი ხალათი ეცვა, წელზე ქამარი ჰქონდა შემორტყმული, — მართალია გრიშა ჩვენთან არის მოვლინებული, მაგრამ ამჟამად თელავში არ იმყოფება. ჩვენი ჩეკას უფროსი ჯაფარიძე და გრიშა ოპერაციაზე არიან, ორი-სამი დღე ვერ დაბრუნდებიან.

— უკაცრავად, — თქვა ბუჭუტამ.

— მე ხომ ვერაფრით დაგეხმარებით? — და ჯორჯაძემ ორიოდე ნაბიჯი გადადგა გვერდზე და ჩექმები ააჭრაჭუნა.

ბუჭუტა შეყოყმანდა.

— თელავის ფოსტაში ჩემს სახელზე მნიშვნელოვანი წერილი უნდა მოვიდეს. მეშინია არ დაიკარგოს. იქნებ, იქ, მშენებლობაზე გამომიგზავნონ...

— მაგას გრიშა რად უნდა? პირობას გაძლევთ, რომ გამოგიგზავნით, ჩვენთან წერილები არ იკარგება, — გაიცინა ჯორჯაძემ.

ბუჭუტამ მადლობა გადაუხადა და ქუჩაში გამოვიდა. ძლიერ მოეწონა ჯორჯაძე და საკუთარი თავი მნიშვნელოვან პიროვნებად შეიგრძნო. ამიტომ, როცა დათიკომ ცოტა არ იყოს შიშნარევი ხმით ჰკითხა, რა გინ[illegible]შიო, კმაყოფილი სახით, მაგრამ გაურკვევლად უპასუხა, იცის ბიჭმაო!

კიდევ კარგა ხანს იყიალეს თელავის მყუდრო ქუჩებში, ნადიკვარზეც აისეირნეს. შუადღეზე ისადილეს ერთ პატარა სასადილოში და ცოტა კიდევ დალიეს. სალამოს პირზე დროგიც გამოჩნდა. მოთმინებადაკარგული ახალგაზრდები კვლავ გახალისდნენ, ბარგი ჩაყარეს გრძელი ფორანის ძირზე და ზედ დასხდნენ. მეეტლის ზურგს უკან ორ გრძელ ჯოხზე წამოცმული წითელი პლაკატი იყო ალმართული, რომელზედაც თეთრი ასოებით ეწერა: „ვაშენებთ ბედნიერ მომავალს!“ დროგი ხრიგინით დაიძრა და მალე გასცდა პატარა ქალაქს. ბუჭუტა ჩინებულ გუნებაზე იყო, დიდი გულისყურით აკვირდებოდა მისთვის ახალ გარემოს, გზის პირზე დარგულ ტანაყრილ კაკლებს, მოფლაყვებულ ძეძვის ლობეებს, მდორე ფშანებს, ღელის ნაპირზე ჩამწკრივებულ ტოტებჩამოძენძილ წნორებს და დაუსრულებელ ზვრებს, უზარმაზარი ველის ბოლოს ალმართული ლურჯი მთებისკენ რომ მიემართებოდნენ. მთებიც თანდათან ახლოვდებოდნენ, ნიავს მოჰქონდა მდინარის ნოტიო სურნელი და უცებ ბუჭუტამ იგრძნო, რომ მას შემდეგ, რაც ჩეკისტი ჯორჯაძე შეპირდა, წერილს აუცილებლად გამოგიგზავნიო, ყოველი წუთი მოუთმენელ მოლოდინად გადაექცა.

ამასობაში დაბინდდა და გზა მუხნარში შევიდა. უეცრად დროგი გაჩერდა, მთელი ტანით უკან გადმოწეულმა მეეტლემ წრუპუნით და სადავეების ქაჩვით, ცხენები გზის პირზე გადაიყვანა და ბუჭუტამ დაინახა უკვე საკმაოდ გამკვრივებულ ბინდში, წინიდან მომავალი ორი ცხენოსანი, რომელთაც უკან თოფმოღერებული მებადრაგეებით გარშემორტყმული ადამიანების დიდი ჯგუფი მოჰყვებოდა. ერთერთ ცხენოსანს ყაბალახი ჰქონდა სახეზე ჩამოფარებული, მეორეს წითელვარსკვლავიანი ქუდი ეხურა. დროგს რომ გაუსწორდა,

მედროგეს დაუღრიალა, რას გაეჩხირე შუა გზაზე, დასძარი ცხენებიო. ეხლავე, ბატონო, ეხლავეო, აფუსფუსდა მედროგე და თავის მგზავრებს გადაულაპარაკა, ჩეკას უფროსი ჯაფარიძეაო, მაგრამ დროგის დაძვრა მაინც ვერ შესძლო, რადგან გზა გაჭედილი იყო ხელებშეკრული ტუსაღებით, რომლებიც უსასოოდ მოლასლასებდნენ უკვე ჩამობნელებულ ტყეში. მოხუცებიც იყვნენ მათ შორის, უწვერულვაშო ახალგაზრდებიც, თავჩაღუნულნი, უხმოდ მომავალნი, ზოგს კახური ქუდი ეხურა, ზოგს ქალამანი ეცვა. მხოლოდ ერთი იყო ევროპულად გამოწყობილი, წვერმოშვებული, ჩუმად მოღიმარი კაცი, დანარჩენებს დანა პირს არ უხსნიდათ.

— სიკვდილი ხალხის მტრებს! — შესძახა დროგზე მჯდარმა ერთმა აქტივისტმა და ბუჭუტა ისე შეკრთა, თითქოს თოფი ესროლეს და ტყვია შიგ გულში მოარტყესო.

მებადრაგეებმაც კი ალმაცერად შეხედეს ამ ლოზუნგის წამომძახებელს, ვილაც ტუსაღმა კი დედა შეაგინა. ამასობაში დროგიც დაიძრა და ბუჭუტას იმ გამწარებული, განაწამები სახეების წარმოდგენაზე გუნება წაუხდა, ნისლივით გაიფანტა ალერსიანი და ბედნიერი განწყობა, თბილისის სადგურზე თიკოსთან განშორების და ამბორის შემდეგ მსუბუქად რომ დაანავარდებდა მისივე ოცნების ოქროსფრად გაბრწყინებულ სივრცეში. მერე ისიც გაიფიქრა, თუ ამ კოლონის წინ მომავალი ერთერთი ცხენოსანი ჩეკას უფროსი ჯაფარიძე იყო, შეიძლება მეორე, ყაბალახჩამოფარებული, ჩემი ნათესავი გრიშა გახლდათო. მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, გრიშა იყო ის კაცი თუ არა. ბუჭუტა იმ გასაცოდავებული ადამიანების ბედზე ფიქრობდა და გუნება უმძიმდებოდა, რადგან ზოგჯერ ისეთი გულჩვილი იყო, რომ მტერიც კი ებრალებოდა, თუმცა იმ ხალხს, მებადრაგეების ალყაში მოქცეულთ, ქართული სახეებით, ქართული ტანსაცმლით, ქართულად მოლაპარაკეთ, ქართულ მიწაზე მცხოვრებთ საქართველოს მტრებად ვერ ჩათვლიდა, არამედ — მის შემადგენელ ნაწილად, როგორი კულაკებიც და ახალი წესწყობილების მოწინააღმდეგენიც არ უნდა ყოფილიყვნენ. ხოცვა-ჟლეტა ყველაზე იოლი და ყველაზე ზნედაცემული საშუალებაა წინააღმდეგობათა დასაძლევად, განსხვავებული რწმენა არ ნიშნავს ღალატს, ღალატი ისაა, როცა საკუთარი ერის ინტერესებს უგულებელყოფ და შეგნებულად ებრძვი. რა თქმა უნდა, საქართველოს უამრავი მტერი ჰყოლია თვითონ მის შვილთა შორის, მაგრამ ის უბრალო ხალხი, უბრალო მიწის შვილები და მიწის მუშები, აწიოკებული ოჯახებიდან მოწყვეტილთ სადღაც რომ მიერეკებოდნენ ამ უკუნ ღამით და რომელთა დანაშაული ბუჭუტამ არ იცოდა, არ ჰგავდნენ საქართველოს მტრებს, ბუჭუტა ვერ იმეტებდა მათ და მეტად მძიმე განწყობით ჩავიდა მშენებლობაზე.

ყოველივე ამის გამო, პირველადი აღტკინება, რომელმაც აქეთ წამოიყვანა ახალი ცხოვრების ასაშენებლად, გაუნელდა. არც ადგილი მოეწონა მაინცდამაინც. მზის გულზე დადგმული დაგლეჯილი კარვები, კოღოების განუწყვეტელი ბზუილი, პაპანაქება სიცხის ალმური. წელამდე გაშიშვლებული მუშები წერაქვებით და ნიჩბებით თხრიდნენ ვიწრო თხრილს, რომლის წარმოდგენა ისეთ საირიგაციო საშუალებად, მთელს კახეთს რომ ააყვავებდა, ძალზე ძნელდებოდა. მართალია, ულარიბესი გლეხის შვილი იყო, მაგრამ მუშაობა არ ეხერხებოდა, ფიზიკური შრომა ბავშვობიდან არ უყვარდა და ახლაც ძალიან გაუჭირდა. ბედად, ექიმმა კობიაშვილმა ბუჭუტა და დათიკო, როგორც სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტები, თანაშემწეებად აიყვანა, და ამის შემდეგ სული მოითქვეს, რადგან კობიაშვილის დავალების შესრულება არ ეძნელებოდათ, ხოლო ნასმურევი ექიმის შეგონებანი, რომ ავადმყოფს არასოდეს არ უნდა მოსთხოვო გასამრჯელო მკურნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში, პირიქით, თუ შეგიძლია, ღარიბს უნდა დაეხმარო კიდეც, მაგრამ თუ რამეს მოგიძღვნის, უარი არ უნდა უთხრაო. — ჭკუაში უჯდებოდა. კობიაშვილს უმაღლესი სამედიცინო განათლება ხარკოვში ჰქონდა მიღებული რევოლუციამდე და თუმცა ნუნუას დიდი მოყვარული გახლდათ, საკმაოდ დაკვირვებული და ყურადღებიანი მკურნალი იყო. მისგან ბევრ რამეს ისწავლიდი. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაზე გავრცელებული ავადმყოფობა, რომელთანაც აქ უხდებოდა ბრძოლა, გახლდათ ციება, უცბად რომ მოცელავდა ადამიანს, და ერთადერთი საშუალება ამ დაავადების საწინააღმდეგო — იყო ქინაქინა, რომელსაც კობიაშვილი უხვად არიგებდა მარჯვნივ და მარცხნივ. ამ საქმეს ხშირად ბუჭუტას და დათიკოს ავალებდა და ისინიც სულ მალე დაოსტატდნენ ციებიანის გამოცნობაში და მკურნალობაში. ზოგჯერ ვიღაც რაღაცას იტკენდა და აქაც ბუჭუტა და დათიკო ეწეოდნენ ექიმობას. ისინი ნელ-ნელა იწაფებოდნენ და ეს მათთვის ძალზე სასარგებლო იყო, მაგრამ თითქოს წერილი ჯერჯერობით არ ჩანდა და ბუჭუტა ისევ შეიპყრო მოუსვენრობამ, ეჭვებმა, გაურკვევლობამ, ისევ აფორიაქდა და დაჰკარგა ხალისი.

ერთ მშვენიერ დღეს, კობიაშვილმა თელავში გააგზავნა გამოლეული წამლების და მედიკამენტების ჩამოსატანად. მისცა ქაღალდი, რომელიც უნდა მიეტანა აღმასკომში, წამოახურა ნაბადი, რადგან იმ დღეს წვიმდა, და შესვა ცხენზე, რომელიც იმდენად ბებერი და მშვიდი იყო, რომ ცხენზე ჯდომაში გაუწაფავ ბუჭუტას, ალბათ, მშვიდობიანად ჩაიყვანდა თელავში. ბუჭუტა გზას გაუდგა. წვრილი წვიმა ცრიდა. უსასრულო ზვრები და სუროს ჯავშანში ჩაკრული ხეები სველი ნისლის ორთქლში გახვეულიყვნენ, ხოლო ღრუბლებით მოქურუხებული ცა წარამარა შუბლს იჭმუხნიდა და იცვლებოდა. გზა ტყეში შევიდა, სადაც ცხენის ფლოქვების კაკუნს ფოთლებიდან ჩამოცურებული წვიმის წვეთების ტკაპანი ენაცვლებოდა. უცებ, ბუჭუტამ ტყის სიღრმეში, ხეებს შორის მოლივლივე ნისლში მომავალი კაცი შეამჩნია, რომელიც ცხენოსნის დანახვაზე ქვემოთ დაეშვა და მისკენ გამოემართა. რატომღაც ბუჭუტას ამ კაცის დანახვა არ ესიამოვნა, მაგრამ რა ექნა. დაძაბულმა გააგრძელა გზა, სანამ ერთმანეთის პირისპირ არ დადგნენ. ბუჭუტამ ცხენი შეაჩერა, უცნობი ჩეკისტ ჯორჯაძეს მიამსგავსა წამით, ორიოდე კვირის წინ თელავში რომ გაიცნო, და თითქოს იმედი ჩაესახა. ისეთივე გალიფე ეცვა, ისეთივე ხალათი, მხოლოდ ჩექმები იყო ტალახში ამოგანგული და კარგა ხნის გაუპარსავი წვერით სახე დაფარული. უცნობმა ცხენს ლაგამში ხელი ჩაავლო, მაუზერი იშიშვლა და შეჰყვირა, ჩამო ცხენიდანო! ბუჭუტა უსიტყვოდ ჩამოხტა. „ეგ ნაბადი დააგდე!“ ნაბადიც დააგდო. მერე ჯიბეები მოუსინჯა, ბუჭუტას არც ფული ჰქონდა არც იარაღი. ყაჩაღმა ნაბადი მოიხურა, უნაგირის ხვანჯს მოეჭიდა. ცხენზე შეხტა და ბუჭუტას უბრძანა, აბა, გასწი აქედანო! და ბუჭუტამაც გასწია.

მიდიოდა და არ იცოდა, ზურგში დაახლიდნენ ტყვიას თუ არა. იმ წუთას არც არაფერი ესმოდა და არც არაფერს ხედავდა. თვალთ უბნელდებოდა და ეს წყვდიადი დუმილად გადაიქცა. მერე ფლოქვების თქარუნი გაიგონა. თანდათან რომ ბლაგვდებოდა, და გაბედა უკან გახედვა. უცნობი ცხენს მიაჭენებდა და მალე თვალს მიეფარა მოლანდებასავით. ბუჭუტამ შვებით ამოისუნთქა და ახლა საოცარი სისუსტე იგრძნო. უკან დაბრუნება არც უფიქრია, ისევ იმ კაცს არ გადაეყაროო და არ ეგონოს მე მომდევსო, და თუმცა თელავამდე გაცილებით უფრო შორი მანძილი იყო, წინ გასწია სულმოუთქმელად. საღამო ხანს ჩააღწია თელავში თავიდან ფეხებამდე გალუმპულმა და ღონეგამოლეულმა. იმავე საღამოს იპოვა თავისი ნათესავი გრიშა დევდარიანი და უამბო .რაც შეემთხვა.

— ეგრე როგორ გააძარცვინე თავი?

— რა მექნა? — დარცხვენით ამბობდა ბუჭუტა, მაგრამ თანდათან იბოლმებოდა, — მარტო ვიყავი, იარაღი არ მქონდა.

— აჰა, შენ იარაღი, — გრიშამ უჯრიდან პრიალა პისტოლეტი ამოიღო და გადმოუგდო, პისტოლეტს ზედ ტყვიებით გაჭედილი მჭიდეც მოაყოლა, — გქონდეს, გამოგადგება, სხვა დროს მარჯვედ დაუხვდები მომხვდურს. გახსოვდეს, კაცი არ უნდა დამარცხდე და შერცხვე შენივე თავის წინაშე, თორემ მერე, რამდენჯერაც არ უნდა გაიმარჯვო, იმ მარცხის და სირცხვილის კვალი მაინც სამუდამოდ დაგრჩება სულში და მუდამ გაგტანჯავს, რასაკვირველია, თუ კაცი ხარ და თავმოყვარეობა გაგაჩნია.

ბუჭუტამ იარაღი ჯიბეში შეინახა და თავი ჩაქინდრა. უკვე ძალიან აღიზიანებდა გრიშას შეგონებანი.

— თავს ხომ ვერ შევაკლავდი შეიარაღებულ ყაჩაღს?! — გამოსცრა კბილებში.

— მაგას ვინ ამბობს, მაგრამ ისე, მაინც გახსოვდეს, რაც გითხარი. ახლა დალაგებით მოყევი, ვინ იყო, რა კაცი იყო?

— მე რა ვიცი, ვინ იყო? აქ რომ ჩეკისტი ჯორჯაძეა, იმას ჩამოჰგავდა სახით.

— რაო? — ფეხზე წამოხტა გრიშა, — რას ამბობ, კაცო?!

— ჰო, იმას მივამსგავსე ერთბაშად...

უცებ, გრიშა ოთახიდან გავარდა, ბუჭუტა კი კიდევ უფრო დაიბნა, რადგან მან არ იცოდა, რომ იმ საღამოს, სამუშაოდ მიმავალ კომკავშირელებს რომ გადაეყარნენ ტყეში, ჩეკას უფროსის ჯაფარიძის გვერდით მომავალი ყაბალახჩამოფარებული მხედარი სწორედ გრიშა გახლდათ. შუაღამეზე ჩააღწიეს თელავში და ტუსაღები, მთელი ორმოცდაათი კაცი, ან უფრო მეტი, ვინ ითვლიდა, ვის ახსოვდა მათი რიცხვი, ერთ პატარა საკანში დაამწყვდიეს. მთელი ღამე ფეხზე იდგნენ კონსერვის კოლოფში ჩატენილი თევზებივით ერთმანეთს მიკრულნი, ნაწილი გარეთ დაყარეს, ჯაფარიძე კი გრიშას გამოეთხოვა და ღამე ნებისა უსურვა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დაიღალა, იმდენად იყო გახარებული წარმატებით დამთავრებული ოპერაციის გამო, რომ დილით მაინც ადრე გაეღვიძა, წამოდგა და სანამ ჩეკაში წავიდოდა, ჩექმები გაიპრიალა, დაიბანა, გაიპარსა, თმა ლამაზად გადაივარცხნა, რადგან სიკოხტავის მოყვარული კაცი იყო, მოხდენილი, წელწვრილი, ბეჭებგანიერი, ხუჭუჭთმიანი, კოკორულვაშიანი, თელაველ ქალებს ძლიერ მოსწონდათ, თვალი ზედ რჩებოდათ, სადმე რომ გამოჩნდებოდა, თუმცა ზოგიერთები წყევლა-კრულვას და ქოქოლას აყრიდნენ, მაგრამ ბერეტიანი კომკავშირელი გოგონები მოხიბლული იყვნენ მისი დარდიმანდული სიარულით და სითამამით, მათ შორის და არა მარტო მათ შორის, არაერთს ჰქონდა ამ კაცთან სასიყვარულო ურთიერთობა გაბმული. ქალებს მოსწონდათ ჯაფარიძე და მასაც უყვარდა ქალები, და იმ დილითაც, კოხტად ჩაცმულ-დახურული, გვერდზე მაუზერმორგებული, ჩეკასკენ მიმავალი, ქუჩაში რომ მიაბიჯებდა ამაყად ერეკლეს სასახლის გალავნის გასწვრივ, რომლის დანგრევა გულით ეწადა, ისევე როგორც მოედანზე ერთსართულიან დუქნებს შორის მდგარი ძველი ეკლესიისა, მაგრამ იცოდა ჯერ ამის დრო არ დამდგარიყო, ჯერ არ მომწიფებულიყო ეს საკითხი, — თითქოს არავის არ უყურებდა, მაგრამ ყველაფერს ამჩნევდა, რაც ირგვლივ ხდებოდა და სიამოვნებდა შემთხვევით ლამაზი ქალის მზერას თუ წააწყდებოდა. ნელი ნაბიჯით მივიდა ჩეკაში. საკანში ვერდატეული, ხელებშეკრული პატიმრები მიწაზე ეყარნენ და მათ თოფებით და ხმლებით შეიარაღებული კაზაკები ყარაულობდნენ, ჯაფარიძემ მორიგეს დაუბარა, ჯორჯაძე თუ გამოჩნდეს, ჩემთან შემოვიდესო, თავისი კაბინეტის კარი შეაღო, ფანჯარაც გამოაღო, — გარედან ზაფხულის მზით გამთბარი სურნელოვანი სუფთა ჰაერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოიჭრა, — საკუთარ საწერ მაგიდას მიუახლოვდა, მაუზერი მოიხსნა და უჯრაში ჩადო, მერე სავარძელი გამოსწია და მოხერხებულად დაჯდა, მაგიდაზე გაშლილი ქაღალდები გაშალა და კითხვას შეუდგა. ცოტა ხნის მერე, კარებზე კაკუნი გაისმა და ოთახში ჯორჯაძე შემოვიდა. ჯაფარიძე წელში გასწორდა და თვალებში ჯიქურ შეხედა შემოსულს. ამ კუშტმა მზერამ ჯორჯაძე ცოტა შეაცბუნა და გაუბედავად ჰკითხა:

— მიბარებდით?

— ჰო.

დუმილი ჩამოვარდა. სარდაფიდან, სადაც პატიმრები იყვნენ შეყრილნი, ღრიალი გაისმა. ჯაფარიძეს თვალებში სისხლი მოაწვა.

— ნახე, როგორ ბღავიან ეგ ძაღლიშვილები!

— დასახვრეტად განწირული კაცი იბღავლებს, მა, რა იქნება?! — თქვა ჯორჯაძემ.

ჯაფარიძეს სახე გაუქვავდა. მერე სკამი ცოტათი უკან გასწია, ჯორჯაძე კი ისევ მაგიდის მეორე მხარეს იდგა და ჯაფარიძე არ ეუბნებოდა, დაჯექიო.

— გუშინ, ხომ იცი, ოპერაცია წარმატებით დავამთავრეთ!

— ვიცი, ვნახე.

— ტუსაღებს შორის მამაშენიც არის! — უცებ მოჭრა ჯაფარიძემ.

ჯორჯაძე მიტკალივით გაფითრდა.

— მამაჩემი რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ ნათავადარია და კონტრრევოლუციონერი!

— მერე რა, რო ნათავადარია. მეც ნათავადარი ვარ, მაგრამ პარტიას ვემსახურები.

— დიახ, ნათავადარი ხარ, და თუ გინდა დაამტკიცო, რომ პროლეტარიატის საქმეს ერთგულად ემსახურები, შენი ხელით დახვრეტ მამაშენს!

— რას ლაპარაკობ? მამაჩემი დასახვრეტი არ არის, ეგ ერთი მოქეიფე კაცია და პოლიტიკის არაფერი გეეგება.

— თუ არაფერი გაეგება, მაშინ ქაქუცას შიკრიკი რად შეიფარა სახლში?

— რომელი შიკრიკი?

— რომელი და სულხანიშვილი?

— ეგ ჩვენი ნათესავია, მამაჩემმა არც მაგის შიკრიკობა იცის და არც არაფერი. კაცი ესტუმრა და ღამე გაათევინა.

— ესე იგი, კლასობრივ მტერს იცავ?

— მე მამაჩემს ვიცავ! — სიმწრისაგან თვალზე ცრემლმომდგარი ჯორჯაძე გაცოფებით შესცქეროდა ჯაფარიძის გესლიანად გაღიმებულ სახეს.

— მამაშენი მტერია! ჩვენი საქმის მოწინააღმდეგეა! თუ შენც მტერი არა ხარ, დახვრეტ მამაშენს, თუ არა, მასთან ერთად დაიხვრიტები! — მაგიდას ხელი დაჰკრა ჯაფარიძემ, უჯრა გამოსწია, თითქმის გამოგლიჯა მაგიდას, მაუზერი ამოიღო და წინ დაუდო თავის ქვეშევრდომს. წამით ისევ დუმილი ჩამოვარდა და ამ დუმილში ისინი ერთმანეთს უყურებდნენ თითქმის დაუფარავი სიძულვილით. მერე ჯორჯაძემ მაუზერი აიღო. ხელები უცახცახებდა, უცბად, ელვის სისწრაფით გახსნა ბუდე, იარაღი მსწრაფლ ამოაძრო და პირდაპირ შუბლში მიუშვა მაგიდის იქით უკვე მიმხვდარ, ნახევრად წამომდგარ ჯაფარიძეს. მყისვე ფანჯარასთან გაჩნდა და ეზოში ისკუპა. დერეფანში მყოფ კაზაკებს ესმოდათ ხმამაღალი ლაპარაკი ჯაფარიძის კაბინეტიდან, მაგრამ როცა სროლის ხმა გაიგონეს, კარი შეალეს და დაინახეს მაგიდაზე გაშხლართული, საკუთარი სისხლის გუბეში თავჩარგული, შუბლგახვრეტილი ჩეკას უფროსი.

კაზაკები კარში გამოცვივდნენ და პატიმრებზე იყარეს ჯავრი. თითქმის ყველა ხმლებით აკუწეს და სისხლიან სასაკლაოდ აქციეს თელავის ჩეკას ეზო.

15.

ყოველივე ეს, ბუჭუტამ მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო გრიშასაგან. გრიშა დილით დაბრუნდა და არაქათგამოცლილი ლოგინზე მიეგდო. მთელი ღამე ცხენოსანი ჩეკისტები, თურმე, ჯორჯა-

ძეს დაეძებდნენ იმ ავადსახსენებელ ტყეში და ახლომახლო სოფლებში.

— მერე რა ქენით, მიაგენით კვალს? — ჰკითხა ბუჩუტამ.

— ვერა, წაგვივიდა ხელიდან, — მიუგო გრიშამ.

ბუჩუტამ შვებით ამოისუნთქა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი დამცირება განიცადა ჯორჯაძისგან, სულაც არ უნდოდა, თვითონ ყოფილიყო ამ კაცის დაღუპვის მიზეზი. „ისე, მე რა შუაში ვარ, რაც შემემთხვა, ის მოვყევიო“, გაიფიქრა, მაგრამ გული მაინც ეთანაღრებოდა.

კარში გამოსულს კაშკაშა, მზიანი დილა შემოეგება, თითქოს გუშინ სულ არ ეწვიმოს. ჯერ კიდევ სველი, გაპრიალებული წითელი კრამიტით გადახურული პატარა ქალაქის სულის დამამშვიდებელი სიმყუდროვე, მამლების ყივილით აღელვებული, უხილავ ნაკადად მიედინებოდა თეთრი ღრუბლებით მხრებდამძიმებული შორეული ლურჯი მთებისკენ, შეუვალ ძალას რომ სძენდნენ მათ ფეხქვეშ გაშლილ ბარაქიან ველს და მთელ ამ მხარეს. ბუჩუტას გუნება გამოუხალისდა. კობიაშვილის გამოტანებული ქაღალდი ალმასკომში მიიტანა, იქ ამ ქაღალდს კიდევ ერთი ქაღალდი დაუმატეს და აფთიაქში გაისტუმრეს. აფთიაქში კობიაშვილისთვის საჭირო წამლებისა და მედიკამენტების ნახევარიც კი არ მოეპოვებოდათ, მაგრამ რაც ჰქონდათ, — გამოატანეს. საკმაოდ მოზრდილი ფუთა ბუჩუტამ სავლე ტომარაში ჩატენა და მხარზე ტომარაგადაკიდებული ისევ თელავის მთავარ ქუჩაზე გამოვიდა. ბულაურებიანი ძველი სახლის აივანზე ხილაბანდით თავწაკრულმა ახალგაზრდა შავგვრემანმა ქალმა წითელი საბანი გადმოფინა. ბუჩუტამ წამით იმ ლამაზ ქალს ახედა და გაიფიქრა, ნეტავ ვინ ბედნიერს ეფარა წუხელის ეს საბანი ამ ქალთან ერთადო? ქალმა ბუჩუტას თვალი მოარიდა, თითქოს ფიქრს მიუხვდა, ვიღაცას რაღაცა გასძახა და ოთახში გაუჩინარდა. მისმა ტკბილმა ხმამ ბუჩუტას თიკო მოაგონა, თიკოს მოგონებაზე კი უეცარმა სირცხვილმა [illegible]ნი და ნაბადი რომ წაართვეს. წინააღმდეგობის გაწევა გუშინ აზრად არ მოსვლია, მაგრამ ახლა, როცა საშიშროება ჩავლილი იყო, ლაჩრად იგრძნო თავი, ასე უსიტყვოდ რომ დამორჩილდა მოძალადეს, სულ რომ არ აღმოაჩნდა თავის დაცვის უნარი. ზიზღით განიმსჭვალა ჯორჯაძის მიმართ, თითქოს სულში ჩააფურთხეს, შეურაცხყვეს, გათელეს მისი თავმოყვარეობა, და ბრაზი მოერია გრიშაზეც. თანაგრძნობის მაგიერ გაქილიკება რომ მოუნდომა. იქნებ, არ უნდა შეეჩერებინა ცხენი, ან იარაღში უნდა სწვდომოდა. ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ გმირად გამოჩნდებოდა, ეხლა კი, მისი გაძარცვის ამბავი თიკოს რომ გაეგო, სამუდამოდ მოეჭრებოდა თავი და ბუჩუტა შეწუხდა, გუნება ისევ აემღვრა, განწყობა ისევ დაუმძიმდა და უსიამოვნო ფიქრებში გართულმა ფოსტის შენობას ჩაუარა. ყოველშემთხვევისთვის შეიარა და ჩემს სახელზე წერილი ხომ არ არიო, იკითხა. თელავში რომ გამოგზავნა კობიაშვილმა, უპირველეს ყოვლისა ის უხაროდა, რომ ფოსტაში მივიდოდა და წერილის ამბავს გაიგებდა, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ მოლოდინი განელებოდა, სასიამოვნოსაც არაფერს ელოდა. ამიტომ, როცა ბორჯომიდან გამოგზავნილი ბარათი გადასცეს, პირველად გაუკვირდა კიდეც, თუმცა მყისვე იცნო თიკოს ხელწერა, მერე ერთბაშად აღელდა, ფოსტიდან გამოვიდა და ხეივანს მიაშურა. ერეკლეს სასახლის გალავნის ძირში მყუდრო ადგილი შეარჩია, სკამზე ჩამოჯდა და ათრთოლებული თითებით კონვერტი გახსნა. წერილი სულმოუთქმელად ჩაიკითხა და თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, იმედი გაუცრუვდა. თიკო საკმაოდ მხიარული კილოთი ატყობინებდა, თუ როგორ ატარებდა დროს ბორჯომში, ვინ იყო აქ დასასვენებლად ჩამოსული, და საერთოდ რა ხდებოდა კურორტზე. ეს იყო და ეს. არცერთი სიტყვა ბუჩუტას

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილზე და არც პასუხი ბუჭუტას გრძნობაზე, თითქოს ის უსტარი ჩვეულებრივი მოკითხვის ბარათი ყოფილიყო. ნუთუ ჩემი წერილი არ მიუღიაო, გაიფიქრა ბუჭუტამ და იმ დღეს გულდამძიმებული დაბრუნდა უკან, მშენებლობაზე. აქ ისევ ჩაება შრომის ფერხულში და სასიყვარულო მღელვარებანი ოდნავ გაუნელდა, თუმცა ერთხელ კიდევ სცადა წერილის დაწერა, მაგრამ ის გზნება, რომელმაც პირველი წერილის შეთხზვისას შეუძლებელი შეაძლებინა, ყველაზე სანუკვარი სიტყვები აპოვნინა და მისი სიყვარული ლოცვასავით წარმოაჩინა, უკვე მინავლებულიყო. ახალი უსტარი აღარ გამოუვიდა, დახია და გადაყარა, წყალს გაატანა, და მერე, მთელი ის ზაფხული, არხის მშენებლობაში ჩართულმა, კოლოების განუწყვეტელი ბზუილით გაბეზრებულმა, გაურკვეველი ორჭოფა განწყობით გაატარა.

ასეთივე განწყობით დაბრუნდა თბილისში სექტემბრის დამდეგს, დაღლილი, გამხდარი, შეჭირვებული, და როგორც კი შეხვდა თიკოს უნივერსიტეტში, მყისვე მიხვდა, ამ ქალიშვილში რაღაც გარდატეხა მომხდარიყო. უცნაური სიუცხოვე იგრძნო, ისე ჩვეულებრივად, ბუჭუტას აზრით კი ცივად, გულგრილად შეეგება იგი მეგობარს. ბუჭუტასთან განმარტოება არც უცდია. პირიქით, მთელი თვის განმავლობაში მოხერხებულად ერიდებოდა, სულ თავის დაქალებში და ბორჯომში გაცნობილ ყმაწვილებში ტრიალებდა, თითქოს სულ დაჰკარგვოდა ბუჭუტასადმი ინტერესი, წინათ რომ ასე აშკარად ავლენდა. ბუჭუტას მეტისმეტად აღიზიანებდა თიკოს მოპყრობა, ეს აშკარა უგულვებელყოფა, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა, რაში იყო საქმე, და ერთხელ ველარ მოითმინა, უნივერსიტეტიდან მომავალ თიკოს წამოეწია, მკლავში ხელი გამოსდო და ჩუმად ჰკითხა, ჩემი წერილი თუ მიიღე ბორჯომშიო. თიკოს მეგობრებმა ყური ცქვიტეს.

— როგორ არა, მივიღე, გმადლობთ!

— მერე?

— რა მერე?

— არაფერი გაქვს სათქმელი?

— შამშე, ეხლა მაგის დრო არ არის, მერე გეტყვი.

ბუჭუტამ თიკოს ხელი გაუშვა, აქეთ საქმე მაქვსო და ერთ ვიწრო ქუჩაში შეუხვია. სირცხვილისაგან აცახცახებდა, იქნებ ჩვენს შორის არაფერია და არც ყოფილა უბრალო ამხანაგობის გარდაო. მწარედ ნანობდა თავის დაუფიქრებელ საქციელს, ნაადრევად რომ გამოამჟღავნა გულის ნადები, რა ჩემი საქმე იყო წერილების წერაო. ერთხანს იდგა ბნელ ქუჩაში, მერე გაიფიქრა, თიკო უკვე საკმაოდ შორს იქნება დაწინაურებულიო, უკან დაბრუნდა და ნელი ნაბიჯით გააგრძელა გზა. ზემელზე ისევ წამოეწია თიკოს, თავის ორ მეგობარ ქალიშვილთან ერთად იდგა და ვიღაც ახალგაზრდა კაცს ელაპარაკებოდა. ბუჭუტამ მოახერხა შეუმჩნევლად გარიდებოდა მათ, ვერის დაღმართს დაუყვა, ფეხით იარა პლეხანოვზე, სადგურის ქუჩაზე, და კარგად რომ დაღამდა, საკმაოდ დაღლილი დაბრუნდა შინ. ოთახში გრიშა დახვდა.

— როდის ჩამოხვედი? — გაუხარდა ბუჭუტას გრიშას დანახვა.

— ამ დილით!

— ჯორჯაძის საქმე როგორ დამთავრდა?

— დავიჭირეთ და დავხვრიტეთ, მაშ, სად წაგვივიდოდა?

ბუჭუტა დაღონდა. წამით ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს თვითონ ედო ბრალი ამ კაცის დაღუპვაში, მაგრამ არც ის უნდოდა გრიშას შეემჩნია მისი მოწყენა.

— მამამისიც დახვრიტეთ?

— მაშ, რას ვიზამდით?

— შენ როგორ ხარ? — ჰკითხა მერე ღიმილით.

— მე არა მიშავს, მაგრამ შემიძლია შენც გაგახარო! — გაუღიმა გრიშამაც.

ბუჭუტა ლოგინზე ჩამოჯდა.

— რით?

— ამ დილით ჩეკაში შევიარე, მერე ალმასკომში და შემთხვევით შევიტყე, რომ ვერაზე ბინა თავისუფლდება, ერთი პატარა ოთახი. უფრო სწორად, უკვე განთავისუფლდა ეს ოთახი. ვთხოვე, ვისაც ჯერ არის, ეგ ბინა შენ მოგაკუთვნონ, როგორც უღარიბესი გლეხის შვილს, მოწინავე კომკავშირელს და სტუდენტს.

— მერე? — სუნთქვა შეეკრა ბუჭუტას.

— ხვალ უნდა მიხვიდე ალმასკომში, იკითხე ამხანაგი ვირიცხონაშვილი და ის გეტყვის პასუხს. მე მგონი, ეს საკითხი შენს სასარგებლოდ გადაწყდება, მაგრამ თუ ვინიცობაა რამემ ხელი შეგიშალა, იასე ნიგურიანს თხოვე დახმარება. მე ხვალ უთენია უკან ვბრუნდები. თუ ეს საქმე გამოვიდა, გექნება ჭერი თბილისში, უფრო თავისუფლად იგრძნობ თავს.

სიხარულისგან ბუჭუტას სუნთქვა შეეკრა. ეს ისეთი მოულოდნელი ბედნიერება იყო, წარმოდგენაც უჭირდა და თუმცა ჯერ არ იყო საქმე გადაწყვეტილი და არც არავინ იცოდა, როდის და როგორ გადაწყდებოდა, თავი უკვე მობინადრედ წარმოიდგინა, ქალაქ თბილისის მკვიდრად, საკუთარი ოთხკედელის პატრონად, რომელსაც ჭერი იცავს, ოთახის მფლობელად, რომელშიც, როცა უნდოდა შევიდოდა, როცა უნდოდა გამოვიდოდა, კარს დაკეტავდა და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებდა. ეს იყო თითქმის დაუჯერებელი წარმატება.

— გრიშა...

— ჯერ არაფერი არაა ცნობილი, — გააწყვეტინა გრიშამ, — თუ ეს საქმე გამოვიდა, მადლობა მერე მითხარი. ჩააქრე სინათლე, დილას ადრე ვარ ასადგომი, — და კედლისკენ გადაბრუნდა.

ბუჭუტაც დაწვა დასაძინებლად. მეორე დილით ადრე გამოეღვიძა, მაგრამ გრიშა უკვე წასული დახვდა. მისი ლოგინი წესიერად იყო დალაგებული. რაც არ უნდა საჩქარო საქმე ჰქონოდა, ლოგინის დალაგება გრიშას არ ავიწყდებოდა. ეზოდან ბეღურების ჟღურტული ისმოდა, ფანჯარაში ფოთლე[illegible]ბული ხის ტოტი მოჩანდა. [illegible]ხანს იწვა და ოცნებობდა თავის მომავალ ოთახზე, რომელიც ლამაზი სახლის მესამე სართულზე წარმოედგინა დიდი, ფართო ფანჯრით, ძირს გაშლილ ქალაქს რომ გადმოსცქეროდა. დარწმუნებული იყო, ის ოთახი იქნებოდა ნათელი, სუფთა და აქ მას საშუალება ექნებოდა თიკოსთან ერთად ემეცადინა, ხოლო მეცადინეობის შემდეგ გამასპინძლებოდა, როგორც თვითონ მას უმასპინძლდებოდნენ საუზმით თიკოს ოჯახში. უკანასკნელად მოავლო თვალი ფიცრულ სოროს, სადაც ახლა იმყოფებოდა. რკინის ორი ვიწრო ლოგინი ძლივს ეტეოდა აქ, ძველი გაზეთებით და ყვავილებით მოხატულ, ზოგან ჩამოგლეჯილ შპალერაკრულ კედლებიდან ოჯახის მახლობელთა სურათები იმზირებოდნენ, კართან საკიდარი იყო მიმაგრებული და ზედ ბუჭუტას გაცრეცილი პალტო და პიჯაკი ეკიდა. კიდევ კარგი, აღარ მომიწევს აქ ცხოვრებაო, გაიფიქრა ბუჭუტამ და უცებ მიხვდა, ძალიან ღრმად შეტოპა ოცნებაში, წინასწარ დაიჯერა ის, რაც ჯერ არ მომხდარიყო. თავის თავზე გაეცინა, წამოდგა, სასწრაფოდ ჩაიცვა, დაიბანა და ქუჩაში გამოვიდა. საკმაოდ ღელავდა ალმასკომისკენ მიმავალი. ადვილი შესაძლებელი იყო, ამ საქმიდან არაფერი გამოსულიყო და ენანებოდა თავისი წელანდელი ნაოცნებარის მიტოვება.

ალმასკომში ვირიცხონაშვილი იკითხა. მიასწავლეს მისი ოთახი. ვიწრო, ბნელ დერეფნებში დახუთული ჰაერი იდგა, რადგან იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ყველას რაღაც უჭირდა, ყველას რაღაც ჰქონდა სათხოვარი. მაგიდები და კარადები მტვრიანი საქაღალდეებით იყო დატენილი. ამდენი შეწუხებული ადამიანის დანახვაზე, ბუჭუტას გუნება წაუხდა, იმედი დაკარგა, რომ საქმე კარგად წარიმართებოდა. ვირიცხონაშვილიც არ აღმოჩნდა ადგილზე, მაგრამ მალე მოვაო, უთხრეს, და

ბუჭუტა ისევ ქუჩაში გამოვიდა. დროის გასაყვანად ვიტრინებს დაუწყო თვალიერება. მზემ გამოანათა და ჩამოცხა. კარგა ხანს იყიალა. პლეხანოვის პროსპექტზე თავის თანაკურსელს არჩილ ლაშხს მოკრა თვალი, რომელიც კარიატიდებით დამშვენებულ, ერთი მაღალი, ლამაზი სახლის სადარბაზოსთან ვიღაც ტანდაბალ, თბილად ჩაცმულ მოხუცებულს ელაპარაკებოდა. ამ საუბარს კიდევ რამდენიმე კაცი უგდებდა ყურს. ბუჭუტამ არჩილს მიაშურა. არჩილი თბილისელი რკინიგზელის შვილი იყო, შავგვრემანი, ჯმუხი, სანდომიანი ყმაწვილი, წვრილი ულვაშით, ლოყაზე ხალით, გაღიმებისას, ტუჩის კუთხეში ოქროს კბილი უბზინავდა. მყისვე გაუღიმა ბუჭუტას და ხელი გამოუწოდა.

— საით?

— ალმასკომში საქმე მქონდა. შენ აქ რას აკეთებ?

— ადამოვს ვესაუბრები, — და თავი მოხუცისკენ მიაბრუნა. ბუჭუტამ ნიაზით შეხედა ადამოვს. სანდომიანმა მოხუცმა, თბილი კრაველის ქუდი რომ ეხურა, თეთრ წვერულვაშზე გადაისვა ხელი, ძველებური პენსნე გაისწორა და ბუჭუტას გულთბილად გაუღიმა. ბუჭუტამაც თავი დაუკრა.

— ვინ არის ეს კაცი? — ჩუმად ჰკითხა ამხანაგს.

— ყოფილი მილიონერია. ეს სახლი მაგის საკუთრება იყო. ეზოში საკუთარი ელექტროსადგური ჰქონდა. ინგლისის ბანკში ინახავდა ფულს. რევოლუციის შემდეგ ყველაფერი ჩამოართვეს. ახლა ქუჩაში დგას ხოლმე და ძველ ამბებს ყვება. ყური დაუგდე! — უთხრა არჩილმა და ადამოვს მიუბრუნდა: — მერე რა მოხდა?

— ეს იყო ცხრაას ცამეტ წელს, პეტერბურგში, ინგლისურ კლუბში ვთამაშობთ პოკერს, თან შამპანურს ვსვამთ, ხიზილალას და ბაქშტეინის ყველს შევექცევით. გავიხედე სამი ტუზი მომივიდა. ანდრეევსკიმ გახსნა თამაში. გავასამე. ორი კარტი ვიყიდე. რას ვხედავ? კიდევ ერთი ტუზი მომივიდა. გოლიცინმაც ორი კარტი იყიდა. ანდრეევსკიმ სერვი გამოაცხადა, [illegible]სი დაუმატა. ოცი! შევძახე მე. გოლიცინმა ოცდაათამდე გაზარდა თამაში. ანდრეევსკი შეშინდა და ქალალდი დაყარა. მე გადავუხადე და... ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება: მე ტუზების კარე მიჭირავს ხელში, გოლიცინს — ფლეში. პირწმინდათ წავაგე. ჭიქა შამპანური შევსვი და ინგლისის ბანკში დეპეშა ვაფრინე. ერთ საათში ასი ათასი ხელთ მქონდა. ხედავთ, როგორ მუშაობდა ფოსტა? დილამდე განვაგრძეთ თამაში...

— შენ ამას უყურე, ერთი... — ჩაიცინა ერთერთმა მსმენელმა.

ბუჭუტამ და არჩილმა გზა ერთად განაგრძეს. ყოფილ მილიონერ ადამოვზე, უნივერსიტეტის საქმეებზე და ამხანაგებზე ილაპარაკეს. არჩილი ნათესავთან მიდიოდა.

— წელან თიკო შემხვდა, კოხტა კახიანს მოყვებოდა.

— კოხტა კახიანს?

— რა იყო, რა გაგიკვირდა?

— არაფერი, ისე, — თქვა ბუჭუტამ, თუმცა მართლაც ძალიან გაუკვირდა, რომ თიკო და კოხტა კახიანი ერთად მიდიოდნენ სადღაც. რა საქმე აქვს თიკოს კოხტასთანო, გაიფიქრა მან, როცა არჩილს დაშორდა და შარტო დარჩენილს ეჭვიანობის ისრებმა გული დაუცხრილა. თითქოს თიკოს უფლება არ ჰქონდა ბუჭუტას გარდა სხვა ყმაწვილთან გაევლო. ცხადია, ჰქონდა, ვინ დაუშლიდა, და უცებ, ბუჭუტა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ სულაც არ იყო მისი ურთიერთობა თიკოსთან ისე მყარი და გამორკვეული, როგორც თვითონ ეგონა წინათ. არც შეყვარებულები იყვნენ და აღარც ამხანაგები, თითქმის უცხოები ხდებოდნენ,და ეჭვიანობამ კვლავ დაუგესლა გული, რადგან წარმოიდგინა კოხტა კახიანი, ეს თავზეხელაღებული და უტეხი ჭაბუკი, აქტიური კომკავშირელი, იარაღით ხელში რომ იბრძოდა საბჭოთა წყობილების დასამყარებლად ქუთაისის გუბერნიაში.

წარმოშობით იქაური იყო, მაგრამ აგვისტოს გამოსვლების დროს, კახეთში ებრძოდა აჯანყებულებს და ამბობდნენ, ვიღაც გლეხის ბიჭი საკუთარი ხელით განგმირა ჩვეულებრივი ფიწლით, ლალატისთვისო. ეს ასე მომხდარა: ერთ-ერთი მონაწილე აჯანყებისა, გვარად მაყაშვილი, კოხტას ჯგუფს ხელში ჩაუგდია და გომურში დაუმწყვდევიათ, თან ერთი ადგილობრივი გლეხის ბიჭისთვის დაუვალებიათ მისი დარაჯობა, რაზმი კი სხვა აჯანყებულებს დასდევნებია. ის მაყაშვილი და მისი დარაჯი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ თურმე, რაკი თანასოფლელები იყვნენ. რად გინდა, ბიჭო, ჩემი ცოდო რომ დაიდო, ხომ იცი მომკლავენ, გამიშვი და თქვი გამექცა, ან გამეპარათქო, შენ გლეხი კაცი ხარ, არაფერს გეტყვიანო. იმ ბიჭს შებრალებია მეზობელი და მართლაც ასე მოქცეულა. როცა კოხტა თავისი რაზმით უკან დაბრუნებულა და აჯანყების ერთერთი მოთავე გომურში აღარ დახვედრია, ფიწალი აულია და ორჯერ ჩასცა თურმე, მუცელში იმ უბედურ დარაჯს, უნებლიე მტერს. ამბობდნენ, ზედ გომურის კარზე მიალურსმნაო. კოხტა მართლაც იყო ამის ჩამდენი, ბუჭუტას ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ეს ზორბა ვაჟკაცი, მხარბეჭიანი, ბრგე, მუდამ არწივივით აბრიალებდა თვალებს ხმაც ისეთი მკვეთრი და ხაფი ჰქონდა, შიშის ზარს დაგცემდა. რა საერთო ჰქონდა ასეთ კაცთან თიკოს? ფიქრობდა ბუჭუტა და სულ უფრო და უფრო წყდებოდა გული. გულდამძიმებული მივიდა ისევ აღმასკომში და ამჯერად იქ დახვდა ვირიცხონაშვილი. ბინის მიღების სიხარული იმდენად განელებოდა, რომ როცა მელოტმა და ოთხკუთხათავიანმა ვირიცხონაშვილმა გულგრილად მიიღო და გრძელი სია ჩამოუწერა აღმასკომში მისატანი საბუთებისა, უსიტყვოდ გამოართვა ქაღალდი და უხალისოდ გამობრუნდა, რადგან მისი ალტყინება, ამ დილით ნეტარ ოცნებებს რომ ულვიძებდა, არჩილის უწყინარმა ცნობამ უკვალოდ გააქრო.

მიუხედავად ამისა, მაინც შეუდგა საქმეს. მთელი კვირა მოუნდა საბუთების შეგროვებას და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი თიკოს ლექციებზე. არც კი გამოლაპარაკებია, არც დაუცადა, როგორც წინათ აკეთებდა ხოლმე, კოხტამ გააცილოს სახლამდეო, გაიფიქრა ბოლმით, სულელური ნიშნისმოგებით, და ამას თვითონვე გრძნობდა. მერე გადაწყვიტა, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ჩემს წერილს უკან გამოვართმევ და თიკოსთან ყოველგვარ ურთიერთობას დავამთავრებო.

როგორც იქნა, მიიტანა საბუთები აღმასკომში და გაუცინარმა ადამიანმა ვირიცხონაშვილმა ბინის ორდერი გამოუწერა. თან მიულოცა, აბა, თქვენ იცით, ყმაწვილო და ბუჭუტამ შეამჩნია, რომ ეს კაცი, რომელიც აქამდე კანცელარიის მექანიკური დანამატი ეგონა, სულიერი იყო. მადლობა გადაუხადა და ქაღალდი გამოართვა. იმ დღესვე მივიდა სახლმმართველთან და ჩააბარა ორდერი. მმართველი შუახნის კაცი იყო, ტყავის პალტო ეცვა. მან დიდხანს ათვალიერა ქაღალდი, ბუჭუტასაც რამდენჯერმე ახედ-ჩახედა თითქოს თვალში არ მოუვიდაო. ბუჭუტა ძლივს-ძლივს მიხვდა, რომ ამ კაცს კითხვა უჭირდა და ამიტომ ჩაჰკირკიტებდა ასეთი დაჟინებით ბუჭუტას მოტანილ საბუთს. მერე იგი წამოდგა უკმაყოფილო სახით, მაგიდის უჯრიდან დიდი გასაღები ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო, ოთახიდან გამოვიდა და წარუძღვა ბუჭუტას ხეებით დაჩრდილულ ვიწრო ქუჩების აღმართებში. თითქმის მთელი ვერის უბანი აიარეს და ულამაზო სამსართულიანი სახლის წინ შეჩერდნენ. ტროტუარის კიდეზე ახალგაზრდა ცაცხვის ხეები აშრიალებდა. ალაყაფში შეუხვიეს, ბნელ კიბეს ჩაყვნენ და დალუქული სარდაფის კარს მიადგნენ.

— აქ არის? — იკითხა, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა ბუჭუტამ.

— ჰო, ეს არი, — უპასუხა ტყავისპალტოიანმა, ლუქი აძრო, ჯიბიდან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალები ამოიღო და კარზე დაკიდულ მძიმე ბოქლომს წვალება დაუწყო. ეზოში მყოფი მეზობლები მდუმარედ შესცქეროდნენ მათ საქმიანობას. არცერთი არ გამოლაპარაკებიათ, არცერთს არ უკითხავს, ვინა ხართ, რა გინდათო. ბოლოს ტყავის პალტოიანმა კარი გააღო და მეზობლებს შესძახა, ეს ყმაწვილი თქვენი მობინადრე იქნებაო. ამჯერადაც არავის გაუღია ხმა, ყველამ თავის სოროს მიაშურა.

ბუჰუტა სარდაფში ჩავიდა. ტალანში ნესტის სუნი იდგა. კედელთან თაგვმა გაიფხაკუნა. ერთ კუთხეში ძველი ავეჯი და საოჯახო ნივთები იყო დახვავებული.

— ამეებს ხელი არ ახლო, ხვალზეით კაცს გამოვგზავნი და წავაღებინებ! — უთხრა ტყავისპალტოიანმა და მერე ნახევრად ბნელი ოთახის კარი შეაღო. დაგუბული ჰაერის მძიმე სუნმა ყნოსვა გაულიზიანა ბუჰუტას. ერთადერთი ფანჯარა ტროტუარზე ქვემოთ იყო გაჭრილი მიწაში. ოთახი ცარიელი იყო. მხოლოდ ერთი აყირავებული ტახტი მიეგდოთ კუთხეში. იქვე რაღაც გაყვითლებული რვეულიც გაშლილიყო იატაკზე. ბუჰუტა დაიხარა და აიღო. „ლექსო ივანიძე, ლექსები“ — ეწერა ყდაზე. ბუჰუტამ რვეული გადაფურცლა.

— წავედი. აი, ეს გასაღები გამომართვი. ჰოდა შენ იცი! — უთხრა ტყავისპალტოიანმა.

— ვინ ცხოვრობდა ამ ბინაში? — ჰკითხა ბუჰუტამ.

— იყო ერთი, — აგდებულად უპასუხა ტყავისპალტოიანმა.

16.

მანქანიდან რომ ჩამოვიდა, ლექსო მგლოვიარეს გუნებაზე დადგა. იგი მიხვდა, რომ ამიერიდან ველარასოდეს იხილავდა ელეონორას, ველარ გაიგონებდა მის ხმას, ველარასოდეს დაელაპარაკებოდა და ქვეყანა უმისოდ ისეთი ცარიელი, ულამაზო და უნუგეშო მოეჩვენა, რომ ლამის ტირილი მოუნდა. ერთხანს გაშტერებული იდგა და გასცქეროდა მანქანას, თან რომ მიჰქონდა მისი ყველაზე სანუკვარი ოცნება და ულამაზესი ზმანება. ეს ქალი თითქოს ციურ არსებად ქცეულიყო, სილამაზის, სინაზის, სითბოს და სიყვარულის მიწიერ გამოსხივებად და როგორც ბრჭყვიალა ათინათი, როგორც ხელუხლები ფერია სამუდამოდ ქრებოდა ახლა მის თვალწინ. მანქანა კუთხის სახლს მიეფარა და ლექსომ შუბლზე მოისვა ხელი. ცოტათი გამოერკვა. მართლაც არ ღირდა მიწისაგან ასე მოწყვეტა, ყოველდღიურობის ასე დავიწყება. ყველა ქალი, მაინც ქალია, ლამაზიც და ულამაზოც, თავისი მოუსვენარი ბუნებით და დამიწებული სურვილებით. ფერდობზე შეფენილი ერთერთი სახლიდან დუდუკის ღუღუნი ისმოდა და თბილი საღამო, თავბრუდამხვევი და მომთენთავი, ალღობდა გულში ჩამდგარ ყინულს, ცრემლად რომ მოედინებოდა იმის თვალთაგან. ვინმემ არ შემამჩნიოსო, გაიფიქრა ლექსომ, ხელისგულით თვალები ამოიწმინდა და დაუყვა დაღმართს ქვემოთ, სინამდვილისკენ.

მან არ იცოდა კიდევ უყვარდა თუ სძულდა მშობლიური ქალაქი, მაგრამ იცოდა, რომ ამ ქალაქის ეშინოდა. იმდენი სიმწარე ნახა, რომ აღარავის ენდობოდა, ან როგორ მინდობოდა ამ ქალაქში თავმოყრილ ხალხს, სხვადასხვა სივრცეებიდან, სხვადასხვა გარემოებებიდან, სხვადასხვა ტრადიციებიდან, სხვადასხვა ტომებიდან, სხვადასხვა ინტერესებით აქ მოსულთ და დამკვიდრებულთ, და თავისი განსხვავებულობის გამო თავისდაუნებურად ერთიანი სულისა და ჩამოყალიბებული ფორმის მნგრეველთ. უსახურად და მეტისმეტად ჭრელად ეჩვენებოდა დღევანდელი საქართველოს დედაქალაქი და თვით საქართველოს ბედიც განწირულად მიაჩნდა, თუ არ აღსდგებოდა ოდინდელი ნერგი ეროვნული თავისუფლებისა. არადა, ცხადი იყო, ეს ნერგი კარგა ხანს ველარ აღსდგებოდა, ქართველი ხალხი ისევ სხვა ხალხს ჰყავდა მორჩილებაში

და ილუპებოდა, როგორც ძველი სამყარო და მისი ცივილიზაცია, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, თავის ნანგრევებში რომ იყოლებდა მისივე შექმნილ მორალს და ზნეობას და გზას აძლევდა განთავისუფლებულ ინსტინქტებს, მხოლოდ ძველის ნგრევისა და განადგურებისაკენ რომ მიისწრაფოდნენ. და ვიდრე ცხოვრების ამღვრეული დინება დაიწმინდებოდა, თუკი მას ოდესმე ეწერა ახალ კალაპოტში ჩადგომა, კიდევ ბევრი ფასეულობა განადგურდებოდა, კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრებოდა, კიდევ ბევრი, აქამდე უცნობი საშინელება იჩენდა თავს, და ყოველივე ეს აშინებდა ლექსოს, რადგან გრძნობდა, დიდი გარდატეხები და ცვლილებები იყო მოსალოდნელი ქვეყანაზე და ახალი სიო, ქარბორბალასავით რომ ტრიალებდა, სულ უფრო და უფრო ამყიფებდა ადამიანის ისედაც არამყარ არსებობას. ეს შიში შარშანდელს მერე აღარ შორდებოდა და ახლაც, ქუჩაში მიმავალი ზაფხულის იმ უკანასკნელ საღამოს, კოჯრიდან ჩამოსული, გონების თვალით ისევ იქ იყო, სადალაქოში გასაპარსავად შესული, შარშანდელი შემოდგომის ერთ მშვენიერ თბილ და მზიან დღეს. სანამ ლექსო იპარსებოდა, სადალაქოში ვიღაც ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, კუთხეში დაჯდა, გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო, დალაქი კი წინა დღის დოლის ამბებს უყვებოდა. როცა ლექსო პარსვას მორჩა და წამოდგა, კუთხეში მჯდარმაც დაკეცა გაზეთი და წამოდგა, მაგრამ განთავისუფლებული სავარძლისაკენ კი არ გაემართა, ქუჩაში გამოსულ ლექსოს გამოყვა და დაუძახა. ლექსო ამ კაცს არ იცნობდა და გაკვირვებით შეხედა მის მოღიმარ სახეს, ახალ კოსტუმს და ლამაზ ჰალსტუკს, მან კი მეტისმეტი თავაზიანობით უთხრა, ლექსო, ცოტა ხნით ჩეკაში უნდა წამომყვე, პატარა საქმე გვაქვსო, და საბუთი უჩვენა. ლექსო გაყვა. ჩეკისტმა გააფრთხილა, გზაში არავის გაუჩერდე და გამოელაპარაკოო. ფეხით გაიარეს ვერის და მთაწმინდის მყუდრო ქუჩები დ გამვლელთაგან არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ [illegible] ახალგაზრდიდან, ერთი-მეორეს დაპატიმრებული ჰყავდა. ლექსოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გიორგი ყანჩელი დაიჭირეს, შეიძლება შოთა წულუკიძეც ზედ მიაყოლეს და მასაც ან დაჭერას უპირებდნენ, ან უკეთეს შემთხვევაში, დაკითხვას, დაპირისპირებას, თუმცა უფრო დაპატიმრება იყო მოსალოდნელი. თავჩაღუნული მიდიოდა და ფიქრობდა, რა ხერხი აერჩია დაკითხვისას, მაგრამ წინასწარ ამის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, რადგან ჯერ ხომ წარმოდგენა არა ჰქონდა რას ჰკითხავდნენ?! გაქცევაზეც იფიქრა, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, იმ წუთში ესროდა ჩეკისტი. გულდამძიმებული ლექსო დამნაშავესავით თავჩაღუნული შევიდა ჩეკას შენობაში. ახალგაზრდა ჩეკისტმა დახლართულ დერეფანში ატარა და მერე ერთ ვიწრო ტალანში სკამზე დასვა, აქ დაიცადეო, ფეხი არ მოიცვალოო, თვითონ კი ერთერთი ოთახის კარი შეაღო. მერე იქედან გამოვიდა და სადღაც გაემართა, ისე რომ ლექსოსთვის არც შეუხედავს. ლექსო კი იჯდა. იჯდა დიდხანს. იჯდა საათი, ორი საათი, შეიძლება ხუთი-ექვსი საათი, ან უფრო მეტი, იჯდა და ელოდა, თვითონაც არ იცოდა რას, ვის, ისიც კი გაიფიქრა ამ ხალხს ხომ არ დავავიწყდიო, მერე გაიფიქრა, მოდი ავდგები, წავალ, გავიპარები აქედან და სადმე დავიმალებიო, მაგრამ მაინც იჯდა დიდხანს, ძალიან დიდხანს, ხვდებოდა რომ შუაღამე გადასული იყო, ისე შეაწუხა შარდის ბუშტმა, რომ თავს ძლივს იკავებდა, ციებიანივით აკანკალდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, განძრევის უფლება არა ჰქონდა, ვისთვის ეკითხა საპირფარეშო სად არისო, ტალანში იშვიათად ჩავლილი ჩეკისტები ზედ არ უყურებდნენ, თითქოს ვერ ხედავდნენ, თითქოს არც კი არსებობდა კედელთან მიდგმულ სკამზე მარტოდ-მარტო მჯდარი არსება. ბოლოს წამოდგა, მეტი აღარ შეეძლო, მაგრამ ამ დროს ოთახის კარი გაიღო და ლექ-

სოს დაუძახეს, შემოდიო. ეს ისევ ის ახალგაზრდა ჩეკისტი იყო, სადალაქოდან აქ რომ მოიყვანა და დახუთულ ტალანში დატოვა, და ლექსოს გაუკვირდა, როდის შებრუნდა ისევ ამ ოთახშიო, ალბათ სხვა შემოსასვლელიც არსებობსო. ოთახში ღამის სანათური ენთო, რომელიც მწვანე მაუდგადაკრულ საწერ მაგიდაზე იდგა. მაგიდის იქეთ, ვიღაც კაცი იჯდა, ცხადია, დიდი გავლენის მქონე, რომელსაც შეეძლო ლექსოს ბედი როგორც უნდოდა ისე გადაეწყვიტა, მაგრამ იგი წესიერად არ ჩანდა, სანათური ისე იდგა, რომ მაგიდის იქეთა მხარე ჩრდილში იყო მოქცეული. და უცებ, ლექსოს შეაჟრჟოლა, მთელი არსებით, თავისი სხეულის ყოველი ნაკვთით იგრძნო, რომ ამ ნახევრად ჩაბნელებული ოთახის ყველა კუნჭულში ჩასაფრებული იყო შემზარავი და მახინჯი საშიშროება, თავისი ბანჯგვლიანი ტანით, დაკრეჭილი კბილებით, ელამი თვალებით. ლექსო სკამზე დასვეს და აჭახჭახებული ნათურა სახეში მიანათეს, ისე რომ ის, ვინც შეკითხვებს აძლევდა, სულ აღარ ჩანდა.

— გიორგი ყანჩელს იცნობ?

— ვიცნობ.

— შოთა წულუკიძეს?

— ვიცნობ!

— სად არიან ეხლა ისინი?

— შოთა წულუკიძე მყინვარწვერის დასალაშქრავად გაემგზავრა, გიორგი ყანჩელი წელიწადნახევარია არ მინახავს.

სინათლის იქეთა მხარეს ვიღაცამ გესლიანად ჩაიცინა.

— განა ორი ღამე შენთან არ გაათია ყანჩელმა?

— არა!

და უცბად, სიბნელიდან რაღაც გამოქანდა და სახეში მოხვდა ლექსოს, სკამიდან გადმოვარდა და საშინელმა ტკივილმა გონება დაუბინდა. მაგრამ გონს რომ მოეგო, მიხვდა, იფსამდა. აღარც უცდია თავის შეკავება, იატაკზე გუბე დააყენა და საშინელ ტკივილთან ერთად შვებასაც გრძნობდა. ჩეკისტები თავზე წამოადგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ეგა ხარ, შე დამპალო?! — ერთმა ჩექმა სახეზე დააჭირა.

ლექსოს ბოლმისაგან გული გაუსივდა, ამათ ჰგონიათ, შიშისაგან ჩავიფსიო. თვალი გაახილა და მაღლა აიხედა. თვალთ არ დაუჯერა. მართალია გონება არეული ჰქონდა, მაგრამ ის სახე, რომელიც ზემოდან ზიზღით დასცქეროდა, და ხმა, ხრინწიანი, წივანა, ბევრჯერ რომ გაეგონა წინათ, მის ნაცნობ მედუქნეს, უფრო სწორად, ნამიკიტნარ თათუზოვს ეკუთვნოდა, ოღონდ ეს იყო, რომ თათუზოვს კინტოს ფართხუნა შარვლის ნაცვლად, ახლა გალიფე და ჩექმები ეცვა, ხოლო ხალათზე მსხვილი სამხედრო ქამარი ჰქონდა შემოჭერილი, გადაჯვარედინებული აშურმებით აზლუდული, და არა ვერცხლის, როგორც უწინ, როცა მის დუქანში შესულ მუშტრებს თავაზიანი ღიმილით ეგებებოდა.

— რას მიყურებ, შენი დედა... — შეაგინა თათუზოვმა და წიხლი ჩააზილა.

— შენ თათუზოვი არა ხარ? — ზიზღით ჰკითხა ლექსომ, — მიკიტნობას ჯალათობა ამჯობინე?

ამჯერად ჩექმის წვერი ყბაში მოხვდა და გაუტეხა...

...ლექსომ ამოიგმინა და ცივმა ოფლმა დაასხა. ამ მოგონებაზე, ყოველთვის ბოლმით ეკუმშებოდა გული. საღამო თბილი იყო, ჰაერი ჩახუთული, ქუჩები დაცლილი. ლექსო ორთაჭალისკენ მიემართებოდა და აღარ უნდოდა ისევ ციხეზე ეფიქრა, მაგრამ ფიქრები თან მოსდევდნენ, როგორც სოროდან გამომძვრალი ვირთხები, მთელი ზურგი რომ დაუჭამეს ყბადამტვრეულს, სისხლში მოსვრილს, შარდით აყროლებულს, პირველსავე ღამეს, გამომძიებლის ოთახიდან სუნიან კარცერში რომ შეათრიეს, ნესტით გაჟღენთილი ოთხკედელში, ცემენტის გაყინულ იატაკზე. ამის შემდეგ, კარგა ხანს ლაპარაკი არ შეეძლო და საჭმელსაც ვერ ჭამდა...

თათრის მაედნიდან არღნის ხმა ის-

მოდა. ეს უბანი ლექსოს უყვარდა და არც უყვარდა. უყვარდა, რამდენადაც აქ იყო თბილისის ფუძე, მაგრამ აღიზიანებდა აქაური სიჭრელე. ერთმანეთის გვერდი-გვერდ მდგარი ეკლესიები, მეჩეთები, სინაგოგები, ხოლო შემზარავი მეტეხის ციხე, მის გალავანთან შეგროვილი, პატიმართა დაღვრემილი ჭირისუფლებით. ფეხქვეშ საყრდენს აცლიდა თითქოს. არც ის სახეები მოსწონდა აქ რომ ნახულობდა, ჩაბინდული თვალები, უნდო მზერა. შენიღბული მიზანი. არც კინტოები ეხატა გულზე, თავიანთი არღნებით და ზურნებით, (რასაც ფანდურის წკრიალს ამჯობინებდა). ლოთობით, თაღლითობით, გარყვნილებით თავმომწონენი. თბილისის ახალშენები, ვერის უბანი იქნებოდა ეს თუ სხვა რომელიმე, სადაც ქართველები ესახლნენ, რკინიგზელები იქნებოდნენ თუ მასწავლებლები, გაცილებით უფრო მახლობელი იყო მისთვის, მაგრამ ახლა, ელეონორაზე სევდით შეპყრობილი, მაინც იქით მიემართებოდა, ქვემოთ, მაღნისაკენ, სიმდაბლისკენ, საკუთარ თავზე ამრეზილი, გაღიზიანებული, უკმაყოფილო, მჩვარივით რომ დაემორჩილა სხეულის ძახილს, თავს უფლება მისცა ჩვეულებრივი, თუმცა ლამაზი ქალის შეყვარებისა, მაშინ როდესაც ნამდვილ კაცობად ინსტინქტების დაძლევა და დამორჩილება მიაჩნდა, და ამისთვის წვრთნიდა კიდეც თავის თავს. მაგრამ ეტყობა ციხემ მოტეხა, ნებისყოფა მოუდუნა, სული დაუჩლუნგა და აჰა, დასუსტებული, უიმედო და უაზრო სიყვარულის მონად ქცეული ფეთხაინის უბანს გასცდა, სიონის ტაძარს თვალი მოჰკრა და მოაგონდა ერთხელ, მორიგი დაკითხვიდან საკანში რომ მიჰყავდათ ბნელი ტალანით, მოხუცი პატიმარი ჩაატარეს მის გვერდით, გაჩეჩილი თმითა და სპეტაკი წვერით თვალშისაცემი, შემოფლეთილ ანაფორაში, კოჭლობით მოკელანე, და თვალი გააყოლა ლექსომ მას, თუმცა ეს აკრძალული იყო და ბადრაგმა თოფის კონდახი სდრუზა ზურგში. მერე გაიგო, კათოლიკოსი ამბროსი გახლდათ, თურმე, ის [illegible] ნუის კონფერენციაზე სა[illegible] რილი რომ გაგზავნა დამოუკიდებელ საქართველოში რუსული ჯარის შემოსვლის წინააღმდეგ. ისიც გაიგო, სასამართლოში განაჩენი რომ გამოუცხადეს, უკანასკნელ სიტყვაში უთქვამს: სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული საქართველოს, მძორი კი თქვენთვის მომიგდია, ჯალათებო!

ასეთი სიმაღლე სულისა მიაჩნდა ლექსოს უპირველეს ღირსებად კაცისა. ამიტომაც ვერ გატეხეს ჩეკაში, ვერ ათქმევინეს, რომ გიორგი ყანჩელი შოთა წულუკიძემ გააპარა რუსეთში. მაშინაც ვერ დააცდენინეს ერთი სიტყვა, როცა გამომძიებელმა თათუზოვმა ბარძაყში ნაგანის ტყვია დაახალა, ხოლო მისმა თანაშემწემ ჭრილობაში თოფის ზუმბა გაუყარა და ჯოჯოხეთური ტკივილისაგან გონება დააკარგვინა, თან ყურში ჩასძახოდა, თქვი, სად არის გიორგი ყანჩელიო...

ისევ ოფლმა დაასხა ლექსოს. აბანოების უბანში ჰაერი უფრო დახუთული იყო, გოგირდის სუნით დამძიმებული. ჭრელსამოსიანი თათრის ქალები, დაკაპიწებული მკლავებით და გაშიშვლებული ფეხებით, აბანოდან გამონადენ ცხელ წყალში, ორთქლის ბული რომ ასდიოდა და მტკვრისკენ ჩამავალ დაბახანის ღელეს უერთდებოდა — ხალიჩებს და ნოხებს რეცხავდნენ. ჩაიხანები გატენილი იყო ამ ქალების ქმრებით,, ძმებით და ნათესავებით, და ვიღაც სადღაც ბაიათს ამღერებდა თარზე. წივანა ხმა და გამყივარი ჰანგი, უცხო არეში შექმნილი და დაბადებული, გულს უწუხებდა, თითქოს უცხო ქვეყანაში იმყოფებოდა. ეს ნაშთი წარსულისა კვალი უკეთური დროისა, კვლავ აუტანელ სიმძიმედ დააწვა გულზე და თუმცა თვალი დიდიხანია შეეჩვია მშობლიური ქალაქის სიჭრელეს, შეგნება არა და არ ურიგდებოდა შორიდან შემოტანილი სიუცხოვის ასეთ მძაფრ შემოჭრას იქ, სადაც, ლექსოს აზრით ბალავარი უნდა ჩაჰყროდათ ერის მაღალ თვითშეგნე-

პას. მაგრამ მაღალი შეგნება მაღლა მხედ ხალხს გააჩნია. ჭეშმარიტად მაღალი სული ერისა მჟღავნდება საკუთარი ისტორიული მისიის ღრმა გაგებით, როცა ერს ესმის რისთვის იბრძვის, შეგნებული აქვს ამ ბრძოლის აზრი და მიზანი, და სიდიადეს ეროვნული სულისას ავლენს ამ გმირულ ბრძოლაში. დღეს ვილას ესმოდა ეს და ვილა იბრძოდა ამისთვის, მწარედ გაიფიქრა ლექსომ და გაღიზიანდა საკუთარი ხალხის უთავბოლო და უაზრო ბორგვით. ერის ერთგული ერთეულები ასპარეზიდან გაგდებული ჰყავდათ სოკოებივით მომრავლებულ სხვათა მიმბაძველებს, განუსწავლელ უგუნურებს, კაცმა რომ არ იცოდა რას ქადაგებდნენ და ვის ემსახურებოდნენ. მხოლოდ საქართველოში შეიძლება შეხვდე ადამიანს, რომელიც ლაპარაკობს და არ იცის რას ამბობს, რომელიც წარმოთქვამს სიტყვებს და არ ესმის ამ სიტყვების აზრი და შინაარსი, აქ არიან ასე საშინლად მომრავლებული არაფრის მაქნისი კუდაბზიკები და ამპარტავანნი, ბოლმით ფიქრობდა ლექსო. უნუგეშო სურათი იყო, ისევ უბნელდებოდა საქართველოს მყობადი...

აბანოში შევიდა და ერთი თვის ჭუჭყი ჩამოირეცხა. აბანოდან რომ გამოვიდა დაბანილი და დავარცხნილი, უნებურად შვება იგრძნო, თითქოს სულიც გადაუხალისდა. ელეონორაზე აღარ ფიქრობდა, თუმცა გულის კუნჭულში, მთელი საღამოს განმავლობაში, მაინც ახსოვდა. ქალი — ეს არის ცვალებადობა, და თვითონაც უკვირდა, რომ ცვალებადობაში ეძებდა სიმყარეს, საყრდენს. აღარ უნდოდა ამაზე ეფიქრა, მაგრამ თავისთავად მოდიოდა ფიქრი. უკვე მთლად ბნელოდა, სინათლეები ციმციმებდნენ. შუა ბაზრისკენ ამოუხვია, ქუჩის პირას, დიდ ღვინის კასრზე, სუფრა იყო გაშლილი, მოქეიფე მოქალაქეებმა შეაჩერეს და ჭიქა ღვინო შესთავაზეს. უარი არ გაუვიდა.

— დაგვლოცე, შე დალოცვილო, განა რასა გთხოვთ?!

ამათთან დავას დალევა ამჯობინა. სვამდა და ფიქრობდა, ქართველთ[illegible] ლაზე ცუდი თვისება შემგუ[illegible] არისო. დაცლილი ჭიქა დადგა, მადლობა გადაიხადა და წასვლა დააპირა, მაგრამ ერთი კინტოსქუდიანი მოქეიფეთაგანი წინ გადაუდგა.

— ვა, ეგრე უსიტყვოდ სად მიდიხარ, მამაძაღლი, მუქთა ქელეხია? ან ფული დადე, ან ღვინო მაიტანე, ჩვენ აქ ნემენცურად ვსვამთ...

— დამპატიჟეთ და ეხლა ფულს მახდევინებთ, თქვე დამპლებო?! — უცებ იფეთქა, შეიგინა, სუფრისკენ მიბრუნდა, ხახაში თითი ჩაიყო და ამოარწყია, — აპა, თქვენი ღვინო, უკან წაიღეთ თქვენი დედა...

ატყდა დავიდარაბა. ვიღაცამ ბებუთი დააძრო, ლექსომ ბოთლს სტაცა ხელი, გადაამტვრია და მოძალადეზე გაიწია. მთელი უბანი გარეთ გამოცვივდა და აზრიალდა. მხარზე გადაკიდებული ჩანთა მოიხსნა, მოიქნია და ბებუთიანს შიგ სახეში გლიჯა, მერე მიწიდან დიდი ქვა აილო, ერთი ერთზე გამოდით, თქვე ნაძირალებოო, ყვიროდა, ცალ ხელში ქვით, მეორეში წვერწამახული ბოთლის ნამტვრევით კედელ-კედელ უკან იხევდა. თავიანთი სახლებიდან გამოცვენილი დედაკაცები და მამაკაცებიც მოჩხუბრებს აკავებდნენ, ამშვიდებდნენ, და იმ საყოველთაო რია-რიაში, ლექსომ, როგორც იქნა, გააღწია თათრის მოედნისკენ. საცვლებიანი და ტანისამოსიანი ჩანთა იქ დარჩა, მაგრამ ჯანდაბას მაგის თავიო, გაიფიქრა. მობრუნება აღარ ღირდა. შესმული ღვინო ისე ეზიზღებოდა, წარამარა აზიდებდა, თითქოს რაღაც სიბინძურე ჰქონდა გადაყლაპული. ერთერთი ეზოს ბნელ წინკარში შევიდა და კიდევ ერთხელ ამოარწყია. ფურთხებით განაგრძო გზა, მოედანი გადაჭრა, კარგალებულ, სპარსული ნოხებით იატაკმოფენილ მეჩეთს ჩაუარა, ავლაბრის ხიდზე გადავიდა და აბო თბილელის ნიშთან შეჩერდა. ჩუმად გადაიწერა პირჯვარი, ვინმეს რომ არ შეემჩნია და შარს არ გადაკიდებოდა, პირჯვრის წერისთვის ახალგაზრდებს არცხვენდნენ

და სჯიდნენ კიდეც. ცდილობდა დამშვიდებულიყო, ამო თბილელის ბედზე ეფიქრა. ვინ იყო ეს შორიდან მოსული ყმაწვილი, რომლის ურყევმა რწმენამ უკვდავი გახადა მისი სახელი. ამ ადგილზე აკუწეს და აქედან გადაისროლეს მტკვარში მისი სხეული. სცადა წარმოედგინა და განეცადა ეს სურათი, მაგრამ ვერ მოახერხა; კლდის თავზე გადმომდგარი ავბედითი ციხე უშლიდა ფიქრებს თავისუფლად სვლას, თრგუნავდა და წამლავდა ირგვლივ გარემოს. მდინარის ლაპლაპა ზედაპირი პიტალო კლდეზე გადმოკიდებული სახლების შუქს ირეკლავდა, კლდეში შეჭრილ ნიშზე კი ობოლი სანთელი ციმციმებდა, ალბათ, ვინმე გაჭირვებული მლოცველისაგან დანთებული.

ლექსომ რიყისკენ ჩაუხვია და წყლის პირზე ჩამწკრივებული წისქვილების გრუხუნი შემოესმა. მოაგონდა, რომ აქ, ერთ დროს, სადღაც, საროსკიპო იყო, ხმაურიან, ბინძურ ჩიხში. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, დღეს პირველად დასეირნობდა თავის გემოზე თბილისის ქუჩებში, მანამდე ცხრა თვე ცხაკლიტულში ნაჯდომი, და თანდათან მშვიდდებოდა. ვიწრო ქუჩაში ნელა მომავალი ცხენის ფლოქვების ხმა ტკაცუნით გაისმოდა ქვაფენილზე, ფურგონის რესორის ჭრიალი სმენას ბზარავდა. ბნელი, ძველი სახლების ფანჯრებში მარჯნისფერი შუქი ბჟუტავდა, ჩახუთული ერთი ციდა ეზოები თავისებურ უსიამო სუნს აფრქვევდნენ სივრცეში, გამვლელნი ჩუმად მოძრაობდნენ, როგორც მოლანდებები. უცნაური ღამე იყო, დაფარული მნიშვნელობებით ავსილ და იდუმალი...

მაშინაც ღამე იყო, ციხიდან რომ გამოუშვეს. ლექსომ არ იცოდა, რომელი თვე იყო და რომელი რიცხვი. შინისკენ მიმავალმა ქუჩაში ერთი მოხუცი კაცი გააჩერა და ჰკითხა, დღეს რა დღეაო? ივნისის ოცდახუთიო, უპასუხა გამვლელმა და ლექსოს გაუკვირდა ამდენ ხანს რომ მჯდარა დამწყვდეული. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ განთავისუფლებულს, საკუთარ სა[illegible] შინიდან გარეთ გამოსვლა არ უნდოდა, ისევ ჩაკეტილ ოთხკედელში ყოფნა ერჩივნა. იგი არაფერზე არ ფიქრობდა და არაფერს აპირებდა, მხოლოდ ერთხელ თხოვა დედას, დედი, საწამლავი მომიმზადე ყოველშემთხვევისათვის, თუ კიდევ მოვიდნენ ჩემს წასაყვანად, ჩუმად მომეცი, მე იქ ყოფნას ვერ გავუძლებო. ეტყობა, არ უნდა ეთქვა დედისთვის ეს სიტყვები, გულგახეთქილმა დედამ მყისვე სიძეს და ქალიშვილს გაუზიარა ვარამი და სიძემაც, ბევრი ხვეწნის მერე, კოჯორში აიყვანა დასთან და დისშვილებთან, მაგრამ ელეონორას გაცნობამ ისევ აუფორიაქა ისედაც არეული გონება და ველარც იქ გაჩერდა. ახლა უკვე ნანობდა კოჯრიდან რომ გამოიქცა, თავის თავს რომ ნება მისცა ვიღაც ქალის გამო დაუფიქრებლად მიჰყოლოდა ერთბაშად აგიზგიზებულ გრძნობას და ფხიზელი გონი გვერდზე გადაედო. მაგრამ ძალზე ძლიერი იყო ეს გრძნობა და ვინ იცის, იქნებ, ეს სხეულის ძახილი კი არ იყო, არამედ სულისა? მას არ უნდოდა ეს დაეჯერებინა, უწინ ასეთი რამ არ მოსვლია, მუდამ დაცინვით, ათვალისწუნებით უყურებდა ქალური ბუნების უთანმიმდევრო და შემთხვევით გამოვლინებებს, ალიზიანებდა მათი მისწრაფება მოჩვენებითი წესრიგისაკენ, რომლის ქვეშ მხოლოდ მოუსვენრობა იმალებოდა. მათი დაუსრულებელი ფუსფუსი ნერვებს უშლიდა და მიაჩნდა, რომ ყოველივე ეს ჩამყუდროების, ჩაფიქრების, მაღლის წვდომისა და ჭვრეტის წინააღმდეგ იყო არაცნობიერად მიმართული. ღმერთიც კი სხვანაირად სწამდათ ქალებს და ამიტომ მოსდიოდა ბრაზი საკუთარ თავზე, რომ ყოველივე ეს იცოდა, მაგრამ ელეონორას სილამაზემ დაავიწყა, და ახლა ელეონორაზე ფიქრს ვერ იშორებდა, ისევე როგორც ციხის კოშმარებს. ქალების ყურადღებით არასოდეს ყოფილა გალაღებული და არც ის იყო გამორიცხული, რომ ეს თვალსაზრისი უარყოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თავმოყვარეობისათვის თავდაცვის საშუალებად შეუმუშავდა...

იგი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. მკრთალად გაჩერებულ ლუდხანასთან შეჩერდა, მაგრამ შიგ არ შევიდა. იქ რამდენიმე კაცი დაინახა და არ მოუნდა ხალხში გარევა. უცებ, სროლის ხმა გაიგონა. სადღაც ორჯერ გავარდა რევოლვერი. მტკვრის მხრიდან რამდენიმე კაცი მორბოდა. ვინ იყვნენ ისინი, მკვლელები? ფანჯარაში თავი გამოყო დედაკაცმა და რა ამბავიაო იკითხა. კაცი მოკლესო, მიაძახა ერთმა იმათგან და მერე ყველანი ბნელ ქუჩებში გაუჩინარდნენ. დედაკაცმა ფანჯარა დახურა და დარაბებიც დაგმანა. ლექსომ ნაბიჯს აუჩქარა და სწრაფად გაეცალა იქაურობას. რიყის უბანი ამოიარა, მუხრანის ხიდზე გადმოვიდა უკმაყოფილო, შეურიგებელი, საკუთარ თავთან მარად მებრძოლი, ციხეში ნაადრევად გაჭაღარავებული, თმაშეთხელებული, პატარა, ჩია ტანის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამწლეული მამაკაცი. ტრამვაიმ ჩაუარა გვერდით და შეჩერდა. საით წასულიყო? მთაწმინდისკენ გასწია, სადაც მის უფროს დასა და სიძეს ჰქონდათ ბინა. და — კოჯორში დატოვა ბავშვებიანად, სიძე — იმედი ჰქონდა შინ დახვდებოდა. მთაწმინდის აღმართის ავლამ საკმაოდ დაღალა, ჰრილობა ასტკივდა და სვენებ-სვენებით აუყვა ხის ვიწრო კიბეს აკაციებით დაფარული ეზოდან, მესამე სართულის შუშაბანდისაკენ. ეზოში მსხდარი მეზობლები მიესალმნენ, სიძე კი მართლაც შინ დაუხვდა და ძალიანაც გაუკვირდა მისი დანახვა, მაგრამ აუცილებელი საქმე მქონდა და იმიტომ ჩამოვედი კოჯრიდანო. შენი ცოლ-შვილი კარგად არისო, უთხრა ლექსომ და შეუყვა ოთახში, სადაც ღია ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე გაშლილ სუფრას ორი კაცი უჯდა, ლექსოს დანახვაზე რომ წამოდგნენ და თავაზიანად მიესალმნენ. ამ ორი კაციდან ერთს ლექსო კარგად იცნობდა ლიტერატურული წრეებიდან, კრიტიკოსს, სცენარისტს შალვა პეტრიაშვილს, გამელოტებულ დიდთავა, მაღალ და გამხდარ ახალგაზრდა კაცს, მეორე კი ლექსოს სიძის შაქროს თანამშრომელი და მეზობელი იყო, სტამბის მუშა ილიკო. ლექსომ სკამი მიიწია, მაგიდას მიუჯდა და ერთი ჰიქა სულმოუთქმელად გადაკრა, თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მერე წელში გასწორდა და ფანჯარაში გაიხედა. ღამე ხავერდის ფარდასავით დაგებულიყო და სინათლის წინწკლები ძვირფასი თვლებივით ციმციმებდნენ იმ შავ ხავერდზე.

— ბავშვები რასა შვებიან? — ჰკითხა შაქრომ.

— ბავშვებს რა უშავთ, თამაშობენ!

— გრილა, ალბათ, კოჯორში, — ჩაურთო შალვამ.

— საღამოობით გრილა ხოლმე.

— მიილია ზაფხული. ჩვენ ძმა პოეტებს თუ ხვდებოდი?

— ვხვდებოდი ზოგჯერ.

— მანდ ჩემი მეზობელი ქალი, კინომსახიობი ელეონორა წულუკიძე ისვენებდა წელსა...

ეს კი მეტისმეტი იყო, თითქოს მტკივანზე განზრახ ფეხს აჭერენო. ლექსომ კიდევ ერთი ჰიქა დაისხა და დაცალა.

— წელან რიყეზე კაცი მოკლეს! — თქვა მან.

— ვინა?

— აბა, მე რა ვიცი?!

— გახშირდა მკვლელობები!

— სხვადასხვა დაჯგუფებები ებრძვიან ერთმანეთს, მუსრს ავლებენ, ტერორს უნიშნავენ...

— მაგაში ჩეკას ხელი ურევია...

— არც ჩეკას აკლებენ ხელს და არც ჩეკა აკლებს მაგათ ხელს...

საუბარი გაგრძელდა. ფანჯარასთან ჰრიჰინობელა ჰრიჰინებდა და ლექსო უკეთ გრძნობდა თავს. სასმელი მოეკიდა. ღვინომ დაამშვიდა და ნაღველი მისი სასიამოვნო შეგრძნებად იქცა, თითქოს რაღაც შეიძინა საამური და შეუცნობადი. რამდენიმე სადღეგრძელო დალიეს, ლექსო ბრუვდებოდა და კიდევ უფრო მშვიდ-

დებოდა. როცა ნაადრევად დაღუპული მეგობრები მოიგონეს, შაქრომ და ილიკომ, ვითარცა ძველმა, ნაცადმა რევოლუციონერებმა, მათი საქმეები ადიდეს და დალოცეს, ხოლო შალვამ მყინვარწვერზე დაღუპული შოთა წულუკიძე ახსენა.

— ციხიდან რომ გამოვედი, მერე გავიგე საწყალი შოთას დაღუპვა, — თქვა ლექსომ, — ხო ცხრა თვე ვიჯექი ციხეში, ყოველდღე შოთაზე მეკითხებოდნენ და ერთხელ არ დასცდენიათ, რომ მკვდარი იყო.

— რაც იყო — იყო! გულში ჯავრს ნუ ჩაიდებ, ჯეელი კაცი ხარ, ამიერიდან ახალ ცხოვრებას შეუდექი! — დაამშვიდა ილიკომ და უცებ ლექსოს ძარღვები დაებერა, ყბა აუკანკალდა, ხელი გაშალა და წინ გამოიშვირა.

— მაშ, ესეც დავივიწყო, ფრჩხილებს რომ მაძრობდნენ? ფეხში რომ ტყვია მესროლეს და ჭრილობაში რკინის შომპოლს მიყრიდნენ, ისიც დავივიწყო? თათუზოვმა რომ წიხლით ყბა ჩამიმტვრია, ვირთხებმა ზურგი რო დამიჭამეს, ესეც დავივიწყო? — თანდათან ხმას უწევდა ლექსო, კბილებს აჭრიალებდა, თვალები სისხლით ევსებოდა და იმოდენა ბოღმა გადმოანთხია, რომ შეკამათება ველარ გაუბედეს და დამშვიდება დაუწყეს, დაწყნარდი ლექსო, რას იზამ, ახალ საქმეს ზოგჯერ შეცდომებიც მოსდევსო.

— ეგ ახალი არ არის, ძალადობა ძველისძველი რამ არი, თქვენ იმპერიას სახელი შეუცვალეთ და საფუძველი გაუმაგრეთ! აი, რას მიაღწიეთ, თქვე ბრმებო და ყრუებო!

— შენა, კაცო, გამწარებული კი ხარ, მაგრამა...

ლექსო წამოდგა. აღარ მინდა თქვენთან ქეიფიო, განაცხადა და ქუჩაში გამოვიდა. შალვამაც გამოსდია. შუაღამე გადასული იყო. ერთხანს ჩუმად იარეს. ზაფხულის ღამის მდორე სიჩუმეს ხეები სასიამოვნო შრიალით ეჩურჩულებოდნენ. რუსთაველზე ჩასულნი მოედნისკენ დაუყვნენ უკაცრიელ პროსპექტს. წინიდან ვილაც ქალი [illegible] ბდა გამალებული ნაბიჯით და ლექსოს გულმა რეჩხი უყო, ისე მიამსგავსა ელეონორას. ქალი უახლოეს სადარბაზოში შევიდა და გაუჩინარდა. „რა სულ ეს ქალი მელანდება, ჩემი წერა ხომ არ არისო?“ კიდევ ერთხელ გაიფიქრა ლექსომ და შალვას მკლავში ხელი მოჰკიდა, ნაბიჯი შეანელა.

— მე არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მაგრამ ერთი რამ ვიცი, დაუნდობლობა დაუნდობლობას შობს, ტერორით სიმართლე არ მიიღწევა. ადამიანიც ცხოველია და არსებობისათვის ბრძოლაში ყველა ხერხს გამოიყენებს, რომელიც გამოადგება. თუ დასჭირდა მოიტყუებს, იფლიდებს, ითაღლითებს, მოკლავს, რათა სული შეინარჩუნოს. ზნეობას და მორალს ადამიანი ადვილად ულალატებს, რადგან ეს შეძენილი თვისებებია, გარკვეული კულტურის პირმშოებია, ხოლო როცა ყოველგვარი კულტურა ისპობა, როცა ბრძოლას უცხადებენ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას და მონაპოვარს, რა შეაჩერებს ადამიანს? ისეთ დღეში არ უნდა ჩააყენო ადამიანი, რომ ისევ უკან, ველურობისკენ წავიდეს. არა და, ჩვენ აქეთ წავალთ, გახსოვდეს ჩემი სიტყვა...

იმ სადარბაზოსთან, სადაც წეღან მარტოკა მომავალმა ქალმა შეუხვია, ლექსო გაჩერდა და შალვას პაპიროსი გამოართვა, მოუკიდა, შალვასაც მოაკიდებინა და მადიანად გააბოლა.

— ციხეში ჯალათი იყო ერთი, გვარად შულმანი. ასეთი ჩვეულება ჰქონდა, დახვრეტის დღეს ცხვარს გამოუშვებდა ციხის ეზოში. გისოსებიან ფანჯრებს აკრული პატიმრები ეზოში ცხვარს რომ დაინახავდნენ, უკვე იცოდნენ, დღეს ვილაც უნდა დაეხვრიტათ. მარო დვალის საკანში რომ შევიდა ჯალათი, მარომ ფანჯარაზე აკრული ფიცრიდან წინასწარ აგლეჯილი ლურსმანი ჩაჰკრა თვალში და ამოთხარა...

— რას ამბობ, კაცო?! — აღმოხდა შალვას.

— მაშ, რა გეგონა?! — თქვა ლექსომ და სადარბაზოში შეიხედა, სადაც წელან ვიღაც ახალგაზრდა ქალმა შეუხვია, მაგრამ იქ არავინ ჩანდა, ბნელოდა.

მოედნამდე მიაცილა შალვა, ქარვასლასთან გამოემშვიდობა და უკან დაბრუნდა. მარტო დარჩენილმა უცებ იგრძნო, რომ სრულიად დაუცველი იყო. ალბათ, საკუთარი სიძეც კი არ გამოუწვდიდა დახმარების ხელს, რადგან შიშსაც რომ თავი დავანებოთ, იმასაც პროპაგანდის შხამით ჰქონდა სული მოწამლული. ახლა ყველას ის სწამდა, რასაც წამდაუწუმ ჩასძახოდნენ, და ლექსომ გაიფიქრა, რომ მცირე განსწავლულობას ისევ სრული უცოდინარობა სჯობდა, რადგან, რამდენადაც დიდი და ღრმა ცოდნა ჭეშმარიტებას გააახლოვებს, იმდენად მცირე ცოდნა გაშორებს მას. ისინი, ვისაც დღეს ეგონა, რომ ადამიანთა დაუსრულებელი ჟლეტით და სისხლის ღვრით, — რასაც ისინი კლასთა ლიკვიდაციას ეძახდნენ, — სამართლიან საზოგადოებას დაამყარებდნენ, ეშმაკს ემსახურებოდნენ ნებსით თუ უნებლიეთ. სიყვარულის გარეშე სამართლიანობა არ არსებობს, გაიფიქრა ლექსომ, სიყვარული კი უსარგებლო ფლასივით გაცვეთილიყო და სისასტიკეს უთმობდა ასპარეზს. თავისუფლება, თუ სიკეთესკენ არ არის მიმართული, მხოლოდ ბოროტებას ემსახურება. განა ასე არ იყო? ეს ახალი ცხოვრების დამკვიდრებელნი ითავისუფლებენ თავს სინდისისა და სიბრალულისაგან და თავიანთ ახირებულ მიზნებს სწირავდნენ ადამიანთა სიცოცხლეს, გამოცდილებას, საუკუნეთა მანძილზე შექმნილ ფასეულობას და ღვთის რწმენას. ცხოვრება მრუდე გზით მიდიოდა და არავის ძალუძდა იმის გამოცნობა, თუ საით წარმართავდა უზენაესი ნება ამ დინებას. მაგრამ იქნებ, ყველაფერი სწორი იყო და არავითარი სიმრუდე არ არსებობდა? ეტყობა, ადამიანი მართლაც, ყველაზე უბედურია ყველა სულდგმულთა შორის, რადგან უფ[illegible] სწადია, ვიდრე ხელეწიფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსომ აღმართზე აუხვია. კაეშნით მოცული ღამის ჩარდახქვეშ შეფარებული ქალაქი მძინარე ცხოველივით განაბულიყო და შინ მისულმა კარზე რომ დააკაკუნა, ეგონა, ქვეყანა ინგრევაო.

— რა იყო, შვილო, რა მოხდა, რატომ ჩამოხვედი? — შეშფოთებით ჰკითხა დედამისმა, კარი რომ გაუღო.

— არაფერი, დედაჩემო, ნუ გეშინია, შენ მომენატრე და ჩამოვედი!

— ჩემი თავი შემოგევლოს, შვილო, როგორ ნუ მეშინია, ხომ ხედავ, რა ხდება ქვეყანაზე? — კმაყოფილი კილო შეეპარა შვილის ტკბილი სიტყვებით გახარებულ დედას, — შენ რომ კიდევ წაგიყვანონ, მე ველარ გადავიტან!

— ნუ გეშინია, აღარ წამიყვანენ.

— რათ უნდა წაგიყვანონ? ერთი ღარიბი კაცის შვილი ხარ, გაჭირვებაში გამოზრდილი, ვის რას უშავებ, განა ღარიბებისთვის არ არის ეს ქვეყანა?

— რა ვიცი, ვისთვის არის?!

ლოგინში რომ ჩაწვა, დედამ გადააფარა საბანი, გვერდზე ამოუკეცა, თუმცა თბილი ღამე იყო, თმაზე ხელი გადაუსვა, შუბლზე ოფლი მოსწმინდა და დედის მოფერებამ მალამოსავით დაუამა გულის ტკივილი. დაძინების წინ, გრძნობდა დედის ფრთხილ მოძრაობას და ჩუმ ამოოხვრას. ალბათ, უკვე თენდებოდა.

...უხეშმა შეხებამ გამოაღვიძა. ჯერ კიდევ ნახევრად მძინარე მიხვდა, ეს არ იყო დედის ხელი. თვალი გაახილა, ოთახში დღის ნათელი შემოჭრილიყო, თავზე უცნობი ახალგაზრდა იდგა. მყისვე იაზრა, ვინც იყო ეს კაცი და გაშეშდა.

— ადექი, მოქალაქე ივანიძე, ჩაიცვი, დაპატიმრებული ხარ!

— რათა?

ჩეკისტმა არ უპასუხა. მეორე ჩეკისტი ლექსოს წიგნებს და რვეულებს ქექავდა.

— დედაჩემი სად არის?

— დედაშენიც დაპატიმრებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეკისტმა ჯიბიდან ორდერი ამოიღო და აჩვენა, ვითომ ამ ქაღალდის გარეშეც ვერ დაიჭერდა. ლექსომ ჩაიცვა. გაოგნებული იყო, არ ელოდა ასეთ რამეს. ნუთუ ისევ გიორგის გულისთვისო? კარში გამოიყვანეს. მხოლოდ ერთადერთ მეზობლის ქალს გაებედა გარეთ გამოსვლა, შუახნის დაბალ და გულად დედაკაცს, სონას.

— სად მიგყავთ ეს პატიოსანი ხალხი ,ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ არის? — ქაქანებდა ის დაუღალავად.

— ქალო, შინ შეეთრიე და სხვის საქმეში ნე ერევი, თორემ შენც ზედ მიგაყოლებთ!

— მიმაყოლებთ რა ,ის ხომ არა გგონიათ, თითსაც ვერ მახლებთ! — არ ტყდებოდა სონა, მაგრამ მაინც უკან იხევდა; მისმა ქმარმა მოღებული კარიდან ხელი გამოჰყო, მხარში ჩაავლო და ოთახში შეათრია.

ლექსო ალაყაფთან მდგარ პიკაპში ჩასვეს და ორივე მხრიდან ამოუსხდნენ. დედამისი კაბინასთან იყო მიკუჭული.

— ნეტავი, შვილო, მართლა მომეცა საწამლავი შენთვინა და მე თვითონაც დამელია... — საცოდავად მოთქვამდა ის.

— ამ საცოდავ ქალს მაინც რას ერჩით? — თქვა ლექსომ.

— ჩეკაში მიხვალ და ყველაფერს გაიგებ, — გალიზიანებით უთხრა ჩეკისტმა.

ჩეკაში რომ მიიყვანეს, დედას დააშორეს. ისევ გაატარეს უკვე ნაცნობი, გრძელი და ბნელი ტალანი, ულიმღამო, საშინელი. უფროსის ოთახში შეიყვანეს. ოთახი დიდი იყო, ნათელი, ფანჯრებს გარედან გისოსები ჰქონდა აკრული, ალბათ, რომელიმე პატიმარს ქუჩაში გადახტომა რომ არ ეცადა. ფანჯრიდან აგურის ყრუ კედელი მოჩანდა, განუკითხავი, უსასოო, ერთფეროვანი. განიერი მაგიდის იქეთ, ელეონორა წულუკიძის ნათესავი ისიდორე ქლენტი იჯდა და წარბშეკრული, მოლუშული უყურებდა სახეში.

— ლექსო ივანიძე ხართ?

— დიახ.

— პოეტი?

— ხანდახან ვწერ ლექსებს.

— მაშ, დამპყრობლები კოჯრის გზით შემოდიან არა თბილისში?

მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ სულ სხვა საქმეზე იყო დაჭერილი, გიორგი ყანჩელი ამათ არ აინტერესებდათ. ახალ ბრალდებას, ალბათ, იოლად ველარ დააღწევდა თავს. მშვიდად გაიაზრა, რომ მისი ცხოვრება არ შედგა, უკვე თავდებოდა, წინ ტანჯვისა და წამების მეტი აღარაფერი ელოდა.

— დიახ, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის ერთი ფრთა კოჯრის მხრიდან შემოვიდა თბილისში, — წყნარად ჩაილაპარაკა.

— აღა-მაჰმად-ხანის, არა? კარგი, მე შენ გიჩვენებ აღა-მაჰმად-ხანს. მოაშორეთ ეს აქედან და ჯავახიშვილი შემოიყვანეთ!

კარგა ხანს ჰყავდათ კარცერში დამწყვდეული. მერე მთელი თვე ცალკე საკანში გაატარებინეს. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაუკითხავთ. ეს ხერხი იცოდა ლექსომ, ალბათ, მისი საქმე ჯერ კიდევ არ შეეთითხნათ. საკუთარი თავი დაირწმუნა, რომ არ დახვრეტდნენ, ალბათ, ათი წლით თუ გადაასახლებდნენ ციმბირში. ეს დიდი შეღავათი იყო, სად კარზე მომდგარი სიკვდილი და სად გადასახლება, მაინც სიცოცხლე, მაინც რაღაც მცირე იმედი. მხოლოდ დედის ამბავი აწუხებდა ძალიან. ბოლოს გამომძიებელთან დაუძახეს. კარში რომ გამოჰყავდათ, ზედამხედველმა ჩუმად უჩურჩულა, დედაშენს დაკითხვის დროს შიშისგან გული გაუსკდა და მოკვდაო. მართალს ეუბნებოდა? ვინ იცის, იქნებ, ესეც ხერხი იყო, რომ სულიერად გაეტეხათ, მოესპოთ...

17.

ბუჭუტა უნდილაძეს პოეზია არ უყვარდა. არცერთი ლექსი არ იცოდა ზეპირად ,რადგან ლექსებს არასოდეს კითხულობდა. არც სხვა წიგნებს ეწაფებოდა მაინცა და მაინც დიდი ხალისით.

სახელმძღვანელოებს გარდა. ძირითადად, გაზეთები იყო მისი განათლების წყარო. ამიტომ მალე მოსწყინდა ლექსო ივანიძის ლექსების თვალიერება და ტყავისპალტოიანი მოხელე რომ წავიდა, რვეული ფანჯრის რაფაზე მიაგდო, ტახტი გადმოაბრუნა და ზედ დაჯდა ღრმად ჩაფიქრებული.

პირველად იგრძნო თავი რისამე მფლობელად. ეს სარდაფი მისი იყო. ეს ტახტიც, ალბათ, მას შერჩებოდა. მართალია, ახალი ბინა ოცნებაში წარმოდგენილ ფართო ფანჯრებიან ნათელ ოთახს არა ჰგავდა, ოთახს, საიდანაც მთელი ქალაქი ხელისგულივით უნდა გამოჩენილიყო და სადაც ნებისმიერი სტუმრის მიყვანა შეიძლებოდა, ახალგაზრდა ქალისა თუ კაცისა, — მაგრამ გულდასაწყვეტი რა ჰქონდა არაფრის მქონეს, უპოვარს, სხვის კარზე სამადლოდ შეკედლებულს, და გულში უჩუმრად შემოპარულ უმადურ იმედგაცრუებას, — ოცნება სინამდვილეს რომ არ დაემთხვა, — სარდაფში ფეხის შემოდგმისას რომ დაემორჩილა უნებურად, თვითვე ებრძოდა ქვეცნობიერად, დევნიდა შეგნებიდან და მართებულ სიხარულს ულებდა გულის კარს. ოთახი ბნელი იყო, მაგრამ საკმაოდ ვრცელი და წყნარი. ფანჯარასთან შეიძლებოდა საწერი მაგიდის დადგმა და მეცადინეობა. სასადილო მაგიდაც იყო საჭირო და რამდენიმე სკამი. ალბათ, მომავალში კარადაც დასჭირდებოდა და უცებ იგრძნო, რამოდენა ბედნიერებას ეწია, ვერც კი იჯერებდა, რომ ამ ბინის პატრონი თვითონ იყო, რომ მისი გასაღები ჯიბეში ედო, ამიერიდან ჰქონდა საკუთარი თავშესაფარი და მუდმივი დაძაბულობა, უხერხულობა, ნერვებს რომ უღრღნიდა და ხასიათს უწამლავდა შეუმჩნევლად, გულიდან მოეხსნა და პირველად გაიგო ნამდვილი დამოუკიდებლობის ფასი. ახლა იგი პიროვნება გახლდათ, სრულყოფილი და თავისუფალი. საოცრად ლაღად გრძნობდა თავს, ფეხზე წამოდგა. სწორედ ამ დროს, გარედან სიმღერა მოისმა, ვიღაცა ურმულს მღეროდა. ბუჭუტა ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და ყური დაუგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც მაღლიდან, მეორე თუ მესამე სართულიდან ისმოდა სიმღერა, მომღერალს არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა, წკრიალა, სუფთა, იმდენად სასიამოვნო, რომ მის მსმენელს ტანში ჟრუანტელი დაგივლიდა, თუ მთლად ყრუ და მუნჯი არ იყავი. ბუჭუტას არასოდეს მოესმინა ასეთი არაჩვეულებრივი ხმა. იგი არც სიმღერისა და მუსიკის დიდი მოყვარული გახლდათ და არც მორწმუნე, მაგრამ ძალიან ესიამოვნა ახალ ბინაში შემოსვლის პირველსავე დღეს მშვენიერი სიმღერა რომ ესმოდა. ეს კარგ ნიშნად მოეჩვენა, კარგად წამივა საქმეო, გაიფიქრა. ფანჯარასთან იდგა გახარებული და გულისყურით უსმენდა უცნობ მომღერალს. კარზე კაკუნმა დაურღვია ეს სიამოვნება. ფანჯარას მოშორდა, ნესტიან ტალანში გავიდა და კარი გააღო. კიბეზე შავკაბიანი პატარა დედაკაცი იდგა და არც თუ მთლად გულითადად შემოსცქეროდა.

— გამარჯობა თქვენი! — მჭახე ხმით მიესალმა იგი ბუჭუტას, — თქვენ უნდა იცხოვროთ ამ ბინაში?

— დიახ, მე მომცეს ორდერი! — ცივად უპასუხა უსიამოვნო წინათგრძნობისგან ყურადღებაგაფაციცებულმა ბუჭუტამ, ვინ არი, რა უნდაო.

— თქვენ ვინა ბრძანდებით, სადაური კაცი ხართ?

— სტუდენტი ვარ, სამტრედიიდან ჩამოსული, რაშია საქმე, რა გაინტერესებთ?

— არაფერი, — გაიღიმა დედაკაცმა და ტალანში შემოვიდა, — მეც აქა ვცხოვრობ, სონა მქვია. ვიფიქრე, მოდი ერთი ვნახო. ეს ახალი მეზობელი ვინ შემოგვისახლეს-მეთქი. რაკი სტუდენტი ყოფილხარ და ქართველი კაცი, არა უშავს. კიდევ კარგი, თორემ ამასწინად თბილისში იმდენი ლტოლვილი სომეხი შემოასახლეს, რომ გაივსო ქალაქი. აემ ნივთებს ხელს ნუ ახლებ, — სონამ კუთხეში მიყრილ ბარგს შეავლო თვალი, მერე ოთახში შევიდა და ცარიელი რომ

დაინახა, მწარედ ამოიოხრა, — მაგათი ქოქი გაწყდა, ეს რა ხალხი ააწიოკეს, თავი გაუხმათ მაგათ, რა უნდოდათ, რას ერჩოდნენ მაგ უბედური დღისებს, ეს ტახტი გამოიყენე, ქვეშაგები ხომ გაქვს? მშობლები გყავანან? ჰოდა უთხარი შენს მშობლებს ცოტა ფული გამოგიგზავნონ, სკამი და მაგიდა დაგჭირდება, თუმცა მაიცა, მაგიდას მე მოგცემ, სარდაფში მიგდია ერთი ძველი ჯღანი, თუ დამტვრეული არ არი, წაიღე და დაიდგი, მე არა მჭირდება ცოლი გყავს?

ქუჩიდან კი ისევ სიმღერა ისმოდა.

— ვინ მღერის? — ჰკითხა ბუჰუტამ.

— ეგა? თიანეთელი ბიჭია, ვანო. ნიკო ქუმსიაშვილმა ჩამოიყვანა და კონსერვატორიაში მიაბარა. ამბობენ, მეორე ვანო სარაჯიშვილი დადგებაო. მეორე სართულზე ცხოვრობს, საწყალი შოთა წულუკიძის ბინაში, შარშან რომ დაიღუპა მთასვლელი. აბა, რა უნდოდა იქა, იმ ჯანდაბაში და დოზანაში?!

— რა კარგი ხმა აქვს!

— ჰო, კარგად მღერის, კარგი ბიჭიც არი...

— კი არ ვიცოდი თუ შოთა წულუკიძეც ამ სახლში ცხოვრობდა.

— როგორ არა, აქ ცხოვრობდა, მაშა?! რა ბიჭი იყო, რა ბიჭი იყო! კარგები იხოცებიან, ოხრები მრავლდებიან, ხედამ რა დრო დადგა? — სონა ისევ კარისკენ გაემართა ქაქანით და ვიდრე ეზოში გავიდოდა, კიდევ ერთი დარიგება მისცა ბუჰუტას, — აბა შენ იცი, ჰკვიანად იყავი, რაკი შენ მოგცეს, კეთილად მოიხმარე ეს ბინა, თუმცა ძველი მეზობლები ძალიან მენანებიან, კარგი ხალხი იყო. მე მარჯვნივ ვცხოვრობ, ეზოში, თუ რამე დაგჭირდეს, მოდი და მითხარი, არ მოგერიდოს, ჯეელი კაცი ხარ!..

ბუჰუტამ კარი მიხურა და სწორედ ამ დროს სიმღერა შეწყდა.

იმ საღამოს ნაძალადევში წავიდა და თავისი ბარგი გადმოიტანა. პირველად გაათია ღამე საკუთარ ჭერქვეშ, ჯერ კიდევ უჭირდა იმის დაჯერება, რომ დედაქალაქში ბინის მფლობელი გახდა. მეორე დილით, ქუჩაში რომ გამოვიდა, საბოლოოდ გარდაქმნილ კაცად იგრძნო თავი და ნათლად გაიაზრა, პირადი საკუთრება ადამიანს უმტკიცებს თვითრწმენას, კაცი, რომელსაც არაფერი გააჩნია, — არც არაფერს სცემს პატივს და არც არაფერს უფრთხილდება. მაშასადამე, ყველა ფენის ქონებრივ გათანაბრებას და კერძო საკუთრების აკრძალვას რომ სახავენ უმაღლეს სამართლიანობად, ეს შეიძლება, მომავალში, ძალიან საშიში რამ აღმოჩნდესო. ამ ფიქრით შევიდა ფოსტაში და წერილი გაგზავნა წითლნარში. შეატყობინა ოჯახს ბინის მიღების ამბავი და ახალი მისამართი. გარდა იმისა, რომ ძალზე ეამაყებოდა, რასაც მიაღწია, ოჯახისგან დახმარებაც სჭირდებოდა.

ერთი კვირის მერე, მამამისი ამბაკო, უფროსი ძმა ტიტიკო და უმცროსი და ბაბუცა ეწვივნენ. პირდაპირ ბაზრიდან მოაკითხეს, სადაც მთელი დღე უვაჭრიათ, ამბაკოს ღორები დაუკლავს და გაუყიდია. ისინი ლინეიკით მოვიდნენ საღამო ხანს, ცარიელ ოთახში ხურჯინით სოფლური სანოვაგე შემოიტანეს, და ბუჰუტას გაუხარდა შინაურების დანახვა, მაგრამ მალე გაღიზიანდა, რადგან ამათ თავი ისე ეჭირათ, თითქოს სტუმრად კი არ იყვნენ, არამედ საკუთარ სახლში იმყოფებოდნენ. ხარბად ათვალიერებდნენ და აბუჯურებდნენ ყველაფერს, მოურიდებლად იღებდნენ ბუჰუტას ნივთებს. ასეთი საქციელი ბუჰუტას სრულებით არ ეჭაშნიკა.

— კაი მოზრდილი ოთახი ყოფილა, — თქვა ამბაკომ კმაყოფილებით, კარგა რომ მიათვალ-მოათვალიერა აქაურობა, და ულვაშებზე გადაისვა ხელი, — აქანა კიდევ ორ ტახტს დავდგამ და ბალნებს რომ ჩამევიყვან, ქე დეეტევიან თავისუფლად. ამ კუთხეში კარადას გავაკეთებ, აქანა...

— ნაგავი რომ დაგიყრია შუშაბანდში, ვერ მოაშორებ, რას უნახავ? — აგდებით შესძახა ტიტიკომ ძმას და ტალანის კუთხეში მიყრილი ნივთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხრეკას შეუდგა, საიდანაც ბაბუცამ უკვე ამოაძვრინა დახეული თავშალი.

— მოეშვით მაგ ნივთებს, სხვისია და მიხედავენ, — გაფიცხდა ბუჰუტა, ბაბუცას თავშალი გამოგლიჯა და ისევ იქ შეტენა, სადაც ადრე იდო. თან, არ დაისაკუთრეს აქაურობაო, გაიფიქრა გაგულისებულმა.

— რა იყო, ბიჭო? — იუკადრისა ტიტიკომ შენიშვნა და ალმაცერად გადმოხედა ძმას.

— არაფერი!

— ბალანამ რაცხა ჰინჰი მონახა და ამას ართმევ, შე გლახავ?

— შარზე ხომ არა ხარ, ვილაცა ხარ, — იფეთქა ბუჰუტამ, — ვინ დაგნიშნა ჰკუის მასწავლებლად? ან წესიერად მოიქეცი ან სულ დამეკარგე აქედან, აქ წიფლნარი ხომ არ გგონია?...

— შე კვტარო, ეს სუნიანი სარდაფი რომ მოგაშავეს, კაცი ხომ არ გგონია თავი?! — იბლავლა ტიტიკომ, ქუდს ხელი დასტაცა და კარში გავარდა.

— სახლიდან გვყრი, ბიჭო? — თვალები დააბრიალა ამბაკომაც, — რაც ღორები მყავდა ჯაფით ნაზარდი, დავწყვიტე, ვიფიქრე ერთ-ორ კაპიკს ავილებ და შვილს ხელს გავუმართავ მეთქი. სხვებს დავაკელი და შენ სურსათი ჩამოგიტანე, მადლობის მაგიერი ხარ?

ბაბუცა ხმამაღლა ტიროდა.

— მერე ვინ რა გითხრათ? — სცადა დაშოშმინება ბუჰუტამ.

— მეტი რა უნდა გვითხრა, შე კაცო, მოყვრულად მოვედით და მტრულად გვხვდები, ბალანამ რაცხა ჰინჰი ეილო და წაართვი, ძმა სახლიდან გააგდე...

— თავი დამანებეთ! — იყვირა ბუჰუტამ, კარი მაგრა მიიჯახუნა და ეზოში გამოვარდა. ალაყაფთან, უკვე ნაცნობ მეზობლის ქალს, სონას გადაეყარა.

— რა ყვირილია თქვენსა, ვის ეჩხუბები? — სონამაც შემოაგება იჰვიანი, უნდო მზერა.

გამწარებულმა ბუჰუტამ ნაძალადევად გაიცინა და თვალი აარიდა.

— არაფერი, ნათესავები ჩამომივიდნენ, ცოტა ხმამაღალი ლაპარაკ[illegible] ვართ, სოფლელები არიან!

მთელი სხეული უკანკალებდა, დაღმართში დაეშვა. რა ჰირად გავუგზავნე წერილი და შევატყობინე ჩემი ახალი ადგილსამყოფელიო, ნანობდა უკვე, მაგრამ რა ექნა, როგორ გაეტანა თავი, ჯერ კიდევ ვერ იდგა მტკიცედ ფეხზე და დამცირებულად გრძნობდა თავს, რომ მაინც მამისეულ ოჯახის დახმარებას საჰიროებდა. უცებ შესანიშნავი აზრი მოუვიდა, კიდევ ერთხელ ვესტუმრები იასე ნიგურიანს და ვთხოვ, რამე უბრალო, მარტოხელა სტუდენტი კაცისთვის შესაფერ სამსახურში მომაწყოსო. იასე უეჭველად დამეხმარებაო, წინდაწინვე განიმტკიცა იმედი და ცოტათი გუნება გამოუსწორდა. ახლა უკვე ნანობდა ასე რომ გაცხარდა, ძმა სახლიდან რომ გააგდო. მართალია, თვითონ გაიქცა, ის არანაკლებ ფხუკიანი და ხუსტურიანი იყო, ვიდრე ბუჰუტა, მაგრამ მაინც ასე გამოდიოდა. ყველა ბუჰუტას გაამტყუნებდა. ნეტავ, სად წავიდაო, გაიფიქრა, მაგრამ თან ბრაზი მოსდიოდა, რას ერევა ჩემს საქმეში, რას აფათურებს ხელებს სხვის ნივთებში, მოიქცეს ისე, როგორც სტუმარს შეეფერებაო. მაგრამ სოფლელ ხეპრეს საიდან უნდა სცოდნოდა ქალაქში მოქცევის წესები? თვითონაც ხომ თითქმის ასეთივე გაუთლელი იყო ქალაქში რო ჩამოვიდა? მაგრამ მერე თავი ინუგეშა, მე ტიტიკოზე ბევრად ნასწავლი ვარ და იმთავითვე ვიცოდი წესიერ ხალხში თავის დაჭერაო, თუმცა არც ის ავიწყდებოდა, რომ გრიშამ, თიკომ და სხვა ამხანაგებმა კარგა გვარიანად გააშალაშინეს, თუმცა რაში ეტყობოდა გაშალაშინება, როცა სტუმრის წინაშე, — რაც არ უნდა იყოს, მაინც სტუმრები ეთქმოდათ, — საკუთარ სახლში თავი ვერ შეიკავა და მის სანახავად ამ სიშორიდან ჩამოსული ძმა კარში გააგდო. ზედმეტად ფიცხი, თავშეუკავებელი ადამიანებისათვის დამახასიათებელმა არასრულფასოვნების გრძნობამ თავი გაახსენა და კიდევ უფრო წაუხდა ხასი-

ათი. ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა და თავის თავს ეკამათებოდა. საოცრად მარტოსულ, დაჩაგრულ კაცად წარმოიდგინა თავი, მაგრამ უცებ, თითქოს ალალმა ჩამოუქროლაო, ერთ წამში ნათლად გაიაზრა, მეტისმეტად ჰირვეული და თავკერძა რომ იყო, და მოუთმენლობისგან სჭირდა ყველაფერი. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ იყო, შინაურებთან შფოთი რომ მოსდიოდა, ყოველი მათი შეხვედრა უთავბოლო აყალმაყალით მთავრდებოდა, მაგრამ ამაში, ეტყობა, თვით უნდილაძეების ჯიშსაც მიუძღოდა ბრალი, ხარბნი, ავყიანი, მოუთმენელნი და თავშეუკავებელნი რომ იყვნენ. მაგრამ ეს აზრი მხოლოდ ერთი წამით შერჩა მის მეხსიერებას, ისევ ბრაზი მოუვიდა შინაურებზე, შეხვედრისთანავე ჩხუბი რომ აუტეხეს, უწესო საქციელით რომ გაალიზიანეს, და თუმცა გულის სიღრმეში თავის გაცხარებასაც ნანობდა, თავი დამნაშავედ მაინც არ მიაჩნდა.

ასე იყო თუ ისე, ეს ღამე სადმე უნდა გაეთია. შინ ერთი ტახტი ედგა და ზედ ერთი ხელი ქვეშაგები ეგო. წალაპარაკებაც რომ არ მოსვლოდა, მაინც სადმე უნდა წასულიყო ღამის გასათევად. ამბაკო და ბაბუცა როგორმე იოლად გავიდოდნენ, ტახტი ჰქონდათ და ქვეშაგები, რამეს მოიხელთებდნენ. თვითონ კი არ იცოდა ვის მისდგომოდა, ალბათ, ისევ დათიკო მიქაშავიძეს და შოთა ლორთქიფანიძეს. თანაკურსელ ამხანაგებს, რომელთაც ერთად ჰქონდათ ბინა დაქირავებული სასამართლოს ქუჩაზე, ერთი მომცრო ოთახი ფოტოგრაფის ატელიეს გვერდით, რიყის ქვით მოკირწყლულ უზარმაზარი ეზოს კუთხეში, სადაც საღამოობით იკრიბებოდნენ ამხანაგები ხან სამეცადინოდ, ხან თავშესაქცევად, ხან საპურმარილოდ. როცა რომელიმე მათგანს სოფლიდან ხორაგი ჩამოუვიდოდა, და ბუჭუტაც ხშირად მონაწილეობდა ამ მეგობრულ არიფიონში.

ზემელზე ჩამოუხვია და უცებ, ელექტრონით განათებულ ქუჩაში, გრიშას გადააწყდა. გრიშას მწვანე გალიფე და ფრენჩი ეცვა, რომელზედაც პორტუპეებიანი ქამარი ჰქონდა შემოჭერილი, ხოლო წვივებზე ყავისფერი კრაგები შემოეკრა. იმდენად დიდკაცურად გამოიყურებოდა, ბუჭუტა შეცბა, მაგრამ გრიშამ გულითადად გაუღიმა და ბინა მიულოცა.

— ეგ ბინა შენი წყალობაა! — უთხრა ბუჭუტამ, გრიშამ ეს სიტყვები უყურადღებოდ დატოვა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

## რა უნდა იყოს

ჩაიგრიალა და... მიწყდა ის ხმა,
მერე ვიღაცა ატირდა მწარედ, —
გაგიჟებულან! ამ მთების მიღმა
რა აქვითინებთ მშობლიურ ქარებს?

ამ ციდან კიდევ საითკენ მიდის
ქართული მზე და ქართული მთვარე, —
რა უნდა იყოს სამშობლოს იქით,
რა ქვეყანაა სამშობლოს გარეთ?

## დედის ნატვრა

მამულიშვილნო!
თქვენ რომ სიზმარში
ხედავთ სამშობლოს,
          ვით მოხუც დედას,
დედას, რომელსაც,
          ჰხურავს ლეჩაქი
და უფრიალებს ქარი იმ ლეჩაქს, —
ნატვრა აქვს და როს გამოიღვიძოთ,
თქვენ აუსრულეთ იგი იმ ბეჩავს.

* * *

შიში? რა შიში, რის შიში,
ან ვის წინაშე კანკალი?
თუნდა შევაკვდე, მიმიშვით.
რაღა მაქვს დასაკარგავი?!

მგელია, მგელი ცხვრის ქურქში,
უნდა გავაძრო ტყავია!
ეგ იყო, ეგა, პირქუში,
ჩვენ რომ მოგვტეხა მხარია.

რამდენი დღემდე ბოგინობს,
უფრო მეტი კი მკვდარია, —
ქართული მიწის ლოგინო,
ვინ აღარ დაგიფარია.

ძნელია, ძნელი და-ძმებთან
შეხლა და გულის ფართქალი, —
გაძნელდა, რარიგ გაძნელდა
გარჩევა მტყუან-მართალის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გადაძახილი

ჰე, მეგობრებო,
ეს მე ვიყავი,
ზარს რომ ჩამოვკარ და
მივიმალე,
ვის — მომავლებიც
ისე მიყვარდით,
ვით წინაპართა ვალი ვივალე;
ვინც შევეჭიდე სიტყვას
ძველისძველს
(მსურდა გატანა ლექსით ლელოსი),
უმისამართოდ გწერდით წერილებს
საქართველოდან
საქართველოში.

## ახალგაზრდებს, ქართველ მწერლებს რომ საყვედურის წერილით მიმართეს

ვინ რას გვკიცხავს?
ვინ რას გვსაყვედურობს?!
მაშ როგორ არ ვღელავდე!
ვაი, ტყვიას შეშვერილო გულო,
ვაი, თოვლო წელამდე.
ვაი, ჩემო გულზვიადო მთებო,
ვაი, მიწავ ბებერო, —
ვაი, ჩემო მოტეხილო ფრთებო —
ფრენის მასწავლებელო.
ვაი, ჩემი სიყმაწვილის წლებო,
თქვე გალიის ჩიტებო,
ამ ლურჯი ცის უხილავად მკვდრებო, —
ახლა როგორ მჭირდებით!

• • •

შემოდგომის შიშველ ხეს რომ
ფოთლები მიაწებო,
იმასა ჰგავს დღეს ოცნების
ხელმეორედ დაწყება.
მომაკვდავო თეთრო გედო,
ფრთებო, მიწას გართხმულო,
ბედო, ბედო თანამდევო,
პოეტურო, ქართულო...

## ო, იდუმალო

ო, იდუმალო...
ო, უხილავო...
საოცნებოა ის, რაც არ არი, —
ჩემზე ვინ იტყვის, რომ ულხინდაო,
რომ არ ჰქონდაო გული ალალი?
სწორედ იმიტომ უნდა გიწამო,
რომ ხარ თუ არა, იცის არავინ,
მაშ, ისე როგორ გარდავიცვალო,
რომ არ მჯეროდეს ღრუბლის კარავი?
და თუ სიცოცხლეს ვეტრფით შენმიერს,
სიკვდილიც დადის —
მისი მპარავი
და მწამს, თუნდ წამით.
იმ დღეს მშვენიერს
შენ ჩემთან მოხვალ დაუფარავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწარე ეჭვები

შენც?!
ო, ნუთუ შენც
გეამება
მლიქვნელის ქება?
ნუთუ შენამდე რაც ნებავდათ,
შენც იგი გნებავს?!

ნუთუ, ო, ნუთუ
ის ულუფა
შენც გამოგკვებავს?! —
აბა მაშ, მაგ მხდალს
მუხლზე კოცნის
რად აძლევ ნებას?

* * *

თვალს მიეფარა ქოხმახი ფიცრის,
ვიწრო მდინარე,
        მწვანე კორდები, —
რასაც ვშორდები, ის კარგად ვიცი,
არ ვიცი, თუ რას ვუახლოვდები.

მაგრამ ჩამყვება ძილშიაც მღვიძარს
ცადაზიდული მთები — დარდები
და დაფერფლილი ერთ მუჭა მიწად,
მეც მათ სიმაღლეს მივემატები.

## ბოლოს

ჯერ ხომ მიყვარდი...
        ეს სიყვარული
ხომ სიბრალულად გადიქცა მერე
და ის მივსებდა
        დარდით ფარულით
ობოლი გულის სიცარიელეს.
მერე ხომ ისიც ჩაქრა, ვით დილის

ცვარი, ჩაიწვა
        და დაიმარხა, —
ბოლოს დამიდგა ჟამი
        სიკვდილის:
აღარც მძულხარ და
        აღარც მიყვარხარ.

## თვალები

როგორც ღალატით დამარცხებული
მეფე — კარავში შეფარებული, —
სად ეგ თვალები
        ჩანაცრებული
და სად თვალები შეყვარებულის?!

ო, ეგ თვალები...
        ო, ის თვალები...
ნაცარი — ცეცხლთან შედარებული, —
სად ეგ თვალები —
        სხივჩამქრალები
და სად თვალები შეყვარებულის?

## დაგვიანება

— დაბრუნდი უკან!
მოვიდა იგი,
ვისაც ელოდი მთელი სიცოცხლე!
— ამაოდ მიხმობ,
        ვერ დავბრუნდები,
მე ხომ თქვენ უკვე დაგემშვიდობეთ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნასულ მეგობრებს

როცა თენდება და გავუცინებ
მზეს — სწორედ მაშინ მომაგონდებით
და სიხარულის ფეხმარდ ქურციკებს
ჩამიყლაპავენ დარდის ლომები.

თუ რამ მიჭირდა, თქვენსკენ მოვრბოდი,
ისევ თქვენთან ვარ,
კი არ გშორდებით,
ვით სიმძიმილი სულით ობლობის,
გულზე გაწყვიათ ცივი ლოდები.

* * *

სანთლებივით ძვლები იყო ისა
და თვით სევდა —
გაწოლილი ნისლად,
პეტრე-პავლეს სასაფლაოს მიწას
რაც მოსტაცა მიწამ დიდუბისამ.

ო. გრანელის ნაწამებო სულო,
ღმერთმა ტანჯვის სულად გიგულისხმა,
ხევ, ჩრდილიდან
მზეში გადარგულო,
ისევ ისე ცრემლის კვირტებს
ისხამ.

## „საიდუმლო ბარათო..."

მეოცე საუკუნის მიწურულს
ვინ, ვინ მაჩვენებს წერილს,

შეყვარებულისადმი მიწერილს
და ისიც.. ვაჟის ხელით?!

* * *

აშარ ქარს მისწვდა
ხმა უნაზესი;
არ გადამთელო, ქარო,
ია ვარ!
ქარმა შეწყვიტა ავად თარეში,
ჩაიმუხლა და
იქცა ნიავად.

## ლხინი

მოდი, ვიცეკვოთ!
არ ვიცი ცეკვა,
მაგრამ რაღაც ხომ გამომივა
ცეკვისმაგვარი?
მოდი, ვიმღეროთ!
სიმღერასავით
ამოვთქვა გულის ნაჩურჩულევ-
ნაღაღადარი.
მოდი, ვილხინოთ!

ლხინისმაგვარი
იქნებ შევიძლო მეც გადარევა,
რომ დაგაოსოთ ერთხელ სიცილით —
სულ რომ უქმური და პირქუში
დავიარები.
მოდი, ვიცინოთ!
სუფრა მეფური
ვინ თქვა ულხინოდ და უსტუმრებოდ, —
ერთხელ ვიცეკვო „თინას ლეკური"
თქვენთვის,
სეირის მოყვარულებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მითხარი, კიდევ რა გაპატიო?
რა ცოდვა ჰქენი კიდევ ახალი?!
მაქვს პატიების ნიჭი მაღალი,
ტყვია კი... ერთიც არ მაბადია.

## გამოჯიბრება

რაც გინდ რომ მთვლიდე უძლურად,
სევდის მიმღერდე სიმღერებს,
შენ მაინც კიდევ გაჯობებ,
შე მოკაკვულო სიბერევ!
რაც გინდ თავს ჩამომაფხატო
თოვლი — ქუდივით მეცხვარის,
რაც გინდ ყვავივით დამჩხავლო,
აგერ მყავს ლექსი — მერცხალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

# გალობანი სიყვარულისანი

„და ნუ წამწყმედ ცოდვათა შინა,
და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა
რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაი
ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან“.

დავით აღმაშენებელი

## დავით აღმაშენებლის სურათთან

ვდგავარ მდუმარედ,
შენ სურათთან, მეფევ ბატონო,
შენი სახელის
და დიდების მონა-მორჩილი,
თუ ვინმე იყო,
შენ იყავი ქვეყნის პატრონი,
მუდამ შემწე და
არწივივით გადაფოფრილი.

ცას დაუბრუნე
შევარდენი, მინდორს სახნისი,
თუ ხარ ქვეყნისთვის
უნდა კიდეც გაიმხნათობო.
ამდენ ზრუნვისთვის,
ამაგისთვის, ამდენ საქმისთვის
ერთი სიცოცხლე,
როგორ გეყო, მეფევ ბატონო?

ვდგავარ მდუმარედ
და მზის შუქი კედლებს ადნება,
ქარი ეძახის
სიყვარულით მარად დაჭრილებს
და ვევედრები,
დიდო მეფევ, შენს უკვდავებას,
ვით დიდგორელთა
შვილდისარი ისე დამჭიმე.

სხვა არა მინდა,
თუ ჩემს მამულ-დედულს დასჭირდეს,
ჩემი სიცოცხლე,
ჩემი ფიქრი, ჩემი გულისთქმა,
კუბოსკარამდის
მისხალ-მისხალ დამახარჯინე
და მათქმევინე
გალობანი სინანულისა.

## დავითი — ძეგლი

რამდენი ტანჯვა, რამდენი ცრემლი,
დამდგენი ჭირი, რბევა, ღალატი!
ოთხასი წელი, ოთხასი წელი
ელოდა დავითს თბილის-ქალაქი.

ღამე უძილო, დღეები მრუმე,
სულ მოლოდინში მზირალი თვალი.
ოთხასი წელი მდუღარე გულზე
ილესებოდა დიდგორის ხმალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუხდენელი ამბავი მოხდა,
ეს დედამიწა უეცრად იძრა
და ოთხასი წლის დაგროვილ ბოლმას
მოვიდა დავით და გეზი მისცა.

სამშობლოს კლდეებს ერთი გახედა
და გასალკლდევდა მისი მხილველი.
უკან დიდგორში გზა რომ ჩახერგა,
ის წინ გაუძღვა ლაშქარს პირველი.

ცეცხლი იყო და ცამდის იწვოდა,
გზა გადაუჭრა კიდევაც სამუმს
და დიდგორელთა მარადისობა
ზედ გვირგვინივით დაადგა მამულს.

ჩვენში რა დალევს რჩეულს და რაინდს,
რომლის სიტყვას და საქმეს ვენდობით.
მაგრამ დავითი სხვა არის მაინც,
სხვა თავკაცობით და სხვა მეფობით.

და მეჩვენება — ნაბიჯს ცა ითვლის,
მზე მოშრიალებს და დაფნის ტოტი,
ძეგლადქცეული მეფე დავითი
საუკუნეთა სიღრმიდან მოდის.

მოდის და მოსდევს იმ დღეთა [illegible]
წინ მოუძღვება იმ ჟინს და სურვილს
დავითი მხსნელი, — დავითი — ძეგლი
დედა-სამშობლოს უკვდავი სული.

მთაწმინდის კალთებს სხვა ეშხი ფერავს,
სხვა ღელვა იპყრობთ მაისის ქედებს.
სად შეჩერდება იმისი მზერა?
სად დაივანებს თბილისში მეფე?

რომ ჩაეკიროს ამ სივრცეს ისე,
როგორც ზვირთს ზვირთი, როგორც
რვალს რვალი.
იდგეს მზესავით მადლობის ცისქვეშ
და ყველა მოძმის ხედავდეს თვალი.

ქარი გვცემს მისი ფარ-მუზარადის,
რომ ვერ მოედო ჟამთასვლის ფერფლი.
დგას კვარცხლბეკივით დიდა-ქალაქი
და დავით მეფის შედგომას ელის.

## გალობანი სიყვარულისანი

უნდა გითხრათ მეფევ,
ჩემი გულისანი,
არა დარდისა და
სინანულისანი,
არა ტკივილის და
სიდუხჭირისანი,
არა განდგომის და
შმაგთა შურისანი,
მხოლოდ მადლიანი
სიხარულისანი,
მხოლოდ საუკვდავო
სიყვარულისანი,
მხოლოდ კეთილ საქმით
გამართულისანი,
მხოლოდ ლეგენდებში
გარდასულისანი.

მეფევ, მუხლი შენი
თერგის ზვირთისანი,
მეფევ, სუნთქვა შენი
შვიდფერ დილისანი,
მეფევ, ზურგი შენი
უდრეკ ტინისანი,
მეფევ, ფიქრი შენი
შორი ხილვისანი,
მხოლოდ სამშობლოსთვის
დადაგულისანი,
მხოლოდ მამულისთვის
განწირულისანი,
მხოლოდ ამ მთა-ველთა
აყვავებისანი,
მხოლოდ ცათა ჩვენთა
ამაღლებისანი.
მიტომ ძუძუ ვწოვეთ
ია-ვარდისანი,
მიტომ თვალი გვიჭრის
მზის და მთვარისანი,
მიტომ შუქი გვიძღვის
დედა-ენისანი,
მიტომ ხმა გვეძახის
იავნანისანი,
ვიყოთ მეფევ შენი
ერთგულებისანი,
ვიყოთ მეფევ შენი
დიდთა საქმისანი,
არა მოძახილი
სინანულისანი,
მხოლოდ გალობანი
სიყვარულისანი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო დაბრუნდაშვილი

# მოთხრობები

## არარსებული ქალაქის ამბავი

გრძნეული ქალის მოსვლის შემდეგ სამი თვე გავიდა და ყენია ხველამ გაგუდა, ლოგინიდან წამოაგდო. გრძნობდა სადღაც შიგნით, როგორ დაფათურობდა კიბოს საცეცები და ახრჩობდა. მისი ქონით გაბერილი სხეულიდან თითქოს ცხიმი გამოადნესო, ისე დაეჩუტა და დაემჩვარა ტანი. ქალაქის თავმა იცოდა, აღარაფერი უშველიდა... განვლილი ცხოვრება სიზმარს ჰგავდა, ნამდვილი განცდა კი ღმერთმა ახლა გადმოუგდო სიკვდილის წინ.

ყენია... ყენია... ისე იცხოვრე, რომ ვერაფერს იგონებ! მთელი სიცოცხლე მხოლოდ ერთი დღე იყო შენთვის, რუხი, უფერული დღე. სანამ ძალა გქონდა, ამ ქალაქში კაცი არ გჯობდა. შენ ააშენე და დაამშვენე ეს ქალაქი. ათასი ჭრელა-ჭრულა ყვავილებით მორთე. ბევრი ახალი შენობა ააგე. მარტო ის სამკუთხედი თეატრი რადა ღირს, არასოდეს აშენებულა მისი მსგავსი. ამ უცნაურ ბრტყელ ნაგებობას გარშემო დიდი აუზი ერტყა და ნაპირზე მდგარი ტირიფების ტოტები პირდაპირ წყალში ეშვებოდა. ჩაძირულ ტოტებში კი ათასფრად ალაპლაპებული თევზები დაცურავდნენ. მოზაიკით მოჭედილი ფსკერი თვალს სჭრიდა მნახველს. ბევრი იყო მომსვლელიც და წამსვლელიც. ყველა გაოცებული და გაკვირვებული იყო. მთელი ქალაქი ტაშს გიკრავდა და გილოცავდა... ყველა?... მოიცა... მოიცა.. აბა ის კუზიანი მებაღე გაიხსენე, თვალზე ცრემლმომდგარი, რომ გევედრებოდა, ვაშლის ხეივანს ნუ გაჩეხავო. მართლა კარგი ვაშლები იცოდა იმ ბაღებში. რა ლამაზი იყო ის დალოცვილი! განსაკუთრებით გაზაფხულზე თეთრქაფმოგდებული. მიწაზე თითქოს ყვავილებთან ერთად კვერცხის გათქვეფილი ცილა გადმოუღვრიათო, ისე იყო აფუებული და მზეზე გამოსაცხობად გამზადებული. მერე ის თეთრი ყვავილები, დიდი წითელი ვაშლების ჭიპებად იქცეოდნენ და თავის სურნელს ხრაშუნა ნაყოფში ინახავდნენ. მორჩა, აღარ არის ის ბაღები. ნეტავ თუ გახსოვს, ყენია, იმ ვაშლების გემო. როგორ გითხრა მაშინ კუზიანმა მებაღემ, იმ ვაშლის ხეებივით გახმიო. ვაი... როგორ გიწია წყევლამ. მოიცა... რაებს ბოდავ, რას მიედ-მოედები. იმ ერთი უკმაყოფილო კაცის კრულვა რას დაგაკლებდა, როდესაც მთელი ქალაქი შენს მხარეს იყო. წინ უკეთესის მოლოდინი ჰქონდათ, უკან „ლამაზი მოგონება“. ახლა უკვე აღარავის ახსოვდა იმ ბაღების ამბავი და ის მშვენიერი ხეივანიც „ლამაზ მოგონებად“ იქცა. სამაგიეროდ ახლა ამ ადგილზე დიდი სამკუთხა თეატრი იდგა და ყველას თვალს სჭრიდა.

ქალაქის ცხოვრება უამრავი გასართობითა და ათასნაირი ჭორით იყო მორთულ-მოკაზმული. ამ ბოლო დროს კი ხმები დადიოდა, სამკუთხა თეატრის წინ ლამაზ აუზთან ვიღაც კუზიანი მოდის, ყოველ ღამით იჭერს ფერად თევზებს და ბრჭყვიალა კიბოებად აქცევსო. ბევრი ამტკიცებდა ჩვენი თვალით ვნახეთ ის კიბოები, როგორ დაცოცავდნენ აუზის ფსკერზეო. ხალხი საათობით იდგა აუზთან და ჭრელი მოზაიკით მოჭედილ ფსკერზე ეძებდა კიბოებს. ზოგიერთი მართლაც ხედავდა, როგორ ხოხავდნენ წყალში მბრწყინავი კიბორჩხალები და ცდილობდნენ სხვებისთვისაც დაენახვებინათ, მაგრამ უშედეგოდ. ყველას არ ეწერა ბედნიერება მათი დანახვისა.

ერთ საღამოს ქალაქის თავს მისმა ქვეშევრდომმა კაკიმ შეატყობინა კიბოების ამბავი. ყენიას ჯერ ყურადღება არ მიუქცევია ამ ჭორებისათვის, მაგრამ როდესაც გაიგო, ხალხი საათობით დგას აუზთან და კუზიანის გამოჩენას ელოდებაო, უეცრად ხველა აუტყ-

და და სადღაც შიგნით გულ-მუცელში იგრძნო, როგორ ააფათურა კიბომ თავისი საცეცები. მიხვდა ყველა ჩუმად იყო და მის დასასრულს ელოდებოდა.

ინვა ქალაქის თავი თავისი სახლის დიდ პალატაში და ფუსფუსებდნენ მის გარშემო ექიმები. მონინებით უხრიდნენ თავს და მორიგ პროცედურაზე ეპატიჟებოდნენ. დასნყევლოს ღმერთმა ესენიც და ამათი ახირებული მკურნალობაც. სალამოობით მისი ერთგული მსახურები შემოდიან ოთახში და რიდით კითხულობენ მის მდგომარეობას. თვალებში შიში და გაურკვევლობა ჩასდგომიათ. ესენი სულით-ხორცამდე მისიანები არიან, ვერსად ნაუვლენ. ყენია გათავდება და ამათაც ზედ წააკლავენ. მის ცოდვებსაც მათ დაანონიან და გაჭყლეტენ. ამიტომაც უფრთხილდებიან პატრონს. უნინ ქალაქის თავი ხშირად ხუმრობდა, ორი ოჯახი მაქვსო, ერთი შინ, ერთიც სამსახურშიო. მისთვის ეს ორი ოჯახი, ერთნაირად საყვარელი და მყუდრო იყო. მართალია, სამსახურში ხანდახან უხდებოდა ურჩების დასჯა, მაგრამ ღმერთია მონამე, ამას თვითონაც მტკივნეულად განიცდიდა.

ყენიას ოჯახის ნევრებიდან მეტადრე უყვარდა თავისი შვილიშვილი ცოტნე. ეს ყველამ იცოდა და სუფრა ისე არ გაიშლებოდა, რომ არ დაელიათ ბიჭის სადღეგრძელო და მისი ქება-დიდებით თვალზე ცრემლი არ მოეყენებინათ ქალაქის თავისთვის.

სამსახურშიც ჰყავდა ერთგული მსახური კაკი: ელამი კაცი იყო და ლაპარაკის დროს შეუძლებელი იყო მიხვედრა, რომელი თვალით გიყურებდა, რადგან ორივე აცაბაცად გაურბოდა. მოსაუბრე ჯერ ერთ თვალს აირჩევდა, ეგონა, სწორედ ამ თვალით მიყურებსო, შემდეგ კი ეჭვი ეპარებოდა და მეორე თვალს აშტერდებოდა... მერე ყველაფერი თავიდან ინყებოდა და საუბარი ისე მთავრდებოდა, მოსაუბრე მაინც ვერ ხვდებოდა, რომელი თვალით უყურებდნენ.

ყენიას ჯერ ეხამუშებოდა ელამი მსახური, მაგრამ მალე შეეჩვია, თუმცა მაინც არ იცოდა, რომელი თვალით „ემსახურებოდა".

ერთი წლის წინ ცოლი მოუკვდა კაკის და ძლიერ დადარდიანდა. ყენიას ებრალებოდა და ორმოცი დღე იზიარებდა კაკის ჭირ-ვარამს. იტანდა მისი დაღვრემილი სახის ყურებას. მერე გაალიზიანა გაუთავებელმა გლოვამ და უფრო მეტად კაკის თვალების მოხშირებულმა პარპალმა. გადანყვიტა, შეემსუბუქებინა მისთვის დარდი და ვარამი. მართლაც, სალამოხანს შინ დაბრუნებულ კაკის სანოლ ოთახში დაუხვდა თმაგაშლილი და თეძოსრული ქალი, სარკის ნინ რბილ სკამზე ნამოსკუპებული, გამჭვირვალე ბატისტის ხალათში გამოხვეული და მაცდური სახით მოპატიჟე. კაცი ჯერ გაოგნდა, მერე გაოცებით შეხედა და იგრძნო, როგორ ჩააშტერდა ქალი, იმასაც მიხვდა, რომ მისმა სიელმემ არ დააბნია და მეორე თვალზე მზერა აღარ გადაუტანია. ამან კიდევ უფრო გააოცა და სანამ სიტყვის თქმას მოახერხებდა, ქალმა დაასწრო:

— მე თქვენი ცოლი ვარ, ბატონო კაკი.

— ვინ? რა თქვით? — ამოღერღა კაცმა და სადღაც გონებაში ამოუტივტივდა ყენიას ნათქვამი, მოიცა, მალე შენს სატკივარს ისე ვუშველი, რომ ათი წლით გაგაახალგაზრდავებო.

— მე თქვენი ცოლი ვარ, — მეგობრულად გაუცინა ქალმა და სანოლზე რაღაც მოყავისფრო ნიგნაკი დაუგდო.

— ეს რა არის? — გაუკვირდა კაკის.

— ეს მონმობაა, რომ მე ნამდვილად თქვენი ცოლი ვარ.

მერე საიდანო, უნდოდა ეკითხა კაცს, მაგრამ მიხვდა, ამის თქმა ახლა უადგილო იყო... და დარჩა ქალი კაკისთან. მხოლოდ მეორე დღეს, დილით გაიგო, რომ მას ლაურა ერქვა და სალამოს სახლში მოსულმა ისიც შეამჩნია დიდ ოთახში კედლიდან მისი ცოლის შავ ჩარჩოში ჩასმული გადიდებული სურათი რომ გაქრა. კაკის პირველად უცნაურად ეჩვენა ასეთი ქორნინება, მაგრამ მალე შეეჩვია თავის ახალ ოჯახურ მდგომარეობას და კმაყოფილი დარჩა ყენიას მოსაზრებულობით.

აი, ასე იცოდა მოქცევა ქალაქის თავმა, იმ ქალაქის თავმა, რომელიც ახლა ოთხ კედელშუა გამოკეტილი ცოცხალ-მკვდარი ინვა და თავის თავს გაზეთებში ხედავდა, თუმცა ისეთივე უსიცოცხლოს, როგორიც ახლა იყო და გრძნობდა, რომ ის მეორე, სიზმარივით ცხოვრება სადღაც შორს განაგრძობდა არსებობას. მართალია, ტელევიზორის ეკრანებიდან გაერა და ველარ აძლევდა შვებას და მომავლის იმედს ხალხს, სამაგიეროდ თვითონ ნამდვილად იცოდა თავისი მომავალი, რომელიც სადაც არის განყდებოდა... მთელი ცხოვრება ყიდულობდა ყველაფერს და მერე ჩუმად ყიდდა, სხვების ხარჯზე, რა თქმა უნდა. იცის ყენიამ, ახლა თავის თავის გაყიდვა მოუნევს, კუთვნილ საზღაურსაც უკვე ველარ აიღებს... ყველაფერი სიკვდილს დარჩება. რაო... რაო... სიკვდილიო?... ჯანდაბა და ჯოჯოხეთიო? არა... არა... რას მიჰქარავთ. მოიყვანეთ ის გრძნეული ქალი, იმან იცის ყენიას ნამალი. ჯერ ფეხზე ნამოდგეს, მერე სუყველას მოგივლით, როგორ ადვილად დაიჯერეთ მისი აღსასრული და უკეთესის მოლოდინში დაინყეთ ტუჩების ლოკვა...

იმ ქალს ჯახანა ჰქვია. საროსკიპოდან მოუთრიეს ყოვლისშემძლე პატრონს მეგობრებმა. სასნაულმოქმედი თვალები აქვსო, არნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნებდნენ. ხელებში გრძნეული სული უზისო, ეუბნებოდნენ. სვანეთის მიყრუებული სოფლიდან ჩამოიტანა ათასი ლოცვანი მამა-პაპის დაწერილი და საიდუმლოდ შენახულიო.

ჯახანამ თხელი თითებით დაუზილა საფეთქლები და ურცხვი თვალებით გააშიშვლა ქალაქის თავი, მერე კატასავით მიელამუნა, აეკრა, სითბო და ნუგეში გადასდო, სისხლი აუდუღა და გაქრა. ყენიას იმედი დაუბრუნდა და შვება მიეცა. ისევ დაიბარა გრძნეული. ქალი მოვიდა, შეცვლილი ეჩვენა ყენიას, საროსკიპოს სუნი ჩამოერეცხა და თვალებში ღირსება ჩაეყენებინა. ახლოს მიუჯდა კაცს და ჩუმად აბუტბუტდა. თმაში გაუხლართა თითები და სითბო დააწერა, მერე სიცოცხლის ელექსირი შეასვა, სითხეს მოყვითალო ფერი ჰქონდა და სოკოს გემო დაჰკრავია. რაღაც შორეული და მივიწყებული გაახსენა... ოოო! როგორ არ უნდოდა სიკვდილი ყენიას... ოოო! როგორ ნერვებს უშლიდნენ ეს ექიმები. ვითომ მკურნალობდნენ... ამ ქალის ფრჩხილადაც არ ღირს არც ერთიო, ფიქრობდა ყენია.

როდესაც ჯახანა მესამედ მოვიდა, კაცმა ამჯერად მის თვალებში ჩაბუდებული სიდარბაისლე დაინახა. „ჭკვიანი ქალია", გაიფიქრა და გაუღიმა. ჯახანა სიხარულით დადნა და ახლოს მიუჯდა ქალაქის თავს. ფილტვებში გახლართული კიბოს საცეცები დროებით შეყოვნდა. გრძნეული ქალის თითებმა მიხრწნილ სხეულში დარჩენილი ძალა ერთად მოაგროვა და თავისი სითბო გადასდო. მაშინ დაებადა კაცს თავში გიჟური აზრი მისი დაუფლებისა. დარწმუნებული იყო უფრო მეტ ძალას გამოსწოვდა ქალს. ჯახანა ჯერ დაიბნა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია. ყენია ხარბად ხვრეპდა ამ ცოცხალი სხეულიდან სიცოცხლის ელექსირს. თავის დამჭკნარ თითებს უფათურებდა. ქალი ინვა მორჩილი და მოთმინებით ელოდა დასასრულს. კაცი სიცხიანი დახეთქილი ტუჩებით ლოშნიდა და ძალაგამოლეული სხეულით ექლიცებოდა, თან ხედავდა, როგორ იზრდებოდა გრძნეულის თვალებში მიმალული ზიზღი და ყოველგვარი სურვილი გაუქრა, თუმცა ეს სურვილის კი არა, თავის თავზე ძალდატანებას უფრო ჰგავდა. იგრძნო, ზიზღი როგორ გადაედო და თავისი დავრდომილი სხეული თვითონვე შესძულდა. ისევ ხველებამ გაგუდა... ჯახანას შეებრალა ქალაქის თავი და თავისი ჯადოსნური თვალებით შვება მისცა...

მორჩა, ყენიასათვის ყველაფერი დამთავრდება. არავის ნახვა არ უნდა ჯახანას გარდა. ეს ქალიც მასავით არარსებულია ახლა. მისი ყველაფერი დაუჯერებელია, მაგრამ ქალაქის თავს სჯერა, უფრო სწორედ, უნდა ისევე დაიჯეროს, როგორც ამბავი იმ კუზიანი მებადე-„მებადურისა", რომელიც თევზებს [illegible] და მერე ფერად-ფერად ბრჭყვიალა [illegible] აქცევს ხოლმე. ცდილობს, გაერკვეს იმ უცნაურ კავშირში, მასა და იმ მებადურს შორის რომ არსებობს. თუმცა ქალაქში თანდათან დაივიწყეს ის კუზიანი და ახლა ხმები დაირხა, ქალაქის თავი დიდი ხანია მოკვდა და გვამი მის სასახლეში ინახებაო. გრძნეული ქალი დადის მასთან და სასწაულს ახდენსო. ისეთი წამალი აქვს იმ ქალს, თურმე მკვდრებს აცოცხლებს და სიცოცხლეს უბრუნებსო. ყველას იმ გრძნეულის საქმიანობა აკერია პირზე. იჯერებენ დაუჯერებელს. ზოგი იმასაც ამტკიცებს, შარდით და სისხლით ამზადებს წამლებსო. სხვანი უსწორებენ, რას მიედ-მოედებით, ბალახები იცის იმ ქალმა და იმითი ამზადებს ელექსირსო. ჯერ არავინ იცოდა გრძნეულის სახელი... მერე ნელ-ნელა დაიწყეს მითქმა-მოთქმა, თურმე ჯახანა რქმევიაო. დადიან... დაეძებენ... სახლსაც მიაგნეს. ეზო აუვსეს... ქუჩა გაუჭედეს. ყველგან დასახლდნენ დაიძრა ხალხი... მთელი ქალაქის კუთხიდან, ხეიბრები... ცოცხალ-მკვდრები. ყველას სიცოცხლის ელექსირი უნდა. ათასში ერთი ამტკიცებს, ჩემი თვალით ვნახე ჯახანას სასწაულმოქმედებაო. მერე ყველა თავისებურად ყვება ამ ამბავს და იჯერებენ, რომ გრძნეულმა მოგლეჯილი ფეხი მიაბა კაცს, ან მუცელი გაუხსნა კუჭის წყლულით დაავადებულს და უსისხლო ოპერაცია გაუკეთა.

ქალაქის თავის ცხოვრება კი გრძელდება. ჯახანა ახლა ყოველ დღე დადის და ნარკოტიკებით გაყუჩებულ დაბიყვინებულ სხეულს თითებით ეფერება, თვალებით კურნავს. იმედდაცლილ მომაკვდავს ნუგეშით ავსებს. ყენიას ძილ-ბურანში ესმის მისი წყნარი ხმა.

— სიცოცხლე, სიცოცხლის წილ.

— მერე საიდან, ჯახანა, საიდან?

— ყველაზე მახლობლისაგან მარტო ნათესავის სული გადმოვა შენს სხეულში.

— ვისი, თქვი და წავართვათ სული. მერე შეიძლება ძალით სულის ამოცლა?

— შეიძლება.

— თქვი ჯახანა... თქვი, ვისი სული გსურს?

— შენი შვილიშვილის...

— რას ბოდავ, რას მიედ-მოედები! — შფოთავს ქალაქის თავი.

— მაშ კარგი, რახან არ გჭირდება... — ჩუმად ბუტბუტებს ქალი.

— მოიცა... კარგი... მოიცა, რახან ასეა... სული მწარე ყოფილა. მერე როგორ?

— ეს მე ვიცი.

ოთახში წამლების სუნი დგას. გააღეთ ფანჯარა, გაწმინდეთ ჰაერი. მოიტანეთ ათასი ნუგბარი, სათამაშოები. მორთეთ ოთახი. შენ, ქალაქის თავო, დაიძინე! წურაფრის გე-

შინია. ხვალ ყველაფერი თავიდან დაიწყება. ამაღამ ლიფანალი იწყება... დიდი ლიფანალი, სვანური აღდგომა. მკვდრების სულები მოდიან სტუმრად თავის მახლობლებთან. ვილას ახსოვს ეს ძველი მივიწყებული დღეობა... ჯახანამ გაიხსენა. დიდი ბაბუა მოვიდეს ეგებ. მთელი ღამე ილოცებს, ოღონდაც მოვიდეს. აპატიე შენს ჯახანას ფიცის გატეხა და საროსკიპოში თრევა. ყველაფერს მოინანიებს, ოღონდ აპატიე და ამ დიდ, გრძელ გზაზე მოდი. არ უმტყუნო, თორემ გრძნეულობას დაჰკარგავს და ისევ ნუმპეში ამოჰყოფს თავს. ახლა ნამდვილი სასწაული სჭირდება ჯახანას. ჭირს ნაულია ყენია და მისთანები. თავის თავზე ფიქრობს გრძნეული... მხოლოდ ყენიას მსგავსებს შეუძლიათ აცხოვრონ ჯახანასნაირები.

ოთახში ღუმელი გუგუნებს და ხეთქავს კედლებს, ხრავს შეშას და ნახშირად ქცეულს ტკაცატკუცით ფერფლავს. მაგიდაზე ტაბლაა გაშლილი. თმაჩამოშლილი ჯახანა ფანჯარას ალებს და თავის დიდ ბაბუას სტუმრად ეპატიჟება. ლიფანალი დაიწყო. ცეცხლით ნახევრადგანათებულ ოთახში შემოდის მოხუცი და ბუხართან ითბობს ხელებს. მკერდზე თეთრი წვერი აფენია. ქალი პატარა დაირას იღებს და ცეკვავს... ართობს ბაბუას. და ჩუმად ჩასჩურჩულებს სათხოვარს ყურში. ობლად დარჩენილი ჯახანა დიდმა ბაბუამ გაზარდა და გოგოს განსაკუთრებულად უყვარდა მოხუცი. საწოლზე ნახევრადმიხრწნილი სხეული ასვენია.

— ვისი სული გსურს, ჯახანა? — ეკითხება მოხუცი.

— მაგისი შვილიშვილის.

— რა ჰქვია?

— ცოტნე.

— მერე თანახმაა?

— კი, ბაბუა, თანახმაა... თანახმა!

— შენ რაში გჭირდება მერე ასეთი კაცის გაცოცხლება, დინა?

— ბაბუა შენი ჭირიმე... ჩემი გულისათვის გააკეთე, მე ვდგები თავმდებად, რომ ეს კაცი არის ამის ღირსი. ის ქალაქს სჭირდება, ბაბუა. უიმისოდ დიდი საქმე დაილუპება.

— იცოდე, ცოდვას სჩადიხარ ჯახანა.

— ვიცი ბაბუა, მე ვზიდავ ამ ცოდვას, ოღონდაც ამას უშველე.

— გიყვარს გოგო ეს კაცი?

— მიყვარს... ჰო... ჰო... მიყვარს, — იძახის დაბნეული ჯახანა.

მოხუცმა ან დაიჯერა მისი ნათქვამი და ან არა. თუმცა თქმით არაფერი უთქვამს. კიდევ კარგი, მისი შერცხვენა არ იცის, ეტყობა, ბაბუამ, თორემ პასუხს მოსთხოვდა საროსკიპოში თრევისთვის.

სადღაც შორს ყვირილი ისმის. მოხუცმა გზა გაიმრუდა და თავის სახლის მაგივრად აქ მოვიდა. ის სახლი იქ, მთებში მაინც გამოკეტილია. ჯახანას მეტი არავინ დარჩა ბაბუას და სხვა რა გზა აქვს თანხმდება. სხედან ტაბლასთან და საუბრობენ. მერე ბაბუა „ლაცხამ-ლაქამს“ სვამს და მიდის კოჭლობით. ამ ათი წლის წინ წვივი გადაუტყდა და მერე სულ ასე ითრევდა ფეხს სიარულისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით ბავშვის საწოლში გაყინული სხეული ნახეს. ამ შვიდი წლის წინ, ყენიამ ჭერი ახადა სახლს, ისე აღნიშნა ცოტნეს დაბადება. მთელი ქალაქი ულოცავდა. ყველგან ქეიფობდნენ... ბიჭი ტყირპიანი დაიბადა, მუცელზე ლობიოს სიმსხო წითელი ლაქა ჰქონდა. წლებთან ერთად ეს მუცლიდან დაყოლილი ნიშანიც იზრდებოდა და ბიჭი დაუზარელად აჩვენებდა ყველას თავის დალს. ღმერთმა ბედნიერება დააბედა ბიჭს და გამოარჩიაო, ეუბნებოდნენ ყენიას. თავის პაპასავით ჭკვიანი და მარიფათიანიაო, ამტკიცებდნენ.

ახლა იწვა ბიჭი ერთიანად გალურჯებული და წითელი ტყირპიც, ფერშეცვლილი, იისფრად ეფინა მუცელზე.

დილით ნელა წამოდგა ყენია და ლასლასით გამოვიდა ოთახიდან. ტირილით დაოსებული ჭირისუფლები შედგნენ და გზა უტიეს. ხალხი გაშტერებული უყურებდა მომაკვდავის ფერისცვალებას და გზას უთმობდა. მისმა ცოლმა და შვილმა შეაკივლეს თავიანთი უბედურება. მეგობრები მისცვივდნენ ყენიას. კაკი მხარში ამოუდგა და მიიყვანა გალურჯებულ გვამთან. უეცრად ყველა მიჩუმდა, მომკივანეებიცა და მათი გულშემატკივრებიც. უკვე ერთი თვეა, რაც ქალაქის თავი ლოგინად იყო ჩავარდნილი, მისმა ფეხზე წამოდგომამ და მეტადრე მიცვალებულთან გამოჩენამ ყველა შესძრა და დააბნია.

— ჭირმა გაამაგრა.

— საწყალი, თავისი გასაჭირი ეყოფოდა და...

— მაგასაც მალე მოეღება ბოლო, — ჩურჩულებდნენ ოთახში.

ყენია ცოტნეს დაადგა თავზე და უაზროდ ჩააშტერდა ფერშეცვლილ ტყირპზე. მერე ხელი გადაუსვა და უკან წავიდა. ხმას არავინ იღებდა, მხოლოდ მისმა ცოლმა იკითხა „ვინ უთხრაო?“

— არა, მართლა ვინ უთხრა?

— არავინ.

— ეგებ ტირილის ხმა შემოესმა.

— რას ამბობთ, ქალბატონო. დილით ისეთი ძლიერი დამაყუჩებელი გავუკეთე, რომ საოცარია, როგორ არ სძინავს, თანაც ადგა და დადის... — თავს იმართლებდა ექიმი.

სიცოცხლე გაგრძელდა. ცოტნე დაასაფლავეს, თავი ინუგეშეს. ღმერთმა ალბათ თავისთვის გააჩინა და უკან წაიყვანაო. ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად კი იმან გააკვირვა მახლობლები, რომ ქალაქის თავი არა მარტო წამოდგა, არამედ დღითი დღე გაუმჯობესება დაეტყო და ისევ საიქიოსაკენ ქნა პირი. აი საოცრება; ჯერ კიდევ გუშინ ლეშად ქცეული გაცოცხლდა. ისეთი მადა დაუბრუნდა, რომ ჭამით ვერ ძღებოდა და კუჭავსებული დიდხანს ვერ იკავებდა ბოყინს. ჯახანა გვერდიდან არ სცილდებოდა. ყენია არავის და არაფერს არ იკარებდა გრძნეულის გარეშე.

— ამ თითებმა დამიბრუნეს სიცოცხლეო, — ამბობდა და ხელებს უკოცნიდა. ქალი ეშმაკურად უცინოდა, არავის ესმოდა ქვეყანაზე ისე ერთმანეთის, როგორც ამ ორ ადამიანს და მაინც არაფერს ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

როდესაც ქალაქის თავი ისევ გამოჩნდა ეკრანებზე მომღიმარი და ძველებური ენერგიით სავსე, ქალაქში ხმები ახალი ძალით დაირხა, გრძნეული ქალი კვლავ სასწაულებს ახდენსო.

— მაშ რატომ ყენიას შვილიშვილს ვერაფერი უშველა იმ ქალმაო, — კითხულობდნენ ნაკლებადმორწმუნენი.

— ჩშშ... სწორედ იმ ბავშვს ამოართვა იმ ჯადოქარმა სული და მომაკვდავს ჩაჰბერაო, — ყურში ეჩურჩულებოდნენ უფრო მეტად საზრიანები.

მთელი ქალაქი გიჟური სიშმაგით ეძებდა ჯახანამდე მისასვლელ გზებს. გრძნეული ყველასა და ყველაფრისაგან შორს იდგა. ქალაქის თავის გამოჯანმრთელების შემდეგ კი ისევ გამოჩნდა თავის სახლში, ძვირფას ატლასის ხალათში გამოხვეული. შავი ფერის სამოსი უფრო მეტად საიდუმლოს და შორეულს ხდიდა ქალს. საროსკიპოდან გამოყოლილი სული კი სადღაც სავსე ძუძუებში იყო მიძინებული და მხოლოდ ხანდახან ახსენებდა თავს, მაგრამ არც ის აღმოჩნდა ძნელად მისაყუჩებელი. ხანდახან სევდაშეპარული გრძნეული თავის დასამუხტ ძალას თვრამეტი წლის საყვარლის, თაყას ძლიერ, მაგრამ გამოუცდელ მკლავებში ეძებდა და მთელ თავის გამოცდილებას უზიარებდა სიყვარულის სარეცელზე. ბიჭი თვინიერი იყო და ამყოლი, ქალს აკმაყოფილებდა თავისი ძლიერი კუნთებით? — 

ქალს აკმაყოფილებდა თავისი ძლიერი კურო, ათი კაცის მაგივრობას რომ უწევდა და უხვად ასაჩუქრებდა. თაყამ მალე აუღო ალღო ჯახანას გრძნეულებას და მთელი მისი სიცბიერეც შეითვისა.

მართალია, ბიჭს ერთი ცუდი ჩვევა ჰქონდა, მთვარეული იყო, ღამღამობით ხეტიალობდა სახლის სახურავებზე და მოჯადოებულივით შეჰყურებდა მთვარეს. ჯახანამ აქაც იმარჯვა და ერთხელ ღამით უკან მობრუნებულს წყლით სავსე თასი დაუდგა საწოლთან. ბიჭმა ჭკუაარეულმა გამოიღვიძა, მაგრამ გრძნეულის ლოცვა-კურთხევამ თავისი გაიტანა და გადააჩვია ღამით გარეგარე სიარულს. ამ ამბის შემდეგ თაყა სულით ხორცამდე მიენდო თავის სიმწიფეშეპარულ საყვარელს.

ამასობაში მთელი ქალაქის პატივცემული საზოგადოება, ავადმყოფები თუ ჯანმრთელები საიდუმლოდ დადიოდნენ გრძნეულთან და გამოჯანმრთელებას, გაახალგაზრდავებას სთხოვდნენ.

ჯახანა თვალებს ლულავდა თანხმობის ნიშნად და ჯადოქრობდა. ახლა თითქმის ყოველ ღამით მოდიოდნენ მისიანები; დედა, მამა, ძმა, ბებია და კიდევ სხვა გახსენებული მიცვალებულები. გრძნეული ყველას ხელგაშლილი ხვდებოდა, შუაცეცხლთან სვამდა, დაირაზე უკრავდა და ცეკვავდა, თან თავის სათხოვარს ეუბნებოდა, ბოლოს ექსტაზში შესული ემშვიდობებოდა და საწოლზე ვარდებოდა ქანცგაწყვეტილი. თაყა დაბარებულივით მაშინვე გვერდით გაჩნდებოდა და სველი პირსახოცით უწმენდა სხეულს. ქალი ბორგავდა... და ნელ-ნელა წყნარდებოდა.

ქალაქში მომრავლდნენ მიცვალებულები და მეკუბოეებს რიგი დაუდგათ. განსაკუთრებით კი ბავშვები იხოცებოდნენ. დილაობით მშობლები საწოლებში პოულობდნენ გალურჯებულ და თვალებდაჭყეტილ გვამებს.

— როგორ?

— საიდან?

— რატომ? — კითხულობდნენ გულუბრყვილონი და სიჩუმის კედელს აწყდებოდნენ. გათენების ეშინოდათ, არავინ იცოდა, ვის დაუხვდებოდა გაყინული სხეული საწოლში. ყველა დუმდა... მამა-შვილმა ერთმანეთის ნდობა დაკარგა და ეჭვით დაუწყო ერთმანეთს ცქერა. ქალაქში ბავშვები, ახალგაზრდები დაილია და ახლა ყველა დაძაბული ელოდებოდა რაღაც საშინელ დასასრულს. მოხუცები ჯანმრთელდებოდნენ და მალე ივიწყებდნენ თავიანთ არცთუ ისე დიდი ხნის წინ სიცოცხლით, ჯანღონით სავსე მიცვალებულებს. ივიწყებდნენ ყველაფერს, რაც მათთან აკავშირებდათ და ვისი გულისთვისაც ამ ცოტა ხნის წინ სიცოცხლესაც კი არ დაიშურებდნენ. გარეგნულად არაფერი შეცვლილა, პირიქით, ერთხელ ქალაქის რომელიღაც ძველ, ნახევრად ჩამოქცეულ სახლში ქალმა ერთბაშად შვიდი ბავშვი დაბადა და ქალაქის თავმა ზეიმი გამართა, ყველა ულოცავდა ბედნიერ დედას ასეთ მოულოდნელ და ყველასაგან გამორჩეულ სიხარულს. დედაკაცს იმხელა გავა და მუცელზე გადმოფენილი ძუძუები ჰქონდა, რომ ეჭვს არ ბადებდა მისი ასეთი ნაყოფიერება. ბედნიერ მამას თავი გაპუტულ ქათამს მიუგავდა, მისი გრძელი კისერი გასაოცარი სიმარდით იგრიხებოდა ყოველ მხარეს და სახეზე ძალით გამოწოვილი სიხარული ეხა-

ტა. „ნეტავი თქვენ რა გენაღვლებათ, მომავალში ყველაფერი ჩემი თავში სახეთქი იქნებაო" ამბობდა მისი გამოხედვა. თუმცა ქალაქის თავმა დაამშვიდა ოჯახის უფროსი და ხუთოთახიანი ბინის გასაღები გადასცა. ქალმა სიხარულით დაასწრო ქმარს და მისი სხეულისათვის შესაშური სიმარდით წამოხტა. ვეება ტანით გადაეფარა ყენიას და ლამაზ კოლოფში ბაფთით გაკრული გასაღები გულში ჩაიკრა. ქალაქის თავმა ბევრი ილაპარაკა მომავალზე, შობადობის აქტუალობაზე, მრავალშვილიანი დედების გამრავლებაზე, აღნიშნა, რომ საჭიროა ხელი შევუწყოთ ასეთ დიდ წამოწყებასო. ტაშით გააცილეს ქალაქის თავი. მართალია ამის შემდეგ არავის არაფერი გაუგია სქელგავიანი დედის დაბადებულ შვიდ შვილზე.

ხედავთ რა არ ხდება ამ ქვეყნად. მთელი ქალაქი მტრად გადაეკიდა ერთმანეთს... ყენიამდეც მივიდა ეს ხმები... მაგრამ არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მისი სიზმარივით ცხოვრება გაგრძელდა, თუმცა ახლა მიღებული სიცოცხლეც სხვისი იყო, არც ამით დაღონებულა, თავისი არაფერი ჰქონია ყენიას და ეს ამბავიც უნდა, რომ დაივიწყოს და დაივიწყებდა კიდეც, მაგრამ ერთხელ, აბაზანაში საბანაოდ გახდილმა, თავის თეთრ მომჩვარულ მუცელზე ჭიპთან პატარა ლობიოსხელა ლაქა შენიშნა. ჯერ იფიქრა, კანი გამიღიზიანდაო და ყურადღება არ მიუქცევია. მეორედ საცვალს რომ იცვამდა, მაშინ მოხვდა · თვალში პატარა სიწითლე ჭიპთან და გულმა რეჩხი უყო. ყოველდღე ძრწოლვით დაუწყო სინჯვა წითელ ლაქას და შეამჩნია, რომ ეზრდებოდა. უფრო და უფრო ხასხასა ფერს იღებდა, თითქოს მუცელში დანა დაურტყამთო. ადრე ყენიას ძალიან უყვარდა აბანოში ძმაკაცებთან ერთად ღრეობა და სახლში აუზი ჰქონდა გაკეთებული. წყალი დიდი ლომის ხახიდან ბალღამივით ილვრებოდა, ცენტურიონივით თეთრ ზეწარში გახვეული კაცი კი თავის დარდსა და წონას კარგავდა ამ თბილ, მარმარილოსაგან ათასფრად ალაპლაპებულ წყალში. ახლა, ამ თავის შეჩვეულ სიამოვნებაზეც უარი თქვა და ისევ სახლში ჩაიკეტა. ყველას და ყველაფერს სწყევლიდა, კუდიან ქალსაც და იმის ჯადოსნობასაც, თუმცა თვითონაც, არ იცოდა, რა ჯანდაბა უნდოდა ან ვის აბრალებდა თავის უბედურებას. საათობით გაშტერებული იჯდა და მუცელზე ისვამდა ხელს, მერე უაზროდ იწყებდა ჭამას და დიდხანს... დიდხანს... აბოყინებდა.

ერთგულმა მსახურებმა მაშინვე შეატყეს დარდი პატრონს და ერთ დილით აყეფებული „ვილისით" ესტუმრნენ. მანქანაში ძაღლების და ადამიანების ხროვა იყო, სანადიროდ ეპატიჟებოდნენ. კაკი უკვე შეეჩვია თავის ლაურას და ახსოვდა ყენიას სიკეთე. [illegible] მოისაზრა და მისი ახირებული [illegible] გასაფანტად, გადაწყვიტა სანადიროდ წაეყვანა, მაგრამ ქალაქის თავმა ისე შეუბღვირა და შეჰყვირა „თავიდან მომწყდიო", რომ კაკი და მისი „ვილისი" ისე გაქრა, თითქოს არც არსებულაო. მართალია ამის შემდეგ დიდხანს იტეხდა თავს საბრალო მსახური, ვერაფერს მივუხვდი პატრონსო, მაგრამ აბა რა იცოდა ყენიას მოურჩენელი ჭირის ამბავი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ვერ მიუხვდა მას გულის წადილს.

დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ ყენიამ ისევ ჯახანას მოუხმო თავისთან. ქალი მივიდა და ამაყად დადგა მის წინაშე, ყენიამ რაღაც ავისმომასწავებელი შენიშნა მასში... შენიშნა და შეეშინდა... გრძნეული მიხვდა მის დაბნეულობას და თვალებში ბოროტი ღიმილი აუელვარდა, მერე შფოთის მიზეზი ჰკითხა და ქალაქის თავის თეთრ მომჩვარულ მუცელზე ხელით მოსინჯა ტყირპი.

— ეს რას ნიშნავს? — ჰკითხა კაცმა.

— სულმა მოისურვა ასე.

— რას მიედ-მოედები, — რას ბოდავ, — იყვირა ყენიამ.

ჯახანას თითქოს ადუღებული წყალი გადაასხესო ისე შეკრთა და დაიძაბა. ხმა არ ამოუღია, მოცელილივით დაეშვა სკამზე. მერე თმის ბოლოებს მოეჭიდა თითებით და ძიძგნა დაუწყო.

— აკი ყოვლისშემძლე ბრძანდები, თუ შენ გგონია მართლა დავიჯერე შენი ზღაპრები. „სულმა მოისურვა", ვისმა სულმა, ეგებ ისიც მითხრა, — დასწვდა ქალს გაბუებულ თმაში და თავი ააწევინა. ჯახანას კისერთან სისხლძარღვები ცისფრად დაებერა და სახე დაეძაბა. წელანდელი მედიდურობა სადღაც უკვალოდ გაქრა და მის მაგივრად ძაღლური ერთგულება ჩაუსახლდა. ყენიას ესიამოვნა ასეთი უეცარი გარდაქმნა და შეშინებულ ქალს ვიგინდარასავით წამოარტყა თავში. მერე გადმოგდებული მუცელი ხელით აკრიფა და შარვალში ჩატენა. ჯახანას ეზიზღებოდა ეს გომბეშოსავით გასიებული და მომჩვარული კაცი, რომელსაც ადამიანური აღარაფერი შერჩენოდა. ყენიას ზედ არ შეუხედავს, ისე უთხრა, „ერთი თვის ვადას გაძლევ, როგორც გინდა ისე გააქრე ეს ტყირპი, დანარჩენს მერე გეტყვიო" და ოთახიდან გავიდა.

იმ დღის შემდეგ მოსვენება დაკარგა გრძნეულმა. ღამით ოფლში გაწურული იღვიძებდა. ერთხელ ისიც კი ესიზმრა, თითქოს სვანეთის გამოკეტილ სახლში იწვა და ღამურები ესია ტანზე, ჯიჯგნიდნენ და სისხლს წოვდნენ. დილით ისე აშკარად გრძნობდა ღამით გამოყოლილ ტკივილს, რომ დიდხანს ისვამდა ხელს თავის სხეულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთხოვნელები აღარ მოდიოდნენ, ჯერ ეგონა ყენიას ხრიკებიაო, მერე თვითონვე მიხვდა, რომ ხალხს შეუნელდა მისდამი ინტერესი და ქალაქში უკვე მოხუცების მეტი არავინ დარჩა. მისიანების სულები კი ისე შეეჩვიენ მასთან მოსვლას და ტაბლასთან ჯდომას, რომ დაუპატიჟებლადაც არ თაკილობდნენ სტუმრობას. განსაკუთრებით ბუბა ლადო მოდიოდა ხშირად, სიცოცხლეშიც უყვარდა სმა და ახლაც სულმოუთქმელად სცლიდა სასმისებს... მერე ფხანას იწყებდა. ჯახანას დედამისისაგან ახსოვდა, ახალგაზრდობაში ბღერი აწუხებდა ლადოსო. ერთი პირობა ქალმა ისიც იფიქრა, მოდი ძიას ვეტყვი ჩემს გასაჭირს, ეგებ დამეხმაროსო, მერე მიხვდა, წყლის ნაყვა იქნებოდა. დიდი ბაბუას შეწუხება არც უნდოდა და ეშინოდა კიდეც.

ამასობაში ყენიას ტყირპი გაბევრდა. კაცს ეჩვენებოდა, რომ ეს საზიზღარი სიწითლე დღეებით კი არა საათობით იზრდებოდა. მიცოცავდა ყველა მიმართულებით: ედებოდა ყოველ კუთხე-კუნჭულს, უვსებდა-ულებავდა ტანს და სიცოცხლეს უწამლავდა. ჯერ სულ სარკის წინ იდგა, უყურებდა ანარეკლს და ვერ იჯერებდა თავის უბედურებას, მერე სხვა სარკეში ამოწმებდა ერთხელ უკვე ნანახს. ბოლოს ისე შეძულდა სარკე, რომ მოეჩვენა, ჩემი უბედურების მიზეზი სწორედ ის არისო და განკარგულება გასცა მთელ ქალაქში მოესპოთ სარკეები. ჯერ ყველას გაუკვირდა მისი უცნაური ახირება და მაინცდამაინც ყური არ გაუბარტყუნებიათ. შემდეგ ამ ერთი შეხედვით უაზრო ბრძანებამ სასტიკი სახე მიიღო. ვისაც უნახავდნენ სარკეს, ქალაქის მოედანზე, სამკუთხა თეატრის წინ აშიშვლებდნენ და აკრავდნენ იმ ბოძზე, რომელიც ერთ დროს ელექტრომავთულების დასაჭიმად იყო გამოყენებული და შემთხვევით გადარჩა მოჭრას. მის ხელქვეითებსაც უკვირდათ მისი უაზრო ახირება, მაგრამ არაფერს იმჩნევდნენ და პირნათლად ასრულებდნენ თავის მოვალეობას. რადგან სარკის გატეხა სახლში სიკვდილის ნიშანი იყო, ყენიამ წინდახედულება გამოიჩინა და ბრძანა ქალაქის ერთ-ერთ უბანში დიდი ადგილი შემოეღობათ სარკეების დასამტვრევად. ხალხმა ეს თავისებურ ზრუნვად ჩასთვალა და მადლიერი დარჩა. ახლა უცნაური ნამსხვრევებით გატენილი სასაფლაო ათასფრად ბრჭყვიალებდა და ელავდა მზის სხივებზე. მართალია, მათთვის გაუგებარი დარჩა ქალაქის თავის ზრახვანი, მაგრამ გული მაინცდამაინც არ დასწყვეტიათ. სარკის წინ პრანჭვა-გრეხვა ახალგაზრდების საქმეა, ჩვენ აწი ამის გარეშეც იოლად გავალთო.

ერთხელ სარკეების სასაფლაოს ყენიაც ესტუმრა და შიშისაგან გაქვავდა, ამდენ მილიონ ნატეხში თავის ორეული [illegible] დაკუწული რომ დაინახა. ერთგან ცხვირი ჩანდა, მეორეგან თვალი და ა. შ. მეორედ აღარც მოსულა და არც ცდილა გაეხსენებინა ეს ადგილი, უფრო სწორედ უკვე ამის თავიც არ ჰქონდა. ყენიას სიწითლემ ყელთან ამოაღწია და თავისკენ გაცოცდა. ხელებზე დიდი ხანია ხელთათმანები ეცვა, აი სახეს რას უზამდა, არ იცოდა. სად დაიმალებოდა, ან ვის დაემალებოდა. ვილა გამოჩნდებოდა ტელევიზორის ეკრანებზე და მისცემდა შვებას და იმედს თავის ხალხს. სწორედ განწირულს დაებადა უცნაური სურვილი, ენახა ჯახანა და თვითონ გადაერჩინა თავისი თავი. რას მოსთხოვდა ან რას ეტყოდა, ჯერ თვითონაც არ იცოდა. და აი, დადგა გრძნეული მის წინაშე მორჩილი და მომლოდინე. მთელი ღამეები შიშით გაატარა. დატანჯა თავისი თავიც და ახალგაზრდა კუროც. თაყას ისე უყვარდა, როგორც არასდროს და მთელ თავის სურვილს აწურავდა მის უკვე ჭკნობაშეპარულ სხეულს. ჯახანასთვის მარტო ის იყო ყველაზე მახლობელი და მთელ თავის ჯავრსა და ბოღმას თაყაზე ანთხევდა.

ყენიამ თავისი არაფრისმთქმელი თვალებით შეხედა ქალს და შინაურივით გაუღიმა. მერე ახლოს მივიდა, მხარზე ხელი მოჰხვია და ფანჯარასთან მიიყვანა. კაცი ავისმომასწავებლად კეთილი იყო. ჯახანას უნებურად თავისი წუხანდელი სიზმარი გაახსენდა, ვითომ სვანეთის ძველ სახლში დედამ კისელი მოუხარშა პატარა ჯახანას და მაგიდაზე შემოდგა ქვაბით. დიდხანს უტრიალა გოგომ გარშემო, მერე ახსოვს, როგორ გამოჩნდა კარებში წითელი ბომბორა ძაღლი, კუდის ქიცინით მივიდა მაგიდასთან და წლობით გატკეპნილ სოხანეზე დაღვარა სქელი კისელი, გოგოს ჯერ შეეშინდა, მაგრამ ძაღლმა ისე კეთილად და შინაურულად გაუღიმა, რომ შიში სადღაც გაქრა და ორივემ, სიხარულით აღტაცებულებმა — ჯახანამ და ბომბორა ძაღლმა, სრიალი დაიწყეს ბლანტი სითხით მოსვრილ იატაკზე, თან გულიანად ხარხარებდნენ. დილით გამოღვიძებულს ჯერ კიდევ ახსოვდა ეს უცნაური სიზმარი და გაუკვირდა, როდის იყო დედაჩემი კისელს მიკეთებდაო.

ფანჯარასთან მდგარ ჯახანას, ყენიას ღიმილმა წუხელ ნანახი წითელი ბომბორა ძაღლი გაახსენა და შეკრთა.

— რა მოგივიდა? — შეეკითხა ქალაქის თავი ისე, რომ ხელი არ აუღია მისი მხრებიდან.

— არა, არაფერი, — სწრაფად ჩაილაპარაკა ქალმა და რაღაც ცუდის მოლოდინში თვალები დამალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი მეგონა ჩვენ მეგობრები ვიყავით! — სინანულით თქვა ყენიამ.

„რაო, მეგობრებიო! მერე ვინ ეუბნება ამას? ეს ოხერ-ტიალი? ქალს მოეჩვენა, რომ ყენიასთან ერთად გაცურდა კისელით მოთხვრილ სოხანეზე, როგორც იმ ბომბორა ძაღლთან ერთად დაცურავდა და გული შეეკუმშა.

— ოღონდაც თქვენ გეშველოთ რამე და სიცოცხლეს განაცვალებთ — ჩაილუღლუღა ჯახანამ.

— ეს კარგია... რა თქვი! სიცოცხლეს განაცვალებო? ეს კარგია... მე ვიცი, ჯახანა რომ კარგი დედაკაცი ხარ... მე ისიც ვიცი, რომ სახლში სარკე გაქვს ჩუმად შენახული და შიგ იყურები, გეშინია ისე არ დაბერდე, რომ ვერ შენიშნო?... ასეა, ხომ ასეა? მაგის დარდი ნუ გაქვს, შენზე კარგი და ახალგაზრდა ქალაქში აღარავინ დარჩა. ჩემი ქალიშვილის სიკვდილმა, მართალია, ჩემი ცოლიც გაამაგრა ჭირში სხვებივით, მაგრამ მოპარული ხილი ყოველთვის უფრო ტკბილია.

გრძნეულს ესმოდა ქალაქის თავის სიტყვები და ხვდებოდა მიუხვედრელს. ახლა მთელ ქვეყანაზე, განსაკუთრებით კი ამ ქალაქში, არავის ესმოდა ისე ერთმანეთის, როგორც ამ ორ ადამიანს. ყენია აეკრა, თავისი ხელთათმანებიანი თითებით მოიგდო ხელში მისი აფუებული მკერდი და ბურჯგნა დაუწყო. ქალს მთელი სხეული დაეძაბა და ცრემლები წნეხივით დააწვა ზემოდან.

— შენს მეტმა არავინ იცის, მაინც ჩემი გასაჭირი და ახლა შენს მეტიც ვერავინ გამიგებს. ხვდები რასაც გეუბნები?

მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა ჯახანამ რას უნდა დასთანხმებოდა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. უფრო სწორედ ვერც გაბედა... მხოლოდ იქ, აბანოში, აუზის პირას, დიდ მარმარილოს ტახტზე განოლილი მიხვდა თავის უბედურებას და დაინახა შიშველი გასიებული ტანი, გაუხეშებული წითელი კანი. კაცი ლოშნიდა და თავის უფლებებში სრულიად დაჯერებული, დინჯად უკავებდა ხელებს. ეს საშინელება სიზმრადაც კი არ ჩვენებია, ბომბორა ძაღლის ტანიც თითქოს თევზისებური წითელი ქერცლით დაიფარა და წნეხვით დააწვა ზემოდან.

— არა... არა, ოღონდაც ეს არა, — ემუდარებოდა, ყვიროდა ქალი. კაცს აღიზიანებდა ქალის ასეთი უსუსური წინააღმდეგობა და უფრო მეტი აღტკინებით განაგრძობდა თავის საქმეს, ერთი ორჯერ სილაც გააწნა. დიდხანს ქშენდა, ლოშნიდა და კაწრავდა თავისი ქერცლიანი ტანით ქალს. ბოლოს დიდი კმაყოფილება და შვება იგრძნო. ამ ხნის მანძილზე ეს იყო სიამოვნების პირველი შეგრძნება. ახლა იჯდა პირსახოცში გამოხვეული და ხელებს ბალნიან მკლავებზე ისვამდა. ჯახანა ეგდო ნაცემი, გაუბედურებული, მთელ ქვეყანაზე გულარეული.

„ეხლა ველარსად წამივა, ვერც იმ ნაპერწკლებს ამიკიაფებს თვალებში... რასაც ვეტყვი გააკეთებს", ფიქრობდა ყენია.

— კარგი ჯახანა, გეყოფა... მოდი შევრიგდეთ, — ხელით მოუფათურა პირაღმა დაგდებულ სხეულს. ქალი მოიკუნტა. — ჩვენი პირობა, იცოდე ძალაში რჩება. სანამ პასუხს არ მომიტან ყოველდღე ივლი აქ და ჩემს ჭირს შენ გაიზიარებ. ყველაფერი შენი ბრალია, იცოდე. თუ დამიჯერებ და გააკეთებ, რასაც გთხოვ, მაშინ გაგიშვებ და თავს დაგანებებ".

„ღმერთო, ოღონდაც ეს არა... ოღონდაც აქ არა..." მოსთქვამდა უცრემლოდ გრძნეული. ზიზღი და სიმყრალე ახრჩობდა. საროსკიპოშიც კი არ უგრძვნია ასეთი ზიზღი და დამცირება. რა სიმახინჯეა... როგორი აქოთებული სუნი აქვს პირში „რაც უნდა მთხოვოს გავაკეთებ... რა თქვა, გაგიშვებო? თავსაც დაგანებებო?".

— რაც გინდა მთხოვეთ, — წამოიკნავლა, — ყველაფერზე თანახმა ვარ.

— ჰი... ჰი... ჩაიქირქილა ყენიამ. — კარგია... კარგი, ვიცოდი, რომ დამთანხმდებოდი. თუმცა გულდასაწყვეტია, რომ ასე მალე...

მთელი ღამე ბორგავდა ჯახანა და ისევ ათას ჯანდაბას და უბედურებას ხედავდა სიზმარში. მთელი ღამე თაყა სველი პირსახოცით უმშრალებდა ტანს, აწყნარებდა და თან უკვირდა, რატომ ჰქონდა სხეული დაკაწრული ქალს.

მეორე დღეს საღამოს მოიწვია თავის სახლში, შუაცეცხლთან ქალაქის თავი. კუდიანმა დაირა აიღო და ცეკვა დაიწყო. ყენია იჯდა სავარძელში და მოლოდინით სული ელეოდა. შიშის ოფლი ასხამდა. თუ მომატყუა, გუშინდელზე უარესს ვუზამო, ის იყო გაიფიქრა, რომ კარი გაიღო და ოთახში უცნაური მოხუცი კოჭლობით შემოვიდა. ჯოხი კედელთან მიაყუდა და შუა ცეცხლს მიუჯდა, ხელები მიაფიცხა. ზაფხულის ჩახუთული საღამო იყო, მაგრამ ოთახში გრილოდა. ჭრიჭინა შემოპარულიყო და სადღაც კუთხეში შეუჩერებლად ჭრიჭინებდა. ყენიამ წარმოიდგინა ერთი ციდა მწერი ულვაშებგაშვერილი, როგორ იჯდა კუთხეში მიმალული და პირს აცმაცუნებდა. ჯახანამ ბაბუას რახი დაუსხა.

— ამ კაცის გულისთვის დამიძახე ჯახანა?

— კი, ბაბუა. ეს ის კაცია, მაშინ რომ...

— თავის შვილიშვილს ამოხადა სული?

— ბაბუა, შენი ჭირიმე...

ყენია მივიდა და წინ დაუჯდა მოხუცს. ჩააშტერდა, თან გაოცებული იყო, რომ არ აკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირვებდა ნანახი, თითქოს ასე იყო საჭირო და ისიც ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ შვიდი წლის წინ გარდაცვლილ მოხუცს ეჯდა წინ.

— მე და ჯახანა მეგობრები ვართ, ერთი გზა გვაქვს ცხოვრებაში და ერთი საქმე. მე თუ რამე მომივიდა, მოხუცო, იცოდე, არც ამას დაადგება კარგი დღე, — ყენიამ პერანგი გაიღელა და აჩვენა თავისი სიწითლე, — ჩემზე წინ ამას გავისტუმრებ იცოდე.

ბაბუამ თავი ჩაქინდრა და აუღელვებლად უთხრა:

— მერე ხომ შეგპირდა, შენი გულისათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებო, ჰოდა იყოს ისე, როგორც ჯახანამ გადასწყვიტა...

— რას ამბობ ბაბუა...

— მე ვიცი, რასაც ვამბობ. გამყიდველს ყიდვაც უნდა შეეძლოს. კახპა ქალის სული კი ძალიან იაფია, იცოდე. შენ კი ქალაქის თავო, ოციცხლე, სანამ არ მოგბეზრდება და მობეზრებული არ მიხვალ შენივე ხელით გაკეთებულ სასაფლაოზე. ყველას შენი ბედი ეწევა, ვინც შენს ადგილზე მოვა.

მოხუცი ისე წავიდა, არც ერთს არ გაუგია. ჯახანა ჩამქრალ შუაცეცხლთან იჯდა და ქსუტუნებდა. ყენია გამოერკვა, წამოდგა, კერიას ჩააფურთხა, უწმაწურად შეიგინა, ქალს ფერდში წიხლი ჰკრა, გვერდზე გადააგდო და სიბნელეში გაუჩინარდა.

დილით თაყამ ჯახანას უსიცოცხლო სხეული იპოვნა და მწარედ დაიტირა. ისევ გაახსენა თავი მთვარემ და დააწყებინა ბოდიალი სახლის სახურავებზე. ხანდახან ქალის საფლავსაც აკითხავდა და მიწიდან ამომძვრალ დიდ თხუნელასავით ჯდებოდა ღამით საფლავის პატარა გორაკთან.

გავიდა ხანი. ქალაქში ცხოვრება გაგრძელდა. მართალია, ქალაქის თავი ახლა მარტო გაზეთის ფურცლებზე ჩნდებოდა და რატომღაც ერთი და იგივე ფოტოები ხშირად მეორდებოდა. ქალაქში ხმები დადიოდა: ქალაქის თავი დიდი ხანია სიკვდილის პირზეა მისული და ერთი და იგივე სურათებს იმიტომ ბეჭდავენო. სამაგიეროდ, ტელევიზორში ხშირად გამოდიოდა ბატონი კაკი, რომელსაც ბოლო ხანებში თვალების სიელმე გაუქრა და მის მაგივრად კეთილი ღიმილი გადაეფინა სახეზე. ხმები დადიოდა, თაყას ხელი ურევია მისი თვალების გასწორებაშიო. ლაურასა და კაკის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მხოლოდ ის აკვირვებდათ, დღითი დღე რატომ იზრდებოდა უცნაური სიწითლე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ლობიოსხელა ლაქასავით გამოაჩნდა ჭიპთან, მაგრამ თვალების მოულოდნელი გასწორება და ქალაქის თავად დანიშვნა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ამ ლაქას არც კი ნაღვლობდნენ. მხოლოდ თაყა გრძნობდა რაღაც ავისმომასწავებელს მის სიწითლეში.

ამ პატარა ქალაქში სიბერემ გაახშირა სიკვდილიანობა. დაბადებით, დიდი ხანია, არავინ იბადებოდა, სამაგიეროდ, სასაფლაო იზრდებოდა დღითი-დღე. მარტოდ დარჩენილები პირდაპირ ოთახებში იხრწნებოდნენ. სანამ დანარჩენ მოხუცებს ძალა შესწევდათ, ასაფლავებდნენ, მერე ისე მომრავლდნენ მარტოხელები და ქუჩაში დაცემულები, რომ პირდაპირ სამკუთხა თეატრის წინ გათხრილ ორმოებში ყრიდნენ. ფერად-ფერადი თევზების ნაცვლად აუზში ახლა ათასფრად აბრჭყვიალებული მსხვილი ბუზები დაფათურობდნენ. ირგვლივ სიმყრალე ხუთავდა ხალხს. დაჩაჩანაკებული მოხუცებისა და სიკვდილის გარდა არავინ დადიოდა ქუჩებში. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როდესაც ერთ დღეს სარკის ნამსხვრევებზე იპოვეს დაჭრილ-დასერილი ვილაც უცნობის სხეული. ყველა გააკვირვა მისმა უცნაურმა სიწითლემ. ბევრი არც უფიქრიათ მის ვინაობაზე. დასაფლავებითაც კი ვერ დაასაფლავეს, რადგან ვერავინ გაბედა მოხუცებულთაგან ბრჭყვიალა შუშის გორაზე ასვლა, თან უკვირდათ, იქ რამ აიყვანაო და დატოვეს დაუსაფლავებელი.

დღესაც სადღაც არასებობს ეს საშინელი ცარიელი ქალაქი და მის უკაცრიელ ქუჩებში დღესაც დაეხეტება მთვარეული. ამბობენ, ამ უცნაურ ლამაზ ბიჭს ხელებში გრძნეული სული უზის და კუდიანობაც შეუძლიაო, იმასაც ამბობენ — თუკი ვინმე მონახავს და ჰკითხავს თავის ბედს, მომავალს უწინასწარმეტყველებს და სიცოცხლესაც გაუხანგრძლივებსო.

## თხუნელების სამეფო

ადამიანი, რომელიც ახლა უძრავად ინვანოხგადაფარებულ ტახტზე, წუხელ გარდაიცვალა. რამდენიმე საათში ამ ამბავს მთელი ქვეყანა შეიტყობს და ყველას დაუჯერებლად მოეჩვენება მისი სიკვდილი. რატომ? იმიტომ, რომ ღმერთები არ კვდებიან. ამ ადამიანმა დიდი ხანია ყველას დააჯერა თავისი უნაკლობა. მისი მხოლოდ სწამდათ. ერთად ერთი რაც არ უქნია, არასოდეს ცდილა ვინმე დაერწმუნებინა უკვდავი ვარო, მაგრამ რადგან უნაკლო იყო და მისი მხოლოდ სწამდათ, ადამიანებმა თვითონ დაიჯერეს მისი მარა-

დიულობა. ყოველთვის სასიხარულოა, როდესაც ხალხის კეთილდღეობაზე სხვა ფიქრობს, თავიდან აცილებს ყოველგვარ საზრუნავს... აბა, ასეთი კაცის სიკვდილი ვის არ დაალონებდა? ნასყიდასათვის, ასე ერქვა ამ ღმერთკაცს, ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი სიცოცხლეში, სიკვდილის მერეც საათებით და წუთებით არის ყველაფერი დაზუსტებული. მაგალითად, უკვე იციან, როდის დანიშნავენ პანაშვიდს, ვინ და რამდენი ადამიანი მოვა გამოსამშვიდობებლად, რომელ საათზე გამოასვენებენ და რამდენ წუთში მიიტანენ სასაფლაომდე, მერე ვინ იტყვის, თუ რამდენ წუთიანი იქნება ეს სიტყვა... მოკლედ, ყველაფერი ცნობილია. მთავარია, ახლა ხალხი დააჯერონ, რომ მისი სიკვდილით მათი კეთილდღეობა არ დამთავრებულა და ასევე გაგრძელდება მომავალშიც. ამ დალოცვილს სიცოცხლეშივე ეფიქრა და თავისი საქმე-საზრუნავი ვინმესთვის გადაებარებინა, კარგი იყო, მაგრამ რას იზამ... არა ქნა. ისე, არც ელოდებოდა სიკვდილს... რა იცოდა, რომ ასე მალე მოელებოდა ბოლო. ახლა იწვა მედიდური, მიუკარებელი, როგორც ყოველთვის და არავინ იცოდა მისი პირადი ექიმის გარდა, ნასყიდას გასაჭირი. ბოლო ხანებში წმინდა ვიტტას ავადმყოფობა აღმოაჩნდა და ისედაც ხანში შესულს ერთიანად დარია ხელი...

საბოლოოდ დააბერა და დააჩაჩანაკა. აქამდე არც კი გაეგო ასეთი ავადმყოფობა თუ არსებობდა და დასწყევლა თავისი გაჩენა და წმინდა ვიტტა, რომელმაც თავგზა აუბნია. ჯერ მოძრაობის უნარი წაართვა, ხელის აწევას ცდილობდა და ფეხი ეწეოდა ზევით. წამოდგომას მოინდომებდა და მუხლები ეკეცებოდა. სხეულს ველარ ერეოდა. ტანის თითოეული ნაწილი იმას სჩადიოდა, რაც თვითონ ეპრიანებოდა. ყველაფერი გაუუცხოვდა, გაუორდა, თითქოს სხვისი იყო. სხეული გონებას აღარ ემორჩილებოდა, აცაბაცად გაურბოდა... და მერე ვის გონებას, ღმერთკაცისას, რომელმაც მთელი ქვეყანა დაიმორჩილა. სიკვდილის წინ ერთიანად აცახცახდა, ატოკდა და ექიმმა ბოლომდე ვერ გაბედა ეთქვა, რომ ეს ავადმყოფობა სწორედ „წმინდა ვიტტას ცეკვის" სახელით იყო ცნობილი...

კიდევ ერთი რამ იყო ყველასაგან დამალული, ღმერთკაცს ერთი შვილი ჰყავდა და ისიც ჯუჯა. პირველად იმედი ჰქონდა გაიზრდებაო და მკურნალობდნენ, მაგრამ როდესაც დაინახა საშველი არსაიდან იყო, გადამალა ცხრა მთას იქით, ცხრაკლიტულში ჩაჰკეტა და ცხრა ერთგული მსახური მიუჩინა, თანაც ბოლომით აივსო, „ქათმის სკინტი" შეარქვა და მთელი თავისი ღვარძლი ჩააქსოვა ამ ზედმეტ სახელში.

დაკრძალვის დღეს დიდი ბრბო მოაწყდა მოედანს, ხალხით გაიჭედა საქ[illegible]რბაზებიც. ყველას თავისი [illegible] ენახა ღმერთკაცი და გამოსთხოვებოდა. ცოცხალი ცოტას თუ ენახა. ხმები დადიოდა, მიცვალებულს თავზე შარავანდედი ადგასო და ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა. ყველამ იცოდა, რომ ნასყიდას ოქროს კბილები ჰქონდა დედის მუცლიდან გამოყოლილი. მართალია, ზოგი ამბობდა, ოქროს კბილების პროტეზი აქვს ჩადგმულიო, მაგრამ მათ შური ალაპარაკებდათ. მაშ, უბრალო მოკვდავი ხომ არ უქადაგებდა ხალხს იმ ოთხ მცნებას, რომელიც ეხმარებოდათ ცხოვრების აზრის შეცნობას.

პირველი მცნება ლალადებდა მოყვასის სიყვარულს და კაცთა კვლას, თუკი ამას მოყვასის სიყვარული მოითხოვდა; მეორე მცნება ქადაგებდა ერთგულებას, მაგრამ არა მინდობას, რამეთუ ადამიანი ვერასოდეს შეიცნობს ბოლომდე საკუთარ თავს; მესამე მცნება მოუწოდებდა სულის დასახსნელად ყველაზე საშინელი არარსებული ცოდვის აღიარებას და სიბინძურეში ამოსვრას განსაწმენდად, თუ კი ამას ხალხი მოითხოვდა; ვინც ამ სამ მცნებას შეისისხლხორცებდა, მეოთხეს თვითონვე ირწმუნებდა, სწორედ ეს მეოთხე მცნება პირდებოდა და მოუწოდებდა ცხოვრებას სიმშვიდესა და ნეტარებაში, რამეთუ ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება. აჰა, თქვენ მზამზარეული ოთხი მცნება. არავინ შეხედოთ ეჭვის თვალით. ისწავლეთ ზეპირად და შეითვისეთ, დანარჩენი თავისთავად იქმნება მომავალში. მხოლოდ მას, ღმერთკაცს შეუძლია ასწავლოს ადამიანებს სიკეთე და დაანახოს ბოროტება, აბა რის ღმერთკაცია, ეს თუ ვერ შესძლო. მართალია, ზოგი ურჩობდა და არაფრად დაგიდევდათ ამ მცნებებს... ურწმუნოები...! მაგრამ იმათაც რა ნახეს, წააგეს თუ არა ცხოვრება გლახუკასავით. მათხოვარი! კრიჭაში ჩაუდგა. როგორ შეცდა, იყო დრო მეგობარს უწოდებდა, კაცი ეგონა. იმან კი იქით დაუწყო ჭკუის სწავლება... ქალაჩუნა! ადამიანებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, მისდიონ ნასყიდას მცნებებს თუ არაო. სულელი! აბა ხალხმა რა იცის, რა უნდა... მაგრამ გლახუკა ცბიერი კაცი გამოდგა. თვითონ უნდოდა პირველობა, აი რა. იმიტომაც უარყო ნასყიდას მცნებები, რომ ხალხისთვის თავს მოეხვია საკუთარი აზრები, მაშ, ეგრე გააფთრებით რას ებრძოდა?

დაიჭირეთ... გაჩხრიკეთ... სად გადამალა თავისი მცნებები... ააა ვერაფერი უპოვნეთ? პირუტყვებო! ამას რა მნიშვნელობა აქვს. მაშ თავში, გონებაში ჰქონია დამალული და ჩაჭედილი. ჯერ ვერ მოასწრო ქაღალდზე გადატანა, მაგრამ ენა ხომ გონების მორჩილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიტომაც ლაქლაქებს ამდენს. კიდევ ერთხელ გაჩხრიკეთ... დაიჭირეთ და გაასახლეთ! ვინც უსმენდა და იმახსოვრებდა მის ნათქვამს, ისიც უკან მიაყოლეთ. არა უშავს, ცოტა ხანს იმუშაონ და სულელი აზრები თავისით გამოებერტყებათ თავიდან...

და გარეკეს ათასობით... მილიონობით ადამიანი სიცივეში... ყინვაში... შორს. ერთ გლახუკას ამდენი კაცი როგორ მოუსმენდა, ან სად და როდის ნახავდა ყოველ მათგანს?... ამას მნიშვნელობა არა აქვს. გლახუკამ ერთს ასწავლა... იმან სხვას და ასე დაიწამლა ხალხი. ახლა იმუშავეთ ყოველ ცისმარე დილით. მოსჭერით ხეები, დაანთეთ უზარმაზარი კოცონები და ვეებერთელა ქვაბებში გაადნეთ თოვლი, რომ მერე ისევ უკან გადმოასხათ წყლად ქცეული... და ამ მუშაობით დაქანცული, უჭმელობით დასუსტებული ადამიანები ძლივს დახოხავენ. შიმშილისაგან, ყინვისაგან ძვლებგამოხრულებს სურავანდი დაერიათ და რაც ხორცი შერჩათ, ისიც ჩირქიანმა წყლულებმა გამოსჭამათ. თმა და კბილები დიდი ხანია დასცვივდათ და ვინც საზარელ სიკვდილს გადარჩა, ისინიც იხვეწებოდნენ, ოღონდ სახლში გაგვიშვით და ოთხი მცნების ერთგული მიმდევრები ვიქნებითო... დასწყევლეს გლახუკა და მისი გაჩენის დღე...

ნასყიდამ გადაწყვიტა სულგრძელობა გამოეჩინა, შეეწყნარებინა „მტრები" და უკან დააბრუნა გლახუკასთან ერთად, ვინც გადარჩა. ასეთ გასაცოდავებულ დღეში მყოფი „მტრები" რომ ნახეს, ხალხს გული აუჩუყდა, მაინც ადამიანის შვილები არიანო.. შეცდნენ, მაგრამ მაინც ხომ გამოსწორდნენო და აპატიეს...

ბედშავებმა თავიდან ისწავლეს ჭამა და სიარული. ჯერ პატარა ბალღებივით რძესა წოვდნენ საწოვრებიდან... მერე ფოლადის კბილები ჩაიდგეს, პროტეზები გაიკეთეს, რომ საჭმელი ადამიანურად ელეჭათ... თითქოს ყველაფერი მიწყნარდა... მაგრამ ნასყიდამ იცოდა ეს ყველაფერი დროებითი იყო... ისიც იცოდა, რომ ამ უკანდაბრუნებულ ხალხს გონებას ვერ ამოურეცხავდა და ვერ დაავიწყებდა, რაც თავს გარდახდათ... მითუმეტეს, აქა-იქ, მართალია, შიშით და მალვით, მაგრამ მაინც ყვებოდნენ თავიანთ ამბავს. ამის შემდეგ ზოგს კიდევ უფრო შეეპარა ეჭვი მის მართლმოქმედებაში. ნასყიდა გრძნობდა, რომ სადღაც, იქვე მახლობლად, ღამღამობით თავის საძინებელ ოთახში უძილობისაგან გათანგული გლახუკა, ვინ იცის, მერამდენედ ხედავდა ძილში თუ ღვიძილში უზარმაზარ კოცონებზე შემომდგარ ქვაბებს, რომლებშიც თოვლი დნებოდა, სურდა და ეჩვენებოდ რომ იმ მდუღარეში ადამიანები იხარშებოდნენ... სიმწრისაგან თავის ფოლადის კბილებს აკრაჭუნებდა... ნასყიდას თითქოს ესმოდა მისი კბილების ღრჭიალი და იცოდა, რომ გლახუკა შესაფერ დროს ელოდა და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, გასრესდა... გააქრობდა.., ეშინოდა მისი... ხო, ხო, ეშინოდა. გრძნობდა, რომ მტერი იქვე იყო სადღაც მიმალული და ელოდა.. ჩუმად უთხრიდა მიწას და ელოდა. მისი აზრით მტერს მხოლოდ მიწის ქვეშ შეეძლო ცხოვრება... იცოდა, რაღაც უნდა მოემოქმედებინა, უნდა გაექრო, მოესპო ეს მტერი... საკუთარი შვილიც კი არ დაინდო, ცხრა მთას იქით მყოფი, რომელსაც ცხრა მსახური იცავდა და რომელთანაც ბუზიც კი ვერ შეფრინდებოდა, მისი ნებართვის გარეშე ჩუმად მოაკვლევინა და მერე გლახუკას დააბრალა. მალე ყველამ თავისი თვალით ნახა და საკუთარი ყურით მოისმინა, დამახინჯებულმა, თვალებდათხრილმა „მტერმა", რომელსაც მხოლოდ ენა დაუტოვეს, როგორ აღიარა დანაშაული: ყველას უამბო, რატომ მოჰკლა ნასყიდას შვილი. ამის შემდეგ ერთგულ მიმდევართა რიცხვი გაუათდა... გაუასდა ნასყიდას. თავიანთი სულის დასახსნელად აღიარებდნენ არარსებულ ცოდვებს და სიბინძურეში ცურავდნენ განსაწმენდად. მაგრამ მათ არც ამან უშველა, ყველა ფოლადის კბილებიანი გლახუკას მიმდევრებად აღიარეს და თავიანთი მოძღვრის გზას გაუყენეს. ბევრი საკუთარი ხელებით იგლეჯდა ფოლადის კბილებს, მაგრამ ნასყიდას ერთგული მსახურების მოტყუება ძნელი იყო. ამათ კიდევ მრავლად მიემატათ იმ დამსმენთა რიცხვიც, რომლებიც სულის განსაწმენდად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ... ცოდნით კი არავინ იცოდა, რომ ღმერთკაცის შვილი ჯუჯა იყო და მამამისი გულის მოსაფხანად „ქათმის სკინტს" ეძახდა. არც ის იცოდა ვინმემ, რომ ნასყიდას დიდი ხანია თავისი კბილები აღარ ჰქონდა და სხვებისაგან განსხვავებით ოქროს კბილების პროტეზი მხოლოდ მას, ღმერთკაცს ჩაუდგეს.

მაშ ასე, დაკრძალვის დღეს ყველა მისი ერთგული მიმდევარი აქ იყო, მოედანზე. მართალია, მათი რიცხვი უფრო დიდი აღმოჩნდა ვიდრე ელოდნენ და ამან ცოტა უხერხული არეულ-დარეულობა გამოიწვია. ყველას უნდოდა ახლოს მისულიყო და თავისი თვალით ენახა შარავანდედიანი მფარველყოფილი, მოედანზე გამოტანილი კუბო კი არ მიჰქონდათ, პირდაპირ თავებზე მიცურავდა. სამგლოვიაროდ გამოწყობილი ადამიანები ამღვრეული წყალივით თავისუფლად მიედინებოდა ქუჩაში, მაგრამ პროცესია მალე სასაფლაოს ვიწრო ყელში გაიჭედა,.. დაგუბდა, კედლებს მიაწყდა და გასასვლელს დაუწყო ძებნა. ხალხი ერთმანეთში აირია.

ხალხმა ვერ მოახერხა დროულად შეჩერება. და დაიწყო... ჯგლეთა. ტევა აღარ იყო და ატყდა ხოცვა-ჟლეტა.

ადამიანებო! შესდექით რას სჩადიხართ...? რასა იქმით?... ჰე... ჰე... მაშ, რა ჰქნან, ჭედვაა და გამოსავალი ვერ მოუნახავთ. ასე იცის სიყვარულმა და თავდადებამ ერთგული მოყვასისადმი ეს პირველი და მეორე მცნება თქვენი ახალი სახარებისა, რაო?... რაო...? კაცთა კვლა თუკი ამას სიყვარული მოითხოვსო და აჰა, აღსრულდა მისი უკანასკნელი სურვილი; ახლა თქვენს ნაცვლად ღმერთკაცი გასცემს პასუხს თავის ღმერთს იმ ქვეყნად, ამის დარდი ნუ გაქვთ. ის კი ნამდვილად საწყენია, რომ ზუსტად დათქმულ დროს ვერ მოასწრეს მისი დამარხვა, ძველ ზარბაზნებთან ერთად ზეცამაც დაიქუხა და თქეში წამოვიდა. წვიმდა კოკისპირულად. რამდენიმე წუთში რბილი მიწა ტალახად იქცა და ეს გაჭედილი ხალხის მასაც ერთიანად გაშავდა. მიწაზე დანთხეული სისხლიც კი შავად აელვარდა. წუმპეში ამოვლებულები, დასრიალებულები კიდევ უფრო შეეზილნენ ტალახს და გასრესილების რიცხვი გაორდა... გასამდა... მათი კივილი ზეცას წვდებოდა და ისიც პასუხად ჭექა-ქუხილს უბრუნებდა... სასაფლაო დაიტბორა, წყალი ახლადგათხრილ საფლავშიც ჩადგა. ზემოდან აფარებდნენ, მაგრამ არაფერი შველოდა. სწრაფად შეუდგნენ წყლის ხაპვას სამარიდან, მაგრამ ვერ ამოხაპეს. იქვე მდგომ მძლეოსნებს სიჩქარეში საგულდაგულოდ დაჭედილი კუბო ხელიდან დაუსხლტათ და კუბომ წყალში ტყაპანი მოადინა... აი, ჩაძირვით კი არ ჩაიძირა, ზემოდან დაიწყო ტივტივი. ამას კი ნამდვილად არავინ მოელოდა, არც არავის გაუთვალისწინებია, მიწას ვერ აყრიდნენ, რადგან კუბო მიწაში არ იდო, ჩაძირვით კი არ იძირებოდა. ზემოდან მის დაყურყუმალავებას ვერ ბედავდნენ... წვიმა კი არ ჩერდებოდა, მიწაც თიხასავით აიზილა... სხვა გზა არ იყო და დიდი ლოდი მოათრიეს, ზემოდან დაადეს და კუბოს ნელა, ბუყბუყით დაიწყო დაძირვა... ახლოს მდგომებს სისხლი გაეყინათ ძარღვებში.

ძველი ხაშხაშების სასაფლაოა, სადაც ნასყიდა დაასაფლავეს, მთელი ერთი კვირა წმინდეს ტალახში და მტვერში არეული ადამიანების ნარჩენებისაგან. ბევრი ისე იყო დაჭეჭყილი, რომ ვერც კი აკრიფეს, იქვე ჩამარხეს და მიაყარეს მიწა.

სასაფლაო აკრძალული ზონა იყო ყველასათვის, რადგან აქ მხოლოდ რჩეულები განისვენებდნენ. ახლა მითუმეტეს ჩარაზეს და ჩაჰკეტეს.

ორმოცი დღის შემდეგ მესაფლავე სანდრომ მძიმე ალაყაფის კარები გადარაზა და მისი ჩვეული ცხოვრება თავის კალაპოტს დაუბრუნდა. სანდრო ადრე ქურ[illegible] და ციხიდან გამოსვლის მ[illegible] ვერაფერს მოიპარავსო. ჰმ,.. შეცდნენ და მერე როგორ, სანდროს თავისი ცხოვრების წესი და რიგი აქვს. ის იყო ახლა ამ სასაფლაოს ბატონიც და პატრონიც... ხმელი იყო, მელოტი, სპილენძისფერი სახე ჰქონდა და უცნაურად ჩაცვენილი ყბები. ყველა მკვდრების ყარაულს ეძახდა და გავდა კიდეც. სანდრომ სიტყვა საქმედ აქცია და ცნებათა ბევრ ერთგულ მიმდევარს დახმარების ხელი გაუწოდა. ჯერ სასაფლაოს ერთი ნაწილი ხაშხაშებისგან გაწმინდა და ყურძნის ტალავერი გააშენა. აქ მოწეულ ყურძნისგან ღვინოსაც აყენებდა და არაყსაც ხდიდა. მერე ამას ყველაფერს ყიდიდა. სვით... ღმერთმა შეგარგოთ...!

ერთი სიტყვით, ცხოვრობდა სანდრო თავისთვის, მშვიდად, სანამ ერთხელ ნასყიდას სასაფლაოზე უცნაურ ხვრელს არ წააწყდა. ჯერ ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მალე შიშმა შეიპყრო, როდესაც შენიშნა, რომ ეს ხვრელი გადიდდა, მალე დანარჩენ საფლავებსაც ასეთივე, მხოლოდ შედარებით პატარა ორმოები გაუჩნდათ. სანდრომ მიწა მიაყარა, დატკეპნა, მაგრამ ამაოდ. დილით ისევ გაითხარა ხვრელები. ღმერთმა კი დასწყევლოს! ვინ იცის, რომელმა ეშმაკმა დაიბუდა სასაფლაოზე. თანაც ყველაფერი ნასყიდას დამარხვის მერე დაიწყო. ახლა ნამდვილად შეშინდა. წავიდეს და განაცხადოს ამ ხვრელების ამბავი? იცოდა, არ აპატიებდნენ, მას დაადანაშაულებდნენ და, როგორც არასასიამოვნო ამბის მოწმეს, მოსპობდნენ... არ ეთქვა და, შიშისაგან გული ელეოდა. ის ვილაც თუ რაღაც მის უიმედო, გამოუვალ მდგომარეობას ხედავდა და კიდევ უფრო გაბედულად მოქმედებდა. უკვე სანდროს სახლსაც მიუახლოვდა. კაცი გრძნობდა, რომ „ის“ იქვე მახლობლად იყო და დაჟინებით უთვალთვალებდა...

ასეც იყო, როგორც კი შიშისგან დაღლილ სანდროს ჩაეძინებოდა, თავის ჩაკეტილ-ჩარაზულ სახლში, ნასყიდას საფლავის ხვრელიდან რუხი ფერის ცხოველი ფრთხილად... ქურდულად ამოდიოდა... ააა... როგორც იქნა ამოაღწია...! როგორც იქნა ჩაყლაპა ჰაერი.

მაგრამ ზევით მაინც საშიშია, აქ ნახევრად ბრმასა და ყრუს ნებისმიერი დაჩაგრავს და მოერევა. ისე მოკლავენ, თავის დაცვასაც ვერ მოახერხებს. ამ მკვდრების ყარაულმაც თავი გააბეზრა, მაგრამ იმასაც მალე მოუვლის... მიწაში, ლაბირინთებით დახლართულ სოროში უფრო საიმედოდ გრძნობს თავს. ადვილად ვერავინ გაბედავს მის ბუნაგში შეძრომას და დაპატრონებას. პირველად უჭირდა მიწის ქვეშ ძრომიალი და ცოცვა; ჩამობნელებულ, ნესტიან დერეფნებში ავისმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავებელი სიჩუმე იდგა და ისედაც მარტოს გულს უძრავდა. მაგრამ მალე შეითვისა თხუნელების წესი, ყოველი თავისი თავის პატივისმცემელი თხუნელა მარტო უნდა ცხოვრობდეს! აბა, მაშ რისი თხუნელაა. თუ გინდა მშიერი არ დარჩე და ძალა არ გამოგელიოს, იცოდე, ლუკმის გამყოფი არ უნდა გყავდეს. მარტო შენი თავის იმედი უნდა გქონდეს და გუმანი არ უნდა გღალატობდეს, რომ წინასწარ იყნოსო მოწინააღმდეგე. სწორედ ამ გუმანმა მიანიშნა ჩვენს თხუნელას, ფრთხილად იყავი, აქვე, შენს მახლობლად დერეფანი ითხრებაო. სმენით არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა... მთელი ტანით გრძნობდა მის სუნსაც და ხმასაც. დიდ თხუნელას ყველაზე ნოყიერი, ჭიაღუებით გავსებული მიწის ნაკვეთი შეახვედრა ღმერთმა. ეს იმის შემდეგ მომრავლდნენ მატლები, რაც მიწა ადამიანების სისხლით მოირწყო და ნარჩენებისაგან განოყივრდა. ღმერთმა თხუნელებს ჭამის, ძილის და მიწის თხრის გარდა არაფერი დააბედა... ამიტომაც გაზარდა ათასი ჭიებით გამოტენილმა მიწის ნაკვეთმა ჩვენი თხუნელა ასეთი დიდი და ძლიერი. დანარჩენები გრძნობდნენ, რომ სასაფლაოს აქეთა მიწა ბარაქიანი იყო, აშლილ მადას ვერ ერეოდნენ და ნელ-ნელა ეპარებოდნენ. ვერა... ვერ მიართვეს! გრძნობს დიდი თხუნელა, რომ ფრთხილად უნდა იყოს. მართლაც დიდხანს არ ულოდინებია თავის წინათგრძნობას. საძინებელ, თბილ სოროში კედელი გაირღვა და ბეწვგაცვენილმა, კბილებდაკრეჭილმა თხუნელამ თავისი ტანით ფრთხილად მისწი-მოსწია მიწა. დიდმა იცნო გაქუცული... ყოველთვის გაქუცული იყო და ბოლომდე ასეთად დარჩა. ყოველთვის შურდა დიდის, ცდილობდა უკნიდან მიპარვოდა, მაგრამ ვერ მიართვეს... ეტყობა დაავიწყდა მისი ძალა. დიდმა დაუნდობელი სიავე ჩაიყენა თავის ნახევრად ჩამქრალ თვალებში და მოწინააღმდეგემ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე დაეტაკა თავისი ძლიერი, ნიჩბისებური თათებით. იღრინებოდნენ, ბეწვი კისრებთან ყალყზე დაუდგა ორივეს. დერეფანი ვიწრო იყო ბნელი. ბრძოლას ის მოიგებდა ვინც დაასწრებდა, რა თქმა უნდა, დიდმა იმარჯვა. დაუნდობლად სწვდა ყანყრატოში და გაგუდა... გაქუცული მხოლოდ ფეხებს ასავსავებდა... ახლა ეგდო დაგლეჯილი და გასისხლიანებული. დიდმა სწრაფად დაიწყო ახალი დერეფნის თხრა, რომ ლეში გარეთ გაეტანა და გადაეგდო. თავის ჯიშისას არც ხორცსა სჭამდა და არც სისხლსა სვამდა. ასეთი იყო თხუნელების წესი. ნიჩბისებური თათები მიწას სწრაფად ღრუტნიდნენ და ტკეპნიდნენ. ძალა, რომ არ გამოლეოდა და არ დასუსტებულიყო, გზადაგზა ჭიებს, მატლებს ძიძგნიდა და სანსლავდა. დროს ახლაც არ კარგავდა უქმად. თან ჭამდა, თან თხრიდა... ბოლოს, როგორც იქნა, დაგლეჯილი ლეში ზევით აათრია და სოროსგან მოშორებით დააგდო. შეეძლო ამდენი არ ენვალა და პირდაპირ დერეფანში ჩაემარხა ან ამოექოლა, მაგრამ ვერ მიართვეს, თავის სოროს ამ გაქუცულის გულისათვის არ ჩამოანგრევდა... პირიქით ახლა უკვე ის, დიდი იყო გაქუცულის ლაბირინთების ბატონიცა და პატრონიც...

თხუნელამ ფრთხილად შეჰყო ცხვირი შემოერთებულ სოროში. კარგა ხანს ყნოსა იქაურობა, ვინმე თავს არ დამესხას მოულოდნელადო,—მართალია, დიდმა მშვენივრად იცოდა, რომ აქ არავინ იყო, მაინც ფრთხილობდა, რადგან ასეთია მისი ჯილაგის წესი.

ყოველი თხუნელა მარტოობისთვისაა განწირული. მთელი მათი ცხოვრება მხოლოდ თხრა, ძილი და ჭამაა. დიდმა კარგად შეითვისა ბუნების ეს დაუწერელი კანონი, რომელიც საუკუნეების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით იყო გამომუშავებული. თუ გინდა ძლიერი გახდე, ბევრი თხარო სარჩოს მოსაპოვებლად, ლუკმის გამყოფი არ უნდა გყავდეს. მხოლოდ გაზაფხულზე იღვიძებს ჭამაზე ძლიერი ინსტიქტი გამრავლებისა და მაშინ ყოველი თხუნელა პოულობს თავის მეორე ნახევარს, სულ რამდენიმე თვით, რომ მისივე მსგავსი გაამრავლოს. ახლა დიდს უკვე მოზრდილი სორო ჰქონდა გამზადებული მომავალი ნაშიერისათვის. მალე, დედალი თხუნელა მუდო მოძებნა. სუნით მიაგნო, მოიპატიჟა... მოეფერა, მიეტმასნა. მუდოს მოეწონა თბილი და რბილი ბუნაგი, რომელშიც ასე მრავლად დაფათურობდნენ ჭიაღუები. ცოტა ხანში პატარა; უსინათლო, მოყვითალო ფერის თხუნელები დაიბადნენ. მხიარულები, სიცოცხლით სავსეები თამაშობდნენ, მალაყებს გადადიოდნენ, ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, მსუქან მატლებს იტაცებდნენ და სძიძგნიდნენ. დედ-მამას ეტორღიალებოდნენ, ბეწვში აფრინდებოდნენ და ტანზე დაუღოღავდნენ. დიდს ალიზიანებდა მათი მოუსვენარი, დაუდეგარი ხასიათი და ხანდახან კბილს გაჰკრავდა ატეხილ, თავზეგასულ ლეკვს, რომელიც აწკმუტუნებული კუთხისკენ მიცოცავდა, რომ გაელოკა, დაეამებინა ნატკენი ადგილი. არა უშავს, მოითმინეთ, გაუძელით, მაშ რისი თხუნელები ხართ! დიდმა იცოდა, რომ მალე... სულ მალე პატარები გამოიცვლებოდნენ და თავის მშობლებს დაემსგავსებოდნენ, ავებსა და დაუნდობლებს... მაშინ ერთ ბუნაგში გაუჭირდებოდა ყველას ცხოვრება და მისი ყოფილი ნაშიერები თავის გზას მოძებნიდნენ. დაივიწყებდნენ მამის თბილ, მდიდარ ბუნაგს და ვარ

იმას, ვინც უკან დაბრუნებას მოინდომებდა. დიდი არ დაზოგავდა არც ერთს. მერე რა, რომ მისი შვილები იყვნენ. მამური ინსტიქტი უკვე ჩამქრალი იყო და თვლემდა მომავალ გაზაფხულამდე. აი მუდოს კი ადვილად ვერ შეელია, გაგდებით კი გააგდო, მაგრამ იქვე გვერდით გათხრილ სოროში მისცა ცხოვრების უფლება.

ყველაზე პირველი მამის ბუნაგიდან ფულო წავიდა... დიდმა იცოდა, რომ სწორედ ის იყო მის შვილებში ყველაზე ძლიერი და მისი შიში უნდა ჰქონოდა... არც შემცდარა. მდიდარი მიწის ნაკვეთი ანდამატივით იზიდავდა დანარჩენ თხუნელებს. ფულომაც ეტყობა ვერ დაივიწყა მამის საჭმელით მდიდარი ლაბირინთები და უკანვე მოაკითხა. დიდმა მაშინვე იკრა უცხო სუნი და მალე მოსძებნა ერთ-ერთ დერეფანში დაუპატიჟებელი სტუმარი. დიდხანს არ უფიქრია, ისე დაეძგერა. მზად იყო გაეგუდა და დაეგლიჯა, მაგრამ ფულო გაქუცულს არ გავდა, ისიც მამამისივით დიდი და ძლიერი იყო. ისიც მისი მიწის ნაკვეთით იყო გამოზრდილი და გამჩენს ძალაში არ ჩამოუვარდებოდა. მართალია, გამოცდილება აკლდა, ამიტომაც დროულად ვერ მოსცილდა დერეფნის ყრუ კედელს და ახლა კუთხეში მომწყვდეული მხოლოდ თავს იცავდა. თუმცა ყველაფერი უკვე ამაო იყო. ცოტა ხანში ყელგამოგლეჯილი და სასიკვდილოდ აფართხალებული, მიწის ქვეშ დარჩა სამუდამოდ. დიდს ზემოთ აღარ აუთრევია ლეში, ჩამოანგრია დერეფანი და შიგ ჩამარხა თავისი მსხვერპლი. გულიც არ დასწყვეტია, პირიქით, იცოდა გახრწნილ სხეულს მალე ჰატლები დაეხვეოდნენ და თვითონაც პირს ჩაიტკბარუნებდა. ადამიანები იტყვიან, ფუი, რა საზიზღრობააო! რას იზამ, ასეთია თხუნელების წესი, დიდიც ხომ ადამიანების ნარჩენებით განოყიერებულმა მიწამ გამოზარდა... კარგად იცოდა, სადაც იყო ფულოს სორო და დიდხანს არ უფიქრია, ისე დაიწყო გრძელი დერეფნის თხრა. ჩქარობდა ახალი ნაკვეთის შემოერთებას, მისი ნადავლი იყო, მისი... ახლა ყველაზე დიდი მიწისქვეშა ლაბირინთები დიდს ეკუთვნოდა... სასაფლაოს ყველა თხუნელამ იცოდა, ვინ იყო ყველაზე მდიდარი და ძლიერი თხუნელა. ახლოს არავინ ეკარებოდა მის ადგილ-სამყოფელს, პირიქით, თუკი დიდი თვითონ მოისურვებდა და დაეპატრონებოდა სხვის სოროს, პატრონი ცდილობდა, შორს წასულიყო, დაეთმო. კარგად იცოდნენ მისი დაუნდობელი ხასიათი. შიმშილით მაინც არავინ მოკვდებოდა, თავის სამყოფს იშოვნიდნენ...

მაგრამ დიდმა საყოველთაო პატივისცემა მაშინ დაიმსახურა (შიშით უკვე დიდი ხანია ეშინოდათ), როცა მიწის ზემოთ წვრილ, შავ მარცვლებს მიაგნო. გემოთი [illegible] იყო, სამაგიეროდ ჭამის მერე [illegible]ხებდა სისხლს და სასიამოვნო ბურანში ხვევდა. ჯერ დაინახეს, როგორ ჭამდა დიდი, გადაწყვიტეს, კარგი რამეა, თორემ ცუდსა და მავნებელს არაფერს შეჭამსო და მიბაძეს. მოეწონათ... ეს შავი მარცვლები წითელი ყვავილების გულებში იზრდებოდა, მწიფდებოდა და იყრებოდა მიწაზე. მარტო დიდი ხვდებოდა, რომ სწორედ ამ შავი თესლებიდან იზრდებოდნენ ისევ წითელი ყვავილები. ამ სულელმა მკვდრების ყარაულმა, უთოფოდ რომ არ გამოდიოდა გარეთ, ყაყაჩოების მაგივრად ვაზის ხეივანი გააშენა. ბრიყვი... იმას ჰგონია ყველაფერი ისე იქნება, როგორც თვითონ ნებავს. ვერ მიართვეს, ახლა დიდია მთავარი. შეაშინეს თხუნელებმა თუ არა...? ჯერ სად არის. დღემდე ვერ მიმხვდარა, რა ხდება და ვინ დაეპატრონა სასაფლაოს. მოიცა... მოიცა... მაშინ მიხვდება, როდესაც თვითონაც აქ მოვა, ამ მიწის ქვეშა ლაბირინთებში...

ქება და დიდება დიდ თხუნელას! ეს მან მიაგნო წითელი ყვავილის საიდუმლოს და ზემოთ გათხარა გვირაბები, მერე დანარჩენებმაც მიბაძეს... შენ სანდრო ამიერიდან იმას იზამ, რასაც თხუნელები გიკარნახებენ! ეს შავმა თესლმა ამოიყვანა სუყველა ზემოთ... შენი ვაზის ხეივანი კი ხელს უშლის ხაშხაშების გამრავლებას. მისი ჩრდილი სპობს და განაპირას ერეკება წითელ ყვავილებს და ამიტომ თხუნელებო, ვაზის ფესვები გადასჭერით, გადაღრღენით..! გაახმეთ..! გადააშენეთ ყურძენი! მიმოაბნიეთ ხაშხაშის თესლები და ამრავლეთ ყაყაჩოები...

...ისედაც შეშინებულმა სანდრომ ახლა სულ დაჰკარგა მოსვენება, ვაზი გაუხმა. ვინა ხარ?... რა ხარ...? ასე ჩუმად, რომ დაძვრები მიწის ქვეშ, თუ ასეთი უშიშარი ხარ, გამო, დაენახე სანდროს... და აი, ღამით, მიწაზე გაწოლილი კაცი, მთვარის შუქზე ხედავს, საფლავებზე გათხრილი ორმოებიდან, როგორ ამოდიან ნახევრად ბრმა ცხოველები, ყნოსავენ მიწას, რაღაცას ეძებენ... პოულობენ, პირს აცმაცუნებენ და დაბანგულები ძლივს აღწევენ სორომდე. ყველაზე მეტად ნასყიდას საფლავიდან ამომძვრალი უზარმაზარი თხუნელა აოცებს... მთვარის შუქზე, უკანა ფეხებზე დასკუპებული, ადამიანივით იყურება სადღაც შორს და რატომღაც სანდრო ფიქრობს, რომ ეს თხუნელა თავისი ბრმა თვალებით დანარჩენებს უთვალთვალებს. მერე ცხოველი მისკენ ტრიალდება... აშტერდება და კაცს შიშისაგან ხელები უკანკალებს... არა, კი არ ეჩვენება, ნამდვილად გავს ეს თხუნელა... ღმერთმა კი შეგაჩვენოს!.. მაშ, თხუნელებიც ეტყობა ადამიანებივით სიმშვიდე-

სა და ნეტარებაში ცხოვრობენ... ეს დიდი ცხოველი კი, მათი წინამძღვარია. მკვდრების ყარაული გუმანითა და შიშით ხვდება უთქმელს... იცის, დანამდვილებით იცის, რატომ ზის ეს თხუნელა ნასყიდას საფლავზე... იყოს ისე, როგორც შენა გნებავს! რად უნდა სანდროს ვაზი?... ხაშხაშები არა სჯობია? თრიაქთან აბა მისი დუბელა ღვინო რა მოსატანია. ისედაც გახმა ვაზი და რაც დარჩა, იმასაც თავისი ხელით აჩეხავს... სანდრო ხვდება, რომ სასაფლაოზე მის ბატონობას ბოლო მოეღო, ხვდება, მაგრამ რა ჰქნას? ვის ებრძოლოს? ვინ დაუჯერებს... არადა ვისაც არა სჯერა, თვითონ მოვიდეს და თავისი თვალითა ნახოს, რაცა ხდება.

ვაზი, რომელიც გახმობას გადაურჩა, სანდრომ მეორე დღეს საკუთარი ხელით აჩეხა. სამაგიეროდ ხაშხაში გამრავლდა სწრაფად. მთელ სასაფლაოს მოედო. მკვდრების ყარაული ახლა თრიაქს ხარშავდა და ყიდდა. მუშტარი მეტი გაუჩნდა, ვიდრე ელოდა... ყველას სჯეროდა, რომ თრიაქთან ერთად სიმშვიდესა და ნეტარებას ყიდულობდნენ. სვით, ღმერთმა შეგარგოთ! იცხოვრეთ ლამაზად და წყნარად! მთვრალ, დაბანგულ გონებაში ადამიანი მეფეც არის და მონაც... რასაც თვითონ მოისურვებს. დღისით შრომა, საღამოს ნეტარება, ვის უშლით ხელს...? არავის. მაშ რაღას ელოდებით, იჩქარეთ...

სანდროს ჩუმად შეყავდა სასაფლაოზე თრიაქის საყიდლად მისულები... შეჰყავდა დღისით, მზისით. „ზემოურებმა", ასე ეძახდნენ სამ ახალ მმართველს, რომლებმაც ნასყიდას ადგილი დაიკავეს (ვის ჰქონდა იმის უნარი, მარტო გასძღოლოდა ღმერთკაცის საქმეს?) იცოდნენ, რისთვისაც დადიოდა ხალხი სასაფლაოზე, მაგრამ ხელს არ უშლიდნენ. ღამით კი სანდრო სასტიკად კრძალავდა მასთან მისვლას, რადგან ეს თხუნელების ბატონობის დრო იყო... და ამის შესახებ, არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა. მართალია, ბოლო ხანებში ნეტარებამ ისე დარია ხელი სუყველას, რომ დღეს და ღამეს ვერც კი არჩევდნენ. ფეხზე წამოდგომის თავიც კი არ ჰქონდათ. ეტყობა, წმინდა ვიტტამ აკურთხა ნეტარებისთვის თრიაქის მოყვარულები, ისევე, როგორც ნასყიდა სიცოცხლის ბოლო წლებში. სიმშვიდეში ჩაძირული სხეული ადამიანების გონებას აღარ ემორჩილებოდა. ყოველი მეორე მისდაუნებურად უვლიდა წმინდა ვიტტას სადიდებელ რიტუალურ ფერხულს სანოლის გარშემო... და ვინ იცის, ეს სხეულების უაზრო როკვა როდემდე გასტანდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თრიაქის საყიდლად მისულ მუშტრებისთვის, თვალი არ მოეჭრა ღმერთკაცის საფლავის თეთრ, ქათქათა მარმარილოზე დადებულ აბრჭყვიალებულ ოქროს კბილების პროტეზს. მზის სხივებზე ელავდა და უცნაურად ანათებდა გარემოს. თითქოს ადამიანის ხელი არასოდეს შეხებია და ამ მზის სხივებმა გამოძერწესო. ყველამ იცოდა ვის ჰქონდა ასეთი კბილები მათ სახელმწიფოში... გაოცებულებმა, შეშინებულებმა მიმოიხედს გარშემო და მხოლოდ ახლა შენიშნეს პატარა ხვრელებით დაცხრილული სასაფლაო... შენიშნეს და გაოგნდნენ. სანდრომ იცოდა, რომ ხალხს ლაპარაკს ვერ აუკრძალავდა და ადრე თუ გვიან „ზემოურები" ყველაფერს გაიგებდნენ. მხოლოდ ის აკვირვებდა, საიდან გაჩნდა იმ დაწყევლილ ნასყიდას საფლავზე მისივე ოქროს კბილები. ალბათ თხუნელებმა გათხარესო, იფიქრა... სხვა გზა არ ჰქონდა, თვითონვე შეატყობინა „ზემოურებს". იმათაც არ დაუყოვნებიათ, მაშინვე დაიჭირეს სანდრო... საფლავის გაძარცვისათვის. არ ეპარებოდათ ეჭვი მის სიბოროტესა და მავნებლობაში. მართალი იყო ნასყიდა, გლახუკას მიმდევრებს, რომ სპობდა. აჰა, დარჩა თუ არა სანდრო, მისი საქმის გამგრძელებელი. ღმერთკაცის საფლავი შეურაცხყო და წაბილწა, შური იძია. არა გჯერათ? მაშ მოდით და ნახეთ! გადაწყვიტეს ყველას თვალწინ გაეთხარათ სამარე. დღისით, მზისით მოიყვანეს მიწისმთხრელები და შეჯგუფებული ხალხის წინ დაიწყეს საფლავის თხრა. ზემოდან დაჰყურებდათ კოპებშეკრული ღმერთკაცის ქანდაკება, სახეს ჭმუხნიდა, უკვირდა, რომ გაბედეს მისი სამარის ხელყოფა.

როგორც იქნა, გათხარეს და ყველამ თავისი თვალით ნახა, დასაფლავებისას, წვიმის დროს ჩატანებულ ლოდს, როგორ გაეხეთქა კუბოს სახურავის ფიცარი შუაზე. აშკარა იყო, საფლავისათვის არავის ეხლო ხელი. სანდრო ვერც კი მოახერხებდა ამ ლოდის ადგილიდან დაძვრას... მაგრამ ახლა მთავარი იყო მტრების შურისძიება, რომელიც ღმერთკაცის სიკვდილის შემდეგაც არ შენელებულა. მურდლები...! საფლავის წაბილწვასაც კი არ დაერიდნენ. რადგან, დასაფლავების დროს არავის დაუნახავს, როგორ დაადეს კუბოს ლოდი, ახლა ესეც სანდროს მიაწერეს. ყველას თვალწინ ამოათრიეს ქვა, შუაზე გაპობილ კუბოს სახურავი... და ყველამ ერთხმად დაიგმინვა გაკვირვებისაგან. სასახლე ცარიელი იყო, თითქოს შიგ არასოდეს წოლილიყოს ვინმე... მოგროვდნენ საფლავის გარშემო, შეიკრნენ და ახმაურდნენ, „სიკვდილი სანდროს... ღირსია, ღორივით დააკალით მაგ ადგილს... ღორივით"... და ამ გუგუნში არავის გაუგონია, როგორ გადმოიქცა საფლავის ერთი კედელი, პირველად შენიშნეს გამოყოფილი უზარმაზარი კბილებდაკრეჭილი დრუნჩი, რომელიც ილრინებოდა. მერე და-

ინახეს, როგორ გამოძვრა ხვრელიდან უზარმაზარი თხუნელა და ჩახტა ცარიელ კუბოში. ნიშნისმოგებით იყურებოდა ქვემოდან თავის ნახევრად უსინათლო თვალებით და ღმუოდა. შიშისგან ელდანაკრავებმა იხუვლეს და ქვები დაუშინეს ამ ჯოჯო ცხოველს, რომელმაც უკვე იგრძნო საშიშროების მოახლოება და ორმოდან ამოხტომას შეეცადა, მაგრამ ადამიანები მიუხვდნენ და ზიზღნარევი შიშით შებოჭილებმა ზემოდან დაუშინეს ყველაფერი, რაც ხელში მოხვდათ. იმის გაფიქრება, რომ ცხოველი ამოხტებოდა, თავგზას უბნევდა ყველას. სისხლში ამოსვრილი, დაჭყლეტილი თხუნელა კი საფლავის კედლებს ანყდებოდა და სისხლით სვრიდა... კაცივით გმინავდა... ბოლოს, ახლახან ამოთრეული დიდი ლოდი გადაუშვეს და იმით დაამტვრიეს ღმერთკაცის კუბოს... ისინი, ვისაც მოთმინობა შეეძლო და წმინდა ვიტტას ცეკვას ჯერ არ შესდგომოდა, დანარჩენ საფლავების ორმო-სოროებს დაერივნენ და გაანადგურეს.

„ზემოურები“ ისე ჩუმად გაიძურწნენ, არავის არაფერი გაუგია... სასაფლაოდან წამოსული ხალხი მთელ ქალაქს მოედო. დიდხანს ძებნეს სახლებსა და სარდაფებში დამალულები, მაგრამ უშედეგოდ...

იმ დღიდან არავის უნახავს სასაფლაოს თხუნელები. შეიძლება მართლა გადაშენდნენ? ან შეიძლება, პირიქით, უფრო ღრმად გათხარეს სოროები... შეიძლება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანზორ აბულაშვილი

## ყველაზე მეტი

სიცილის მეტი რა ისმის, მაგრამ
ტირილზე მეტი მაინც არ არის...
და გვანუგეშებს ჰანგი სუფრულის
თუ უზრუნველი ჰარი-ჰარალის.
რაგინდ ხანგრძლივი სიცოცხლე
გვქონდეს,
სიკვდილზე მეტი მაინც არ არის.
იგი ნიბლიას ნარზე ძილია,
ჩამოქროლება წამში ალალის.
მაგრამ ყველაზე უკუნი ღამეც
მზის წაუშლელი მაინც არ არის,
იმის ბრიალში ვის აგონდება
მარადიული ძაძა სამარის...

ერთხელ მოფრენა,
ერთხელ ჰიკჰიკი
და ერთხელ ცაში შეკვრა კამარის,
სწორედ ამიტომ ცრემლის მდინარე
ემაგ ღიმილზე მეტი არ არის.
რისი მეფობა — ცუდმედიდობა
და თავალერა ჩვენში მრავალის,
მათი განცხრომის სიტკბო-ზმორება
ჯვარცმაზე უფრო ტკბილი არ არის.
და კიდევ ერთი, ჩემო კეთილო,
შვილო და ძეო დედა თამარის,
რაც უნდა დიდი იყოს ქვეყანა,
საქართველოზე მეტი არ არის.

## ლაზარე

„და სახარებასა შინა ამასა ენასა ლაზარე
ჰრქვიან“.

„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“

დაცემულ რწმენის, გინა სიმართლის,
კვლავად აღდგომად — აღსდექ ლაზარე!
ვიდრე ბოლომდე ნათლის კარს—რკინის
ბნელის ურდულით ჩაგვირაზავენ.
წმიდისა მისი ნება-შეწევნის
რათა ვირწმუნოთ — აღსდექ ლაზარე!
ვიდრე ცრუთა და ფარისეველთა
მზეი ცხოველიც არ შეგვაზარეს...
ძველ ზარებს არსად აღარ რეკავენ,
ახლა ზრიალი გააქვთ სხვა ზარებს,
კაცთა მართალთა სულის სალხენად,
სულის მეოხად — აღსდეგ ლაზარე!

ისევ განივრცე ქართლსა ფრიადსა,
მაშრიყ-მაღრიბი დაისამზღვარე,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
ხრიოკი აშენ-ამწვან-აზვარე.
თორემ ხანდახან თაფლიან სკაში
ავი ბზუილი გააქვთ კრაზანებს
და ჰა, საცაა ნათლისმგმობელნიც
რწმენის ნათლის კარს ჩაგვირაზავენ.
და ვიდრე ცრუთა — ეშმას მსახურთა
სიცოცხლეც ჩვენი არ შეგვაზარეს,
წამოდექ რისხვად და ძლევად მათდა,
სასწაულებრივ აღსდექ ლაზარე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგონილ სიბრმავით გადარჩენილთა ლექსი

რამდენ უბადრუკს მიაკუთვნა დროებამ დაფნა
და თავშემკობილთ სასუქ-ფუნით ნახარებ დაფნით,
რა ამაყ-ბლენძად გაუშლიათ ძონძების აფრა,
თუმცაღა რუსაც ვერ გაცურავს იმგვარი აფრით.
რიხი აქვთ,
        თითქოს ზღვები სერა იმათმა გემმა,
არადა, მხოლოდ გუბეში დგას ქაღალდის გემი...
მაგრამ თვალს ვხუჭავ,
        თანაც მათდა ვილვრები ქებად,
და მეც მიფარავს მოგონილი სიბრმავე ჩემი.
ასე რამდენ თაგვს გავუმართლეთ და იქცა ჩიტად,
თუმცა სანაცვლოდ ჭიკჭიკისა მათ სულში ჩიტის,
წრიპინებს ერთი წირპლიანი ღამურა — სიტყვა,
კირით ნათხუპნი, საღირალი მარილის კვნიტის...
ვინმე მეტყოდეს, რა ჯანდაბა ჰქვია სახელად,
როცა ლაჩარი შეგვიმკია გმირის სახელით...
ხანდახან ისე მომინდება თვალის ახელა,
მაგრამ ძალიან მეშინია თვალის ახელის.

* * *

ჩემო ქართველო! შუბმოღერილი
თეთრ ცხენზე თეთრი გეჯდა იმედი.
ვის მოუხრიდი ამაყ ქედს მერე,
თავს ვის წინაშე დაიმცირებდი.
არ მიაგებდი ავსაც არავის,
მოყვასის ძებნის მცნებას მისდევდი
და მაინც მარტო იყავი მუდამ,
გულსაც ამიტომ ვერ იმშვიდებდი.
ჯვარცმულ-ნაგვემო ურჯულოთაგან,
არ გღირსებია შვებაც მცირედი,
თუმცაღა ავის მოსურნის ჯიბრზე
უფრორე მეტად გაგვიძლიერდი.
და მაინც ახლა ისეთი დროა,
სიფხიზლეს ითხოვს ხვალის იმედი,
თორემ ამ აშლილ სუფრის გნიასში
თავს ფიქრით რატომ აიტკივებდი...
იწურვის წელი ორიათასი
და ჰა, მესამის ზღურბლთან მივედით...
და ფიქრის შემდგომ —
        ეს რა მართლის თქმად,
რა მრისხანებით აგვიხმიერდი.

## ლექსი ლექსის შესახებ

ნუ ვინ იტყვის შაირს ხოტბად...
ლექსი უნდა ლოცვად გწამდეს,
რომ ტკივილი სულის შენის
მაგ მუხლმოყრით დაგიამდეს.
ლექსი ხშირად გახელებულ
შეყვარებულს უნდა ჰგავდეს
და მიჯნურის დანახვისას
გული ელდით შეუქანდეს;
იგი მუდამ გაზაფხულის
მახარობელს უნდა ჰგავდეს,
განთიადზე მოწკრიალე
ცისკრის ზარებს შემოჰკრავდეს;
მართლის გამცემ — იუდასთვის
სილის გაწნას უნდა ჰგავდეს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახლის კარი შეუმტვრიოს,
სახლშიც უნდა შეუვარდეს.
მაგრამ მაინც უპირველეს
მეამბოხეს უნდა ჰგავდეს
და ბორკილის დაცამლეწის
რკინის გული უფეთქავდეს.
. . . . . . . . .
ნუ ვინ იტყვის შაირს ხოტბად...
ლექსო, უნდა ყვავილს ჰგავდე
და ჰკნებოდე ეშმაკისთვის
ზოგჯერ სულის მიყიდვამდე.

## თანაგრძნობის ლექსი

ტოროლა ხომ ღამის მეხრის
ხმაწკრიალა მამალია...
ეს მერცხალი მასზე უფრო,
სხვაზეც უფრო ფრთამალია.
მისი უცხო შორი გზები
კვნესა-ცრემლით სავალია.
სხვისი მხარე უდაბნოა,
ხრიოკი და ტრამალია.
ვით კაცისთვის,
უცხოდ ყოფნა
მოთქმაა და ვალალია...
თანაგრძნობის სიტყვა
სულზე
წაცხებული წამალია.
რაც მე მათზე მიფიქრია,
წრფელია და ალალია...
. . . . . . . .
ცოტა დალონების მეტი
ამ ლექსს სხვა არ ავალია.

## მარადიული ერთგულების ლექსი

ერთხელ წინ მარტი შემომეყარა...
ჩვენი... ქართველი... ალქაჯი მარტი,
თეთრი, მაცდური, ენაკვიმატი,
ნუშის ყვავილი მხრებზე ეყარა.
შემომაჩერდა — ნაჩვევი ხოტბას,
ღიმით, წიკწიკა კბილით წყობილით,
აფეთქებული ალუბლის ტოტით,
ცოტა ექსცენტრულ მსახიობივით.
ყალბი ნაღველი დაჭკნავდა ოდნავ
და მაინც ჩანდა —
ასულს ცისკრისას,
ქერქეტას, ერთი სული რომ ჰქონდა,
ხელადვე გიჟურ გადეკისკისა...
ისე უტიფრად მეპრანჭებოდა,
შენი დაჩრდილვაც ისე ეწადა,
მეც თითქოს ჩემი მემართებოდა,
მანამდე რაც არ გამომეცადა,
მაგრამ იანვრის და თოვლის ვარდის
სხივზე მაცდური ვერ გაიხარდეს
და ზეცის ნებით ვინაც მიყვარდა,
მარად ის ერთი უნდა მიყვარდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლია ბედოშვილი

* * *

ვერ გიბრუნდები,
დაკრულს მიწაზე
სისხლის არტახებს
მიჭერს ბუნება...
დავრჩი ლექსებთან და
ლურჯ სისხამზე
ნისლი ცრემლივით
მიედინება...
შემომკრა ბედმა
ლამაზი ხელი,
ეს დილაც ჩუმი ნატვრით
ინთება,
ხსოვნას შემორჩა ხმათა
სინაზე
და ნებიერი
გამოღვიძება...

* * *

მეორე დღეა,
მგლოვიარე პეპლები სხედან
მწვანე ფარდებზე
და სიჩუმე ფეთქავს
შოპენით...
მეორე დღეა,
ულალატო თოკისკენ იწევს
ყელადღერილი ჩემი
პორტრეტი,
გათავდა, ახლა მუჭში
ვსვამ სივრცეს,
სევდით მშვენიერს,
სილაღით ცოდვილს
მიწას სისხლისას
ვუტოვებ მძივებს
და ნაკრძალისკენ მივემართები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ისევ მდევს ჭორი,
თუმც სილამაზე
აღარა მღერის,
მხოლოდ ჩურჩულებს...
ვერ ავიცილე
სიკეთის თორით
თქვენგან ნასროლი
ქვა და სიცივე...
ღამით კი მოდის
ერთი სიზმარი,
უცნაური და
სასომიხდილი —
თეთრი ირემი,
მწველ უდაბნოში
გაბეზრებული
ხვლიკთა ქირქილით.

* * *

ილბალო,
მომეცი იმისი სახსარი,
ხვალინდელ პურზე არ დავფიქრდე...
ახალ მთვარესთან
თუმნის ნაცვლად
ლექსს ვაფრიალებ...
ნაჩვევს ნუ მოაკლებ და
უჩვევს ნუ დააჩვევ-მეთქი
ვეხვეწები...
ქარვის სიუხვეს ვითხოვ.
გონს ვერ მოვეგე,
ვერ ავუწყვე ფეხი ცხოვრებას,
ისევ სიზმრისას მივათრევ
შლეიფს...
ტანს კი ძონძ-მანძი
ძლივს თუ მიფარავს...
გრიალებს მაძღართა მარში,
წითელ მარმაშში ჩაფლულ
სინდისს
სძინავს და ტაში
ი ა ვ ნ ა ნ ა ა...
მიწური სამოთხის საშვი
ფულია მხოლოდ...
მე მთვარესთან
ლექსს ვაფრიალებ...
მაშა და ეს თვეც
ხურდასავით გაიჩხრიალებს,
მარადისობის ღამეში გაიბნევა...
ილბალო,
მომეცი იმისი სახსარი,
ხვალინდელ პურზე
არ დავფიქრდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა სალუქვაძე

# წმიდა ნინოს შემოსვლა ჯავახეთით

„...და თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, და მიემთხუივა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა რქუიან ფარავნ. და მიხედნა მთათა ჩრდილოისათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა იყუნეს სავსენი თოვლითა და ყინულითა და აერითა სასტიკითა“... და დაყო ორი დღე მუნ; და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, და მწყემსნი იყუნეს მასვე ადგილსა და ჰუმილვიდეს ჰუმილვასა ღამისასა სამწყსოთა მათთა ზედა“. „ხოლო წმინდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა, რამეთუ პირველვე ესწავა ნიაფორისგან, და პოვა მწყემსთა მათ შორის სომხურად მზრახველი“.

ლეონტი მროველი

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა მყოფელი,
რომელმან შექმენ სამყარო, წამებად — წუთისოფელი;
შენ ხარ ის, ვისაც შეჰხარის შენგანვე ქმნილი ყოველი,
ვითარცა ნერგი მცენარე, ეგრემცა სული ცხოველი.
შენ ხარ მსაჯული მართალი, ჭეშმარიტებით განმგები,
სულთამხილავი, გონების ფარულთა ფიქრთა გამგები,
გულგატეხილი მონისა გულისა გამმთელებელი,
ბნელის ნათელით შემცვლელი, ღამისა გამთენებელი.
გევედრები, არ დამტოვო განსაცდელში მარტოდ მარტო.
მეოხ მეყო მხევალს შენსას, პირსა შინა დამიფარო.
აქ, წარმართთა ქვეყანაში გზანი ჩემნი შენ წარმართო,
რომ ყოველი აღვასრულო, რაც მიბრძანო, დამიბარო.
ღმერთმაც უთუოდ ისმინა, გაიგო, ესმა მუდარა,
ვით მდუმარება სუფევდა სივრცეთა გარემომცველი.
ინათა. გადაეფარა ზეცას რიჟრაჟის სუდარა.
ალიონს, მუხლმოდრეკილი, ვედრებით შეხვდა მლოცველი.
მზე ამოხდა. შორს გამოჩნდა დასავლეთით მიმავალი
კავკასიის მწვერვალების თეთრი ფარა-ქარავანი,
ჯავახეთის ზეგანს მზისგან ოქროს ბეჭდად ერტყა რკალი,
თვალად ეჯდა ფირუზისფრად დაფერილი ფარავანი.
მარიალის თვეში ნინოს ეუცხოვა ხილვა თოვლთა;
შეცბა, შეკრთა, შეეშინდა, შრომანს სული აუთრთოლდა,
ერთხანს გულიც ეთანაღრა, როგორც იქნა დაითანხმა
და ტბისაკენ მოჩუხჩუხე წყარო-ბილიკს დაჰყვა დაღმა.
ტბის ერთ მხარეს, ლელიანად ქცეულიყო სად ტყე-ველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთევზეებს ედგათ ქოხი ლერწმის წვრილი ლერწით წნული,
და ქალწულით სწორედ იქით გაემართა დაქანცული,
ვით შენიშნა ორ ხეს შორის გაფენილი სათხეველი.
შეებრალათ მებადურებს, შეიკედლეს, მოასვენეს,
ვინაობა გამოჰკითხეს, საკუთარიც მოახსენეს,
თანაც უთხრეს: — დარჩი ქოხში, ჩვენ მივდივართ სათევზაოთ;
გვიანია, სად იპოვი სხვაგან ღამის სათევსაო.
ფარავანზე ტყვემ ღარიბმა ორ დღეს დაჰყო, დაივანა;
მესამე დღეს, ადრე დილით, მზემ რომ პირი დაიბანა,
მეთევზეებს დაეთხოვა, თან მადლობა გადუხადა;
საგზლად თევზი წაიყოლა და ნატეხი ხმელი ქადა.
თრიალეთის ერთი ფერდი თეთრად იყო შეფერილი;
არა, კი არ დაეთოვა, ფარა იყო შეფენილი.
ნინო, ალმა მიმავალი, ზედ მთის თხემზე შეხვდა მწყემსებს,
მათ ვახშამზე დაიწვიეს, ერთად დასხდნენ, წაიხემსეს,
ვინაობა გამოჰკითხეს და ასავალ-დასავალი;
სად ვიდოდა სადაური; ან, ვინ იყო, ვისი გორის,
ნინოც მოჰყვა ყოველივეს; ან, რა ჰქონდა დასამალი;
აქ, სომხურიც გამოადგა, ენა დედა ნიაფორის.

## ამბავი წმიდა ნინოსი მისგანვე ნაამბობი მწყემსთათვის

„და ვითარ იქმნა ნინო ათორმეტისა წლისა, მშობელთა მისთა განყიდეს ყოველივე რაცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალიმად. მაშინ ზაბილონ დაიწერა ჯუარი პატრიქისაგან და იჴმნა ცოლისაგან, და შეიტკბო ასული წმიდა ნინო, და დაყარნა, ვითარცა წყარონი, ცრემლნი თუალთაგან პირსა მისსა“. „...და წარვიდა წიაღ იორდანეს კაცთა მათ თანა ველურთა, სადა ყოფა მისი უწყის ღმერთმან დამბადებელმან. ხოლო დედა წმიდისა ნინოსი მისცა პატრიაქმან მსახურად გლახაკთა დედათა. და წმიდა ნინო მსახურებდა ნიაფორს სომეხსა დვინელსა ორ წელ, და კითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათ ქრისტესთა“. „ესმა ესე ყოველი წმიდა ნინოს ნიაფორისაგან“. „რა იგი ჯერ იყო ყოფად ქრისტესა, მათ აღასრულეს: ჯუარს აცუეს და სამოსელსა მისსა წილი განაგდეს. და ხუდა ჩრდილოველთა მცხეთელთა მოქალაქეთა“.

ლეონტი მროველი

კაბადოკია ებრაულად კაფთორიმ გახლავთ,
სადაც ქალაქი კოლასტრა თუ გაგიგიათ;
ალაგი ჩემი მშობლიური სწორედ იგია,
თუმც ჩემიანი აღარავინ ცხოვრობს იქ ახლა.
თორმეტი წლიდან ვარ განგებით დანაობლები,
მაგრამ, რამეთუ რჩეულთა ხვედრს თავად დაადგენს,
მადლობა ღმერთს, რომ აირჩია ჩემი მშობლები;
მადლობა ღმერთს, რომ ღვთისნიერნი სწორ გზას დაადგნენ.
მამაჩემს ჰქვია ზაბილონი, დედას სოსანი;
არიან ორნივ ერთიანად ღვთისა მოსავნი,
ულალატონი, უცოდველნი, პატიოსანნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწ, ჭეშმარიტი მოწაფენი იესოსანი.
ზაბილონ ერთ დროს რომაელთა მთავარი გახლდათ,
მაგრამ არჩია მთვარის დაფნას ყოფნა უდაფნო;
სახლი გაყიდა, გაიხადა სახლად უდაბნო;
წავიდა წიაღ იორდანეს, ლტოლვილი გახდა.
დედაჩემი კი — პატრიარქმა — და საკუთარი
იქ განამწესა სამსახურად გლახაკ-სნეულთა,
სადაც თვით უფლის საფლავია, და საყუდარი
დათა რჩეულთა, ღირსეულთა, სულით ეულთა.
ობლად დარჩენილს ნიაფორი დვინელი მზრდიდა;
ქალი კეთილი, მოამაგე, მოწყალე დიდად;
დედა მორწმუნე, ჭეშმარიტი მსახური მაღლის,
უბადლო მცოდნე სჯულის გზათა — ძველის და ახლის.
ამბავი სწორედ მან მიამბო ქრისტეს ვნებისა,
მცველთაგან მისი საბოლოოდ შეგინებისა;
თუ ვით გაძარცვეს მაცხოვარი შემდგომ ჯვარცმისა,
რათა გაეყოთ საფასური მათ ნაძარცვისა.
ქრისტეს წამების მოწამეთა, შორით მხედველთა,
კვართი წილად ხვდათ ურიათა თურმე მცხეთელთა,
და ვით ყოფილან კაცნი ფრიად მოშიშნი ღვთისა,
წამოუღიათ და დაუფლავთ სოფელსა თვისსა.
კვართი უფლისა, ნუგეშია რადგან ობლისა,
წარმოვემართე, წამოვედი ძებნად სოფლისა;
გამოვიარე გზა სავალი მრავალთა დღეთა,
აწ, აქ მოველ და აღარ ვუწყი, სადათ არს მცხეთა.
სომხური ენა ერთადერთმა იცოდა მწყემსმა
და რადგან ნინოს ნაამბობი ზოგი რამ ესმა,
ტყვე ქალის ბედმა დააფიქრა, თუ შეაწუხა,
მერე მდინარე დაანახა და უპასუხა:
ხედავ მდინარეს?! მისდიე და ჩაგიყვანს ხერთვისს,
ორი ნაკადი სადაც ერთი მეორეს ერთვის,
ციხე-სიმაგრე შემოგხვდება ზედ კლდეზე მდგარი,
კვალად გაჰყევ და მეგზურობას გაგიწევს მტკვარი.
როცა ყოველი აღუწერა და დაუხატა,
ნინომ გარჯისთვის მწყემსს მადლობა გადაუხადა.
მეინახეებს სთხოვა ნება დაძინებისა,
ნებაც დართეს და თან დასძინეს — ძილი ნებისა.
თანდათანობით ჯავახეთის ქედი ღამეში
ისე ჩაეფლო, ვით ჩაყანგულ ლაფში კამეჩი,
და, მთამ რომ თავზე გადივარცხნა თმები ნისლისა,
მთვარეს გაანდო ნინომ ლოცვა ძილად მისვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წმიდა ნინოს გადმოსვლა ჯავახეთიდან ქართლში

„და შემდგომად ამისა წარემართა მდინარესა მას ტბისასა, და იყო დინება მისი აღმოსავლით კერძო. და მიუდგა გზათა ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან და შიში დიდი მხეცთაგან, ვიდრელა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალმან აღმოსავლით იწყო დინება, ლხინება მისი. პოვნა მოგზაურნი და მიიწია ქალაქსა ურბნისასა. იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური, ცეცხლსა, ქვათა და ძელთა თაყუანის-ცემდეს. და შევიდა უბანსა ურიათასა ენისათუის ებრაულისა. და დაყო მუნ თუე ერთი,..“

ლეონტი მროველი

ცისკრით დამფრთხალი, მხდალი,
ფერმკრთალი
ღამე აქაიქ შემორჩა ჩრდილად.
ღველფში გაღვივდა მზე — ნაღვერდალი
და ცას კოცონად შეენთო დილა.
მდინარე ტბაში მშვიდად მძინარე,
გარდასადინელს გარდადენილი
უმალ გახელდა, გახდა მძვინვარე,
შმაგი ვით ეშმა მარად დევნილი.
მდინარის კლდოვან კიდით მავალი,
ნინო, ნეტარი იგი ქალწული,
თავად განგებით იყო დაცული,
თუმც განსაცდელიც შეხვდა მრავალი.
გზათაგან ჭირნი, მხეცთაგან შიში,
მძიმე დღეები ზურგით ნათრევი
და არა ერთი ღამე ნათევი,
თან რომ დაერთო წყურვილს და
შიმშილს.
ბოლოს იქ, სადაც ორი ნაკადი
იყრება, ერთი მეორეს ერთვის,
გამოჩნდა ციხე კალმით ნახატი
შთაგონებით და კარნახით ღმერთის.
აქ, ოდნავ დაცხრა, დამშვიდდა მტკვარი,
ჩასთვლიმა დაღლილს, არ დაეძინა;
შებრუნდა და რომ იცვალა მხარი,
აღმოსავლეთით გარდაედინა.
გზად ნინოს მგზავრნი შემოხვდნენ ბედად;
დღესა მეოთხეს ჩავიდა ურბნისს
და რა შეიტყო, გაოცდა მეტად,
იქ არსებობა ურიათ უბნის.
შეშინდა, შეცბა და ეცა ელდა,
თავისი თვალით იხილა ოდეს
ხალხი მსახური ქვათა და ძელთა,
ცეცხლის წინ ლანდთა მზგავსად რომ თრთოდეს.
მუნ ერთ თვეს დაჰყო, ერთ ხანს დაყოვნდა
და ყოველივე ამის მნახველი,
შეწუხდა ფრიად, ძლიერ დაღონდა
და შემოაწვა გულზე ნაღველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი თოფურია

## სიყვარული დამაცალონ

მე სხვის ხარჯზე არასოდეს
არ მქონია რია-რია,
მოყვასს ჩემზე მეტი ჰქონდეს,
ჭეშმარიტად მიხარია.
ჩვენ ერთი გვაქვს სახლი, ეზო,
წარსული და ფესვი ჩვენი,
ერთმანეთის სანუგეშოდ
სიყვარულის შუქი გვშვენის.
ძმა — ძმისთვის და შავი დღისთვის —
ოდითგანვე მოგვდგამს ასე,
მხოლოდ საქართველოს მტრისთვის
გული შხამით არის სავსე.
ჩემს გზას მივდევ, ჩემთვის ვწვალობ,
მე დიდება არ მსურს სხვისა,
სიყვარული დამაცალონ
მოყვასის და ჩემი ძმისა.

## მხოლოდ სიკეთე მსურდა

ბედმა დამცინა მწარედ,
გადამიხლართა გზები,
აღმოვჩნდი თამაშგარეთ,
ხელში შემადნა წლები.
ვზიდე ცხოვრების ტვირთი,
როგორც მეზიდა უნდა,
მე, საქართველოვ, შენთვის
მხოლოდ სიკეთე მსურდა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ჯავახიშვილი

# მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება*

ჩვენს ხელთაა მწერალთა კავშირში გამართული ერთ-ერთი სხდომის ოქმის ნაწყვეტი, რომელსაც თარიღი მითითებული არა აქვს. საქმე ეხება სახელგამის მუშაობას და წიგნების გამოცემის, აგრეთვე ქართული ენის სიწმინდის საკითხებს. ეს სხდომა იმ წელს გაიმართა, როცა სახელგამის გამგედ ბარონ ბიბინეიშვილი მუშაობდა. ამ სხდომაზე მამაც გამოვიდა სიტყვით. ის შეეხო გამომცემლობის საკითხებს და თავისი აზრი გამოთქვა სახელგამის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებით. მოგვყავს ამ სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი: „მეგობრებო, საგანი თითქმის ამოწურულია, ამიტომ მე ვეცდები (პავლო იაშვილი: — ეს ქართული არ არის) სწორედ საგანი (პავლო იაშვილი — თქვენ ყოველთვის მე მიკიჟინებთ ენას). თავმჯდომარე: აქ არ არის ადგილი და დრო ენის სისწორის შესახებ კამათის. მაგრამ სახელგამს მოსდევს ერთნაირი მცირე ხიფათი, რომელიც ნაჩვენები უნდა იქნეს. იყო დასახელებული რამდენიმე მაგალითი. სახელგამის საფუძველს უმეტეს ნაწილად შეადგენს სახელმძღვანელოები. მაგრამ 30 % აქედან გაუყიდავი რჩება და ეს იმიტომ, რომ ერთსა და იმავე საგანზე რამოდენიმე წიგნი იბეჭდება. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ყოველ გამომცემლობას აქვს თავისი მოსაგები და წასაგები წიგნები და რასაკვირველია არ შეიძლება უარი ეთქვას იმიტომ, რომ წიგნი წასაგებია, ვინაიდან არის ისეთი წიგნი, რომლის გამოცემაც საჭიროა.

მაგრამ მე მგონია, საჭიროა იქნეს შეცვლილი პროპორცია. ე. ი. დაკლებული იქნეს საზარალო წიგნების ბეჭდვა (ხმები: მაშინ შენი დარჩება მარტო). ამ ხიფათის შესახებ თვით ბარონმა მოგვახსენა. მან სთქვა, რომ საკუთარ და ნასესხ კაპიტალს შორის ურთიერთობა უდრის 1:2. ეს კი სახიფათო მდგომარეობაა, ვინაიდან ბანკს რომ დასჭირდეს თავისი კაპიტალის უკან დაბრუნება, მაშინ მოსალოდნელი ხიფათი გადაიქცევა რეალურად. (ხმა: რა განსხვავებაა მაგაში) მეორე კლასში უნდა მივაბაროთ, რომ გაიგოთ ეს განსხვავება (ხმა: რა შუაშია სახელგამი) მე მგონია, ეს შეეხება გამომცემლობას, და ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

აქ ქართულ ენაზე ბევრი ილაპარაკეს. ამ ორი წლის განმავლობაში მართალია, ქართული ენა გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც იპოვება კიდევ შიგ უმსგავსო ჩიქორთული ქართული. აი მაგალითად, ეხლა გადმომცეს ეს წიგნი, სადაც სწერია: ზანგებს თმები ბორგვებად ამოუდის თავზე ე. ი. ხუჭუჭი თმა აქსო. აგრეთვე ერთ მათემატიკურ სახელმძღვანელოში სწერია დიდი ბუნებისმეტყველი დარვინი სოციოლოგი ყოფილა და პასტერი გადაქცეულა ექი-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 3.

მად, სამეცნიერო ხარისხი — დოქტორი გადაუთარგმნია ექიმად, აგრეთვე სამჯერ არის ნახმარი სტივენსონი, ორთქლის მანქანის გამომგონებელი, სტეფენსონი ალბად. ერთხელ რომ იყოს, კიდევ შეიძლება, მაგრამ სამჯერ არის ნახსენები. ერთ სახელმძღვანელოში სწერია კიდევ, ზაგესმა არაგვი დააგუბაო. მტკვარი დაკარგულა. იმავე წიგნში აღწერილია ქართლი და ჩართულია ლეჩხუმი. იქვე არის დაბეჭდილი ცხრილი: ამდენი და ამდენი წერაკითხვის უცოდინარია, ამდენი მცოდნეა, ამდენი კამეჩია, ამდენი ხარი (ხმები: ეგ ბელეტრისტულია). ცხადია ხალხი იცინის და ჩვენც გავიცინეთ, როცა წავიკითხეთ. აქ ლაპარაკი იყო კულტურულ რევოლუციის მოხდენაში სახელგამმა უნდა მიიღოს განსაკუთრებული მონაწილეობაო. ამ ცოტა ხანში სახელგამს გადაეცა წიგნის რედაქტორობის უფლებაც. ამ მიზნისათვის, იმედია, სახელგამი თავს მოუყრის ცოდნით აღჭურვილ ხალხს და ამ მხრივ წიგნების გამოცემის საქმე გაუმჯობესდება".

არ იყო არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი მწერალთა კავშირის ან ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, მამას რომ აქტიური მონაწილეობა არ მიეღო მის განხილვაში. პატარა წვრილმანიც კი, რაც ჩვენს ხალხს და სამშობლოს ეხებოდა, მისი ყურადღების საგანი ხდებოდა. იმ დროს კი ჩვენს ირგვლივ მოსაგვარებელი საკითხები მრავალზე მრავალი იყო. ამიტომ მამას ყოველთვის რაღაც აღელვებდა, აფიქრებდა, ზოგჯერ ახარებდა, ზოგჯერ აღონებდა. საზრუნავი მას არასოდეს მოკლებია.

1925 წლიდან მამა „არსენა მარაბდელზე" მუშაობას შეუდგა. მუშაობდა გატაცებით, რადგანაც ეს თემა იზიდავდა. რომანზე მუშაობას მრავალი ხელისშემშლელი მიზეზი ახლდა თან. მამა ოცნებობდა ხოლმე წყნარსა და მშვიდ ცხოვრებაზე, ხელს რომ არაფერი შეუშლიდა, ამის პირობები კი მას არ გააჩნდა. მატერიალური პირობებიც ხელს არ უწყობდა, დამშვიდებით ჩასჯდომოდა სამუშაოს და უზრუნველად ეწერა. საქმე ის არის, რომ იმ დროს, მწერლებს, ძალზე მცირე ჰონორარები ეძლეოდათ და მათი ნაწარმოებები მცირე ტირაჟით იბეჭდებოდა. ამის გამო, უზრუნველი ცხოვრება არ ხერხდებოდა. ეს მდგომარეობა აიძულებდა, სხვადასხვა ხერხისათვის მიემართა, რათა რამდენიმე თვის მანძილზე მუშაობის შესაფერი პირობები შეექმნა. ამასთან დაკავშირებით, მან განცხადებით მიმართა სახელგამს, დახმარებოდა მას და რომელიმე ნაწარმოები დაებეჭდა, რაც საშუალებას მისცემდა გარკვეული დროის მანძილზე მატერიალურ მხარეზე აღარ ეფიქრა და მთლიანად ლიტერატურული საქმეებით დატვირთულიყო. ხან ერთი ნაწარმოები შესთავაზა მან გამომცემლობას, ხან მეორე, მაგრამ გამომცემლობის გეგმებთან დაკავშირებით, არც ერთი მიღებული არ იქნა. ამასობაში ზაფხულიც მოახლოვდა. მამამ ჩვენ სააგარაკოდ ბაკურიანში გაგვგზავნა, თითონ კი საქმის მოგვარების მოლოდინში თბილისში დარჩა. მოგვყავს ეს განცხადებები, სადაც საქმიანი მიმოწერის გარდა, მწერლის შემოქმედებით მუშაობაზე არის საუბარი და ამდენად საინტერესო იქნება.

სახელგამს

მიხ. ჯავახიშვილის განცხადება

სახელგამის კოლეგიამ დაადგინა დაბეჭდოს ჩემი მოთხრობების კრებული იმ პირობით, რომ ორი მესამედ მასალისა არ ყოფილიყოს არსად დაბეჭდილი. ასეთი პირობა ჩემთვის მიუღებელია, რადგან ჯერ ერთი, შეუძლებელია მოკლე ხანში დავწერო ამოდენა ახალი მოთხრობა, მეორე — რასაც დავწერ, ვალად მიმაჩნია „მნათობში" დავბეჭდო, და მესამეც — ამ პირობის შესრულება მატერიალურად მეტად დამაზარალებს. გავახსენებ სახელგამს, რომ მან შარშან გამოსცა ჩემი ორი წიგნი — „პატარა დედაკაცი" და „ორი განაჩენი", სადაც დაიბეჭდა მხოლოდ თითო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მოთხრობა. მიუხედავად ამისა, ეს წიგნები თითქმის უკვე გაიყიდა.

იძულებული ვარ დავასაბუთო ჩემი თხოვნა, რომ სახელგამმა დაბეჭდოს „კვაჭი კვაჭანტირაძე". წელიწადზე მეტია რაც „არსენა მარაბდელზე" ვმუშაობ — მასალებს ვაგროვებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს რომანი ჩემი საუკეთესო ნაწარმოები იქნება. მაგრამ მის დასრულებისათვის საჭიროა ხუთიოდე თვე დინჯი შრომა და უზრუნველი ცხოვრება, ესე იგი დამატებითი შემოსავალი. უამისოდ გარემოება მაიძულებს საერთოდ ხელი ავიღო დიდი ნაშრომის დაწერაზე და გადავიდე პატარა მოთხრობებზე. (უკვე გადავედი კიდევაც) რაც არ გვაკმაყოფილებს არც მე და არც მკითხველს. ერთი სიტყვით „არსენა მარაბდელი" უნდა დაიწეროს. და თუ სახელგამის კოლეგიაც იზიარებს ამ აზრს, ვთხოვ, საამისო შესაძლებლობაც მომცეს — დამიბეჭდოს „კვაჭანტირაძე".

ამასთან ერთად გაუწყებთ რომ „კვაჭანტირაძე" საგრძნობლად იქნება შესწორებული და შემოკლებული.

იანვარი 1927

მ. ჯავახიშვილი

„კვაჭი კვაჭანტირაძის" ცალკე წიგნად გამოცემაზე სახელგამმა მამას უარი უთხრა. მიუხედავად ამისა, ეს წიგნი იმავე წელს გამოვიდა. იგი „საბჭოთა კავკასიონის" სტამბაში დაიბეჭდა, რითაც მამას საშუალება მიეცა გარკვეული დროის მანძილზე თავის ახალ რომანზე მშვიდად ემუშავა. „სახელგამმა კი იკისრა მისი ახალი რომანის „არსენა მარაბდელის" გამოცემა და ხელშეკრულება დაუდო კიდეც ავტორს. მაგრამ, როგორც ჩანს, მამა ვერ ჩაეტია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, რითაც გამომცემლობა უკმაყოფილო დარჩა. მაშინ მამამ მონახა ამ მდგომარეობიდან გამოსავალი. მან სახელგამს თავისი მეორე მოთხრობა შესთავაზა. ეს იყო „წითელი ჯავშანი", რომლის გამოქვეყნებისაგან, განცხადებაში მოყვანილი მიზეზების გამო, ის თავს იკავებდა. მას ფიქრად ჰქონდა გადაემუშავებინა ეს მოთხრობა და მისთვის რომანის სახე მიეცა, მაგრამ, საბოლოოდ, არც ეს საქმე განხორციელდა. ეს მოთხრობა დღესაც გამოუქვეყნებელია და მწერლის პირად არქივში ინახება. მოგვყავს მამას განცხადება:

სახელგამს, განცხადება

მე ვიკისრე თქვენს წინაშე „არსენა მარაბდელის" დასრულება და მივიღე ავანსად 600 მან. (300 კიდევ მერგება). განზრახული მქონდა არსენასი და 1932 წ. შეთქმულების გადაბმა. მაგრამ მას შემდეგ რუსეთიდან ჩამოვიდა ახალი მასალა შეთქმულების შესახებ — 29 ტომი. ამან ძირიანად გადააკეთა ჩემი გეგმა და შემოქმედების პროცესში ჩამოაყალიბა ტრილოგია. „არსენა" იქნება მისი მესამე ნაწილი. ამრიგად, თუ შეთქმულება სიტყვა-სიტყვით შევასრულე, ტრილოგია ბოლოდან უნდა დავიწყო, რაც უეჭველად დააზარალებს სამივე რომანს, ან შეუძლებელ ჰყოფს ტრილოგიის შესრულებას.

ამავე დროს მე მსურს შევასრულო ხელშეკრულება. ამისათვის წინადადებას გაძლევთ „არსენას" ნაცვლად მიიღოთ რომანი „წითელი ჯავშანი". იგი დაწერილია მოთხრობად ორი წლის წინათ, მაგრამ არ დავბეჭდე, რადგან მისი ფაბულა სარომანო იყო. ეს მოთხრობა წავუკითხე მეგობრებს , 15-16 მწერალს, რომელთაც ერთხმად მირჩიეს მისი გადაკეთება რომანად. რომანის თემა თანადროულია. იწყება 1905 წელს და თავდება დღეს. მთავარი გმირი კომუნისტია. „წითელი ჯავშანი" სინონიმია კომუნისტური მოვალეობის, დაპირისპირებულია პარტიული მოვალეობა და სიყვარული, მშობლები, ოჯახი, გამარჯვება რჩება მოვალეობას.

მე ვფიქრობ, რომ „ჯავშანი" უფრო გამოადგება სახელგამს, ვიდრე „არსენა", ამიტომ — და ზემოხსენებულ მიზეზების გამო — გთხოვთ ხელშეკრულების ერთი ნაწილი შეცვალოთ — „არსენა მარაბდელის" ნაცვლად „წითელი ჯავშანი" მიიღოთ, ხოლო დანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩენი პირობები უცვლელად დასტოვოთ. თუ ეს წინადადება მიუღებელია სახელგამისათვის, მე მაინც შევასრულებ ჩემს ვალდებულებას. მიხეილ ჯავახიშვილი. 13/VI—1927 წ.“

განცხადების საპასუხოდ სახელგამმა თავისი პირობები წამოუყენა მწერალს, რომელიც მას არ აწყობდა, ამიტომ 1927 წ. 21 ივნისს მამამ კვლავ განცხადებით მიმართა გამომცემლობას. იგი წერდა: „სახელგამს. მე წინადადება მოგეცით „არსენა მარაბდელის“ მაგიერ მიგეღოთ რომანი „წითელი ჯავშანი“ იმავე პირობებით, რა პირობებშიც დადებული გვაქვს ხელშეკრულებანი, თანაც დავუმატე განცხადებაში, რომ თუ ეს ერთად-ერთი წინადადება თქვენთვის მიუღებელია, მე სავსებით შევასრულებ მეთქი ჩემს ვალდებულებას.

იმის მაგივრად, რომ ან თანხმობა მიმეღო, ან უარი, სახელგამმა წამომიდგინა მესამე კომბინაცია: დავწერო „წითელი ჯავშანი“ იმ პირობით, რომ ავანსის მოცემა მომესპოს. ამ პირობებზე მე თანახმა არა ვარ. ამიტომ უკანვე მიმაქვს ჩემი პირველი განცხადება და ვაგრძელებ „არსენას“ (ტრილოგიაზე ხელი ავიღე), რომელიც დაიბეჭდება აგვისტოს ნომრიდან (ივლისის ნომერი უკვე აწყობილია). (იგულისხმება ჟურნალი „მნათობი“, სადაც მამას ყველა ნაწარმოები იბეჭდებოდა — ქ. ჯ.). მ. ჯავახიშვილი“.

ძალზე დასანანია ის ამბავი, რომ ბიუროკრატიულად განწყობილმა ხალხმა, რომელიც იმ დროს გამომცემლობაში იყო მოკალათებული, ყურად არ იღო მამას თხოვნა, ხელი არ შეუწყო მწერალს თავისი გეგმების განხორციელებაში. მაშინ რომ გამომცემლობის ხელისშეწყობით მამას ჩანაფიქრი განხორციელებულიყო, ქართველ ხალხს „არსენა მარაბდელის“ ერთი წიგნის ნაცვლად დარჩებოდა ტრილოგია, სადაც 1832 წლის შეთქმულების ამბები ფართოდ და საინტერესოდ იქნებოდა გაშუქებული. ეს ნაწარმოები სათავეშივე შეკვეცილი იქნა, რაც ძალზე სამწუხაროა. მამამ კი მისი დაწერა ვერც კი მოასწრო. ამრიგად, მამას ნაწარმოებების დაბეჭდვისას გამომცემლობების მუშაკებთან უხდებოდა ოძოლა, საიდანაც ყოველთვის როდი გამოდიოდა გამარჯვებული. ყველაფერი ეს კი მის შემოქმედებით მუშაობაზე გავლენას ახდენდა.

მამა ახლომხედველი იყო და სათვალეს ატარებდა. ბავშვობაში არ დასჭირებია სათვალე. რომ წამოიზარდა და დავაჟკაცდა, ახლომხედველი გახდა და სათვალეს ტარება დაიწყო. ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შემდეგ, მოიხსნიდა ხოლმე სათვალეებს, თითებით დიდხანს ისრესდა თვალებს, მცირე ხანს დაისვენებდა, ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებდა, რომელსაც ყოველთვის დაკეცილს ატარებდა, შუშებს დააორთქლებდა, დინჯად გაწმენდდა, ერთხელ კიდევ შუქზე გახედავდა და ისევ გაიკეთებდა. ცხვირსახოცს კი კვლავ დაკეცავდა და ჯიბეში ჩაიდებდა. ყველაფერ ამას დინჯად და აუჩქარებლად აკეთებდა.

მე უკვე ვწერდი იმის შესახებ, რომ მამას, კითხვის დროს, ჩვეულებად ჰქონდა წიგნის გვერდებზე თავისი აზრის მიწერა. ზოგი წიგნი, რომელიც მის არქივს შემორჩა, აჭრელებულია მისი ხელით გაკეთებული შენიშვნებით. გვხვდება ალტაცებული მინაწერები ამა თუ იმ ნაწარმოებზე, გვხვდება აგრეთვე ძალზე მკაცრი შენიშვნებიც. ჩვენ აქ შედარებით უფრო მნიშვნელოვან ჩანაწერებს წარმოვადგენთ, თან მცირე კომენტარსაც დავურთავთ.

1925 წელს „მნათობში“ № 3 დაიბეჭდა პაოლო იაშვილის პატარა მოთხრობა „ფერადი ბუშტები“. მამას მოსწონებია ეს მოთხრობა, რამდენიმე ადგილას ხაზი ჩამოუსვამს და მიუწერია: „კარგია“.

1928 წელს „მნათობში“ № 9 დაიბეჭდა გ. მუშიშვილის წერილი „პროლეტარულ მწერლობის დასაცავად“, რომელსაც, მამას ხელით, წითელი ფანქრით შენიშვნები აქვს მიწერილი. იმ ადგილას, სადაც იგი წერს: „ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარულ მწერლების გონებრივი განვითარების და მხატვრულ შემოქმედების ტერიტორია, უმთავრესად, ფოილოთი და შავი ზღვითაა შემოფარგლული", მამას მიუწერია: „ამას მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს". იმ ადგილს სადაც სწერია: „ჩვენი პოეტებიდან არაფერი გამოვა", შენიშვნაა — „იმ პირობით, რომ იმუშავონ". სადაც სწერია: „ხელოვნურად მწერლის „გაკეთება" ყალბი ოცნებაა და მავნე უტოპია", მამას მიუწერია: „აკეთებთ". სადაც სწერია: „ვფიქრობთ ჩვენ ნიჭიერ პროლეტარულ მწერლების მომავალზე?" მამას შენიშვნაა: „სუბსიდია ყველას აქვს". წერილის ბოლოს, დასკვნის სახით მიწერილია: „მოკლეთ რომ მოვჭრათ — პროლეტმწერლობა არარაობა ყოფილა და ამ არარაობას ხელში სჩრიან ჰეგემონიას! ეს წერილი შესწორებულია ვალია ბახტაძის მიერ. კახიანმაც დაადასტურა".

ჟურნალის იმავე ნომერში დაიბეჭდა რაჟდენ კალაძის წერილი „ქართული პროლეტარული მწერლობა". იმ ადგილას, სადაც ავტორი წერს: „იმდენად, რამდენადაც საბჭოეთში მოსპობილია ეკონომიურ-პოლიტიკურ ნიადაგზე ეროვნებათა შორის ქიშპი, მტრობა და წინააღმდეგობა — ბრძოლა, იმდენად ეროვნული ჩაგვრაც მოსპობილია და ერთა შორის სოლიდარობა განმტკიცებულია" — მამას შენიშვნაა: „მამა გიცხონდა!".

ბევრი შენიშვნა აქვს შალვა რადიანის წერილს „არსენა მარაბდელი", რომელიც „მნათობის" 1933 წელს № 5 დაიბეჭდა. მწერალი არ ეთანხმება კრიტიკოსის აზრს და წიგნის გვერდებზე პასუხობს. წვრილმან შენიშვნებს არ მოვიტანთ, მხოლოდ მნიშვნელოვანს შევარჩევთ. ასე მაგალითად: სადაც სწერია: „არსენა ცხოვრობდა და იბრძოდა მაშინ, როდესაც ბატონყმობამ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს", მამას მიუწერია: „არა, პირიქით, დაქვეითდა", რადიანი საყვედურობს მწერალს, რომ მან არსენა ძალზე აქტიური და ყველაფრის შემ[illegible] გამოიყვანა. ამაზე მამას მიუწერია: „იმიტომ, რომ არსენა ამ წერილის ავტორზე უფრო ჭკვიანია. სიტყვა სხვაა. საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი, ყოველი გმირი იერს შეიცვლის, როცა საქმე საქმეზე მიდგება". მეორე ადგილას ავტორი წერს, რომ არსენა ვერ ახერხებს თავის გმირობას საზოგადოებრივი სახე მისცეს, ვერ ახერხებს გლეხების დარაზმვას, მისი გმირობა უსისტემოა, შემთხვევითია და სხვა. ამაზე მამა შენიშნავს: „რომ დაერაზმა, უნდა კიდეც მიეშვა, და რომ მიეშვა, დიდი ბრძოლა ატყდებოდა და ისტორიული სიყალბე გამოვიდოდა". შემდეგ რადიანი სტენდალის შემოქმედებითი მუშაობის სტილის შესახებ აღნიშნავს, რომ „სტენდალი ყოველდღე კითხულობდა ნაპოლეონის „სამოქალაქო კოდექს", რათა შეექმნა შესაფერისი ტონი". მამას მიუწერია: „სტენდალის გაშალაშინებული სტილი?" რა უზარმაზარი სისულელეა! ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსის სტილი ამას სანიმუშოდ მიაჩნია". შალვა რადიანი მთელ რიგ ბრალდებებს უყენებს მწერალს რომ მან ვერ მოახერხა რომანში გადმოეცა შეთქმულების კლასიური ხასიათი და ვერ გვიჩვენა მისი სწორი შეფასება. მამას მიუწერია: „ვერ, ვერ, ვერ, ე. ი. ვერაფერს ვერ მოვერიე და „არსენა" გროშადაც არა ღირს". „ბევრი რამე მაკლია: რაცა ვთქვი, ჩვენი დროისთვის ესეც ბევრია". წერილის ბოლოს კი მიუწერია: „შხამიანი წყალია, უმწეო, უნდილი. ბარაბანის რახუნია. სტუდენტი უკეთ დასწერდა. ათასჯერ იხმარა უარყოფითი ნაწილაკი „არა — ვერა" და მხოლოდ სამი სტრიქონი გაიმეტა ჩემდა სასარგებლოდ. ავტორის დასკვნა ასეთია: ჯავახიშვილმა, როგორც ხელოვანმა, უკან დაიწია, იდეოლოგიურად კი წინ წამოვიდაო. ტყუილია, არავინ არ დაგიჯერებს და მგონი შენ თვითონაც არა გჯერა. მიხ ჯავ."

1934 წელს „მნათობში" დაბეჭდილ

კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცებას“ სხვადასხვა ადგილას მამამ შენიშვნები დაურთო. ჩვენ მათ ერთად მოვიტანთ: „ძალიან საინტერესოა. ეს ამბები ბოლშევიზმის დროს ხდება“.

წიგნად გამოსულ „მთვარის მოტაცების“ სამივე წიგნში უამრავი შენიშვნაა მამას ხელით გაკეთებული. ეს რომანი მას საფუძვლიანად აქვს დამუშავებული, რადგან იგი მწერალთა კავშირში რომანის გარშემო გამართულ დისპუტზე მოხსენებით გამოვიდა. საინტერესოა მამას აზრი ამ რომანის შესახებ. ზოგ ადგილას მიწერილია: „კარგია“. „კარგი პეიზაჟია, საერთოდ მრავალმხრივია. მეგრულ-აფხაზურია“. „მსჯელობას ჰგმობს და თვითონვე კი მოქმედებას გაუთავებელი მსჯელობით, დიდაქტიკით და ცნობებით ჩრდილავს. ავტორის საქმე მის სიტყვას არ ემორჩილება“. „შორეული მოგონება კარგად აუწერია, ხსოვნაში ჩარჩენია“.„ მჭრელი თვალი აქვს, სიუჟეტს კარგად ანვითარებს, მაგრამ მათ, სიუჟეტებს, ძლიერი ფესვი არა აქვთ. მჩატე ძარაზე უამრავი ძლიერი ტოტები ამოუყვანია. ყველაზე უფრო გულმოდგინედ ფოთლები დაუხატავს“. „ერთსა და იმავე დროს რელიგიას მიწასთან ასწორებს და რომანს რელიგიური ელემენტებით და სასულიერო ლექსიკით ავსებს“. „ლექსიკის გასამდიდრებლად ყველა კუთხიდან და ყველა წიგნიდან მოათრევს სიტყვებს“. „არზაყან სოფელს ეთხოვება, კარგია“. „მართლწერა, გარდა წვრილმანისა, მე და გამსახურდიას თითქმის ერთნაირი გვაქვს, ენა კი სხვადასხვანაირი. ექსპრემინტებს თავს არ ანებებს. ესეც პრანჭიაობაა“. „გულდასავით ჰბერავს სამეგრელოს. ექსპრესი იქ ახლაც არ არის და მაშინ რა უნდოდა?! სასაცილოა“. „ბერძნებს და სხვებსაც ბევრი უწერიათ ქართველებზე, მაგრამ ყოველივე ეს არავის ჩაურთავს რომანში“. „გეოგრაფია „დიონისოს ღიმილშიც“ ჭარბად არის მოცემული, ზოგჯერ პეიზაჟსაც ტოპოგრაფიულ აღწერად აქცევს ხოლმე. იპრანჭება, იგრიმებს და ნილაბს არ იშორებს. სისადავე უცხო ხილია მისთვის“. „გამსახურდია სადა სიტყვას ვერასოდეს იპოვის“. „ოდესღაც გამსახურდია სუფთა ქართულისათვის იბრძოდა, ახლა კი ნაზავს იძლევა“. „მრავალი კარგი ხერხი აქვს: დიალოგის დროს ნარდს ათამაშებს. ზვამბაია საქონელს ხოცავს, ამას ხათუნი ოთახიდან ხედავს, სადაც ავადმყოფი არზაყანი წევს“. „ავტორის ფასი ორჯერ მოიმატებს თუ სამ რამეს შეასრულებს: 1) ხელი აიღოს ქართული ენის წვალებაზე, 2) ნუ სძოვს ყველგან, სადაც კი ბალახს დაინახავს, ე. ი. განუწყვეტლივ ნუ სწველის ყველა ძროხას ერთად, 3) პოზიორობაზე ხელი აიღოს და უბრალოებას შეეჩვიოს და 4) ფაბულას გარეშე მასალაში ნუ ახრჩობს, თხრობა ისარივით წაიყვანოს ბოლომდის და მხოლოდ ორგანიული მასალით შემოსოს იგი“. „კარგი დეტალებია, მაგრამ ბევრია მჭრელი თვალი და მჭრელი აზროვნება — აი ავტორის ძალა. პროპორცია დარღვეულია“. „კარგი ალაგია, მსუყედ არის დაწერილი. ხშირია მიწის სურნელი, მდიდრული ფერადები, ფოლკლორი“. „გამსახურდიამ ისტორიული რომანი დაიწუნა. „მთვარის მოტაცება“ დღევანდელია, მაგრამ აქ ჩემ ისტორიულ რომანზე უფრო მეტი რომანტიური ისტორიზმია“. „ჯოკიამ ავტორს მისივე გმირები გააცნო. კარგი ხერხია (ექსპრესიონისტული) მაგრამ ამას 15 გვერდი მოანდომა. სჯობდა აქედან დაეწყო, „დალალას“ ტიპი კი სხვაგან გამოეყენებინა“. „ავტორი თავის გმირებს მისდევს და ესაუბრება. არ ახალია. მეც დავიწყე, მაგრამ არ დავასრულე. ქართულ მწერლობაში კი ახალი ხერხია“. „ერთი ფერი არ გადარჩა უხსენებელი. მფლანგველია“. „ტიპის გარეგნობის ასახვა ეხერხება (თვალი უჭრის), სრულ ტიპს კი ვერ ერევა, უფრო მხატვარია ვიდრე მწერალი“. „ო-ს ხმარებაში („უთხარიო, მოვიდეს“) და ბევრგან ლოღიკას კი არ მისდევს ავტორი, არამედ სმენას, მუსიკას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრს. ეს ფორმალიზმია". „ავტორმა აღარ იცოდა რა ექნა ემხვარისთვის და თავისივე ხელით მოჰკლა. ავტორის ჩარევის გამო დამაჯერებლობამ იკლო". „იგივე იდეა „თეთრ საყელოში" ათჯერ უფრო მოკლედ და უფრო მკაფიოდ არის გამოხატული. გზის გაყვანაც, ჰაეროპლანიც და სხვაც". „მეტად სასარგებლო საქმეა ყველა კუთხის გაცნობა. ერთობლივი საქართველო იქმნის".

1927 წელს ჟურნალ „მნათობში" № 5-6 დაიბეჭდა ტიციან ტაბიძის თარგმანი ი. ტინიანოვის „დეკაბრისტები საქართველოში", მამას არ მოსწონებია ტიციანის მიერ შესრულებული თარგმანი და მკაცრი შენიშვნები დაურთავს. ბოლოში კი იგი სწერს: „მთარგმნელმა ქართულიდან რომ რუსულადაც ამ წესით სთარგმნოს ე. ი. სიტყვა-სიტყვით, უნდა დასწეროს:

черепаха ногу высунула я тоже табун-табун. ან კიდევ. Не сел перепел на дерево, не был ему фамилия есть. ეს ანდაზებიც ზედგამოჭრილია ტიციანზე. მ. ჯავ." უნდა ითქვას, რომ მამა ძალზე მტკივნეულად განიცდიდა ქართული ენის სიწმინდის საკითხებს. მკაცრად ექცეოდა ყველას, განურჩევლად, ვინც კი ქართულს დაამახინჯებდა. იგი არც ტიციანსინდობდა და სასტიკად აკრიტიკებდა ხოლმე, რაც მის წყენას იწვევდა. მამას კი სხვანაირად არ შეეძლო.

„ჟურნალ „მნათობის" 1928 წ. № 1-ში დაიბეჭდა პლატონ ქიქოძის წერილი „ქართული მწერლობის ერთი წელი. 1927". ამ წერილსაც რამდენიმე ადგილას მამას შენიშვნა აქვს მიწერილი, წერილი იწყება ასეთი სიტყვებით: „კრიტიკა მწერლის მხილებაა". მამას მიუწერია: „სიყალბე № 1". „ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ შეგუება არის ნაწილი იმ დიდ ინსტიქტისა, რომელსაც არსებობის შენარჩუნების ინსტიქტი ჰქვია" — წერს ავტორი, მამას შენიშვნაა: „აგრე". იმ ადგილას, სადაც სწერია, რომ „შეგუებით მწერლობა არ შეიქმნება" — მიწერილია: „[illegible]დება მისი ძალა". ქიქოძე სწერს: „მწერლები, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ მონახონ ადგილი ახალ საზოგადოებაში, შეეწყონ რევოლუციონურ იდეებს და განწყობილებებს, დიდის შიშით და სიფრთხილით უდგებიან ახალ თემებს, ისევ და ისევ ძველი იდეებით „აცხოველებს". ვისთვისაც ეს გზა დროებითია, მათთვის ძლიერ ადვილია მყვირალა და ამაღლებული იდეების წერა". მამას მიუწერია: „ტიციან, რუხაძე და მრავალი სხვა". მამა არ ეთანხმება ქიქოძეს, რომელიც წერს, რომ „...პროლეტარული მწერლობა თანდათან იკავებს პირველ ადგილს" და იქვე მკაცრად პასუხობს: „მამა გიცხონდა". პროლეტარული მწერლის მოვალეობაზე ავტორი წერს: „პროლეტარულმა მწერალმა უნდა ებრძოლოს საკუთარ მკითხველს, მისივე ამაღლებისათვის, გაბოლშევიკებისათვის, გაკომუნისტებისათვის, მისივე გარდაქმნისათვის იმ საშუალებებით და იმ მასალით, რომელიც ამავე საზოგადოებრიობაში და ადამიანში მოიპოვება". აქვე შენიშვნაა: „ე. ი. თვითონ ასეთი მწერალიც ტიპი იქნება". ქიქოძე განაგრძობს მწერლის როლის შესახებ საუბარს და წერს: „მწერალი კი ახალი ყოფა-ცხოვრებისთვის მებრძოლ ადამიანთა ერთ-ერთი, თუ ერთად-ერთი არა, ბელადთაგანი უნდა იყოს. ძველი ენით რომ ვთქვათ, იგი მასწავლებელიც უნდა იყოს". მამას მიუწერია: „მაგალითად ტოლსტოი".

იმავე ჟურნალში დაბეჭდილია ვარლამ რუხაძის ლექსი „მიწავ, დაგვნებდი!", რომლის პირველი ტაეპი მამას მოსწონებია და მიუწერია „კარგია", აი ეს ადგილი: „გადმოიშალა ღამე თმებივით, ვარსკვლავის თვალით დაიწყო ცქერა".

1927 წლის ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში", № 1 დაიბეჭდა ვინმე კ. ბ.-ლის წერილი კ. კაპანელის წიგნის „ქართული სული ესთეტიურ სახეებში" გამოსვლის გამო. ამ წერილმა აღაშფოთა მამა და მან რამდენიმე ადგი-

ლას მკაცრად უპასუხა ავტორს, მითუმეტეს, რომ წერილი ილია ჭავჭავაძის პიროვნებას ეხებოდა. ავტორი წერს: „თუ პოეზიაში მას თვლიან მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლად და თითქმის რევოლუციონერად და სოციალისტად, ეს იმას ნიშნავს, რომ ამის დამწერნი ან ერთობ ყალბი წარმოდგენისა არიან სოციალისტობასა და რევოლუციონერობაზე და მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლობაზე, და ან სტრიქონებში შინაარს ვერ კითხულობენ“. მამას მიუწერია: „თაღლითო, ბატონყმობის განთავისუფლება რაღა იყო?“ ავტორი განაგრძობს: „აი ამ ხალხის ზეგავლენით, მათი გემოვნების მიხედვით და მათზე ანგარიშის გაწევით დაწერილია კაპანელის ზემოხსენებული წიგნი“ — იგულისხმება ქართველი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ვერ ხედავს საქართველოში გაშლილ გრანდიოზულ საქმიანობას! მამას კი ამ ადგილას მიუწერია: „ბილწო, ჭუჭყიანო ავტორო! სიმართლის მსგავსი ჭორიც კი ვერ მოგიჩმახავს“. ავტორი წერს: „ი. ჭავჭავაძე რუსეთის ტახტის ლოიალიზმის იქით არ მიდიოდა... მას შემდეგ დაიწყეს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ წერა, როდესაც ეს საკითხი მმართველ სფეროებში უკვე გადაწყვეტილი იყო“. მამას შენიშვნა: „მგზავრის წერილები“? 1) ტყუილია, 2) ისე ვინ დააწერინებდა, როგორც ჰსურდა?“ იმ ადგილას, სადაც ავტორი წერს, რომ „ლუარსაბ თათქარიძეები ილიას მტერი კი არ ყოფილა, ილია მისი დაცემისა და განადგურებისათვის მომხრე იყო“. მამას ირონიულად შეუნიშნავს: „ეს კი მართალია: ილია ჭავჭავაძე კვანტალიანი არ იყო“. ავტორს მოჰყავს კაპანელის წიგნიდან ილიას „აჩრდილის“ შემდეგი ტაეპი და თავისი თვალსაზრისით აკრიტიკებს მას, ლექსის ბოლოს კი მამას ხაზი აქვს ჩამოსმული და სიტყვებთან „სხვას ძირს არ დასცემ, თვით ამაღლდები, არც ვის ემონვი და არც იმონებ“ — მიუწერია: „აქ დიდი პროგრამაა“. იქ, სადაც ავტორი ცინიკურად წერს: „ილია ჭავჭავაძე და სოციალისტი, რევოლუციის მოთაყვანე, [illegible] იდეის შემომტანი! მოდი და ნუ გაგეცინებათ!“ მამას მიუწერია: „მართალია: ილია ბოლშევიზმისაგან ღმერთმა დაიფარა“. წერილის ავტორი კ. კაპანელთან ერთად კრიტიკოს „მო-ლი“-ს წერილსაც აკრიტიკებს და წერს: „კრიტიკოსი „მო-ლი“ არ სჯერდება კაპანელისათვის რეკლამის გაკეთებას და ასეთივე რეკლამებს უკეთებს კ. აბაშიძეს, ვ. კოტეტიშვილს, კეკელიძეს და სხვა მწერლებს, როდესაც ამბობს, ამ მწერალთა შრომებში გაშუქებული და დამუშავებულია მხატვრული ლიტერატურაო“. მამას მიუწერია: „მამა გიცხონდა! მაშ კრეტინები უნდა აქოს, არა? ცხადია, სადაც გტკივა“. წერილის ავტორი განაგრძობს: „კოტეტიშვილის შრომა აკრძალულია, როგორც არა მარტო სახელმძღვანელოთ, არამედ დამხმარე წიგნათაც“. მამა სწერს: „ეს კარგი რეკლამაა კოტეტიშვილისათვის“.

1928 წლის ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ დაიბეჭდა ბესო ჟღენტის წერილი ჟურნალ „არიფიონის“ შესახებ. მან მკაცრად გააკრიტიკა იქ დაბეჭდილი ნაწარმოებები და მათ რიცხვში მამას „დამპატიჟეც“. მამას მიუწერია „ე. ი. გადასაგდებია“. რამდენიმე ადგილას არის კიდევ შენიშვნა გაკეთებული და ბოლოს მიწერილია: „ჟღენტის წერილის დაბეჭდვა ძვირად დაუჯდება ამ ჟურნალს. მ. ჯ.“. საწყალი მამა, რას გულისხმობდა, ამას რომ სწერდა, არ ვიცი, ჭადილი კი თვითონვე შერჩა, ბესომ არაერთხელ ამაზე უფრო მკაცრი და უმართებულო რეცენზია უძღვნა მამას შემოქმედებას.

პროზის განყოფილებაში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის რომანის „ფალესტრა“-ს ნაწყვეტი. მამას საგულისხმო შენიშვნა გაუკეთებია: „გრიგოლი მე მისაყვედურებდა ზედმესრულებისა და ზმნების დაგროვებას“ და ხაზი აქვს გასმული შემდეგი წინადადებისათვის: „მოილუშა-აიმრიზა. აილეწა. აიწვა. აცეცხლდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1928 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ ნიკოლო მიწიშვილის წერილი დაიბეჭდა სათაურით „დოკუმენტური პროზა“. იქ, სადაც ავტორი სწერს: „არსებობს თუ არა კრიტიკა საქართველოში?“ მამას მიუწერია: „კრიტიკოსი არსებობს, კრიტიკა კი არა“. „თანამედროვე თემის დამუშავება გმირობაა“. „როვევა“ და სხ. „ჩვენ ვერ დავწერთ, რადგან ეს ჩვენი თემა არ არის“. იმ ადგილას, სადაც მიწიშვილი წერს: „ასე რომ писательвития — მოკვდა. მოკვდა იგი, როგორც მოციქული, როგორც „ზეციური“, ერის წინამძღოლი და ქურუმი და ასეთი მწერალი დღეს ხალხისათვის აღარაა საჭირო“. მამას მიუწერია: „სად შესტოპე, ნიკოლო!“. კიდევ რამდენიმე შენიშვნა: „ყოველთვის ასე იყო: ფაქტოლოგია სჭარბობდა ფანტაზიას, მაგრამ მხატვრის ხელით გარდაქმნილი, გადაიქცეოდა ხელოვნებად და ქრონიკას მოახლედაც აღარ იკადრებდა“. „მემუარულ პროზას თავისი ადგილი აქვს, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ დაჩრდილავს „მოგონილს“. მიწიშვილი სწერს პროზის განვითარების გზების შესახებ და ლ. ტოლსტოის სიტყვები მოჰყავს: „მე მგონია ოდესმე საზოგადოდ უკუაგდებენ მხატვრულ ნაწარმოებთა გამოგონებას... შემდეგში შეთხზვას კი არ დაიწყებენ, არამედ მხოლოდ მოგვითხრობენ იმ მნიშვნელოვანსა და საინტერესოს, რისი მოწამეც ისინი ყოფილან ცხოვრებაშიო“. მამას მიუწერია: „რატომ თვითონვე არ განახორციელა? ეს სულ სხვა ამბავია. ნუ ურევს მემუარებს და განცდილ-დაკვირვებულს, როგორც მასალას“.

ჟურნალის იმავე ნომერში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის რომანი „ფალესტრა“, რომელსაც მამამ რამდენიმე შენიშვნა დაურთო. აი ისინი: „ჯერ მძიმეს „ვერ“ ხმარობდა, ეხლა ტირეს ვერა სწერს“. „3-ეს ყველგან ხმარობს, ს-ს კი არასოდეს“. „ბიოგრაფია — ქრონიკა (დატვირთულია)“, „ლირიკულშიც ეპიური წყება“, „დღევანდელ მწერლობიდან გამოგდებულია „ვიდრე“ ნაცვლად სწერენ „რომ“. რუსულიდან შემოვიდა“. „გრიგოლ რობაქიძის ყველა ახალმა სიტყვამ რომ გაიმარჯვოს, ჩვენს მემკვიდრეებს ლექსიკონით დასჭირდებათ ძველი მწერლის წაკითხვა. ახალი სიტყვა კარგია, თუ მისი სანაცვლო არა გვაქვს და თუ გვაქვს შხამია“.

მამას მოსწონებია გიორგი ლეონიძის ლექსი „ყივჩაღის სიმღერა“, რომელიც ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ დაიბეჭდა და მიუწერია: „ძალიან კარგია. მ. ჯ.“ ასევე კოლაუ ნადირაძის ლექსს „ტრიოლეტები“ მიაწერა „კარგია“.

მამას არქივში ვაჟა-ფშაველას ლექსების პირველი ტომი ინახება, სადაც გერონტი ქიქოძის წინასიტყვაობა არის დაბეჭდილი. როგორც ჩანს, მამას არ მოეწონა ეს წერილი და ბოლოში წითელი ფანქრით მიაწერა: „ვაჟა ათჯერ უფრო დიდია ვიდრე ქიქოძეს ჰგონია. მისი „პუბლიცისტიკა“ ეროვნული მოტივია, რომელმაც უმტკიცესი დუღაბი მისცა პოეტს. „ფშაველი სალდათის წერილი“ ვაჟას შედევრია (სიკვდილის წინ არის დაწერილი). სტიქიური ძალით და პათოსით კი ვაჟა ფშაველა მსოფლიო პოეტადაც ჩაითვლება. არ მიკვირს, რომ გურულმა ვერ იგრძნო ფშაველი. 5X-28 მ. ჯავ.“ ამავე კრებულში დაბეჭდილი მეორე წერილი კი ტიციან ტაბიძეს ეკუთვნის. ამ წერილს მამამ მიაწერა: „გ. ქიქოძე ისე მიუდგა ვაჟას, როგორც გურმანი ევროპიელი — ცილინდრით, ლორნეტით, თეთრი ხელთათმანებით. ტ. ტაბიძე კი, როგორც ქართველი ქართველს. აქაური მიწით, მირონით და სიყვარულით. ძმამ ძმა იცნო“. ბევრ ადგილას ვაჟას ლექსთან მიწერილია: „დიდებულია!“, „დიდებული ტაეპია“. ლექსთან „ფშაველის სიყვარული“ მიუწერია: „ცხადზედ უცხადესია, რომ ეს ლექსიც და მრავალი ამგვარი ვაჟას მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსია. მაშ რად აწერია ვაჟას სახელი? სად არის საზღვარი საკუთარის და ხალხურისა? საჭიროა ვილაცამ გაცხრო-

ლოს და ყველას თავისი მიუზღოს. რაც უფრო მეტი დრო გავა, ეს საქმე უფრო მეტად გაძნელდება“. ლექსთან „არწივი“ მამას მიუწერია: „გენიოსურია“. ზოგ ლექსს აწერია: „ამ ლექსში ხალხური არაფერი არის. ვაჟასია“. „ჩივილი ხმლისა“-საც აწერია: „გენიალურია“. ზოგ ლექსს კი ასეთი შენიშვნა აქვს: „სუსტია“. ლექსს „შენდამი“, რომელიც ილიას ხსოვნას ეძღვნება, აწერია: „ყმის ერთგულება და შვილის სიყვარული. მეც შენი მოზიარე ვარ, ძმაო ვაჟავ. მ. ჯავ.“. ლექსს „აკაკის საიუბილეოდ“ მიწერილი აქვს: „აკაკის იუბილეს დროს ილიას გახსენებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ეს ორი ლექსი (ილიას და აკაკისადმი) ყველა 81 სიმღერას სჯობია. მ. ჯ.“ ყველა შენიშვნის მოტანას ტომები დასჭირდებოდა, ამიტომ მხოლოდ ზოგიერთი გავაცანით მკითხველს.

მე უკვე ვწერდი იმის შესახებ, რომ მამას ჩვეულებად ჰქონდა თავისი მოსაზრებებისა და ნანახ-განცდილის უბის წიგნაკში შეტანა. წიგნაკი მისი განუყრელი თანამგზავრი იყო. რამე რომ გაახსენდებოდა, სიარულის დროს შეჩერდებოდა, პიჯაკის შიდა ჯიბიდან უბის წიგნაკს ამოიღებდა და თავისთვის ჩაინიშნავდა. ეს ამბავი ზოგ მწერალს სიცილს გვრიდა. ამის თაობაზე მას ჩაუწერია: „დღეში ათიოდე აზრს, ნახულსა და გაგონილს ვიწერ უბის წიგნაკში. ეს ამბავი ჩვენს მწერლებს სასაცილოდ არა ჰყოფნისთ, ასე იცინიან ზულუსები და ბუშმენებიც, როცა ევროპიელი კბილებს იხეხავს“. „დღეს უნდა მქონდეს გული ქვისა, სული რკინისა“. „მე ვნახე, მწამდა, ვტიროდი“. წარწერა კაიენ — კ. ტორდელის ტანზე“. „ჩემი ცხოვრების თითქმის სამი მეოთხედი მე გავატარე ძველი რეჟიმის დროს, ამიტომ მე მირჩევნია ვწერო შედარებით: რა იყო და რას ვხედავთ ჩვენ ეხლა“. „რეალობა ათასჯერ დაჩრდილულა მოკლე ხნით, მაგრამ ისევ წინ წამოსულა და ისევ დაუპყრია ქვეყანა. ასე იყო, არის, იქნება“.

ლიტერატურულ საკითხებ[illegible] შირებით მას სხვადასხვა დროს ჩაუწერია უბის წიგნაკში:

„გავთანასწორდით გლახა და ლიტერატორი და ვისაც მათხოვრობა არ შეუძლიან, ლიტერატურიდან მირბის. მეც მივრბივარ“. „დღევანდელი მწერლობა (მსოფლიო საზომით) დაუძლურდა. მწერალი უძალოდ ფართხალებს ტიპის შექმნისათვის, მაგრამ სურათის მაგივრად მონახაზი გამოდის — ისიც უფერული, მეხანიკური, გარეგნული“. „მე მწერალი დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ — ვაება და კაეშანია. მეუბნებიან, გმირული რამ დასწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე — თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდი — სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი“. ამ ჩანაწერით, ყველაზე კარგად მამამ თვითონვე გამოხატა თავისი სულიერი მდგომარეობა და ეროვნული ტკივილები. „დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება, და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს“. „ქართველებს მეორე ოქროს ხანა მოგველის და ვინც ამას დაიჯერებს, ის იმ ხანისთვის რაღაცას შეჰქმნის, შეამზადებს“. „ისტორია კუმალდურებაზე სდგას. წინა თაობა ჰბილწავს უკანას და თვითონაც იბილწება მომდევნო თაობის მიერ.“ „ქრისტე რომ ჩამოვიდეს და ქართველებში დასახლდეს, მეორე დღესვე თავში ჩავუფახუნებთ, ან ხელს გადავხვევთ და ასე ავლაპარაკდებით: „ბიჭო, იესო, როგორა ხარ? რასა იქ, შე ჩემანალავ? წამო, ერთი ჩარექა დამალევინე“... ასეთი ლაზღანდარა ხალხია ქართველი...! „ელისაბედ რამაზაშვილმა თავის აკლდამა გაყიდა. შიგ ჰონქაძე და არდაზიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაასვენეს“. „დიაღ, ქვეყანა დიდია დიდსულოვან მშრომელისათვის და ძალიან მცირეა სულმოკლე ზანტისათვის“. „როცა ქვის სეტყვა მოდის, თავს ნუ შეუშვერ. სადმე მღვიმეში გამოდარებას მოუცადე და შემდეგ ისევ შენი გზით წადი“. „ვაი იმ ხალხს, ვინც მხოლოდ ვაჭრობს და ვუი იმასაც, ვინც მხოლოდ რაინდობს“. „1929 წ. აგვისტოში ქართველი ალპინისტები ჯაფარიძის მეთაურობით ავიდნენ ბრუტსაბძელას მწვერვალზე, სადაც „ჯერ არავინ ასულიყო“, და იქ ოთხ ნიშს წააწყდნენ. ჩვენს წინაპრებს ამ მიუვალ მთაზე ოთხი ეკლესია აუშენებიათ. მაგონდება ბეთლემის მონასტერი ყაზბეგზე და ათასი მზგავსი ეკლესია, აშენებული მართლა ღვთისათვის და არა ხალხისათვის. როგორც ეტყობა, განდეგილობა ძლიერ ყოფილა გავრცელებული. შაჰაბასმა გარეჯის უდაბნოში ერთ ღამეს 6000 ბერი გასწყვიტა. მაშ საქართველოში ასი ათასი მაინც იქნებოდა, რელიგიური მწვალებლობა არ ყოფილა, ბერობას კი ქვეყანა შეუჭამია. ბრუტსაბძლას მაგალითი კიდევ იმას გვეუბნება, რომ ჩვენს წინაპრებს მოუვლელი ერთი მტკაველიც არ დარჩენიათ და საქართველოს გეოგრაფიაც ჩვენზე უკეთ სცოდნიათ“. „უტყუარია ჩემი პოლიტიკური დებულება: „შენს მხარეზეა ჭეშმარიტება, ამიტომ სცდები, მე კი არ ვიცნობ ცოდნას, სიმართლეს!. ამიტომ ვიმარჯვებ“. „ჩვენი ქალაქი იმიტომ ინგრევა, რომ მსხვილმანს დაედევნენ (ჯებირი, ხიდი, კოჯრის გზა, აბანოების უბნის დანგრევა) და წვრილმანი კი დაივიწყეს (ტრამვაი, ქუჩა, შენობა). წვრილმანისა და მსხვილმანის თეორია“. „მთელი საქართველო ფსიქიატრიულ სამკურნალოდ გადაიქცა, სადაც ექიმი არ მოსჩანს“. „მეორე პეტრე დიდი სჭირდება რუსეთს, თორემ მისი ჩინეთიზაცია აუცილებელია — სტალინია მეორე პეტრე დიდი“. „ჩვენ, ქართველებს, ჩვენი ღმერთი გვყავს, რომელიც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს და სხვა ენა არ იცის“. „ჩვენ, მცირე ერებს, მცირე მნათობების — ასტეროიდების ბედი გვიწერია: დიდი მნათობების თანამგზავრები ვართ და მათს გავლენას ვერ მოვწყდებით“. „საქართველოში ათეულ ათასებს წაერთვათ ყოველივე გარდა შურისძიების გაუმაძღარ წყურვილისა“. „მოვალეობა ათნაირია: წინაშე რევოლუციის, მეცნიერების, საკუთარი თავის, ნათესავის და სხვ. სად თავდება ერთი, სად იწყება მეორე? რევოლუციონერის ვალს აქვს თუ არა საზღვარი, პირადი ბედნიერება?“

როგორც ცნობილია 1928 წელს დაიშალა კორპორაცია „არიფიონი“ და მისი გამოცემა ჟურნალის პირველ ნომერზე შეწყდა. ამის თაობაზე მწერალთა ფედერაციაში გაიმართა სხდომა, რომელზედაც ჟურნალის ბედი გადაწყდა. მოგვყავს ეს საბუთი: ოქმი № 11. სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომისა. 11 ივლისის 1928 წ. (ამ სხდომას მამა არ დაესწრო). სხდომას თავმჯდომარეობდა გრიგოლ რობაქიძე. მოისმინეს: „არიფიონის“ დაშლის გამო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუ როგორი სახით შევლენ ფედერაციაში მათი წევრები. შემოვიდა წინადადება, რომ ისინი იქნებიან ფედერაციის წევრები, მხოლოდ არავითარ შემთხვევაში ადგილი არ ექნებათ ფედერაციის მმართველობაში, დაადგინეს: „არიფიონი“-ს წევრები რჩებიან ფედერაციის წევრებად, მხოლოდ თუ საჭიროება მოითხოვს პრეზიდიუმი მოიწვევთ მათ. პრეზიდიუმის აზრით საერთოთ დაჯგუფებათა გარეშე დარჩენილი მწერლები მიღებულ იქნებიან ფედერაციაში საგანგებოდ შედგენილ წესის მიხედვით, მათზე გავრცელდება ყველა უფლება, სრულუფლებიანი წევრისა. საჭიროების დროს მოიწვევენ კოპტაციის საშუალებით“.

1933 წელს საქართველოს მწერალთა ფედერაცია დაიშალა და მის მაგივრად მწერალთა კავშირი დაარსდა.

1930 წელს შეიქმნა დრამატურგთა,

კომპოზიტორთა და კინოსცენარისტთა საზოგადოება „დრამკომი“, რომლის გამგეობაში, სხვა მწერლებთან ერთად, მამაც იქნა არჩეული. იგი ამავე დროს მოსკოვის საზოგადოება „დრამკომის“ რწმუნებულიც იყო საქართველოში.

მე ვიზრდებოდი ისეთ ოჯახში, სადაც პატიოსნებისა და ზნეობის მაგალითები უხვად იყო, სადაც უფროს-უმცროსობა, ურთიერთის პატივისცემა და მორიდება სუფევდა. არსებობდა ნორმები, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდა. მე არ ვიცოდი, რა იყო თაღლითობა, ვინმეს მოტყუება ან ტყუილის თქმა. ზომაზე მეტად არასოდეს მანებივრებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 15 წლამდე ოჯახში მარტო ვიზრდებოდი, მე არ მახსოვს, მშობლებისათვის რაიმე მოთხოვნილებები წამეყენებინა, ესა თუ ის ტანსაცმელი მომეთხოვა. ბავშვობიდანვე მორიდებული ვიყავი, ბუნებით სიმკაცრე და შეზღუდულობა ყველაფერში იგრძნობოდა, მაგრამ ეს ძალდატანებით არ კეთდებოდა. ბავშვებს თავისი განკუთვნილი ადგილი გვქონდა და იმის იქით გადასვლა არ შეიძლებოდა. ტონს მამა გვაძლევდა. მთელი ჩვენი ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი და მისი ბუნება და ხასიათი ოჯახში ამინდს საზღვრავდა. ჩვენს ოჯახში მაღალი მორალური სული სუფევდა. თავაზიანობას, სიტყვა-პასუხსა და მოქცევას დიდი ყურადღება ექცეოდა და ფასდებოდა. ყველაზე ხშირად გაისმოდა ხოლმე: არ შეიძლება, წესი არ არის, ასე მოქცევა ვის გაუგია და სხვა. მეც თავის თავისადმი მკაცრ მომთხოვნელობით ვიზრდებოდი. მაგრამ ყოველთვის ვერ ვახერხებდი მის დაცვას და მაშინ საყვედურებს საზღვარი არა ჰქონდა. ვალდებული ვიყავი, თვალყური მედევნებინა ჩემი საუბრისათვის, მოქმედებისათვის, მიხვრა-მოხვრასა და ჩაცმულობისათვის. ეტიკეტი ყოველმხრივ უნდა ყოფილიყო დაცული. მაშინ ჩვენი ინტელიგენცია ასეთი ნორმებით ცხოვრობდა. კეთილშობილება და ინტელიგენტობა დაფასებული იყო. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ [illegible] რიალური უზრუნველყოფით არ იყო განებივრებული. საერთოდ, იმ დროს ჩვენს ინტელიგენციას არ იტაცებდა რაიმე ნივთის შეძენა და დაგროვება, ყიდვა-გაყიდვა და ერთმანეთის მიმბაძველობა. ყურადღება უფრო სხვა ამბებს ექცეოდა: წიგნების კითხვას, აზრთა გაზიარებას, საზოგადოებაში, კინოთეატრებში სიარულს, ერთმანეთთან სტუმრობას და ურთიერთობას. საღამო ჟამს ჩვენი რჩეული საზოგადოება რუსთაველის გამზირზე გამოეფინებოდა ხოლმე და სეირნობდა. აქ ხვდებოდნენ ნაცნობ-მეგობრები ერთმანეთს და სეირნობით საუბარს განაგრძობდნენ. ვის არ ნახავდით იქ!. ახლა კი, რა დროც არ უნდა იყოს, რუსთაველის გამზირზე რომ ფეხით ჩავივლი ხოლმე, მოედნამდე ისე მივალ, რომ ერთ ნაცნობ ადამიანს არ შევხვდები. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს უცხო ქალაქში ვიყო. ხალხი აღარ სეირნობს, მას არც სცალია, სადღაც ეჩქარება და სირბილით მიდის შინისკენ, ან მანქანებში სხედან და არა ჩანან. წამოვიდა სულ სხვა საზოგადოება, რომელიც არაფრით არა ჰგავს იმ ძველ თაობას. მორალის და ზნეობის ნორმებიც შეიცვალა. გარდაიქმნა ჩვენი საზოგადოება, რასაც მე ძნელად ვეგუები.

მიუხედავად იმისა, რომ მამა ბუნებით თბილი და ალერსიანი ადამიანი იყო, სითამამე არ მოსწონდა და ალაგმულ და თავაზიან დამოკიდებულებას მოითხოვდა. ბავშვობიდანვე მინერგავდა იმას, რაც თვითონ სწამდა. ნერგავდა ჩემში პატრიოტულ გრძნობებს, განსაკუთრებით მიქადაგებდა შრომისადმი სიყვარულს, თავისთავისადმი მომთხოვნელობას მაჩვევდა. დარიგებას ხშირად არ მიმართავდა, თავს არ მაბეზრებდა. ერთხელ იტყოდა და საკმარისი იყო. იტყოდა დამაჯერებლად და გასაგებად. მან იცოდა, რომ მის სიტყვებს მე უყურადღებოდ არ დავტოვებდი. თქმა იცოდა მოკლედ და გასაგებად. სიზარმაცეს ვერ იტანდა და მე თუ უმიზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლ სკოლას გავაცდენდი, ვიზარმაცებდი, სწყინდა. მაგრძნობინებდა, რომ ჩემით ის უკმაყოფილო იყო, რასაც ყველაზე მტკივნეულად განვიცდიდი. ჩემს სიზარმაცეში კი გარკვეული წვლილი დედაჩემს მიუძღოდა. ცუდი ამინდის გამო, რომ არ გავციებულიყავი, ის წინასწარ თავს იზღვევდა, სკოლაში არ მიშვებდა და ამიტომ გაკვეთილების გაცდენა ხშირად მიხდებოდა. მამა უსაყვედურებდა ხოლმე დედას, ასეთი აღზრდა არ არის სწორიო, საჭიროა ბავშვი ყველაფერს შეაჩვიო, რომ ცხოვრებაში ყველანაირი გაჭირვების ატანა შესძლოსო.

დედას კი აღზრდის თავისი მეთოდები გააჩნდა. მე სუსტი ბავშვი ვიყავი და ამიტომ გადამეტებით მიფრთხილდებოდა. მამა კი ჩემს გაკაჟებას მოითხოვდა. ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ მამა ცამდე მართალი იყო.

პატარობისას თავს გადამხდა ერთი ამბავი, რომელიც ჭკუის სასწავლებელი იყო ჩემთვის და ღრმად ჩამრჩა გონებაში. მამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო. სკოლის დრო რომ მომივიდა, ჩვენებმა ფრანგულ ლიცეუმში მიმაბარეს. უთუოდ ეს დედას სურვილი იყო, თორემ მამა, ქართული სკოლის მომხრე იყო. ლიცეუმი, თუ არა ვცდები, მახარაძის ქუჩაზე იმყოფებოდა. იქ მე ორი-სამი წელი დავყავი, შემდეგ ლიცეუმი დაიკეტა და ბავშვებმა სწავლა ქართულ სკოლაში განვაგრძეთ.

ლიცეუმიდან შინ რომ ვბრუნდებოდით, ლენინის მოედანზე უნდა ჩამოვსულიყავით და შემდეგ მე, რუსთაველის გამზირით შინისკენ ვაგრძელებდი გზას. ამხანაგები ერთად მივდიოდით და გზადაგზა მაღაზიებში გამოფენილ საინტერესო ნივთებს ვათვალიერებდით. ჩამოუხვევდით თუ არა ლენინის მოედანს, აუცილებლად ოქრომჭედლობის მაღაზიასთან უნდა შევჩერებულიყავით. იქ გამოფენილი ძვირფასეულობა ბავშვებს თვალს მოგვტაცებდა ხოლმე, ეს მაღაზია დღესაც იმ ადგილას იმყოფება და რამდენჯერაც არ უნდა გავიარო მის ახლოს, მაშინვე ჩემი ბავშვობა მომაგონდება ხოლმე. ამ მაღაზიის ვიტრინებთან ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. იქ გამოფენილ ნაირ-ნაირ სამკაულებს, რომელიც თვალისმომჭრელად ელვარებდა, ყოველთვის ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა. ბავშვებსაც გვიყვარდა ამ სამკაულების დათვალიერება. მაშინ ასე 8-9 წლისა ვიქნებოდი. მეც ბავშვური ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ვიტრინაში გამოფენილ ყელსაბამებსა და მძივებს. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, რამდენიმე ამხანაგი სწავლის დამთავრების შემდეგ მაღაზიის წინ ვიდექით და გაფაციცებით ვათვალიერებდით იქ გამოფენილ სამკაულებს. თან ერთმანეთს ვესაუბრებოდით, ვარკვევდით, რომელი სამკაული უფრო მოგვწონდა, რომელი მოგვიხდებოდა, რომელს ავირჩევდით... ისე ვიყავით საუბრით გართულნი, ვერცკი შევამჩნიეთ, გვერდით რომ ორი ახალგაზრდა ვაჟი გაჩერებულიყო და ჩვენ საუბარს ყურს უგდებდა. ისინი უთუოდ სტუდენტები იყვნენ. ისინი ღიმილით ჩვენ გვიყურებდნენ და ერთმანეთს რაღაცას ეუბნებოდნენ. ღიმილს უთუოდ ჩვენი ბავშვური გულღია ლაპარაკი ჰგვრიდა. კარგ გუნებაზე იყვნენ, საქმე არაფერი ჰქონდათ და ერთობოდნენ.

გატაცებით რომ ვათვალიერებდით სამკაულებს, ამ დროს ეს ორი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა და ერთ-ერთმა მათგანმა გვკითხა: ძალიან მოგწონთ ეს სამკაულებიო? ჩვენ დაუფიქრებლად და გულწრფელად ვუპასუხეთ: ძალიან მოგვწონსო. მაშინ იმ ვაჟმა გვკითხა, ვის რომელი სამკაული გინდათ რომ გქონდეთ, აირჩიეთო. მე მაშინვე ხელი დავადე ძვირფას ყელსაბამს, რომელიც დიდი ხანია მომწონდა. ჩემმა ამხანაგმაც რაღაც აირჩია. ჩვენი არჩევანი რომ გავაცანით, ვაჟმა გვითხრა: იცით, ბავშვებო, მე ამ მაღაზიის დირექტორი ვარ და ყველაფერი შემიძლია გაგიკეთოთ. რახან ასე ძალიან მოგწონთ ეს სამკაულები, მე თქვენ გისახსოვრებთ. ჩვენ გაოცებულები, პირდაღებულები შევცქეროდით იმ კაცს და ალბათ იმ წუთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბში თავი ზღაპრულ სამყაროში გვეგონა. მაინც რა გულუბრყვილოები იყვნენ იმ დროის ბავშვები! ახლა ასეთ რამეს ვერ დააჯერებ დღევანდელ ბავშვს. ჩვენ კი გულუბრყვილოდ გვჯეროდა ყველაფერი, მითუმეტეს უფროსის ნათქვამი. იმ ვაჟმა კი წარბიც არ შეიხარა ჩვენს წინაშე და სერიოზული ტონით გვითხრა: თქვენ, გეტყობათ, რომ კარგი ბავშვები ხართ და ამიტომ მე საჩუქარს გაგიკეთებთ. ერთ-ერთი შედით მაღაზიაში, გამყიდველთან მიდით, ჩემი სახელით უთხარით და თქვენ მიერ არჩეულ სამკაულს მოგცემენო. მახსოვს, მე სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა ტანში და დაუფიქრებლად, როგორც ბურანში, ისე გავემართე მაღაზიის კარებისკენ. შიგ რომ შევედი, ცოტა ხალხი იყო და დახლთან მისვლა არ გამჭირვებია. უთუოდ იმ წუთებში ამაყი გამომეტყველება მქონდა, გამყიდველ ქალს რომ ველაპარაკებოდი. ვუთხარი, დირექტორმა შემოგითვალათ, ეს ყელსაბამი და მძივი ჩვენ მოგვცეთ მეთქი. ქალმა გაკვირვებით შემომხედა, ყურადღებით მომისმინა, ყველაფერს მიხვდა და მცირე დაფიქრების შემდეგ მითხრა, მომიყვანე აქ დირექტორი და თვითონ მითხრას, რა უნდაო. მე გარეთ გამოვედი, ის ვაჟი მოვნახე და ვთხოვე, მაღაზიაში შემომყევი მეთქი.

ამ ამბავს რომ ვიხსენებ, მიკვირს, რომ ის ვაჟი დამთანხმდა, ბოლომდე ეთამაშა თავისი როლი, უხერხულობა არ იგრძნო, თავისი საქციელის არ შერცხვა, წამოწყებული თამაში განაგრძო და უტიფრად მაღაზიაში შემომყვა. მათ შორის დიალოგიდან მივხვდი, ვაჟი ტყუილს ამბობდა და ვიგრძენი, რომ ამ თამაშით ჩვენ, ბავშვები, შერცხვენილები და იმედგაცრუებულები დავრჩით. გამყიდველმა ქალმა ხმამაღლა შეარცხვინა ვაჟი. მახსოვს ვაჟის პასუხი, გავეხუმრეო. მე საშინელ გუნებაზე დავდექი. აღარც სამკაულები მახსოვდა და არც ჩემი ყელსაბამი. სირცხვილის გრძნობა მტანჯავდა. მათი საუბრის დამთავრებას აღარ დავუცადეთ — ჩვენთვის ისედაც ყველაფერი ნათელი იყო, მაღაზიიდან გამოვედი და ამხანაგს ვუთხარი, ამ ვაჟმა მოგვატყუა და გაგვათამაშა მეთქი. ერთხანს ასე ვიდექით მე და ჩემი ამხანაგი მაღაზიის წინ გაოგნებულები და შეწუხებულები. ტირილი გვეროდა, მაგრამ თავს ვიკავებდით.

ამ დროს დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი მამა. ის მწერალთა კავშირში ნელი ნაბიჯით, ჩაფიქრებული მიდიოდა. მამას დანახვა ასეთ დროს ძალზე გაგვეხარდა, მხსნელივით მოგვევლინა. გაჩერდა და გვითხრა: ამ დროს აქ რა გინდათ, რატომ შინისკენ არ მიდიხართ, რამ აგაღელვათო. მე სხაპასხუპით ვუამბე, რაც თავს გადაგვხვდა და მივუთითე იმ ორ ახალგაზრდაზეც რომლებიც ის იყო, მაღაზიიდან ნელი ნაბიჯით გამოდიოდნენ. ჩვენს გვერდით უფროსი რომ დაინახეს, არ ესიამოვნათ, ალბათ იფიქრეს, შორს ხომ არ შევტოპეთ ჩვენი უხეირო ხუმრობითო. მამამ დინჯად მომისმინა. სახე მოეღუშა. შემდეგ იმ ვაჟებს მიუბრუნდა და ჩვეული სიდინჯით უთხრა: გეთაყვა, მობრძანდით აქ. არ ვიცი, იცნეს მამა თუ თავიანთ შეცდომას მიხვდნენ, შერცხვენილები და მობუზულები გვიახლოვდებოდნენ. ისინი აღარ ჩანდნენ გამბედავები და მხიარულნი, უეცრად გამოვერკვიე, სინამდვილემ გამომაფხიზლა და დამაფიქრა. ახლა უკვე ამ ახალგაზრდებს მე ზიზღით ვუყურებდი, მამა დინჯად შეეკითხა — რატომ მოგივიდათ თავში ასეთი აზრი, რომ ეს გულუბრყვილო ბავშვები მოგეტყუებინათო. პასუხი ვერ გასცეს. იდგნენ მამას წინაშე თავჩაღუნულები და დარცხვენილები. ბოლოს როგორც იქნა, ლუღლუღით ბოდიში მოუხადეს და გვაპატიეო, თქვეს. მახსოვს, მამამ ჩვენც დაგვტუქსა — უცნობებს რატომ გამოელაპარაკეთ და მათ ჭკუაზე გაიარეთო. ჩვენც დამნაშავეები ვიყავით და თავის გასამართლებლად არაფერი გვეთქმოდა. მამამ შეარცხვინა ის ახალგაზრდები, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა —

ახლავე შინ წადით. მე კი მითხრა: მოვალ და მოგელაპარაკებით. მეტი არაფერი უთქვამს, მოტრიალდა და წავიდა. ჩვენც შინისკენ წამოვედით. მამა შინ რომ დაბრუნდა, სადილის შემდეგ თავის ოთახში შემიყვანა და მესაუბრა. მითხრა: თქვენი საქციელი მოსაწონი არ არის. იმის მაგივრად რომ სკოლიდან დროზე შინ მოხვიდეთ, თქვენ საათობით მაღაზიის წინ დგეხართ და სამკაულებს ათვალიერებთ. როგორ არ იფიქრე რომ ასეთ ძვირფას სამკაულს არავინ უფულოდ არ მოგცემდა. ძალზე უშნოდ მოიქეცი და ეს გაკვეთილი იყოს შენთვის. მე შემრცხვა, რომ ჩემი სულელური საქციელით მას გული ვატკინე და უსიამოვნება მივაყენე. ის შემთხვევა ჭკუის სასწავლებელი იყო ჩემთვის. იმ დღის შემდეგ, სკოლიდან რომ გამოვდიოდი მაღაზიის წინ აღარ ვჩერდებოდი და პირდაპირ შინისკენ მოვიჩქაროდი. ეს შემთხვევა ღრმად ჩამრჩა გონებაში და დღესაც რომ ვიხსენებ, უსიამოვნო გრძნობა მეუფლება.

მამას თავისი რომანის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით გაკეთებული ჰქონდა კინოსცენარი და თეატრისათვის კი პიესა, რომლის დადგმასაც ის უახლოეს დროში აპირებდა. მაგრამ, არც ერთი მისი სურვილი, სამწუხაროდ არ შესრულდა, რაც მის გულს ხინჯად დააჩნდა. წინ მას ბევრი რამ გადაელობა ამ გზაზე.

მამას ბრძოლა უხდებოდა აგრეთვე თეატრისა და კინოს მუშაკებთან და ამ ბრძოლიდან იგი რატომღაც ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდა. სამაგიეროდ, მისი კოლეგები მოხერხებულად მოქმედებდნენ, რათა მისთვის გვერდი აევლოთ და თავიანთი სურვილის და მიხედვით მისივე ნაწარმოებები გადაეკეთებინათ. ამის გამო მამას სხვადასხვა ინსტანციებში ჩივილი უხდებოდა, რათა თავისი სიმართლე და კუთვნილი უფლებები დაეცვა. იმის გამო, რომ ის კომპრომისზე არ მიდიოდა, საკუთარი ნაწარმოების ჩანაფიქრი ისე გადაეკეთებინა, როგორც ამას რეჟისორი მოითხოვდა, მათ შორის ურთიერთ[illegible] ბებოდა და საქმე კონფლიქ[illegible] დიოდა.

მწერლების, კინოსა და თეატრის რეჟისორებთან ურთიერთობის ამბები საყოველთაოდ ცნობილია და დიდი ხნის ისტორია აქვს. დღესაც ისმის ხოლმე ამ სფეროში ჩივილი. მამას მიმართ კი ეს ამბავი თვალნათლივ დადასტურდა არსებული ფაქტებით. მწერლებისა და რეჟისორების ურთიერთობის ამბავი მაშინვე გამწვავებული იყო, რაც აღინიშნა კიდეც მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელიც 1932 წ. ოქტომბრის თვეში გაიმართა. ამ სხდომაზე გამოვიდა ტიციან ტაბიძე, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო რა საერთოდ სახკინმრეწვის დამოკიდებულებას მწერლებთან, აღნიშნა, რომ „მწერლები ყოველთვის მიდიოდნენ სიამოვნებით სახკინმრეწვში და შემდგომ მივლენ კიდეც. მაგალითად, იქ მუშაობდა ამხ. ჭუმბაძე, რობაქიძე, ჯავახიშლი, ნ. ლორთქიფანიძე, მაგრამ ამ ამხანაგებს იქ მომუშავე რეჟისორები გასაქანს არ აძლევდნენ და ექცეოდნენ არა ამხანაგურად“.

რამდენიმე არასასიამოვნო შემთხვევა მოხდა მამას ცხოვრებაში კინოსა და თეატრთან დაკავშირებით, რომელიც გვინდა მკითხველს გავაცნოთ. „არსენა მარაბდელმა“ მრავალი სასიამოვნო წუთები და სიხარული აგემინა მამას, სამაგიეროდ, დიდძალი ნერვების დაძაბვა და მღელვარებაც გადაატანინა.

1933 წელს მამამ გადაწყვიტა „არსენა მარაბდელი“ ეკრანზე გადაეტანა და კინოსცენარი დაეწერა, რომლის მიხედვით ფილმი დაიდგმებოდა. თავდაპირველად მან ლიბრეტო დაწერა და 1934 წელს სახკინმრეწვს (კინოსტუდიას მაშინ ასე ეძახდნენ) წარუდგინა. იმავე წლის 8 თებერვალს შესდგა სახკინმრეწვის სამხატვრო საბჭოს სხდომა, სადაც განხილული იქნა მამას მიერ წარდგენილი ლიბრეტო. ამ სხდომაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაიმართა და აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ლიბრეტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ არ არის სცენარის საფუძველი. მას გადაკეთება და კინემატოგრაფიულად დამუშავება ესაჭიროება. მამას შენიშვნები და მითითებები მისცეს, რომელიც მას შემდგომი მუშაობისათვის უნდა გაეთვალისწინებინა.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს, თუ რა სახის შენიშვნები გაკეთდა ლიბრეტოს განხილვის დროს აღნიშნულ სხდომაზე. მე მათ მოკლედ მოვიტან. დიმიტრი ბენაშვილმა თავის სიტყვაში თქვა: „რომანს აქვს თავისი შეცდომები, რომლის გადატანა სცენარში დაუშვებელია. სურათის ცენტრი გლეხების გაჭირვება უნდა იქცეს, მაგრამ საჭირო არ არის ვუჩვენოთ შეთქმულება. საჭიროა გაძლიერდეს სუმბათაშვილის ამბავი“. სიკო დოლიძემ აღნიშნა, რომ გლეხთა აჯანყების დამარცხება ერთ-ერთი ძლიერი ეპიზოდია და ის უნდა იყოს აღებული როგორც საფუძველი მომავალი სცენარის დასამუშავებლად. რეჟისორმა პერესტიანმა აღნიშნა, რომ თავიდანვე უნდა გაირკვეს, ხმოვანი სურათი დაიდგმება თუ უხმო. ხმის საკითხის გადაჭრა თავიდანვე არის საჭირო. თუ ხმოვანი სურათი დაიდგმება, მაშინ ჩვენ ვერ ავცდებით ექსპრესიონიზმის გზას. არსენიშვილმა თქვა: ავტორმა განაცხადა, რომ მისი არსენა განირჩევა პუგაჩოვისაგან და მას სურს, რომ არსენა პუგაჩოვს არ გავდეს. ეს არ არის მისაღები აზრი. პუგაჩოვის ეგრე აბუჩად აგდება, რომ მას ანგარიში არ გაეწიოს, შეუწყნარებელია. მიხეილ ჭიაურელმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ საჭიროა ნაჩვენები იქნეს გლეხების გაყიდვა. მე ვფიქრობდი ეს სურათი დამედგა სრულიად რეალისტურად. შემდეგ ვფიქრობდი დამედგა ლეგენდარული ელფერით, მაგრამ ორივე აზრი უარვყავი და ახლა გადაწყვეტილი მაქვს მისი დადგმა საშუალო ხაზის მიხედვით, ეპოპეის სახით. სწორედ ამ განხრით არის დაწერილი ეს ლიბრეტო. დაადგინეს, რომ ლიბრეტოს უკანასკნელი წარმოდგენილი ვარიანტი იქნეს მიღებული.

თავის საბოლოო სიტყვაში მან აღნიშნა: „...მე ვწერდი ლიბრეტოს იმ ანგარიშით, რომ რომანი ყველას წაკითხული ექნებოდა და ამიტომ მოკლედ და სქემატურად დავამუშავე იგი. წარმოდგენილი მასალა საბოლოო კინოლიბრეტო არაა, მას კიდევ ბევრჯერ დასჭირდება გადაკეთება და შეცვლა. ჩემი პირველი წადილი ის იყო, თუ როგორ დამეწერა რომანის მასალა და არა ის, თუ როგორ გამეშალა მასალა. ყველაზე ძნელი სწორედ მასალის დაწურვის საკითხია. აქ აღნიშნული იყო, რომ თითქოს ლიბრეტოში სოციალურ ამბავს მეორე ადგილი ეკავოს. ეს არ არის მართალი, ვინაიდან სოციალურ ამბავს აქ უზარმაზარი არე უკავია. ჩემთვის კიდევ გაურკვეველია — საჭიროა თუ არა სცენარში დატოვება შეთქმულებისა? შეთქმულება გამოხატავს ეროვნულ-პოლიტიკურ მდგომარეობას იმ ხანებში და მასთან დაკავშირებით არსენას ათქმევინებს „ჯერ ბატონყმობა უნდა მოისპოს“. შესაძლებელია, რომ არსენას ამ იდეის გამოსამჟღავნებლად სხვანაირი მდგომარეობა შევუქმნათ და შეთქმულება კი ამოვიღოთ. არ შეიძლება გაკვრით ვაჩვენოთ სუმბათაშვილის ამბავი, თუ ვაჩვენებთ, უნდა გავშალოთ, თუ არა და უნდა ამოვიღოთ სრულებით. ქალის ამბავი უსათუოდ უნდა დავტოვოთ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ ამბავს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ექნება. მას დაეთმობა მესამე ხარისხოვანი ადგილი. ამოღებული ადგილების ნაცვლად საჭირო იქნება 1829 წელში მომხდარ გლეხების აჯანყების (დილმის ამბები) გაძლიერება. თავისთავად ცხადია, რომ გლეხთა აჯანყება უნდა გადაიქცეს სცენარის მთავარ ღერძად. რაც შეეხება სურათის დამთავრებას — არსენა უნდა მოვკლათ თუ ცოცხალი დავტოვოთ — ეს საკითხი კარგად მოსაფიქრებელია და მე ამის შესახებ ორ ვარიანტს დავამუშავებ. მე მომხრე ვარ, რომ სურათი იქნეს არა მოლაპარაკე, რადგან ერთი მხრივ, მეტი მასალა ჩაეტევა, ხოლო მეორეს მხრივ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი გმირი არსენა და ქართველი გლეხი რუსულად ვერ ილაპარაკებენ“.

სახკინმრეწვის სამხატვრო ბიუროს მეორე და მესამე სხდომებზე, რომელიც 1934 წელს 2 მარტსა და 23 მარტს გაიმართა, დამატებით მამას კიდევ მისცეს სხვადასხვა ხასიათის შენიშვნა, რომელიც სცენარის საბოლოო ვარიანტისათვის უნდა გაეთვალისწინებინა. ეს შენიშვნები მამამ გულდასმით მოისმინა და თავის სიტყვაში აღნიშნა: „ზაალის სახლის ცეცხლის წაკიდების დროს ოჯახის გადარჩენა შეიძლება დაეკისროს ღვთისავარს. მხოლოდ არსენა დაეხმარება მას. სწორედ ეს ხასიათი ანსხვავებს მას პუგაჩოვისაგან, რატომ მოხდა, რომ გლეხები ჩამოშორდნენ არსენას? თავად-აზნაურობამ განაცხადა, რომ ოსმალეთში შემოტევას აწარმოებენ, ჩვენ რუსეთისაკენ ვართ და თქვენ ვისთან გინდათ იყოთო. გლეხებს მეტი არაფერი დარჩენოდათ, ისინიც მიემხრნენ რუსეთს. მაშასადამე, მხარი დაუჭირეს თავად-აზნაურობას. ორიენტაციის ამბის ამოგდება შეუძლებელია, ვინაიდან, ეს დამახასიათებელი პოლიტიკური საკითხია. არსენას კავშირის გაწყვეტაც შეთქმულებთან შეუწყნარებელია, რადგან ისეთ პირობებში, როგორც მაშინ იყო შექმნილი, ულმობელ ავაზაკთანაც შეიძლებოდა კავშირის დაჭერა. სამხატვრო ბიუროს მითითებები მე შევასრულე, ახალ მითითებათაგან მე შემიძლიან მივიღო შემდეგი, რომელსაც სცენარში გამოვასწორებ. უფრო ნათელი მოტივიროვკა მივცე გლეხთა განდგომას არსენასაგან“.

ფილმი მიხეილ ჭიაურელს უნდა დაედგა. მე კარგად მახსოვს მამა და მიხეილ ჭიაურელი „არსენა მარაბდელის“ კინოსცენარზე რომ მუშაობდნენ. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ზაფხულში ჭიაურელი რამდენჯერმე ჩვენთან ქვიშხეთშიც კი ჩამოვიდა, სადაც მათ ერთობლივად სცენაზე მუშაობა მოუხდათ. დაიწერა კინოსცენარის რამდენიმე ვარიანტი. მაგრამ შემდეგ, მამა და ჭიაურელი ზოგიერთ პრინციპულ საკითხებში ვერ შეთანხმდნენ, გა[illegible] დიამ მამა განზე გარიყა, სამაგიეროდ სცენარზე სამუშაოდ სანდრო შანშიაშვილი იქნა მიწვეული, რომელმაც ჭიაურელის ნება-სურვილის მიხედვით მამას ნაწარმოები გადააკეთა. მამა ძალზე გაჯავრებული იყო. ნაწყენი დარჩა მათი ასეთი უტაქტო მოქმედებით. ისიც აღსანიშნავია, რომ ს. შანშიაშვილი ასევე მოექცა მამას რუსთაველის სახელობის თეატრში „არსენას“ დადგმის დროს. ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ქვევით გვექნება საუბარი.

მამას წერილებიდან, რომელიც მან მიხეილ ჭიაურელს და კინოსტუდიის დირექტორს მისწერა, ნათლად ჩანს საქმის ვითარება. მკითხველი ადვილად გაიგებს, თუ რა საკითხები აწუხებდა მწერალს. ისიც უნდა ითქვას, რომ მიხეილსა, როგორც სცენარის ავტორს და კინოსტუდიის დირექტორს მიხეილ კალატოზიშვილს შორის 1934 წელს 31 იანვარს ოფიციალური ხელშეკრულებაც კი ჰქონდათ გაფორმებული, სადაც აღნიშნული იყო, რომ ავტორმა არა უგვიანეს ა/წ 10 აგვისტოს უნდა სცენარი წარმოადგინოს. ჰონორარის თანხაზედაც იყო აღნიშნული ხელშეკრულებაში. ყველაფერი ოფიციალურად იქნა გაფორმებული. 1934 წელს, 24 თებერვალს მამასა და მიხეილ ჭიაურელს შორისაც დაიდო ხელშეკრულება, სადაც ნათქვამია: 1) ჭიაურელი დადგამს კინოსურათს „არსენა მარაბდელი“. 2) თემას და ლიბრეტოს ჯავახიშვილი დაწერს. 3) სცენარს ჭიაურელი და ჯავახიშვილი დაწერენ ერთად.

პირად არქივს შემორჩა 1934 წელს 14 ოქტომბერს სახკინმრეწვის დირექტორის სახელზე დაწერილი წერილი, საიდანაც ჩანს თუ როგორ ჰქონდა ჩაფიქრებული მამას თავისი რომანის მიხედვით დაწერილი სცენარის სიუჟეტი და რას მოითხოვდა იგი. მოგვყავს ეს საბუთი:

საქართველოს სახკინმრეწვის დირექტორს.

„არსენა მარაბდელის“ სცენარის ავ-

ტორების წინაშე, თავიდანვე, ძნელი ამოცანა იდგა, ერთ სურათად შეგვეკუმშა რომანი, საიდანაც რამდენიმე სერიის გამოჭრა უფრო ადვილი იყო. ვმუშაობდით რა ამ ამოცანაზე, მე და ჭიაურელმა 5-6-ჯერ გადავაკეთეთ ლიბრეტო, რომანიდან დავტოვეთ მხოლოდ რამდენიმე სახეშეცვლილი ეპიზოდი, დანარჩენი ყველაფერი გავწირეთ. საბოლოოდ, ჩვენ სცენარის პირველი ვარიანტი დავწერეთ. შემდგომ, ჭიაურელმა მარტომ გადააკეთა ის და ამგვარად სცენარის მეორე ვარიანტი მივიღეთ. სახკინმრეწვის დირექციას სრულიად არ აკმაყოფილებს არც პირველი და არც მეორე ვარიანტი. მიუხედავად ამისა, საჭიროა მათგან ერთი რომელიმე შეირჩეს, როგორც საფუძველი შემდგომი გადამუშავებისათვის.

ჭიაურელის ვარიანტი განსხვავდება ჩემს მიერ ერთობლივად დამუშავებული ვარიანტისაგან ძირითადად იმით, რომ მან ფაბულა არ შეკუმშა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გააფართოვა. მან პირველი ვარიანტის ბოლო ამოიღო (გლეხების აჯანყება) და სამაგიეროდ ორი ეპიზოდი — ქიდაობის სცენა და არსენას დაპატიმრების და გაქცევის სცენა დაუმატა. მე ადრეც წინააღმდეგი არ ვიყავი ამ ორი ეპიზოდის ჩართვისა და არც ეხლა ვარ წინააღმდეგი. ძველი თბილისის და ქიდაობის ჩვენებამ შეიძლება ნებისმიერი რეჟისორი მოხიბლოს. ეს სცენები შესანიშნავად არის დაწერილი და გმირს ძლიერ ამაღლებს. მაგრამ მე სიუჟეტის ასეთი დაბოლოების კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ.

სამხატვრო საბჭო, ჩვენთან ერთად, დიდხანს ეძებდა სცენარის შესაძლებელ დაბოლოვებას და ბოლოს ორ ვარიანტზე შეჩერდა: 1) არსენას სიკვდილზე და 2) 1829 წლის აჯანყების შემდეგ არსენას წასვლაზე თურქეთში. ყველა ერთხმად მეორე ვარიანტზე შეჩერდა. მხედველობაში თუ მივიღებთ მთლიანად ფაბულის ჩარჩოს და რომანის იდეოლოგიურ მიმართულებას, აგრეთვე ისტორიულ სინამდვილეს, შეუძლებელია დაბოლოების მესამე ვარიანტი მოინახოს.

მთელი ჩემი რომანი — ეს არის ამბავი უდროოდ დაბადებული გმირის შესახებ, ვისთვისაც სიცოცხლის და მის მიერ წამოწყებული საქმის ტრაგიკული დაბოლოვება, გარდუვალი იყო. პირველ ვარიანტში ჩვენ უნდა ვთქვათ ტრაგიკულ დაბოლოვებაზე — არსენას სიკვდილზე. ის მიდიოდა თურქეთში იმ იმედით, რომ ოდესმე უკან დაბრუნდებოდა და გლეხების განთავისუფლების საქმეს დაამთავრებდა. სცენარის ყველა ძაფი ასეთ დაბოლოებისკენ მიდის, რომელიც ფაბულის წრეს კეტავს და ამთავრებს, ან ნახევრად ამთავრებს გმირის პირადსა და სოციალურ-პოლიტიკურ საქმეებს.

ასეთი დაბოლოების უარყოფით ჩვენ ვცვლით სიუჟეტის რკალს, უხეშად ვარღვევთ მოთხრობის მთლიანობას და დრამატულ სიმძაფრეს. მეორე ვარიანტის დაბოლოვება არავითარ შემთხვევაში ფაბულას არ ამთავრებს, მაგრამ ეპოპეის საერთო სტილს არღვევს. მეორე ვარიანტის მიხედვით არსენამ უკვე გაიმარჯვა და მარაბდიდან გააძევა ორლოვი და ზაალი — ფეოდალიზმისა და ცარიზმის წარმომადგენლები. ამის შემდეგ ის დაპატიმრებული აღმოჩნდება. გამოდის რომ, მისი გამარჯვება მაინც მისი დამარცხებით დამთავრდა, რომელიც სადღაც, ეკრანის მიღმა დარჩა. მეტეხიდან მისი განთავისუფლების შემდეგ ის ბრძოლაში ამარცხებს თავის მოწინააღმდეგეს კუჭატნელს და კვლავ ტყეში იმალება. აქ დაისვა წერტილი. სურათი იწყება ტყეში გაქცევით და მთავრდება ისევ იმავე ტყეში გაქცევით. ამ იდენტური წერტილების შუალედში არსენა თავის სიმართლეს და სიმამაცეს გვიჩვენებს — ეს აუცილებელია, მაგრამ ამ ეპიზოდებს ჩვენ მიზნისკენ, დაბოლოვებისკენ არ მივყევართ. არამედ, ისინი ცარიელ სივრცეში გამოკიდული რჩებიან, თითქოს მაყურებელს აჩვენებენ მარტო სიმამაცეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბრძოლას, რომლებიც არაფრით არ მთავრდება. ჩვენს ვარიანტს რომ ბოლო მოვაჭრათ (აჯანყება) ეს იმას ნიშნავს, რომ ფილმს წავართვათ სოციალურ-პოლიტიკური სიმძაფრე და მნიშვნელობა დავუკარგოთ ეკრანზე ორბელიანის ჯგუფის გამოჩენას (1832 წ. შეთქმულნი). მაშინ ეს პარალელური სიუჟეტური ხაზი ზედმეტი გახდებოდა. ამის გადახაზვით ჩვენ გადავხაზავდით აგრეთვე გლეხების ორიენტაციას, რის შედეგადაც სურათი დაკარგავდა პოლიტიკური იდეურობის მნიშვნელოვან ნაწილს და შეინარჩუნებდა მხოლოდ თავის ვიწრო — სოციალურ მოტივებს.

მე არ მესმის, რატომ უნდა ამოვიღოთ აჯანყებული გლეხების დამარცხება. ჩემი რომანის შესახებ ათეული რეცენზია დაიწერა. ალინიშნა მისი სუსტი მხარეები, მაგრამ არავის არ აღუნიშნავს ამ ეპიზოდის მოჩვენებითი სისუსტე. უდავოა, რომ გმირის გამარჯვებების ნახვა უფრო სასიამოვნოა, ვინემ მისი დამარცხების ნახვა, მაგრამ არ შეიძლება ისტორიული ფილმი განვიხილოთ მხოლოდ რევოლუციური ემოციურობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მე მინდა შეგახსენოთ, არის ხოლმე ისეთი დამარცხება, რომელიც მკითხველს და მაყურებელს უკარნახებს მომავალში გმირის გარდუვალ გამარჯვებას. სწორედ ასეთ დასკვნას უკარნახებს მკითხველს ჩემი რომანის დაბოლოება და ასეთივე გრძნობებს უნერგავს მაყურებელს ჩემი სცენარის ბოლო.

ვაღიარებ, რომ ასეთი კარნახი მაყურებლისადმი, ჩემს სცენარში უფრო სუსტად ჟღერს, ვინემ ჩემს რომანში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გავაძლიეროთ გამამხნევებელი დაბოლოება, ის კი არა რომ სრულიად მოვხსნათ სიუჟეტის გუმბათი.

მთავარია — დავტოვოთ ეს გუმბათი, სიუჟეტის სქემა არ დავარღვიოთ პირველი (ჩემი) ვარიანტის, დანარჩენი მისი ნაკლოვანებები ადვილად გამოსასწორებელია.

არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ რომანიდან ავიღოთ რომელიმე მსხვილი ეპიზოდი და მთელი სცენარი მასზე ავაგოთ. ეს ადვილი გასაკეთებელია. ასეთი სცენარი ორ კვირაში დაიწერება, მაგრამ ის არ იქნება „არსენა მარაბდელის“ ეპოპეა. ამისათვის ჩვენ დაგვჭირდებოდა თითქმის მთელი კულტურულ-ყოფითი ფონი, ისტორია და მრავალი ეპიზოდი შეგვეწირა, რომლის ისედაც უკიდურესად შემცირება მოგვიხდა. საბოლოოდ, აუცილებლად მივიღებდით ქართულ „ზნაკ ზოროს“, რაც ჩვენს გეგმებში არ შედის.

ჩემის აზრით, მეორე ვარიანტიდან, პირველ რიგში საჭიროა ამოვიღოთ დღესასწაულზე არსენასა და კუჭატნელის ჭიდაობის ეპიზოდი. არსენა ხშირად ამარცხებს კუჭატნელს (თავისთან ეზოში, სახრჩობელაზე და სხვა) და ბოლოს ჰკლავს კიდეც. ეს სრულიად საკმარისია და საჭიროება არ მოითხოვს ფილმი კიდევ ერთი გამარჯვებით დავამძიმოთ. თუმცა, თუ ფილმი ამ სცენას აიტანს, ისე, რომ მას ზიანს არ მივაყენებთ, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა.

გაუგებარია, რატომ აგზავნის არსენა ლაცაბიძეს და მის რაზმს მარჯვნივ, თვითონ კი მარცხნივ მიდის (22 გვ.).

არსენამ ჯვარი დასწერა ჭაბუკსა და ქალიშვილს (26 გვ.) ეს ეპიზოდი პირველ ვარიანტშიც არსებობს, მაგრამ მეორეში მას უფრო მძლავრი ანტირელიგიური ხასიათი მიეცა. არსენა თავხედათ არის გამოყვანილი. ეს ამცირებს გმირის ხასიათს და არღვევს როგორც არსენას ტიპს, აგრეთვე ფილმის ეპიკურ ხასიათს. ვიცავ რა პირველ ვარიანტს, მე, რასაკვირველია ვიცავ არა არსენას რელიგიურობას, არამედ მისი ტიპის მთლიანობას, ამასთანავე, მთელი ფილმის მთლიანობასაც.

ორბელიანი თვითონ გამოცხადდება არსენას ბანაკში. ეს დაუჯერებელი ამბავია. ან უნდა განვუმარტოთ იქ როგორ მოხვდა, ან პირველი ვარიანტი დავტოვოთ (ის და არსენა დუქანში შემთხვევით ხვდებიან).

ცრუ არსენას დაჭერის სცენა დასუსტებულია. ძველ ვარიანტში ის შედარებით მძლავრად გამოიყურება.

მე ვთხოვ დირექციას განიხილოს ეს წერილი და მომცეს საბოლოო მითითება წერილობით, ნათელ და კონკრეტულ ფორმებში, რის შემდეგ, უახლოეს მომავალში წარმოვადგენ დამთავრებულ სცენარს. და ბოლოს, ჩემს თავს ნებას მივცემ გამოვთქვა ჩემი ღრმა რწმენა, რომ სცენარის პირველი ვარიანტის ფაბულის ჩონჩხში რაიმე საფუძვლიანი ცვლილებების შეტანის გამო, შეიძლება სცენარმა წააგოს, ამიტომ საუბარი უნდა ეხებოდეს სცენარის გადაკეთებას კი არა, არამედ მის დამუშავებას, რაც, პირადათ მეც აუცილებელ საქმედ მიმაჩნია.

მ. ჯავახიშვილი

14 ოქტომბერი 1934 წ.

მამას სცენარი სახკინმრეწვმა არ მიიღო, რის შემდეგ ის წერილს უგზავნის მიხეილ ჭიაურელს, საიდანაც ირკვევა საქმის შემდგომი მიმდინარეობა. მოგვყავს ეს წერილი.

მიხეილ ჭიაურელს

პატივცემულო მიხეილ!

ისტორია ჩემი „არსენას“ სცენარისა თქვენც კარგად მოგეხსენებათ. საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ ზოგი რამე გაგახსენოთ.

ერთ დროს მე თვითონ გთხოვდით თქვენც და კალატოზიშვილსაც გამოცდილი სცენარისტი გეშოვნათ და ჩემი სცენარი ტეხნიკურად შეგესწორებინათ მისთვის. მაშინ ამგვარი სცენარისტი არ აღმოჩნდა.

შემდეგ თქვენ ტელეფონით შემეკითხეთ, თანახმა ვარ თუ არა ამ სცენარის გადასაკეთებლად ს. შანშიაშვილი მოვიწვიოთ — მიუხედავად იმისა, რომ შანშიაშვილს ჯერ არც ერთი სცენარი არ გაუკეთებია და ჩემზე უფრო გამოცდილ სცენარისტად არ ჩაითვლება, მე მაინც იმ პირობით დავთანხმდი, რომ 1) ახალი ლიბრეტოც და სცენარიც ჩემი მონაწილეობით დაწერილიყო. 2) შანშიაშვილს საავტორო პროცენტების 1/3 უნდა მისცემოდა და 3) სანამ ის ლიბრეტოს ან სცენარს [illegible] სქემა უნდა შეედგინა და იგი ერთად უნდა გაგვეხილა.

ეს პირობა შესრულებულ არ იქნა. ლიბრეტო უკვე დაწერილია და შესაძლოა ისე გადააკეთონ ჩემი ტიპები და ეპიზოდები, რომ მე თანხმობა არ მოგცეთ და ჩემი უფლება სხვაგან და სხვანაირად დავიცვა. მართალია, სახ. კინომრეწველობას თითქო იურიდიული უფლება აქვს ჩემი მასალა გამოიყენოს, მაგრამ მე ნებას ვერ მივცემ იგი იმდენად შესცვალოს, რომ ჩემ მიერ ასახული ტიპები და იდეა ვერვინ ველარ იცნოს. ამ ნიადაგზე შესაძლებელია უსიამოვნება მოხდეს და ამ წერილს მხოლოდ იმისთვის გწერთ, რომ იგი თავიდან ავიშოროთ. მე და თქვენ უფლება არა გვაქვს საკინკლაოდ გავხადოთ საქმე და მსაჯულად სხვა ვინმე მოვიწვიოთ. გაგახსენებთ, ჩემო მიხეილ, რომ ამგვარმა გაუგებრობამ და ავტორების უფლების უგულვებელყოფამ დიდი განგაში გამოიწვია რუსეთში, რომ იგი აქაც ღვივდება და საცაა ამის გამო საგანგებო თათბირიც უნდა შესდგეს მოსკოვში და ტფილისშიც. მე არ მინდა, რომ ამ საქმეში ჩვენი სახელიც ახსენონ.

სცენარის წერამ ერთი წელიწადი დამაკარგვინა. მერმე გავიგე, რომ თქვენ „კამო“ აგერჩიათ. მე არ დამიმალავს და არც ახლა გიმალავთ, რომ ეს ამბავი არა თუ არ მწყენია, კიდეც მესიამოვნა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ბოლო ელებოდა ჩემ ტანჯვას, და მეორეც — შიში გამეფანტა: შესაძლებელი იყო კინოსურათს ჩემი რომანისთვის ზიანი მიეყენებინა. ახლა მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემს დაუკითხავად გაკეთებული ფილმი უეჭველად დააზიანებს ჩემს რომანს, რომელსაც ექვსიოდე წელიწადი შევწირე. მე ჩემი სათქმელი ვთქვი, დანარჩენი თქვენ იცით. შარშან თეატრში ნინოშვილის „გურია“ ვნახე. შალვა დადიანს ნინოშვილის ეპიზოდების მონტაჟი გაუკეთებია და მეტი არაფერი. ის მკვდარი მწერლის თანაავტო-

რი არ გამხდარა. ლ. ტოლსტოის, ბალზაკის, დოსტოევსკის და სხვების რომანებიც გადაუტანიათ სცენაზე და ეკრანზე, მაგრამ გადამკეთებელს თავისი არაფერი დაუმატებია, მოქმედ პირთა სახელები არ შეუცვლია. მე მგონია, რომ სახ. კინომრეწველობის ხელმძღვანელნი მე, ცოცხალ ავტორს, მკვდარზე ნაკლებ პატივით არ მომქცევიან. გითვლით გულწრფელ სალამს და გისურვებთ გამარჯვებას. 19 მაისის 1935 წ. მ. ჯავახიშვილი".

მე კარგად მახსოვს, პირველად ეკრანზე „არსენა" რომ გამოვიდა. მამა შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და ძალზე ნაწყენი იყო, მაგრამ არაფერს იმჩნევდა და ამის გარშემო ოჯახში არ ლაპარაკობდა. საღამო რომ მოახლოვდა, მე მითხრა: წადი კინოში, ნახე ეს ფილმი და შენი აზრი მითხარი. მე ვიგრძენი, რომ მამას აინტერესებდა გაეგო, როგორი გამოვიდა მისი რომანის მიხედვით გაკეთებული და ამდენი უსიამოვნება გამოვლილი ფილმი. გულში სიბრალულის გრძნობა მომერია, რომ ანგარიში არ გაუწიეს და ასე დაუმსახურებლად აწყენინეს მას. ისიც ვიგრძენი, რომ ჩემს გარდა, ამ ფილმის შესახებ ის არავის შეეკითხებოდა და გაურკვეველი მდგომარეობით დაიტანჯებოდა. ამიტომ იმ საღამოსვე კინოში წავედი.

ფილმმა მთლიანად ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა იმითაც, რომ მასში შესანიშნავი მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას: ნატო ვაჩნაძე, სპარტაკ ბაღაშვილი და სხვები. მაგრამ მაინც რომანის გავლენას განვიცდიდი და ზოგი ეპიზოდი არ მომეწონა, სურათს სიღრმე აკლდა, მასში ცრუ პათოსს დიდი ადგილი ეჭირა. მიმაჩნდა, რომ ფილმი გაცილებით მოიგებდა, მამას სცენარის და რომანის მიხედვით რომ გაკეთებულიყო. სურათი უფრო ღრმა და შინაარსიანი იქნებოდა. კინოდან რომ გამოვედი, მამა შესასვლელ კარებთან მიცდიდა. ეტყობოდა რომ მღელვარება მოსძალებოდა და გული შინ აღარ დაუდგა. შინისკენ ჩვენ ფეხით გავუყევით გზას. მცირე დუმილის შემდეგ მამამ მკითხა: როგორ მოგეწონა ფილმი? მე ვიგრძენი, რომ ის ღელავდა და ფილმის ბედს განიცდიდა. მე გულწრფელად გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილება, რა მომეწონა და რა არა, და ძალზე ფრთხილად შევეხე იმ საკითხს, რაზედაც მამას გული სტკიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ მწერლებს რეჟისორებთან დამოკიდებულების საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღესაც აწუხებთ. რეჟისორსა და ავტორს შორის დამოკიდებულება არ შეცვლილა დროთა განმავლობაში. იგი დღესაც რთულია და საკამათო. მამას მხრივ კი უთუოდ საჭირო იყო მეტი ელასტიურობა და რეჟისორთან საერთო ენის გამონახვა, მამამ კი ეს ვერ შესძლო. იგი პირდაპირი და უკომპრომისო იყო ხოლმე პრინციპიალურ საკითხებში და მითუმეტეს მაშინ, როცა საქმე მის ნაწარმოებებს ეხებოდა. ფაქტიურად, ფილმი რომანის მიხედვით გაკეთდა. ტიპაჟი და ზოგიერთი ეპიზოდი კი გადაკეთებულია. მწერლის ჩანაფიქრი და სიუჟეტური ხაზიც დარღვეულია.

„არსენა მარაბდელის" კინოსცენარისა და პიესის ირგვლივ მასალები მამას არქივში ინახება. აქ არის მისი ხელით დაწერილი სცენარი, ლიბრეტოს რამდენიმე ვარიანტი, ეპიზოდები და სხვა მასალა, რომელიც ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ მწერალი წლების მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა საკუთარი ნაწარმოებების ინსცენირებებსა და სპეციალურად კინოსთვის დაწერილ თემებზე. ეს ჟანრი იზიდავდა და უნდოდა, აქაც ეცადა თავისი კალამი, სამწუხაროდ, თავიდანვე მას გზა გადაუღობეს და საშუალება არ მისცეს, თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა, შემდგომ, მან ინტერესი დაკარგა კინოში და თეატრში ეთანამშრომლა.

მამას იმაზედაც სტკიოდა გული, რომ ამ არასასიამოვნო ამბავში მისი მეგობარი მწერალი იყო გარეული.

საქმე ის არის, რომ სანდრო ახმე-

ტელმა გადაწყვიტა „არსენა მარაბდელი“ რუსთაველის თეატრში დაედგა. 1934 წელს მათ ხელშეკრულებაც კი ჰქონდათ დადებული, სადაც ნათქვამია შემდეგი: 1) ჯავახიშვილი მარტო თვითონ ან სხვა ვინმესთან ერთად თავის რომანს „არსენა მარაბდელს“ პიესად გადააკეთებს და რუსთაველის თეატრს ჩააბარებს. 2) პიესის ჩაბარების ვადა 1934 წ. 15 აპრილია. 3) პიესა ხუთ მოქმედებად ითვლება. 4) თუ თეატრმა საჭიროდ სცნო პიესის გადაკეთება, იგი შეუთანხმებს ამ ცვლილებას ჯავახიშვილს, ხოლო უკანასკნელი სათანადოდ გადააკეთებს პიესას, 5) თეატრი ათი დღის განმავლობაში (ე. ი. თებერვლამდე) ამოარჩევს რომანიდან მისთვის საჭირო მასალას, შეადგენს პიესის სქემას, მონტაჟს და ჩააბარებს მას ჯავახიშვილს. 6) ჯავახიშვილს უფლება აქვს ეს პიესა სხვა თეატრსაც გადასცეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა რუსთაველის თეატრი უკვე დასდგამს პიესას. 7) თუ რუსთაველის თეატრმა პიესა სხვა ვინმეს გადასცა, ის მოვალეა აუნაზღაუროს ჯავახიშვილს ზარალი. ეს ხელშეკრულება მამას ხელით არის დაწერილი.

ხელშეკრულების დადების შემდეგ მამა პიესაზე მუშაობას შეუდგა. არქივში ინახება მისი ხელით დაწერილი ეპიზოდები და სხვა მასალა. სამწუხაროდ, დასრულებული პიესა არქივს არ შემორჩა. არ ვიცით, მან დაასრულა პიესა თუ შეწყვიტა მასზე მუშაობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთაველის თეატრშიც იგივე ამბავი განმეორდა, რაც კინოსტუდიაში. ეს ორი არასასიამოვნო ამბავი თითქმის ერთდროულად მოხდა. მამა პრინციპულ საკითხებში თეატრის ხელმძღვანელობასთან ვერ შეთანხმდა. ახმეტელმა ის ჩამოიშორა და პიესაზე სამუშაოდ კვლავ სანდრო შანშიაშვილი მიიწვია.

მამას ყურამდე მოაღწია იმ ამბავმა, რომ სანდრო შანშიაშვილმა, მამას რომანიდან ბევრი ეპიზოდი გამოიყენა თავის პიესაში. მხოლოდ სახელები შეუცვალა მოქმედ პირებს. [illegible] გადაწყვიტა წერილი [illegible]სთვის და სანამ ის დაიდგმებოდა, ეთხოვა, გასცნობოდა პიესას. მამას წერილში ნახსენებია გენო, რომელიც მწერალთა კავშირის დარაჯად მუშაობდა. აი ეს წერილი: „ძმაო სანდრო! სხვადასხვა მხრიდან ამბავი მომდის: შანშიაშვილის პიესაში შენი „მარაბდელიდან“ ბევრი ეპიზოდია ნასესხებიო. როცა პიესას სცენაზე ვნახავ ან დაბეჭდილს წავიკითხავ, უსიამოვნების თავიდან აცილება გვიანღა იქნება. მე რომ ხმა არ ამოვიღო, თვითონ ხალხი დაიწყებს ლაპარაკს და ეს კი შენს სახელს დააზარალებს. ამიტომ სჯობს შენთვისაც და ჩემთვისაც, რომ შენი „არსენა“ წინდაწინვე წავიკითხო და ყოველივე გაუგებრობა თავიდანვე გავფანტოთ. სანდრო ახმეტელმა მითხრა, პიესა თვითონ ავტორმა წაგაკითხოსო. პირადად ვერსად შეგხვდი და ამიტომ გთხოვ, „არსენა“ მწერალთა კავშირში დამიტოვო, ან გენოს ხელით გამომიგზავნო. ორ დღეში დაგიბრუნებ და ჩემს საბოლოო აზრსაც შეგატყობინებ. სალამი შენი მიხ. ჯავახიშვილი. 26. V. 35.

შანშიაშვილმა არ გაუგზავნა მამას პიესა. მამა სხვა გზით გაეცნო პიესას.

პიესა დაიდგა, ამის გამო მამამ განათლების სახალხო კომისარს საჩივარი მისწერა, სადაც ზედმიწევნით კონკრეტულად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება და გულის ტკივილი.

ს. ს. განათლების სახალხო კომისარს.

სამი წლის წინათ სანდრო ახმეტელმა წინადადება მომცა „არსენა მარაბდელი“ პიესად გადამეკეთებინა, მაგრამ პირობებში ვერ შევთანხმდით. მიუხედავად ამისა რუსთაველის თეატრს ეს პიესა ორი წლის განმავლობაში შეჰქონდა თავის რეპერტუარში და პრესაშიც აცხადებდა. ამავე დროს საქმეში შანშიაშვილიც ჩავრიეთ. პიესა ერთად უნდა დაგვეწერა. მე და შანშიაშვილმა საერთო პირობები წარვუდგინეთ ახმეტელს, მაგრამ მან არ მიიღო იგი. შემდეგ მე გამანაპირეს, მარტო შანშიაშ-

ვილმა იკისრა პიესის დაწერა და სათანადო ხელშეკრულებაც დაუდო ახმეტელს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ამბავი მე მაშინღა გავიგე, როცა შანშიაშვილს პიესა უკვე დასრულებული ჰქონდა. მე წერილი მივწერე მას და ეთიკა და საავტორო კანონი გავახსენე, რომელიც ცხადად ამბობს ავტორის ნებადაურთველად მისი ნაწარმოების გადაკეთება აკრძალულიაო. შანშიაშვილმა მიპასუხა, მე არსენა ოძელაშვილს ვწერ და ამ პიესას თქვენს რომანთან არაფერი საერთო არა აქვსო. ამან მე სავსებით დამამშვიდა, ვინაიდან ყველას აქვს უფლება, თავისებურად გამოიყენოს ის მასალა, რომელიც საერთო საკუთრებას შეადგენს („არსენას ლექსი“ და სხვების მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა ცნობები).

შემდეგ პირად საუბარში ახმეტელმაც მტკიცედ მითხრა, რომ პიესაში „მარაბდელიდან“ არაფერი არ არის შეტანილიო და ისიც დაუმატა, რომ პიესის დადგმამდის იმის წაკითხვის ნებას არავის არ მივცემო. ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ გადაწყვეტილი იყო მე შესრულებული ფაქტის წინაშე დავეყენებინე და ჩემთვის საშუალება მოესპოთ ჩემი უფლება დამეცვა. მართლაცდა, ძალიან ძნელია პიესის მოხსნა თუ თეატრმა უკვე 7-8 თვის შრომა და უამრავი თანხა დახარჯა.

მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ შანშიაშვილს „არსენა მარაბდელიდან“ მრავალი მასალა გამოუყენებია, რომელიც უდავოდ მხოლოდ მე მეკუთვნის. აი საბუთებიც:

1. პიესაში მრავალი მოქმედი პირია ჩემი რომანიდან ნასესხები. მათ მხოლოდ სახელი გამოუცვალეს: არსენას მამას ღვთისავარს გივი დაარქვეს, პაპა მახარეს — ონისე, მოურავ ამირხანაშვილს — სხვა რაღაც სახელი, მაიორ არლოვს — მაკარ მაიორი, მაგდანას — მართა, ხოლო მაგდანას შვილს ზურას არც კი შეუცვალეს სახელი, სახელების შეცვლა ვერაფერს ვერ შესცვლის. უმთავრესი მაინც ის არის, რომ პიესაში შეტანილია ნაწილი ჩემი მოქმედი პირებისა (ყველას ვერ შეიტანდნენ, არც იყო საჭირო. დასახელებულთა გარდა ორბელიანებიც შეუტანიათ).

2. რომანში მახარაც, ღვთისავარიც და არსენაც ანდაზებით და რუსთაველის აფორიზმებით ლაპარაკობენ. ესეც ახასიათებს ამ სამი გლეხის სტილს. შანშიაშვილის ონისეც (მახარა) არსენაც და გივიც (ღვთისავარი) აფორიზმებით და ანდაზებით საუბრობენ.

3. ეტყობა, რომ შანშიაშვილს „მარაბდელის“ პირველი გამოცემით უსარგებლნია და იქ შეპარული ჩემი შეცდომებიც კი უსესხებია. მაგალითად: ისტორიული პიროვნება დიდი ზაალი რომანის გმირის პატარა ზაალის მამად გამოუყვანია, ნამდვილად კი პაპა იყო და არა მამა. მეორე შეცდომა: ზაალ ბარათაშვილი ალექსანდრე ორბელიანს „სიმამრის შვილს“ (ე. ი. ცოლის ძმას) უწოდებს, ნამდვილად კი ცოლის ძმა კი არ იყო, არამედ სიძე (ზაალის ქალი ეკატერინე ჰყავდა ცოლად). ეს ორი შეცდომა მეორე გამოცემაში შევასწორე, რაიც შანშიაშვილს გამოეპარა.

4 კუჭატნელი არსენას საბედოს ნენოს (მარინე) სოფლის გზაზე დაუხვდება და უხეშად მოექცევა ნენოს გონჯა მიეშველება.

ეს სურათიც ჩემია — პიესაში გონჯა მიეშველა, რომანში კი როსტომმა იხსნა.

5. არსენას მამა გივი ცალთვალაა, (ღვთისავარიც), მრავალჯერ ომში ნამყოფია (ღვთისავარიც), მან ცალი თვალი ბატონს შესწირა, სიკვდილს გადაარჩინა (ღვთისავარმაც).

6. კუჭატნელი მარაბდაში მე მოვიყვანე, ორბელიანების ფალავნად მე გამოვიყვანე, ზაალის ფალავნებს მე დავჭიდე და არსენასაც მე დავატაკე, მე გადავამტერე (ერთიდაიგივე ქალი შეუყვარდათ და ჭიდაობაშიც მოქიშპედ გავხადე). ეს ამბავი თავით-ბოლომდე ჩემი მოგონილია. არც გამიგია და არც წამიკითხია სადმე, რომ კუჭატნელი მარაბდაში ყოფილიყო, რომ მას ეჭიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ოდესმე და არსენა პირადად სცნობოდეს, შანშიაშვილი ჰიდაობის წვრილმანებსაც კი სესხულობს ჩემგან, მაგალითად: კუჰატნელმა ჯერ ორი ფალავანი გაულახა ზაალს და მერმე დაეჰიდა არსენას. თავადები ნიძლევს სდებენ. გამარჯვების შემდეგ თავადები არსენას ასაჩუქრებენ, ზაალი ჰპირდება არსენას, კუჰატნელი წამიქციე და რაც გინდა მთხოვეო. ჰიდაობა ზოგადი თემაა, რომელიც მრავალჯერ გამოუყენებიათ, ამ შემთხვევაში კი საქმე თემა კი არ არის, არამედ სიუჟეტია, ამბავია, რომელიც სულ ჩემგან არის ნასესხები.

7. ზაალი ნადიმს მართავს. მან გლეხების სუფრა დააშორა თავად-აზნაურების სუფრას ესეც „მარაბდელიდან“ არის ნასესხები.

8. პიესის მოქმედ პირებად ორბელიანებიც გამოდიან. აწერილია მათი და ბარათაშვილების საგვარეულო ქიშპობა. ესაც რომანიდან არის ამოღებული.

9. პიესაში ნათქვამია, ზაალის დედა ორბელიანის გვარისა იყოო. ეს წვრილმანიც კი რომანიდან არის ამოწერილი, ნამდვილად კი მისი ვინაობა არავინ არ იცის.

10. პიესის ავტორმა რუსეთ-სპარსეთოსმალეთის ომის დრო აიღო, მარაბდაში ჯარი მოიყვანა და იქაურობა აიკლებინა (ეკზეკუცია). ეს ერთი უმნიშვნელოვანესი სურათთაგანია ჩემი რომანისა.

11. მაიორ მაკაროვს (არლოვს) ზაალის მოახლე მოეწონა. ზაალმა აჩუქა მას (რომანში კი ყმებზე გაუცვალა).

12. ბარათაშვილებს თავადობის სიგელი არა აქვთო — ესეც „მარაბდელიდან“ არის ამოწერილი.

13. არსენას ზაალის კარზე მეჩიბუხე გარსია ჰყავს დამხმარედ. შანშიაშვილმა შესცვალა: მისი გონჯა მეჩიბუხეც არის და მასხარაც.

14. ზაალს გოგო არსენამ კი არა თხოვა, არამედ ონისემ (ღვთისავარმა) და საბუთად ისიც გაახსენა, რომ მან (ღვთისავარმა) ოდესღაც ზაალი სიკვდილს გადაარჩინა, ხოლო ზაალის არსენას შეჰპირდა, რაც გინდა [illegible] შეგისრულებთ. სწორედ ამ დროს ჯარი შემოვა ზაალის ეზოში და მამაშვილს ეს გადაარჩენს ბატონის რისხვისაგან, ეს სურათიც უკლებლივ ჩემი რომანიდან არის გადმოღებული.

15. სალდათმა მართას (მაგდანას) გაუპატიურება დაუპირა. იმის შვილმა ზურამ მოძალადე მოჰკლა და არსენას შეაფარა თავი. რომანში ეს ამბავი მაგდანას სახლში ხდება, შანშიაშვილმა კი გარეთ სადმე გადაიტანა. ალაგის შეცვლა არაფერსაც არა სცვლის.

16. ზარის რეკვა, განგაში, მიტინგი ეკლესიის ეზოში აქ მხოლოდ მონტაჟია შეცვლილი. რომანში არლოვი ბეგარას და ღალას მოითხოვს. პიესაში კი მკვლელის გაცემასაც ითხოვენ. ეს ვარიანტი ჰიაურელის კარნახით შანშიაშვილზე ადრე მე ავწერე „მარაბდელის“ სცენარში. იგი „ცხვრის წყაროდან“ არის ნასესხები.

17. მაიორს მისი თანაშემწე (ლომოვი) აღუდგება წინ და ლამობს სოფლის აკლებაში ხელი შეუშალოს. რომანშიც იგივე ეპიზოდი ხდება.

18. პაპა ონისე (მახარე) ჯერ წინ აღუდგება არსენას და სტუქსავს მას, მერმე დალოცავს და ამხნევებს. ეს ამბავიც რომანიდან არის ამოღებული.

19. პიესის მიხედვით მაიორი ზაალის ცოლს ჰყვარობს, რომანის მიხედვით კი მის ქალიშვილს დაროს.

20. მაიორი მარაბდიდან წასვლას აპირებს. ამან ზაალი შეაშინა. ის ეხვეწება მაიორს, ათიოდე ყაზახი მაინც დამიტოვეო (იხ. რომანი).

21. არსენა მიუხტა ზაალს და ყმები გაანთავისუფლებინა, ღალა დააბრუნებინა. პიესაში ამ სურათს მაიორიც ესწრება, რომანში კი — მაიორი ამ დროს იქ არ ყოფილა.

22. არსენას დასაჭერად გლეხებიც გაგზავნეს. მათ შორის ონისეც (ღვთისავარი) იმყოფება. არსენას მამა მთავრობას გადაუდგა და შვილს მიემხრო. ეს ეპიზოდიც რომანიდან უსესხებია.

დანარჩენს თავს ვანებებ. ცხადზე

უცხადესია, რომ პიესის ავტორს ჩემი რომანი უხვად გამოუყენებია.

ასეთი გადაკეთება მრავალჯერ მოუხდენიათ (ლ. ტოლსტოის, ბალზაკის, დოსტოევსკის და სხვების ნაწარმოებებისა). არა თუ რომანი, პიესაც კი გადაუკეთებიათ პიესად, მაგალითად: დ. ერისთავმა სარდუს პიესა ქართულ ისტორიულ პიესად გადმოაკეთა („სამშობლო“) და თვითონ შანშიაშვილმა ივანოვის „ჯავშნოსანი“ დაღესტანში გადმოიტანა. ლიტერატურულად ეს სავსებით შესაწყნარებელია, მაგრამ მორალურად და იურიდიულად დაუშვებელია, რომ მწერალმა და რეჟისორმა პირი შეჰკრან და ჩემს დაუკითხავად გამოიყენონ ჩემი რომანი, რომელსაც მე ექვსიოდე წელიწადი შევწირე.

ვინაიდან შანშიაშვილმა და ახმეტელმა არავითარი ანგარიში არ გამიწიეს, ამიტომ მე იძულებული ვარ გთხოვოთ, პატივცემულო კომისარო, ყოველი ღონე იღონოთ და ჩემი კანონიერი უფლება შემანარჩუნებინოთ.

მე ამ პიესის დადგმის ან დაბეჭდვის უფლებას არ ვიძლევი.

2 მაისს 1935 წ.

მიხეილ ჯავახიშვილი“.

მამას საჩივარი მხედველობაში მიღებული არ იქნა, შანშიაშვილის „არსენა“ წლების მანძილზე იდგმებოდა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე, მამას კი ყოველგვარი ინტერესი დაეკარგა პიესა დაეწერა და თეატრთან ეთანამშრომლა.

1932 წელს თებერვლის თვეში, მწერალთა სასახლეში პლენუმი ჩატარდა, სადაც ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო ლოზუნგად საბჭოთა მწერლობის გარდაქმნა იქნა წამოყენებული. გაცხოველებული დისკუსია გაიმართა მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. ამ დისკუსიაზე, მოხსენებით, თემაზე „თანამედროვეობა და მოკავშირეობა“ შალვა რადიანი გამოვიდა. მამას შესახებ მან თქვა: „აშკარა იდეალისტური თვალსაზრისით გაპარება სცადეს მწერლების მემარჯვენე ჯგუფმა მ. ჯავახიშვილის და ლ. მეგრელის მეთაურობით. თუმც არა პირდაპირ, მაგრამ თანამგზავრობის ფაქტის უარყოფას შეეცადა მ. ჯავახიშვილიც. მისი აზრით მსოფლმხედველობას მხატვრული შემოქმედებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ნიჭი, მხატვრული ათვისების ალღო, ინტუიცია. ეს განსაზღვრავს მწერლის და მისი პარქტიკის მხატვრულ ღირებულებას და არა მსოფლმხედველობა და იდეოლოგია. მაშასადამე მწერლობის განაწილება დაჯგუფება იმის მიხედვით თუ რა პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მსოფლმხედველობის არიან ისინი, მიუღებელია, მაშასადამე არ შეიძლება მწერლობის დაყოფა თანამგზავრებად, არათანამგზავრებად და მოკავშირეებად, არიან ნიჭიერი და უნიჭო მწერლები. მ. ჯავახიშვილის დახავსებული, აშკარა იდეალისტური თვალსაზრისი მთლიანად გაბათილებულ იქნა კამათში გამოსულ თანამგზავრ, მოკავშირე და პროლეტმწერლების მიერ, რომლებმაც ცხადჰყვეს ჯავახიშვილის და სხვების რეაქციონური დებულების სრული უაზრობა“.

იმავე სხდომაზე „თანამგზავრობისა და მოკავშირეობის“ საკითხებზე გამოვიდა აგრეთვე ბესო ჟღენტი. ჩვენ მოკლედ მოვიტანთ ამ სტენოგრაფიულ ანგარიშიდან ზოგიერთ ადგილს და მამას რეპლიკებს: „ყველა, ვინც დღეს მოდის პროლეტარიატთან, რევოლუციასთან და არა თვლის თავისთავს მუშათა კლასის მოწინააღმდეგე ბანაკში, მუშაობს ლიტერატურის დარგში და თავისი მუშაობა ესმის როგორც სასარგებლო და საჭირო მუშათა კლასისათვის, ის უნდა ხელმძღვანელობდეს იმ ამოცანებით, რომლებსაც აყენებს კლასი მთელი მწერლობის წინაშე. არ იქნებოდა მართალი, რომელიმე ჩვენგანს ეფიქრა, რომ თანამგზავრი ვარ და ჩემს მიმართ მოთხოვნილება სხვანაირია, ვიდრე პროლეტარულ მწერლებისადმი და შეიძლება ვიმუშაო ისე, რომ გარკვეული პროცენტი, გარკვეული დოზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

მივუახლოვდე რევოლუციას და ამით დავკმაყოფილდეო, როგორც მაგალითად მიხ. ჯავახიშვილი. (მ. ჯავახიშვილი — გმადლობთ, რომ გამიხსენეთ). ასეთი გაგების ცდები აქ იყო და ამას ძირშივე უნდა შევებრძოლოთ. ერთი მხრიათ არის პროლეტარული მწერლობა, როგორც მოწინავე კადრი ჩვენი მწერლობისა და მეორე მხრივ, ჩვენთვის უცხო, ჩვენი მოწინააღმდეგე მწერლობა. აი, ამათ შორის არის თანამგზავრი და მოკავშირე. აი, თუ ოდესმე მიხეილ ჯავახიშვილზე ვლაპარაკობდით, როგორც გარკვეულ რევოლუციის თანამგზავრის ტენდენციის მატარებელზე (მ. ჯავახიშვილი — კიდევ გმადლობთ რომ არ მივიწყებთ). მე ამხ. მიხეილ, თქვენთან ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ვარ და არასოდეს არ დაგივიწყებთ. ვიმეორებ, თუ მიხ. ჯავახიშვილს თავისი მუშაობის პირველ პერიოდში განვიცდიდით, როგორც გარკვეულ რევოლუციონური თანამგზავრი ტენდენციის მატარებელ მწერალს და ვფიქრობდით, რომ მისი განვითარების დიალექტიკა მოგვცემდა საბჭოთა ლიტერატურის ერთ მაგალითს, მისმა შემდგომმა განვითარებამ მოგვცა საწინააღმდეგო. ეს დამახასიათებელია მისთვის. მიხეილ ჯავახიშვილი თავის განვითარებაში ისე, როგორც გამსახურდია, ისე როგორც შანშიაშვილი, ინგოროყვა და მთელი რიგი მწერლები აკადემიური ჯგუფიდან, არიფიონიდან, მოექცნენ მოწინააღმდეგე კლასის პოზიციებზე. მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ეს მწერლები სამუდამოდ დაკარგული არიან საბჭოთა საზოგადოებრივობისათვის. ყველა მათ აქვთ სრული საშუალება გადამუშავდნენ რევოლუციის მხარეზე. შეიძლება მწერალი ხშირად არც კი გრძნობდეს, რომ ის აკეთებს რეაქციონურ კლასის საქმეს, შეიძლება მიხეილ ჯავახიშვილი სუბიექტურად არც კი იყოს დარწმუნებული იმაში, რომ მისი „დამპატიჟე“ ჩვენთვის აშკარა, არა სასარგებლო საქმეს აკეთებდა. როცა ასეთი სუბიექტური საზომით უდგებით მიხ. ჯავახიშვილს და სხვა მწერლებს, ჩვენ ვამბობთ, რომ მთელი 11 წლის განმავლობაში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დღემდე, კიდევ არ იძლევიან გარკვეულ ტენდენციას რევოლუციასთან მიახლოვებისა და გადამუშავებისა (ჯავახიშვილი — პატივისცემას გადაგიხდით როდისმე). სწორედ ჩვენი დისკუსიის მთავარი ამოცანა ამხ. მიხეილ იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთს პატივისცემა გადავუხადოთ. როცა ვლაპარაკობთ მიხეილ ჯავახიშვილის მემარჯვენეობაზე, მისი გაყინვის შესახებ, ეს ლაპარაკობს არა კერძოდ და პირადად მიხ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ, არამედ იმ გარკვეული პროცესის წინააღმდეგ, რომლის დაძლევა არის ჩვენი საერთო ამოცანა. როცა ვლაპარაკობთ, რომ მიხ. ჯავახიშვილი დგება რეაქციონურ მწერალთა ბანაკში, ეს არ არის სასარგებლო. გაცილებით უკეთესი იქნებოდა ჩვენთვის, რომ მიხ. ჯავახიშვილზე გველაპარაკა სხვანაირად, რომ ეს საკმაო პოტენციის მქონე მწერალი იდგეს ჩვენთან ახლოს და აკეთებდეს ჩვენთვის სასარგებლო საქმეს და ამიტომ, თუ კი მიხ. ჯავახიშვილი დააპირებს პატივისცემის გადახდას, ეს გადახდა იქნება მაშინ, თუ კი ის შეეცდება, სწორად გაიგოს ჩვენი რევოლუციის ამოცანები და გადააფასოს თავისი მუშაობა და დადგეს ჩვენი ამოცანების სამსახურში. ძალიან დიდხანს ამხ. მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენ გვიმტკიცებდა, მე მაქვს პოპულარობა, მასიური ავტორიტეტი, ხალხი ტაშს მიკრავს, მაშასადამე, მე მართალი ვარო. (ჯავახიშვილი — როდის, სად გითხარით მაგისთანა სიტყვები). ძალიან ბევრ დისკუსიაზე თქვენ გვეუბნებოდით. აი მივიდეთ ხალხთან, ვნახოთ მკითხულობენ თუ არა მეო. (ჯავახიშვილი — თუ თქვენ ამბობდით, რომ ჩემს წიგნებს არ კითხულობენ, ამას მხოლოდ პასუხად გეუბნებოდით და არა ბაქიობით). რა თქმა უნდა, თქვენ წიგნებს ხალხი კითხულობს, თქვენ გარკვეული ავტორიტეტი და მასიური პოპულარობა გაქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავხსნათ თქვენი დღევანდელი პროდუქცია, მისი სოციალური შინაარსი და დავანახოთ მკითხველს, რომ თქვენი მწერლობა არ არის მიმართული ჩვენი რევოლუციის სასარგებლოდ,

როდესაც ამას დაინახავს ფართო მასა და უარს გეტყვით, თქვენ იძულებული იქნებით, უფრო ახლო მოხვიდეთ რევოლუციასთან და მიიღოთ მონაწილეობა დღევანდელი ამოცანების შესრულებაში. არც არის, ამხანაგო მიხეილ, თქვენთვის გამართლება, რომ თქვენ დაიწყეთ შედარებით უფრო რევოლუციონურ თემებზე წერა — „არსენა მარაბდელი“, თქვენ გინდათ თქვათ, რომ მუშაობთ რევოლუციონურ თემატიკაზე, მაგრამ, ამავე დროს ატარებთ ერთგვარ ნეიტრალურ ზონას, არ მოხვედით ჩვენთან, მაგრამ რევოლუციონური თემატიკა ვერ გაამართლებს თქვენს მუშაობას (ხმა დარბაზიდან — რომელი რევოლუციონერი არის. საიდან არის რევოლუციონერი?) „არსენა მარაბდელი“ არის აგებული გლეხების მოძრაობიდან და ეს თემა კი უსათუოდ არის რევოლუციონური. მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც დაიხია უკან და ისტორიულ მასალას მოჰკიდა ხელი, თემატიურად გამართლებული იქნებოდა, რომ შესძლებოდა ამ რევოლუციონური თემის გახსნა დღევანდელი არსებული თვალსაზრისით, მუშათა კლასის მეთოდით და მსოფლმხედველობით გაეხსნა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, არ ჩაიდინა და საკმაო რევოლუციონური თემატიკა გახსნა ნაციონალური მიდგომით და არა დიალექტიკური მატერიალისტური მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით, რომელზედაც საბჭოთა მწერალი მოკავშირედ უნდა იდგეს. მე გამიძნელდება მიხეილ ჯავახიშვილზე ლაპარაკი, მის შემოქმედებით მუშაობაზე, მაგრამ მე ვამბობ ტიპიურ მაგალითზე, თუ როგორ კლასთა ბრძოლის დიალექტიკამ ჩამოგვაშორა მთელი რიგი თანამგზავრებისა და გადაისროლა ისინი მოწინაალმდეგეთა ბანაკში“.

1932 წელს აპრილის თვეში მწერალთა სასახლეში დაიწყო თათბირი პროზის საკითხებზე. მოხსენება გააკეთა გიორგი ნატროშვილმა. მე დანამდვილებით ვიცი, რომ მრავალი წლის შემდეგ, ნატროშვილმა თვითონვე უარყო თავისი იმდროინდელი მსოფლმხედველობა და მოსაზრებები, რადგანაც ისინი მცდარად და არამართებულად მიიჩნია, ყველაფერი ეს ახალგაზრდობის და გამოუცდელობის გამო ხდებოდაო — თქვა მან. დრომაც, რასაკვირველია განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ საქმეში. ნატროშვილს ოცდაათიანი წლების გახსენებაც კი არ უნდოდა. სრულიად ახალგაზრდა ნატროშვილი, როგორც იმ დროის კრიტიკოსები პარტიული მსოფლმხედველობით იყო დამუხტული: „ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ჯავახიშვილის შემოქმედებას რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ღირსება ახასიათებს. ეს არ არის მართალი. ჯავახიშვილი ცდილობს, მკითხველის ყურადღება მიიპყროს იაფფასიანი ხერხებით, სენსაციებით, შემთხვევითი სიუჟეტებით. ჯავახიშვილის შემოქმედება არის „ბულვარშჩინა“.

იმავე სხდომაზე ბესო ჟღენტი გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა: „ჯავახიშვილი ისეთი მწერალია, რომელმაც თავისი პირველი ნაწარმოებებით გამოგვათქმევინა იმედი, რომ იგი მივიდოდა რევოლუციონურ სინამდვილესთან და გახდებოდა საბჭოთა მწერლად. მაგრამ კლასთა ბრძოლის შემდეგმა განვითარებამ, ჯავახიშვილი აშკარა მემარჯვენე ბანაკში მოაქცია. იგი არა თუ არ განვითარდა, არამედ პირიქით, უკან წავიდა. მას ქართული პროზის განვითარებაში არაფერი ახალი არ შეუტანია, თავის უკანასკნელ ნაწარმოებში „არსენა მარაბდელში“ იგი ცდილობს თავი დააღწიოს ძველ შეცდომებს. ეს რომანი ძირითადში ნაციონალისტურია“.

კამათში გამოსულმა კრიტიკოსმა დიმიტრი ბენაშვილმა უსაყვედურა ბესო ჟღენტს, რადგან ის „არა მარქსისტულ-ლენინურ, არა პროლეტარულ მიდგო-

მას იჩენს ჯავახიშვილისადმი. ის მას აფასებს არა როგორც რეაქციონურ მწერალს, არამედ ისეთს, რომელსაც აქვს ცალკეული შეცდომები". „ჯავახიშვილის დღევანდელი გამოსვლა მოწმობს, რომ მისი გარდაქმნა არ შეიძლება. ამას თვითონ ჯავახიშვილი ამბობს: ჩემი გარდაქმნა არც ისე სასარგებლო იქნება ჩემთვისო. ამას შემდეგ გამოდის ჟღენტი და მოუწოდებს ჯავახიშვილს თანამშრომლობისაკენ. ჯავახიშვილს თავი მოაქვს თავისი პოპულარობით და თავისი თავი მიაჩნია დიდ ოსტატად. ნამდვილად კი ეს ასე არ არის".

ალი არსენიშვილს გაზვიადებულად მიაჩნია ის ყურადღება, რომელიც თათბირმა მამას მიმართ გამოიჩინა. „ჯავახიშვილი არ არის ისეთი დიდი მწერალი, რომ საჭირო იყოს ამდენი ლაპარაკი მის შემოქმედებაზე, — თქვა მან. — ის ეხლაც იმ მეშჩანურ წუმპეში ცურავს, რომელიც გაბატონებული იყო მის პირველ მოთხრობებში". ფრიდონ ნაროუშვილმა კი თქვა: „ჟღენტმა წამოაყენა მიხ. ჯავახიშვილის გარდაქმნის, მისი საბჭოთა მწერლობაში შეზრდის თეორია. ჯავახიშვილი რეაქციონერი მწერალია, ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი მისი გარდაქმნის შესახებ. მას არა აქვს აღკვეთილი შესაძლებლობა დასწეროს რევოლუციონური ნაწარმოებები, მაგრამ მისი შემოქმედების დღევანდელი გზით გაგრძელება აღარ შეიძლება". კარლო მელაძემ აღნიშნა: „მიწიშვილი ლაპარაკობდა ჯავახიშვილზე და შეჩერდა მხოლოდ მის სტილზე, მაგრამ განა მარტო სტილშია საქმე? საკითხი მდგომარეობს არა სტილში, არა ენაში, არამედ იდეოლოგიაში, მსოფლმხედველობაში. ჯავახიშვილი არ დგას ჩვენს მსოფლმხედველობაზე, ამიტომ ის არ არის ჩვენი მწერალი". მიხეილ ჩიქოვანი თავის გამოსვლაში აღნიშნავს: „ჯავახიშვილის ენა არის ფეოდალურ-არისტოკრატიული კლასის ენა, ამიტომ არ შეიძლება ჯავახიშვილი მივიჩნიოთ ენის საუკეთესო ოსტატათ, რადგან მისი ენა არ არის მუშათა კლასის ენა. ჯავახიშვილს დიდი გასავალი აქვს მეშჩანურ მკითხველთა შორის". დ. დემეტრაძემაც გაიმეორა იგივე აზრი არსენას ნაციონალისტური ხასიათის შესახებ. იგივე თქვა პ. ჩხიკვაძემაც. ბესო ჟღენტმა თავის საბოლოო სიტყვა ასე დაასრულა: „ცენტრალური ბრალდება, რომელიც მე წამომიყენა ბენაშვილმა, ეს არის ლმობიერი დამოკიდებულება ჯავახიშვილისადმი. მან თქვა, რომ ჟღენტი მუშათა კლასის სახელით სთხოვს ჯავახიშვილს ითანამშრომლეთ ჩვენთანაო. ეს არ არის სწორი. ჯავახიშვილის მიმართ მე არასოდეს არ გამომიჩენია ლმობიერება. პირიქით მე ყოველთვის სასტიკად ვებრძოდი მას, მაგრამ თუ კი ჯავახიშვილი შესძლებს თავის მსოფლმხედველობის გარდაქმნას, თუ ის მოვა მუშათა კლასთან და ჩაებმება მის სოციალისტურ პრაქტიკაში, განა პარტია მას უარს ეტყვის! რა თქმა უნდა, ჯავახიშვილი რეაქციონური მწერალია, ჩვენ ვებრძვით და შევებრძოლებით ყოველგვარ რეაქციონურ, მემარჯვენე ტენდენციებს მწერლობაში, მაგრამ თუ კი ის განიარაღდება, გადამუშავდება, ჩვენ მას ხელს ვერ ვკრავთ".

ყველაფერი ეს ითქვა ხუთი წლით ადრე, სანამ მამას დააპატიმრებდნენ.

ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# სვანეთის ატლანტიდა? — ვის სჭირდება ი გ ი?

(ციკლიდან — „იმედის მურყვამები“)

## II

ბატონი თენგიზ ჯაყელი, ასევე მისი უმცროსი კოლეგა დემურ აბზიანიძე და სხვებიც ყველანი, ბუნებრივია, მეტ-ნაკლები ემოციურობით, მაგრამ ჩვენი სახალხო მეურნეობის პერსპექტიული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც იცავენ თავიანთ თვალსაზრისს მთის მდინარეებისა და, ამ შემთხვევაში კი ენგურის აუზის ენერგეტიკული ამორტიზაციის აუცილებლობის თაობაზე, იცავენ თავიანთ პროექტებს, სისხლხორცეულ შემოქმედებას, მთელი მათ ნიჭი და პროფესიული გამოცდილება რომ ჩააქსოვეს, ღამეები ათენეს და, ალბათ, მომავლის იმედი და ოცნებაც გაანივთეს ამ ურთულეს ნახაზებში. მათი საქმე ეგ იყო — დაპროექტება და აშენება, მომავალი ობიექტების გარემოზე ზემოქმედების მეცნიერული პროგნოზირება სათანადო ინსტიტუტებს ევალებოდათ და ამ მხრივ ყოველგვარი პასუხისმგებლობა ეხსნებოდათ კიდევაც. ეს არის მათი ალიბი — თავის გამართლების საფუძველი ურემგადაბრუნებულზე.

მართლაცდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ „შენი ეკოლოგია და დემოგრაფია“ არავის ედარდებოდა, არავის ახსოვდა, არავინ იღებდა სათვალავში, ბავშვობიდან სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, ბუნების წყალობას არ უნდა დაველოდოთო, ბუნებას რაც შეიძლება მეტი წავართვათ და წავგლიჯოთო. მეცნიერებაც ჯიქურ უტევდა ბუნებას, მის სიმდიდრეებს, და მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა მისი ექსპლოატაციის საქმეს. ამ ნიშნითაც მოხდა ჩვენში და, შესაძლოა, მთელ მსოფლიოში ტექნიკური მეცნიერების განვითარება, ესე იგი, ტენდენციურად წარიმართა ეს პროცესი. რა საშუალება არ მოიფიქრა ადამიანმა ბუნების დასათრგუნავად, მისი პირველყოფილობისა და სიმშვიდის შესამუსრავად, უმოწყალოდ გასაჩანაგებლად.

ბუნების ცნება ჩვენში იწვევდა ზღაპრული ქვევრის ასოციაციას, საიდანაც რამდენიც არ უნდა ამოგვეხაპა თავანკარა ღვინო, მაინც არ გამოილეოდა, მაგრამ გამოილია, თანაც უეცრად, თვალდახელშუა დაცარიელდა ეს ბუნების არა იდეალური, არამედ მკვეთრად „მატერიალისტური ქვევრი“. შესაძლოა ბოლომდე ჯერ ვერ ამოვხაპეთ იქიდან მაცოცხლებელი ნექტარი, მაგრამ ფსკერი უკვე დაჩნდა და ორშიმოს ფხაჭუნი გაუდის შეთხელებულ ძირზე.

ჩაგვაფიქრა ქვევრის მატერიალიზმმა, ჩაგვაფიქრა და საგონებელში ჩაგვაგდო ადამიანები.

რა თქმა უნდა, ესენიც ფიქრობენ უკვე ამ იმედგაცრუებაზე, ჩვენი მასპინძლები, ტექნიკური დარგის წარმომადგენლები, მაგრამ, ბუნებრივია, ბოლომდე ვერ ეთანხმებიან ჩვენს ნეგატიურ დამოკიდებულებას ჰესების მშენებლობისადმი, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ამ საკითხში დილეტანტები ვართ და როგორც ეს ჰუმანიტარებისათვის არის დამახასიათებელი, ემოციებით ვხელმძღვანელობთ, ჩვენი არაპროფესიონალიზმი და ემოციური საწყისები არის მათი დაეჭვების „უთუო და უთუმცო“ არგუმენტი.

მათ მიაჩნიათ, რომ ისინი რაციონალურად უდგებიან ამ პრობლემას, ეროვნული ინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესებიდან გამომდინარე აწუხებთ ენერგეტიკული საკითხის ბედი და პირადულ-ვიწროუწყებრივი მოსაზრებებით როდი ხელმძღვანელობენ, როგორადაც შეიძლება ეჩვენებოდეს ბევრ ვინმე საქმის არსში ჩაუხედავ ადამიანს; მათ შორის, ბუნებრივია, გამონაკლისი ვერც ჩვენ ვიქნებით, ამ სტრიქონების ავტორი, და ვერც ხელოვნებისა და ლიტერატურის მრავალი წარმომადგენელი, ჟურნალისტი, მეცნიერი, ვისაც საინჟინრო საქმისა ცოტა რამ გაეგება და შორეული წარმოდგენებილა გააჩნია ენერგეტიკული პრობლემის მნიშვნელობაზე, მის როლზე კაცობრიობის კულტურული და ეკონომიკური განვითარების საქმეში, მართლაცდა, თანამედროვე ცივილიზაციის პერსპექტივა ხომ წარმოუდგენელია ენერგეტიკული ბაზისის გარეშე. მითუმეტეს, ღვთის წყალობად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი სახეობა, როგორიც გახლავთ მდინარეთა პოტენცია, ანუ უნარჩენო ენერგეტიკული რესურსები.

ამ საქმეში მათ ზოგად თვალსაზრისს მხარს უჭერს ოფიციალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც, კონკრეტულად კი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ინტერესები, რაც სულ ახლახან სახიერად ჩამოაყალიბა უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას ჩვენი რესპუბლიკის დეპუტატმა ზუგდიდის საარჩევნო ოლქიდან, ენგურჰესის სამმართველოს უფროსმა ამხანაგმა მიხეილ ცისკარიშვილმა, რის თაობაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას, დავსძენთ მხოლოდ, რომ ყველაფერ აქედან უკვე გასაგები ხდება, ენგურჰესის სამმართველოს მშენებლობის უფროსის ამ პოზიციაში ჩამოყალიბებული პროგრამის სტრატეგიული მიმართულება, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ ჩვენი დღევანდელი მასპინძლები — „ჰიდროლოგიის საპროექტო ინსტიტუტის“ მესვეურნი — ენგურის ხეობის ენერგეტიკული ინტენსიფიკატორები. როგორც არა ერთგზის ითქვა, მათი მოქმედების მასშტაბები სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოებშია მოქცეული და ისინი ფაქტიურად „ასაქონლებენ“ ე. ი. პრაქტიკულად ახორციელებენ იმ გეგმებს, რასაც უსახავენ ზემდგომი ინსტანციები, და რასაც შემდგომად წარუდგენენ მოსკოვს დასამტკიცებლად.

ყოველ შემთხვევაში, რეალური ვითარება, თუნდაც ზემოთმოყვანილი ცისკარიშვილისეული წარდგინების მიხედვით, ისეა გაფორმებული, რომ აქ ყველაფერი მოტივირებული და გათვლილია ეროვნულ ინტერესებზე და ჩვენი საზოგადოებისათვის სისხლხორცეულ სამომავლო ამოცანებიდან გამომდინარეობს. ასე რომ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა ხოლმე, ჩვენ მადლობისა და უხმო თანხმიერების მეტი არაფერ დაგვრჩენია!.. ყველაფერზე კუდის ქიცინმა კი რა სავალალო მდგომარეობამდეც მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, ყველას კარგად მოეხსენება.

ამ „წარდგინებიდან“ სამწუხაროდ, კვლავ გამოსჭვივის არცთუ ისე შორეული წარსულის მავნე ტენდენცია, როცა ამა თუ იმ სფეროში საზღვარგარეთის პრაქტიკიდან მაგალითისათვის ვიღებდით მხოლოდ ჩვენთვის ხელსაყრელ მაჩვენებლებს, ესე იგი, ცალმხრივად გადმოგვქონდა მათი გამოცდილება და ვაფუჩუჩებდით მრავალ მნიშვნელოვან ასპექტს: ავიღოთ, მაგალითად, ფასწარმოქმნის საკითხი: განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, საზღვარგარეთის კვალობაზე, ელვის სისწრაფით ვზრდიდით სასაქონლო ფასებს (თვალსაჩინოებისათვის ამ ბოლო ხნის მანძილზე ბენზინის ღირებულების სასწაულებრივი ნახტომის მაგალითიც გამოდგებოდა, რასაც მიამიტურ გამართლებას ეძებდნენ — კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ჩვენთან გაცილებით იაფიაო), მაგრამ აღარაფერს ამბობდნენ იქაურ ხელფასებზე, ცხოვრების დონეზე.

ამ შემთხვევაში კი ეს ტენდენციურობა და ძველმოდური ცალმხრივობა იმაში გამოიხატა, რომ ბატონმა მიხეილ ცისკარიშვილმა არაფერი თქვა იმის თაობაზე, თუ რა გზებით, რა ტექნოლოგიური საშუალებებით აღწევენ ამ მაჩვენებლებს განვითარებულ ქვეყნებში და რომ იქ უკვე დიდი ხანია მაღლივი კაშხალების მშენებლობაზე თავს იკავებენ, საპროექტო ნახაზებიც კი იმ დონეზეა შედგენილი და ყველა წვრილმანი ისეა გათვლილი, რომ ცალკეული ბუჩქისა და ხის საკითხიც კი, ასე ვთქვათ, უმაღლეს დონეზეა გადაჭრილი და გადაწყვეტილი, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანების, მთელი სოფლებისა და დასახლებების სოციალურ-დემოგრაფიული და ეკოლოგიური ინტერესების დაუცველობაზე.

ამ ქვეყნებში ეკოლოგიის ინტერესები დღეს უკვე ისეთ დონეზე დგას, რომ „ურწმუნოს“, მითუმეტეს, მძლავრი მანქანებით შეიარაღებულ ტექნოკრატს, ბრაკონიერივით ასე ჰაიჰარად და თავის ნებასურვილზე ბუნებასთან სათოფე მანძილზეც კი არავინ მოუშვებს.

იქნებ სჯობდა ამ საქმეში ჩვენაც არ ავჩქარებულიყავით? როგორღაც იოლას გავსულიყავით მანამდე, ვიდრე ვისწავლიდით ბუნების გაფრთხილებას, ავიმაღლებდით შრომის კულტურას, უბრალო მუშიდან დაწყებული — ინჟინრით დამთავრებული, ღრმად შევიმეცნებდით იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ ცოცხალი მატერიის სამყაროში ლიდერობა და უნივერსალიზმი, პრინციპში, არავითარ უპირატესობას არ გვანიჭებს ამავე ბუნების შვილობილებს მის წინაშე, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა გვაქვს უფლება ვიყოთ პირწავარდნილი მომხმარებლები ამქვეყნიური სიკეთისა.

ჩვენ უნდა ვეცადოთ თანასწორუფლებიანობის, სამართლიანი პარტნიორობის ნიადაგზე წარვმართოთ ჩვენი დამოკიდებულება სამყაროსთან, გარემომცველ მატერიასთან, სანამ კვლავ აღიძვრის იგი ჩვენდამი შურისგების გრძნობით განმსჭვალული და არ გვაზღვევინებს წრეგადასულ თავაშვებულობისათვის, არ მოგვივლენს ამიერიდან უკვე „ეკოლოგიურ სოდომ-გომორს", ახალ სტიქიურ უბედურებებსა და განსაცდელს... მართლაც, წამით ამ წმინდა სინდისიერების პოზიციებიდან შევაფასოთ ჩვენივე საქციელი, როგორ თავხედურად, უცერემონიოდ წავართვით ბუნებისაგან მონიშნული და მონიჭებული მიგრაციის უფლება წყლის ბინადართ, თევზების ქარავანს — ენგურჰესისათვის კაშხალის მშენებლობით რომ დავუხშეთ და დავუგმანეთ ღვთის ჩენილი ჭიშკარი, გადავუკეტეთ მთავარ ქუჩაზე გასასვლელი, სიცოცხლის დერეფანი შავი ზღვიდან კავკასიონის მყინვარებამდე.

მაშ, როგორ უნდა მოვქცეულიყავითო? — იკითხავენ ამ პროექტის მესვეურნი, და კვლავ წინაპართა სიბრძნეს დაესესხებიან: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო", აქ არის ელემენტარული გამოსავალი — უბრალოდ, ან თავი უნდა შეეკავებინა გრანდიოზომანიისაგან (როგორც ამის თაობაზე შესანიშნავად აღნიშნა ჩვენი ქვეყნის გენერალურმა მდივანმა, ამხანაგმა გორბაჩოვმა კრასნოიარსკელ მშრომელებთან შეხვედრაზე, და აგრძნობინა ჩვენს ტექნოკრატიას, მცირეძალოვანი და დაბალსიმაღლოვან კაშხალებზე ორიენტირება), ანდა შეემუშავებინათ სათანადო საინჟინრო გადაწყვეტა, რათა ეს დერეფანი არ დახშულიყო; მართლაცდა, მცირეძალოვანი კაშხალების მშენებლობას რომ დასჯერებოდნენ, აღნიშნული პრობლემა, შეიძლება, საერთოდაც არ წარმოქმნილიყო, არც მდინარე შეიცვლიდა კალაპოტს, არც ბუნება დასახიჩრდებოდა, ფერდობები კვლავაც მწვანედ იბიბინებდნენ, მდინარე მედიდურად იდენდა და იგრიალებდა, თევზები თავისუფლად იქროლებდნენ აღმა-დაღმა, ენგურის ქვაბული ტენით არ გაიზეკებოდა და ეს ტრაგედიებიც, ვინ უწყის, იქნებ, ნაწილობრივ მაინც აგვეცილებინა თავიდან, ყველაფერი იქნებოდა შეწონასწორებული, ბუნებით სრულქმნილი და ჰარმონიული, თავსაც, ალბათ, როგორმე გავიტანდით, მითუმეტეს, რომ ჯერ ხომ მაინცდამაინც ჩრდილის ყვავილებივით არ გავნაზებულვართ.

მრავალი საშუალება არსებობდა იმისათვის, რომ ენგურის ხეობა შეგვენარჩუნებინა თავისი პირველყოფილებითა და მართლაც განუმეორებელი უნიკალურობით, ბუნებრივი ჰარმონიულობით. მაგრამ გრანდიოზომანიის ავადობით შეპყრობილებმა ბევრი რამ ვერ გავითვალისწინეთ, და, სამწუხაროდ, ამჟამადაც ვცოდავთ ბევრ რამეში, ხოლო როცა საბოლოოდ თვალები აგვეხილება, მერე უკვე „გვიან იქნება თითზე კბენანი", ისევე, როგორც დღეს აღიარებს ჩვენი ინჟინრების უმრავლესობა — ენგურჰესის მშენებლობა დიდი შეცდომა იყოო, მაგრამ ამჟამად უკვე აღარაფერი ეშველებაო, დანარჩენებზეც შეიძლები ითქვას — ნეტავ არ ავჩქარებულიყავითო;

აი, შთამბეჭდავი მაგალითი იმისა, თუ როგორ ირჯებოდნენ ჩვენი მეზობლები ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად: არცთუ განვითარებულმა ქვეყანამ თურქეთმაც კი ამ მხრივ საოცარი სიფრთხილის გრძნობა გამოამჟღავნა... დალმანის ხეობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმას აუკრძალეს სასტუმროთა კომპლექსების მშენებლობა, ხეობა გაბინძურდება და მის შესართავთან მობინადრე უნიკალურ კუს ჯიშს საშიშროება შეექმნებაო...

ჩვენს პრესაში რომ არ დაბეჭდილიყო ეს ინფორმაცია, ალბათ, ვერც წარმოვიდგენდით, რომ ე. წ. ჩამორჩენილ თურქეთში, როგორც ხშირად მოვიხსენიებთ ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, არცთუ დიდად განვითარებულ ქვეყანაში, ასე ფაქიზად გრძნობენ იქაური ხელისუფალნი ეკოლოგიური პრობლემების მნიშვნელობას.

**ავტორი:**

— კუს ბედით აღძრულნი საერთაშორისო კონტრაქტებსაც კი აუქმებენ!..

* * *

— ბატონო ლევან, ჩვენ მოკლებულნი ვართ ობიექტურ ინფორმაციას, თუ რა შესაძლო შედეგებს გამოიწვევს ამ ხეობის დატბორვა უახლოესი თუ უფრო შორეული პერსპექტივისათვის, არა და ეჭვი არავის ეპარება, რომ ბუნების წიაღში ჩვენი დაუნდობელი შეჭრა, საბოლოო ჯამში, სიკეთეს არ მოგვიტანს, რაღაც ფორმით ძვირად დაგვიჯდება, როგორც ეს დაუჯდათ შარშანწინ ყირგიზელებს, როცა ერთ-ერთი კაშხალი გაირღვა, მთელი სოფლები წალეკა და უამრავი მსხვერპლი გამოიწვია, როცა სულ ამ რამდენიმე ხნის წინ, ყაზახეთში, ალმაატის მახლობლად, უშველებელი წყალსატევი გადმოინგრა და მილიონობით კუბამეტრმა წყალმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა რესპუბლიკას. იმსხვერპლა ადამიანები, ფლორა, ფაუნა, სულ ერთიან გააუდაბურა უმშვენიერესი ალაგები, დახრამა და დააუშნოვა იქაურობა... მაინც რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენთანაც იგივე,

ან იმაზე უარესი არ განმეორდება? მაშ რატომ უნდა ვიყოთ გაყუჩებულნი, განა ჩვენს ყოფნა-არყოფნას არ შეეხება საკითხი?

**ლევან ჯაყელი:**

— მსგავსი შემთხვევები მსოფლიოს კაშხალმშენებლობის ისტორიაში მრავლადა გვხვდება, და არა მარტო ჩვენთან, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც მოსვლიათ ინჟინრებსა და დამპროექტებლებს შეცდომები. მაგალითად, საფრანგეთში სამოცდაათი მეტრიანი მილ-პარეს კაშხალი გადმოინგრა, და მთიდან მომსკდარმა ნიაღვარმა დიდი მსხვერპლი გამოიწვია მოსახლეობაში, ბუნებასაც საგრძნობი ეკოლოგიური ზიანი მიაყენა. ცნობილმა ინჟინერმა კოინმა გარისკა და დააპროექტა იგი, ისე რომ მარცხენა ბორტი, ესე იგი, საყრდენი ფერდობი გეოლოგიურად არ იყო სათანადო დონეზე შესწავლილი. შედეგმაც არ დააყოვნა, წყალმა გახრამა საძირკველი და გაარღვია ფერდობი.

ასევე დიდი „გარღვევა“ მოხდა იტალიაში, სადაც ვაიონტის ორას სამოცმეტრიანი კაშხალი გაანგრია წყლის ტალღებმა, აქ უშველებელ მთას ლიბო გამოუხრა წყალმა, იგი ერთბაშად ჩამოწვა, რის შედეგადაც ისეთი ტალღები წარმოიქმნა, რომ მოვარდნილმა ღვარცოფმა, გზად მთელი დასახლებები დაფარა. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში დირექცია ტყუოდა. იგი გაფრთხილებული იყო მოსალოდნელი ხიფათის თაობაზე, მაგრამ ყურად არ ილო ეს გაფრთხილება. რომ დაეცალა თავის დროზე წყალსაცავი, რა თქმა უნდა, ეს უბედურება არ მოხდებოდა...

— ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, არსებობს აგრეთვე ერთი საკითხიც, მე ვიტყოდი, ყველაზე მზაკვრული და მოულოდნელი საფრთხე. ეს გახლავთ ამ რეგიონებში მიწისძვრების შესაძლებლობა, რასაც, ბუნებრივია, ვერ გამორიცხავს გონიერი, წინდახედული ადამიანი, მითუმეტეს, რომ სომხეთის მიწისძვრის მერმე მისი ალბათობა კიდევ უფრო გაიზარდა, როგორც ცნობილია, ასეთ წყალსაცავებს ახასიათებთ დამანგრეველი რეციდივები, რასაც ადგილი ჰქონდა ისეთი კაშხალების მოწყობის დროს, როგორიცაა, გუვერი, მიდი, გლენ-კანიონი, ფლემინგ-გორჯი, კარიბა, გან-ჩუოუ, ნურეკი, გრანვალი, მოუვაზენი, ორვილი და ასე შემდეგ. 1980 წელს ლონდონში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მონაცემებით, რომელიც ეხებოდა წყალსაცავების მოწყობის შედეგად გამოწვეულ მიწისძვრებს, 236 შესწავლილი მსხვილი კაშხალიდან 64 შემთხვევაში (27%) ადგილი ჰქონდა მსგავს მოვლენას (მიხეილ ლოლობერიძე). სხვა მრავალ საშიშროებასთან ერთად თუ არის გათვალისწინებული მიწისძვრების შესაძლებლობა?

— რა თქმა უნდა, თანამედროვე საინჟინრო ხელოვნება მდიდრდება წარსულის გამოცდილებით, ისტორიული გაკვეთილებიდან გამოტანილი სათანადო დასკვნებით, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა ორგანოებში, ავიაციის სფეროში თუ შეიარაღებულ ძალებში, როგორც წესი, განხილვის საგანი ხდება ხოლმე ქვეყანაში ამ დარგებში მომხდარი უმნიშვნელო საგანგებო შემთხვევაც კი, ჩვენს სფეროშიაც სათანადო რეაგირებას ვახდენთ ასეთ მოვლენებზე, საგანგებოდ ვსწავლობთ მათ წარმომშობ ფაქტორებს, ვაანალიზებთ შექმნილ ვითარებას, ვეცნობით არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას, გამოგვაქვს სათანადო დასკვნები, ვიღებთ სიფრთხილის დამატებით ღონისძიებებს. ენგურჰესის კაშხალი ამ მხრივაც უნიკალურია, აქ გამოყენებულია კაშხალთმშენებლობის დარგში მსოფლიო მასშტაბით მოპოვებული უკანასკნელი ტექნიკური მიღწევები. ენგურჰესის კაშხალის ტანში ჩადებულია ორი ათასამდე სეისმომეტრული საკონტროლო-გამზომი აპარატურა კაშხალის სხმულის ყველა დონეზე, ეს ქრონომეტრები თავისებურ სანდო ინფორმაციას გვაწვდიან თვით კაშხალის წყაროს რაიონში კედლის შესაძლო დეფორმაციის თაობაზე, მისი ზედაპირის დრეკადობის მდგომარეობაზე. ეს ხელსაწყოები აფიქსირებენ ბეტონის გულში და ასევე სიღრმეში მიმდინარე მოვლენებს და მის დირექციას საშუალება ეძლევა მომენტალური რეაგირებისა; საჭიროების შემთხვევაში კაშხალის დაცლა, მოგეხსენებათ, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, უბრალოდ, ადამიანებზეა ახლა დამოკიდებული რამდენად იფხიზლებენ თავიანთ სამსახურებრივ პოსტებზე, თუ რა ერთგულებით მოეკიდებიან მინდობილ საქმეს...

— ჩვენს მტერს და, დავუშვათ, შეიშალა მსოფლიო და... ატომური ბომბი ჩამოაგდეს, მესმის, რომ ატომური ბომბი უკვე თავისთავად ქვეყნად სიცოცხლის დასასრულია და კაშხალზე საუბარი და ადამიანთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა უკვე სასაცილოც კია, მაგრამ, დავუშვათ ასეთი შემთხვევა, რა იქნება მაშინ?

— მეცნიერებას, რომ იცოდეთ, არც ეს შემთხვევა აქვს უყურადღებოდ მიტოვებული. ატომური ბომბის ჩამოგდების შემთხვევაშიც კი გათვლილი გვაქვს რა მოცულობის წყალი ჩავა ზუგდიდსა და მიმდინარე სოფლებში, ანაკლიაში. როგორც კი გამოცხადდება — „მზად ყოფნა ნომერი პირველი!“ — იმ წუთშივე დაიცლება წყალსაცავი და ელექტროსადგური თვითნადენ წყალზე იმუშავებს...

* * *

ხუდონჰესის მშენებლობისა და აგრეთვე მთელ რიგ სხვა ტექნიკურ-საინჟინრო საკითხებზე თავისი აზრი გაგვიზიარა პროექტის მთავარმა ინჟინერმა ბატონმა ვაჟა კობახიძემ.

— ადგილობრივი მაცხოვრებლები მადლიერნი უნდა იყვნენ ენგურის ხეობაში ჰიდროლოგიური პროცესების მიმდინარეობით. — აღნიშნა ბატონმა ვაჟამ. — სვანეთს წილად ერგო ბედნიერება გრანდიოზული ჰიდროკომპლექსების მშენებლობისა, რამაც გამოიწვია ამ კუთხის შემდგომი წინსვლა და აღორძინება...

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ ბატონ ვაჟას თავდაჯერებული ნათქვამი აპრიორად გაისმა მისი კოლეგების თვალსაზრისების ფონზე, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით რომ გაგვიზიარეს. და არა მარტო იმათი ნათქვამის ფონზე, ასევე რაიონის ხელმძღვანელობისა და მთელი მოსახლეობის შინაგანი უკმარისობის ფონზეც, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ამ გაუთავებელმა საგზაო სამუშაოებმა, „რომელთა ტემპიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს" და ოდნავადაც ვერ შეესაბამება ახალ-ახალი ჰესების მშენებლობისა და პროექტების ათვისების მასშტაბებს, რაიონის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ნორმალურ ფუნქციონირებას თავისი უარყოფითი დაღი დაასვა. ყოველივე ამან კი ადგილობრივ მკვიდრთა უკმაყოფილება გამოიწვია.

ბატონი ვაჟა, ბუნებრივია, რომ გატაცებულია „საკუთარი ქმნილების" — ზღაპრული ჰირმშოს ბედ-იღბლით, მისი მომავლით და ამაში მას ვერც შეედავები. მართლაც და მეტად რთული და საპასუხისმგებლო გახლავთ ჩისია გრანდიოზული ნაგებობის არქიტექტორ-ინჟინრისა. მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად ამ საქმეში საჭიროა მაქსიმალური დაძაბვა მთელი შესაძლებლობებისა, გაბედულება და შემართებულობა, რათა მიუვალ ღრანტეებსა და კლდეკარებში, ადამიანისგან ფეხდაუდგმელ ვიწროებში განახორციელო და ალმართო არქიტექტურული და ტექნიკური თვალსაზრისით უნიკალური გრანდიოზული ნაგებობა, მეორე ენგურჰესი, რომ ამ ურთულეს საინჟინრო ნაგებობაში განახორციელო და ჩააქსოვო მთელი შენი ნიჭი და შემოქმედებითი უნარი. ამ თვალსაზრისით პროფესიული გატაცება ჩვენთვის გასაგებია და დასაფასებელი, გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ გადატვირთულობისა და მოუცლელობის გამო ადვილი შესაძლებელია ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული „ზოგიერთი წვრილმანი" საკითხის მიმდინარეობას ვერ მიაქციოს ადამიანმა სათანადო ყურადღება. მხოლოდ ასე შეიძლება ავხსნათ ბატონ ვაჟას „შორით მაცქერლობა" აღნიშნული პრობლემებისადმი, რამაც, პირადად ჩვენში, უკმარისობის გრძნობა გამოიწვია. ალბათ, ყველა გაიზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ამ ბოლო დროს ნებისმიერ სფეროში საგრძნობლად გაფართოვდა პროფესიონალიზმის ცნება, მისი შინაარსი და საზღვრები, ამჟამად უკვე ნებისმიერი ობიექტის დაპროექტებისას მისმა არქიტექტორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მშენებლობისაგან გამომდინარე უარყოფითი ეკოლოგიური, კლიმატოლოგიური და დემოგრაფიული თუ სოციოლოგიური შედეგები. ყოველივე ამის გარეშე ნებისმიერი უნიკალური ნაგებობის განხორციელება ემსგავსება თავისებური ატომური ბომბის შექმნას, რომელიც რაც არ უნდა უზადო იყოს გარეგნულად, მაინც ბომბია და ადამიანების მოსასპობად არის გამიზნული. იქნება ზოგიერთს ეს შედარება — თვალმახარა საინჟინრო ქმნილებისა და ატომური ბომბისა, შორეულად და უადგილოდაც მოეჩვენოს, მაგრამ თუკი კვლავ გავიხსენებთ კაშხალმშენებლობის სფეროში მომხდარ უბედურ შემთხვევებს, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს ბომბის თავისებურ ნაირსახეობასთან — დაყოვნებული მოქმედების ჰიდროლოგიურ ურჩხულთან.

ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი მთელ რიგ ნეგატიურ შედეგებზე, ენგურჰესის წყალსატევმა რომ იქონია ადგილობრივ ბუნებასა და კლიმატზე და ამჯერად ამ ასპექტებზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. ბატონ ვაჟას ზოგიერთ კონკრეტულ საკითხზე ვთხოვეთ გაეცა პასუხი. ერთი მათგანი ეხებოდა სოფელ ხაიშის ბედ-იღბალს, რომელიც ხუდონჰესის პროექტის მიხედვით წყალქვეშ ჩასაძირავად არის განწირული, ადგილობრივი მოსახლეობა კი იქიდან უნდა აიყაროს და ბარის რეგიონებში გადასახლდეს.

— ნუთუ არ შეიძლება ხაიშის გადარჩენა? — ვკითხეთ ბატონ ვაჟას.

— ხაიშის ბედი უკვე, დიდი ხანია, გადაწყვეტილია, ახლა ჩვენ ტყუილუბრალოდ ვიქავებთ ძველ ჭრილობებს, სხვათა შორის, თავის დროზე ხაიშელები გაგებით მოეკიდნენ ჩვენი ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებას ხუდონჰესის აშენებისა და ხაიშის აყრის თაობაზე. მათ, დიდი ხანია, მიიღეს სათანადო ფულადი კომპენსაციები ახალ ადგილზე გადასახლებასთან დაკავშირებით, მთავრობამ სამოსახლოები გამოუყო მათ თეთრი წყაროს რაიონში. ასე რომ, ფირის უკან დატრიალება, არ ვიცი, რამდენად გამართლებულია.

— მოგეხსენებათ, იმ დროს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შეუსრულებ-

ლობა წარმოუდგენელი რამ იყო. ასე, რომ, ხაიშელთა იმჟამინდელი თანხმობა და, როგორც თქვენ ბრძანეთ, „გაგებით მოკიდება საქმისადმი“, შეიძლება შექმნილი ვითარებით უფრო აიხსნას, ვიდრე მათი სხვაგან გადასახლების სურვილით. ასე რომ, მოდით, წარსულზე ნუღარ ვილაპარაკებთ, სჯობია მოვსინჯოთ გზები — რა გამოსავალი არსებობს შექმნილი ვითარებიდან. ჩემი ღრმა რწმენით, ხუდონჰესი გარდუვალი ბედისწერა არ გახლავთ ,როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად ალბათ მასაც მოეძებნება ალტერნატივა, თუკი რაღა თქმა უნდა, ჩვენ სათანადო სიმაღლეზე აღმოვჩნდებით და მთელი სიგრძე-სიგანით გავითვალისწინებთ შექმნილ ვითარებას... იგი კი ასეთი გახლავთ, რომ უნდა ჩაიძიროს და გაუქმდეს ლამის ოთხასკომლიანი სოფელი სამი ათასი მოსახლით. მერე და რა სოფელი — მწარმოებელი, ცხოველუნარიანი, რეპროდუქტოლოგიური აქტიურობით გამორჩეული... ამიტომაც გვაინტერესებს მისი ბედი, მართლაცდა, ძალიან, ძალიან რომ მოვინდომოთ და შევეცადოთ, ნუთუ ვერ მოხერხდება ხაიშის გადარჩენა?

იქნებ, ვიდრე ჯერ კიდევ გვიანი არ არის, შესაძლებელია პროექტის გადასინჯვა და კომპრომისული ვარიანტის შემუშავება, რომელიც გამორიცხავდა სოფლის აყრას? მართალია, კაშხალის სიმაღლის დაწევა გამოიწვევდა ელექტროენერგიის დანაკარგებს, მაგრამ მთავარი ხომ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესებია?

მოგეხსენებათ, მთელი ჩვენი რესპუბლიკა მოიცვა მოძრაობამ ხაიშისა და მთელი სვანეთის გადასარჩენად, ჩვენი სურვილია, რომ ტექნოკრატებიც შეუერთდნენ ამ კამპანიას. როგორც პროექტის მთავარი ინჟინერი, რას იტყოდით ამის თაობაზე?

**ვაჟა კობახიძე:**

— თქვენი ნუხილი, რა თქმა უნდა, გასაგებია ჩემთვის, მართლაც და უცხოები და მტრები ხომ არა ვართ, მაგრამ როგორც ინჟინერი, ესე იგი საქმეში ღრმად გაცნობიერებული პიროვნება, იმასაც მშვენივრად ვგრძნობ, რომ თქვენი და ასევე საზოგადოებრივი სურვილები და მოსაზრებანი წმინდა ემოციურია თავისი არსით და მოკლებულია რეალურ საფუძველს. სამწუხაროდ, ეს სურვილები უფრო ფანტაზიურია და ოცნების სფეროს უფრო განეკუთვნება... საქმე იმაში გახლავთ, რომ აღნიშნული პროექტის გადაკეთება ამ ეტაპზე, როცა მის მშენებლობაზე ას მილიონამდე მანეთია დახარჯული, უკვე შეკვეთილია ტურბინების აგება, მიმდინარეობს ჰიდროსადგურის მშენებლობა, გაყვანილია ჰიდროსადგურთან მიმყვანი გვირაბები, დამონტაჟებულია ზოგიერთი აგრეგატი, ასევე მიწის ქვეშ ამოღებულია ოცდაათმეტრიანი ქვაბული ტურბინებისათვის და ყველაფერი ეს გათვლილია პროექტით გათვალისწინებული 170 მეტრიან კაშხალში დაგუბებული წყლის დაწნევის მონაცემებზე, რაღა თქმა უნდა, ნებისმიერი კორექტირება დაუშვებელია, მეტსაც გეტყვით, ყოვლად გამორიცხულია. არსებობს მხოლოდ ერთი ვარიანტი — ეს არის მისი გაუქმება.

**ავტორი:**

— თქვენ მართალი ბრძანდებით, რომ ჩვენი დილეტანტიზმით „შორს ვერ წავა კაცი!“ და ეს ფაქტორი, ალბათ, მეტად ხელისშემშლელია თქვენი საქმიანობის შეფასებაში, შესაძლოა, ჩვენს ნათქვამს ემოციური ელფერიც დაჰკრავს, მაგრამ ნუთუ აქ რაიმე კომპრომისული ვარიანტი, რაიმე ალტერნატივა მართლაც გამორიცხულია? — კვლავ გავუმეორე შეკითხვა ბატონ ვაჟას.

— მოდით, უფრო საგნობრივად მივუდგეთ საქმეს: ხაიშის ცენტრი 603 მეტრზეა ზღვის დონიდან. ჩვენი წყალსაცავის დონე კი 700 მეტრი იქნება. ესე იგი, სიმაღლეთა სხვაობა 97 მეტრი გამოდის. თვით კაშხალის მიწისზედა სიმაღლე გახლავთ 170, ხოლო მიწისქვეშა 30 მეტრი, სულ ორასი მეტრი. მაგრამ ამ შემთხვევაში, მოდით, ამ ოცდაათ მეტრს თავი გავანებოთ, რადგანაც მას ამჟერად არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. მაშ რამდენი უნდა დავწიოთ ამ კაშხალის სიმაღლე ,რომ ხაიში შევინარჩუნოთ? ასი მეტრით მაინც. ესე იგი 170 გამოვაკლოთ ასი უდრის 70-ს. ეგ ხომ წმინდა წყლის აბსურდია — ორასმეტრიანი კაშხალი დაიყვანო სამოცდაათ მეტრამდე?

ბატონმა ვაჟამ ასე უნებურად თავადვე შემოგვთავაზა ხუდონჰესის კაშხალის ახალი, ალტერნატიული ვარიანტი და გვიკარნახა ხაიშის გადარჩენის ფორმულა, რომლის არსიც მდგომარეობს ერთი შეხედვით უმარტივეს არითმეტიკულ გამოსახულებაში: 170 მინუს ასი!...

რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ჩვენი ეს ვარაუდი, მართლაც, ემოციების სფეროს განეკუთვნება და იქნება მიამიტურადაც ჟღერდეს, მაგრამ ჩვენ მაინც მივდივართ ამ რისკზე, ნათქვამისა არ იყოს, „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, გნებავთ, ხავსზე ჭიდილიც იყოს ეს ჩვენი თავდაიმედება, რა იცი, იქნება ყოფილა ისეთი შემთხვევაც, ხავსსაც რომ ეხსნას განწირული ადამიანი დაღუპვისაგან? ვინ იცის, გამორიცხული არაფერია და არც ისა გვგონია გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს საინჟინრო, საინტელიგენციო, საგლეხო და ყველანაირი აზრი გაერთიანდეს ერთი მიზნის, გნებავთ, ერთი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტური ფორმულის გარშემო, თუნდაც იგი სასაცილოდ ჟღერდეს ამჟამად და ამ მიმართულმა აზრმა ერთობლივის ძალისხმევით შეუძლებელსაც მიაღწიოს? ასეთ ერთობას განა წინ რა ძალა დაუდგება, მითუმეტეს, რომ ჯერ მიწასაც არ ასცილებია კაშხალისთვის განკუთვნილი ბეტონის სხმული?

როგორც ზემოთაც გვქონდა ამის თაობაზე საუბარი, გიგანტომანიის დრო უკვე წარსულს ჩაბარდა, გიგანტომანიით თავბრუდახვეულებმა უკვე შევქმენით, „მშვენიერი ჰიდროლოგიური ბომბი" ენგურჰესის სახით და უკვე დროა საღ აზრს მოვუხმოთ, რათა ასე თამაშ-თამაშით ქარიშხალი არ მოვიწიოთ და ახალ-ახალი „ბომბები" არ მოვიმრავლოთ...

აკი მშვიდობისმოყვარულნი ვართო?

* * *

ჩვენთან ცალკე საუბარში, გზების პრობლემას რომ შეეხებოდა, თავისი კოლეგებისაგან, კერძოდ, ვაჟა კობახიძისაგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულება აღმოაჩნდა ხუდონჰესის მუშა-გეგმარების უფროსს, ბატონ გიული ფოცხვერიას, რომელმაც აღიარა, რომ გზების პრობლემა მართლაც „კრიტიკას ვერ უძლებს".

— ამ უბანზე შეიგრძნობა საოცარი უთავბოლობა, — ამბობს გიული. — ჯერ იყო და 1979-ში ვითომ გააფართოვეს მესტია-ზუგდიდის გზა და ეს მოვლენა დიდი ზარ-ზეიმით იქნა აღნიშნული. ის კი არ გაითვალისწინეს, რომ ხუდონჰესი ასაშენებელი იყო. ბუნებრივია, მთელი ის გზა სულ დაინგრა, წყალში ჩაიყარა ამდენი სახსრები. ამჟამად ახალი გზა კეთდება, და გეთანხმებით იმაში, რომ ეს ტემპი მეტად ნელია და არ შეესატყვისება კაშხალთმშენებლობის მასშტაბებსა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მესტიის რაიონის მკვიდრთა ინტერესებს. აქაური ხალხი მართლაც გაწვალებულია საგზაო უწესრიგობებით, აფეთქებებით, ქვათა ცვენით, გადატვირთულობით, სატელეფონო და ელექტროგადამცემი ხაზების ხშირი ავარიებით, ათასგვარი შეფერხებებით...

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ რაც გაკეთებულია, ისიც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, არ შეესაბამება გზათამშენებლობის არსებულ ნორმებს. არ ხდება გზათაპირების შემდგომი დამუშავება მეკლდეურთა ბრიგადების მიერ, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ქვათაცვენის საშიშროება, არც ქვასაშიში ფერდობების „ალაგმვა"-ს ვაკეთებთ სპეციალური ქვადამცავი მავთულის ბადეებით, როგორც ეს მიღებულია საზღვარგარეთის მთაგორიან ქვეყნებში, სადაც მთელი ტრასები ისეა გაკოჭილი და გამაგრებული, ქვის ნატეხი რაა, ერთი კენჭიც არ გავარდება.

თვით სავალი გზის ქანობის შექრის კუთხე არ არის საპროექტო დონემდე დაყვანილი. ჩვენს ენაზე რომ გადმოვცე, ფერდის დახრა გზის ვაკისთან უნდა შეადგენდეს სამის შეფარდებას ერთთან. ამ თანაფარდობის დაცვა გზის საექსპლოატაციო ეფექტურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით აუცილებელი გახლავთ...

* * *

საქმის არსში რომ უფრო სრულყოფილად და ყოვლისმომცველად გავერკვეთ, მოვუსმინოთ თვით ხაიშელებს, იმ სოფლის მკვიდრთ, ვისაც, ეს რამდენიმე ხანია, გასაქცევად შეკაზმული ცხენები ჭიშკართან უბიათ, ოღონდ, მომხდური მტრისაგან როდი გარბიან ისინი, არამედ ადამიანთა მიერ მოწევნილი წარღვნისაგან, თანამოძმეთა მიერ „დაგეგმილი" ყოვლისწამლეკავი დელგმისაგან.

უფრო ახლოს მივიდეთ მოვლენის არსთან, შიგ გულში მივაყურადოთ საჭირველს, თუ გვინდა, რომ ელემენტარულად მაინც გავერკვეთ მის არსში, იმ ნათქვამივით რომ არ გამოგვივიდეს — „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო"!

ბატონ ვაჟა კობახიძის თქმისა არ იყოს, თავიანთი წილხვედრით მართლა „ბედნიერი და მადლიერია" ეს ხალხი? ან, იქნება, უმადურობის გრძნობამ დარიათ ხელი?

მაშ ასე, ცრემლიანი მონოლოგები:

* * *

**აგრეტ ფილფანი** — ხაიშის კულტსახლის დირექტორი:

— შეიძლება ზოგიერთმა გვისაყვედუროს — თქვე დალოცვილებო, აქამდე სად გეძინათ, ხმას რომ არ იღებდითო, თავის დროზე რალატომ დასთანხმდით ჰესის აშენებასა და იქიდან გადასახლებასო, და ამის დასტურად იმასაც შეგვახსენებს — აკი, კომპენსაციებიც მშვენივრად ჩაითვალეთო? ერთი მხრივ მართლებიც იქნებიან, მაგრამ მხოლოდ ერთი მხრივ, ხოლო ნახევარსიმართლე კი, როგორც ჩვენებურები იტყვიან ხოლმე, ტყუილზე უარესიაო. ნახევარსიმართლით ჭეშმარიტებას ვერ მიაკვლევ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ თითქმის ოციოდე წლის წინ, როცა ხაიშის ბედი გადაწყდა, ახლა თითქოს დაუჯერებლადაც გვეჩვენება, მაგრამ მაინც რეალობას სად გაექცევა ადამიანი, სულ სხვა დროება, სხვა ვითარება სუფევდა ჩვენს ქვეყანაში, ახლა უძრაობის პერიოდს რომ უწოდებენ, იმჟამად ძველი, მბრძანებლობისა და ადმინისტრირების პერიოდისდროინდელი სუსხი კვლავ იყო

ეროვნული

შემორჩენილი — ყოველ შემთხვევაში, იმ დონეზე მაინც, რომ ადამიანს, ცალკეულ პიროვნებას ,რაიონს თუ სოფელს, არავინ არაფერს ეკითხებოდა და უთანხმებდა, ზემოდან მოსულ ნებისმიერ ბრძანებას კანონის ძალა ჰქონდა და აპრიორულად უნდა შესრულებულიყო, კარგი ბიჭი იყავი და ხმა ამოგეღო.

ჩვენ არც მაშინ არ შევპუებულვართ ამ საშიშროებას, მრავალი დელეგაცია გაემგზავრა დედაქალაქში ამ საკითხებთან დაკავშირებით, დაიწერა კიდევაც პრესაში, მაგრამ „აყარე კედელს ცერცვი“, ვინ იყო ჩვენი თხოვნის გულთან მიმტანი.

შიშმა და პანიკამ მოიცვა მთელი ხალხი, როგორც ითქვა, თავიდანვე იმედგადაწურულნი ვიყავით, მაგრამ მაინც, თქვენი თქმისა არ იყოს, წყალწაღებულივით ხავსს ვეჭიდებოდით, იქნება სასწაული მოხდესო. სასწაული არ მოხდა, ბოლო იმედიც გადაიწურა, ფსიქოლოგიურმა შოკმა ადამიანები საგონებელში ჩააგდო და იმის შიშით, რომ გადასახლება მაინც არ აგვცდება და ამასობაში კომპენსაციაც არ დავკარგოთო, მავანს იქნებ „კაკალი გავაგდებინოთო“, ხალხმა ერთმანეთის წამხედურობით სალაროს მიაშურა...

ასეთი გახლდათ ის მოტივები, რომელთაც აიძულეს ჩვენებურები ამ დათმობაზე წასულიყვნენ. მაგრამ ეს იყო, პირველ რიგში, დათმობა საკუთარ სინდისთან, საკუთარ თავთან და მხოლოდლა მერე გარემოებასთან. ეს იყო, ალბათ, ჩვენებური ადამიანისათვის ყველაზე სამარცხვინო კომპრომისი, რომელიც მას გაუკეთებია თავისი არსებობის მანძილზე.

დღეს კი, საბედნიეროდ, დროება შეიცვალა. თანაც ისე რადიკალურად და უეცრად შეიცვალა, რომ აღარც კი გჯერა — ნუთუ მართალია, რომ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ადამიანებს, ხალხს ეკითხებიან აზრსა და შეხედულებას და მხოლოდ მათი ნებართვითა და ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიძლება აშენდეს ნებისმიერი ობიექტი და განხორციელდეს ესა თუ ის ამოცანა. ხუდონჰესი კი, მოგეხსენებათ, თავისი მასშტაბებით მეტად მნიშვნელოვანია, ეს თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ მან უნდა შეიწიროს ოთხასკომლიანი სოფელი და არა მარტო სოფელი, არანაკლებ ავბედით დაღს დაასვამს იგი მთელ სვანეთს, ამ ხალხმრავალ და ცხოველმყოფელ რეგიონს, დაასაჭურისებს მას.

ვინ იცის, გარდა ხაიშის გაუქმებისა და ხაიშელების გაუბედურებისა, კიდევ რა განსაცდელს მოუვლენს ჩვენს ხეობას...

* * *

პერსპექტიული ჰესების პროექტის თაობაზე მცირე ახსნა-განმარტება ვთხოვეთ ტობარჰესის ჰიდროკომპლექსის პროექტის ინჟინერს ბატონ დემურ აბზიანიძეს:

მან, კერძოდ, თქვა:

— როგორც ბატონ ლევან ჯაყელმა უკვე აღნიშნა, ჩვენმა კოლექტივმა დროულად სცადა კორექტივების შეტანა ტობარჰესის ადრინდელი პროექტების ვარიანტებში. ჩვენ შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალი, კერძოდ, მოსახლეობის მიგრაციის იძულებითი ამბავი და შევეცადეთ ოთხმოცაათი კომლის აყრა როგორმე აგვეცილებინა თავიდან, რომელთა ასახლებასაც ტობარჰესის არსებული პროექტის მიხედვით მაღლივი კაშხალის მშენებლობა ითვალისწინებდა. შევიმუშავეთ კომპრომისული ვარიანტები მცირეძალოვანი და მცირესიმაღლოვანი კაშხალებისა იმ ანგარიშით, რომ საბოლოო ჯამში, ენერგეტიკული დანაკარგები მაქსიმალურად აგვეცილებინა თავიდან. ასე და ამრიგად, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ტობარჰესის ენერგეტიკული სიმძლავრის მისაღწევად საჭირო იყო ექვსი მცირეძალოვანი ჰესის მშენებლობა, რომელთა გამომუშავებული მთლიანი ენერგია ტობარჰესისას გაუთანაბრდებოდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა არგუმენტირებული დაცვა ახალი ვარიანტისა ზემდგომი ორგანოების წინაშე.

**ავტორი:**

— ბატონო დემურ, ხომ ვერ დააკონკრეტებდით, კერძოდ, ვინ იგულისხმება „ზემდგომ ორგანოებში“, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა?

**დემურ აბზიანიძე:**

— ჩვენი პროექტები, როგორც წესი, მხოლოდ მოსკოვის მოწონებისა და დასტურის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს ძალმოსილად და დამტკიცებულად. მანამდე კი იგი ექსპერიმენტული მუშა-ნახაზის უფლებით სარგებლობს... დიახ, იმას მოგახსენებდით, ახლა ეს ტობარჰესის ბაზაზე ჩამოყალიბებული ჰიდროკომპლექსის ახალი გადაწყვეტის პროექტები სასწრაფოდ უნდა გაიგზავნოს მოსკოვში, რათა დამტკიცებამდე ე. ი. დროულად წამოვაწიოთ თავდაპირველ ვარიანტს, თორემ მერე შეიძლება დაგვიანებული იყოს. მგონია, ჩვენს ახალ ინტერპრეტაციაში მოსკოველი კოლეგები დაგვეთანხმებიან. აი, რატომ არის ამჟამად საშური ტობარჰესის ჰიდროკომპლექსის სახალხო განხილვა და მის გარშემო საერთო აზრის შემუშავება. გამორიცხული რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია, რომ ამ ზონიში პირველადი ვარიანტი დაამტკიცონ და მისი კანონიერება უკვე შეუქცევად ფაქტად იქცეს; მაშინ სვანეთს მართლაც კარგი დღე არ დაადგება...

— მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ყველა ეს ვარიანტი ხომ ჩვენი შედგენილია, ეროვნული ჰიდროლოგიური დარგის მესვეურთა ტვინისა და აზროვნების ნაყოფია. ის ენგურჰესიცა და ხუდონჰესიც, ხაიშის აყრაცა და ეს ტობარჰესებიც ჩვენივე გამოგონებაა, ისე რომ გარედან არავის მოუხვევია... დღევანდელ საუბარში კი სულ სხვა სულისკვეთება იკვეთება, კერძოდ, ამ კაშხალთმშენებლობის უარყოფითი შედეგების აღიარება და ეროვნული სატკივრებით გულწრფელი დაინტერესება იგრძნობა.

მაშ, რა მოხდა ასეთი ამ არცთუ ხანგრძლივ პერიოდში, რომ ასე რადიკალურად შეიცვალა მოვლენებისადმი თქვენი დამოკიდებულება?

მაინც რითი ახსნიდით ამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებს ერთი და იგივე საკითხისადმი? შეიძლება ეს სასურველი და სასიამოვნო მეტამორფოზა ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის წრეებში მარტოოდენ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ატმოსფეროთი აიხსნას? ესე იგი, ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია დაეძებნოს ამ მოვლენას?

— რა თქმა უნდა, უმთავრესი, ალბათ, ისიც გახლავთ, რომ საჯაროობა და დემოკრატიზაცია თავის თავში მოიცავს ისეთ მომენტებს, როგორიცაა ამა თუ იმ იდეის მონოპოლიზაციის შეუწყნარებლობა, ერთმმართველური გადაწყვეტილებების მიღებისა და უწყებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობის პრაქტიკის არარეალობა, და არა მარტო უწყებრივი, არამედ ანგარებითი მოტივებით მოქმედების შეუძლებლობა; წარსულში, ალბათ, გამორიცხული როდი იყო ბიუროკრატიული დამოკიდებულება მთელი რიგი საკითხებისადმი, მხედველობაში მაქვს ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები.

ისე არ გამიგოთ, თითქოს თავიდან ვიხსნიდეთ პასუხისმგებლობას ნეგატიური მოვლენებისაგან, ყველაფერი წარსულს რომ გადავაბრალეთ, უბრალოდ, ამით იმისი თქმა მწადია, რომ დემოკრატიზაციამ, ამ ბოლო დროინდელმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უეცარმა დათბობამ ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე, მთელ რიგ ამ ბიუროკრატიულ გამოვლინებებს გამოუთხარა საძირკველი, ასპარეზი შეუკვეცა, და რაც ადრე შეიძლება ჩაწყობითაც კი განხორციელებულიყო, დღეს მხოლოდ საჯარო განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს; ადრე თუ ადამიანები თავიანთი პროფესიონალური ამბიციებით მოქმედებდნენ, ამჟამად ასეთი „გარღვევები“ უკვე ისეთ ანტისაზოგადოებრივ ქარიშხალს იწვევს, რომ ვინ ჭკუათმყოფელს გაუჩნდება სურვილი დინების საწინააღმდეგოდ ფაფხურისა. ადრე ბუნებას ლორის ნაჭერივით ვექცეოდით, ვათლიდით, რაც კი ჩამოეთლებოდა და გარემომცველი სამყარო ისე საგულდაგულოდ და ბოლო ნეკნამდე გამოვღრღენით, რომ უკვე, ლამისაა, ცარიელი ჩონჩხილა შემოგვრჩა ხელში. ამან კი, ბუნებრივია, თვალი აუხილა ადამიანებს, ჩააფიქრა ისინი თავიანთ უგუნურობაზე და დაამუხრუჭა. დემოკრატიზაცია და საჯაროობა ცარიელ ნიადაგზე, ალბათ, ვერ აღმოცენდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ვერ იხარებდა; ფრთებს ვერ შეისხამდა. უბრალოდ, შექმნილმა გამოუვალმა და მძიმე ვითარებამაც შეუწყო ხელი, რადგანაც ყველა მიხვდა, რომ ასეთნაირად, ესე იგი ანგარებიანი პოლიტიკით, ცალმხრივი სარგებლობის პრინციპებით, ბუნება და ადამიანი დიდხანს ვერ თანაიარსებებდა. „ლორის ნაჭერი“ გამოილია, „შაშხის მოყვარულებს“ დემოკრატიზაციის ვითარებაში, ალბათ, „დიეტაზე გადასვლა“ მოუწევთ...

ერთი სიტყვით, იმისი თქმა მინდა, რომ ადრე ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. სამწუხაროდ, ამ პოლიტიკის უარყოფით ცხოველმყოფელობას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მრავალ დარგსა და სფეროში კვლავ შეინიშნება ასეთი უტილიტარისტული მიდგომა ჩვენი ბუნებისადმი — წიაღისეული სიმდიდრეებისადმი, ტყისადმი, ნავთობისადმი, როცა უწყებრიობასა და გეგმიურ მაჩვენებლებს უყაირათოდ ეწირება ჩვენი უშველებელი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები. ასეთ ვითარებაში, მით უფრო ამ რამდენიმე ხნის წინ, როცა ენგურჰესის დაპროექტება განხორციელდა და ისევე სხვა მრავალი ობიექტი აშენდა საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, საერთოდაც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბუნებრივია, საინჟინრო აზრიც ნაკლებად ითვალისწინებდა ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ ასპექტებს, სხვა მრავალ ნეგატიურ მოვლენას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. საქმე იმაში გახლავთ, რომ გათვალისწინების შემთხვევაშიაც კი მათი ეს არგუმენტაცია გარკვეულ წრეებში კონტექსტიდან ამოვარდნილ გამასავით აღიქმებოდა და სინამდვილეში ეს ცხოველი აზრის გამოძახილი რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... ასე, რომ, საერთო ზედაპირულ-მომხმარებლური განწყობილება აშალაშინებდა, თავის ყალიბს უჩენდა ყველაფერს და ამის შედეგად მივიღეთ არალის ზღვა, ყარა-ბოლაზგოლი, ბაიკალი, ალმა-ატისა და მთიანი ყირგიზეთის საბედისწერო წყალსაცავები, გაბინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძურებული ვოლგა და მრავალი სხვა... როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე ამ ბოლო დროს, ისტორიული ამბები, ანუ, გუშინდელი ნამოქმედარი იმჟამინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების კონტექსტში უნდა იქნას განხილული. იმჟამინდელი შეცდომების ერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნებისათვის გადაბრალება ნამდვილად არ მიმაჩნია მართებულად. დრო იყო ასეთი, ანუ ნათქვამისა არ იყოს, „დრონი მეფობდნენ და არა მეფენი..."

— ამიტომაც არის სწორედ, რომ დღეს უკვე, სამწუხაროდ, მეცნიერული პროგნოზებისა ნაკლებადა სჯერათ. როგორც, თქვენ ბრძანეთ, ყველას კარგად მოეხსენება ეკოლოგიური გაჩანაგების ისტორიები, ახლა ჩვენი საზოგადოება იძულებულია მწარედ ზღოს მედლეხვალიე ტექნოკრატებისა და სწავლულების გაანგარიშებებისათვის. მათი პროექტებიც ხომ თავის დროზე სხვადასხვა, ვითომ კომპეტენტური მეცნიერული და უწყებრივი სანქციების შედეგად იქნა დამტკიცებული. რაოდენ მწვავედ აღიქვამს იმჟამინდელ გაუმართლებელ ექსპანსიებს ბუნების წიაღში რუსეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების ინტელიგენცია. ასეთი მაგალითები ბუნების ხელყოფისა, გაჩანაგებისა განა ჩვენში ცოტაა. ლამისაა მთლიანად გადავატყაველთ ჰუმუსის ფენისაგან რესპუბლიკის ტერიტორიები. ნაწილი ტყეკაფების შედეგად არის ეროზირებული, ნაწილი მანქანა-ტრაქტორებისაგან, ნაწილი კიდევ გზებითა და რკინიგზებით არის გაჩანაგებული, დიდი ტერიტორიები წყალსაცავებს ქვეშ მოვახვედრეთ, ანდა უგეგმო მშენებლობებისათვის გავხარჯეთ, ბეტონქვეშ მოვაყოლეთ. მარტო ტრანსკავკასიის გაზის ახალი მაგისტრალის მშენებლობამ, სომხეთისათვის, რომ არის განკუთვნილი, დამატებით რამდენი დეფიციტური მიწის ფართობი, სავარგული, მდელო და მინდორი დაიკავა, რამდენი ტყიან-ბუჩქოვანი ფერდობი და წარაფი გადათხარა და გააუბედურა?... ახლა ამას მიუმატე სისხლჭარბი სოფლების პრობლემაც — კანში რომ ველარ ეტევიან და ელვის სისწრაფით ნთქავენ სახნავ-სათეს ნაყოფიერ მინდვრებს, ტრადიციულ სავარგულებს. ეს მიწის ფართობები ხომ სამუდამოდ დაკარგულია სოფლის მეურნეობისათვის? მცირემიწიან რესპუბლიკაში რითი გინდა აინაზღაურო ეს დანაკლისი? რუსეთის ვრცელმა სტეპებმა და შუა აზიის ტრამალებმა შეიძლება უფრო აიტანონ ადამიანის უხეში ჩარევა ბუნების საშინაო საქმეებში, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ხომ განსხვავებულია? მოგეხსენებათ, ჰუმუსის გარეშე გინდა გქონია მიწები და გინდა — არა, ყოველ შემთხვევაში, არსობის პურს ვერ მოიყვან ამ მიწებზე. ამ ლალიანი მიწის ფენის წარმოქმნას კი მილიონი წელი დასჭირდა, ასე რომ ბუნების წყალობის იმედით უკვე ვერ იქნები. ჰუმუსგაცლილი ფენის აღდგენას ჩვენი მეათე თაობაც ვერ შეესწრება... ამას იმიტომ ვამბობ, რომ კაშხალმშენებლობაც ასევე უპირველესი გამჩანაგებელია ჰუმუსისა, წყლით დაფარული სავარგულიც ასევე, გინდა გქონია და გინდა — არა! მართალია, ტობარჰესის ელექტროკასკადების მშენებლობისას, წინასწარი გაანგარიშებით, ვითომ ოთხმოცი ჰექტარი სავარგული მიწა იფარებაო ,მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე ერთგან, ეს გაანგარიშებანი მეტწილად არ მართლდება ხოლმე... ასეც რომ იყოს, გვაქვს კი უფლება თუნდაც ამ ოთხმოცი ჰექტარის ჩაძირვისა? მითუმეტეს სვანეთის პირობებში, რომლის მთელი ტერიტორიის 90 პროცენტი მთაგორიანია?

ლევან ჯაყელი:

— მაქსიმალისტური პოზიციებიდან თუ შევაფასებთ საქმის ვითარებას, რაღა თქმა უნდა, რომ მართალი ბრძანდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ეს არ ხერხდება. არადა, როცა კი ამის საშუალება გვეძლევა, დამერწმუნეთ, რომ ჩვენც მარჯვედ დავფაცურდებით ხოლმე. პატრიოტული მოსაზრებით, მაგალითად, ნამახვანჰესის მშენებლობის დროს გადავარჩინეთ სოფლები — ორხვი და ტვიში, ჩვენ აღვძარით საკითხი მიმდებარე კლდეების შესაძლო გადმონგრევის თაობაზე და გავიტანეთ კიდევაც. როგორც ბატონმა დემურმა მოგახსენათ, სვანეთშიაც სწორედ ეს მოსაზრება გვამოძრავებდა, ერთხელ გაკეთებულ საქმეს მეორედ რომ მივუტრიალდით და მინიმუმამდე დავიყვანეთ კაშხალების სიმაღლეები...

— იქნება ამ შემთხვევაშიაც მოხერხდეს „მაქსიმალისტობა?" მხედველობაში გვაქვს ხაიშის პრობლემა.

— ამას რა აჯობებდა, მაგრამ არის ხელის შემშლელი გარემოებანი. ზემოთაც გვქონდა ამაზე საუბარი და უკვე აღარ გავიმეორებ ნათქვამს. ერთს კი აღვნიშნავ, რომ 2005 წლამდე ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით შემუშავებული ელექტროენერგეტიკის დარგის შემდგომი განვრცობის პროგრამა მთლიანად გამომდინარეობს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროს პერსპექტიული ინტენსიფიკაციის რეალობიდან.

იმისათვის, რომ შევასრულოთ სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანები, შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ მოგვიწევს სოფლის მეურნეობის დამატებითი ელექტროფიცირება, სადაც ჩვენ დღეის მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობით ძალიან ცოტა ელექტროენერგიას ვხარჯავთ, ესე იგი, თუ გვსურს ამ დარგის ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, ეს კი გარდუვალია, რადგანაც თანამედროვე პირობებში უამისოდ სოფლის მეურნეობაში მაღალეფექტურობის მიღწევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ჩვენ დღესვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი საამისოდ. ვიტყვი, მაგალითად, რომ ჩვენში ამ სფეროში ელექტროენერგიის ხარჯვა თოთხმეტჯერ ნაკლებია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.. ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც წინ უნდა გავიხედოთ, ეს კი ხელს გვიშლის „მაქსიმალისტობაში"...

* * *

**ჯოკია ფილფანი:**

— ასე რომ სვანეთს მარტო ჰიდრომშენებლები როდი ემტერებიან, შინაური მაოხარნიც ბლომად არიან, ნუ გეშინია...

ჯოკიას სიტყვებში განგაშის ნოტები ისმის. მთელი ამ არეულ-დარეულობის გამო, ზემოთ რომ დავხატეთ — გზებისა და ჰიდროსადგურების მშენებლობებთან დაკავშირებით და საერთოდ ენგურის ხეობაში შექმნილი მდგომარეობისათვის — სტერეოტიპული შაბლონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვინმემ იფიქროს — ამ ნაწარმოების ავტორს პასუხისმგებლობის აქცენტი ადგილობრივ ხელმძღვანელობის მოუქნელობაზე გადააქვსო, მაგრამ ეს სრულებითაც არ გახლავთ მართალი. თუ კარგად ჩაუკვირ[illegible]ებით, ჯოკიას თქმისა არ იყოს, ცალკერძ შარშანდელი სტიქიური უბედურებითა და მისი შედეგებით გამოწვეულ და ასევე ენგურის ხეობის ექსპანსიით შექმნილ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, ჩვენთვის, ალბათ, ნათელი შეიქნება, თუ რატომ არიან დღეს ოდითგან დარბაისელი ბუნებითა და შინაგანი დისციპლინით განთქმული, გარემომცველ სამყაროსთან დინჯი, პარტნიორული ურთიერთდამოკიდებულების მდიდარი ტრადიციებით გაწონასწორებული ადგილობრივი მკვიდრნი შედარებით უმართავნი და თავისთავადნი, „მეკერძოვენი" თავიანთ მოქმედებასა და საქციელში, თუ რატომ გაითიშა „საერთო" აზრი და მათ მოქმედებაში მეტი ადგილი დაიკავა „სათავისომ", პირადულმა, „ჩვენის" მაგიერ იძალა „მეს" პოლიტიკამ...

— ზოგს უკვე არც ეეჭვება, რომ სვანეთის დღეები დათვლილია, ისინი ამბობენ, ერთმა ენგურჰესმა ამდენი უბედურება დაატრიალა და ორი ენგურჰესი ხომ მთლად სიქას გააცლის აქაურობასო... — აგრძელებს ჯოკია, — ყველა ცოდვა ენგურჰესს აჰკიდეს, და ვერც ვერავინ გადაარწმუნებთ, რომ საგუბარი აქ არაფერ შუაშია, მართლებიც არიან, ალბათ. მოგეხსენებათ, „შიშს დიდი თვალე[illegible] ნელს, მაგალითად, პეპლები მომრავლდა სვანეთში, უფრო სწორად, ფარვანები, ამდენი პეპელა მართლაც არავის ახსოვს. ხალხი ამბობს — დიდთოვლიანობის მაუწყებელიაო... მთელი ზაფხულ-გაზაფხული სულ წვიმდა, ამასაც საგუბარს უკავშირებენ, საინტერესოა ხალხის დაკვირვება. ამ ბოლო დროს ხშირად ამბობენ ხოლმე — ასეთი თავსხმა წვიმები ადრე არ იცოდა ჩვენში, ზღვაზე გეგონება თავიო... — ამბობენ და მართალიცაა. ამ ბოლო დროს ღამით საწოლის თავზე პერანგი რომ გადაჰკიდო დილით ნესტიანი დაგხვდება. სვანეთი კი ოდითგან მშრალი კლიმატით იყო ცნობილი. იქნება ეს საერთო ხასიათის მოვლენათაგანია. ბუნება მუდამ განიცდიდა ცვალებადობას და მით უფრო ინტენსიური გახდა ეს პროცესი ამჟამად. მაგრამ ისიც არ არის გამორიცხული, რომ ეს მოვლენა ადგილობრივი, რეგიონალური ხასიათისა იყოს — ენგურჰესის წყალსაცავიდან მომდინარეობდეს, ამიტომაც ამ ხალხს ისე ადვილად ვერ გაამტყუნებ და შეედავები... ახლა ღმერთმა ნუ ქნას და ხუდონჰესიც თუ ჩააყენეს მწყობრში და ენგურჰესის ქვაბულში შავი ზღვისა და ენგურჰესიდან ამოზეკილ ტენს აქაურიც ნაეშველა, რა დღეში ჩაცვივა აქაურობა?, მართლაც, საინტერესოა, დაფიქრებულა ვინმე, რა საბედისწერო დისბალანსს, კლიმატურ მეტამორფოზას გამოიწვევს ყოველივე ეს?

მართლაც, მეტად დამაფიქრებელია ბატონ ჯოკიას სიტყვები და ჩვენი შინაგანი მრისხანება, როგორც ცივი წყლის ჭავლი, კვლავ ტექნიკური ინტელიგენციისაკენ ორიენტირდება. მაგრამ მაინც ვერ ვიქნებით ბოლომდე ობიექტური, თუკი ჩვენს ტექნოკრატებს ერთბაშად დავატყდებით თავს, ანათემას მივცემთ ამ პროექტების შემოქმედთ, რადგანაც მათაც ექნებათ გასამართლებელი საბუთი, ფსიქოლოგიური წანამძღვარი, ობიექტური საფუძველი თავიანთი საქმიანობის გასამართლებლად: ასეთმა წამიერმა ეჭვმაც კი, თითოეული ჩვენგანი უნდა ჩააფიქროს იმ ელემენტარულ, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი საზრისის მიერ მიჩქმალულ და იგნორირებულ ჭეშმარიტებაზე, რომ ძალიან ცოტას ნიშნავს მარტოოდენ ადამიანის ნიჭიერება და ინფორმაციულობა, თუკი თვით პიროვნება თავისი მისწრაფებებით მომხმარებელი და პრაგმატისტია, რომ ერთობ ცოტაა პროფესიონალიზმი ყველა საქმეში, თუკი გული არ გულობს და პირად მოქალაქეობრივი და მამულიშვილური საწყისები გათიშულია, თუკი სამშობლოს ხატის ცნება უცხო გამხდარა: თანამედროვე ტექნოკრატი იქნება ეს თუ ხელოვნების წარმომადგენელი, ექიმი თუ მწერალი, ვინც

გინდა იყოს, უამპირობოდ მის ნალვაწს, საბოლოო ჯამში, ხეირი არ გამოსდინდება. მაგრამ, მე მგონია, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ეკელოგიისათვის მეტად დიდი ზიანის მოტანა ძალუძთ ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის მავან „უგულო“ წარმომადგენლებს თანამედროვე განვითარებული სამრეწველო ინდუსტრიის პირობებში; ყველაზე დიდი კაპიტალდაბანდებები ხომ ამ სფეროში გვაქვს, ძვირადღირებული ობიექტების მშენებლობებზე, ბუნებრივია, ანაზღაურებაც შესაბამისად გვარიანია, ხოლო ეკონომიკური სტიმულირება, რასაც მოკლებულია ჩვენი ყოფიერების მრავალი სფერო, ადამიანებში აღძრავს, რაღა თქმა უნდა, სასიკეთოსაც, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში, სამწუხაროდ, როგორც ეს მრავალგზის დადასტურდა, კოლოსალურ ბრმა, დამანგრეველ ენერგიასაც. ასეთი გრანდიოზული ობიექტების რიცხვს განეკუთვნება ელექტროსადგურებისა და კაშხალთ მშენებლობა, გზებისა და რკინიგზის მაგისტრალების გაყვანა და მრავალი სხვა... ეს ე. წ. „ბრმა ენთუზიაზმი“ იმაზე როდი, „ფიქრობს“, თუ რა შედეგს მოუტანს ადამიანებს, მთელს საზოგადოებას (იმიტომაც ვუწოდეთ მას „ბრმა ენთუზიაზმი“), იგი გაბრუებულია სარფით, მსუყე ლუკმით და იმ ლუჰელი მელაღუმეებივით აღარ დაგიდევს რამდენიმე ათეული წლის მერე არალის ზღვა თუ სულაც ფეხს „გაფშიკავს“, ახალი ჩერნობილი აფეთქდება, ბაიკალი გაბინძურდება, ვოლგა მოიწამლება, ტაჯიკეთის მაღალმთიანეთში წყალსაცავები გაინგრევა და სოფლებს წალეკავს, ბელორუსიის, უკრაინისა და მოლდავეთის ქარხნებიდან ჩამდინარე შხამქიმიკატებით ტბებში თევზი ერთიან ამოიხოცება და სახელმწიფოს ამ უგუნურების წყალობით ათობით მილიონი ზარალი მიადგება. დამპროექტებელი — აპროექტებს, მშენებელი — აშენებს, ისინი ითვისებენ ფულს, მილიარდობით მანეთს, გეგმიური ხარჯთაღრიცხვით რომ არის გათვალისწინებული. „ხვალისა კი ხვალემ იკითხოსო“...

მაგრამ, საბედნიეროდ, როგორც იქნა, დავგაიმედეს, რომ ასეთ განუკითხაობას თანდათან ბოლო უნდა მოეღოს. დემოკრატიზაცია და გარდაქმნა, საჯაროობა გვპირდება ამას, ოღონდ სკეპსისიც იქვეა ჩადარაჯებული. სვანეთის მაგალითზე ჯერ კიდევ შორსა ვართ, ნამდვილს რომ თავი გავანებოთ, ელემენტარული საჯაროობისა და დემოკრატიისაგანაც კი, რაც იმაში გამოიხატება, რომ აქაურმა მოსახლეობამ ჯერაც არაფერი იცის საქმის რეალური ვითარების შესახებ, მათთვის არც ადრე უკითხავთ ამ მშენებლობათა მიზანშეწონილობის თაობაზე.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი საზოგადოებრიობა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბევრს ეცადა იმისათვის, რომ დროებით მაინც შეჩერებულიყო ხუდონჰესზე მშენებლობის სამუშაოები, თუნდაც მანამდე ვიდრე შესაბამისი სამეცნიერო ინსტიტუტები საგუბარის გარემოზე ზემოქმედების დამატებით პროგნოზირებას ჩაატარებდნენ, მაგრამ როგორ უკვე ითქვა ამის თაობაზე, ზუგდიდის საარჩევნო ოლქიდან საქართველოს სსრ რესპუბლიკის დეპუტატის, ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის, ამხ. მიხეილ ცისკარიშვილის მოხსენებამ სსრკ უმაღლესი საბჭოს ახლახან ჩატარებულ სესიაზე კვლავ გადაგვიწურა იმედი ხუდონჰესის გაუქმებისა.

ამ მოხსენებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „დღეს ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავებით რესპუბლიკა თითქმის ორჯერ ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს, მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვს რესპუბლიკას ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის მოხმარების დონის მიხედვითაც. მომავალ შემოდგომაზე — ზამთრის პერიოდში, როცა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ენერგოსისტემაში ენერგიის მოხმარება მაქსიმუმს მიაღწევს, მოსალოდნელია, რომ სიმძლავრის დეფიციტი შეადგენს, დაახლოებით, მილიონ კილოვატს, ელექტროენერგიისა კი, დაახლოებით, 2 მილიარდ კილოვატ საათს.

ამავე დროს მდინარეების ჰიდროენერგორესურსებს მხოლოდ 12-14 პროცენტით ვიყენებთ. შედარებისათვის მოგახსენებთ, რომ სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 50, დასავლეთის ცალკეულ განვითარებულ ქვეყნებში კი 80 პროცენტს აღწევს. არადა, უნდა ვიფიქროთ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა უახლოეს დროში გაუარესდება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსალოდნელია სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერება. იმ მიზნით, რომ სსრკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად წარმატებით გადავჭრათ მტკიცე ენერგომომარაგებასა და ელექტროენარგიაზე მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხები, დამტკიცდა 1986-1990 წლებში და ორას წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკის განვითარების ორმხრივი ღონისძიებანი. ვთხოვთ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განიხილონ რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, მრავალი დებულება, რომლებიც ელიან გადაწყვეტას...“ — ასკვნის ბოლოს ჩვენი დეპუტატი. ასე რომ ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგმა ცისკარიშვილმა, სამწუხაროდ, ერთიან გაანელა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული „მორატორიუმით“ გამოწვეული სიხარული — ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერებას რომ ეხებოდა, ამ მოხსენებამ, როგორც ზემოთაც ითქვა, სულში სკეპსისი ჩაუსახლა ადამიანებს, გააძლიერა შიში ჩვენი ტექნოკრატების აღებული კურსის შეუქცევადობისადმი...

* * *

— ეს ხომ იგივეა, ყაჩაღი რომ სახლში შემოგივარდეს და შენს თვალწინ ნალოლიავები საქონელი დაგიკლას, ანდა ვინმემ საფუარი გაგიბინძუროს.—განაგრძობს საუბარს ჯოკია. — თუ კი ასე აუცილებელი იყო მთავრობისათვის აქ ელექტროსადგურის მშენებლობა, სხვას რომ ყველაფერს შევეშვათ, გზა მაინც არ უნდა დაეგრძელებინათ, ის კი არა, გვირაბის გაყვანაც რომ დასჭირვებოდათ, იმაზეც არ უნდა დაეხიათ უკან;

არა და ნათქვამია — „მომციას მიმცია უნდაო“, ერთს რომ ართმევ რამეს, მეორით მაინც შეეცადე კომპენსირებას, მაშინ ხალხიც უფრო განეწყობოდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, გულთან მიიტანდა ჩანაფიქრს: ეს იქნებოდა პარტნიორული, თანასწორუფლებიანი დამოკიდებულება კაშხალთმშენებლობის მესვეურთა და საზოგადოებას შორის, ეს იქნებოდა მშენებლების მიერ მოსახლეობის ინტერესების ძირეული აღიარება და პატივისცემა...

ჯოკიას მოსაზრებამ ერთი შემთხვევა გამახსენა, თუ რა დონეზე ახორციელებენ ხალხთან, საზოგადოებასთან ამ პარტნიორული, გულშემატკივრული დამოკიდებულების პრინციპებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში:

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ადგილობრივმა მრეწველობამ გეგმით გათვალისწინებულს ათასი მსუბუქი მანქანა დააკლო. რიგში მომლოდინენი, ანუ, როგორც მათ ამ დროს შეარქვეს — „უილბლო მოქალაქენი“, საბოლოოდ, რომ არ გაეწბილებინათ, ქვეყნის მთავრობამ, პირველად დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, იაპონიიდან შეიძინა ამდენივე პირველხარისხოვანი მსუბუქი მანქანა — ვალუტაზე და სამამულო მცირეძალოვანი „ფოლცვაგენის“ საფასურში ესე იგი, გაცილებით იაფად მიჰყიდა მათ. ასე მოულოდნელად იქცნენ გუშინდელი „უილბლონი“ — „ბედნიერებად“. ამჟამად სწორედ არც მეტი და არც ნაკლები, ის ათასი იაპონური მანქანა დაჰქრის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქუჩებში. და დააქროლებენ როგორც ხალხმა უწოდა მათ მფლობელებს სწორედ ის—„უილბლო ბედნიერები“.

მართალია, სახელმწიფომ გარკვეული ზარალი ნახა ამ აქციიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, მან მოიპოვა კოლოსალური იდეოლოგიური უკუგება, რაც გამოილო ჰუმანურმა, მართლაც საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვით განმსჭვალულმა ღონისძიებამ. ადამიანებმა ირწმუნეს ერთიანობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებისა.

სვანეთის მაგალითზე კი სად იგრძნობა ინტერესების ასეთი თანხვდომა? ვინ დაიჯერებს იმას, რომ შესაბამისმა სამეცნიერო დაწესებულებებმა, ვისაც ევალებოდა წყალსაცავების გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სათანადო შესწავლა და პროგნოზირება, ვერა და ვერ გაივარაუდეს, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს „სვანურმა ატლანტიდამ“ ჩვენი რესპუბლიკისათვის და, საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციის თვალსაზრისით? სვანეთი ბუნებისაგან საკმარისად შემკულია, მთიელებმაც სათანადო ხელთუქმნელი შტრიხები შეჰმატეს მის ბუნებრივ პანორამას და სწორედ ეს უნიკალური სიმბიოზი ხელოვნურისა და ბუნებრივისა იზიდავს ამ კუთხეში მთელი მსოფლიოს ადამიანებს.

ეს განუმეორებლობა, წარსულისა და თანამედროვეობის თანამეზობლობა აინტერესებთ მათ. ხიბლავთ ისტორიული — ეთნოგრაფიული რეალიების ცხოველმყოფელობა, რაც შემოინახა ამ კუთხემ ცოცხალ ყოფაში და რითაც სვანეთი განსხვავდება არამარტო საქართველოს სხვა მხარეებისაგან, არამედ ამ თვალსაზრისით შეიძლება მსოფლიოშიაც არ მოიძებნებოდეს ანალოგი.

ახლა კი რა გამოდის? ფაქტიურად ეს უნიკალური მხარე, თუ შეიძლება ასე ითქვას, წყალში უნდა ჩავახრჩოთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; მართლაცდა, თუკი გადავაგვარეთ კლიმატი, ზვავებისა და მეწყერების სათარეშოდ ვაქციეთ აქაურობა, ცალკერძ კიდევ წყლით დავფარეთ სანთლით საძებარი მდინარისპირა მცირე ჭალაკები და ერთი ბეწო სახნავები, მართლაც და რა ილონოს, კოდალებივით ქარაფებზე ხომ არ დაეკიდება ადგილობრივი მოსახლეობა? ანდა ყველა მთამსვლელის წრიაპს ხომ არ ჩაიცვამს, რომ თავის საშველად კლდეებს აებლატოს?

გამოუვალი წრედი იქმნება, ხალხს თითქოს მეთოდურად აიძულებენ გადასახლდნენ მამაპაპური ადგილებიდან, პირიც აართვეს უკვე — ბალსქვედა მსუყე სოფლებიდან — ხაიშიდან, იდლიანიდან მრავალი ოჯახი ბარის გზას გაუყენეს; არავინ არაფერს ამბობს სტიქიური უბედურების შედეგად გადასახლებულებზე, პირიქით, დაზარალებულნი ყველანი მადლიერნი არიან სახელმწიფოსი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც დიდი ზრუნვისათვის, მათ მიმართ რომ გამოიჩინეს.

ეს იყო გარემო პირობებისაგან გამომდინარე იძულებითი გადასახლება, მაგრამ სულ სხვაა სოფლების აყრა ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით. ეს ორი სხვადასხვა მნიშვნელობის აქციაა და ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეს უკანასკნელი განსაცდელი, თითქოს ადამიანი და ბუნება ერთმანეთს დაეჯიბრა სვანეთის რბევასა და იავარქმნაში, რაც ერთმა დააკლო, მეორე უსრულებს, ქვემოდან მოჰყვებიან და თუკი ხალხმა არ ალიმაღლა ხმა, რაიმე ზიანის მიუყენებლად, ალბათ, ერთ სოფელსაც არ დატოვებენ;

შევიწროვება გრძელდება, მოსახლეობა უკან იხევს, ჯერ კიდევ სახსარი გააჩნია ხეობას, მალე კი რაიონი განახევრდება ტერიტორიულადაც, სავარგულების რაოდენობითაც, რა ილონოს აქაურმა კაცმა?

მართლაც მთებსა და მყინვარებს მიაშუროს?

* * *

**შამში გურჩიანი** — დამსახურებული ინჟინერი:

— ხაიში მესტიის რაიონისათვის სიმბოლური ჭიშკარი გახლავთ. აბა, წარმოიდგინეთ ახლა ეზო-კარი უჭიშკროდ, შენობა — უკაროდ. ამავე დროს იგი ყველაზე დიდი სოფელია სვანეთში. და არა მხოლოდ ფიზიკური განზომილებით, არამედ — ცხოველუნარიანობითაც. ხალხის აყრა კი თურქების შემოსევას ჰგავს. მაგრამ მტარვალთა თარეში აქ არავის ახსოვს, მხოლოდ ლეგენდებმა შემოინახა ეს ამბავი და მაშინაც კუდამოძუებულნი გააქციეს ჩვენმა წინაპრებმა.

ამბობენ — სვანეთის ლაშქარს ღამით ცერეცო მოუბნევია ენგურის რიყეზე, დილით კი გასულა ხეობაში და ცერეცოს შექცევია, საომრად გამზადებულ მრავალრიცხოვან მტრის ურდოს თავზარი დასცემია ამის დანახვაზე — ეგენი ქვასა ჭამენ და ჩვენ რა დღეს დაგვაყრიანო და კუდამოძუებული გაქცეულა. ახლა გზად ჩასაფრებულ სვანებს ფერცხალებიდან მორების საგორავებლები დაუშვიათ და სულ გაუწყვეტიათ მომხვდურნი.

ასე გვამცნობს ლეგენდა და რა უფლება გვაქვს, რომ არ ვერწმუნოთ მას, თუნდაც ნაწილობრივ მაინც. მისი შინაარსიდან ჩანს სვანების მოხერხებულობა და ასევე მამაცობაც, რა თქმა უნდა. მაგრამ ნუთუ ეს საზრიანობა და მამაცობა დაკარგა და ბოლო მისხამდე გახარჯა ჩვენმა ხალხმა? ყოველ შემთხვევაში, ასეთი კითხვა იბადება დღეს, რადგანაც კარს მომდგარი საშიშროებისათვის ველარაფერი მოგვიხერხებია, ვერაფერი გვილონია მის დასათრგუნავად, უბედურების თავიდან ასაცილებლად.

სად მოვაბნიოთ მუხუდო, ანდა ვის დავუშინოთ ლოდები და საგორავებლები, როცა მთელი ეს საჭირველი შემოსეული გარეშე მტრისაგან კი არა, ჩვენივე სისხლხორცისაგან გვმართებს, თანაც ვითომ ჩვენდავე საკეთილდღეოდ? დაბნეულებმა აღარ ვიცით, რა გზას დავადგეთ, რა ვილონოთ.

ამ მოჩვენებითმა სამოყვრო-საკეთილდღეო ბანგმა ერთიან მოგვასოდომა ყველანი. ახლა ჩვენი იმედების ბოლო ნავთსაყუდელი საზოგადოებრივი აზრია, მთელი ერის გულშემატკივრობაა, მხოლოდ ამ საერთო ძალისხმევას შეუძლია იხსნას ხაიში ჩაძირვისაგან. იხსნას სვანეთი დასაჭურისებისაგან.

საბედნიეროდ, ჩვენმა ხალხმა თანდათან გაიხსენა საარსებო მიწის ყადრი. მართლაცდა, ისედაც მცირემიწიან და უცხო თესლით აჭრელებულ საქართველოს ვინ მისცა იმისr უფლება, რომ სისხლსავსე, წმინდა სოფლებr წყალქვეშ დამარხოს? მერედა, რა მოსაზრებით?

განა არსებობს ქვეყნის ბედილბალსა და მის მომავალზე მაღალი ინტერესი, ხალხის ბედილბალზე წმინდა და ამაღლებული მიზანი?

* * *

**ავტორი:**

— ბატონო ჯოკია, ამბობენ, ქვემო სვანეთიდან ოცდაოთხ კილომეტრიანი გვირაბი უნდა გაითხაროს და სამანქანო გზა ქუთაისი-ლენტეხის გამოვლით, მესტიაში უნდა შემოვიდესო. თქვენ რას იტყვით ამის თაობაზე?

**ჯოკია ფილფანი:**

— მგონი ესეც მორიგი ჭორია, ანდა ხალხის გულისთქმაში გამოხატული სურვილი. მეტსაც გეტყვით, მოგეხსენებათ, ადამიანი თადარიგიანია, იქნება ქვემო სვანეთის გავლით ამ არარსებული გვირაბებით აქედან გასაქცევს ინიშნავენ?...

მართლაც, ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით საგზაო მიმოსვლის საკითხი მეტად გართულებულია, გაჭირვების ჟამს, ასე ვთქვათ, საავარიო გასასვლელი, უკანასკნელი გასაქცევი ხომ სჭირდებათ ადამიანებს, რაიონს. მართალია, აეროდრომსაც აფართოებენ დიდი თვითმფრინავებისათვის, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ჯერ კიდევ გვარიანი დრო დასჭირდება ამ სამუშაოების დამთავრებასა და სვანეთისათვის გათვალისწინებული ორძრავიანი თვითმფრინავის ექსპლოატაციაში შეყვანასო.

არადა მარტო ფრენის იმედად ჩვენებური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამინდების პირობებში მტერი იყოს... ჰო, ახლა ეს ახალი ვერსია შეთხზა ხალხმა — სამანქანო გზა მესტიიდან კალამდე, იქიდან კი გვირაბის გავლით ცხენისწყლის ხეობაში, სოფელ ხოფურამდე, მერე ხოფური-ლენტეხი-წყალტუბო და ქუთაისი. მართლაც, დიდებული რამ იქნება — თბილისისაკენ და საერთოდაც იმერეთისაკენ ორას კილომეტრამდე შემოკლდება გზა, თანაც, ვაჟასი არ იყოს „გზას ვამბობ, თორე რა გზაა." გზასაც გაჩნია; როგორც იცით, სულ პირჯვრისწერით სავალი გზებია. მოგეხსენებათ, ქვემო სვანეთის გზები გაცილებით მშვიდობიანია ჩვენებურთან შედარებით...

როგორც ხედავთ, ქვემოსვანური გვირაბის ვარიანტში „გაქცევის მოტივი" ირეკლება, და ეს გრძნობა მოსახლეობის ყველა ფენებში თავისებურად დომინირებს, ერთნი უნიათობას მოუცავთ, მეორენი ზოგადი, გაუცნობიერებელი საყვედურით გამსჭვალულან, მესამენი კი ამღვრეულ მდინარებაში გახელებულნი დგაფუნობენ და საკმაოდ მარჯვედაც... ხელაობენ...

ქილიკი კაცისაგან გაიგონებთ ხოლმე — ზოგიერთი სქელკანიანისათვის სტიქიური უბედურება, ლამის, ბედნიერებად ქცეულაო... ამგვარი მოარული ხმების აყოლა, მოგეხსენებათ, მეტად საორჭოფო საქმე გახლავთ. საყოველთაო გაჭირვების ჟამს მავანი ჩინოვნიკის ვითომ ბედნიერებაზე ლაპარაკიც გაზვიადებული ჩანდა... ჩემთვის ისედაც ნათელი იყო, რომ შესაძლოა, ამ ორომტრიალში ვინმეს ხელიც მოეთბო. ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ მთავრობის მხრიდან რაიონის მოსახლეობისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას, ასევე ჩვენი საგეგმო, საფინანსო და საქველმოქმედო ორგანიზაციების ხელგაშლილობას, როგორც ეს ყველა შემთხვევაშია მოსალოდნელი, ალბათ, ვილაცა სათავისოდაც გამოიყენებდა, რაც გლეხობის ბუზღუნიდანაც ირკვეოდა. არც ის იყო გამორიცხული, რომ დაზარალებულთათვის განკუთვნილ კომპენსაციებს მთელი სისრულით ვერ მიელწიათ მოსახლეობის ულარიბეს ფენებამდე, ანდა ძალიან დაგვიანებით მიელოთ იგი. ჩვენს სინამდვილეში მსგავსი ფორმალიზმი და ხელის მოთბობის პრაქტიკა თანმდევი მოვლენა იყო ანალოგიური კამპანიებისათვის და რალა ეს იქნებოდა გამონაკლისი, მაგრამ მიუხედავად შემაშფოთებელი ალბათობებისა თავისი არსით გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად და საგანგაშოდ გვეჩვენებოდა ამ ჟრიამულში გამჟღავნებული ვირუსულ ეპიდემიასავით დამთრგუნველი და გადამდები ზოგადრაიონული მძიმე სულიერ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, თითქოს ფუტკრის სკას სამკურნალო გოგირდის ნაცვლად მხრჩოლავი გაზი შეუბოლესო.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა დროს ბარში საცხოვრებლად მრავლად გადავიდნენ ისეთი ოჯახებიც, რომელთაც სტიქიური უბედურება უშუალოდ არ შეხებიათ. ამ კატეგორიის წარმომადგენლებს როცა შევეკითხებოდი ხოლმე — რამ გაიძულათ ასეთი გადაწყვეტილების მიღება-მეთქი, ისინი შეთანხმებულივით ერთსა და იმავეს მპასუხობდნენ — უნუგეშო მდგომარეობამო.

მართლაცდა, აქაური გლეხი დლე და ღამეს შრომაში ასწორებს, დღენიადაგ ტყე-ღრეში ეგლება, ას პირ ტყავს იძრობს, მაგრამ კიდობანები მაინც ცარიელი უდგას, უკეთეს შემთხვევაშიაც კი ჯალაბის დაპურებასა და უბრალო ჩაცმა-დახურვას ძლივს აუდის; ამ უნუგეშო მდგომარეობას, ასე თუ ისე, ძველთაგანვე შეგუებულია აქაური კაცი, და საბანს ისე იხურავს, როგორცა სწვდება, მაგრამ წარმოვიდგინოთ ექსტრემალური ვითარება, რალაც გასაჭირი, ანდა უეცარი უბედურება, რომელიც აქ ხშირია ხოლმე, როცა შექმნილი მდგომარეობა აუცილებელ დამატებით ხარჯებს ითხოვს ოჯახისაგან — ეს არის, მაგალითად, ბავშვის ავადობა და რალა მარტო ბავშვისა, შესაძლოა სულაც ოჯახის მარჩენალისა, ანდა, ჩვენ მტერს, საგზაო, გნებავთ, თვითმფრინავის ავარიები, ეს არის სიკვდილიანობა, დაკრძალვის უშველებელი ხარჯები, ბარში რომ სამმაგად ნაზღაურდება, აქ კი შეძლებულ ოჯახსაც კი წყვეტს წელში. ეს არის თუნდაც ჯარში არაერთგზისი გამოძახება ოჯახის უფროსისა, ამ ბოლო დროს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში კატასტროფულად მოხშირებული სხვადასხვა უსიამო ინციდენტების გამო, რაც გვარიან თანხებთან არის დაკავშირებული, მითუმეტეს, თუკი შვილი სადმე შორეულ კუთხეში მსახურობს, ბუნებრივია, ამ დროს საგზაო-სამიმოსვლო ხარჯები მექანიკურად და პროპორციულად იზრდება და ბოლოს ეს არის სწავლების ქირა, რაც ჩვენს სახელმწიფოში ოფიციალურად უფასოა, მაგრამ აბა ერთი სცადე და მოუმზადებლად, ურეპეტიტოროდ და დახმარებისა და ნაცნობის გარეშე სცადე რომელიმე პრესტიჟულ, გინდაც სპეციალურ სასწავლებელში მისი მოწყობა, სადაც მიუხედავად პარტიისა და მთავრობის ათასი დადგენილება-აკრძალვისა და უმკაცრესი ღონისძიებების გატარებისა, ნაწილი ადგილებისა მაინც წინასწარ არის დაჯავშნული...

ეს ჯარიც, სწავლაც და ბევრი სხვა რამე ამ კატეგორიის ოჯახებისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით ზედმეტი ბარგი გამხდარა, მაგრამ სწავლა-განათლებისადმი ლტოლვა იმდენად დიდია, რომ უკანასკნელ ლუკმასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი გაილებენ, ოღონდაც საწადელს ეწიონ...

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური ვაჟკაცობის სკოლად ესახებოდათ სვანეთში. კარგად მახსოვს, აქაურ ახალგაზრდობას ჯარში წასვლა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, ნატრობდნენ ხოლმე, როდის მოგვეცემა საშუალება ქვეყნიერებას თვალი გადავავლოთ, დიდი ცხოვრება ვიხილოთო; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო ძველად, ამ ბოლო დროს კი ჯარისკაცური ცხოვრება სულ შეიცვალა, უსულგულო მოვალეობად იქცა თუ აქციეს სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკებმა და წმინდათაწმინდა მოვალეობა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა ამის თაობაზე ავადმოსაგონარ კანტორობასავით უსიამო განსაცდელად იქცა ოჯახისათვის, რომელიც შვილებს ორი წლით აგზავნის სამშობლოს სადარაჯოზე და ალარაფერს ნაღვლობს, ოღონდაც ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს. მაგრამ მეტწილ შემთხვევაში, ეს ორი წელი და არა მარტო ორი, ხშირად სამი და ოთხიც კი, ტრაგედიად, უბედურებად, აუნაზღაურებელ ზარალად ექცევათ ხოლმე ყოვლად უდანაშაულო მშობლებს.

თავს ზევით კი ძალა აღარაა — უჭირთ, უჭირთ მშობლებს, ყველაფერი კი ძველებურად გრძელდება, შვილები წამხედურობით კვლავ რეპეტიტორებთან დაიარებიან, სწავლა-განათლებას ესწრაფვიან, სავალდებულო-სამხედრო სამსახურში კი ჩხუბსა და აყალ-მაყალს არ იშლიან, საგზაო ავარიების რიცხვიც მატულობს, სხვადასხვა ხარჯები იზრდება, შემოსავალი კი ერთ ადგილზეა გაყინული.

ყველაფერი ეს ერთ პრიზმაში იყრის თავს — ადამიანს, პატიოსან გლეხს მრავალ საფიქრალსა და საზრუნავს უჩენს, საგონებელში აგდებს, ამდენ დარდს სასტიკ დასკვნამდე მიჰყავს, ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელ, ალბათ, ყველაზე ძნელ გადაწყვეტილებას იღებს — ამ კლდე-ღრეებს როდემდე შევცქირო, საბედისწერო გზებზეც სულ პირჯვრისწერით როდემდე ვიარო და იოანე ბერივით იტყვის — წარვიდე მეც იქ, სადაც წარვიდნენ ჩვენი წინაპრებიო, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა „სპანიად" არამედ — საქართველოს ბარშიო.

ოღონდ კი ამისი საშუალება მიეცეს და იგი მიდის ამ მყინვარების ქვეყნიდან, მზად არის უდაბნოშიც კი გადაიხვეწოს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აკი სვანების ერთი ნაწილი მართლა საგარეჯოს რაიონის სოფელ „უდაბნოში" გადასახლდა!

მაგრამ მარტო ზემოთჩამოთვლილი მიზეზები როდი ალავსებენ მათ მოთმინებას — მრავალი ადგილობრივი ხასიათის წვრილმან-მსხვილმანი ფაქტორიც ემატება ყოველივე ამას, ეს არის დაუსაქმებლობა, ბაზარში გამეფებული სიძვირე, პროდუქტითა თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით მოუმარაგებლობა რაიონისა. ყველაფერზე ზუგდიდსა და ქუთაისში სიარული და იქიდან ზიდვა. უბენზინობა, უამინდობით გამოწვეული აეროპორტის უმოქმედობა...

* * *

**გერმან გუჯეჯიანი** — ხუდონჰესის მუშა:

— სიმართლე გითხრათ, უხერხულობის გრძნობა მეუფლება ამ გაუთავებელი წუწუნის გამო, რადგანაც მწარეა შეგრძნება იმისა, რომ იმ ურჩხულის შექმნაში ვმონაწილეობ, რომელმაც ბოლოს მეც უნდა მომიღოს ბოლო, ზღაპრული გველეშაპივით გადაგვსანსლოს და შეგვახრამუნოს ყველანი, მაგრამ არსებობის ინსტინქტი თავისას აკეთებს, მით უფრო, რომ ჩემი პროტესტითა და ხუდონჰესის მშენებლობიდან წამოსვლითაც კი საქმეს არაფერი ეშველება, ხოლო ერთიანი გულშემატკივრული განწყობილება და საერთო აზრი ამ მშენებლობის გარშემო ხუდონჰესის მუშებსა და საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალს შორის არ არსებობს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩვენებურები ამ ობიექტზე ნაკლებად არიან დასაქმებულნი, ხოლო შორით მოსულებს ჩვენი სადარდებელი გულთან ნაკლებად მიაქვთ. ხეობის ტანში ბეტონს რომ ვასხამთ, თითქოს ცოცხლად ვაბალზამებთ იქაურობასო, სინამდვილეში ასეც არის. სასოწარკვეთილებასა და ურწმუნობას მთელი არსებით მოუცავს ჩვენი გონსაწიერი და დღე და ღამე მოსვენებას არ გვაძლევს. უკვე აღარ გვჯერა მრავალი დაპირებისა, მრავალი დეკლარაციისა, კონსტიტუციური და სამართლებრივი უფლებებისა, რადიოსი, ტელევიზიისა და პრესისა, სადაც ყველგან ერთხმად გაიძახიან — „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდო!" — გაიძახიან და თვალებში ნაცარს გაყრიან, ნაცარი კი, მოგეხსენებათ, მწარე და მტკივნეულია, თვალისჩინი თუ დაკარგა ადამიანმა, მალე იმას ჯანმრთელობა და სულის მხნეობაც მიჰყვება. ესე იგი, დაცარიელდება აქაურობა და უყურე მერე ამ კლდე-ღრეებს, რამდენიც გინდა! იქნება ვიღაცას ხელს აძლევს სვანეთის გაუქმება? იქნებ ჩვენშიაც არსებობენ ასეთი ძალები? თვითონ კი რა ენაღვლებათ, გაიბრდღვიალებენ ჭაღებს სასახლეებში, ჩამოსკუპდებიან რბილ სავარძლებში, ტელევიზორებთან თუ ბუხართან ყავასა და კონიაკებს მოწრუპავენ, ასე ნებიერობასა და ლაღობაში მოჭამენ თავიანთ წუთისოფელს — იქნება ვაჭარბებ კიდევაც, მაგრამ თუკი ის ლოზუნგები მართალია, მაშ ჩვენ, რა, გამოდის, ხალხი არა ვყოფილვართ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ არი... ყველაფერი ხალხისთვისაო და ვითომ რომელი ხალხისთვის? ოთხიათასი ხაიშელის გამოკლებით მთელი დანარჩენი კაცობრიობისათვის? ოთხიათასი ხაიშელისა და მათი შთამომავლობის გამოკლებით მთელი დანარჩენი საბჭოთა კავშირის, გნებავთ, საქართველოსათვის? ასეთი იწილო-ბიწილო გაგონილა? რაღაც არ მოგვწონს ასეთი ლოზუნგები, თუ კარგია, თავისთვის შეინახონ, ვინც არ უნდა იყოს!...

არ იფიქროთ, რაიმე პირადი ინტერესები მალაპარაკებდეს. ხაიშში სულ სამოცდაცამეტი გვარია წარმოდგენილი და იმათი სახელითაც გამოვდივარ. მეტსაც გეტყვით ხაიშელებზე — ჩვენს სასოფლო საბჭოდან ჯერ მსჯავრდადებული არა ყოფილა. მომხმარებლური და უდიერი დამოკიდებულება ჩვენდამი წვრილმანებიდანაც კი ჩანს, აი, მაგალითად, ხუდონჰესი რომ დაარქვეს ხაიშთან მშენებარე ელექტროსადგურს, იცით, რომ ხუდონი აქედან ოცდახუთ კილომეტრზე, ჯვართან ახლოს მდებარეობს? ენგურჰესის ქვემოთაა, ასე რომ სად ხაიში და სად — ხუდონი!.. მართლაც ყველაფერი ჩაწყობით როგორაა ამ ქვეყანაზე. ამ ჰესს კი, ხაიშის მისადგომებთან რომ უნდა აშენდეს და სოფელიც შეიწიროს, სვანური სახელიც კი დაამადლეს მისმა „ნათლიმირონებმა".

მართალი იყო პატივცემული აგრეტ ფილფანი, როცა აღნიშნა, რომ ჩვენ აინუნშიაც არ ჩავუგდივართ, უცერემონიოდ მოგვექცნენ, ვითომც არც ვარსებულვართ. იცოდნენ, ხმა რომ ამოგვეღო, ძალით დაგვეთანხმებდნენ, ისეთი განუკითხაობის ხანა იყო. ასეც მოხდა, ჩვენი უფლებები ვერ დავიცავით. მაგრამ ნუთუ იმ ხალხს კაცობის ნატამალი არ შემორჩა და ახლა მაინც აღარ აწუხებს სინდისის ქენჯნა? ხალხის აბუჩად აგდება ხომ, საბოლოო ჯამში, მავნებლობაა, ქვეყნის ღალატია?

* * *

კაშხალმშენებლობებთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვის თქმა ვთხოვეთ ამ კუთხის სახელოვან წარმომადგენელს აკადემიკოს თენგიზ ონიანს, სვანეთში საგანგებო მისიით მოვლინებული დელეგაციის ხელმძღვანელს.

ბატონმა თენგიზმა თქვა: წუთით ეკოლოგიური თვალსაზრისითაც შევაფასოთ ენგურის აუზში შექმნილი ვითარება, რამდენი კუბმეტრი ბუნებრივი მერქანი გაიჩეხა და ჩაიყარა წყალში ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რამდენი მომავალში განიავდება და გაიჩეხება ახალი ჰესებისა თუ კაშხალების მშენებლობასთან დაკავშირებით? ამ რეგიონში სასწაულებრივად შემორჩენილი ბუნებრივი პირველყოფილება მძლავრმა ტრაქტორებმა და მანქანის საბურავებმა გადათელეს და ნაბილწეს, იქაურობა გააშარავეს, საქუთლას დუქნად აქციეს, და ეს მაშინ, როცა ტყის მშვიდობიანი ბილიკის აღდგენას, ყველაზე მცირე, თხუთმეტი წელი მაინც სჭირდება, ამდენ ჯართსა და ათას ოხრობას — ჩვენი ტექნიკური „ცივილიზაციის" ნარჩენებს, როდისღა მოინელებს აქაურობა?

და ეს ხდება ჩვენს საუკუნეში, როცა უკვე მრეწველობაში და სოციალურ სფეროში ინერგება ელექტროენერგიის სულ ახალი და ახალი წყაროები, მზის ბატარიებიდან დაწყებული — ზღვაური ტალღებისა და თერმული ენერგიით დამთავრებული. იაპონელებმა კი სასწაულებრივი კანონზომიერებანი აღმოაჩინეს მექანიკაში, რომელსაც ნულამდე დაჰყავს ხახუნის კოეფიციენტი და მთლიანად ემყარება მაგნიტური ველის თვისებრივად ზეწმინდა ენერგიას, რაც მთლიანად გამორიცხავს ელექტროენერგიის, ნავთობის, გაზის კონდენსატისა და სხვა სახის ენერგეტიკული წყაროების გამოყენებას. ამ ფონზე კი იბადება ეჭვი, რომ იმ დროისათვის, როცა ეს ჰესები უნდა ჩადგეს მწყობრში, ანალოგიური „ჰიდროლოგიური საწარმოები" ანაქრონისტულადაც შეიძლება გამოჩნდეს.

ერთი საშიშროებაც გავითვალისწინოთ. ეს არის კაშხალების ამორტიზირების ალბათობა. ჩვენ მიახლოებითი წარმოდგენაც კი არა გვაქვს იმის თაობაზე, თუ რა ბედი ეწევა ამ წყალსატევებს დროთა განმავლობაში, ისინი ხომ პრინციპში განწირულნი არიან მთის შმაგი მდინარეების მიერ ჩამორეცხილი მიწა-ნაშალით, ინტენსიური შლამით ამოსავსებად. ნუთუ არ გვყავს ამ დარგის სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ საკითხის მეცნიერული შესწავლა და განზოგადება? მსოფლიო კაშხალმშენებლობის ისტორიიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც ეს საგუბარები წლების მანძილზე შლამმა ამოავსო და მათ შეწყვიტეს ფუნქციონირება. ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, საბერძნეთში კერკინისა და ამერიკაში კოლორადოს წყალსაცავებს, აღარაფერს ვამბობ იმ საშიშროებაზე, ბუნების წიაღში ჩვენმა ექსპანსიამ რომ მიაყენა და მომავალშიც მიაყენებს შავი ზღვის სანაპირო ზოლს, რომელსაც ტრადიციულმა „ექსპედიტორმა" უეცრად შეუწყვიტა მაწონასწორებელი კომპონენტებით მომარაგება და შეტევაზე გადმოვიდა...

ახლა ამ ხელოვნური ზღვების ადგილობრივ კლიმატზე ბიოლოგიური ზემოქმედების ნეგატიურ რეალობასაც გადავხედოთ. ჩვენ ხომ ჯერ ბევრი რამე არ ვიცით ბუნებაში მიმდინარე პროცესების ურთიერთ მიმართების თაობაზე, მიზეზ-შედეგობრიობაზე, რაც ჩვენი მეცნიერების აქილევსის ქუსლს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელი ტრაგიკული ზამთრის შედეგებიდანაც ვერ გამოვრიცხავთ ენგურჰესის — ამ ხელოვნური ტენის წყაროს ზემოქმედების წილს ამ რეგიონში განვითარებული მოვლენების საერთო ბალანსიდან, ხოლო რა იქნება, როცა ენგურის ხეობის ქვაბულში ერთდროულად რამდენიმე ზღვას ავამოქმედებთ და იქაურობას ტენით გამოვზეკავთ?

სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და იმაზეც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში საქართველოში მრავალი ხელოვნური წყალსატევი აშენდა და შენდება კიდევაც, რაც კარგს არაფერს უქადის რესპუბლიკის ტრადიციულ ბიოსტრუქტურას, ამ მხრივაც მოკლებულია ჩვენი საზოგადოებრიობა ობიექტურ ინფორმაციას. ეს ხომ ნიშნავს სოფლის მეურნეობის ტრადიციული კულტურების გადაჯიშებას, საერთაშორისო დონეზე სტანდარტიზაციას, დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენი ქებული ვაზი ხომ დაკარგავს მისთვის დამახასიათებელ ლეიკოლეპტიკურ თვისებებს, რითაც იგი საქვეყნოდ არის სახელგანთქმული. რესპუბლიკაში უკვე ამჟამადაც ხელშესახებად იგრძნობა უჩვეულო სინესტის მოძალება ზაფხულ-გაზაფხულის თვეებშიაც კი და რაღა იქნება მომავალში?

მაგრამ ყველაფერს რომ შევეშვათ, აქვს კი ჩვენს რესპუბლიკას საშუალება ისედაც მცირე საარსებო სივრცეების ასე უმოწყალოდ გამეტებისა და დატბორვისა? რუსებმა ენისეისა და ობის გამოუყენებელი დაუსახლებელი ჭაობები ვერ გაიმეტეს ჩასაძირავად და ჩვენ ადგილის დედის ხარჯზე რატომ უნდა გამოვიჩინოთ ასეთი ხელგაშლილობა? რაც შეეხება სვანეთს, როგორც სამართლიანად ბრძანეთ ამის თაობაზე, იგი ხომ ამავე დროს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მართლაც რომ სასწაულებრივ დემოგრაფიულ ბეღელს, ბარაქიან რეზერვუარს წარმოადგენს ჩვენი შეთხელებული რეგიონებისათვის? ჩვენ კი დაარხეინებულნი შევცქერით ამ ბეღელის მოგუდვასა და დაცარიელებას. ეს ხომ ყოვლად გაუმართლებელი მსხვერპლწირვაა ჩვენი მხრიდან.

ჩემი წინადადებაა, რომ სვანეთი მთლიანად გამოცხადდეს ეროვნულ პარკად, მითუმეტეს, რომ იუნესკომ სულ ახლახანს მიიღო გადაწყვეტილება ასეთი ეკოლოგიური და ენდემური პარკების შექმნის თაობაზე. ასეთი პარკის სტატუსი დაიცავს ამ კუთხეს ნებისმიერი ხელყოფისაგან.

* * *

ოთარ გაბლიანი მადლიანი ხელის კაცია, პროფესიით რადიოტექნიკოსია, მაგრამ სხვა მრავალი ხელობაც ემარჯვება. მაგალითად, კალატოზობა და ლესვა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იმანაც ბარში გადასახლება გადაწყვიტა. ერთხელ, საუბარში, ვკითხე, რამ გაფიქრებინა-მეთქი ჯანდარაში გადასვლა?

ოთარმა კვადრატი დამიხაზა ფურცელზე. იმ კვადრატში უფრო მომცრო კვადრატი გამოიყვანა და მეუბნება:

— ეს არის ჩემი სახლი მესტიაში. — პატარა კვადრატზე მიმანიშნებს, — ხოლო ეს კი ჩემი ეზოა — დიდი კვადრატი აქვს მხედველობაში. — ირგვლივ სულ მეზობლები და იმათი „კვადრატებია"... ჰოდა, რაც არ უნდა გავიჭიფხო, ველარსად გავიწევი, სულ გარშემორტყმული ვარ... არადა, ოთხი შვილი მეზრდება, უფროსი ბიჭი, გია, წელს მოკრივეთა ნაკრებში ჩარიცხეს, მეორეც იმის კვალს მიჰყვება, სხვებიც იზრდებიან -- ამკვადრატში ხომ ვერ ვიცხოვრებთ ყველა, თავისუფალი მიწა კი აღარსადაა — აი, რიყეებიც კი გადანაწილებულია. სამუშაო ადგილებიც სულ დაბევებულია, თავის რჩენაც ჭირს, ფულიც რომ გქონდეს, ადგილზე იშვიათად რამეს იშოვი, თუ იშოვი — კერძოდ!

აი, მაგალითად, სამშენებლო მასალა — თუნუქი, ანდა ბლოკი, ცემენტი, შიფერი და შიფრის ლურსმანზეც კი ზუგდიდსა და ქუთაისში უნდა წახვიდე და ბნელი გზებით გამოძებნო მამასისხლად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ქალაქებში ყველაზე მეტი სიძვირეა ჩვენს რესპუბლიკაში — თითქოს სიმდიდრე თავს გადაგვდიოდეს, სხვა რა გზაა — გინდა თუ არა, აქაურ ბაზარს უნდა მიადგე და ტანჯვით ნაგროვები ფული იქ გადაყარო... გულისამრევია ყველაფერი ეს...

ამ მისვლა-მოსვლაში რამდენი უსიამოვნება შეგხვდება ადამიანს, ვინ იცის... ჩვენს გზებს ეხუმრები? წახვალ და სულ თვალები აწყდებათ ხოლმე შინ მომლოდინე უფროსუმცროსობას — ჩვენს მარჩენალს არაფერი შეემთხვასო. ეს თითქოს წუწუნივით გამომდის, მაგრამ რეალობა მალაპარაკებს, რამდენჯერ ყოფილა ქელეხისთვის ღვინის ჩამოსატანად და სხვა პროდუქტებზე რომ წასულან მიცვალებულის ნათესავები და გზად თვითონაც ხიფათს გადაყრიან, დალუპულან...

აი, შარშანაც მოხდა ასეთი შემთხვევა, გახსოვს, ჩვენებური რომ მოკლეს უდაბნოში. იმის ორმოცისათვის ძმას ღვინო თუ საფლავის ლოდი ჩამოჰქონდა ზუგდიდიდან მანქანით, ლენჯერთან მანქანა გადავარდა და თვითონაც დაიღუპა, მერმე იმ მძღოლმა ველარ გადაიტანა ის უბედურება და თავი მოიკლა, სამი ადამიანი ემსხვერპლა ერთ უბედურ შემთხვევას..

არა, შეიძლება გადარჩე კიდევაც, ისეც ხდება... — ოთარს ხმა აუთრთოლდა იმ ამბის გახსენებაზე. — ასეთი ისტორიები კი ასობითაა სვანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზაო ავარიები, თითქმის განგების სურვილითო, ყოველწლიურად ხდება, სულ რომ დაითვალოს ვინმემ, ამ გზებზე ბოლო ათ წელიწადში დალუპულთა რიცხვი, თუ მეტი არა, იმ სტიქიური უბედურებით დალუპულთა რაოდენობას კიდევაც გადააჭარბებს. ასე რომ, სვანეთში გარკვეული დროის ინტერვალებში „სტიქიური უბედურებანი“ ყოველთვის ხდებოდა, რაც, სამწუხაროდ, მომავალშიაც გარდუვალია.

— ზუგდიდიდან ღვინო მოჰქონდათო. განა აქ არ შეეძლოთ სასმელის შოვნა? — ვეკითხები ოთარს.

— შეიძლება ქუთაისიდან, მაიაკოვსკიდან, თერჯოლიდან მოჰქონდათ, ეგ არ ვიცი, ხშირად კახეთიდანაც მოაქვთ ხოლმე, აქეთ როცა ვერ შოულობენ, რა უნდა ქნან, იქიდან ჩამოაქვთ. რაიონში რომ იშოვო, ეგ კი გამორიცხულია. წელს მაღაზიაში, ვიცი, ერთი ბოთლიც არ გაყიდულა... — მპასუხობს იგი.

— მოწერილობას გაძლევენ, თუ?

— გააჩნია. თუ ლიმიტი ამოწურულია, რას მოგცემენ.

— რა უნდა ქნა ამ შემთხვევაში?

— პარტიზანულად უნდა იმოქმედო, რა უნდა ქნა.

— ყველა ასე შოულობს?

— ყველა? — დაბნეული კითხულობს იგი — გააჩნია! შენაც ხომ კარგად იცი, რომ ყველა ერთ ბედქვეშ არასოდეს არ ყოფილა და, ალბათ, არც იქნება. სკოლაში რომ გვასწავლეს: „ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენო...“ აქ ისე როდია...

თუმცა ოთარი აქ რა შუაშია — სხვებიც ასევე ფიქრობენ... რა თქმა უნდა, გარდა იმ ბედნიერი გამონაკლისებისა და მათი ნათესავ-მეგობრებისა, ვისაც ხშირად ზუგდიდიდან, სადაც სვანეთის საწყობებია განლაგებული, პირადად უგზავნიან ბევრ რამეს და, რაღა თქმა უნდა, სასმელსაც — თუკი მოისურვებენ, სულაც მთელ მანქანას, პირდაპირ კარზე მოაყენებენ.

ამ საერთო დეფიციტის ფონზე მართლაც პარადოქსულად აღიქვა ხალხმა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციის გარდამავალი დროშით დაჯილდოების ფაქტი, ეს მართლაც იმასა ჰგავდა, მშიერ კაცს ჩავარდნილ მუცელზე რომ უტყაპუნებდნენ ხელს და არწმუნებდნენ — უჰ, შე მსუქანო გოჭოო!

მაგრამ, როგორც გამოირკვა, აქ რაიმე მიწერასა და ოინბაზობას სულაც არა ჰქონია ადგილი. საქმე იმაში გახლდათ, რომ შესაბამისმა საგეგმო ორგანოებმა იჩქარეს, ექვსიათასი ადამიანის ბარში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით რაიონს შესაბამისად შეუმცირეს ლიმიტები, რაც აშკარა შეცდომა იყო და ამ ვითარებაში აქაური ხელმძღვანელობაცა და კოპერაციის ადგილობრივი მესვეურნიც უძლურნი აღმოჩნდნენ რაიმე ეღონათ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მცირე გეგმებს კი რაიონის სავაჭრო ორგანიზაციამ თავი გაართვა და შესაბამისად გარდამავალი დროშაც დაიმსახურა!

მართლაც, ნათქვამი რომაა, ისე გამოუვიდათ მგეგმავებს — „ვჯდოდი და ვთქოდიო!“ ვითომ რა ფიცხლად დაუტრიალდნენ ლიმიტირების პრობლემას. რა მარჯვენი არიან ხოლმე ეს კაბინეტის ჩინოვნიკები თავიანთ გადაწყვეტილებებში — თითქოსდა რეალობის უნარი სულ დაუკარგათო „მუშაობის კაბინეტურმა სისტემამ“, თორემ რითი ვერ გაითვალისწინეს, რომ ის ექვსი ათასი ადამიანი ჯერ კიდევ, სანახევროდ მაინც, არ გადასულიყო არსად, გადასვლის სამზადისში, მოძრაობდა მთიდან-ბარში, ბარიდან-მთაში, და ასე იქნება მერეც, როცა სამუდამოდ ახალ ადგილზე დაფუძნდებიან — დამძრახებულებივით მშობლიურ კერას კი არ გააცივებენ და მიატოვებენ, კვლავაც ამოვლენ, აქაურ ნათესავებში, ახლობლებში, თავიანთ ნაშიერთან ერთად ჭირსა და ლხინს გაიზიარებენ.

ნუთუ ასე ებევრებოდათ სვანეთისათვის ის განკუთვნილი ულუფა, ასე მარჯვედ რომ ჩამოაჭრეს და ქალაქსა და კახეთის რეგიონს მიფიცხებულ რაიონებს გადაულოცეს? ვითომ დიდად დააწვებოდა ამ ხვავიან-დოვლათიანი რაიონების ეკონომიკას ჯიბეკუტრ ახალმოსახლეთა მყიდველუნარიანობა? ყველაფერს რომ შევეშვათ, განა ის ფაქტორი მაინც რატომ არ გაიხსენეს, რომ ამ რაიონებისაგან განსხვავებით სვანეთი, სადაც ადგილობრივად არაფერი მოიწეოდა, მთლიანად ბარის წყალობაზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით კი სურსათ-სანოვაგე და სასმელი ჭირდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არყის გამოხდა მკაცრად აკრძალა, სასმელის ერთადერთი ტრადიციული წყარო ჭირსა თუ ლხინში სვანური რახი იყო. და ეს იმ დროს, როცა ბარში ღვინო ქვევრებში აღარ ეტეოდათ, ხოლო იქაურ გამრჯე გლეხობას კი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, თუ არ აქეზებდა, ხელს როდი უშლიდა საკუთარი შრომით მოწეული ყურძნისაგან ღვინოც დაეყენებინა და ნება-სურვილზე მოეხმარა კიდევაც...

ყოველივე ამასთან ერთად აქ გასათვალისწინებელი იყო კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც — ხალხს, დიდი ხანია, ეჭვი გაუჩნდა უკვე იმის თაობაზე, რომ რაიონზე გამოყოფილი ეს შეკვეცილი ლიმიტიც ვერ აღწევდა მთლიანად დანიშნულების ადგილას. ბევრისაგან მსმენია — ჩვენ ტყეებსაც სხვები განაგებენ (მხედველობაში ჰქონდათ სვანეთის ტყეების საექსპლოატაციო უბნის არსებობა წალენჯიხაში). ჩვენთვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგის საწყობებიც ფაქ-

ტიურად სხვის ხელშიაო (რაც, ჩვენის აზრით, გაზვიადებული იყო, მაგრამ სიმართლის მარცვალს, ეტყობა, მაინც შეიცავდა). ამ საწყობებში ხურდავდება და ნიავდება ჩვენი საქონელიო (კვლავ გაზვიადება). მესტიელებს ეშორებოდათ ეს საწყობები და, შესაძლოა, მათი დაეჭვება-სურვილიც აქედან მომდინარეობდა, ერთ რამეში შეიძლება არც ტყუოდნენ ისინი — ჩვენს სინამდვილეში საქონლის ყოველი ჩამოცლა-დატვირთვა და ხელიდან ხელში გადასვლა მის პრესტიჟს ლახავდა. ბუნებრივია, ამ სიტუაციაში, რომ ვინმეს მოეწადინებინა, არც მისი ე. წ. „დახურდავება“ გაუჭირდებოდა მაინცდამაინც: კვლავ გასათვალისწინებელია არსებული ვითარების ფაქტორი, როცა მავანნი და მავანნი საექსპორტოდ განკუთვნილ საქონლით დატვირთულ ვაგონებსაც კი ძარცვავდნენ, რის თაობაზეც მაღალი ტრიბუნიდანაც არაერთხელ განუცხადებიათ ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. ასე რომ, მრავალი ხელი, ბუნებრივია, განიავებისა და მითვისების მეტ ალბათობას ქმნიდა, რასაც გულისხმობდნენ სწორედ გამზვიადებლები, როცა ამ შორეული საწყობების მიმართ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ.

არადა, რაიონის სავაჭრო-კოოპერაციული მომარაგების მთელი ეს სისტემაც ძველთაგან მომდინარე „სიკეთე“ გახლდათ და ამჟამინდელ ხელმძღვანელობას და კოოპერაციის მესვეურთ ამაში იოტისოდენა წვლილიც არ მიუძღოდათ. უბრალოდ, თავის დროზე, შესაძლოა, 34 წლამდეც კი, როცა სრული უგზოობა იყო და შემდეგშიაც, ვიდრე ეს გზა გაფართოვდებოდა და მისი გამტარუნარიანობა, ასე თუ ისე, გაიზრდებოდა, აგრეთვე გაიხსნებოდა საჰაერო მიმოსვლა ზუგდიდი-ქუთაისიდან და სოხუმიდან ზემო სვანეთში, მესტიის რაიონისათვის შუალედური სათადარიგო საწყობი-რეზერვუარის ზუგდიდური ვარიანტი შეიძლება ოპტიმალური ალტერნატივაც კი იყო, მაგრამ მას მერმე ხომ ათასმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა ამქვეყნად, ბევრი რამ დღესაც იცვლება, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს;

როგორც ვხედავთ, გარშემო ყველგან ცდილობენ გარდაქმნას, გადაწყობას, და ხომ არ შეიძლება ამ დროს შენ დოყლაპიასავით შორიდან შესცქეროდე მეზობლებისა და მთელი ქვეყნის სახეცვალებას და ბუზებსა ნთქავდე? ხალხი ამბობს, რატომ არ შეიძლება ჩვენშიაც რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოსო, რაიონის საქონლით მომარაგების მრავალსაფეხურიანი სისტემა უეჭველად უნდა დაიხვეწოსო, საწყობების ფუნქციონირება გადაისინჯოს და რაიონისათვის განკუთვნილი ტვირთის ნაწილი მაინც — (პროდუქტი, ტანსაცმელი) იქნებ პირდაპირ, შეუფერხებლად ამოიტანოს მომწოდებელმა მესტიაშიო. ადრე თუ გვიან მაინც ხომ ამოსატანია, და ორმაგი შრომაც აგვცდება, ამდენი დანაკარგებიც აღარ იქნება, სახელმწიფოცა და რაიონიც უშველებელ ეკონომიკურ მოგებას მიიღებსო. მოსახლეობაც კმაყოფილი იქნება და ათასი ჭორების საბაბიც აღარ მიეცემათ ადამიანებსო.

ზოგიერთ მათგანს იაპონიის მაგალითი მოჰყავდა, ამ ქვეყანაში საწყობის მნიშვნელობა არც კი იცოდნენ, რადგანაც წარმოებული საქონელი პირდაპირ კონვეიერიდან გაჰქონდათ მაღაზიაში.

კომპრომისზეც თანახმანი არიან ისინი — თუკი რაღაც მიზეზით შუალედური პუნქტის გაუქმება შეუძლებელია, მაშინ იქნება ზუგდიდს მაინც გამოარიდონ და მესტიის რაიონს შეძლებისამებრ მოუახლოვონო. განა ხაიშში, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, ჯვარში არ შეიძლებოდა ამ საწყობების გადმოტანა, სადაც არც მილეთის ხალხი ირევა, მატარებელიც უდგება და სვანებისთვისაც უფრო მარჯვე და მოსახერხებელიაო? ეს ხელსაყრელი იქნება აგრეთვე მესტიელი კოოპერატორებისათვისაც, — მითუმეტეს, რომ ზუგდიდი-მესტიის გზა, როგორც უკვე ითქვა ამის თაობაზე, კიდევ უნდა დაგრძელდესო. თანაცო, — ამბობდნენ ისინი — ჯვარშიაც და სხვაგანაც, სადაც არ უნდა იყოს, ადგილობრივი, მესტიის რაიონის მკვიდრი უნდა განაგებდეს სასაწყობო მეურნეობას, სადაც ამ კუთხის საარსებო დოვლათმა უნდა მოიყაროს თავი. და ეს უნდა იყოს პატიოსანი, მართლაც ხალხის მიერ დემოკრატიულ პრინციპებზე არჩეული პიროვნება და არა უცხო, გადამთიელი ვინმე, ვისაც არავინ არ იცნობს და დიდად არც ედარდება მთიელთა ინტერესები...

* * *

**გალაქტიონ მერლანი** — ხუდონჰესის ინჟინერი:

— პროფესიით გეოფიზიკოსი გახლავართ და ცოტა რამ გამეგება ჰიდროლოგიისა. ყველაფერს რომ შევეშვათ, ისიც საეჭვოა, სწორად არის თუ არა შერჩეული კაშხალისათვის ადგილი. გრუნტი ისეთი რბილია, ბულდოზერით თხრიან საძირკველს და ასე იოლას გადიან — ამას წინათ გადასაგდებ არხს ნაპირი ჩამოენგრა, მთელი კვირა ეზიდებოდნენ თიხოვან ნაშალს...

ყველაფერი ეს ჩუმად კეთდება — ყოველ შემთხვევაში, ჩამოსულ კომისიებს, მგონია, უმალავენ, რომ ასეთი მდგომარეობაა. საყრდენი ქანების საიმედობის საკითხზე უთანხმოებაა გეოლოგებსა და მშენებლებს შორის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

**შალვა კვანჭიანი** — პარტიის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე:

— წელიწადში ორთვენახევარი მოდის ენგური სუფთა, დანარჩენ დროს სულ მღვრიეა. გაზაფხულ-ზაფხულობით კი ცოფიანსა და გაგიჟებულს, უშველებელი ლოდები და ქვა-ღორღი მოაქვს. ამოდენა მთებიდან ჩამორეცხილ მიწას მოეზიდება და, რაღა თქმა უნდა, რომ თვალისდახამხამებაში აავსებს წყალსაცავს, მერე რაღას ფიქრობენ, ნეტავი? ეგ ხომ მართლაც აბუჩად აგდებაა ხალხისა, მთელი საზოგადოებისა — წინასწარ იციან რამდენიმე წელიწადში იქაურობა ქვა-ღორღით გაივსება, რომ ზამთარში ელექტროენერგიის გამომუშავება უმნიშვნელო იქნება და მაინც მიდიან ამოდენა მსხვერპლზე. ნუთუ ჩვენი ხალხმრავალი სოფლების ბედზე უფრო მნიშვნელოვანია რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გამომუშავებული გინდაც კოლოსალური ელექტროენერგია?

ისეთი ჰესები აეშენებინათ ამ დალოცვილებს, რომ თვითდინებაზე ემუშავათ თავიდანვე და ამ უშველებელი ზღვების დაგუბება აგვცდებოდა. მაშინ კი ხმას ვინ ოხერი ამოიღებდა, სასაყვედუროდ ენა ვილას მოუბრუნდებოდა? მდინარე ვერც კი გაიგებდა, ტურბინა რომ დაუყენეს, თევზიც თავისი გზით ივლიდა, ტყეებიც არ გაიჩეხებოდა, ხეობა არ გაპარტახდებოდა. ბუნებას ხელუხლებელს შევინარჩუნებდით.

ახლა კი, რაღა გამოდის — მესტიის ეკლესიაში რომ ერთი საოცარი ხატია „ორმოც მოწამისა", თავიანთ რწმენას რომ ემსხვერპლნენ ქრისტეს მიმდევარნი, ჩვენც იმათსავით უნდა ჩავიძიროთ სიმწრის ზღვაში. დიდებული ხვედრი გაგვიმზადეს, ღმერთმანი. მართლაცდა, რა შევცოდეთ ეგეთი?

ერთი რამის ღრმადა მჯერა. მართალია, თვითონ კი გვარწმუნებენ—თქვენზე ზრუნვით ვაკეთებთ ამასო, მაგრამ ეს ხუდონჰესი და, რაღა თქმა უნდა, ენგურჰესიც, ხვალინდელ დღეზე მოფიქრალი ინჟინრების აშენებული არ უნდა იყოს. ყველგან იგრძნობა ეს წინდაუხედაობა.

* * *

აქაური მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის, გულგაცრუების მიზეზი სხვაც მრავალია — სტიქიურმა უბედურებამ ნეგატიური პროცესების განვითარება დააჩქარა და ხელშესახები გახადა. ამ მხრივ ყველაზე მტკივნეულია ახალგაზრდობის პრობლემა — ისინი თითქოს ძველი, მამაპაპური ჯანსაღი და ცხოველმყოფელი ადგილობრივი ტრადიციების რღვევის ქარიშხალში მოჰყვნენ, სათანადო სულიერ სახმილს მოკლებულნი, დარეტიანებულნი, თევზის გუნდივით მოაწყდნენ ახალი ცხოვრების ჯებირებს, მაგრამ აქაც ვერაფერი დავახვედრეთ სანუგეშო და საიმედო, ხოლო ძველი ტრადიციების წინააღმდეგ მთელი გასული ათწლეულების განმავლობაში, ვითომ დრომოჭმულ ადათებთან ბრძოლის საბაბით, გაჩაღებულმა კამპანიამ სულიერობისა და ვაჟკაცობის საწურთნად მოწოდებული ისეთი სპორტულ-სანახაობითი ჩვეულებანიც კი, როგორიცაა ჰულიშობა, ლიჯლვავი, ლიქვრეშიერი და მრავალი სხვა, დაუნდობლად შემუსრა. სანაცვლოდ ახალი ვერაფერი შევქმენით და შევთავაზეთ ახალგაზრდობას. ასე რომ, ის ძველი ჰეროიკაც მისუსტდა, ბორია კახიანის თაობის ახალგაზრდობისათვის რომ იყო დამახასიათებელი, ჰეროიკა ბრძოლისა და შენებისა, მოქალაქეობრივი ენთუზიაზმისა, რევოლუციური სულისკვეთება-განახლებისა და წინსვლისა;

ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, წინაპრებისათვის რომ იყო ნიშანდობლივი, მშვენივრად არის გამოხატული ირაკლი აბაშიძის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ლექსში: „გატაცებული ვიყავით ხვალით, მხოლოდ მომავლით, მხოლოდ სიახლით: მდინარეებზე ავარდნილ ალით, ჩვენი რიონის, მტკვრის და ლიახვის, და გვაბოდებდა სამშობლოს ბედი, უახლეს რიტმით და დაჩქარებით, ეპოქის სუნთქვით, ეპოქის ხედვით, ფოლადით, თუჯით და კაშხალებით..., დაუძლეველით, დაუქანცველით, ფიცხელ შეტევით და შერკინებით, წინ, წინ გვეძახდა ძალა გამწევი, ძალა, რომელსაც ერქვა იმედი, ფიქრით ულევით, ღელვით უჭკნობით, ლუკმით მცირედით, ხვედრით მცირედით, წინ, წინ გვეძახდა ძალა უცნობი, ძალა, რომელსაც ერქვა იმედი..."

ახლა კი ის უცნობი ძალა დაშრეტილიყო, თითქოს ძრავი გაითიშაო. მართალია, ლიდერზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და ბორია კახიანის, როგორც ხელმძღვანელისა და პიროვნების ფენომენი, ალბათ, ბევრს ნიშნავდა, ვინაც ერთ მუჭად შეკრა და შეაკავშირა აქაური ახალგაზრდობა, დარაზმა ისინი ერთი მიზნის გარშემო, აღჭურვა „სამომავლო იმედით", „უცნობი ძალით".

ინერცია იმ ჰერიოკისა დღესაც არ გამქრალიყო, მაგრამ უკვე იგრძნობოდა, რომ „საზოგადოებრივ აგრეგატს" ძალა გამოლეოდა, მისი „მარგი ქმედების კოეფიციენტს" ძველებური ცხოველმყოფელობა აკლდა და სასწრაფო შერემონტებას ითხოვდა.

— ბატონო ჯოკია, თქვენი აზრით, რაში გამოიხატება ჩვენი ახალგაზრდობის ინდიფერენტიზმი და რამ გამოიწვია იგი?

ჩემს შეკითხვაზე მასპინძელმა ერთხანს იყუჩა, რითაც ქვეშეცნეულად საკითხის პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლემურობას გაუსვა ხაზი და ბოლოს მრავალმნიშვნელოვნად მითხრა.

— სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ რასაც ადრე ვესწრაფვოდით და ცივილიზაციად მივიჩნევდით, ბლეფი აღმოჩნდა. ამ მხრივ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ცივილიზაციამ თავისი უარყოფითი მოვლენები მთაშიაც მოიყოლია, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში. და ეს მით უფრო სავალალოა, რომ ადრე თუ ადგილობრივ ტრადიციებს ძალუძდათ გამკლავება და ამ სხვადასხვა მოდური ავადობების მონელება, დღეს უკვე, ჩვეული იმუნიტეტი — თავდაცვის უნარი — მთიანეთმა ერთბაშად დაკარგა, ახლისა თუ ძველის ორთაბრძოლამ მეტად უთანასწორო ხასიათი მიიღო.

ყველაზე მეტი რისიც მეშინია, ეს გახლავთ საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოშლის პერსპექტივა. სამწუხაროდ, დღეს საამისო სიმპტომები მრავლად შეინიშნება. განა ამ მხრივ ადრეც ყველაფერი რიგზე გვქონდა? მაშინაც იყო გაუგებრობა ახალგაზრდებს შორის, ისეთი გამოვლინებანი, როგორიცაა უაზრო ჩხუბი და კინკლაობა, რაც ხშირად ტრაგიკულადაც მთავრდებოდა ხოლმე, მაგრამ ყველა ეს შემთხვევა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა სვანური იყო, ადგილობრივი ნიშნით ხასიათდებოდა, საერთო სოციალური სიდუხჭირიდან გამომდინარეობდა; ახლა კი კონფრონტაციის ხასიათი შეიცვალა, მას უკვე სოციალური საფუძველი აღარა აქვს, რომ გაანალიზოს ადამიანმა აქაურ ახალგაზრდობაში მომხდარი ტრაგიკული კონფლიქტების რეტროსპექტივა, აღმოაჩენს, რომ ეს არის უაზრო, თავისი შინაარსით ყოვლად სასაცილო და არაარსებითი ხასიათის განხეთქილებანი, გაუგებრობები, რაც ძირითადად უსაქმურობიდან, ნივთომანიით გატაცებიდან, შეძლებული მშობლებისაგან ზედმეტი მზრუნველობიდან, მათი მომხმარებლური ბუნებიდან გამომდინარეობს. ამ ჩხუბებსა და უბედურებაში ვერ დაინახავს ადამიანი რაიმე მამულიშვილურ, მოქალაქეობრივ და, გნებავთ, ადამიანურ სანყისებს, ანგარიშგასაწევ მოტივებს...

მართლაცდა, რევოლუციის გარიჟრაჟზე და შემდგომაც, მთელი ათეული წლების მანძილზე, ვინ იფიქრებდა, რომ ნანატრი ცივილიზაცია, რომელსაც ვესწრაფვოდით და ვამკვიდრებდით, ამდენ თავშისახლელს მოგვიტანდა, ამდენ მინარევს მოიყოლებდა.

წარმოგიდგენიათ, ამდენი საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრები როგორ გულმოდგინედ თესავდნენ და უვლიდნენ კანაფის კულტურას, წნავდნენ მისგან თოკებს, ხოლო თესლს ჩვენებურად — „გიმბაშს" და იმის ზეთს სამკურნალოდ იყენებდნენ. მთელი ამ ხნის მანძილზე, აზრადაც არავის მოუვლია ამ სასარგებლო მცენარის ბოროტად გამოყენება. ვითომ ცივილიზაციას ნაზიარებმა ბიჭებმა კი ერთი ხელის მოსმით დაარღვიეს წინაპართა დამოკიდებულება და ეს კეთილშობილი მცენარე ბოროტების სიმბოლოდ აქციეს, რის გამოც, სამართლიანად აიკრძალა კიდევაც მისი თესვა და მოყვანა მთელი კავშირის მასშტაბითაც კი. ასე რომ, შეიძლება კანაფს, როგორც ენდემურ ნაირსახეობას, ბიოლოგიური გადაშენებაც კი დაემუქროს... ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ უფრო გავხსნათ ფრჩხილები, თუ რა გვაქვს მხედველობაში თანამედროვე ცივილიზაციის არსზე როცა ვლაპარაკობ...

— მაგრამ ქალაქთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ინტენსიფიკაცია ხომ გარდუვალი პროცესია, იგი დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსათვის. ასე რომ, ადრე თუ გვიან, მოსახდენი, ეტყობა მაინც მოხდებოდა...

— სწორი ბრძანდებით. — ამბობს ბატონი ჯოკია. — მაგრამ ამ შეჭრის, ასე ვთქვათ, დასნებოვანების მომენტსაც, ე. ი. თუ რა დროს, რა ვითარებაში განხორციელდება ეს პროცესი, ჩემის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ფიზიკურად განვითარებულ ორგანიზმს ავადობის ბაცილები ვერაფერს ავნებს, ხოლო დაუძლურებულს ადვილად ერევა...

სულიერი ამაღლებულობის საერთო დეფიციტის ფონზე ბორიას ფენომენი უფრო და უფრო შეგვახსენებს თავს... მაორგანიზებელი დამატებითი იმპულსების დეფიციტი იგრძნობა თითქოს და ეს განა იმიტომ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის მესვეურები ვერ არიან თავის სიმაღლეზე, უბრალოდ, კვლავ იმ „მიზეზთა მიზეზების გამო", რასაც საერთო მოშვებულობა და ამჟამინდელი ზოგადი ინდიფერენტიზმი ვუწოდეთ...

მდინარება აიმღვრა.

ქვევრში ღვინო თითქოს აიჭრა და, საეჭვოა, რომ თავისით დაილექოს და დაწკდეს, ყოველ შემთხვევაში, მის კონდიცირებას დრო და მზრუნველი მეურნის ხელი სჭირდება.

* * *

— მართლაც ნამეტანი ხომ არ გადავტვირთეთ ენგურის ხეობა ამ კაშხალებით, ღვთის წყალობით, მდინარეებით მაინც მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა და განა არ შეიძლებოდა ჰესების გეგმაზომიერი გადანაწილება? თქვენ რას იტყვით ამ საკითხთან დაკავშირებით? — ვკითხეთ ბატონ ლევან ჯაყელს — ბევრგან მსმენია — ჩვენი რესპუბლიკა ელექტროენერგიის ნაკლებობას განიცდისო. ენგურჰესი ჩვენი ადგილობრივი საჭიროებებისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის აშენდაო, ამავე დროს აქ გამომუშავებული ენერგია კავკასიონის მიუვალი უღელტეხილებით გადავიყვანეთ სტავროპოლის მხარეში. ეს ხომ იმას მოგვაგონებს, ერთ დროს ჩვენი საუკეთესო ღვინოები სხვაგან რომ გაჰქონდათ და იქიდან სანაცვლოდ წყალ-წყალა „ბილე" და ალჟირული თხლე რომ შემოჰქონდათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ბუნება გავიჩანაგეთ, აქაურობა დავტბორეთ და გავატიალეთ და ვაითუ ვერც „ბილე" მივიღოთ ხურდაში და ვერც ალჟირული თხლე? მგონია, ყოველივე ამისათვის მადლობასაც არავინ გვეუბნება. ხოლო თუკი ვაზვიადებ და საქმეში ვერ ვერკვევი, და არა მარტო მე, სხვებიც არ არიან ჩამწვდარნი ვითარებას ბოლომდე, მაშინ სასურველია საგნებს თავისი სახელი ვუწოდოთ, თავგზას ნუ ავუბნევთ მოსახლეობას. განა არ უნდა იცოდეს რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ, რა მდგომარეობა გაგვაჩნია ენერგეტიკის სფეროში? გვიჭირს თუ გვილხინს, მართლა გვაკლდება თუ თავზე გადაგვდის და ალალმართლად ვუწილადებთ სხვებს? ჩვენთვის ხომ უცხო არ არის ასეთი უშურველობა, „ბოლო კაპიკამდე" წილადობილა? ხომ ფაქტია, რომ ჩვენი ელექტროენერგია გადის თურქეთში? მაგრამ, საკითხავია — რა რაოდენობით?

ეს, მგონი, ზუსტად ცოტა ვინმემ იცის...

**ლევან ჯაყელი:**

— თქვენი შეკითხვა ბუნებრივია. მართლაც, მდინარეების მეტი რაა საქართველოში ნაწილობრივ ზემოთაც ვილაპარაკეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, ახლა დავუმატებდი, რომ აქ არის ისეთი გარემოებანი, რომელთა ანგარიშის გაუწევლობა, უბრალოდ, შეუძლებელია. მაგალითად, ჩვენ რომ გადავკეტოთ ბზიფი და კოდორი, შეიძლება ბიჭვინთის პლაჟი დავკარგოთ, სანაპირო წავახდინოთ და იქაურობას მართლაც წარღვნა მოვუვლინოთ. მოგეხსენებათ, ეს პლაჟები საკურორტო ზონაში მდებარეობენ და სახელმწიფო მნიშვნელობისა გახლავთ. ამის უფლებას კი არ დაგვრთავენ, მაგრამ მომავალში, თუ გაირკვა, რომ ხელოვნური მანიპულირებით შეიძლება პლაჟების რესტავრაცია-აღდგენა და შენარჩუნება — მხედველობაში მაქვს ანაკლიის, ესე იგი, ენგურის შესართავთან მიმდებარე პლაჟების ბედი და პერსპექტივა, სადაც ამჟამად მანქანებით ხდება ენგურის ბუნებრივი ჩანადენის დეფიციტის შევსება, მაშინ ჩვენ აქ ავაშენებთ ელსადგურებსა და კაშხალებს, ისე ვინ ჭკუათმყოფელი გააცდენს მთის მდინარეებს. რამდენ ქვეყანას, ალბათ, ესიზმრება ისინი და შურს კიდევაც ჩვენი. ამ მდინარეებზე უკვე მონიშნებულია კიდევაც კაშხალთმშენებლობისათვის ადგილები...

**პიმენ ჭკადუა** — ხაიშის სატყეოს უფროსი:

— ეს მთები ხომ ბუნების ნახელავია, ამოდენა ლალუმებით ძირი რომ გამოვუთხარეთ, ადრე თუ გვიან, ჩამოინგრევა, აბა რა იქნება. ვიცი, ჰესების მესვეურნი ასე ფიქრობენ — ამ მოკლე ხანში ნურაფერი მოხდება და მერე კი, „ჯანდაბას გარე ლეკების თავიო!" — ჟამთამდინარება ანელებს ვნებათღელვათა სიმძაფრეს, ეს ფსიქოლოგიური მომენტია, ხანდაზმულობას, როგორც მოვლენას, კანონმდებლობაშიც კი ანგარიში ეწევა, დრო მართლაც ბევრის მტვირთველი და გამქარვებელია, მკაცრად მხოლოდ ყოფილ ჯალათებს მოჰკითხავენ ხოლმე, დანარჩენებს სულგრძელად ჰპატიობენ ადამიანები. ასე თუ არ გახლავთ, მაშ, რამდენი ყოვლად უმაქნისი ობიექტი აშენებულა, სიკეთის ნაცვლად ზიანი რომ მოუტანია ჩვენი ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობისათვის, ფლორისა და ფაუნისათვის, მთელი ქვეყნისათვის? მაგრამ მერე აგებინეს ვინმეს პასუხი? რამდენი კიდევ უმოქმედოდ დგას, ან უკვე დაინგრა კიდევაც, უბრალოდ, დიდძალი თანხები აითვისეს და ამით მორჩა ყველაფერი.

მათი ფუნქციონირების ბედით კი დიდად არავინ დაინტერესებულა.

ზემოთქმულის ნათელსაყოფად მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზაც გამოდგება, გაზეთებიდან გავიგეთ, რომ მცდარი პროექტით აუშენებიათ, და მგონია არც არაფერი ეშველება ამ საქმეს, ისეთი მიზეზები იყო იქ ჩამოსახელებული. ესე იგი, უნდა ვიფიქროთ, რომ ან ვერ გაერკვნენ საქმის ვითარებაში, ანდა თავიდანვე იყვნენ შეგუებულნი, რომ არ ამოქმედდებოდა, მაშინ გამოდის, რომ მისი მესვეურნი დღევანდელ კვერცხს, ესე იგი, პირად სარგოს იყვნენ დახარბებულნი.

და რა გარანტია გვაქვს, რომ ხუდონჰესზე იგივე არ განმეორდეს რაღაც ფორმით? გინდაც პასუხი აგებინონ მავანთ და მავანთ, ჩვენს საშვილიშვილოდ წამხდარ საქმეს განა ეგ უშველის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიკოლაუს ზომბართი**

# გრიგოლ რობაქიძე

ცნობილი სოციოლოგი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლაუს ზომბართი 1923 წელს დაიბადა ბერლინში. ოცდაათიან წლებში მამამისის სახლში, ჰუმბოლდტშტრასეზე, იმდროინდელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. წლების მანძილზე ამ ხელგაშლილი ოჯახის სტუმარი იყო გრიგოლ რობაქიძეც, რომელიც იმჟამად ბერლინში იმყოფებოდა ემიგრაროვნებამ ახალგაზრდა ნიკოლაუს ზომბართზე წარუშლელი კვალი ციაში. დიდი ქართველი მწერლისა და პოეტის განუმეორებელმა პიროვნებამ ახალგაზრდა ნიკოლაუს ზომბართზე წარუშლელი კვალი დატოვა. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ დაწერილ მოგონებების წიგნში ნ. ზომბართმა ერთი თავი გრიგოლ რობაქიძეს მიუძღვნა, რომლის თარგმანს გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით.

**მთარგმნელი**

როგორ მოხვდა ეს უცნაური კაცი ჩვენს სახლში? უკან რომ ვიხედები, ვერც დედაჩემის მყუდრო სამყაროსა და ვერც მამაჩემის წმინდა რაციონალურ გონებასთან ვპოულობ შეხების წერტილებს. იგი ქართველი იყო და როგორც ყველა მისი თანამემამულე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიულსა და კულტურულ სხვაობას, დიდი, თვითმყოფადი ტრადიციების მქონე კავკასიის მთიანეთის ამაყ ერსა და აზიის სტეპების მუდმივ ზეგავლენას დანებებულ რუსებს შორის. დასავლეთ ევროპასაც უპირატესობის გრძნობით უცქერდა, როგორც უფრო ხნიერი და კეთილშობილი, უძველეს სულიერ გამოცდილებას ნაზიარები რასის წარმომადგენელი. მისთვის ევროპა მსოფლიოს შეუჩერებელი ნგრევის კერა იყო, რაშიც იგი, პირველ რიგში, ადამიანის ცხოვრებიდან ღვთაებრივის განდევნას გულისხმობდა. ევროპულმა „რაციომ" ტრიუმფით მოიარა ამერიკა და ახლა მზად იყო — მარქსიზმის სახით — რუსეთი გაეცამტვერებინა.

რა ვიცოდი მე საქართველოზე? დიდი გაჭირვებით შევძლებდი იგი ჩემს სასკოლო ატლასში მომეძებნა. მაგრამ ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. მითიური საქართველო ამოუშლელად ჩაბეჭდილიყო ყოველგვარი ისტორიული ქრონოლოგიით ჯერ კიდევ შეუბღალავი, სავსებით ბერლინოცენტრული, შუაევროპული კულტურის ტოპოლოგიაში, რომლის კოორდინატებშიც ჩემი პირადი, უაღრესად ინდივიდუალური სამყაროს კონტურები ინყებდა გამოკვეთას. შორეული, სანატრელი ქვეყანა! ბარაქიანი, მდიდარი მხარე! ნაყოფიერი ველების თავზე მედიდურად აღმართული თოვლიანი მწვერვალები! სუბტროპიკულ მცენარეულობაში ჩაფლული, ტალღებით მოპირკეთებული ზღვის სანაპირო! უშიშარი, დროსტარებას მოყვარული მამაკაცების, მწყემსებისა და თავადების, ლამაზი, მუქთვალება ქალების, დედოფლებისა და ქალღმერთების სამშობლო... კულტურის აკვანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარზე, მაგრამ უფრო ძველი, წინაელინისტური, ისლამამდელი აღმოსავლეთის მსგავსი. ბაბილონისა და ეგვიპტის მემკვიდრე, სადაც უძველესსა და მარადიულ მატრიარქალურ ტრადიციებს არსებობა არასოდეს შეუწყვეტიათ. აქ იმყოფებოდა რობაქიძის ეზოტერიული ცოდნის კერა. გილგამეშის ეპოსი, ისიდას კულტურის მისტერიები, კიბელას იდუმალი მოძღვრება წარმოადგენდა მისთვის შთაგონების დაუშრეტელ წყაროს — მისი კოსმოლოგიის ამოსავალ წერტილს, რომლის გამოხატვის საშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალებად მას განყენებული მსჯელობა კი არა, მითოსით განაყოფიერებული ტილოების შექმნა მიაჩნდა. თუ კი მე ოდესმე პოეტს შევხვედრივარ, სწორედ ეს ეგზოტიკური კაცი იყო, პოეტის სახელს რომ იმსახურებდა. მისგან გავიგე პირველად საქართველოს ეროვნული გმირის, ამაყი თამარ დედოფლის ამბავი: სწორედ ამის გამო თხუთმეტი წლის შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა კაცმა უდიდესი თვითშეგნების გრძნობით ვიქორწინე ლამაზ ქართველ გოგონასთან, რომელსაც თამარი ერქვა.

გრიგოლის გახევებული, ფერმკრთალი სახე მთლიანად დაეპყრო გიშერივით შავ თვალებს. მას ფრინველის თვალების მსგავსად გაყინული მზერა ჰქონდა. თითქოს ქვისგან გამოთლილი, სტილიზებული სახე ტიპიურად ქართული, მსხვილი ცხვირით დამშვენებული უნებლიედ იაპონური „ნო“-ს ნიღაბს მოგაგონებდა. მძიმე ნაკვთების ხელოვნურობას განსაკუთრებით აძლიერებდა პარიკი, რომელიც თმის შთაბეჭდილებას კი არ ახდენდა, არამედ მელოტ თავზე ჩამოცმულ ჩაჩსა ჰგავდა. პარიკი აბრეშუმივით ბზინავდა და უფრო მეტად შიშველი თავის ქალის ფალოსურ სიმბოლიკას უსვამდა ხაზს, ვიდრე სიმელოტეს ფარავდა. კარგად შეკერილ ტვიდის პიჯაკსა და ფლანელის ღია ნაცრისფერ შარვალს ატარებდა წლების მანძილზე. არასოდეს მინახავს სხვაგვარად ჩაცმული. ეს უნდა ყოფილიყო მისი ერთადერთი რიგიანი სამოსელი. ტანსაცმელიც სტილს ქმნიდა, მასაც შეჰქონდა წვლილი თავისი პატრონის განუმეორებელ გარეგნობაში.

ამ სურათს, რასაკვირველია, უნდა დავუმატო პატარა კრიალოსანი, რომელსაც იგი აღმოსავლური წესის თანახმად დაულალავად მარცვლავდა თავისი ლამაზი, მოვლილი, ხორციანი თითებით; ხელის შენაცვლებისას კრიალოსანი გველივით გადაჩხრიალდებოდა ხოლმე მარჯვნიდან მარცხნივ, მცირე დაყოვნების შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდა, ზოგჯერ კი კრიალოსანს ორივე ხელით ეფერებოდა და თითების მშვიდი, განუწყვეტელი მოძრაობის ეს სიცხოველე უეჭველად წინააღმდეგობაში ჩავარდებოდა მის გაყინულ გამომეტყველებასთან, თავადაც ასე მექანიკური, თითქმის ავტომატური რომ არ ყოფილიყო.

ზოგჯერ რობაქიძის სახის ნაკვთებს შეძრავდა ხოლმე ჰომერული სიცილი, რომელიც გაზაფხულის ჭექა-ქუხილივით უეცრად ჩნდებოდა და ასევე სწრაფად ქრებოდა. პირი ისე ფართოდ ეღებოდა, რომ ხორხი და ოქროს კბილები მოუჩანდა, მაგრამ მეორე წამს ისევ დადარაჯებული ფრინველის თვალებით მომზირალი ფერმკრთალი ნიღაბი გეშას [illegible] წინ.

დაახლოებით ასე ყავდა წარმოდგენილი პატარა მორიცს ჯადოქარი, რომელიც თავისი მოწინააღმდეგის უსაიდუმლეს ზრახვებსაც კი კითხულობს, თავისი მზერის ძალით ყველას იმორჩილებს, ნემსით ჩხვლეტს ცვილის თოჯინას, რომ შორეთში მყოფი მტრის სიკვდილი გამოიწვიოს. ალბათ თვითონაც სურდა ასეთი შთაბეჭდილება მოეხდინა. არც კეკლუცობა და პოზა იყო მისთვის უცხო მაგრამ ეს ვერაფერს აკლებდა მის სიდარბაისლეს, რომელშიც ღირსება და ელეგანტურობა უდიდეს უბრალოებასთან იყო შეთავსებული.

მისი რისხვა თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო, თუმცა მე არა თუ არ მინახავს, არც კი მიგრძვნია, თუ კი ჯადოქართან მქონდა საქმე, მაშინ იგი უთუოდ კეთილი, „თეთრი მაგი“ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მასში უდაოდ იყო რაღაც შიშისმომგვრელი, მთავარი მაინც იყო ის, რომ მისი პიროვნება ბოლომდე ნდობას იმსახურებდა. უდიდესი სიკეთით მეპყრობოდა. და ეს მხოლოდ იმით არ იყო გამოწვეული, მისი მასპინძლებისა და კეთილმოსურნეების შვილი რომ ვიყავი. ამისთვის სრულიად ზედმეტი იყო დიდი ყურადღების გამოჩენა ყველა იმ კითხვის მიმართ, რომელთაც განმარტოებისას გულწრფელად ვუსვამდი: იგი ჩემს ნეოფიტობას მოწყალე თვალით უყურებდა.

დიდი მზრუნველობით არჩევდა წიგნებს, რომელთაც შობას ან დაბადების დღეს მჩუქნიდა, ყოველთვის მრავალმნიშვნელოვანი სამახსოვრო წარწერით. მის ნაწერში — სრულყოფილ წინადადებებში — ქართული ასოების იეროგლიფურობა იყო შენარჩუნებული. წლების განმავლობაში ამ წიგნების მთელი კოლექცია დამიგროვდა, ყველა იოგენდიდრიჰის გამომცემლობისა, რომელიც მის ნაწარმოებებსაც აქვეყნებდა (ალბათ მთელ ამ წიგნებს უსასყიდლოდ ღებულობდა). ერთი ანთოლოგია — „მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ლექსები“ მრავალი წლის მანძილზე ჩემი ყოველდღიური ცხოვრების თანამონაწილე გახდა. უეჭველია, რობაქიძის გონმა პოეზიისაკენ პრივილეგირებული გზა გამიკაფა. ერთხელ, როდესაც პაულ ცეხის „ჩაძირულ გემთან“ დაკავშირებით აღტაცება გამოვთქვი, ულვაშებში ჩაეცინა. „ჩემი აზრით, რემბოს მსოფლმხედველობა ძალიან გავს შენსას“. ასე დაუმსახურებლად დაასაჩუქრეს ბიჭი. მაგრამ ასეთი საჩუქარი ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე მოგდევს.

ცოტას ლაპარაკობდა, დაბალი, გუტურალური ხმით. ყოველ სიტყვას ენერგიული, შთამაგონებელი მზერა ახლდა. ნათელი ცო-

დნის სიმაღლიდან ნათქვამი სიტყვა ყოველთვის საბოლოო, ამომწურავი იყო, აწონილ დაწონილი, ფორმულირებული; მათი პოვნა შემდგომ მის წიგნებშიც შეიძლებოდა. არ ეშინოდა გამეორებულიყო და არც იმისა, თუ შემთხვევა მიეცემოდა თავისი ერთ-ერთი სენტენცია წარმოეთქვა. ისიც კი, რაც სხვების ნათქვამში ბანალურად ჟღერდა, მის ფორმულირებაში მნიშვნელობას იძენდა. მამაჩემის სკეპტიციზმით გათამამებული ჩემი უნდობლობა, მისი წინასწარმეტყველური გამონათქვამებისადმი, სიმშვიდეს იმ აზრში ჰპოვებდა, რომ ბანალური საერთოდ არ არსებობდა: არსებობდა მხოლოდ წარმოსახვას მოკლებული ადამიანები, რომელთაც არ ძალუძთ დაინახონ ის არსებითი, რაც ყოველდღიური ცხოვრების უმცირეს დეტალებშიც კი გამობრწყინდება. -

ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ალბათ მაინც მისი გულაუმღვრეველი სიმშვიდე იყო. არც სიტყვასა და არც მოქმედებაში აჩქარებულა ოდესმე. „მე დრო ყოველთვისა მაქვს", იტყოდა ხოლმე. დროის ნაკლებობას გარშემო ყველა რომ უჩიოდა, ტიპიურ ევროპულ-ამერიკულ მავნე ჩვეულებად, ცხოვრების კულტურის ნაკლოვანებად თვლიდა.

* * *

მას შემდეგ, რაც სამშობლო მიატოვა, რადგან თავისი თანამემამულის, სტალინის მიერ მისი ხელყოფა ვერ აიტანა, ეს კაცი წარმოუდგენელ სიღარიბეში ცხოვრობდა ბერლინში, ნაჰოდშტრასეს უბანში. ბოლშევიზმი მისთვის ბოროტების განსახიერება იყო. მასთან ბრძოლას მიუძღვნა მან თავისი შემოქმედება, რომელმაც მკითხველთა პატარა, მაგრამ ერთგული წრე მოუპოვა. მისი რომანები ყოველთვის სამშობლოს ეხებოდა და არსებითად, რეგიონალური ეთნოლოგიის დოკუმენტებს წარმოადგენდა. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შთამბეჭდავი, აზრით დატვირთული ენით — ასე წერას ვერც ერთი გერმანელი ვერ გაბედავდა, რადგან აუცილებლად გადაიჭრებოდა უგემოვნობაში — ასახიერებდა ადამიანთა ბოლომდე გაცამტვერებას, წმინდა დედამიწის წაბილწვას ახლად მოვლენილი დესპოტის მიერ, რომელშიც დასავლური რაციონალიზმი ადამიანის ბუნების მხეცურ-ატავისტურ მხარესთან საბედისწეროდ გადაჯაჭვულიყო. როგორც შატობრიანი თვლიდა თავს ნაპოლეონის მეტაფიზიკურ მოწინაალმდეგედ, ასევე რობაქიძე აღიქვამდა თავის თავს ჯუღაშვილის სულიერ მოწინაალმდეგედ: მისი შთამბეჭდავი პორტრეტი შექმნა კიდეც თავის წიგნში „ჩაკლული სული". მხოლოდ ქართველს შეეძლო სტალინის სულის გაშიფვრა, რომელიც, რა თქმა უნდა, იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც ქართველობის საპირისპირო პოლუსს წარმოადგენდა. რაღაცნაირი მაგიური ჯადოსნობით, თავისი სიტყვის ძალით სურდა მისი დამხობა. აქ მხოლოდ სიძულვილი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო.

გერმანიას იმიტომ მიაშურა, რომ ბრძოლისათვის ხელსაყრელი გარემო ეგულებოდა. გერმანული კულტურა, გერმანული გონიერულობა — სწორედ რევოლუციის იდეებთან მის დაპირისპირებულობაში — მისთვის სულიერად მახლობელი იყო. ხოლო გოეთეს „უკანასკნელი საუკუნეების უდიდეს ხელთდასხმულად" მიიჩნევდა.

წიგნებს გერმანულად წერდა. აღარასოდეს შემხვედრია კაცი, გერმანულ ენას მასავით სრულყოფილად რომ ფლობდეს. აქ გრამატიკული კორექტულობა ან სიტყვის მარაგი არ იგულისხმება. ყოველ წინადადებაში, რომელსაც ის ამბობდა, ან წერდა, უაღრესად შემოქმედებითად იყენებდა ენას. ენის გენია მასში თავისი უძველესი ძირიდან, დედაარსიდან მეტყველებდა. როგორც თვითონ ამბობდა, გერმანული მისთვის წმინდა ენა იყო, ყველა სხვა ევროპულ იდიომებზე ერთი თავით აღმატებული. კარლ შმიტის მსგავსად, ისიც ლაპარაკობდა „გერმანული ენის მისნურობაზე". სადღა შეხვდები ახლა ჩვენი ენის ასეთ პატივისცემას?

ყოველთვის მარტო იყო, მაგრამ მასზე ბევრად ახალგაზრდა, მიმზიდველ, ოდნავ ვულგარულ რუს ქალთან ერთად ცხოვრობდა. როგორც ამბობდნენ, მასთან უბიწო იოსების ურთიერთობა ჰქონდა. იმჟამად ჩემთვის ამის მნიშვნელობის ახსნა დასჭირდათ. მიღებულმა ახსნა-განმარტებამ არ დამაკმაყოფილა. თუკი სექსუალური ასკეზა მისი ცხოვრების წესს შეადგენდა, შეუძლებელია იგი ხორცის სრულ უგულებელყოფაზე ყოფილიყო დამყარებული. ის არც პურიტანელი და არც ბუდისტი არ ყოფილა, პირიქით, ეროტის თაყვანისმცემელი იყო მთელი თავისი არსებით. მის აბსტინენციას სხვა მიზეზი უნდა ჰქონოდა, — ამას ცხადად ვგრძნობდი. ჩემს ყმაწვილურ წინათგრძნობას არ გავუწბილებივარ.

ფაქტიურად, მისი მატრიმონიალური უბიწოება სქესზე უარის თქმის ფორმა კი არ იყო, არამედ მისი მოქმედების განსაკუთრებულად რაფინირებულ წესს ნიშნავდა. მას სექსუალურობის ჩაკვლა კი არა, მისი ამაღლება სურდა. სწამდა, რომ თავშეკავება კაცის ოკულტურ ძალებს ამრავლებს, მაშინ, როდესაც თესლის დაღვრა პიროვნებას აკნინებს და ხრწნის. თავშეკავებაში პირველ რიგში მამაკაცური თვითგანმტკიცების (თვითდამკვიდრების), ქალურობის წიაღში ჩანთქმისაგან თავის დაღწევის, სიკვდილზე ტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმფის საშუალებას ხედავდა. ეს იყო ცოდვას დაპირისპირების რიტუალი, არაძალისმიერი წინააღმდეგობა, რომელიც მოძალადეობას უარყოფს, რადგან თავის შეძლევისას, ქალმერთი მოძალადეობის აქტს გისვამს საკუთარი დაკმაყოფილების პირობად. სიკვდილის მომტან ალტყინებას ექსტაზური „არა“ უპირისპირდება.

პატრიარქატისკენ შებრუნების საიდუმლოება შეიძლება სწორედ მამაკაცური თვითდისციპლინის ასეთ დახვეწილ პრაქტიკაში მდგომარეობს. თავდაცვის სტრატეგიის წარმატება, ქალურობის დამთრგუნველ უპირატესობის ღრმა შეცნობაზეა დამყარებული. რობაქიძისთვის ეს მისი მითიური კოსმოლოგიის ლოგიკაში ოდო — თუ კი შეიძლება ჩემს თავს ამის თქმის უფლება მივცე — იგი სამყაროს სქესთა ბიპოლარულ დამოკიდებულებაში ჭვრეტდა, რომლის დიდი და უძველესი სიმბოლოები — მზე და დედამიწა, თესლი და საშო, პლაზმა და პნევმა, მამაკაცურობა და ქალურობაა. ყველაფერი სქესთა შეხვედრის, ორთაბრძოლის და გაერთიანების გარშემო ტრიალებს — სქესობრივი აქტი კი მთელი ამ გამოცდილების არსის „მანენტური პარადიგმაა“. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩვენი სექსუალობა — რიტუალია: უძველესი მითი ყოველთვის ახლად თამაშდება. თვალსაზრისი, რომელიც, პირველ რიგში, მისი წმინდა ხასიათის გათავისების ნიშანი იქნებოდა.

რატომ ვწერ ყოველივე ამას? კადნიერს არაფერს ჩავდივარ. ის, რასაც მე ვამბობ, დაშიფრულია ყველა მის წიგნში. არსებითად, ეს მათი ერთად-ერთი თემაა. თუმცა მისი წიგნები იმ დროს საერთოდ არ მქონდა წაკითხული. მიუხედავად ამისა, გრიგოლის მაგიურ ზეგავლენას მივაწერ იმას, რომ ჩემი შეღწევა მითოსის სამყაროში სწორედ სექსუალური ფანტაზმების გზით წარიმართა.

ისიც უნდა ვახსენო, რომ რობაქიძის ოჯახის წევრი იყო მისი მეუღლის (და არა მისი) ქალიშვილიც, სახელად ალი. არაჩვეულებრივად ლამაზი, გრაციოზული, ფერმკრთალი გოგონა, რომელსაც ყირგიზულად აჭრილი თვალები ჰქონდა. უაღრესად ნიჭიერი და სხვებისთვის მუდამ სამაგალითო. იგი იმ ბავშვების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთაც დედაჩემი ჩემთან სათამაშოდ იწვევდა. ჩვენს სახლში. არ ვიცი იმიტომ, რომ ის ჩვენთვის „პატარა რობაქიძე“ იყო, თუ მისი პირადი მიმზიდველობის გამო, — იგი მეტად ადრე მომწიფებულიყო — მას ჰუმბოლდტშტრასეს მანსარდში განსაკუთრებულად ეროტიკული განწყობა შემოჰქონდა და ათასგვარი თამაში პროექტის ცენტრად ქცეულიყო, რომელნიც სინამდვილეში არასოდეს განხორციელებულან. „ალი“ უაღრესად ამაღელვებელ და მიმზიდველ სიტყვად რჩებოდა.

უცხო სხეული თავისი ეგზოტიკური ჰაბიტუსითა და მითოსისაკენ გამოკვეთილი მიდრეკილებით, გრიგოლ რობაქიძე მაინც ჩვენი სახლის მუდმივ შემადგენლობას ეკუთვნოდა წლების განმავლობაში. გრიგოლის გარეშე წარმოუდგენელი იყო ნებისმიერი ღონისძიება, იქნებოდა ეს ჩაის სმა, დიდი სტუმრობა თუ სადილი. უკანასკნელ ხანებში იმდენად აუცილებელი წევრი გახდა იმ ვიწრო, ინტიმური წრისა, რომელიც კვირადღეობით იკრიბებოდა ჩვენთან, რომ თუკი ოდესმე დააკლდებოდა, აუცილებლად ისმებოდა შეკითხვა: — „სად არის რობაქიძე?“.

ომის დასასრულს დიდი ფათერაკები გადახდა. — ბოლო წელს ბრუნო გოეტცთან ჰპოვებდა თავშესაფარს — და შემდეგ სიკდილამდე ცხოვრობდა ჟენევაში. ისევ ემიგრანტულ მანსარდებში. ეს მისი მეორე და მესამე გაძევება იყო! ზოგჯერ ბედისწერა მხოლოდ მკაცრი კი არა, ულმობელია. მის ცოლს, რომელსაც ომის ბოლო წლებში ბევრი სიძნელე გადაეტანა, ინსულტი დაემართა, სხეულის ნახევარი და მეტყველება წაერთვა. „ჩემი მეუღლის ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო“, მოიწერა მან, „ადამიანისთვის თითქმის აუტანელ პირობებში აღმოვჩნდი. მე, ვისაც ცხოვრებაში არ უგრძვნია, რა არის ადამის შეჩვენება, ახლა ბოლომდე ვიწვნიე იგი. ალბათ წონასწორობა უნდა აღდგენილიყო. მე დავდივარ საყიდლებზე. მე ვამზადებ საჭმელს. წმენდის გარდა ყველაფერი მე უნდა გავრეცხო და გავაუთაო. ავადმყოფთან საერთო ენა გამოვნახო — ეს ნიშნავს მივხვდე როდის რას ფიქრობს. უნდა გავართო. მასაჟისტისა და მოწყალების დის შრომა უნდა გავწიო. სამზარეულოში ვმუშაობ და მძინავს. იქვე დგას ჩემი საბეჭდი მანქანა და პირდაპირ უნდა მოვიპარო დრო, ორიოდ სტრიქონი რომ დავწერო. მაგრამ: მხოლოდ ტანჯვაში შეიცნობ საკუთარ ყოფიერებას“.

ამ საშინელ პირობებში მან მთელი რიგი ნაწარმოებები შექმნა — ესსე, რომანები, ლექსები, „ფრიდრიჰ ნიცშე ეზოტერიულად“, „საქართველო — მსოფლიო თვალთახედვით“. რა ბედი ეწვია მათ? „ვფიქრობ, ბევრ საიდუმლოებაში შევიჭერი, ისე რომ, რა თქმა უნდა მათი „საბურველი“ არ შემირყვნია.. ჩემს ძიებაში განსაკუთრებით ქართველების მითიური წინამორბედი კარდჰუ მეხმარება... მითიური სურათები ისევე ემთხვევა უშუალო კოსმიურ საიდუმლოს, როგორც ენის სიტყვიერი არსი“, წერდა იგი. დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მითოსზე. ეს იყო კაცი, რომელსაც ამისა მართლა გაეგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„ქალის სულში ასე რომ ვარ ჩახედული ჩემს მწყალობელ ქალღმერთებს უნდა ვუმადლოდე". მწერდა იგი ერთ წერილში, „მწყალობენ, რადგან ღმერთებს კი არა ვცნობ, არამედ ქალღმერთებს. როდესაც ამას წინათ ციურიჰში, ღმერთებზე შეშლილი ბრუნო გოეტცის წრეში ჩამოვაგდე ამაზე სიტყვა, ყველა ძალიან მხიარულად იცინოდა, ყველაზე მეტად კი მე თვითონ ვიცინოდი. რა თქმა უნდა, ქალღმერთების წყალობა ბოლომდე რომ მოვიპოვო, მხოლოდ „აღიარება" არ არის საკმარისი. გინდა ერთი საბურველი ავხადო ისიდას? როგორღაც ერთ-ერთმა მათგანმა, მგონი ლამაზმა, გრძელფეხა დიონამ საიდუმლო გამიმხილა. „შენ უნდა იცოდე", მითხრა, „რომ ჩვენ, ქალღმერთები, სიამოვნებით ვეძლევით იმათ, ვინც გვაღიარებს, მაგრამ პირობა ეს არის: შეძლევისას საკუთარ თავს მსხვერპლად ვთვლით". „მაშ მეც დამპყრობელი უნდა გავხდე?" სიტყვა შევუბრუნე. მან ჯიოკონდას ღიმილით მიპასუხა. ახლა სერიოზულად: მწერლისთვის მთელი სამყარო დახშული სიჩუმეა, თუ მას ქალები არ ეძლევიან. მე ვგულისხმობ: შინაგანად" ეს არის მთელი რობაქიძე.

დასასრულ, ამ ფურცლებს მინდა დავურთო მისი ერთ-ერთი ლექსი, რომელიც მე და თამარს ქორწილში გვაჩუქა:

რადგან აყოვნებს (იგვიანებს) ექსტაზის
ღმერთი,
ხანგრძლივი მოლოდინისგან ელევა სული
და გახევების უდაბურობას ამსხვრევს
მენადა.
და გაცეცებული, გოგირდისმფრქვეველი
მზერით
მოახლოებულ ელჭექს შეშლილივით წინ
მიეჭრება
და თავს მიუგდებს, როგორც შესაწირს,
ბრმა ექსტაზს.
ხოლო როდესაც ელვის სრიალა ენა
ალოკავს,
შეხვრეპილი მისი სევდა უმალ იცლება
(თავისუფლდება) აფეთქებით
და მეხდაკრული ქაოსისაგან იხსნის თავს,
როგორც ლამელა თავს აღწევს
ნაცარტუტას (განადგურებას) —
და მოშორებით ქალღმერთად
გამოილვიძებს.

თარგმნა **გივი მუსხელიშვილმა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

# ნიკო სამადაშვილი

ქვეყნის საზრუნავსა და ხმაურს განრიდებული, მიტოვებული საყდარი, წვიმისა და თოვლისაგან შელახული კედლებიდან უქმად და უაზროდ მზირალი საკრალური პანთეონის საბრალო გამოსახულებანი, ცივი სიმყუდროვის არაამქვეყნიური ინტიმი, რომელსაც დრო და დრო გარედან შემოხვეტილი ღამის ფრინველთა შრიალი აკრთობს, — აი ანტურაჟი, რომლის მიმქრალი სიცოცხლის გამაცოცხლებელია ამ სივრცის ერთადერთი ბინადარი, კედელსმიყრდნობილი, ჩურჩულით ამოთქმული ალსარების ექსტაზით გონმიბინდული არსება. საყდრის მოლიავებული, კარებიდან შემოსტირიან და შემოსვლას ითხოვენ შორს დარჩენილი ბავშვობის, დედის და ამქვეყნიურ განცდათა ცოცხალი ხატები. ღვთაებრივი ბინდით დაღლილსა და სავსეს, დროდადრო ცრემლჩამდგარი მზერა გაეპარება მათკენ. შემზარავად მაცდურია ამ წამის ელდა, რადგან მასში ძალუმად ფეთქავს მიწიერი სურნელის, ეფემერულ სიამეთა სიზმრებისა და ამაო ალტაცებათა მოგონებები. ქრება მათთან დამაკავშირებელი სურვილის მკრთალი ანარეკლიც კი და იგი კვლავ ლოცვის მხურვალებაში ითენთება.

ნიკო სამადაშვილის პოეზიის ლირიკული გმირის ამგვარი წარმოდგენა მხოლოდ ფანტაზიის კაპრიზი არ არის და მას რეალური საფუძველი გააჩნია.

ქართულ პოეზიაში იშვიათია ერთი არსებიდან ამოხეთქილ ირაციონალურ ხილვათა იმგვარი „წყალუხვი შადრევანი", როგორსაც მასთან ვხვდებით. იმდენად მძაფრია მისი ნაკადი, რომ ხშირად ველარ თავსდება სადინარში და მხატვრულ ელეგანტურობას მოკლებული ნიაღვარივით მოედინება. პირველქმნილი უბიწობით წარმოსდგება იგი ჩვენს წინაშე.

ნიკო სამადაშვილის, როგორც უნიკალური პოეტური ხილვებით აღბეჭდილი შემოქმედის სახელი, კანონზომიერი სიჯიუტით იმკვიდრებს ადგილს მკითხველის ცნობიერებაში.

ერთ ლექსში იგი ამგვარად ესათუთება ობლის საყვედურით „ცრემლმომდგარ" შინაგან მოწოდებას

შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი,
სულ კარგად მახსოვს, შენ რომ გამიჩნდი,
გარეთ ძალლივით ყმუოდა ქარი.
ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა,
ზეცა სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა, ქვეყნის ბოლოდან.
ვერ მოგიარე, რა გიყო ძმაო,
ორივე შემკრთალ ბუჩქის ჩრდილს ვგავდით:
შენ კიდევ მაინც ფიქრში მძუნაობ,
მე კი ბუწუწიც გამცვივა დარდით.

ალმსარებლობითი ლირიკის ფრიად საინტერესო ნიმუშები გარდასული ეპოქის მტკივნეულ განცდას წარმოადგენენ. სულიერი ნათესაობა ათასწლეების მერეც აღელვებს და ელეგიური სულისკვეთებით მოსავს პოეტის რემინისცენციებს. წარსულის ნოსტალგია არა ერთი და ორი ლექსის საერთო განწყობილებაა, მღელვარეცა და ხევდიანიც ერთსა და იმავე დროს.

ნიკო სამადაშვილის კაეშანი სულის ბუნებრივი მდგომარეობა, მისი სიღრმიდან მომდინარე შთაგონების იმპულსია. ის ისეთივე ორგანულია მისთვის, როგორც სიცოცხლე. შესაძლებელია ამგვარი მოსაზრება, ზოგიერთისათვის გადაჭარბებულიც იყოს. მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იშვიათია პოეტი, რომელმაც ასე შორს მოისროლა არტისტული ნიღაბი და ასე ბუნებრივი სახით ეჩვენა მისთვის სულიერად უცხო ადამიანებს.

ათასი წლების ნახირი წავა
ძოვით შუქს გაღმა, სივრცეებს იქით,
მაგრამ ვერავინ ვერ დარწმუნდება,

ძვლიდან სალამურს როგორა ვთლიდით.
როცა ჩემს მახინჯ სურათს ნახავენ,
იტყვიან, ნუთუ ეს კაცი წერდა?
ის ალბათ კერპებს რომ არ დაეხრათ,
შერყეულ ღმერთზე ჯვარს დაიწერდა.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის მსოფლშეგრძნება ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი მოძღვრების მკრთალი აღმსარებელია, შეიძლება ითქვას, რომ მთელ რიგ ლექსებში გამჟღავნებული სასოწარკვეთილი მელანქოლიით, იგი თითქოს სცილდება სრულყოფილებისა და ნეტარებისაკენ მიმსწრაფ ქრისტიანულ წარმოდგენას. როგორც ცნობილია, გარესამყაროს მატერიალური ცხოვრებიდან ქრისტიანულმა რწმენამ ადამიანი საკუთარი სულისაკენ მიაბრუნა. გარეგანით ტკბობას, შინაგანი ჭვრეტა შეუნაცვლა. მაგრამ აქ ერთი რამ არის საინტერესო — ქრისტიანული მსოფლგანცდა მელანქოლიის სრული ანტიპოდია, რადგან, სწორედ, შეუცვლელის დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთა — მელანქოლიის ეს ამოსავალი არგუმენტი ქრისტიანობის მიერ დათრგუნული და იგნორირებულია. მისთვის (ქრისტიანული რწმენისათვის) არ არსებობს დანაკარგი, რადგან ილუპება მხოლოდ ის, რაც უცხოა, ყოველივე ის კი რაც ჭეშმარიტი მონაპოვარი და განძია, მარადიულია. ქრისტიანობამ შესცვალა თვით სევდის ხასიათი — უიმედო მჭმუნვარებიდან ჩამოაყალიბა ცხოველი სევდა, რომელიც სულის თვითმყოფადი და ძლევამოსილი ღწვის წყაროა.

პოეტის ერთი ლექსის წარმოდგენა ნათელს მოჰფენდა მისი წარმოსახვების განსხვავებულ განზომილებებს

სოიცარია, რომ გიყურებ, როდილა მჯერა,
რომ შენ გამზარდე, შენ მირწევდი ოდესღაც
აკვანს,
ასე მგონია, თითქოს დედაც გადამემტერა,
გორიჯვრის ნიშთან, დღეს თუ არა, ხვალ
მაინც დამკლავს.

მიამიტობაა ალბათ იმის სერიოზულად მტკიცება, რომ სახარების სულით აღბეჭდილი პოეტი შეუძლებელია ამგვარ წარმოდგენებს მიეცეს და სასოწარკვეთის ამ ფორმით გამოხატოს გარესამყაროსთან შეუთავსებლობა.

ქრისტიანული სამყარო, კონკრეტულად კი წმინდანთა პანთეონი — ღვთისმშობლისა და მაცხოვრის სახით, მისთვის ტანჯული ეროვნული სულის ტრადიციული რწმენით განმტკიცებული თავშესაფარია. აქ მისვლა და მუხლმოდრეკა არ ნიშნავს ბუნებრივ, პირველყოფილ განცდებსა და გრძნობებზე უარის თქმას, მითუმეტეს სასოწარკვეთილი ვნებათაღელვის უნაპირო ქროლვაზე ლაგამის ამოდებას.

მე იმის თქმა მინდა, რომ ამ პოეტის რელიგიასთან მიმართება უფრო სტოიკურ ხასიათს ატარებს. მისთვის ქრისტიანობა ძველი საქართველოს სინონიმია და ამიტომაც ახლობელი და მშობლიური. იგი მისთვის მოვალეობა არ არის, რადგან მოვალეობა მოლოდინიცაა, თუნდაც გაბზარული რწმენის გამთლიანებისა, რომელიც ღვთაებისგან ნაბოძები მადლია და იგი მაშინ გადმოდის შენში, როცა შენივე ნებით მორჩილად გაიწვდი ხელს. ამის შემდეგ ისადგურებს სულში ნუგეში და საკუთარ თავთან შერიგება, ანუ ყოველივე ის, რასაც ვერა და ვერ ვხვდებით ნიკო სამადაშვილის პოეტურ ოპუსებში.

პოეტისათვის ამქვეყნიური სიცოცხლე სულის საპყრობილე და განუწყვეტელი წუხილია, არა იმიტომ, რომ იმქვეყნიური არსებობაა ჭეშმარიტი და ყველაფრის დასაწყისი, არამედ იმიტომ რომ ბუნებისაგან მხოლოდ ერთხელ ნაბოძები სიცოცხლე, რომლის შემდეგ უკვე აღარაფერია, თავისი არსითაა არაგონიერი და შეუბრალებელი. ამ ტკივილების სიმძაფრეს მისთვის სწორედ ის აასკეცებს, იმიტომ იზრდება სასოწარკვეთილი სინანული სიცოცხლის მიმართ, რომ მას შემდეგ შემზარავი უკუნი, ფერფლი და სიცარიელეა, ანუ მხოლოდ ძილია გამოღვიძების გარეშე. სხვა მე არაფერს მეუბნებიან პოეტის თუნდაც ამგვარი ლირიკული მედიტაციები:

ნაძვები კუბოს მიასვენებდნენ, წინ
ყვავილები მიჰქონდათ ქარებს,
მიწიდან მთები იმას უსტვენდნენ, პირქვე,
რომ ეგდო მსოფლიოს გარეთ.
ის სივრცეს გაჰყვა ხელაპყრობილი,
თვალებს სინათლეც არ მიაკარა,
წაიღო გზნება — ტალღების ჩრდილი,
გულქვა ავდრების წინ გადაყარა.
თითქოს სიკვდილიც რჩებოდა ოხრად,
მარადისობაც დასწყევლა, დაჰგმო,
ღამე ტირილით გამოიხურა და გათენებას
ველარ მიაგნო.
ვერ შეუბრუნეს გზებმა ბუნება, თუმცა
ბავშვივით უჭერდნენ ხელებს,
ნაფეხურს ერქვა: არ დაბრუნდება!.. ქარი
ამაოდ ეძებდა მკვლელებს.
გვარი რა არის, არც კი ახსენა, არც
მიაჭედა ლურსმანი კარებს,
ნაძვები ცხედარს მიასვენებდნენ და
გვირგვინები მიჰქონდათ ქარებს...

განა არ არის აქ თვალსაჩინო პიროვნების ამქვეყნიური ტრაგედიით შემოზღუდვის რწმენა, ილუზიებიდან თავდაღწევის გარდუვალობა და სასოწარკვეთილი შერიგება სიკვდილთან, როგორც სულისა და სხეულის მესაფლავესთან. და თუ სხვა ამგვარად მოაზროვნეთ, არაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენიათ, გარდა წამიერი სიცოცხლით ტკბობისა, რათა როგორმე მარადიულ ძალამდე მიატრიონ ნაპატივები სხეული, — უიშვიათესთ, მომწამლავი სკეპტიციზმის განუკურნელი ხენი იპყრობთ და მთელი ცხოვრება ერთგულად მიჰყვება. მათი „დაწყევლილი“ სულები გალიაში დატყვევებული ჩიტებივით აწყდებიან მკაცრად შემოსაზღვრული სივრცის კედლებს, მერე დაღლილნი, მუხლებზე ეცემიან და წმინდა სალოცავებს შესთხოვენ ნუგეშს.

ისინი გრძნობენ შვების მომნიჭებელი წუთის ძალასა და მადლს, რომელიც კიდევ დიდხანს მიჰყვებათ სულის საგზლად. გადის დრო და მათი განცდები კვლავ უცხო ხილვებით ივსება და კვლავ იწყება ფანტასმაგორიებში ფარფატი:

სიონის ზარი სქელ ღრუბლების ქვეშ
ახველებდა,
გულში ეძინათ წმინდა ნინოს შეფრენილ
ცრემლებს...
მკვდრები ცივ სივრცეს მიჰყვებოდნენ და,
გზად, ხანდისხან
ქვეყნიერების კოშკებისკენ იშვერდნენ
ხელებს.

პოეტური აზროვნება ურთულესი, გაუთვალისწინებლობით აღსავსე მექანიზმია, რომლისთვისაც, გარდა ეროვნულისა, უცხოა სხვა, თუნდაც ფუძემდებლური კონცეფციებისადმი თანმიმდევრული ერთგულება. მისი დინამიური ბუნება ვერაფრით გუობს კვალში ჩადგომას და თავაუღებელი ერთგულებით უკან მიყოლას. მისი სიცოცხლის აზრი შეუზღუდველ თავისუფლებაშია.

უნაპირო სივრცეებში საფრენად მას საკუთარი ინტუიცია და ემოციური იმპულსები გააჩნია და, რაც მთავარია, მას აქვს გრძნობა, რომელიც ყველაზე საიმედო დასაყრდენია მისთვის. არ უნდა იყოს მოულოდნელი, თუ ვიტყვი, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი, მარტოობის იპოსტასია.

„სათუთად შეინახეთ ის სამყარო, რომელიც თქვენს სიღრმეშია დაფარული: უწოდეთ მას, როგორც გენებოთ: ბავშვობის მოგონება თუ მომავალზე ფიქრი — მაგრამ იყავით განუხრელად ყურადღებიანი იმის მიმართ, რაც თქვენში ხდება; და გახსოვდეთ, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ქვეყანაზე არსებობს. თქვენი იდუმალი სულიერი ცხოვრება, თქვენივე სრულ მონაწილეობას ითხოვს. სწორედ მას უნდა მოანდომოთ მთელი ძალები და არ დაკარგოთ დრო და სულის მხნეობა სხვა ადამიანთა შორის თქვენი ადგილის გამოსარკვევად.., კარგია იყო მარტო, იმიტომ, რომ მარტოობა ძნელია. და რამდენადაც ძნელია ის, რაც ჩვენ გვსურს, იმდენად დიდია ჩვენთვის მიზეზი სწორედ მას მიაღწიო“.

ამ სიტყვებით, რილკემ, როგორც მარტოობის აპოლოგეტმა, ხელოვანის ამ წუხარე წუთებს, კიდევ ერთხელ უკმია გუნდრუკი და საცნაური გახადა შინაგანი შთაგონების წარმომშობი გარემოება.

მარტოობის განცდა ნიკო სამადაშვილის ლექსების განუშორებელი განწყობილებაა. მეტნაკლები ძალისხმევით იგი ბოლომდე რჩება მისი ერთგული და ვითარცა საკუთარ ბედისწერას, მორჩილად უხრის თავს:

დაჩეხილ სხეულს, ამღვრეულ თვალებს
ვინ დააბრალებს ხელდახელ მტრობას?
ბუხრის კვამლს აჰყვა ის სიყმაწვილე,
თავქვეშ დაეგო დიდ მარტოობას!.
საღამო ხანი ზარებსა რეკდა,
ქრუანტელს ჰგვრიდა ცას ხმის სიამე,
ის კი, საკუთარ ცრემლებსა კრეფდა,
რომ არ ენახათ ადამიანებს...

როგორც ყოველი ნამდვილი ლირიკოსისათვის, ამ უჩუმარი და უპრეტენზიო შემოქმედისათვისაც არაგულწრფელი ყოფილა სევდა, რომელსაც დასაყუჩებლად ბოლომდე სხვას გადაუშლი, რადგან ეს თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი.

ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით პოეტის სულის ხედვა შორსმხედია, ისე შორს, რისი ბუნდოვანი წარმოდგენაც კი გაუჭირდება ალბათ ჩვენს წინათგრძნობას. იქნებ ამიტომაც აქვს მას უფრო მეტი ნდობა სევდისა, ვიდრე სიხარულისა. ძვირფასია იგი მისთვის, რადგან ეს ის წუთებია, როდესაც მასში რაღაც ახალი და სრულიად უცნობი ილვიძებს; და რამდენადაც გულწრფელი და ამტანია პოეტის სული სევდის შემოწოლის ამ წუთებში, იმდენად ღრმად იჭრება და მისი ბედის განუყრელ თანამგზავრად იქცევა იგი.

მხოლოდ პოეტის სულის სიღრმიდან და არა მისი გარემომცველი სამყაროდან იბადება, ის, რასაც ბედს ვუწოდებთ.

ამდენად, სულიერ მოღვაწეს, არსებითად, გარდა მარტოობისა, სხვა არავითარი არჩევანი არ გააჩნია.

მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველას არა აქვს სულის გამორჩეული ძალა ამ შინაგანი სიღრმეებიდან ამოზიდულ სიახლეთა „მოდრეკისა“ და ინტელექტუალური ოპერირებისა.

როგორც ნიკო სამადაშვილის პოეტური ქმნილებებიდან წარმოჩნდა, თურმე ინფანტილური ფსიქოლოგიით და ნაივური ინტუიციით აღბეჭდილი პოეტური სული ამ დროს ერთგვარად იბნევა და თავბრუდახვევის უცნაური გრძნობით იმსჭვალება. თვალსაწიერს თითქოს გამოეცალა ყოველივე ის, რაზეც ხედვა ისვენებდა, თვალსა და ხელს შუა გაჰქრა ახლობელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მშობლიური, ხოლო შორეული, უსასრულოდ შორეულად გადაიქცა.

უჩვეულო შეკრთომა, უცნაური ძალის შემოტევის გამო, თრგუნავს და შეუბრალებლად აწვება მას.

თითქოს მისგან დამოუკიდებლად იბადებიან უჩვეულო წარმოდგენები. და უცნაური გრძნობები, რომელნიც, ერთის შეხედვით, აღემატებიან ყოველივე იმას, რისი ატანაც სულს შეეძლო.

რა ვიცი რა ვქნა, რომელ გზებზე
მივუშვა ბედი,
იქნებ ქარბუქში შემერიოს სიცოცხლის აზრი.
მარადისობავ, საუკუნოდ გაგვიხმეს ქედი;
რომ ასე უღვთოდ დამაბნიე ტიალი მგზავრი!
გინახავთ კაცი, საუკუნეს ხმითაც არ
ჰგავდეს,
და ყოველ დილით სისხლის ჰოჰი ღვაროს
სახლიდან.
ან სინათლეში მოიწყინოს, მერე გათავდეს...
ასეთი ყოფა ცხენზე შემჯდარ ეშმაკს
დაღლიდა.
რა თავში ეცა, ვინ ვარდების ალერსს
სწუნობდა,
ვისაც ხელებით გაუთბია თოვლივით გული!
სიჩუმე იდგა. შორს ღრუბელი
დაბღლარძუნობდა,
უსულდგმულო ცის რიყრაყებთან
შეანჩხლებული.

უცხო ხილვათა, შეგრძნებათა თუ ემოციათა ზვავად მოხეთქილმა ძალამ მასში ადამიანური ტკივილების ისეთი ექო გამოსცა, როგორიც სულის მხოლოდ ღრმა ხეობისთვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ავად თუ კარგად მან შესძლო მოძალებულ სტიქიონთან შებმა და მასთან განუწყვეტელი ჭიდილით დაღლილმა და ჩასაძინებლად თავმიდებულმალა ჩაიქრო სულიერი მარტოსულობით ატეხილი ვნება.

ის ლექსის გარდა არაფერს ქმნიდა,
თვალნაცემივით შფოთავდა ხშირად,
და განა ვისაც ეს სენი სჭირდა,
იმან შეგზარათ და შეგაშინათ.
ის დაიღუპა ბედნაკრძალევი, ბნელოდა,
სდუმდნენ დიდი ჭადრები,
და კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები —
მარადისობის ჰუჰრუტანები!

ზოგადად პოეზია და კერძოდ ნიკო სამადაშვილის სულის ვიზიონები გონების უბრალო თამაში რომ არ არის, რომ იგი არ იქმნება იმისათვის, რათა გაერთოს ან თუნდაც სხვა გაართოს, ეს ალბათ გულუბრყვილო მკითხველსაც კარგად მოეხსენება. ისიც მშვენივრადაა ნათელი მისთვის, რომ პოეტი განცვიფრებული უნდა იყოს საკუთარი სულით და იმ დამოკიდებულებით, უამრავი დაბრკოლებების მიუხედავად, გარესამყაროსთან რომ აკავშირებს. მაგრამ, შესაძლოა, მან არ იცოდეს, რომ ერთი შეხედვით თვით ყველაზე უფრო მშვიდი პოეზია, ყოველთვის ჭეშმარიტ სულიერ დრამას წარმოადგენს. ამიტომაა მისი მოქმედება ასე ღრმა და პათეტიური.

სულის სიღრმემდე უნდა განაცდევინოს პოეტური ელდა უნიკალურ სახეთა მიგნებებით, ფრიად დახვეწილი პლასტიკური მეტაფორით ალბეჭდილმა ხილვამ

ხე ეკლესიის მათხოვარს ჰგავდა,
თითქოს გულს ქრისტემ ხელი დარია,
შენი ფიქრების ჩრდილთა გოგმანი
მტრედის სიზმრებში მომიპარია.
რომ ფოთლებიდან მეცქირა დიდხანს,
როგორ მალავდა ცრემლს მეგობარი,
და დამელია ბნელ ლუდხანაში
ჩემი ცხოვრების შესანდობარი.

წარმოიდგენს რა პოეზიის უდიდეს კოლოსებს — ჰომეროსს, შექსპირს, დანტესა და გოეთეს — როგორც თავისი დროის სინდისსა და გრანიტის უმძლავრეს ფუნდამენტებს, პოლ ელუარი ამგვარ დასკვნამდე მიდის: „ყოველი მათგანი უდიადესი ხმაა, მაგრამ ჩვენ, ჩვენი სისუსტის გამო ზოგჯერ ვამჯობინებთ ყური სხვა ხმებს მივუგდოთ, იმათ, რომელნიც უფრო სრულად გამოხატავენ ჩვენი ყოფიერების არამყარ ბუნებას და ამიტომ უფრო ადამიანურნი გვეჩვენებიან ისინი. ჩვენი სურვილია, პოეტებში დავინახოთ ჩვენივე მსგავსი ადამიანები, ჩვენი ძმები, რომელნიც ჩვენს მისწრაფებებსა და სრულყოფილების წყურვილს, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ტანჯვასაც, ჩვენს საერთო ადამიანურ ბედსაც გამოხატავენ".

ფრანგი პოეტის ამ სიტყვებში ეპოქის გულისთქმაა თითქოს გამხელილი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენი საუკუნე სულიერი დეჰეროიზაციისა და რომანტიკული ილუზიების მსხვრევის საუკუნეა, რომელმაც თითქოს მოამთავრა ღვთაებრივი სიჭაბუკის ამაღლებული სიზმრებით ტკბობა, რათა ცხადად ეხილა და განეცადა მიწიერი ვნებებით ალბეჭდილი ცხოვრების ამაოება.

ამ ამაოების თავი და ბოლო, მისი უსახური, გრანდიოზული დეკორაციების ერთადერთი ცოცხალი ელემენტი მაინც ადამიანი იყო და, ბუნებრივია, მას დააკვდა სამყაროს ცნობისწადილი. ადამიანის სულის მიმართ ერთგვარი „ბიოლოგიური" ინტერესები წარმოიშვა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მისივე შინაგანი იმპულსების ამოცნობა და წარმოდგენა.

ამასთანავე ერთად, რა უსახურიც უნდა ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიუო თვალწინ გადაშლილ მიწიერ ვნებათა სივრცე, ამაღლებულის სფეროებში ფრენით დაღლილ ადამიანის სულს მაინც აქ უნდა ეპოვა მოსასვენებელი.

ამ შემთხვევაში ერთი რამ არის კიდევ საინტერესო და ხაზგასასმელი, კერძოდ, ეპოქის საკრალურ შეგონებად გაცნობიერებული მოწოდება — „დაბრუნება მიწასთან“ სოციალურ და პოლიტიკურ ქაოტურ მოვლენათა ზუსტი სეისმოგრაფის როლს, მითუმეტეს, მის თავდავიწყებულ მეხოტბეობას კი არ გულისხმობდა, არამედ სამყაროს ბუნებრივი ჰარმონიის მიწიერ განცდას, რომელიც სევდის ელემენტითაა ყოველთვის გაჯერებული.

ასე და ამგვარად ჩნდება მიწაზე ორივე მუხლით დაჩოქილი სიმართლისა და სიწმინდის ტანჯული აღმსარებელი, ნუგეშის ერთადერთ ნავსაყუდლად სიტყვა რომ მიუჩნევია:

ნეტა იცოდე კითხვა, ჩიტუნავ, წაგიკითხავდი
„მგოსანს განწირულს“,
ყურს მიაპყრობდი ჩემს ფიქრთა ტუტუნს,
ფრთებს ჩამავლებდი სახრეგადაწნულს.
მეც ვწერდი ლექსებს ქარის ყაყანზედ,
ეს იყო ჩემი ძუძუ და ხსენი,
თუმც ნანგრევების ბნელ სამყაროდან,
თავი ვერაფრით ვერ დავიხსენი.
ჯერ კიდევ თითქმის დედიშობილას ტყის
ქარიშხლები მაცმევდნენ შავებს,
ეხლაც არ ვიცი ჩემი სამშობლო, რას
მერჩის ნეტავ, რა დავუშავე?!
მოდი აქ, სადაც ჩამფლავენ, ჩიტო,
არ შეკრთე, ძეგლი დაკრიჭავს კბილებს.
მიუალერსე, ნუ კი იტირებ, შენი
ნისკარტით დარგულ ყვავილებს.

მისი ცხოვრების აზრი ერთ სურვილშია თავმოყრილი — მისგანაა ყველა მისი ტანჯვა, ოცნება... შეცდომები...

მე ზევით ვახსენე, უფრო სწორედ კი, წარმოვიდგინე ნიკო სამადაშვილის პოეზიის ლირიკული გმირი, რომელიც ყველასაგან განრიდებული, საყდრის კედელს მიყრდნობილი მხურვალე სულისმიერ ხმებს ამოსთქვამს, იქვე, კარებს, საბრალო სახით მოსდგომია შორს დარჩენილი ბავშვობის ხატი, რომელიც თითქოს მისი სევდის განქარვებას ცდილობს. წამიერია მოქანცულ მზერაში არეკლილი ბავშვობის ხატი, მაგრამ ისიც საკმარისია უნაზეს ხილვათა გამოსახმობად:

გახსოვს — ბალები, სიმღერა, ქრქოლა,
ყვავილნარევი ძეძვის ორღობე,
ერთხელ რომ ლექსი გითხრა ტოროლამ,
და შენ ბავშვივით რომ მოიღრუბლე.
ტოლებთან ერთად მარწყვზედ შეხვედრა,
ცივცივი წყარო ჰალა, მინდორი,
ბინდში ნახირის მუნჯი ვედრება,
მდინარის გაღმა ვეება ქორი.
შექვავებული მთებზედ ცხვრის ფარა.
ჩვენი ზედა რუ და ეზო თქვენი,
კაკლის რტოებში გაჭრილი შარა
და დუესელი მესაფქვავენი.
იმ ეკლესიას თხელ ქონგურებით.
ვიგონებ თითქოს გული სველდება...
ნეტავ თუ კიდევ, ხატი, ურმები,
ოდესმე სადმე გამახსენდება?

მას კიდევ ერთხელ გაახსენდება ბავშვობის წელთა ვნება. ღრმადკოლორიტულია გარდასულიდან სულდამჩნეული ცოცხალი შეგრძნებები, სულითხორცამდე მშობლიური სევდიანი პეიზაჟის რაღაც უნაზესი თრთოლვა. ამ წიაღში დაბადებული განცდები, ნაღვლიან მელოდიასავით მწუხარებს და ითუთქება:

როგორ მინდოდა, აქ მოვმკვდარიყავ,
დურდლო სიცოცხლე კი ქარს წაეღო,
ქვებივით დამრჩა გულის საყარზე ჰადრების
ბინდი, კაკლების წენგო...
...წარსულს ჩამორჩი წარსულის ფერფლი,
მტკვარი გინებით სადმე გამრიყავს.
როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი,
როგორ მინდოდა იქ მოვმკდარიყავ.

სიკვდილის ასოციაციებით მოწნულ, შეუბღალავ და საბრალო ბავშვობის ხატს მიმწუხრის სამრეკლოდან დარეკილი ზარების ქვითინი მიაცილებს ცივი და ნისლოვანი უსასრულობისაკენ.

„...და ჟამი ჩვენი ცხოვრებისა, მეტი არა არის რა, თუ არა სრბოლა სიკვდილისაკენ, — ლაღადებს ნეტარი ავგუსტინე, — საცა არავის ეძლევა ნება წამით შეჩერებისა ან ნელი მოძრაობისა. უზენაესი თანაბარი ძალა აიძულებს ყველას, იარონ ერთი და იმავე ნაბიჯით“.

თითქოს შორეულ ხილვასავით ბუნდოვანია ახალგაზრდული წამის ელდა, როცა სიცოცხლის ყვავილოვნება თავისი სისავსითა და სურნელითაა გაბრუებული და არა აქვს შიში წარმავლობისა, როცა ფიზიკური სინორჩე გარდუვალი ქკნობისა და ფერთა კვდომისაკენ მიემართება, მიიჩქარის, მიჰქრის და მიფრინავს. რა ადამიანურია სინანული ამ დროს?

ვისაც გაუწყდა ლოცვით ილაჯი,
ჩასწვა ბავშვობა, ყრმობა, ვნებული,
ვისაც გრიგალმა ვერ ამოგლიჯა
წყვდიადი მკერდზე დამაგრებული...

საგულისხმოა, რომ წარსულისაკენ მთელი არსებით მიბრუნება მხოლოდ ეფემერული სურვილი იყო. თავისი ღრმად რომანტიკული ბუნების გამო წარსული ხშირად ქცეულა სიცო-

ცხლეძდაშრეტილი და უნაყოფო სულის საიმედო თავშესაფრად და დაუსრულებელ ცრემლთა ფრქვევის საგნად.

გარდასულის ხელოვნური ძალისხმევით შეკოწიწებულ, ამიტომაც გაქვავებულ და უსიცოცხლო ნანგრევებში დაუსრულებელი ხეტიალი იმ მოგზაურთა აღტყინებულ გულუბრყვილობასა ჰგავს, განცვიფრებულნი რომ შესცქერიან მთათა სიმაღლეებს, ზღვის უზარმაზარ ტალღებსა თუ ოკეანეთა უსაზღვროებას და ამ დროს, უმოწყალოდ სტოვებენ საკუთარ თავს, ავიწყდებათ რა, რომ არაფერია საკუთარ სულზე საოცარი, დიადი და ამაღლებული (ნეტარი ავგუსტინე).

პოეტისათვის ბავშვობა ჩვრებში გამოკრული მოწყენილი თოჯინა არ არის, რომელსაც ხელოვნური გრძნობამორევით მკერდზე მიიკრავს, მიეალერსები და კეთილი ზღაპრების მოყოლით დაამშვიდებ.

ბავშვობა მისი ტკივილების ცოცხალი ფესვია, ცხოვრების მწარე გაკვეთილების პირველი უმანკო მსხვერპლი და ამიტომაც, მისი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ორგანული ნაწილი.

ამდენად, ბავშვობის იდილია კვლავ ირაციონალური ხილვების ბურუსში უჩინარდება და სულიერი ცხოვრების მღელვარე ტალღებს ერევა...

„თავისი სისტემის დეფექტებში, ადამიანმა ამოსწურა ყოველივე ის, რაც მას ადამიანად აქცევს. შემგუებლობის არასრულყოფილება, მოშლილობა და ცდომილება ადაპტაციისა, სხვადასხვაგვარი დარღვევანი და ზემოქმედებანი იძულებულს ხდის მას „ირაციონალზე", ილაპარაკოს, მან იგი კურთხეულმყო, მასში თავისივე სიღრმე და, იმავ დროს, უცნაური პროდუქტი აღმოაჩინა „მელანქოლიის" სახით, რომელშიც დრო და დრო, აწ უკვე გაუჩინარებულ ოქროს საუკუნეთა თუ რაღაც იდუმალი ხვედრის წინათგრძნობა ხმიანობს.

ყოველგვარი ემოცია, ყოველგვარი გრძნობა ადაპტაციის ხარვეზს მოასწავებს. იმას რასაც ცნობიერებასა და გონს ვუწოდებთ ამ ნაჩვრეტებში იდგამს ფესვს და იზრდება.

ადამიანში ზეადამიანურია ის, რომ იგი ამას შეეჩვია. აქედან, ძიება და ქმნა ემოციისა, თავის დაკარგვისა თუ თავბრუდახვევისაკენ, სიმშვიდის დარღვევისა და გაქრობისაკენ სწრაფვისა. და მაინც ხან აქ, ხან იქ ჩნდება ცნობიერების წარტაცვის, უკულმართი ხედვის და ილუზორული სახეების ფიზიოლოგიური მოთხოვნილება — ვინძლო აღსრულდეს სიყვარული, ურომლისოდაც გაქრებოდა ადამიანთა მოდგმა". ვალერის ამ ანალიტიკურ რეფლექსიებში იმ ლიტერატურული სიტუაციის წვდომის შედეგია გაცხადებული, რომლის ესთეტიკური კულტურა ირაციონალურ მხოფლშეგრძნებას ითვალისწინებდა.

სიმპტომურია, რომ სინამდვილესთან შეუგუებლობის კომპლექსმა თანამედროვეთა მხატვრულ ცნობიერებაშიც გაიდგა ფესვი.

ირაციონალურ ხილვათა სამყარო, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი იდუმალი ხვედრის ილუზორული სახეებით მოდელირება.

შენ დაგმარხავენ ბინდების ლხინით,
სამრეკლო აშლის მღელვარე მტრედებს;
დაუშენს წვიმა, შორს ბალადახინი დიდხანს
იკვნესებს და იჩერჩეტებს.
ფუტურო სხეულს გულის სიზმარი შერჩება,
როგორც გოლგოთის თხრილი,
სისხლზე შემხმარი ძვლების ჩინჩხვარი და
მოგონება ნისლივით გრილი...
...წყვდიადი მძიმედ დაუშვებს ფარდებს,
შეწყდება ფერად ჭინკების ბრძოლა.
გულს შეგიხუთავს ძეძვივით დარდი,
და ჯოჯოხეთის პირქარი ხრჩოლა.
დაუხვევ ბილიკს ზურგგატრუსული,
თვალს შეგავლებენ ქვესკნელის წყლები,
წინ ჩაგივლიან მკვდრები კრუსუნით,
როცა ქვებშორის წამოგაწყდები...
...„გარეთ გადაყრილ ნაცარსა ვგავდით"
თან იტყვი: „იქნებ ღმერთმა ინება"...
ჩაიქნევ მკლავებს და იქვე გვერდით
ცრემლებთან ერთად ჩაგეძინება.

პოეტის ამგვარი ვიზიონები ხაზგასმული ინდივიდუალობითაა აღბეჭდილი და, რაც მთავარია, გაცვეთილი პოეტიზმების გადამღერებას არ წარმოადგენს. ამ მომენტს იმიტომ აღვნიშნავ, რომ ნიკო სამადაშვილის პოეტური აზროვნების სისტემა რადიკალურად ემიჯნება ჩვენი მაღალი პოეტური კულტურის მიერ დამკვიდრებულ და, სამწუხაროდ, უკვე სტერეოტიპებად ქცეულ გრძნობადემოციურ ფორმულებს.

არაფერია უფრო საბრალო და უფერული, ვიდრე მზამზარეული თემებითა და სახეებით მანიპულირება. ამიტომაც სასიამოვნო მოულოდნელობაა ამ საერთო ფონზე ჭეშმარიტად თვითმყოფადი პოეტური სამყაროს აღმოჩენა.

საოცარი თავისუფლება, საკუთარი თავისადმი უსაზღვრო ნდობა, შინაგანი რწმენა იმისა, რომ პოეტის ნება ვერ აიტანს პირობითობის ვერც ერთ გამოვლინებას... ასეთი იყო შეუვალობით გაკერპებული მისი გულისთქმა.

რა ექნა, იყო ქვა თუ ზეკაცი, ვისთვისაც
ზეცა დაპატარავდა.
ვისაც არ ჰქონდა სარკმელი მზისკენ და
რიყერაყეებში შუქს იპარავდა.
რა ექნა იმას, მგზავრო, მითხარი, ვინც
ძვლების ცეცხლი ვერ დაიყოვნა
ვინც იწანწალა მიწაზე დიდხანს და თავის
ჩრდილიც ველარ იპოვნა.

ეროვნული

ვინც ამ ხრიოკებს ყნოსავდა მარად,
ვით ტყის ნადირი, ვით საყდრის გლახა.
ვინც მთებს ზევიდან მოსდევდა ბარად,
რომ გზებს შეჰყროდა და ევაგლახა...
...რა ექნა იმას, ვინც ქვესკნელშიაც
სივრცეებს თვალი ვერ მოარიდა.
ვინც პირქვე ეგდო და სიცოცხლიდან მერე
ვარსკვლავებს გალმა გაფრინდა.

როგორი ეულიც უნდა იყოს ადამიანის სული, გარესამყაროსთან რა შეუთავსებლობაც უნდა სტანჯავდეს მას, შეუძლებელია, თუნდაც წამიერი არსებობის მოკრძალებული უფლებით, მოწყვეტილი ყვავილის ჩუმი ოხვრით არ ამოიგმინოს სიყვარულის მივიწყებულმა გრძნობამ — თვითონაც მარტოსულად მოვლენილმა, დამიწებულ ანგელოზად ქცეულმა და მათხოვარივით კარდაკარ მოწანწალემ.

უაზრობაა ფიქრი იმაზე, მობყვება თუ არა პირველად განცდილი სიყვარულის ელდა და სიხასხასე ცხოვრების მრავალ „სიამეთა“ სიმძიმით დაჩეჩქვილსა და გრძნობადაცლილ ჩვენს გულებს.

...იგი არ იკარგება და ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ მწიფდება ჩვენში დიდი და კეთილი სურვილები... ოცნებებიც, რომელთაც უფრო ხშირად აღარ ეღირსებათ ხოლმე სრული გაფურჩქვნა და ჭკნობაშეპარულთ თუ გაფითრებულთ ძილი ეპარება.

ის, ენითუთქმელი ნეტარი გრძნობა იმიტომ აფორიაქებს და სასიამოვნოდ აკრთობს ჩვენს მოგონებებს, რომ ის იყო ჩვენი პირველი ღრმა მარტოობა, რომელმაც უცნაური ძალით გააღვიძა სულის სულსხვანაირი ამოძრავების სურვილი.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ რა შინაგანმა სულიერმა ქარტეხილებმაც არ უნდა იბობოქრონ ადამიანში, მისი გასალკლდევებული არსებიდან ღვთაებრივი ძალა მაინც ამოაცენებს ღრმადდამარხული სიყვარულის სევდაშეპარულ ფერმკრთალ ყვავილს, მიაბრუნებს მისკენ და ჩურჩულით ათქმევინებს გამაბრუებელ მოგონებათა სევდიან ზღაპარს.

დავილეულპები; ჩაყოლილი ხსოვნებს ოდესმე
სადმე გაეღვიძებათ.
ჩვენ ვისაუბრებთ იმაზე დიდხანს, რაც
სიცოცხლეში არ შეიძლება.
ჩემი ლექსები შენს მწველ უბეში
ბელურებივით იფართხალებენ.
და ერთხელ მაინც, ჩემო ნუგეშო, იქ,
სამარეში გამახარებენ,
დამედებიან მკერდზე ღუღუნით,
ამოკენკავენ ჩემს გულს შენს თვალებს,
შეესევიან მერე უკუნეთს და უკუნეთიც
კი ივალებს.

ეს, რა თქმა უნდა, არ არის მოსაბეზრებლად გაჭიანურებული, დაუსრულებელი ზღაპარი, რომელსაც ხშირად, არც თავი აქვს ხოლმე და არც ბოლო. იგი უფრო ამაღლებული გრძნობის სევდიანი გამოძახილია, რომელიც ერთადერთ იმედად მიაცილებს მარადიულ სასუფეველში მიმავალს.

ნიკო სამადაშვილის პოეზიის თემატური რეპერტუარი არ არის მრავალფეროვანი და მიუხედავად ამისა, უფრო სწორად, იქნებ ამიტომაც ღრმა და საოცრად გულწრფელია.

მისთვის უცხოა, ან თითქმის უცხოა, დროის კაპრიზების მიმართ ხარკის გაღება. მაგრამ ის, რაც მისი ბუნებრივი სულიერი მოთხოვნილებიდან ამოდინდება, არასოდესაა უნდილი თუ მკვდრადშობილი.

რაოდენობრივი თვალსაზრისით ერთობ ღარიბია თუნდაც მისი ე. წ. „სატრფიალო ლირიკა“, მაგრამ საოცარია, რომ, თვით ორიოდე ლექსიც კი გაგრძნობინებს ამ სულიერი „ანახორეტის“ უნაზესი გრძნობების ქროლვას. რა ჯიუტიც არ უნდა ყოფილიყო ამ „ცელქ სიოსთან“ ჭიდილის ვნება, იგი ალბათ მაინც სასიამოვნოდ ელამუნებოდა სიგრილის ნეტარებას გადაჩვეულს.

...ხან გუგულის ხმა დაგიძლევია და,
მომხვევიხარ ყელზე — სიბრალულს,
ღმერთო! რამდენი რამ შესძლებია პირველ
ქრუანტელს, პირველ სიყვარულს.
როგორ მიწყნარდა ქუქუნი ბედის,
როგორ გადახმნენ ეზოს თელები!
ხედავ, კუკურში როგორ დავბერდი და
გამოწვდილი დამრჩა ხელები...

ხომ უამრავზე უამრავია პოეტური ვარიაციები სიყვარულის თემაზე, ხომ არ დარჩენილა ნეიტრალური ამ გრძნობის მიმართ სიტყვის არც ერთი ოსტატი, მაინც ახლად მოსული ბალახის უმანკო სიმწვანით მშვენივრობს ამ ლექსში „აბიბინებული“ ემოცია. ბუნებრივია ხაზგასმა იმისა, რომ ამ ლექსს ძალასა და შინაგან ენერგიას პირველყოფილი სისუფთავე და სიტყვის უნიკალური განცდა ანიჭებს. მისი ელეგიური პათოსი, სულის შინაგანი მდგომარეობაა, რომლისთვისაც აღარაა ძნელი, ცინცხალი მჭევრმეტყველების ჰანგზე აამღეროს თავისუფალი წარმოსახვა. გარეგანი ანტურაჟი შინაგანი სიცოცხლის სიმბოლური გამოხატვის ასპარეზია, რომლის წიაღშიც იგი რევერანსის გარეშე გამოხატავს ვრცელი, ნათელი, ღირსეული და კეთილშობილური სულის ხასიათს. მისი ინდივიდუალობის უპირველესი ნიშანი, ამ შემთხვევაშიც ის არის, რომ იგი თავისში ატარებს გაუბზარავი რწმენისა და პოზიციის ერთგულებას, რასაც ზოგჯერ თვით ლექსის კეთილხმოვნებაც კი ეწირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის მისი მხატვრული სტილი რაფინირებული და სრულქმნილი, მაგრამ საოცარი ისაა, რომ არასრულქმნილებაშიც ძალუმად წარმოჩინდება მაღალი ნიჭით აღბეჭდილი ნაივური პოეზიის ფრიად ორიგინალური იერსახე.

ხომ ნათელია, რომ პოეზიისათვის სიყვარულის გულწრფელი განცდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უმაღლესი მხატვრული ოსტატობით გამოძერწილი უსიცოცხლო ბუტაფორია, რომელსაც ყალბი აღმაფრენით „პიროფლიანი" პოეტი სიყვარულს შეარქმევს.

საგულისხმოა, რომ ნიკო სამადაშვილი მაშინაც გულუბრყვილოდ გულწრფელია, როცა ერთადერთი, ალბათ, ბოლომდე გაუცნობიერებელი ლექსით, თავისი ხმა შეუერთა დროჟამის აპოლოგეტთა ყალბ აღფრთოვანებას. საქართველოსადმი მიძღვნილი ეს ლექსი, ჩვენი ქვეყნის დუხჭირი წარსულის წარმოდგენით იწყება. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსული, როგორც საშინელი კოშმარი, ცრემლი და მწუხარება, ყოველგვარი გამონათებისა და სულის მოთქმის გარეშე. პოეტის აღფრთოვანება იქიდან იწყება, როდესაც დგება ამ ჯოჯოხეთური ყოფის აღსასრული. პატარა კახის ეპოქალურმა მოწოდებამ („სლავებს ეძმეთო") შესძლო ეს. ამის შემდეგ სამოთხედ გარდაისახა ყოველივე და ალარაფერი დარჩენია ამ უსაზღვრო ბედნიერების შემხედვარე მგოსანს, გულით რომ უმღეროს „ურიცხვ წალკოტებსა" და „ფერად შადრევნებს".

ხომ ბავშვური წარმოდგენებითაა გაყალბებული ჩვენი ერის ისტორია, მისი გუშინდელი და დღევანდელი ცხოვრება, მაგრამ მთავარი ეს არ არის, ამას ბევრი მასზე სახელოვანი თანამოკალმეც მშვენივრად აკეთებდა. უცნაური ის უფროა, რომ თვით ისეთი არაკონტაქტაბელური, მარტოსულობით გამორჩეული, დროისა და სივრცის ტანჯული მსხვერპლი და ირაციონალურ ხილვათა თავდავიწყებული მეხოტბე, თუმც წამიერად, მაგრამ, მაინც დააბრმავა „ქვეთილდღეობის" კაშკაშა ეიფორიამ.

ისიც მისი უკომპრომისო ბუნების გამოვლენაა, რომ მხოლოდ ამ წამიერი ცდუნებით მიიხურა ქვეყნის „საერთო ბედნიერებისაგან" შემოზღუდული სამყაროს მძიმე კარები. ამ მხრივაც იშვიათად მოეძებნება მას ანალოგი.

მოთმინებით გაასრულებ რა ნიკო სამადაშვილის სულიერი მარტოობის ამ სევდიან ქრონიკებს და უკანასკნელ ფურცელს დააყრდნობ ცხოვრების მომაბეზრებლად ერთფეროვანი საზრუნავისაგან დაღლილსა და დაქანცულ მზერას, ფიქრებს თავმიცემულმა ერთი რამ არ უნდა დაივიწყო, საბოლოო მსჯავრის გამოსატანად წინ მიდევნებული ლამპარივით, ადამიანური გულის სითბო, ანუ სხვისი ტანჯვის გაზიარების დაჩლუნგებული გრძნობა გამოაფხიზლო, აგრერიგად მომრავლებული მხატვრული უსახურობის მტვერი ჩამოიბერტყო და მხოლოდ ამგვარად „განწმენდილმა" განჭვრიტო პოეტის ყოფნა-არყოფნის საბედისწერო პერსპექტივა.

ჩვენ (და ალბათ არა მარტო ჩვენ) გვჩვევია ამ წუთისოფლიდან წასული, ჩვენივე უყურადღებობით გულმოკლული კაცისადმი დაგვიანებული გუნდრუკის კმევა, სინანულისა და უსაგნო სიყვარულის მოძალება; და თუ ეს სანტიმენტალიზმი უილბლო პიროვნების მიმართ, ასე თუ ისე, კიდევ გამართლებულია, ველარავითარ შეღავათებს ველარ დაენდობა თუნდაც იობის ტანჯვით გაწამებულის სულიერი ნალვაწი. დროის შეუბრალებლობა, ყველაზე უფრო მეტად ადამიანთა მოღვაწეობის იმ სფეროს მიმართ იჩენს თავს, რომელიც სულის სიტყვად ქცევას ითვალისწინებს. აქ იგი, როგორც წესი, უკომპრომისო და შეუვალია.

შემოქმედთა ახლო წრეს და ამ მიზეზით მათ ქმნილებათა ბრმა ალმსარებელთ, მხოლოდ დროებით შეუძლიათ შეაყოვნონ მოჩვენებითი ცხოველმყოფელობით აღბეჭდილი ფსევდოპოეტური სამყაროს კვდომა. ფიზიკურად გაქრება ეს თაობა და მათთან ერთად გაუჩინარდებიან მათი თავგამოდებული აპოლოგიის ობიექტებიც.

მე ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ქართველი მკითხველის, უფრო სწორად კი, პოეზიის თაყვანისმცემელთა თვალსაწიერი კიდევ ერთი, ჭერ კიდევ გულდინჯი დაგემოვნების ფაზაში მყოფი პოეტური ნალვაწით შეივსო, თუ არ გავითვალისწინებთ ორიოდ, ჩემის აზრით, გულწრფელი ობიექტურობით აღბეჭდილ ქომაგს, მან სრულიად ბუნებრივად შემოაბიჯა განუკითხაობის ბურუსით მოცულ თანამედროვე პოეზიის საბრძანებელში; მშვიდად, ყოველგვარი მუჯლუგუნების გარეშე (იგი ამას, გარდაცვლილი ველარც მოახერხებდა) ჩამოჯდა თითქოს ახალმოსულთათვის განკუთვნილ სახელდახელოდ გამოჩორკნილ სკამზე და ასე და ამგვარად, მდიდრული სავარძლების ჩამყუდროვებულ ბინადართაგან შორს დაყურსული ელოდება დღესაც ობიექტურ მსჯავრს.

რა თქმა უნდა, მისი მოსვლით ქართული პოეზიის ცაზე სულაც არ გაბრწყინებულა კიდევ ერთი თვალისმომჭრელი ვარსკვლავი, პოეზიაში ახალი გზებისა და თუნდაც ბილიკების გამკვალავი. ამგვარი რამ, ბარე ორიოდ შემოქმედმა თუ შესძლო (კურთხეულ იყოს მათი სახელი!) და ეს, მრავალთათვის მწარე სინამდვილე, გვინდა, თუ არ გვინდა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

რაც არ უნდა ვმალო, ამას სხვებიც მშვენივრად შენიშნავენ, რომ ნიკო სამადაშვილის ლექსებში გაბნეული, მართლაც რომ უნიკალური პოეტური სტრიქონები მოჩუხჩუხე წყაროსავით არ მოედინება, რომ მისი მხატვრული აზროვ-

ნების ქსოვილი უხერხულად ამოკემსილის შთაბეჭდილებასაც სტოვებს შიგა და შიგ, რომ კომპოზიციური თვალსაზრისით არასაკმარისად შემჭიდროვებულია, რომ სულის, რაღაც სტიქიური, ამაღლებული ფართქატი ხშირ შემთხვევაში უფრო მეტია, ვიდრე თანმიმდევრულობა და სიღრმე; რომ ის უფრო თავდავიწყებული მეოცნებეა, ვიდრე მოაზროვნე და მხატვარი... სულო ცოდვილო, და იქნებ ამიტომაც არის იგი ასე ბუნებრივი, ასე გულუბრყვილოდ პოეტური და შინაგან გულისძახილს ჭიუტად მინდობილი.

რაღაც კარგახნის დაკარგული და დავიწყებული, საოცრად ქართული სურნელითა და კოლორიტით, ეროვნული რელიგიური განცდის ბუნებრივი კდემამოსილებით და ინტიმით იგი ორგანულად ერწყმის ჩვენს სურვილებსა და წარმოდგენებს.

მას არა აქვს, და ვერც ექნება პრეტენზია (სხვა მისთა მსგავსთაგან განსხვავებით) იმისა, რომ გრანდიოზულ, მაღალგუმბათოვან ეკლესიად წარმოიდგინოს თავი, რომლის სივრცე მორიად სანთელთა ციაგით, მგალობელთა ტკბილხმოვანებით და მრავალრიცხოვანი მრევლის სულისგამწმენდელი ჩურჩულითაა გახსივოსნებული. სულის ამ დიდ ტაძართა ნაკლებობას, მადლობა ღმერთს, არ განიცდის ქართველი ერი.

მაგრამ იმასაც ხომ მშვენივრად ვგრძნობთ, ეროვნული სულის რა მყუდრო ოაზისებივით დგანან (ჯერ კიდევ დგანან) ქართულ მიწაზე ძველთა მადლიანი ხელით ნაგები სადა, მაგრამ საოცრად მეტყველი საყდრები. არ არიან ისინი, მშობლიური პეიზაჟების მხოლოდ გაქვავებული დეტალები. ყველაზე მეტად მათთან სიახლოვე გაგრძნობინებს დადუმებული წარსულის მშობლიურ ინტიმს, აქ შემოვა შენში ცივილიზაციის დაელექტროებული ველიდან გამობობლვის და ეროვნულ ფესვთა სურნელში თავდავიწყებული დანთქმის სურვილი. აქ, სადღაც უცხო შორეთიდან შინდაბრუნებულივით უხარია სულს და გრძნობს, რომ გაუნელებელი იქნება მათდამი შენი ნოსტალგია.

საყდრის ამ პირველყოფილი სისუფთავითაა აღბეჭდილი ჩემთვის ნიკო სამადაშვილის პოეტური სამყარო. მის დაბინდულ წიაღში შესულთ, პოეზიით განაწამების წრფელი და უშუალო მონოლოგები მოუთხრობენ კიდევ ერთი ტანჯული სულის ცხოვრების ამბავს. თუ როგორ ბავშვურად სჯეროდა, წარმოსახვის თავისუფალ ფრთებს მინდობილს, ყოველივესი რაც განიცადა.

და მართლაც, მას უკვე აღარ შეეძლო დაეჯერებინა, რომ ცხოვრება, ტანჯვა და საკუთარი თავი, მრავალთა და მრავალთა მსგავსად, მხოლოდ გონებრივი ვარჯიშების საგანი უნდა იყოს და არა შენივე სიღრმიდან ამოვარდნილი იმპულსი. მან ალბათ კარგად იცოდა უსამართლობის, სიმდაბლის, ტირანიის და საერთოდ ყოფიერების მთელი სიბილწისა და ზნეობრივი სიმყრალის ფასი (ამიტომაც იყო [illegible] წარკვეთილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მან არ იცოდა და ვერც ისწავლა მრავალთათვის ცნობილი პრაქტიკული სიბრძნე — თუ გინდა იცხოვრო, უარი უნდა თქვა, ნათელი წარმოდგენა იქონიო რაიმე ღირებულსა და მნიშვნელოვანზე, რადგან უიმედოა ფიქრი არსებითის შეცვლასა და უკეთესის მოლოდინზე.

ცხოვრების ამოუცნობ უძირო სიცარიელისაგან შეძრწუნებულის კოშმარულმა ხილვებმა შეიპყრო ეს უნაზესი პოეტური სული და უმწეო მსხვერპლივით სძიძგნა და ათრია იგი.

„არასერიოზული ადამიანები — სწერდა სკეპსისით სულითხორცამდე გათანგული ფლობერი — შეზღუდულნი, თვითდარწმუნებულნი და ატაცებულნი, წყურვილშეპყრობილნი არიან ამ ქვეყანაზე ყველაფრისაგან რაღაც დასკვნები აკეთონ. ისინი ცხოვრებაში ეძიებენ აზრს და სურთ უსასრულობის შეცვლა. თავისი საცოდავი ხელით ისინი ჩაბღუჯავენ ხოლმე ქვიშის პეშვს და მიმართავენ ოკეანეს — „აი, ახლა, შენს ნაპირებზე მე ქვიშის მარცვლებს დავითვლი" და რადგან მარცვლები თითებშუა ცვივა და დათვლა — დიდი ხნის საქმეა, ნერვიულად აბაკუნებენ ფეხებს და სტირიან. იცით ნაპირზე რა უნდა აკეთოთ? მუხლი მოიდრიკოთ ან ისეირნოთ, ისეირნეთ.

არც ერთი დიდი გენიოსი არ ცდილა გამოეტანა დასკვნები; არც ერთი დიდი წიგნი ამას არ აკეთებდა, რადგან თვით კაცობრიობა განუწყვეტლივ მოძრაობს, არ გამოაქვს რა არავითარი დასკვნები. ამას არ აკეთებდნენ არც ჰომეროსი, არც შექსპირი, არც დანტე, არც გოეთე, არც თვით ბიბლია. აი, ასე ღრმად რატომ აღმაშფოთებს დღეს აგრე რიგად მოდური სიტყვანი — „სოციალური პრობლემა". ის დღე, ოდეს იგი გადაწყდება, ჩვენი პლანეტის უკანასკნელი დღე იქნება. ცხოვრება — ეს მარადიული პრობლემაა, ვითარცა ისტორია და სხვა ყოველივე დანარჩენი. საკრები უსასრულოდ მატულობს.

როგორ შეიძლება დაითვალო ბორბლის წკირები, როცა იგი ტრიალებს? მეცხრამეტე საუკუნე თავდახსნილის მზვაობრობით წარმოიდგენს, თითქოს მზე აღმოეჩინოს. ამბობენ, მაგალითად, რომ რეფორმაციამ მოამზადა საფრანგეთის რევოლუცია. ეს სწორი იქნებოდა, საქმე ამით რომ დამთავრებულიყო. მაგრამ ეს რევოლუცია, თავის მხრივ ხომ შემზადება იყო რაღაც სხვა მდგომარეობისათვის. და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

...სწორედ იმიტომ, რომ მე მჯერა კაცობრიობის განუწყვეტელი ევოლუციისა და ფორმათა ცვლისა, მეზიზღება ყოველგვარი ჩარჩოები, რომელშიაც ძალით ცდილობენ მოაქციონ იგი, მეზიზღება ყველა განმარტება, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მას ეძლევა, ყველა გეგმა, რომელსაც ოცნებებში მისთვის აგებენ. დემოკრატია — ეს ჯერ კიდევ არ არის მისი საბოლოო სიტყვა, ისევე როგორც არ იყო უკანასკნელი მონობა, ფეოდალიზმი, მონარქია. ადამიანის თვალით აღქმული ჰორიზონტი არ შეიძლება აღმოჩნდეს ნაპირი, რადგან მის იქით იხსნება ახალი ჰორიზონტი, და ასე უსასრულოდ! ამგვარადვე, არგაგონილ სისულელედ მიმაჩნია საუკეთესო რელიგიისა და საუკეთესო მთავრობის ძიება. ჩემთვის საუკეთესოა ის — რომელიც უკვე აგონიაშია, რადგან მან სხვას უნდა დაუთმოს ადგილი".

იქნებ, გულუბრყვილოდ ატაცებულმა ძალიან შორს გავუტიე და ციტატომანიის ეშხმა დამძლია. გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ დიდებული ფრანგი მწერლისა და მოაზროვნის ამ ჩანაწერმა გონებაში გამომწყვდეული ფიქრები აშალა, და იმ შორეული წარსულიდან ჩვენი ხინამდვილის მღელვარე სივრცეში შემოაფარფატა.

საოცარია, რას არ მოემიდება ზოგჯერ ცხოვრების უცნაურ კანონზომიერებათა გაუვალ, ბურუსში უმწეო ხელისცეცებით მავალი გონება... წყალწაღებული რწმენისათვის ზოგჯერ ხავსიც იმედია, და ვერავითარი ბრძნული შეგონება ვერ აიძულებს საშველად ხელი მისკენ არ გაიწოდოს...

ამ ვრცელი ამონაწერის ერთი მომენტია ჩემთვის ნიკო სამადაშვილის პოეტური პორტრეტის ხატოვანი განმასახიერებელი.

მე მას — ცხოვრების ვრცლად გაშლილი ოკეანის პირასაც ვხედავ, მუჭში სათუთად მომწყვდეული პეშვი სილით საბრალოდ მდგარს, ჯიუტი ვნებიანობით რომ ითვლის მარცვლებს და ეცლება რა იგი ხელიდან, სასოწარკვეთილი ამ გულუბრყვილო გატაცებით, გულამომჯდარი ტირის და მწუხარებს.

ასეთი ყოფილა არაერთი ხელოვანის, უფრო კი პოეტის ბედისწერა და არავინ იცის ამ მწარე ილუზიაში, რამდენი რომანტიკა და სულიერი თრთოლვის შესაძლებლობებია დაფარული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია არჩაძე

# კეთილი სილამაზე

რევაზ ინანიშვილის „მთვარის ასული“ პატარა მოთხრობების, ნოველებისა და ჩანაწერებისაგან შემდგარი, ერთი მთლიანი, იდეურ-მხატვრულად მაღალ დონეზე შესრულებული კრებულია. ამ მოთხრობებს, ნოველებსა და ჩანაწერებს (ეს უკანასკნელი გაერთიანებულია სათაურით — „ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან“) „ლამაზი სულის ძახილით“ მოპოვებული სიკეთე აერთიანებს.

„ახლა სული მტკივა და ამ ტკივილების დაყუჩებას პატარ-პატარა სიკეთეების გამოჩენებით ვცდილობ. ძახველი უნდა მოვკრიფო, ქალაქში ჩავიტანო, ქალაქში დედები მის წვენს ბავშვებს გამოუწურავენ, შაქრით დაუტკბობენ და ბავშვებს ხველებას მოაშორებენ. რატომ მტკივა სული? მეჩვენება, რომ ქვეყნად სიყვარული კლებულობს“ („ქარი ნოემბრის ტყეში“). უპირველესი და უმთავრესი, რასაც მწერალი ემსახურება და რითაც ეს წიგნი მკითხველის ყურადღებას იპყრობს, ქართული ბუნებისა და ხასიათის ჩვენებაა. რევაზ ინანიშვილთან ჯერ კიდევ თვალნათელია მინდვრისა და საქონლის სუნით გაჟღენთილი ჰაერის მონატრება. „რაც უნდა გაქალაქებული იყოს ჩვენი ქალი, რაც უნდა უცხოობას გადევნებული, უცხო ენებში ჩაბუჟბუჟებული, დაჰკრავს მინდვრისა და საქონლის სუნი და ცვილივით დაურბილდება ფეხები“ („მინდვრისა და საქონლის სუნი“). ქართული სოფელი რევაზ ინანიშვილის საუფლოა. სოფელი ჩვენი მამა-პაპის კერაა, წინაპრების სახლია, და ამიტომაც განსაკუთრებით სამაგალითოა ზნეობრივი თვალსაზრისით. რაც შეეხება შვილებს, მათი კავშირი სოფელთან მჭიდრო აღარაა, რადგან ისინი იქ მხოლოდ თვალისა და გულის გადასაყოლებლად მიდიან. რევაზ ინანიშვილის მოთხრობებისა და ნოველების პერსონაჟები ხშირად მხოლოდ მოგონებებით გადადიან: „სადაც ორღობე გატვრენილია, სუნთქვა შეკრულია ჩასაფრებული მამაკაცივით.

ცნობისწადილივით იჟუიტებიან მხოლოდ ასკილები („ქება ქართული ორღობისა“). რევაზ ინანიშვილი ქალაქის თემებსაც შესანიშნავად ამუშავებს, მაგრამ, მთლიანობაში, მისი „ზნეობრივი სამყარო“ ამ სიტყვის ფართო გაგებით, ქართული სოფელია.

„იგი დინჯია და დაკვირვებული, მშობლიურ ნიადაგთან გულისა და გონის მძიმე ღუზით დაბმული, ამ პოზიციიდან ჰვრეტს პოეტური საბურველით შემოსილი თავის დარდიან „ანტიურბანიზმს“ (ოტია პაჭკორია).

სიკეთე, რომელიც რევაზ ინანიშვილის გმირთა ხასიათიდან ბუნებრივად მოედინება, მშობლიური ნიადაგით იკვებება.

რევაზ ინანიშვილის კონცეფციით, სიკეთე მაღალზნეობრივი და მაღალეთიკური ცნებაა, რაც მის ნაწარმოებებში განყენებული სენტენციების სახით კი არ იკითხება, არამედ მისი ნაწარმოებების სიღრმიდან და სახეობრივ-მხატვრული წყაროდან მოედინება, როგორც ადამიანის სულიერი სილამაზისა და მშვენიერების დამამტკიცებელი. მშობლიური მიწისა და ბუნების სიყვარული ის ჭეშმარიტი გრძნობაა, რომელიც ადამიანს ცხოვრების ძნელად სავალ გზას უადვილებს. ამიტომაც, მასთან ზნეობრივია ის, რაც ეროვნულია და პირიქით. სიკეთე რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ყოველი ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ანდა, უფრო სწორად, უნდა იყოს. მისი გმირები სწორედ ბუნებრივი სიკეთით ცხოვრობენ და საზრდოობენ. „მთვარის ასულის“ წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება, რა დიდი ძალა და ფასი ჰქონია სიკეთეს, მაგრამ აქვე იმის საშიშროებაც არსებობს, რომ სამყარო, თურმე, ამ პატარ-პატარა სიკეთის მარცვლებითაა მოფენილი და მათი თავმოყრა ერთ წიგნში თუ შესაძლებელია, ცხოვრებაში მეტად ძნელია.

„კეთილი სილამაზე ძალიან ცოტაღა დარჩა ქვეყანაზე და ოქროს მარცვლის პოვნასავით განვიცდი ყოველი პაწაწინა ნიმუშის აღმოჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას („მოხუცი მწერალი“). მოხუცი მწერალი წარმოთქვამს ამ სიტყვებს, რომლებიც, ჩვენის აზრით, რევაზ ინანიშვილის ძირითადი მორალურ-ეთიკური კრედოა გახსნილი.

„მთვარის ასულში“ უპირველესი სამშობლო მიწასთან, მის ისტორიულ წარსულთან „სასიცოცხლო და აუცილებელი კავშირია“. სამშობლო მასთან კონკრეტულ მოვლენებსა და ფერებშია დანახული. წარსული ისტორიად იქცა, მოგონება კი დარჩა. საგანგებოდ გვინდა რამდენიმე ნოველაზე შევჩერდეთ, ეს ნოველებია: „დავითის ხმალი“, „შატილი“, „ციხე“.

„დავითის ხმალი“ საქართველოს ძნელბედობის ხანაზე მოგვითხრობს, საქართველოში მონღოლები ბატონობენ. „წელი იყო ათას ორას ორმოცდაათი, თვე — ქრისტეშობის, დეკემბერი, წვიმიანი შელამება, წვიმაში თოვლსაც ურევდა“. საქართველოს სოფლებს მძიმე დღეები ადგა. სამი ქართველი ყმაწვილი: ნათე, ბექა და სეზარი სოფელ რცხილასიდან ისე უნდა გავიდნენ, რომ მონღოლებმა არ შენიშნონ. სეზარმა დავითის ხმალზე უნდა დაიფიცოს. დავითის ხმალზე დაფიცებას, როგორც ნოველიდან ვიგებთ, უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. მოხუცი აგაბოსა (ამ უკანასკნელის ქოხში ინახება დავითის ხმალი) და ბიჭებს შორის შემდეგი დიალოგი იმართება:

— დავითის ამბები გაუგონია?

— გაუგონია? — ღიმილით მიუბრუნდა წათე სეზარს.

სეზარმა მორცხვად ჩაღუნა თავი.

— გაუგონია.

— ახა, ერწუხის ომისა?

— ცრწუხის ომისა, სეზარ.

— სეზარს მისჩერებოდნენ ყველანი, მოხუციც, წათეც, ბექაც, სეზარმა თვალი ჩამოატარა, ერთხელაც გაწითლდა და თითქოს ცეცხლს უთხრა:

— კარავში რომ დაბრუნდა მეფე... სარტყელი რომ მოიხსნა ჯაჭვის პერანგისა, დაკოლტებული სისხლი ჩამოუვარდა დგრიალით. ეგონათ, დაჰრილიაო, ხმლიდან უკუქცეული სისხლი კი ყოფილიყო, მაჯიდან იღლიაში ჩასული.

— ხომ გჯერა?

— აბა, როგორ!

მოხუცი ქართველთა ვაჟკაცობასა და თავდადებასთან ერთად მტრის გაბედულებასაც აქებს, რაც მის პიროვნებას ღირსეულად წარმოაჩენს, ეპიკური სიმშვიდე და ღრმა ტრაგიზმი ნოველას დიდი ემოციურობით მუხტავს. მოხუცი ქართველთა თავზე დატრიალებული ტრაგედიის ზნეობრივ შემფასებლად გვევლინება, როდესაც ამბობს: „ჩვენ ჩვენი ხორცი გვირჩევნია ყველაფერს!“. შეფასებაში სისხლხორცეულადაა განცდილი ერის შერცხვენაც და ტკივილიც.

„დავითის ხმალში“ თუ ჯერ კიდევ აშკარაა ქართველთა ვაჟკაცობაცა და სიძაბუნეც, „შატილში“ ადამიანის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ზნეობრივ იმპულსად უნდა გარდაიქმნას, დაქუცმაცებულია. ხირჩლას მამაპაპურ ქოხში, მართალია, სიმშვიდეა, მაგრამ სიმშვიდე დუმილთანაა წილნაყარი და უსაზღვრო სევდას აღძრავს. შატილი და მისი წარსული „იბლვირება“. აქ მხოლოდ ჩამოქუფრული ცა და გამჭვარტლული კედლები თუ გვახსენებენ სახელოვან წარსულს.

„წვიმსო“.

სხვა კოშკისაკენ ვბორიალობთ ხირჩლა და მე“. სანთლისფერ ქალს თვალში სევდიანი ღიმილი ჩასდგომია.

— „თქვენ დაგენაცვლეთ, ძმებო და შვილებო, ყველას — რა ჭირი დაგიამოთ, რომ არ ვიცი!“

ნოველაში „ციხე“ შესანიშნავადაა გადმოცემული ქართული ბუნების უჩვეულო ძალისხმევა. სულ რაღაც ერთ გვერდზე, მწერალმა შესძლო, ქართველი კაცის დიდი გულისძახილის ჩატევა. ექსკურსიამძღოლი ტურისტებს უყვება ციხის ისტორიის შესახებ, ტურისტ ქალს მისი მონაყოლი ზედმეტად პოეტური, ხოლო ფინალი ზედმეტად მკაცრი მოეჩვენა.

„— ცხენის კუდს გამოაბით ნაწნავებით! (საუბარია ქმრისა და სამშობლოს მოღალატე ქალზე).

ისევ ის გალიმებული ქალი, რა სიმკაცრეა?

ექსკურსიამძღოლი გამარჯვებული სარდლის სიმშვიდით მოაბრუნებს სახეს. სხვა ქალებს არ ეტყობათ, ხედავენ თუ არა, როგორ დაჰყრდნობია ის წინაპრების მორჩილად დაღუნულ განიერ მხრებს“. სამშობლოს წარსული რევაზ ინანიშვილისათვის უძვირფასესია. მას უყვარს მკაცრი და პოეტური წარსულის გამოხმობა, რადგან ამგვარი წარსული აწმყოსათვის სჭირდება, რათა როგორც სარკეში, ისე დავინახოთ ჩვენი თავი: „— ვინ სპობს სიძველეებს გულმოდგინედ? უმთავრესად ის, ვისაც თავისი წარსულის გახსენება არ სურს. ვინ დაანგრია ჩვენი ძველი ტაძრები, სიმაგრეები, ხიდებიც კი? სწორედ იმათ, ვისაც წარსული ჭუჭყიანი ჰქონდათ“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან“).

„მთვარის ასულს“ ჰყავს თავისი ლირიკული პერსონაჟი, მთხრობელი, რომელიც თავის თავზე, თავის სულიერ განცდებზე, სოფლად გატარებულ ბავშვობის დღეებზე, ღვთისანაბრად მიტოვებულ მოხუცებზე, მარტოხელა ქალებზე გვიყვება, განიცდის და შეიგრძნობს ბუნებას, როგორც ცოცხალს, მეტყველს: მთხრობელი, უფრო ხშირად, სიჭარმაგეში შესული კაცია, რომელიც, ჩვენის აზრით, ავტორის სულიერი სამყაროს ერთგვარ პროექციასაც წარმოადგენს, ამიტომაცაა, რომ ამა თუ იმ პერსონაჟში ჩვენ ავტორის სულს, მის შინაგან ფსიქოლოგიურ სამყაროსაც ვხედავთ. რევაზ ინანიშვილის მო-

თხრობებისა და ნოველების კითხვის დროს ჩვენ არ გვახსოვს ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებების უმეტესობა საკუთარი ბიოგრაფიითაა ნასაზრდოები. მართალია, ავტორი ხშირად მიმართავს პირველი პირით თხრობას, მაგრამ იგი უმეტეს შემთხვევაში საკუთარ პიროვნებას კარგავს და უკვე მისი აზრებით, ემოციებითა და განცდებით ლიტერატურული პერსონაჟები გვესაუბრებიან. მწერლის გარდასახვა ლიტერატურულ პერსონაჟად რევაზ ინანიშვილთან ბუნებრივი პროცესია. ამ პროცესზე სათანადო დაკვირვების შედეგად ცხადი ხდება, რომ რევაზ ინანიშვილი პროზაში წერის ისეთ მანერას მიმართავს, როდესაც საკუთარი პიროვნება არ ჩანს.

უბრალო და დამაჯერებელი თხრობა ავტორისადმი დიდი უშუალობითა და სითბოთი განგვაწყობს, რის შედეგადაც ბუნებრივად იხსნება ბარიერი მთხრობელსა და მკითხველს შორის და ჩვენც შევდივართ იმ სამყაროში, სადაც ყველაფერი ნაცნობი, ახლობელი და ძვირფასია. „გაჩნდებოდა ყინულის ლოლუები, დავიწყებდით წუწვნას, ამტკივდებოდა ყელი, მომცემდა მაღალ სიცხეს, დედას ცა ძირს ჩამოჰქონდა ჩემი წყევლით. ბებია კი წაფარფატდებოდა თოვლში, ქარბუქში ვენახებისაკენ, მოიტანდა ჭერაც ისევ მწვანე ლოლოშმაგას ფოთლებს, — ჩვენს საკიდებელთან ვიპოვეთ („ქვების სუნი და გემო“).

„მთვარის ასული“ სავსეა ქართული მიწის სურნელით, დარდიანი შემოდგომის ფოთლების სევდით, თბილი და წყნარი საღამოების ელვარებით და კიდევ რაღაც უფრო დიდითა და ადამიანურით, რასაც სახელს ვერ მოუძებნი. რევაზ ინანიშვილის მოთხრობებისა და ნოველების სიუჟეტის მოყოლა შეუძლებელია, რადგან მოყოლისას იკარგება ის სასიცოცხლო ნერვი, ურომლისოდაც ლიტერატურის ჭეშმარიტი ნიმუში უბრალო ამბად გადაიქცევა.

„რა ხდება, რატომ მაკრთობს რაღაცეების ხსენება თავიანთი ნამდვილი სახელებით? მაგალითად იორი ან არაგვი ყოველი მათი ხსენებისას ისე ვღელავ, თითქოს ჩემს თანამედროვე დიდ ადამიანებზე ვლაპარაკობდე და იმისი ფიქრი მქონდეს, არ გამინაწყენდნენ ეს ადამიანები. არადა, როგორ სულგრძელად არიან გაშლილნი ერთიც და მეორეც, როგორ ანათებენ თავიანთი კეთილშობილებით... გამორჩევით შემოდგომაზე („ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან“). რევაზ ინანიშვილი ქართულ გარემოს განიცდის, როგორც უდიდეს ტკივილსა და სიხარულს, რადგან იგი იმ ქართველ შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთათვისაც ეროვნულ პრობლემატიკაში არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი. მას შესწევს უნარი უმცირესი წვრილმანების დანახვის, არჩევს უფაქიზეს ფერებს, ესმის ის მელოდია, თუ კვნესა, რომელიც სა[illegible] მიღმიდან დაძრულა და ჩამოქცეულა [illegible] შქებისა და მინდვრის ქარით გაჯერებული, ახლა ჩვენს კართან შემდგარა...

ოტია პაჭკორია რევაზ ინანიშვილის მოთხრობების წაკითხვის შემდეგ მიღებულ განწყობილებას, ლექსის წაკითხვით მიღებულ ემოციას უტოლებდა. ჩვენი აზრით, ამგვარი შედარების სისწორე უდაოა, რადგან რევაზ ინანიშვილის შემოქმედება წმინდა ემოციურ და გრძნობად ალქმებზეა აშენებული. იგი ზუსტად გრძნობს იმ განწყობილებას, რომელიც ადამიანის ბუნებიდან ილვრება. მოვლენათა და საგანთა პოეტიზირებას ბევრი მწერალი მიმართავდა და მიმართავს, მაგრამ რევაზ ინანიშვილის პროზის თავისებურება სწორედ ბუნებრივობასა და სისადავეშია, ამიტომაც აღწევს უდიდეს გრძნობად და ემოციურ შთაბეჭდილებას. იგი ხშირად მიმართავს გარე სამყაროს ტრანსფორმირებას, რაც მწერლური წარმოსახვის შედეგია. მწერალი განსაკუთრებით გვაგრძნობინებს მთლიანი დროიდან ცალკე აღებული წამის ღირებულებას, რაშიც ადამიანის მთელი ცხოვრებაა ჩატეული. რევაზ ინანიშვილთან ადამიანი საკუთარი მოგონებებისა და ამ მოგონებებიდან აღებული განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი დროით საზრდოობს.

„ახლაც ვგრძნობ იმ სუნსა და გემოს, ორმოცდაათი წლის შემდეგ. გოგია ომში დაიღუპა. დიდი რომ გავხდი, მე ავედი თეთრ მწვერვალზე, მაგრამ რაც კი ვინატრე, არაფერი ამსრულებია. ის კი არა, წმინდა მარინეში წასვლას ვნატრობ ხოლმე და იმ ნატვრასაც ვერ ვისრულებ. მეჩვენება, რომ ვეება საათის ისრებზე მაქვს ფესვები მიბმული, ის ისრები მაბრუნებენ თავიანთ ნებაზე და არ მიშვებენ არსად დღე კი არ გავა, რომ არ ვიგრძნო ძველი, დახავსებული ქვების სუნი და გემო“. („ქვების სუნი და გემო“).

დრო ბევრ რამეს ცვლის. მისი წყალობით მრავალი სულიერი ფასეულობანი დაფასდა და გადაფასდა. დროის სუსხმა რევაზ ინანიშვილის პროზაში გულუბრყვილო ბიჭი დააკაცა — „ისე გამკვრივდა წუხილის ბურუსი, სტრიქონებს ვეღარ ვხედავ“. მაინც ვინ არიან ის ადამიანები, ვინც რევაზ ინანიშვილის უსაზღვრო ფიქრისა და განსჯის საგნად ქცეულან, რითი ცხოვრობენ, რაზე ოცნებობენ, რისი და ვისი იმედი აქვთ? უბრალო და ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრება გამხდარა მწერლის უსაზღვრო ფაქტის საგანი.

„დღეს, მთელ დღეს, ჩემს ბავშვობაში ვარ
იალონს და უძოსაც სულ ჩემი ბავშვობის
ზამთრისპირის ღრუბლები ადგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი მებრძვის და ისიც წარსულისაკენ
მაბრუნებს
იქით მყუდროა მყუდრო...“
(„გახსენება ღამურა პაპისა“).

ამ ადამიანებს შესწევთ უნარი სწორედ უბრალოებასა და ყოველდღიურობაში დაინახონ და აღმოაჩინონ ცხოვრების აზრი და დანიშნულება. რევაზ ინანიშვილის გმირები სიცოცხლის აზრს გარდასულ დღეთა მოგონებებში პოვებენ. მათ ადამიანებთან სიახლოვის და მათთან ნამდვილი ურთიერთობის უნარი ჯერ კიდევ შესწევთ ჩვეულებრივი, უფრო ხშირად, უსიხარულო ცხოვრება, მათში ვერ კლავს ადამიანური ღირსებისა და სიამაყის გრძნობას. ცხოვრებისაგან მიყენებულ ტკივილებს უდრტვინველად ილებენ და იტანენ. აი, ისინიც: დედაზე ფიქრით „შეწუხებული“ შვილი, რომელიც იშვიათად ჩადის სოფელში, რათა მშობელი ინახულოს. „ის კი იყო და ის — ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალებლივ დაელია სული და დამრჩა იმ ფანრის შუქი სამუდამო დარდად („დედა“); მამიდა, რომელმაც მთელი ცხოვრება ძმისშვილებს შესწირა, პაპა, რომელიც სახელმწიფოსაგან აღებული პატარა მიწის ნაკვეთით უზომოდ გახარებულია, მოხუცი მწერალი, მარტის მშვიდსა და მოღრუბლულ დღეს, ბაღში რომ მუშაობს, ძალიან პატარა გოგონა სიღარიბისა და ლოთი მამის გამო, სახლში მისვლა რომ არ უნდა, მირანდუხტი, ამაყი და საოცარი, მაღაზიის გამყიდველ გერონტის საფიქრალი რომ გაუჩინა, სოსანა პაპა, განთქმული თავისი მოვლილი ვენახით, მოხუცი მწერალი, სოფლად ბაღში მუშაობა უდიდეს სიამოვნებას რომ ანიჭებს და ა. შ.

მარტის მშვიდად მოღრუბლული დღე იყო. მოხუცი მწერალი თავის ბაღში მუშაობდა. სოფლად ბოლო ხანებში მოხუც მწერალს სულ მიწა იზიდავდა. დიდ სიამოვნებას გრძნობდა, ხმელ ბალახებსა და სიმინდის ძირებს რომ გლეჯდა, ფოცხით ერთ ადგილას აგროვებდა, მერე მოუკიდებდა ცეცხლს, ალი ადიოდა, ცეცხლის ალი ბრიალით, მოხუცი მწერალი დაშტერებული ჩასცქეროდა ამ ალს. ხანდახან კვამლსაც აყოლებდა თვალს, რა იყო ან ალი, ან კვამლი. რატომ მიისწრაფოდნენ ორივენი მაღლა, სად მიმქონდათ ტრიალ-ტრიალით შავი ნამწვავები და ფერფლი? („მოხუცი მწერალი“). მოხუცი მწერალი მარტოა, მაგრამ მისი სიმარტოვე ადამიანების სითბოთი და გულისხმიერებითაა გაჯერებული.

რევაზ ინანიშვილი იმ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომელნიც ყოველგვარი ზნეობრივი გაორებისა და მერყეობისაგან შორს არიან. მიუხედავად ამისა, „მთვარის ასულში“ შეიგრძნობა ღრმა წუხილი უკვე დაკარგულის გამო. მწერალი გრძნობს, რაღაც არსებითი და სიცოცხლისუნარიანი წყდება ეროვნულ ფესვებს და კვდება. ამიტომაც, უზომოდ შეშფოთებულია, მის ზნეობრივ სამყაროს რღვევა ემუქრება, რღვევა უკვე დაწყებულია, რისი საუკეთესო მაგალითიცაა ნაღვლიანი და შემაშფოთებელი ამბავი, რომელიც ნოველა „შეწუხებულ კვამლშია“ მოთხრობილი.

სოფელი, მარტოხელა დედა... დედა თავს დასტრიალებს შვილებს, ისინი დიდიხანია, რაც პატარები აღარ არიან, მაგრამ ისევ დედის ხელებს შესჩერებიან. შვილების ზანტ მიხვრა-მოხვრასა და თავხედურ გამოხედვაში დედის შებრალების ნატამალიც არ იგრძნობა. შრომისა და მიწის სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რევაზ ინანიშვილი ამჯერად ისეთ ოჯახს ხატავს, რომელმაც უარი თქვა ჯანსაღ ზნეობრივ პრინციპებზე. „მოშივდებათ, ბუზებიც მეტისმეტად შეაწუხებენ და მაშინ ძლივს გაიღვიძებენ. მზე თითქმის საშუადღეომდეა წამოსული. აითრევენ საქუსლეჩაკეცილ გაფლაშულ ფეხსაცმელებს და თითო ღილით შეკრული შარვლისამარანი წამოზოზინდებიან ეზოს ბოლოსაკენ. იქიდან მობრუნებულნი, პირდაუბანელნი, თმებგაბურძგნულნი (ლელას უკვირს, — „სავარცხელი მაინც რამ შეაჯავრათ, ქა)!“. გაუპარსავნი, დასხდებიან სამსაფეხურიან კიბეზე, ნახევრად მძინარეები მოიძიებენ დაჭმუჭნულ სიგარეტებს, გაიჩრიან პირში და ააბოლებენ ბრძენკაცთა სიდინჯით“. რევაზ ინანიშვილი გულის ტკივილით მოგვითხრობს დაცარიელებულ სოფლებზე, იქ შემორჩენილ მარტოხელა ადამიანებზე.

კვამლი, რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში ოჯახის, სოფლის სიჯანსაღისა და სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლოდ აღიქმება, ამ ნოველაში კი „შეწუხებულია“. „ლუმელს მარტო ერთი მოკლე მილი ადგას შეწუხებულია, თავგზააბნეული იმისი კვამლიც გადაფარებულში“...

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში უკვე აღარ ჩანს გმირი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რაც დროის კარნახით უფრო გამოწვეული, ვიდრე მწერლის დაუინტერესებლობით „ნამდვილი გმირის“ პოვნისა გმირი ცხოვრებიდან და ლიტერატურიდან ერთად გავიდა და მისი ადგილი ყოველდღიური საზრუნავით დაკავებულმა, შეჭირვებულმა ადამიანმა დაიკავა. გმირის ცნება პერსონაჟის ცნებამ შესცვალა. 60-70-იანი წლების ლიტერატურული პერსონაჟი გარეგნულად, მართალია, პასიური და უმოქმედოა, მაგრამ შინაგანი სულიერი და გონებრივი დაძაბვითა და აქტიურობით გამოირჩევა. რევაზ ინანიშვილის პროზა მცირე ზომის პროზის ნიმუშია და ახასიათებს მოქმედ პირთა რაოდენობის სიმცირე. მასთან ხედვის ისეთი კუთხეა მოძებნილი, ჩვენს სულიერ შინაარსს რომ აფართოებს და ხშირად ადამიანის სულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვეულო და ლამაზი ძალისხმევის მოწმედაც გვხვდის. მისი პერსონაჟების უმეტესობა ამ შესაშური თვისების მატარებელნი არიან.

ვიტგენშტეინის ქმედება გმირობად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მორალურ უკომპრომისოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან უზნეობას უპირისპირდება, უზნეობა, კი ვის მიმართ და რა ფორმითაც არ უნდა იყოს გამოვლენილი, ნამდვილი ვაჟკაცისათვის შეუფერებელია.

ვიტგენშტეინი, რომელიც სამეგრელოს მთავართა უმშვენიერესი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟიშვილი გახლდათ, შემთხვევით, მატარებელში, შეესწრება — როგორ უხამსად მოექცა გენერალი ახლობელ ქალს. მათ შორის შემდეგი დიალოგი იმართება.

ვებულობა გამოგეჩინათ, გენერალო?

„უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მეტი თავშეკავებულობა გამოგეჩინათ გენერალო?

გენერალი შექანდა.

— ეს როგორ?

— მე მამაკაცი, ვიდექი თქვენს გვერდით.

გენერალმა ვიტგენშტეინის თვალებს ვერ გაუძლო.

— მამაკაცი? — გაეღიმა დაბნეულს.

ვიტგენშტეინმა მოწყვეტით სტკიცა სილა.

— პირველსავე სადგურში ჩავალთ და ვესვრით ერთმანეთს.

ის ქალი... იმ ქალის გულისთვის არ ღირს.

— მე არ ვიცი ეგ“.

ვიტგენშტეინს გენერალი კლავს „გენერალმა დამბაჩა ნელა დაუშვა ძირს და ისროლა, ხეებზე ყვავები აფათქუნდნენ, აჩხავლდნენ“. წერტილის დასმის შემდეგ, მწერალი თავის ქალიშვილს ნოველას უკითხავს. და მის განცვიფრებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ალტაცების ნაცვლად იგი მამას მეჭირვებული ეკითხება' „ —ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?“ ამ ფრაზას მწერლის ქალიშვილი შემთხვევით არ წარმოთქვამს, მონათხრობმა, სადღაც, ცნობიერების სიღრმეში ალტაცების ნაცვლად ქალიშვილში შეშფოთება გამოიწვია, რამაც ნოველის ძირითადი მიზანდასახულობა სხვა სიბრტყეზე გადაიტანა. ვიტგენშტეინთან ერთად ნოველაში ზნეობრიობის მატარებლად დამფრთხალი ყვავებიც გამოდიან, სწორედ მათ ქმედებაში (ქმედება უაზრო და ინსტრუქტორია, მაგრამ ამბავში სწორადაა ჩართული ეჭვი შეაქვს მწერლის ქალიშვილს. ვითომ დაფრთხებოდნენ? ფრაზა მკაცრი და მოულოდნელია რევაზ ინანიშვილთან განსაკუთრებით ფინალია ძლიერი, რადგან მისი ნოველებისა და მოთხრობების ფინალი ხშირად ნაწარმოების ძირითადი იდეის განმსაზღვრელადაც გამოდის. უბრალო, ერთი შემთხვევით, პიკანტური შემთხვევა რევაზ ინანიშვილმა მეტად საინტერესო ამბად გარდაქმნა.

„რევაზ ინანიშვილი ოსტატია. ოსტატია ხელოვნებისა და ხელობის თვალსაზრისით (შთაგონების სფეროშიც და წვრთნით შეძენილი ჩვევებითაც) იგი თვითგანსაზღვრის გზით მიდის იმ ფორმებთან, იძენს იმ დამოუკიდებელ სახეს, რომელიც მწერლური და პიროვნული ინდივიდუალობითაა აღბეჭდილი ამ თავისთავადობის, ლიტერატურული ავტონომიის მაუწყებელი ფორმათა ხარისხის დადგენა უფრო დროის საქმეა, ვიდრე ვინმესი. თუმცა ნურც დრო შეგვაკრთობს, რევაზ ინანიშვილის მთელ რიგ მოთხრობებში ნათლად ჩანს ქართული პროზის მარადი თვისება. მაღალი რწმენა, მიწის ვნება დაუშრეტელი ტრფიალი. სიტყვის განუზრელი ერთგულება (ოტია პაჭკორია).

არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ რევაზ ინანიშვილი მცირე მოთხრობებისა და ნოველების შერჩევის დიდოსტატია. მისი მოთხრობების, ნოველების და ჩანაწერების ტენდენცია ღრმად ფსიქოლოგიურია და შთაბეჭდილებათა სავსეობით ხასიათდება, რაც უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. განსაკუთრებული სენსაციური თემებით მწერალი არაა დაინტერესებული, მას არც თემთა განმეორების ეშინია, იგი მასალის მხატვრულ თვისებას ცვლის, უფრო ნათლად, ერთი და იგივე თემებს სხვადასხვა მხატვრული სამოსელით ამკობს. ზუსტადაც გრძნობს, როგორ უნდა განვითარდეს თხრობა, მას, როგორც „ოსტატს“ (ო. პ.) უნარი შესწევს, ერთი შეხედვით, უბრალო, ჩვეულებრივი ამბავი, არა მარტო ლიტერატურად, არამედ რწმენადაც აქციოს. მთავარი „მთვარის ასულში“ სიცოცხლეა, სიკვდილიც სიცოცხლეს მსახურებს. გავიხსენოთ მშვენიერი ნოველა „სიხარული“.

და კიდევ ერთი: იგი არაა ირონიული. სევდიანი განწყობილება, რომელიც გვეუფლება მისი ნაწარმოებების კითხვის დროს იდუმალი ადამიანის ბედზე ღრმა წუხილითაა აღსავსე. მისი ნოველების კითხვის დროს ჩვენ ვერ გიცანით, რადგან მისი ნაწარმოებების უკუფენა სევდაა, ფრთხილი, ფაქიზი, ადამიანური თანაგრძნობითა და გულისტკივილით სავსე. ნოველა „შავი თოვლი“ სევდიანი განწყობილებას აღძრავს მკითხველში“. ეს ორნი ისხდნენ თავის მშობლიურ სოფელში, გიორგი და ილო. ხელადით ღვინო ედგათ, თიხის ჯამით — მწნილი, ერთმანეთში არეული კიტრი და პამიდორი, თეფშით — სიყვითლედაკრული მალაზიის ყველი. დამტვრეული კაკლები ისევე ეყარათ სუფრაზე“. რას შესჩიოდა ეს ორი ხანდაზმული კაცი ერთმანეთს; ყველა თავაწეული დადის, ყველას სახლში მანქანა უდგას, ყველა კარგად ცხოვრობს. არადა, არავინ იყო მათზე მეტი „—ილომ, მახპინძელმა, თითქოს შინაგან ტკივილს აყურადებსო, თვალებდახუჭულმა თქვა — პატიოსნების ძებნაში ვიყავით, ძმაო და იმატომაო“. ამ ერთი შეხედვით ნაცნობ (ზოგს შეიძლება გაცვეთილადაც მოეჩვენოს) ფრაზას წარმოთქვამს კაცი, რომელსაც ბოლომდე შე-

უნარჩუნებია შინაგანი სიწრფელე და პატიოსნება. გიორგის განწყობილება განსჯისა და ჭოხებობის სევდისმოცული სიღრმეების წვდომისაკენ მოგვიწოდებს და კიდევ ერთხელ ღრმად გვახედებს ზნეობისა და უზნეობის წიაღში.

რევაზ ინანიშვილის წიგნის „მთვარის ასულის“ სათაურების თვალის უბრალო გადავლებაც ცხადყოფს, რომ ნოველების ერთი ნაწილი ქალის თემას ამუშავებს, ესე იგი, ქალს ეძღვნება. ეს ნოველებია: „პლიაჟის კლეოპატრა“ „ბებიას შეგონებანი“, „მთვარის ასული“, „მირანდუხტ“, „ბაია“, „დამრიგებელი“, „მარეხი“, „მზია“, „სიხარულა“, „მამიდა“, „დედა“, „შეწუხებული კვამლი“, „დედის ლექსი“, „ია და ლია“, „შუქია“, „ქალები ტელეფონში“, პაგდაა“, „ქიზიყელი ქალი“.

ამ ქალების საერთო მახასიათებლად მათი ზნეობრივი სამყაროს სავსეობა გამოდგება, მართალია, სიძნელეები მათი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, მაგრამ, ამავე დროს, მათი ქალურობისა და ადამიანურობის დადასტურებაცაა. სწორედ მათ შესწევთ უნარი ნამდვილი სიყვარულისა, სწორედ მათ გააჩნიათ უდიდესი სულიერი ენერგია, სწორედ ისინი არიან ბედნიერნიც და უბედურნიც, რადგან სწორედ მათ იციან სიცოცხლისა და სიკვდილის ფასი ყოველდღიურ ცხოვრებასთან შეხებაში მჟღავნდება მათი ლამაზი და მშვენიერი სული, ჰარმონიის საოცარი გრძნობა. ზნეობრივი მათთან თავისთავადი სიკეთეა, რომელსაც უდრტვინველად მსახურებენ და სამაგიეროდ არაფერს ითხოვენ. ჩვენ ვიცნობთ ბევრ ისეთ ნაწარმოებს, რომლებშიც გაიდიალებულია ქალი. ასეთ ნაწარმოებებში ქალი ხშირად რაღაც განსაკუთრებულ სიტუაციაშია ჩაყენებული. იათი ხასიათი, მოქმედება, მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივი ქალის ცხოვრებისაგან. რევაზ ინანიშვილმა ქალი მიწაზე, თავის მშობლიურ კერასთან დააბრუნა, გვიჩვენა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან სწორედ ყოველდღიური ცხოვრება მოითხოვს ადამიანისაგან გაძლებასა და დიდ მოთმინებას.

„დაუმძიმდება ქუთუთოები, გამწყრალი მიაგდებს მუთაქას დივანის კუთხეში. მიწვება ზედ. თავი რომ არ დაუცურდეს, მარცხენა ხელს შეუბჯენს ქვემოდან. არის ასე, უძრავად დივანზე, წარბებს შორის, დახუჭულ თვალებში, ტუჩებში ჩაუდგება ჩრდილი. მძიმდება ეს ჩრდილი. მძიმდება საშინლად თითქოს აი ახლა, აი ახლა ამოიგმინებს ქვეყნის გასაგონად. მაგრამ ნელნელა გაუნათდება ტუჩები, მერე დახუჭული თვალებიც“. ეს ამონაწერი „მთვარის ასულიდანაა“, რომლის სახელწოდებაც წიგნმა მიიღო. ამ ნოველის თემა სიყვარულია, მიუხედავად იმისა, რომ ამ გრძნობაზე ნოველაში არაფერია ნათქვამი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. აქ არც შეყვარებული წყვილები არიან და არც კაცი და ქალი, ნოველის ერთადერთი პერსონაჟი მარტოხელა ქალია სიყვარულია ამ ქალის თვალებში, მისი ლამაზი სახე, ქალურად მიმნდობი სხეულის მსუბუქ მოძრაობაშია დანახული, მისი ტკივილითაა ნაგრძნობი, რომელსაც უდიდესი კლდემამოსილებითა და სიამაყით იკავებს. სიყვარული არა მარტო ამ ნოველის, არამედ მთელი წიგნის ეთიკური ფორმულაა. ამ ფორმულაში მწერალი გარკვეულ ლიტერატურულ სიმართლესთან ერთად, ბუნებრივ სიკეთესა და ოცნებას გულისხმობს ურომლისოდაც ვერც ერთი ნოველა ვერ დაიწერებოდა.

„ჰიშკარი გაიღრჭიალებს. ქალი მოიხედავს, გამოანათებს ხავერდოვანი შავი თვალებით. ჰიშკარს ჯერ ბიჭი გამოივლის რვა წლისა, მერე გოგო, თერთმეტი წლისა („მამიდა“). მამიდა მოხდენილი და ლამაზი ქალია, იგი ძმის ოჯახში ტრიალებს, უვლის ძმისშვილებს. ცდილობს არავის არ აჩვენოს ტკივილი, რომელიც ქალის სიმარტოვითაა გამოწვეული. რევაზ ინანიშვილთან ქალების გარეგნობასა და გამოხედვაში იგრძნობა მათი სულიერი სიძლიერე და გონებრივი უპირატესობა. გჯერა, ქვეყანა არ დაინგრევა, სანამ შუქიას თვალები არ გაცივდება. „შვილი სად ჰყავდა? მშვიდად იჩეჩდა მხრებს. ასწევდა თავს მაღლა, თვალები თითქოს რაღაცას დააპირებდნენ, მაგრამ არაფერი. ერთხელ ერთმა მთვრალმა ქუჩაში იყვირა: ამასაც მთლად გაუცივდა თვალები, ახლა ნამდვილად დაინგრევა ქვეყანა! — საღამოს შუქია სარკესთან მივიდა, იყურებოდა შიგ და ეღიმებოდა, ისევ შუქია რომ ერქვა და კიდევ იმაზე, ვითომ რაღაც ურთიერთობა რომ ჰქონდათ მის თვალებსა და ქვეყანას („შუქია“).

რევაზ ინანიშვილის პროზა ცხოველმყოფელი ხასიათისაა. იგი ლირიკული პროზის შესანიშნავი ნიმუშია. მისი პროზა ვაჟა-ფშაველას პროზისაგან დიდადაა დავალებული და ქართული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება. იმედის მოტივი ერთ-ერთი წამყვანი მოტივია რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში, თუმცა იმედის დაკონკრეტებას არცერთ ნოველაში არ იძლევა იმედი მასთან ზოგად ასპექტშია დანახული და ყოველი ფრაზა სიცოცხლეზე მიგვითითებს.

„მოლაღურები კვლავ წყნარი კურკურით ფაჩუნობენ კაკლის ხშირ ფოთლებში. არ გიკვირთ, კიდევ რომ არსებობენ მოლაღურები ქვეყანაზე — ეს ტკბილი ზღაპრები ჩვენი ბავშვობისაა? („ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან“).

რევაზ ინანიშვილმა „მთვარის ასულში“ გვიჩვენა, რომ სიცოცხლე თვით სილამაზეა, ხოლო სილამაზე სიკეთეა, რომელიც, ჭერჭერობით (საბედნიეროდ) ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრია, მასთან სიცოცხლე ბუნებასთან უშუალო კავშირშია, რადგან ბუნება ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილის პროზის მიხედვით ბუნება კეთილი, ლმობიერი და მიმტევებელია მაშინაც კი, როდესაც მძვინვარებს. მისი გმირები სწორედ ბუნებასთან კავშირში მშვიდდებიან, პოულობენ საკუთარ თავს და, ამდენად, სიცოცხლის აზრსაც ბუნება მათ მოთმინებას ასწავლის, უხსნის ცხოვრების სიძნელეებს, აგრძნობინებს სიცოცხლის მადლს.

რევაზ ინანიშვილი ყოველ მოთხრობასა და ნოველაში თანამიმდევრულად ხატავს ბუნებას სოფლის უმშვენიერეს პეიზაჟს. იგი გვაბრუნებს დედა-ბუნებასთან. მას სწამს ბუნების ცოცხალი, ხილული სულისა, ამიტომაც ესაუბრება ადამიანივით, ბუნებაც ადამიანებივით გრძნობს და განიცდის. ბუნება რევაზ ინანიშვილთან მრავალფეროვანია: მაისის ფერადი წვიმები დიდის ნისლით დამძიმებული ხშირფოთლებიანი ტოტები შუადღით სიხარულით გაბრწყინებული ცა და მიწა, ხეებზე მსხდარი მოლაღურები, მესერის ძირში ამოსული სამი მშვენიერი ქამასოკო, დილაობით რთვილი და შემოდგომის ყვითელი ფოთლები, კინაღამ თოვლით და ყინვით გაკირჩხლული ბალახები და ხეები თხელი მოლურჯო ბურუსი. „ო, რა სანახავი იყო კლდის კვარცხლბეკზე მდგარი ის თელა — დილა, თეთრად გადაბარდნილი კიდევ უფრო გაბუმბერაზებული საზეიმო მუსიკად ჩამომავალ ბრტყელ ფიფქებს მიყურადებული და პირველად აქედან დავინახე — ზედ ეჯდა ლეგა, მარტოხული ქორი, მხრებწამოწეული, თავჩაღუნული რას აკეთებდა ქორი ამ თოვლში თელაზე?“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან“).

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებითი მეთოდი ქართული ბუნებისა და ხასიათის ჩვენებაა, იგი საკუთარ ზნეობრივ-ატმოსფეროში მოაქცევს ყველაფერ იმას, რაზეც მისი მზერა ჩერდება და რაც სულითა და გულით ნაგრძნობი: „სამყაროს პოეტური აღქმა წყაროა ტკივილებისა. სხვაზე რომ არაფერი ითქვას, მშვენიერება ხომ თვითონ შეიცავს ტკივილს, მაგრამ იგივე აღქმა წყაროა სიმტკიცისაც. ესაა სწორედ ის, რაიც მშველის რომ არ გავბოროტდე. მამადავითის თავზე ხეების კენწეროზე წამოდებულ ნისლს შეუძლია ბევრი რამ მაპატიებინოს ბევრისათვის“ („ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან“).

რევაზ ინანიშვილის „მთვარის ასული“ იწყება ნოველით „მწერალი“ მართალია [illegible] გვაუწყებს „ბორმერციდან“, მაგრამ ნოველაში რევაზ ინანიშვილი მკითხველს თავის შეხედულებას სთავაზობს მწერლის დანიშნულების შესახებ. შემოქმედებით პროცესს ძალიან ბევრი აწავლობდა და სწავლობს, რადგან ამ პროცესის სირთულე და თავისთავადობა (თუ გნებავთ უცნაურობა) ბევრს სურვილს ალუძრავს მასში საერთო კანონზომიერების პოვნისა, მაგრამ შემოქმედება იმდენად თავისთავადი და ინდივიდუალური პროცესია, რომ არავითარ საერთო კანონზომიერებას არ ემორჩილება. რევაზ ინანიშვილი საკუთარი პოზიციიდან, მისთვის დამახასიათებელი უბრალოებითა და პოეტურობით გვესაუბრება რას უნდა ამბობდეს და რას არა ნამდვილი მწერალი. მან იცის, რომ კაეშნის ოთახიდან ერთად „მსუქანი ძიების“ სახელიც არსებობს, რომ „სარდაფს“ „სავანე“ არ უნდა ეწოდოს. მწერალს სათქმელი თუ დაუმალეს, უნდა გამძვინვარდეს. „უნდა შეეცადოს, როგორც ამას პატიმრები სჩადიან, კოვზის ბოლოთი მაინც ამოკაწროს თავისი სათქმელი კედელზე თუ იგი, ბედისაგან განწირული, ამას არ იზამს, მწერალი არ არის“ მწერალი მაღლა უნდა ცხოვრობდეს ლამურებთან და ვარსკვლავებთან, მაგრამ თუ პირველმა არ იგრძნო, რომ საფრთხე ელის, იგი მწერალი არ არის მწერლის სიკვდილით უპატრონო და პატრონსანმაშვებით უნდა ამოისუნთქოს დრო, დრო უნდა გავიდეს, რომ იგრძნონ ვინ დაკარგეს. მერე.. მერე, რევაზ ინანიშვილი ოცნებობს გაოცებულთვალებიან მშვენიერ გოგონაზე „მკაცრად ტუჩებმოკუმული ბებიას რომ უდგას გვერდით, მოკრძალებით უნდა დაადოს მწერლის საფლავს იების პაწაწინა კონა. აი, ასე მოტანილი იების პაწაწინა კონებია მწერლის ნამდვილი ფასი“.

რევაზ ინანიშვილის „მთვარის ასული“ კიდევ ერთხელ გვაჯერებს ნამდვილი მწერლობისა და მწერლის არსებობაში მის ავტორს, რევაზ ინანიშვილს, თანამედროვეობის შესანიშნავ პროზაიკოს, ძალუძს „კეთილ სილამაზეს“ გვაზიაროს. მისი წყალობით ჩვენ ისევ „ცნობისწადილი გვიდგას“ თვალებში, რისთვისაც მისი უზომოდ მადლიერნი ვართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან ავალიანი

# ისტორიის გაკვეთილები

ჩვენი ქვეყნის განვითარების ყოველ ეტაპზე ეროვნული საკითხი თავისებური დამოკიდებულებით ხასიათდებოდა. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეტაპს, როდესაც ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებმა ერთ ოჯახად ცხოვრება გადაწყვიტეს — თითოეული ხალხის, თითოეული ერის ენის, კულტურის, ტრადიციის სრული დაცვით.

ეროვნული სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი სწორად წარიმართა. ასე გვეგონა, მაგრამ დრო-ჟამის მსვლელობამ სხვაში დაგვარწმუნა: უძრაობისა და ინერტულობის წლებში ეროვნული საკითხიც თვითდინებაზე იყო მიშვებული; ეროვნებათშორის ურთიერთობებში სიძნელეების მიჩქმალვის პრაქტიკამ დაისადგურა, ფაქტობრივად უპასუხოდ რჩებოდა მავნე მოვლენა — ერთი ხალხის მცდელობა თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა მეორე ხალხთან შედარებით.

დღეს გარდაქმნისა და საჯაროობის დიდმა პროცესმა გულახდილად და პირუთვნელად გამოთქმას, ცხოვრების მოძველებული ფორმების შეცვლას დაუდო სათავე. დემოკრატიზაცია ეროვნულ საკითხსაც შეეხო და ბევრი დეფორმირებული, ზნეობრივად მიუღებელი მოვლენა გამოამზეურა (ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათას მხოლოდ ერთი ყაზახური სკოლა შერჩა!). მათი გამოსწორება, ახლებურ კალაპოტში ჩაყენება ჩვენი საზოგადოების, სახელმწიფოს გადაუდებელი საზრუნავია.

მაგრამ, როგორც ჩანს, რთულ ეროვნულ პრობლემებზე საჯარო დისკუსიებისათვის მთლად მომზადებულნი ვერ აღმოვჩნდით და ეროვნული გრძნობების გამძაფრებით გარკვეულმა ძალებმა ისარგებლეს. აქედან — ჩვენი ქვეყნისათვის უპრეცედენტო შემთხვევები ყაზახეთში, იაკუტიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, საზარელი ტრაგედია სუმგაითსა და ყარაბაღში. ძალადობის ამ შემაძრწუნებელ გამოვლენას ყველა ღრმად განვიცდით და ახევე ღრმად ვუფიქრდებით საკუთარი ერის, ჩვენი რესპუბლიკის, მრავალტანჯული საქართველოს ბედს.

თქმა არ უნდა, ქართული ენის, კულტურის, ტრადიციების, ისტორიული ძეგლების დასაცავად, სკოლებში ქართველოლოგიური საგნების სწავლების, ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გაბედული, რიგ შემთხვევაში თავდადებული ბრძოლა დღევანდელობის განუყოფელ ნაწილად იქცა და ამ დიდ საერო საქმეში ახალგაზრდობის განსაკუთრებული როლი სრულიად უცილობელია. ამ სასიკეთო ძვრების დროს სიმართლე მთლიანად უნდა ითქვას: ზოგიერთს სურს რეალიზაცია საბჭოური კონსტიტუციის იმ მუხლისა, რომელიც, გარკვეულ პირობებში, მოკავშირე რესპუბლიკებს კავშირიდან გასვლის უფლებას ანიჭებს.

დავუშვათ ეს ვარიანტიც. დელიკატური, ძნელი საკითხია, მაგრამ მაინც განვიხილოთ იგი. რამეთუ ამ შემთხვევაში გაჩუმება, პირუთვნელად და მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით აზრის გამოუთქმელობა მამულისათვის სახიფათოდ, ალბათ ღალატადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

მაგრამ უწინარესად ერთ განყენებულ საკითხს გვინდა შევეხოთ. ბოლო ათწლეულების მთელ სიგრძეზე სპეციალურ ლიტერატურაში დაკნინებული ან საერთოდ უგულვებელყოფილი იყო ამა თუ იმ საზოგადოების, ხალხის ცხოვრებაში გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობა, რაც არ არის სწორი. ცხადია, რიგ შემთხვევაში გეოგრაფიულ გარემოს ხალხების, ერების ცხოვრებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. ასე მაგალითად, განა შეიძლება საქართველოს გეოგრაფიული გარემო (ქრისტიანობის და მუსულმანობის სამყაროების მძაფრი შესაყარი) ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების ან დასავლეთ ევროპის ჯუჯა სახელმწიფოების გეოგრაფიულ გარემოს შევადაროთ? ასეთი პარალელები სრულიად განსხვავებულ, სამწუხაროდ, ჩვენთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდურესად არახელსაყრელ რეალობებზე მეტყველებენ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან გასული საქართველო სრულ იზოლაციაში აღმოჩნდება, ვინაიდან საბჭოთა კავშირიდან გასვლა, იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთიდან რაიმე დახმარების, კავშირურთიერთობის და მითუმეტეს სახიკეთო აქციების იმედი სრულიად შეგნებულად წინასწარვე უნდა გამოვრიცხოთ. რაც შეეხება სამხრეთს, ჩვენი ისტორიული მეზობლების და ისტორიული მტრების თურქეთის და ირანის პირისპირ აღმოვჩნდებით და კატასტროფის ტოლფასი გულუბრყვილობა იქნება მათთან მშვიდობიანი, მითუმეტეს კეთილმეზობლური ურთიერთობის შესაძლებლობა დავუშვათ. პირიქით, სრულიად პირიქით: ეს იქნება უმწვავესი კონფრონტაცია, იქნება ის, რაც საუკუნეების მანძილზე უკვე იყო.

შევეცდები ეს პერსპექტივა და მისი ასპექტები წარმოვადგინო ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში.

ამ ორიოდე წლის წინათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა და შემდეგ სხვა გაზეთებმა გადაბეჭდეს ირანიდან მიღებული ერთი ცნობა, რომლის თანახმად ირანის ოფიციალური წრეები აფრთხილებენ რუსეთს, რომ მან უნდა გაათავისუფლოს საქართველოს ერთი ნაწილი, ვინაიდან ეს ტერიტორია ირანს ეკუთვნის და მის გამგებლობას უნდა დაუბრუნდეს. ბევრს ეს პრეტენზია აბსურდად, გაუგებრობად მოეჩვენა. მაგრამ ისტორია სხვაზე მეტყველებს.

საუკუნეთა მანძილზე სპარსეთი და ოსმალეთი საქართველოს დამონებას ლამობდნენ. საქართველოზე ბატონობისათვის აგრესორებს ურთიერთშორისაც ჰქონდათ ქიშპი, რაც ხშირად ირან-ოსმალეთის ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ ომებში გადაზრდილა. ობიექტურად ეს იყო ქართველი ხალხის სულიმოთქმის, ძალების მოკრების პერიოდები. მაგრამ საწინააღმდეგო პროცესებიც არ იყო იშვიათობა: ორი აგრესორი ურთიერთშორის ზავს დებდა, საქართველოს გავლენის სფეროებად ინაწილებდნენ და გაერთიანებული ძალებით აწიოკებდნენ ჩვენს ქვეყანას. ასე მოხდა, მაგალითად, 1689 წელს, ზოჰაბის ზავით სპარსეთმა და თურქეთმა საქართველო გაინაწილეს — აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთს ერგო, დასავლეთი კი თურქეთს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ირან-თურქეთის ამ გარიგებას კარგად იცნობდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი. იგი წერდა: „...შემდგომად ზავ-მყვეს მურად ხონთქარმან და შაჰ-სეფიმ. დაშთა ხონთქარსა იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი, ხოლო ყეენს დაშთა ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი“.

ქართველ ხალხს ეს უკანონო კანონი და უუფლებო უფლება არასოდეს უცვნია, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა და პოზიციები არ დაუთმია. მიუხედავად ამისა, ზოჰაბის ზავმა (და სხვა მსგავსმა აქტებმა) წინა აზიის საერთაშორისო ვითარებაში შექმნა ტრადიცია, მომხდურების მიერ დადგენილი ტრადიცია, რომელიც ირან-ოსმალეთის მიერ საქართველოს განაწილებას კანონზომიერ ნორმად ცნობდა. გავიდა დრო. საუკუნეების მანძილზე უთანასწორო ბრძოლებში ილეოდა ქართველი ხალხის ძალა, ენერგია, ეკონომიკა, კულტურა — განადგურების პირას მისული ქვეყანა იძულებული შეიქნა ძლიერი მოკავშირე ეძია, ძლიერ მფარველს მინდობოდა. ისტორიულ მტრებს მასზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ, მაგრამ დიპლომატიური ტრადიცია ტრადიციად დარჩა — ცხოვრების მიერ ისტორიის სანაგვეზე გადაყრილი ხელშეკრულებები ფორმალურად არავის გაუუქმებია, არ მომხდარა მათი დენონსაცია. არ მომხდარა, ვინაიდან გვიანფეოდალიზმის ხანაში საქართველო, სამწუხაროდ, არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, რომ ორივე აგრესორი დაეჩოქებინა და უსამართლო ხელშეკრულებების გაუქმება ებრძანებინა (ცხადია, საკუთარი ინიციატივით მომხდურები ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ და არც მიუღიათ). პირიქით, მათ საქართველოს გაყოფა წინა აზიის საერთაშორისო ვითარების მუდმივმოქმედ ფაქტორად მიაჩნდათ. სწორედ ამ მოტივებს ეყრდნობა თანამედროვე ირანელი ისტორიკოსი ა. ჰ. მაჰდავი წიგნში „ირანის საგარეო ურთიერთობის ისტორიაში“ და ცდილობს რაღაც სამართლებრივი საფუძველი მოძებნოს ირანის დამპყრობლურ პოლიტიკას საქართველოში. მას სურს დაამტკიცოს, რომ საქართველო წარმოადგენდა არა სუვერენულ, დამოუკიდებელ ერთეულს, არამედ ირანის ნაწილს, მის კუთვნილ, ხელდებულ ტერიტორიას. ა. ჰ. მაჰდავი საგანგებოდ აღნიშნავს, თითქოს ირანს ისტორიული მემკვიდრეობის უფლება ჰქონდეს საქართველოზე, როგორც მისი ტერიტორიის განუყოფელ ნაწილზე (გ. ჭიპაშვილი). ამდენად, ა. ჰ. მაჰდავის კონცეფციით, მეფე ერეკლე მეორეს, ვითარცა ირანის მთავრობის მიერ დანიშნულ მმართველს (ვალს) და არა სუვერენულ გამგებელს, გიორგიევსკის ტრაქტატზე ხელის მოწერის უფლებაც არ გააჩნდა.

როგორც ხედავთ, საქართველოს ტერიტორიაზე თანამედროვე ირანის მმართველი წრეების პრეტენზიები არც შემთხვევითობაა და არც უცნაური გაუგებრობა.

როგორც უკვე ითქვა, უთანასწორო ბრძოლებში ქანცგაწყვეტილი და გაჩანაგებული საქართველო იძულებული იყო ძლიერი მოკავშირე, მფარველი ეძია. ასეთი შეიძლებოდა ერთმორწმუნე რუსეთი ან ქრისტიანული დასავლეთი ყოფილიყო. ისტორია ცხადყოფს, რომ ძლიერი ქრისტიანული დასავლეთისათვის საქართველოს

ბედი მნიშვნელოვანი არასოდეს ყოფილა. პირიქით, როგორც ცნობილი თურქოლოგი ო. გიგინეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, ქრისტიანულ დასავლეთს ოსმალეთის იმპერია რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ძალად მიაჩნდა, ამ იმპერიის მფარველის როლში გამოდიოდა და არ გადაუდგამს ნაბიჯი, რომელიც მის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ჩვენ კი შევნიშნავთ, რომ ეს არ არის მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული კონცეფცია — იგივეს მეტყველებს თვით დასავლეთელი მეცნიერების უახლესი გამოკვლევებიც.

მცირე აზიაში ოსმალო თურქების შემოჭრის და დამკვიდრების შედეგად შექმნილი საერთაშორისო ვითარება კარგად აქვს შესწავლილი ცნობილ ბიზანტიოლოგს, ინგლისელ მეცნიერს სტივენ რანსიმენს ახლახან გამოცემულ მონოგრაფიაში „კონსტანტინოპოლის დაცემა 1458 წელს". წიგნი პირველწყაროებზეა დაფუძნებული. მოვლენების ანალიზსა და სისტემატიზაციას ავტორმა უდიდესი შრომა შეალია. ამასთან, მას გათვალისწინებული და გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი სპეციალური ლიტერატურა, როგორც ბიზანტიოლოგიაში, ასევე თურქოლოგიაში.

ინგლისელი მეცნიერი დაწვრილებით წარმოადგენს თურქთა დაპყრობებს ანატოლიაში, დასავლეთ მცირე აზიაში, მათ მიერ დარდანელის გადალახვას და ევროპაში ფეხის მოკიდებას. როგორც ს. რანსიმენი წერს, XV საუკუნის შუა ხანებისათვის „ბიზანტიის იმპერია თითქმის ყოველი მხრიდან თურქთა გარემოცვაში აღმოჩნდა. მდგომარეობა უაღრესად სახიფათო გახდა" და „სრულიად ცხადი იყო, რომ დასავლეთის დახმარების გარეშე იმპერია დაიღუპებოდა". ყურადღება მივაქციოთ, რომ ინგლისელი მეცნიერი განსაკუთრებით „დასავლეთის დახმარებას" გამოყოფს, ვინაიდან, როგორც იგი წერს, „მართლმადიდებელ აღმოსავლეთში არ იყო არავინ დახმარების გაწევა რომ შეძლებოდა... დუნაისპირეთის და კავკასიის ქრისტიანული სახელმწიფოები (მათ შორის საქართველო, ა. ა.) ან დასუსტებულნი იყვნენ, ან თითონ განიცდიდნენ სერიოზულ საფრთხეს. რაც შეეხება რუსეთს, მას მრავალი საკუთარი პრობლემა აწუხებდა და თანაც ძალიან შორს იყო".

ამიტომ, ბიზანტიამ ორიენტაცია დასავლეთზე აიღო და იმპერატორებმა თუ მათმა წარგზავნილებმა ხელგაშვერილებმა შემოიარეს დასავლეთ ევროპის ყველა სამეფო კარი. „მათი თხოვნის უმაღლესი მიზია ქრისტიანული სამყაროს და ქრისტიანული ცივილიზაციის გადარჩენა იყო" და როგორც ს. რანსიმენი წერს, „მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი საკმაოდ შეშფოთებული ჩანდა, რეალური დახმარება ლიტონი სიტყვების ფარგლებს არ გასცდენია". 1458 წლის 29 მაისს, სამშაბათს, დიდი ისტორიული ტრაგედია მოხდა: კონსტანტინოპოლი დაეცა. სულ მალე (1461 წ.) დაეცა თამარ მეფის ხელდებით 1204 წელს დაარსებული ტრაპიზონის იმპერიაც. ასე დასრულდა კაცობრიობის განვითარების დიდი პერიოდი. აზიისა და ევროპის ბევრი ხალხის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა, რაც თურქთა ბატონობით იყო გაპირობებული.

აუწერლად გართულდა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. აღარ არსებობდნენ ერთმორწმუნე ბიზანტიის და ტრაპიზონის იმპერიები. თურქებმა დაჩოქეს და თავისი ბატონობის მძიმე უღელი დაადგეს საბერძნეთს ბულგარეთს, სერბიას, ვალახეთს, მოლდავეთს, ერაყს, სირიას, იორდანიას, ლიბანს, ეგვიპტეს ლიბიას, ალჟირს, ტუნისს... საქართველო კი იბრძოდა, დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობა ორმაგად მძიმე იყო — საქართველოში ბატონობის უფლებას ხომ აგრესიული და ძლიერი ირანიც იჩემებდა.

და მოხდა გაუგონარი, უპრეცედენტო ფაქტი: უმძიმეს პირობებში ქართველმა ხალხმა ბიზანტიის დაცემის შემდეგ გაუძლო ერთი საუკუნე, მეორე საუკუნე, მესამე საუკუნე და კიდევ 50 წელი! ბიზანტიის დაცემიდან 850 წლის მანძილზე ვერა და ვერ იქნა საქართველოს დაჩოქება. ქართველ ხალხს საკმარისზე მეტი საბაბი ჰქონდა დაესვა კითხვა: რამ გადაგვარჩინა? ამ კითხვის მიღმა ეროვნული დრამა, გაპარტახება, მწარე სატკივარი, სისხლიანი ჭრილობების მწკრივია აღმართული. ამაზე დიდი მსხვერპლის გაღება შეუძლებელი იყო. — მაინც დადგა კრიტიკული მომენტი, მომხდურები დაუძლურებული საქართველოს დამონების პრაქტიკულ გეგმებს ადგენდნენ. დასავლეთ ევროპის მონარქებისადმი ხვეწნამუდარამ არაფერი მოგვცა — არავის უნდოდა სამ კონტინენტზე გადაჭიმული ოსმალეთის იმპერიის განაწყენება და „რეალური დახმარება ლიტონი სიტყვების თუ დაპირებების ფარგლებს არ გასცდენია" (ს. რანსიმენი).

უფრო მეტიც: გაიარა ცოტა დრომ და დასავლეთის ქვეყნები, პირველ რიგში ინგლისი და საფრანგეთი, დესპოტური ოსმალეთის იმპერიის მოკავშირეებიც კი გახდნენ. განსაკუთრებით ინგლისის ბურჟუაზია აქტიურობდა. სწორედ მან შექმნა ოსმალეთის იმპერიის მიმართ სტატუს — ქვოს კონცეფცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩაგრული ხალხების კონგლომერატი — ოსმალეთის იმპერია არსებულ საზღვრებში შენარჩუნებულიყო და მისი მთლიანობა დაცულიყო. XIX საუკუნეში ინგლისის მმართველ წრეებში მალ-მალე იმეორებდნენ დევიზს — „სულთნის მტრები ჩვენი მტრებია, სულთნის მეგობრები ჩვენი მეგობრებია". 1877 წელს ინგლისელი ისტორიკოსი ე. ფრიმანი წერდა, რომ ინგლისმა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებმა ოსმალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის იმპერიის ჩაგრული ხალხების წინააღმდეგ ბრძოლაში თურქეთის მთავრობას ყოველგვარი დახმარება გაუწიეს. „თურქეთისათვის გაკეთდა ყველაფერი, — წერდა ე. ფრიმანი, — რაც ერთ ქვეყანას საერთოდ შეუძლია გაუკეთოს მეორე ქვეყანას... რაც თურქებისათვის კეთდება, ჩაგრული ხალხების წინააღმდეგ არის მიმართული“ (როგორი მკაცრი ლოგიკით მეორდება ისტორია: დღეს დასავლეთს აბსოლუტურად არ აინტერესებს თურქეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ბედი; მთავარია თურქეთი დარჩეს ნატოში, დასავლეთის ძლიერი სტრატეგიული მოკავშირე იყოს! მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

დავუბრუნდეთ ირანელ ფანატიკოსებს, საქართველოს ტერიტორიაზე პრეტენზიას რომ აცხადებენ და ამ პრეტენზიის გამოთქმის თვით ფორმას დავაკვირდეთ: ისინი რუსეთს მიმართავენ, ოღონდ თქვენ გაგვეცალეთ და მარტო დარჩენილ ქართველებს ჩვენ ვიცით რომელ ენაზე ველაპარაკოთ. ეს არის ომის ენა! სამწუხაროდ, ჩვენში არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ საქართველომ საუკუნეების მანძილზე გაუძლო მომხდურების შემოტევას და გაუძლებს ამჟამადაც. დიდ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ ასეთი შეხედულება და აი რატომ: განუწყვეტელი ომების იმ ეპოქაში ჩვენ, ქართველებს და აგრესორებს ერთ საქმეში მაინც გვქონდა თანასწორობა, პარიტეტი. ეს იყო იარაღი, შეიარაღება — მქონდათ ხმალი, ფარი თუ თოფი ჩვენც გაგვაჩნდა ეს იარაღები და ხარისხობრივად ნაკლებად არ ვიყავით აღჭურვილნი. დღეს ეს თანასწორობა აღარ არსებობს, აბსოლუტურად დარღვეულია და ჩვენი სამხრეთელი მეზობლების უდიდესმა უპირატესობამ შეცვალა.

ირანი ათეული წლების მანძილზე ნავთობის ექსპორტით მიღებულ მილიარდებს იარაღის ფანტასტიკურად ძვირადღირებული თანამედროვე სამხედრო ტექნიკის შესაძენად ხარჯავს. დღეს მუსულმანი ფანატიკოსების ხელთაა რაკეტები, ტანკები, თვითმფრინავები, ელექტრო და რადიო, მოწყობილობა. მათ ჯერ კიდევ შორეული მისადგომებიდან შეუძლიათ უმძიმესი ნგრევა და ტანჯვა მიაყენონ ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს — მხედველობაში მაქვს რაკეტები, სწორედ ის რაკეტები ირანმა და ერაყმა ერთმანეთის დედაქალაქებს რომ დაუშინეს ასეთი დაუნდობლობით (ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ბარბაროსული აქცია ორ მუსულმანურ ქვეყანას შორის ტერიტორიული პრეტენზიების გამო დაწყებული ომის დროს მოხდა — იოლი წარმოსადგენია როგორი იქნება მათი გააფთრება ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ ომის შემთხვევაში!).

როგორ უნდა შევქმნათ (თანაც უმოკლეს დროში) ისეთი სამხედრო პოტენციალი, რომელიც უკვე აქვს თანამედროვე ირანს ან თურქეთს (უდიდესი არმია დასავლეთ ევროპაში); რა უნდა დაუპირისპიროს ყოველივე ამას განმარტოებულმა, იზოლირებულმა საქართველომ? სრულიად ცხადია, კბილებამდე შეიარაღებულ ფანატიკოსებს ან სხვა ჯურის აგრესორებს ათეული, ასეული ათასობით ქართველმა ახალგაზრდამ საკუთარი სხეულით უნდა გადაულობოს გზა. მაგრამ ამ საზარელი მსხვერპლის გაღებასაც ხომ არ ექნება ბოლო, არ მოჰყვება ხსნა, შველა? ეს კითხვები ცხოვრებისეულია და ვისაც ჩვენი ერის მომავალი აწუხებს, უფლება არა აქვს გვერდი აუაროს მათ.

რაც შეეხება თურქეთს, ცნობილია მისი პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის დროს. ანკარის მაშინდელი მმართველები სტალინგრადის დაცემას ელოდნენ, რათა შემოჰრილიყვნენ ჩვენი კავშირის ფარგლებში და, პირველ რიგში, ტრადიციისამებრ, დასავლეთი საქართველო დაეკავებინათ. გასაგებია თუ როგორი შეიძლება იყოს თანამედროვე თურქეთის პოზიცია განმარტოებული საქართველოს მიმართ.

ოპონენტებს შეუძლიათ შემომედავონ, მითხრან, ფერებს ამუქებ, დღეს ხომ შუა საუკუნეების გაუკითხაობის ხანა აღარ არის, დღეს განათლებული, ცივილიზებული XX საუკუნის დასასრულია; არსებობს ავტორიტეტული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში, ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციები და სხვა.

დიახ, არსებობს. მაგრამ რა? ამან ხელი ვერ შეუშალა ირან-ერაყის ომს, ულმობელ ხოცვა-ჟლეტვას, რომელიც ჩვენი საუკუნის ყველაზე ხანგრძლივ ომად იქცა, მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ორი მილიონი ხეიბრად აქცია; ორივე მხარის სამხედრო ზარალმა 200-800 მილიარდ დოლარს მიაღწია.

თანამედროვე ცივილიზაციამ ვერაფერი გააწყო ისრაელი აგრესორების მიმართ, მილიონობით ადამიანს რომ მოუსპეს სამშობლო, მამული, სახლ-კარი და საერთოდ შეუპოვარი თანმიმდევრობით ანხორციელებენ მთელი ხალხის, პალესტინელების ფიზიკური მოსპობის საშინელ გეგმას. თანაც, პალესტინელებს მხარს უჭერს მოძმე არაბული სამყარო 150 მილიონ კაცს რომ მოითვლის და ეროვნული განთავისუფლების ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს 100-მდე სახელმწიფომ სცნო ოფიციალურად!

გასულ, 1988 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას პალესტინის პრობლემის განხილვა ჰქონდა დაგეგმილი და ამ მიზნით სესიაზე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი იასირ არაფატი უნდა გამოსულიყო სიტყვით, მაგრამ ოფიციალურმა ვაშინგტონმა ასეთი დებატების ნიუ-იორკში გამართვა აკრძალა და თუ უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაცია გაჯიუტდებოდა, კარისაკენ მიუშვერა ხელი. ძალა აღმართს ხნავს — გაეროს 160-მდე დელეგაცია იძულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული შეიქნა ამერიკიდან ევროპაში, ჟენევაში გადაბარგებულიყო და იქ ემსჯელა ახლო აღმოსავლეთის მწვავე კრიზისის დაძლევის გზებზე.

ამრიგად, თანამედროვე ისტორიის რეალობანი (ანალოგიურ მასალას კვლავაც მოვიტანთ) მოწმობენ, რომ ჩვენს საუკუნეში საერთაშორისო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ იქცნენ ძალად, რომლებსაც სამართლის, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერების სამართლის დადგენა და დაცვა შეეძლოს (მრავალრიცხოვანი ერები თითონ ადგენენ თავის სამართალს). თქმა არ უნდა, ჩვენ, ქართველებს ეს კარგად უნდა გვახსოვდეს და ფუჭი იმედებით თავს არ ვიბრუებდეთ.

განმარტოებულ საქართველოს იქნებ ცალკე აღებული რომელიმე ზეძლიერი სახელმწიფოს დახმარების და მფარველობის იმედი შეიძლება ჰქონდეს? განვიხილოთ ეს ვარიანტიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირიდან გასულმა საქართველომ სრულიად შეგნებულად უარი უნდა თქვას ზეძლიერი საბჭოთა სახელმწიფოს თანადგომის თვით იდეაზეც კი. რაც შეეხება მეორე ზეძლიერ სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, შემდეგი უნდა ითქვას: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოს ისტორიული მეზობლები და მტრები ირანი და თურქეთი ვაშინგტონის განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცნენ, რაც პირველ რიგში იმითაა განპირობებული, რომ ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის უშუალო მეზობლები არიან. შეერთებული შტატები ირანის და თურქეთის მფარველის, მათი სამხედრო ძლიერების და ხელშეუხებლობის პრინციპულ პოლიტიკას ატარებენ. გავიხსენოთ მონარქისტული ირანი. შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ ამერიკისაგან იყიდა (და ამერიკამ სიამოვნებით მიჰყიდა!) ისეთი რაოდენობის იარაღი, რამდენიც საერთოდ ერთ სახელმწიფოს მეორისათვის არ მიუყიდია. ამიტომ იყო მოჰამედ რეზას ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონის მთავარ ჟანდარმს რომ უწოდებდნენ. ირანელმა ხალხმა ცბიერი დესპოტი დაამხო, მაგრამ ქვეყანაში რელიგიური ფანატიზმი გაბატონდა და ამასთან ერთად ანტიამერიკულმა განწყობილებებმა იმძლავრა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ირანში 50 ამერიკელი დიპლომატი (ხელშეუხებელი პირები!) დაატყვევეს, მთელი წელიწადი აწვალეს, აწამეს, მთელი წელიწადი მათ თავზე გულისგამაწვრილებლად ეკიდა დამოკლეს მახვილი, არავინ იცოდა, როდის ან რას გადაწყვეტდნენ აიათოლები. და უძლიერესმა ამერიკამ ეს სილა გადაყლაპა, ირანის წინააღმდეგ უშუალო სამხედრო აქციების განხორციელებას თავი აარიდა. ამას თავისი ახსნა აქვს და უმთავრესი ისაა, რომ ირანში ამერიკის ჯარების შეჭრას მეორე ზეძლიერი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის საპასუხო რეაგირება მოჰყვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის 1921 წლის ხელშეკრულებით ირანის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირისათვის სახიფათო სამხედრო ვითარების შექმნის შემთხვევაში ჩვენი ჯარების იქ შეყვანის უფლება გვაქვს (რაც გამოვიყენეთ კიდევაც მეორე მსოფლიო ომის დროს). ცხადია, ვაშინგტონმა თავი აარიდა საბჭოთა კავშირთან უშუალო კონფრონტაციის პერსპექტივას და საშინელი, შეურაცხმყოფელი ინციდენტი ფაქტობრივად უპასუხოდ დატოვა.

მოვლენების ამ ფონზე ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ დამოუკიდებელი, განმარტოებული საქართველოს წინააღმდეგ ირანის აგრესიის შემთხვევაში შეერთებული შტატები გამოიღებენ ხელს და მფარველად მოგვევლინებიან? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მკითხველისათვის მიმინდვია.

შეერთებული შტატების საალმოსავლეთო პოლიტიკაში თანამედროვე თურქეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია. 1959 წელს დადებული ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულებით ამერიკამ საგანგებო ვითარების ჟამს თურქეთში თავისი ჯარების შეყვანის უფლება მიიღო. იმავე ხელშეკრულებით შეერთებულმა შტატებმა ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ტერიტორიაზე ათეულობით სამხედრო-სტრატეგიული ბაზა განალაგა. გარდა ამ ორმხრივი კავშირისა, ამერიკა-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობა ნატოს ხაზითაც ხორციელდება და ვაშინგტონისათვის თურქეთი ნატოს გამორჩეული, განსაკუთრებული წევრია. აი, ამის საბუთებიც:

ნატოს 15 წევრიდან თურქეთი ამერიკის ყველაზე დიდ სამხედრო დახმარებას ღებულობს; თურქეთის 600 ათასიანი არმიის შეიარაღებაც და მოდერნიზაციაც მთლიანად შეერთებული შტატების პერმანენტული საზრუნავია.

შემდეგ. ნატოს ორ წევრს თურქეთსა და საბერძნეთს შორის კვიპროსისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების გამო დაწყებულ მწვავე კონფლიქტში ვაშინგტონმა აშკარად თურქეთის მხარე დაიჭირა. ესე იგი, არაფრად ჩააგდო ნატოს სამხედრო ბლოკის წევრების თანასწორუფლებიანობისა და სოლიდარობის ოფიციალური რეგლამენტაცია (საბერძნეთიც ხომ ნატოს წევრია?) და თურქეთმაც არ დააყოვნა — პირდაპირი აგრესია განახორციელა სუვერენული რესპუბლიკის, კვიპროსის წინააღმდეგ. თანამედროვე მსოფლიოში მცირერიცხოვანი ერების უფლებრივი მდგომარეობის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის თვალსაზრისით კვიპროსის კრიზისი უაღრესად საგულისხმო და ნიშანდობლივია და ამდენად მასზე შეჩერება ზედმეტი არ უნდა იყოს.

25 წელია კვიპროსის რესპუბლიკას მშვიდობა აღარ უნახავს, ეროვნებათაშორისო შუღლმა, შეტაკებებმა და სისხლის ღვრამ დაარბია იგი. მიზეზი ასეთია: 1571-1878 წლებში კუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძული ოსმალეთის ბატონობაში იყო. ამ პერიოდში კვიპროსზე თურქებიც დასახლდნენ და მოსახლეობის საერთო რაოდენობის 20 პროცენტი შეადგინეს; უდიდესი უმეტესობა — 80 პროცენტი კი კუნძულის ძირძველი მოსახლეები, ბერძნები არიან (ეს თანაფარდობა დღესაც ძალაში რჩება). გავიდა დრო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა კვიპროსის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. კონსტიტუციით კვიპროსში ორი ოფიციალური ენაა: ბერძნული და თურქული; ოფიციალური რელიგიაც ორია: მართლმადიდებლობა და ისლამი (დააკვირდით, როგორი უფლებები ჰქონდა თურქთა ეროვნულ უმცირესობას). მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმაო და 1963 წელს ორივე თემის ექსტრემისტებმა ეროვნებათაშორისი შუღლი, შეტაკებები, დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტვა გამოიწვიეს. 1974 წელს კუნძულზე მცხოვრები თურქების ინტერესების დაცვის მოტივით, თურქეთმა თავისი ჯარები გადასხა კუნძულზე. თურქმა აგრესორებმა კვიპროსის ტერიტორიის 40 პროცენტი დაიპყრეს (მიუხედავად იმისა, რომ თურქები კუნძულის მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენენ) და დაპყრობილ ტერიტორიაზე კვიპროსის თურქული რესპუბლიკა გამოაცხადეს. ვინ გამოიღო ხელი კუნძულის ადგილობრივი მოსახლეობის, ბერძნების დასახმარებლად? არავინ. კუნძული ორ ნაწილად გაიხლიჩა; დაირღვა ტრადიციული ეკონომიკური კავშირურთიერთობები; კვიპროსის მთელი მოსახლეობა აუტანელ ტანჯვას განიცდის — ათასობით, ათეული ათასობით ოჯახი იძულებულია მამაპაპისეული ადგილებიდან აიყაროს და ეროვნულობის მიხედვით გადანაწილდეს. ამ ძალადობამ მთელი მსოფლიო შეაშფოთა, პროტესტები პროტესტებს მოსდევდა. მაგრამ რა? ადგილობრივმა ბერძნებმა საკუთარი კუნძულის, მიწა-წყლის დიდ ნაწილზე სუვერენიტეტი დაკარგეს. თურქეთის ჯარები დღემდე იქ რჩებიან. კონფრონტაცია გრძელდება.

გავიხსენოთ თანამედროვე ისტორიის მეორე გაკვეთილი — ოლსტერის ტრაგედია. საუკუნეების მანძილზე ირლანდია ინგლისის კოლონია იყო და ირლანდიელები ეროვნული უფლებებისათვის, დამოუკიდებლობისათვის გმირულად იბრძოდნენ, რამაც ნაყოფი მხოლოდ 1949 წელს გამოიღო — ირლანდიის მეტი ნაწილი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმმა მაინც შეძლო ჩრდილოეთ ირლანდიაში (ოლსტერი) ხელისუფლების შენარჩუნება იმ ძირითადი მოტივით, რომ ოლსტერში ადგილობრივ კათოლიკე ირლანდიელებთან ერთად იქ ჩასახლებული ინგლისელი პროტესტანტებიც ცხოვრობენ. ცხოვრობენ და ბატონობენ კიდევაც. ირლანდიელები თავისი უფლებების, ეროვნული ინტერესების დასაცავად აღსდგნენ. მთელი ქვეყანა ცეცხლში გაეხვია. ინგლისმაც არ დააყოვნა და „წესრიგის აღდგენის“ საბაბით, სინამდვილეში კი პროტესტანტი ინგლისელების მხარდაჭერის მიზნით, ოლსტერში ჯარები შეიყვანა. ისინი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებიან საკუთარ მიწა-წყალზე საკუთარი უფლებებისათვის მებრძოლ ირლანდიელებს. პროტესტის ნიშნად რამდენიმე ირლანდიელმა ახალგაზრდამ შიმშილით მოიკლა თავი.* ამ ტრაგედიამ მთელი მსოფლიო შეაძრწუნა, მაგრამ რა? რეალური დახმარების ხელი არავის გაუწვდია. დიდი ბრიტანეთის ჯარები ოლსტერში რჩებიან. ტრაგედია გრძელდება.

თანამედროვე ისტორიის მსგავსი გაკვეთილების მოტანა შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა: მარტო მალვინის (ფოლკლენდის) კუნძულების ან პატარა გრენადის ტრაგედიის გახსენება რად ღირს! მაგრამ მინდა ნაკლებად ცნობილი ფაქტებიც წარმოვადგინო.

მაგონდება 1988 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში გახმაურებული ერთი შემთხვევა. კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა (წარმოშობით სომეხმა), რ. რეიგანის პირადმა მეგობარმა (რომელიც პრეზიდენტს საშინაო სახელით „რონი“ მიმართავდა) წერილი გაუგზავნა თეთრი სახლის მესვეურს. გუბერნატორმა პრეზიდენტს დელიკატურად შეახსენა თუ როგორ დაეხმარა იგი, გუბერნატორი და მასთან დაკავშირებული წრეები რ. რეიგანს წინასაარჩევნო კამპანიაში, საერთოდ „რონის“ პრეზიდენტად გახდომაში. შემდეგ გუბერნატორმა ასეთი თხოვნით მიმართა პრეზიდენტს: სომეხი ხალხის უდიდესი ტრაგედიის, ოსმალეთის იმპერიაში ორ მილიონამდე სომეხის გაჟლეტის 70 წლისთავი სრულდება და ამ გაუგონარი მასშტაბის გენოციდის დაგმობის ნიშნად შეერთებულ შტატებში გლოვის დღე თუ არა პარაკლისი მაინც გადავიხადოთ, რომელშიც თქვენც მიიღებდით მონაწილეობასო.

საპასუხო წერილში პრეზიდენტმა რ. რეიგანმა სათანადო მიუზღო გუბერნატორის მეგობრულ გრძნობებს, მაგრამ მისი თხოვნის შესრულებაზე უარი თქვა: ამ მიზეზით, სამგლოვიარო ღონისძიებების ჩატარება თურქეთს გაალიზიანებს, ანკარის წყენას გამოიწვევს, რაც არ შეესაბამება შეერთებული შტატების სახელმწიფო ინტერესებს, ვინაიდან თურქეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა. ძალიან ვწუხვარ, — წერს პრეზიდენტი, — რომ ვერ გეხმარებით, მაგრამ იძულებული ვარ სახელმწიფო ინტერესებით ვიხელმძღვანელოო.

რით შეიძლება აიხსნას თუნდაც ზემოთ მო-

* დააკვირდით, შიმშილით თავი გასწირეს ირლანდიელმა ვაჟებმა და არა ქალებმა. რაც შემთხვევითი არ არის: პროტესტის ისეთ მძიმე ფორმაში, როგორიცაა შიმშილი, ქალები არ მონაწილეობენ. მანდილოსნები ერის, ოჯახის ბურჯად, გამგრძელებლად მიაჩნიათ და მათ ფიზიკურ შესაძლებლობებს ჯენტლმენურად ეკიდებიან.

ტანილი რამდენიმე ფაქტის მაგალითზე დასავლეთის ასეთი „გულგრილობა"? დღეს მსოფლიოში მაგისტრალური პროცესი მიმდინარეობს, რომლის დედაარსი ის არის, რომ ორი უდიდესი და ზეძლიერი ძალა საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ხელს იღებენ უმწვავეს კონფრონტაციაზე და ურთიერთშეჯახების შედეგად როგორც საკუთარი მეს, ასევე დანარჩენი მსოფლიოს განადგურების უარყოფის გზას დაადგნენ. ამიტომაა, რომ მცირერიცხოვანი ერების დიდ პრობლემები (პალესტინა, კვიპროსი, ავღანეთი, ოლსტერი, გრენადა, ფოლკლენდი და სხვა მრავალი) რეგიონალურ, ესე იგი, ადგილობრივ კონფლიქტებად არიან მიჩნეულნი და მადლობა უფალს, რომ ზეძლიერი სახელმწიფოების ურთიერთ შეჯახების საბაბს არ წარმოადგენენ.

ე პ ი ლ ო გ ი. ვისაც მოთმინება ეყო და ეს წერილი ბოლომდე წაიკითხა, უსათუოდ გულნატკენი დარჩებოდა. აქ მოტანილი ფაქტოლოგია თქვენში ისევე როგორც ჩემში უარყოფით ემოციებს იწვევს — ყველა ერის, ხალხის უმაღლესი ოცნება ხომ მამულის დამოუკიდებლობა, ქვეყნის სუვერენიტეტი არის — როგორც ენგელსი ამბობდა, ყველა ერს უნდა ჰქონდეს უფლება „იყოს თავის საკუთარ სახლში ბატონ-პატრონი". ბუნებრივად დაისმება კითხვა: ჩვენთვის, ქართველებისთვის დამოუკიდებლობაზე ფიქრი სამიდღემჩიოდ განუხორციელებელ ოცნებად რჩება? განა დამოუკიდებლობის იმედი მთლად გადაწურულად უნდა მივიჩნიოთ?

ამ კითხვებზე საბუთიანი პასუხის გაცემა ძნელია, მიუხედავად ამისა ჩემი დამოკიდებულება მაინც მინდა გამოვთქვა. ჩვენი, XX საუკუნე სამართლიანობის და ჰუმანიზმის დაწინაურების თვალსაზრისით გასული საუკუნისგან დიდად განსხვავდება. ეს პროცესი გრძელდება და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ წარმატებას მიაღწევს ზოგადსაკაცობრიო მასშტაბით. პირველ რიგში, ეს მრავალრიცხოვანი და მცირერიცხოვანი ერების უფლებრივ მდგომარეობაში რეალურად არსებული დისპროპორციების ლიკვიდაციას ეხება.

ასეთია ჩვენი საუკუნის დასასრულის ზოგიერთი რეალობა. მომავალი საუკუნის ღირებულებათა შეფასება კი ჩვენს შთამომავლობას უნდა მივანდოთ.

დიდ საქმეს დიდი დრო უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა პატარიძე

# „წიგნი მირიანისა“

## (იდეურ-მხატვრული ანალიზი)

„წიგნი მირიანისა“ — ასე ვიხსენიებთ ჩვენ იმ თხზულებას, რომლის სრული სათაურია: „წიგნი, რომელი დაწერა მირეან მეფემან ქართლისამან, ჟამსა სიკუდილისასა. აღწერა პელითა იაკობ მთავარებისკოპოსისათა და მისცა სალომეს უჯარმელსა, ძის ცოლსა თჳსსა, რომელ მეცნიერ იყო ყოველსავე ჭეშმარიტად“. ეს მცირე მოცულობის თხზულება „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი (შატბერდულ-ჭელიშური) რედაქციის ერთერთი უკანასკნელი თავია, თხზულებას ბოლოს ერთვის და გარკვეულად მისი შემაჯამებელი მონაკვეთიცაა.

„წმ. ნინოს ცხოვრება“, რომელიც, თავის მხრივ, ძველი ქართული მატიანის „მოქცევაჲ ქართულისაჲს“ მეორე ნაწილს წარმოადგენს, ქართველთა განმანათლებლის — წმ. ნინოს თავგადასავალს მოგვითხრობს და, ამასთანავე, საქართველოს მოქცევის სურათს გვიხატავს. ამ საკმაოდ საინტერესო შედგენილობის ძეგლს რამდენიმე მთხრობელი ჰყავს; ეს ის პიროვნებებია, რომელთაც უშუალო მონაწილეობა მიუღიათ ქართლის მოქცევაში. პირველად წმ. ნინო უყვება ქართლში მოსვლამდელ თავის თავგადასავალს. ნინოს მონაყოლს მისი ერთერთი მოწაფეთაგანი — მირიან მეფის ძის რევის მეუღლე — სალომე უჯარმელი იწერს. მერმე — სიდონია მოგვითხრობს ქართლის მოქცევის სხვადასხვა ამბავს. შემდეგ უყვება აბიათარი, სიდონიას მამა, მცხეთელ ებრაელთა დიასპორის წევრი, რომელმაც აქაურ ებრაელთა შორის ერთმა პირველთაგანმა აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება და ჯვარი აღმართა ებრაელთა სალოცავ ბაგინზე; შემდეგი მთხრობელი „საბერძნეთით მოსრული“ მღვდელი იაკობია; ბოლოს, შემაჯამებელი თავი კი თვით მირიან ქართველთა მეფეს ეკუთვნის.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ მკვლევარმა მარინე ჩხარტიშვილმა „მირიანის წიგნის“ ადგილი „ნინოს ცხოვრების“ კრებულში ასე განსაზღვრა: „მეფის მოგონებაში ყველაფერია მოკლედ განმეორებული: ქართველთა ისტორია ნინოს მოსვლამდე, მეფის მოქცევა, ეკლესიის მშენებლობა, კურნებანი, ჯვრის დამზადება და აღმართვა. მაგრამ ეს მხოლოდ შემოკლებული, რეზიუმირებული ნაწილი როდია კრებულისა. თხრობა უკვე ნათქვამი ფაქტების შესახებ აქ მართლაც მოკლეა, მაგრამ ახალი ნიუანსებით არის გამდიდრებული. მაგალითად, საჯვარე ხის შერჩევასთან დაკავშირებით დამატებულია ცნობა ამ ხის ნაყოფის განმკურნებელი უნარის შესახებ...

მირიანის „წიგნში“ პირველად შემოდის მოგონება ნინოს გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. როგორც ითქვა, ავტორისეულ მოგონებაში დასნეულებული ნინო ჩანს და არა გარდაცვლილი. აქ კი იკვრება წრედი: დაიწყო ნინოს დასნეულების ამბავი, გადაიშალა ამის მერე მთელი მისი ცხოვრება და დაბოლოვდა გარდაცვალების და დაკრძალვის აღწერით.[1]

მკვლევარი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მირიანის წიგნი“ ერთდროულად მთელი „ნინოს ცხოვრების“ შემაჯამებელი, დასკვნითი ნაწილია და, ამავე დროს, მისი დამასრულებელია — მთელი ძეგლის წრიული კომპოზიციის უკანასკნელი რგოლია.

„ნინოს ცხოვრება“, რომელსაც განმანათლებლისა და მისი უახლოესი პირების მონათხრობთა კრებულის სახე აქვს, საკმაოდ რთული კომპოზიციის ძეგლია. ეს სირთულე ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ავტორებს შეუნიშნავთ, ძეგლის ხარვეზად მიუჩნევიათ და ცდილან კიდევაც, რომ ეს ხარვეზი გამოესწორებინათ.

„ქართლის ცხოვრებაში“ შესულ „წმ. ნინოს ცხოვრებას“, ე. წ. „ნინოს ცხოვრების“ მატი-

ანისეულ რედაქციას, ისევე როგორც მის არქეტიპს, სხვადასხვა პირის მიერ მოთხრობილი ამბების კრებულის სახე აქვს. მაგრამ აქ ზოგიერთ თავს, ან ცალკეულ ეპიზოდს ადგილი აქვს შეცვლილი; აგრეთვე, თხზულება დამატებით შევსებულია სხვა წყაროებით. ძეგლის ამგვარად გადაკეთება, როგორც ჩანს, რედაქტორის, როგორც მემატიანის, ინტერესებით იყო გამოწვეული. აქ ყველაფერია გაკეთებული იმისათვის, რომ თხრობა იყოს თანმიმდევრული და, რაც მთავარია, შეესაბამებოდეს დროში მოვლენათა თანამიმდევრობას. ასეთმა მიდგომამ ტექსტის მიმართ, ბუნებრივია, „იმსხვერპლა" „წიგნი მირიანისა", სადაც ძირითადად საუბარია მანამდე უკვე მოთხრობილი ამბების შესახებ. ხოლო ისეთი ეპიზოდები, რომლებიც „მირიანის წიგნში" პირველად იყო მოთხრობილი — საჯვარე ხის სასწაულთმოქმედების ამბავი, წმ. ნინოს გარდაცვალება და სხვ. ჩართულია თხზულების იმ ადგილებში, სადაც მოვლენათა თანმიმდევრობის მიხედვით, მათი შესაფერისი ადგილი იყო. ამ გზით „გააუმჯობესა" „ნინოს ცხოვრების" კომპოზიცია მატიანისეულმა რედაქციამ.

მეტაფრასულ „ნინოს ცხოვრებაში" საერთოდ მოშლილია სხვადასხვა პირისაგან ამბების გადმოცემა, და ძეგლს მესამე პირში, თანმიმდევრული, გაბედული, დროის მიხედვით დალაგებული თხრობის სახე აქვს. ბუნებრივია, აქაც „წიგნი მირიანისა" არ არის გამოყოფილი როგორც ცალკე თხზულება.

არადა სწორედ „მირიანის წიგნია" ის მონაკვეთი „ნინოს ცხოვრებისა", სადაც მთლიანდება მთელი ძეგლი, სადაც იკვეთება მისი შინაგან-გარეგანი სტრუქტურა და ყურადღებაა გამახვილებული, ქართლის მოქცევის უმნიშვნელოვანეს მომენტებზე. „მირიანის წიგნი" დროის მიხედვით მკაცრად ორიენტირებულია, აქვს ნათელი კომპოზიცია და ლოგიკურადაც ზედმიწევნით გამართულია. ყოველივე ამის გამო „მირიანის წიგნი" მთლიანად აწონასწორებს „ნინოს ცხოვრების" დანარჩენი ნაწილის, ერთი შეხედვით, ეპიზოდურ, გაბნეულ ხასიათს.

სრულიად სამართლიანია მ. ჩხარტიშვილის მოსაზრება, რომ მირიანის წიგნში ხელახლა მოკლედ მოთხრობილი ამბები წინმავალი ეპიზოდების უბრალო შემოკლება და რეზიუმირება როდია. ყოველი ეპიზოდი აქ მართლაც ახალი ნიუანსებით არის გამდიდრებული. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი აქ ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით არიან გააზრებულნი და არსებითი ნიშნით წარმოჩენილნი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქრისტიანული სიმბოლიკის მქონე ტერმინები („წმინდაჲ წმიდათაჲ", „უჩინოჲ და ცხადი" და სხვ.), რომლებსაც უკანასკნელი ხანის სამეცნიერო გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, სწორედ „მირიანის წიგნშია" დაცული.

ამგვარად, „მირიანის წიგნს" გააჩნია ორი ძირითადი თვისება. პირველი — ეს არის მისი მკაფიოდ გააზრებული სტრუქტურა. „ნინოს ცხოვრებაში" არსებული ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი ქართლის მოქცევისა, ლოგიკური თანმიმდევრობით, შესულია „მირიანის წიგნშიც", მეორე — ყოველი მათგანი, მართალია, ძალზე ლაკონურად, მაგრამ, გააზრებული და შეფასებულია. ყველა ეს ეპიზოდი გაერთიანებულია ისე, რომ გამოჩნდეს ქართლის მოქცევის მნიშვნელობა საქართველოს მთელი ისტორიისათვის — დასაბამიდან დასასრულამდე.

იმისათვის, რომ „მირიანის წიგნის" კომპოზიცია და მისი იდეურ-შინაარსობრივი მხარე უფრო კარგად წარმოჩნდეს, ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ პირობითად ამ ძეგლის ცალკე მონაკვეთებად დაყოფა. ისინი თავიანთი შინაარსის მიხედვით, ასევე პირობითად, შეიძლება დასათაურდეს. ამგვარად, „მირიანის წიგნი" შეიძლება დაიშალოს შემდეგ შინაარსეულ მონაკვეთებად:

1. საქართველო წმ. ნინოს მოსვლამდე.
2. წმ. ნინოს მოსვლა ქართლში.
3. მირიან მეფის მოქცევა.
4. პირველი ეკლესიის („ქუემოჲ") აგება.
5. ჯვრების აღმართვა.
6. წმ. ნინოს მაყვლოვანის ბუჩქის ადგილას ეკლესიის („ზემოჲ") აგება.
7. „ზემოჲ" ეკლესიაში მირიანის საფლავის შემზადება.
8. წმ. ნინოს გარდაცვალება; მის საფლავზე ეკლესიის აგება; მირიანის სახოება აღდგომისათვის.

„მირიანის წიგნის" სტრუქტურა ძირითადად მიჰყვება „ნინოს ცხოვრებაში" თავების განლაგების თანმიმდევრობას (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ნინოს ცხოვრებაში" ამბები უკვე დასნეულებული განმანათლებლის სარეცელზე წოლის სურათით იწყება). შევადაროთ ის „ნინოს ცხოვრების" თავებად დაყოფისა და მათში ამბების განაწილების პრინციპს. „ნინოს ცხოვრება" თავებისა და შინაარსის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად:

I. წმ. ნინოს ანდერძი, აღწერილი სალომე უჟარმელის მიერ

1. „ხოლო ოდეს დაასრულა სრბაჲ თჳსი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა (წმ. ნინოს დასნეულება და მის მიერ მოწაფეებისათვის თავისი ცხოვრების თხრობა).

2. „ცხორებაჲ წმიდისა ნინოჲსი" (წმ. ნინოს მშობლების ვინაობა, მისი ყრმობა).

3. „აღწერილი მისივე სალომე უჟარმელისაჲ" (წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში მოსვლამდე).

4. „მოწევნა წმიდისა ნინოჲსი მცხეთად, აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი მისივე სალომე უჯარმელისაჲ“ (წმ. ნინოს მცხეთაში მოსვლა, კერპების მსხვრევა).

II. სიდონიას თხრობა.

5. „რომელი აღწერა დედაკაცმან ჰურიამან, სახელით სიდონია,ასულმან აბიათარ მღდელისამან“ (ქართლი წმ. ნინოს მოსვლამდე, უფლის კვართის მცხეთაში მოხვედრის ამბავი).

6. „თქუმული სიდონიაჲსიე დედაკაცისაჲ“ (ნანა დედოფლის მოქცევა, ნანას დედის ძმის განკურნება ნინოს მიერ).

7. „თქმული მისივე“ (მირიანის მოქცევა — მზის დაბნელება).

8. „მისივე აღწერილი აღშენებისათჳს ეკლესიათაჲსა“ (ეს თავი ჭელიშურ ხელნაწერში გამოყოფილია, შატბერდულში კი გაერთიანებულია ამ წინამავალ თავთან) („ქუემოჲ“ ეკლესიის აშენება).

9. „თქუმული მისივე“ (ძელი ცხოველის სასწაულები).

III. აბიათარის თხრობა.

10. „რომელი თქუა აბიათარ, რომელი იყო პირველი მღდელი ბაგინსა შინა ჰურიათასა მცხეთას და ნათელ იღო ჰელსა შინა ნინოჲსსა“ (აბიათარის მოქცევა, „ელიოზის სახლის“ — ებრაელთა მცხეთის დიასპორის ამბები).

IV. იაკობ მღვდელის (შემდეგ მთავარეპისკოპოზის) თხრობა.

11. „პატიოსნისა ჯუარისათჳს, რომელი აღწერა იაკობ“ (ჯვრების აღმართვა მცხეთაში, უჯარმაში, ბოდში).

V. მირიან მეფის თხრობა.

12. „წიგნი, რომელი დაწერა მირეან მეფემან ქართლისამან ჟამსა სიკუდილისასა“ (წმ. ნინოს სიკვდილი, მის სახელზე ეკლესიის აგება, მირიანის საფლავის შემზადება).

13. „ანდერძი მირეან მეფისაჲ ძისა თჳსისა მიმართ რევისა და ცოლისა თჳსისა ნანაჲსა“ (მირიანის ანდერძი ნანას მიმართ წმ. ნინოს ეკლესიის დაცვის თაობაზე და რევის მიმართ — კერპების დანგრევისა და ქრისტიანობის შემდგომი გავრცელების თაობაზე).

როგორც ვხედავთ, დროის მიხედვით მოვლენათა თანმიმდევრობა მთელს „ნინოს ცხოვრებაში“ რამდენიმე ადგილას ირღვევა. მაგ., ჯერ მოთხრობილია წმ. ნინოს მცხეთაში მოსვლა, ხოლო შემდეგ — ქართლი წმ. ნინოს მოსვლამდე და უფლის კვართის მცხეთაში მოხვედრის ამბები. თუმცა ისიც ადვილი მისახვედრია, რომ ეს არის არა საზოგადოდ დროის ფაქტორის უგულებელყოფა, არამედ ძეგლის კომპოზიციური აგების თავისებურება. სიუჟეტური ქარგის აგების პრინციპი კარგად ავლენს, რომ ავტორი სრულიად აშკარად განჭვრეტს დროს, როგორც ერთიან ხაზს წარსულიდან მომავლისაკენ. აქ მოთხრობილია ჯერ ქართლის მოქცევამდელი ამბები, თვითონ ქართლში არსებული ვითარება, შემდეგ მოქცევის ეპიზოდები, შემდეგ წმ. ნინოს აღსასრული და მირიანის ანდერძი, მისი მიმართება მომავლისადმი. ამდენად, „მირიანის წიგნი“ სრულიად არ უპირისპირდება ძეგლის დროის საერთო კონცეფციას. პირიქით, უფრო მკაფიოდ გამოკვეთს მას. ამდენად, ჩვენი აზრით, „მირიანის წიგნის“ დეტალურ განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც „წმ. ნინოს ცხოვრების“, ისე, საერთოდ, ქართული სამწერლობო ტრადიციის შესწავლისათვის.

„მირიანის წიგნს“ ჩვენ განვიხილავთ ზემოთ ჩამოთვლილი დასათაურებული მონაკვეთების მიხედვით.

## 1. საქართველოს წმიდა ნინოს მოსვლამდე

„და[2] იყო ჟამსა მას, რომელსა მოიჴსენა უფალმან ქუეყანაჲ ესე ჩრდილოჲსაჲ, დაბნელებული ცოდვითა და სავსე ცთომითა ეშმაკისაჲთა, ვიყვენით ჩუენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, რამეთუ ვარ მე ოც და მათექისმეტუჱ მეფჱ, ვინაჲთგან მამანი ჩუენნი მოივლინნეს ვიდრე დღეთა ჩემთამდე. და შექამნეს შვილნი მათნი მსხუერპლად კერპთათჳს საძაგელთა, და უბრალოჲ იგი ერი ქუეყანისაჲ მის. და რომელნი შვილთა მათთა ვითარცა თივასა თიბდეს, მამანი ჩუენნი, რაჲთა სათნო ეყვნენ კერპთა და უფროჲს ხოლო ორთა მათ მთაათა, არმაზისა და ზადენისა, რომელთა ქვანიცა მათნი დაულთვან3(!) სისხლითა ჩჩჳლთაჲთა, და ღირსცა არიან მთანი იგი ასპოლვად ცეცხლითა, რისხვითა ღმრთისამიერითა“.

პირველ მონაკვეთში საქართველოს წინაქრისტიანული დროის, წარმართულ კერპთა მსახურების „ცოდვით დაბნელებული“ ხანის შემაძრწუნებელი სურათია დახატული. ამ ემოციას აძლიერებს ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა: „შვილთა მათთა ვითარცა თივასა თიბდეს მამანი ჩუენნი“, „ქვანიცა მათნი დაულთვან სისხლითა ჩჩჳლთაჲთა“ და სხვ. წარმართული ხანის მსგავსი სურათი „ნინოს ცხოვრების“ სხვა ადგილასაც — სიდონიას მონათხრობ თავში გვხვდება: „და იყო ოდეს მოხედა ღმერთმან წყალობით ქუეყანასა ამას დავიწყებულსა ჩრდილოჲსასა კავკასიათა, სომხითისა მთეულსა, რომლისა მთანი დაეფარნეს ნისლსა და ველნი არმურსა ცთომისა და უმეცრებისასა, და იყო ქუეყანაჲ ესე ჩრდილო მზისაგან სიმართლისა... ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი, არმაზ და ზადენ, რომელნი იყნოსდეს სულმყრალობით ათასსა სულსა ყრმისასა“.[4]

სიდონიას, თავის მონათხრობში, წარმართული ხანის დროის პერსპექტივა ბიბლიური სიუჟეტების მეშვეობით აქვს გადმოცემული, მაშინ, როცა მირიანი იმავე ისტორიულ პერსპექტივას თავისი მეფობის რიგითი სათვალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ჩვენებით უთითებს. სიდონია ამბობს: „არამედ იყვნეს ესოდენნი წელნი და ესთენნი ნათესავნი ნოვესითგან და ებერისითგან და აბრაჰამისითგან. და მუნ შინა იყო იობ აზნაური, განცდილი განმცდელისაგან ვითარცა იოსებ, მოსე, ისუ, მოდელნი და მსაჯულნი და შემდგომითი შემდგომად... გარდაჰდეს ქრისტჱს მოსლვადმდე წელნი: ჰ ფ: (-5.500) შობითგან ქრისტჱსით ვიდრე ჯარცუმამდე: ლ გ: (-33) და ჯუარცუმითგან ქრისტჱსით ვიდრე კოსტანტინე ბერძენთა მეფისა მონათვლამდე :ტია: (-311) და ათოთხმეტისა წლისა შემდგომად მოივლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ ნინო, დედოფალი ჩუენი“.[5] მირიანი კი დროის ხანგრძლივობას მის ნათლისღებამდე ასე განსაზღვრავს: „რამეთუ ვარ მე ოც და მეათექუსმეტჱ მეფჱ, ვინაჲთგან მამანი ჩუენნი მოივლინნეს ვიდრე დღეთა ჩემთამდე“.

როგორც ვხედავთ, ორ თანამედროვე პიროვნებას საქართველოს წარმართული წარსული, ერთნაირად აქვთ გააზრებული, როგორც „ბნელი ხანა“, ოღონდაც ისინი სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ მას. თუ ქრონოლოგიური ათვლის სისტემა სიდონიასათვის ბიბლიური უფრო ახლობელია, მირიანისათვის ის მეფეთა რიგითი სათვალავის ჩვენებით გამოიხატება და საკუთრივ ქართული ტრადიციის მაჩვენებელია.

## 2. წმინდა ნინოს მოსვლა ქართლში.

„ხოლო ოდეს მოიწია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაჲ, წმიდაჲ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხოჲ და ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყჳ, რომელიცა აწ მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოჲ იგი — დედა, შეუწევნელი — შესავედრებელ ყოველთა და უტყჳ იგი — ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულის სიტყუათა, ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაჲ...“

ეს მონაკვეთი, მხატვრული თვალსაზრისით, მთლიანად აგებულია ანტონიმურ წყვილებზე, რაც შინაარსობრივად და ემოციურად ზუსტად შეესაბამება ნინოს საქართველოში მოსვლისა და ქვეყნის სულიერი ფერისცვალების მომენტს.

„ზედწოდებები, რომლითაც ნინო საკუთარ თავს იხსენიებდა: ტყვე, მწირი, შეუწევნელი, უსმი და უტყვი, — წერს გ. ნარსიძე, — ყველა ეს წოდება ფართოდ იხმარებოდა ქრისტიანების მიერ საკუთარი ამქვეყნიური ყოფის დასადასტურებლად“.[6] ეს ტერმინები „ნინოს ცხოვრების“ სხვა ადგილებშიც გვხვდება და მათი მნიშვნელობა თვითონ ამ ძეგლიდანაც კარგად ჩანს. ნინოს, ქართლის საზღვარი როცა გადმოლახა, ანგელოზი მოევლინა და გადასცა „წიგნი დაბეჭდილი“, რაც საქართველოში საგანმანათლებლო მისიის დაკისრებას ნიშნავდა. ნინო ასეთი სიტყვით მიმართავს ანგელოზს: „უფალო, დედაკაცი ვარ უცხოჲ და უმეცარი ვითარ მივიდე მე, არცა ენაჲ ვიცი, თუ რაჲ ვთქუა უცხოთა ნათესავთა თანა?“ „უცხო“, „უსმი და უტყვი“ (ე. ი. ენის უცოდინარი) ნინო ხდება ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი. მოციქულთა ძალა კი „ენამეცნიერებაა“. გავიხსენოთ იობენალ პატრიარქის სიტყვები, თქმული ნინოს წარგზავნის წინ: „იქმენ, ქრისტე ამას გზა, მოგზაურ, ნავთ-სადგურ, მოძღუარ, ენა-მეცნიერ, ვითარცა იგი წინათა მათ მოშიშთა სახელისა შენისათა“.[7]

ქრისტიანებს „უცხოები“ ადრეული ხანიდან შეერქვათ (მაგ., „კაცი ერთი ვინმე უცხოჲ მოსრულ არს აქა და ახალსა და უცხოსა რასმე სწავლასა ასწავებს სახელად ქრისტიანებისა“.[8]) და შემდეგაც შერჩათ, როგორც მათი საბერმონაზვნო ღვაწლის აღმნიშვნელი სახელი (მაგ., „რამეთუ ჭეშმარიტად ღირსი იყო საყუარელი ღმრთისა ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე, რომელმან იგი, მსგავსად აბრაჰამისა, უცხოებაჲ აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხოვრებაი...“[9] „მო-ვინმე-ვიდა მონაზონი ჰრომისა ქუეყანისაჲ... სიხარულით შეიწყნარეს... და ეტყოდეს, ვითარმედ: „ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ“.[10]

„მწირი“ „უცხოსთან“ შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვაა — ნიშნავს უცხოს, მოსულს. ნინო მართლაც უცხოა და უცხო ქვეყნიდან მოსული საქართველოში.

სიტყვა „ტყუეს“ მნიშვნელობა ძველ ქართულში არის ტყვე, ნაძარცვი, ალაფი. მაგრამ, საფიქრებელია, რომ „ნინოს ცხოვრების“ შესაბამის ადგილებში „ტყუე“ უნდა ნიშნავდეს დევნილს, ტყვეობიდან გამოქცეულს, გადასახლებულს. ეს მნიშვნელობა ადვილად შეიძლება გამომდინარეობდეს სიტყვიდან „ტყუეობა“, „ტყუენვა“, — რაც ნიშნავს ძალით აყრას და გადასახლებას (მაგ., „ბაბილოვნის ტყუეობა“),[12] უცხოობას.[13] წმ. ნინო, როგორც თხზულებიდან ჩანს, თავის თავს „ტყუეს“, „ტყუეობაში“ მყოფს უწოდებს: „რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო... და ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე“.[14] წმ. ნინოს „ანდერძიდან“ მართლაც ვიგებთ, რომ ის რიფსიმიანებთან ერთად დევნილებაში იმყოფებოდა, როდესაც თრდატ მეფემ ისინი შეიპყრო და აწამა, ხოლო ნინო განგებით გადაურჩა მარტვილობას მათთან ერთად. უკვე გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ წმ. ნინო და რიფსიმიანები იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს ქრისტიანთა დევნის შედეგად გამოქცეულან სომხეთში. ვ. გოილაძე უთითებს: „ნინო და მისი თანამგზავრები საბერძნეთიდან თავისი ნებით კი არ წამოვიდნენ, გამოიქცნენ“.[15]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, „უცხო“, „მწირი“ და „ტყვე“ ერთმანეთთან შინაარსობრივად ახლოს მდგომი ტერმინებია და აღნიშნავენ წმ. ნინოს მდგომარეობას, როდესაც ის პირველად გამოჩნდა საქართველოში.

გ. ნარსიძემ ტერმინი „დედოფალი“ განმარტა, როგორც ქართული თარგმანი სიტყვისა „დომინუს“, „დომინა“.[16] ეს ტერმინი იხმარებოდა ადრექრისტიანულ ხანაში ტერმინ „წმინდანის („სანკტუს“) კანონიზაციამდე.[17] „ნინოს ცხოვრებიდან“ კარგად ჩანს, რომ ამ სიტყვით მიმართავენ ნინოს არა მისი საერო მნიშვნელობით, არამედ სასულიერო მეუფისადმი მოწიწების ნიშნად. მაგალითად: „მართალსა იტყჳ ბედნიერო დედოფალო და მოციქულო ძისა ღმრთისაო“.[18]

ამგვარად, დაპირისპირებების: ტყუე — დედოფალი, უცხოჲ — დედა, შეუწევნელი — შესავედრებელ ყოველთა, უტყჳ — ქადაგ ძლიერ, აზრი ნათელია: წმ. ნინოს ამ ზედწოდებებით გამოიხატება თვით იმ ხალხის სულიერი მდგომარეობა, რომლისთვისაც განმანათლებელი ჯერ იყო „უცხო“ და შემდეგ შეიქმნა „დედა“ და ა. შ. ძალზე ძნელია ასეთი ლაკონურობით უკეთ დაიხატოს ქრისტიანობის მიერ მთელი ერის სულიერი გარდასახვის სურათი.

ზემოთ მოყვანილ პასაჟს „მირიანის წიგნიდან“ ძალზე უშუალოდ და ლოგიკური სიზუსტით მოსდევს მირიანის რწმუნების ეპიზოდი.

## 3. მირიან მეფის მოქცევა.

...ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაჲ და შუვა ღამეს ოდენ მეჩუენა მე მზჱ ბრწყინვალჱ, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე. და მექმნა ჩუენ მოძღუარ და შემრთნა ჩუენ ერსა ქრისტესსა ნათლის-ღებითა წმიდითა და პატიოსნისა ძელისა თაყუანის-ცემითა. და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხოვრებისაჲ და სიხარულისაჲ და ღირს მყვნა გემოჲსხილვად საიდუმლოთა უხრწნელთა ზეცისათა. მე ვიქმენ მორჩილ ბრძანებათა მისთა...“

ძალზე საყურადღებოა თუ როგორ აღწერს თვითონ მირიანი თავისი რწმუნებისა და მოქცევის ამბავს. სიდონიას მიერ აღწერილ თავში მირიანის მოქცევის ეპიზოდი წარმოდგენილია როგორც ბუნებრივი მზის დაბნელება („და შუა სამხარ ოდენ დაბნელდა მის ზედა მზე, და იქმნა ღამე უკუნი, ბნელ ფრიად“[19]) და შემდეგ მირიანის „ნინოს ღმერთისადმი“ აღვლენილი ლოცვის შედეგად, სასწაულებრივი გათენება, მზის გამობრწყინება. ამ ეპიზოდმა მკვლევართა ერთ ნაწილს IV ს-ში მზის რეალური დაბნელება ავარაუდებინა, მისი ასტრონომიული წესით თარიღის გაანგარიშებაც კი სცადეს. რ. ხირაძემ მზის დაბნელების ეპიზოდი კონვენციურ მოტივად მიიჩნია, რომელშიც [illegible]ბულია მზის ღმერთობა.[20] მკვლევარმა ამ ეპიზოდში ნათლის სიმბოლური გააზრება დაინახა. თვითონ „მირიანის წიგნში“ ეს ეპიზოდი მართლაც წარმოგვიდგება როგორც სულიერი ხილვა: „შუა ღამეს ოდენ მეჩუენა მე მზჱ ბრწყინვალჱ, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე“. რ. სირაძე მას მირიანის სულიერ ინიციატივას უწოდებს.[21]

## 4. პირველი ქრისტიანული ეკლესიის („ქუემოჲ“) აგება.

„მე ვიქმენ მორჩილ ბრძანებათა მისთა, რომელიცა მასწავა და აღვაშენე ეკლესიაჲ სალოცველად სამოთხესა მას მამათა ჩემთასა, და მას შინა სუეტი ესე ნათლისა, რომელიცა მე ყოლად ვერ შეუძლე ყოვლითა ძალითა და ცნობითა კაცობრივითა, ხოლო ღმერთმან მალალმან მოავლინა ერთი მსახურთა მისთაგანი და წამის-ყოფითა მისითა ქუეყანით ცად აღიწია. და თჳთ თუალნი თქუენნი ხედვენ საშინელებასა და საკვირველებასა მისსა და მერმე კურნებათა მათ მისთა“.

ეს მონაკვეთიც ძირითადად მოსდევს „ცხოვრებაში“ აღწერილ ამბავს ძელი ცხოველის სასწაულებრივი აღმართვის შესახებ. აქაც, ისევე როგორც წინა მონაკვეთში, ავტორი ცდილობს მოვლენები არა მატერიალური, გარეგნული, არამედ სულიერი მხრიდან აღწეროს. ძელი ცხოველი, რომელიც „ნინოს ცხოვრებაში“ სრულიად გარკვეულად არის მატერიალური საგანი — ხე — ლიბანის კედარი, ამ შემთხვევაში იხსენიება როგორც „სუეტი ესე ნათლისაჲ“. მოვლენათა ამგვარი არსობრივი, გნებავთ, ფილოსოფიური შეფასება ახასიათებს მთელს „მირიანის წიგნს“.

თუ რას წარმოადგენდა „ქუემოჲ“ ეკლესია, ამას მირიანი შემდეგ ამბობს, მაშინ, როდესაც ის საუბრობს „ზემოჲ“ ეკლესიაში საფლავის შემზადების შესახებ.

## 5. ჯვრების აღმართვა.

„და ოდეს მაუწყა აღმართებაჲ, წარვავლინენ ხურონი ძიებად ხესა. და ვითარ პოვეს ხჱ ერთი მარტოჲ მდგომარჱ კლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო პელი კაცისაჲ, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაჲ მის, რამეთუ ოდეს ირემსა-ლა ეცის ისარი, მიივლტინ ბორცუსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხჱ იგი და სწრაფით ჰამნ თესლსა მას მის ხისსა ჩამოცჳვნებულსა და სიკუდილისაგან განერის.

ესე მითხრიან და ვიყავ დაკჳრვებულ. ამისთჳს მოვჰკუეთე მე ხჱ იგი და შევქმნენ მისგან სამნი ჯუარნი: ერთი ესე რომელი ზეცით იყო სასწაული მისი, და ერთი აღვჰმართე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილსა მას, სადა-იგი მხილება უფლისამიერი ვიხილე, მთასა ზედა თხოთისასა, ხოლო ერთი იგი ქალაქსა უჯარმას, რომელი წარიღო სალო-მე".

აქ აღწერილი ეპიზოდი საჯვარე ხის სასწა-ულთმოქმედი ძალის შესახებ არ არის მოთხ-რობილი „ნინოს ცხოვრების" ძირითად ტექსტ-ში, სადაც ჯვრების აღმართვაზეა საუბარი. ამი-ტომ „წიგნში" შედარებით ვრცელი საუბარია ბორცვზე მარტო მდგომარე ხის შესახებ, რო-მლის თესლსაც სიცოცხლის მინიჭების ძალა ჰქონია. შედარებით უფრო მოკლედ კი მოთ-ხრობილია ჯვრების აღმართვის დანარჩენი დე-ტალები.

საჯვარე ხის მაცოცხლებელი ძალის შესახებ მოთხრობა უდავოდ ჯვრისა და სიცოცხლის ხის, იგივე ძელი ცხოვრებისაჲს ერთიანობის სიმბოლურ გააზრებად უნდა ჩაითვალოს. ასე-თი სასწაულთმოქმედი ხის არსებობა მცხეთის მახლობლად ღვთის მინიშნებად იქნა მიჩნეული, როგორც ქართლის მოქცევის წინასწარ ღვთის მიერ განსაზღვრულობის დამადასტურებელი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „ქართლის ცხოვრებაში" იქ, სადაც ეს ეპიზოდია აღწე-რილი, ასეთ გამონათქვამს ვხვდებით: „აჰა ესე-რა, ჭეშმარიტად პირველითგანვე დამარხულ არს ქუეყანა ესე ღმრთისაგან მსახურად თჳსად, რამეთუ ღმრთისაგან აღმოსცენდა ხე იგი დამა-რხული ჟამისა ამისთვის".[22]

6. მაყვლოვანის ბუჩქის ადგილას ეკლე-სიის („ზემოჲ") აგება.

„და აღვაშენე ეკლესია მაყულოვანსა მას შინა ნინოჲსსა, და ვქმენ მას შინა საქმჱ, ქმნუ-ლი უჩინოჲ და ცხადი, დიდებაჲ მაყულოვანთა მათ, რამეთუ არა გამოვახუ ფურცელი ერთიცა მათგან, არამედ ხარისხითა გარჱ-შევიცვენ,

„და აღვაშენე ეკლესია მაყულოვანსა მას შინა და კურნებანი დიდნი".

„ზემოჲ" ეკლესიის მშენებლობის შესახებ ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში" არ არის საუბა-რი. ამის მიზეზი უნდა იყოს ის გარემოება, რომ „ზემოჲ" ეკლესია ნინოს გარდაცვალების შემდეგ დაუსრულებიათ, რის შესახებაც მცირე „ნინოს ცხოვრებიდან" ვიგებთ. აქ წმ. ნინოს გარდაცვალების შემდეგ არის მოთხრობილი ეკლესიის მშენებლობის დასრულების ამბავი. რადგან „მირიანის წიგნში" მოვლენები ერთმა-ნეთის თანმიმდევრობით არის აღწერილი, ამ ეკლესიის მშენებლობის ეპიზოდიც წმ. ნინოს გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს აქ მოთა-ვსებული. მაგრამ ეს ასე არ არის, რაც, ჩემი აზრით, „მირიანის წიგნის" დროის კონცეფ-ციისა და მისი კომპოზიციური მთლიანობის ინ-ტერესებით არის განპირობებული. ძეგლი ისეა აგებული, რომ ის მირიან მეფის საფლავის შე-მზადებით, წმ. ნინოს გარდაცვალებით და მო-მავალი მკვდრეთით აღდგომის მოლოდინის ინ-ტონაციით უნდა დამთავრებულიყო, რასაც ხელს შეუშლიდა თხზულების ბოლოს ეკლე-სიის მშენებლობის შესახებ თხრობა. ამიტომაც მოვლენათა თანმიმდევრობა ოდნავ გადანაცვ-ლებულია, სამაგიეროდ შენარჩუნებულია მთე-ლი ისტორიის დროული სურათი: ჯერ ცოდვით დაბნელებული წარსული, შემდეგ მოქცევა — ეკლესიების აგება, ჯვრების აღმართვა, შემდეგ გარდაცვალება და მომავალი მკვდრეთით აღდ-გომის მოლოდინი. ასეთია ძეგლის საერთო ქა-რგა. ამ ერთიანობას კი ამჯერად კონკრეტული ქრონოლოგიური უზუსტობის დაშვება სჭირ-დებოდა, რაც შეიძლება ძეგლს მხოლოდ მხა-ტვრულ ღირსებად ჩაეთვალოს.

„ზემოჲ" ეკლესიის შესახებ თქმული სიტყ-ვების: „და აღვაშენე ეკლესია... და ვქმენ მას შინა საქმჱ, ქმნული უჩინოჲ და ცხადი დიდე-ბაჲ მაყულოვანთა მათ" — ქრისტოლოგიური შინაარსი ე. ჭელიძემ განმარტა.[23] მისი განმა-რტება მცირე სხვაობით გაიზიარეს ზ. კიკნა-ძემ და თ. მირზაშვილმა. ე. ჭელიძის აზრით „უჩინოჲ და ცხადი" წარმოადგენს ანტონიმურ შესიტყვებას. „უჩინოჲ", — წერს მკვლევარი, — ყველგან რაიმე უხილავს, არამატერიალურს, სულიერს აღნიშნავს". „ფრაზა უჩინოჲ და ცხადი... ზუსტად ისეთივე შესიტყვებაა, რო-გორც „უხილავი და ხილული", ან „უჩინოჲ და საჩინოჲ", „დაფარული და ცხადი"... ფრაზა „ქმნული უჩინოჲ" გულისხმობს საქმედ ქცე-ულ განივთებულ უხილავ ძალას ანუ ეკლესი-ას", რადგანაც ეკლესია „ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს როგორც უხილავი ძა-ლის, ასევე ხილული სამყაროს სახეს. ჩვენი ფიქრით, — წერს ე. ჭელიძე, — სწორედ ამ აზრის გამომხატველი უნდა იყოს ზემოაღნიშნუ-ლი ფრაზა „ქმნული უჩინოჲ და ცხადი". ამგ-ვარად „ფრაზა ქმნული უჩინოჲ და ცხადი" ეკ-ლესიის სიმბოლური გააზრებაა როგორც უჩინო — იმქვეყნიური და საჩინო — ამქვეყნიური სამყაროს მოდელისა. კონკრეტულ შემთხვევაში კი მაყვლოვანის „ზემოჲ" ეკლესია გაიაზრება როგორც წმ. ნინოს „უჩინო" ღვაწლის ცხადად ქცევა, ეკლესიის აგება. ზ. კიკნაძისა და თ. მი-რზაშვილის აზრით, „აქ ნაგულისხმევია მაყვ-ლოვანის ფარული საკრალიზმის ანუ ნინოს ფა-რული ღვაწლის („საქმე ქმნული უჩინოჲ") ხი-ლულად ქცევა ეკლესიის აგებით („ცხადი დი-დებაჲ მაყვლოვანთა მათ").[24]

თავად მირიანის წიგნშია ხაზგასმული მაყვ-ლოვანის ცხადი დიდების აზრი: „რამეთუ არა გამოვახუ ფურცელი ერთიცა მათგან (მაყვლო-ვანისაგან), არამედ ხარისხითა გარჱ-შევიცვენ, რამეთუ მეხილვნეს მრავალნი სასწაულნი მას შინა და კურნებანი დიდნი". მაყვლოვანის ბუ-ჩქი, შესაძლებელია, ზემოთ განხილული სიცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლის ხის მსგავს „სასწაულად" ჩაითვალოს. მისი არსი ქართლის მოქცევის შუქზე ასე წაიკითხება: მოქცევა დასაბამითგან წინასწარ განსაზღვრულია ღვთაებრივი ძალით, რომელიც აქამდე უხილავი, უჩინო იყო, ხოლო მოქცევის მერე გაცხადდა, საჩინო იქმნა, ის, რაც იყო მაყვლოვანი — უჩინოდ, წმ. ნინოს, მირიან მეფის ძალისხმევით გახდა ეკლესია საჩინოდ, ცხადად; ამიტომაც მაყვლოვანის ბუჩქი კი არ გაკაფეს, არამედ თვით ეკლესიის შიგნით საკურთხევლის ადგილას „ხარისხით შეიცვეს".

ეკლესიის აგების ეს გააზრება, როგორც ვხედავთ, სიმბოლურად ეხმიანება „მირიანის წიგნშივე" ჯვრების აღმართვისა და სიცოცხლის ხის ეპიზოდს. ამავე დროს ის მოგვაგონებს ასეთსავე ანტინომიურ წყვილებზე აგებულ წმ. ნინოს ქართლში მოსვლის პასაჟს (შევადაროთ მაყვლოვანი — უჩინო და ცხადი, ნინო — ტყვე და დედოფალი, უცხო და დედა და ა. შ.). ყველა ესენი სწორედ დროის ხარისხობრივ ცვლილებას, მოქცევის მომენტის მიჯნურ, გარდამტეხ ხასიათს, ძველი და ახალი დროის შეპირისპირებას უსვამენ ხაზს.

7. „ზემო" ეკლესიაში მირიანის საფლავის შემზადება.

და აღვაშენე ზემოჲ ეკლესიაჲ თავისა ჩემისათვის ქვითა და ერისა სიმრავლითა, რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა „წმიდაჲ წმიდათაჲ" და ყოლადვე ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თჳნიერ ხოლო დღესა კჳრიაკესა, არცა შესლვად ვინ იკადრებდა თჳნიერ მღდელთასა, რომელნი გალობედ მას შინა, რამეთუ შიში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა მისგან ცხოველისა და აზედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმრთისასა და მიხედვადცა ვერ ეძლო კაცთა სართულსა მისსა, რომელსა თჳთ ვხედავთ. და ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ სამარედ ჩემდა, რაჲთამცა დავსხენ ჴორცნი ჩემნი მიწის წინაშე, რამეთუ მეშინოდა მისგან ცოდვისა ოდენ მოქმედსა და შევიმზადე ზემო საფლავი ჩემი, რაჲთა თუალსა მისსა მივჰრიდო და წყალობასა მისსა მივემთხვიო აღდგომასა".

„წიგნის" ამ მონაკვეთში საუბარია იმის შესახებ, რომ მირიან მეფემ „ზემოჲ" ეკლესიაში შეიმზადა საფლავი თავისთვის, რადგანაც „ქვემოჲ" ეკლესიის უდიდეს სიწმინდეს დაერიდა და ვერ შეჰკადრა, რომ მის წინაშე გაეთხარა მიწა სამარისათვის („რამეთუ ქუემოსა ეკლესიასა ერქუა წმიდაჲ წმიდათაჲ"). „წმიდაჲ წმიდათაჲ" — როგორც ეს აღნიშნულია ლიტერატურაში — ეწოდებოდა სოლომონ მეფის მიერ აგებული ტაძრის იმ ადგილს, სადაც მოთავსებული იყო ძველი აღთქმის რელიგიური სიწმინდე — უფლის კიდობანი მასში დაცული სჯულის დაფებითურთ (IV მეფ. 8, 6), „წმიდაჲ წმიდათაჲში" სუფევდა სრული წყვდიადი მთელი წლის მანძილზე და მასში წელიწადში მხოლოდ ერთხელ შედიოდა მღვდელმთავარი, რომელიც ანთებდა სანთლებს, აკმევდა საკმეველს და წარმოთქვამდა ამ დღისათვის დაწესებულ ლოცვებს".[25] უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მირიანის წიგნში დადასტურებული „ქუემოჲ" ეკლესიაში მიმდინარე წირვა-ლოცვის წესი ემთხვევა იერუსალიმის ლიტურგიკულ პრაქტიკას, რომელიც მე-4 ს-ის მოგზაური ქალის — ეგერიას თხზულებაში დასტურდება.[26]

მცხეთის „წმიდაჲ წმიდათაჲ" იყო იერუსალიმის ტაძრის ანალოგი საქართველოში. ამავე დროს ის ქვეყნის სულიერ ცენტრად გაიაზრებოდა, იმ უწმინდეს ადგილად, სადაც დაცული იყო ქართული ეკლესიის უდიდესი სიწმინდე — უფლის კვართი. „ნინოს ცხოვრებიდან" ჩანს, რომ ეს ტაძარი ღვთის ამქვეყნიურ სამყოფლადაც ღვთის სახლად იყო მიჩნეული. აქ აღმართული ძელი ცხოველის სიწმინდე თვით ღვთაებრივ ძალასთან არის შედარებული: „და აზედვიდა ყოველი კაცი სუეტსა მას ვითარცა ძალსა ღმერთისასა, და მიხედვადცა ვერ ეძლო კაცსა სართულსა მისსა". ნათქვამია „წიგნში". აქ, ისევე როგორც „ზემოჲ" ეკლესიის ეპიზოდში, მაყვლოვანის ბუჩქისა და მოსეს ანალოგია შემოდის. შევადაროთ „მირიანის წიგნის" „მიხედვადცა ვერ ეძლო კაცსა სართულსა მისსა" და ბიბლიური „გარე-მიიქცია პირი მისი მოსე, რამეთუ ეშინოდა მიხედვად წინაშე ღმრთისა" (გამოსვლათა, 3,6).

ზემოთ ციტირებული მონაკვეთი მნიშვნელოვანია კიდევ ერთი თვალსაზრისით; აქ მოიპოვება მეტად საინტერესო შტრიხი ამ თხზულების ავტორის — მეფე მირიანის პორტრეტის წარმოსადგენად. ავტორი თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას ავლენს მცხეთის უპირველესი სიწმინდის „ნათლის სვეტის", იგივე ძელი ცხოველის, მიმართ და ამბობს — „ვერ ვიკადრე წინაშე მისსა აღმოკუეთად მიწაჲ, სამარედ ჩემდა, რაჲთამცა მეშინოდა მისგან ც ო დ ვ ი ს ა  ო დ ე ნ მოქმედსა". მაშასადამე, მირიან მეფეს ვერ გაუბედნია ამ სიწმინდესთან მიახლოვება და თავისი სამარე „ზემოჲ" ეკლესიაში მოუმზადებია. ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე ქრისტიანი ქართველი მოღვაწე, რომელ საუკუნეშიც არ უნდა ეცხოვრა მას, გაკადნიერებულიყო და პირველი ქრისტიანი მეფის შესახებ ეთქვა (თუნდაც მისი პირით) — „ცოდვისა ოდენ მოქმედსაო". მართალია, ეს გამონათქვამი თავის დამდაბლოების ქრისტიანული ეთიკის გამოვლინებაა, მაგრამ აქ ანგარიშგასაწევია ნაწილაკი „ოდენ", ე. ი. მხოლოდ ცოდვის მოქმედი ვარო — ეს შეეძლო ეთქვა მხოლოდ ნამდვილ ავტორს და არა ფსევდოეპიგრაფიკული თხზულების დამწერს.

საფლავის შესახებ თხრობაში შეუმჩნევლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდის მომავალი დროის, აღდგომის სასოების ინტონაცია. ამ ინტონაციას კი ფაქიზად შევყავართ წმ. ნინოს გარდაცვალების ამბავში.

8. წმ. ნინოს გარდაცვალება, მის საფლავზე ეკლესიის აგება და მირიანის სასოება აღდგომისათვის.

„და ვითარცა შევიმზადე კეთილთა ღმრთისათა განსრულებასა ჩემ ზედა და ვიტყოდე, ვითარმედ: შევჰვედრო სული ჩემი დედასა ჩემსა წმიდასა ნინოს. ხოლო წმიდამან შეჰვედრა სული თჳსი უბიწოჲ ჴელთა დამბადებელისა თჳსისათა, რამეთუ აღასრულა ყოველივე მცნებაჲ ღმრთისაჲ და სწავლაჲ წმიდისა მის დედის ძმისა მისისა, მამისა ჩუენისა პატრიარქისაჲ, და დაგუაობლნა ჩუენ ახლად შობილნი ჩჩჳლნი უმეცარნი. და ფრიად შევძრწუნდი სულითა ჩემითა. და ყოველი ნათესავი ჩრდილოჲსაჲ აღივსო მწუხარებითა, რამეთუ აღმო-ოდენსრულ იყო მზჱ სიმართლისაჲ და მო-ოდენფენილ იყო ჭეშმარიტი. და დაფარა ღრუბელმან წმიდაჲ ნინო. ხოლო წმიდაჲ იგი ყოვლადვე ნათელსა შინა არს და ყოველთა განგუანათლებს, ხოლო მე განვიზრახე წმიდაჲ იგი გუამი მისი რაჲთამცა წარმოვიღე გულს-მოდგინებითა დიდითა აქა, წინაშე სუეტსა ნათლით შემოსილსა, და არა ვპოვე ღონე ყოლადვე, რამეთუ ვერ განძრეს ორასთა კაცთა მცირე იგი ცხედარი, რომელსა ზედა შეისუენა წმიდამან და სანატრელმან ნინო.

მაშინ დავჰმარხეთ წმიდაჲ იგი გუამი მისი ყოვლადვე დიდებულისაჲ ბოდს, დაბასა კახეთისასა. და ვეგლოვდით სიობლესა ჩუენსა ოც და ათ დღე ყოვლითურთ სამეუფოჲთ ჩემით. და აღვაშენე მას ზედა ეკლესიაჲ და განვადიდე ფრიად, და მისითა მეოხებითა მაქუს სასოებაჲ ძისა ღმრთისაგან და სარწმუნოვებასა ზედა დაუსაბამოჲსა ღმრთისა მამისასა და ყოლად ძლიერისა ძისასა და ცხოველმყოფელისა სულისა წმიდისა უკუდავისასა. და ვეძიებ და მოველი აღდგომასა მკუდრეთით და შევჰვედრებ სულსა ჩემსა ქრისტეს მეუფისათა, რომლისაჲ არს დიდებაჲ, სიმტკიცე და ძლიერებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“.

წმ. ნინოს გარდაცვალების სურათი მეტად ამაღლებული და პოეტურია („და დაფარა ღრუბელმან წმიდაჲ ნინო“). ამასთანავე, იესო ქრისტეს ამაღლების სახარებისეული გადმოცემით არის შთაგონებული (და ესე ვითარცა თქუა, ამაღლდა, ხედვიდეს რაჲ იგინი, და ღრუბელმან შეიწყნარა იგი თუალთაგან მათთა“ (საქმე მოციქ., 1, 9). მაგრამ ეს პოეტური ხატი აქ კიდევ უფრო გავრცობილია: „ხოლო წმიდაჲ იგი ყოლადვე ნათელსა შინა არს და ყოველთა განგუანათლებს“, — ეს სიტყვები მკითხველს ქრისტიანული სულიერი ნათლის სიმბოლიკისაკენ უბიძგებს ისევ. ამ სიმბოლიკით ძალზე მდიდარია „მირიანის წიგნი“. მოვიგონებთ: „ამან წმიდამან გულსა ჩემსა აღანთო სანთელი ნათლისაჲ“, „შუა ღამე ოდენ ვიხილე მზჱ ბრწყინვალჱ ქრისტე ღმერთი ჩვენი“, „აღმო-ოდენ-სრულ იყოს მზჱ სიმართლისაჲ და მო-ოდენ-ფენილ იყო ჭეშმარიტი“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ციტირებული მონაკვეთი, ისევე როგორც მთელი „წიგნი მირიანისა“, მხატვრული თვალსაზრისით უმაღლესი ღირსებისაა. მისთვის დამახასიათებელია, აზრის სიღრმესთან ერთად, გამოხატვის სისხარტე და მოხდენილობა.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ მხატვრულ ღირსებებს უკანასკნელ ხანს შეეხო ბ. გიგინეიშვილი.[27] მკვლევარი საგანგებოდ უსვამს ხაზს თხზულებაში ბიბლიური პარალელური ადგილის ოდნავ შეცვლილი ციტირების წესს; ისე, რომ წმინდა წერილის სიტყვები, გამონათქვამები და მხატვრული სახეები სრულიად ცოცხლად და ხატოვნად თავსდებიან თხზულების ორიგინალურ ქსოვილში. იგივე შეიძლება ითქვას „მირიანის წიგნზეც“. ამის ნათელი ილუსტრაციაა „წმიდაჲ წმიდათაჲზე“ ნათქვამი: „მიხედვადცა ვერ ეძლოთ სართულსა მისსა“, ანდა უკანასკნელი — „დაფარა ღრუბელმან წმიდაჲ ნინო“.

„მირიანის წიგნის“ ბოლო სტრიქონები — ესაა მირიანის სასოება და მომავალი მკვდრეთით აღდგომის მოლოდინი, მისი სწრაფვა ღვთიურ მარადისობასთან ზიარებისა. საერთოდ, „მირიანის წიგნის“ უკანასკნელ მონაკვეთში პირველი მონაკვეთის სრულიად საპირისპირო სურათი ჩანს. როგორც ითქვა, პირველ მონაკვეთში წარსულის, მოქცევამდელი ქართლის ვითარებაა აღწერილი. ის დახასიათებულია როგორც „ქვეყანა ჩრდილოჲსაჲ“, „დაბნელებული“ ცოდვითა, „სავსე ცთომითა ეშმაკისაჲთა“, თვითონ ერი იყო „ვითარცა ცხოვარნი კლვადნი“, მათ „შეჭამნეს შვილნი მათნი მსხუერპად კერპთათჳს“, „შვილთა მათთა ვითარცა თივასა თიბდეს“, არმაზისა და ზადენის მთები დალტობილი იყო „სისხლითა ჩჩჳლთაჲთა“ და ამის გამო „ღირსცა არიან მთანი იგი ასპოლვად ცეცხლითა, რისხვითა ღმრთისამიერითა“. — ასეთია ცოდვით აღსავსე, „დაბნელებული“, „ძველი“ ქართლის სურათი. „მირიანის წიგნის“ ბოლო მონაკვეთში, ე. ი. მოქცევის შემდეგ, იგი უკვე ახლადშობილია, განახლებულია. ერი აქ უკვე შედარებულია ახლადდაბადებულ, უმეცარ ჩვილ ბავშვებს, მზის ნათელია მოფენილი ირგვლივ, ნაცვლად უწინ დასადგურებული სიბნელისა და ცთომისა. „აღმო-ოდენსრულ იყო მზჱ სიმართლისაჲ და მო-ოდენფენილ იყო ჭეშმარიტი“ (ჩართული ნაწილაკი „ოდენ“ აძლიერებს „სიახლის“, ხელახლა დაბადების ინტონაციას). წმ. ნინოს სიცოცხლე აღესრულა, მაგრამ ის „ყოლადვე ნათელსა შინა

არს და ყოველსა განგუანათლებს“, — წერს ავტორი, და აქ უკვე ჭეშმარიტების ნათლით გასხივოსნებული სურათი იხატება ნაცვლად „დაბნელებულისა ცოდვითა და სავსესი ცთომითა ეშმაკისაჲთა“, ხოლო მომავალი მკვდრეთით აღდგომის სახოება, უახლოესი მეორედ' მოჭვლის მოლოდინი ცვლის „ასპოლვას ცეცხლითა, რისხვითა ღმრთისამიერითა“. ამგვარად, თხზულების დასაწყისი და მისი დასასრული ერთიმეორესთან საპირისპირო კავშირში არიან. ეს ისეთივე დაპირისპირებული, ანტონიმური წყვილია, როგორც ბნელი და ნათელი, ძველი და ახალი. „მირიანის წიგნი“ მთლიანად კონტრასტულ წყვილებზეა აგებული. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამგვარი ანტონიმური წყვილებით არის გადმოცემული წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში“. ანტონიმური წყვილია, აგრეთვე, „უჩინოჲ და ცხადი“, რომელიც ეკლესიის მშენებლობისას დაფარული საკრალიზმის გაცხადებას გვაუწყებს. მირიანის მოქცევა ასევე კონტრასტული ხატით — შუადამის მზის ხილვითაა წარმოდგენილი.

ამგვარად, „მირიანის წიგნში“ ნათლად დაიხატა მთელი ძეგლის დროის კონცეფცია — ქვეყნის ისტორიის გააზრება მთლიანობაში დასაბამიდან დასასრულამდე, წარსულიდან მომავლისაკენ. დროის ამ სივრცეში კი მისი ცენტრი, გარდატეხის მომენტი გამოიკვეთა — ესაა ქვეყნის მოქცევა. ის დროის განახლების სიმბოლოებით გამოიხატება. მოქცევის უპირველესი მახასიათებელი ძველისა და ახლის დაპირისპირებაა, და ამიტომაც მთელი ძეგლი კონტრასტული წყვილების მხატვრულ ეფექტზეა აგებული. სიბნელეს დაუპირისპირდა სინათლე და ამის შესაბამისად „ტყვე“ იქცა „დედოფლად“, „უტყვი“ — „ქადაგ ძლიერ“, „უჩინო — ცხად“, ხოლო დასაწყისში აღწერილი ჩვილთა სისხლით დალტობილი მთები შეცვალა ბოლოს აღწერილმა მზის შუქით განათებულმა ღრუბელმა.

მიუხედავად თხზულების მეტად მცირე მოცულობისა, აქ მოცემულია მთელი სამყაროს არსებობის დროის ქრისტიანული მოდელი: ამქვეყნიური ისტორიის ცენტრში დგას ყველაზე საკრალური აქტი — ქრისტეს მოსვლა. ქრისტეს მოსვლამდელი ისტორია ცოდვით დაბნელებული ხანაა, ხოლო ქრისტეს მოსვლის შემდგომი დრო ქრისტეს მოსვლის საკრალური აქტით განახლებული და მომავალი მკვდრეთით აღდგომის სასოებით აღბეჭდილი დროა. კაცობრიობის არსებობა დასაწყისიდან დასასრულამდე ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ დაინახა როგორც ცოდვილი კაცობრიობის ხსნის დრამა. ადრეული ქრისტიანული აზროვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტესთან ზიარებით ადამიანის სულიერი „განახლების“ იდეას. ამიტომ ტერმინი „ახალი“ ადრექრისტიანული აზროვნებისა დ[illegible] ქმის მნიშვნელოვანი ტერმინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამგვარი „განახლების“ იდეითით არის გამსჭვალული „წიგნი მირიანისა“. თუ რა მძაფრია ეს შეგრძნება და როგორ არის ის ხორცშესხმული, ჩვენ უკვე ზევით, თხზულების დეტალური განხილვის დროს დავინახეთ.

„მირიანის წიგნში“ წარმოდგენილი დროის კონცეფცია ყველა თვისებით ზოგადქრისტიანულია, განსაკუთრებით კი მისი განვითარების ადრეულ ხანაზე უთითებს (სიახლის გააზრება როგორც პოზიტიური მოვლენისა, ადრექრისტიანული აზროვნების დამახასიათებელი ნიშანია).

„მირიანის წიგნისა“ და „ნინოს ცხოვრების“ დანარჩენი ნაწილის ურთიერთშეპირისპირებამ გვიჩვენა, რომ მირიანის წიგნი დაწერილია „ნინოს ცხოვრების“ გათვალისწინებით („მირიანის წიგნში“ შედარებით ვრცლადაა წარმოდგენილი ის ეპიზოდები, რომლებიც „ნინოს ცხოვრების“ დანარჩენ ნაწილში არ მოიპოვება. ესენია: საჭვარე ხის სასწაულთმოქმედების ამბავი, წმ. ნინოს გარდაცვალება, მისი დასაფლავება და იმ ადგილას ეკლესიის აგება და სხვ. ხოლო მირიანის „წიგნის“ ის ეპიზოდები, რომლებიც უკვე მოთხრობილი ამბების გამეორებას წარმოადგენს, შეკრებულია და გამდიდრებული იმ ინფორმაციით, რომელიც „ნინოს ცხოვრებაში“ არ მოიპოვება. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ქვემოჲ“ ეკლესიის სახელწოდებისა და რაობის შესახებ.

მაშასადამე, როცა „წიგნი მირიანისა“ იწერებოდა, ე. ი. მირიანის სიკვდილის ახლო ხანებში, ნინოს ცხოვრების ძირითადი ეპიზოდები, მისი სიუჟეტური ქარგა უკვე არსებობდა იმ სახით, რა სახითაც ის დაცულია წმ. ნინოს ცხოვრების შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციაში. „წიგნის“ ავტორი იცნობს მას და ქმნის თავის თხზულებას, როგორც ამ კრებულის უკანასკნელ, დამაგვირგვინებელ თავს. ამგვარად, მთელი „ნინოს ცხოვრების“ დაწერის თარიღი „მირიანის წიგნის“ მიხედვით შეიძლება განისაზღვროს და მეფე მირიანის გარდაცვალების თარიღით შემოიფარგლოს.[28]

შესაძლებელია თუ არა ქართლის მოქცევისთანავე შექმნილიყო ასეთი თხზულება? ჩემი აზრით, შესაძლებელია; მის შექმნას გარკვეული მიზანი და დანიშნულება გააჩნდა. ქართლის გაქრისტიანების შესახებ უნდა შექმნილიყო მოქცევის ოფიციალური ვერსია, ისეთი ნაწარმოები, სადაც ასახული იქნებოდა ქართველთა განმანათლებლის — ნინოს საქმენი, ასევე იმ პირთა ღვაწლი, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ამ საქმეში და, რა თქმა უნდა, მირიან მეფის არცთუ მეორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხოვანი მოღვაწეობა. ამის გარდა, ამ თხზულებაში უნდა ასახულიყო ქართლის მოქცევის „სასწაულები“. ისეთები, რომლებიც არ იქნებოდა იგივეობრივი იმ „სასწაულებისა“, რომლებიც მოხდა საბერძნეთში კონსტანტინე დიდის მოქცევისას, ანდა სომხეთში თრდატის მოქცევისას და სხვ. მაშასადამე, ახლადგაქრისტიანებული სახელმწიფოს პრესტიჟი დაცული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მას ეყოლებოდა საკუთარი განმანათლებელი და ექნებოდა მოქცევის „საკუთარი“ „სასწაულები“. „წიგნი მირიანისა“ უნდა იყოს სწორედ ამ ოფიციალური ვერსიის დამადასტურებელი თხზულება, ერთგვარი „ბეჰედი“, ანდა „ვიზა“ მოქცევის იმ ვერსიის გასავრცელებლად, რომელიც აქ არის წარმოდგენილი და რომელმაც მართლაც პოვა ასახვა და გავრცელება ბერძნულ თუ სომხურ წყაროებში.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს „მირიანის წიგნი“ რაღაც ოფიციალური დოკუმენტის მაგვარი თხზულება იყოს. პირიქით, ამ „წიგნის“ ყოველი ეპიზოდი აღბეჭდილია ავტორის პირადი დამოკიდებულებებით, მისი გრძნობა-განცდებით თუ იმ მოვლენების შეფასებებით, რომლებზეც აქ არის საუბარი.

მეფის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი წიგნის მიზანი უთუოდ ქართლის მოქცევაში მისი ღვაწლის წარმოჩენა იყო. ამიტომ ხშირად ისმის „წიგნში“ ასეთი სიტყვები: „და აღვაშენე ეკლესია“ „და მოვჰკვეთე მე ხეჲ და შევქმნენ მისგან სამნი ჯუარნი“, „და აღვაშენე მას ზედა ეკლესია და განვადიდე ფრიად“. მიუხედავად ამისა, ავტორს ისეთი მოკრძალებითა და თავმდაბლობით აქვს ეს ყოველივე გადმოცემული, რომ „მირიანის წიგნი“ აღსარებას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე საკუთარი ნამოქმედარის ქება-დიდებას.

„მირიანის წიგნის“ სათაურში მოხსენებულია სამი ისტორიული პიროვნება: ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე — მირიანი, საბერძნეთიდან მოსული „მღვდელი“ იაკობი, რომელიც შემდეგ ქართლის ეპისკოპოსად იხსენიება, და მირიანის ძის რევის ცოლი, თრდატ სომეხთა მეფის ასული სალომე უჯარმელი. სალომე უჯარმელი „ნინოს ცხოვრების“ კრებულის შემდგენელია, მისი ავტორია.[29] მირიან მეფე „წიგნის“ ავტორად იხსენიება, ხოლო მთავარეპისკოპოსი იაკობი — მის აღმწერად, ე. ი. იმ პირად, ვისაც მეფემ ამ შემთხვევაში „მწიგნობარის“ ფუნქცია დააკისრა. შესაძლებელია თუ არა ამ ცნობაში ეჭვის შეტანა? ჩემი აზრით, „მირიანის წიგნი“ ასეთ საბაბს არ იძლევა. აქ არ არის ანაქრონიზმები, აქ აღწერილი ამბები ადრეულ ქრისტიანულ იდეოლოგიით არის გამსჭვალული, აქ დადასტურებულია, ადრეული ხანის ქრისტიანული ტერმინოლოგია და, ბოლოს, „მირიანის წიგნში“ დაცულია უმნიშვნელოვანესი ცნობები პირველი ქრისტიანული ტაძრის „წმიდაჲ წმიდათაჲს“ სახელწოდებისა და რაობის შესახებ.

„წიგნი მირიანისა“ არის დახვეწილი სტილით შესრულებული, ქრისტიანული რელიგიის ღრმა ცოდნით აღბეჭდილი, უბადლო კომპოზიციური მთლიანობის მქონე, პირველი ქრისტიანი მეფის მიერ IV ს-ის I ნახევარში შექმნილი მაღალმხატვრული თხზულება.

შენიშვნები:

1 მარინე ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი“, თბილისი, 1987 წ., გვ. 71-72.

2. „მირიანის წიგნის“ ტექსტი მოგვყავს შატბერდული ნუსხის მიხედვით. ჩვენი აზრით, ის ყველაზე უკეთ ასახავს ამ ძეგლის თავდაპირველ სახეს. (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 157-162).

3. აქ უნდა ყოფილიყო „დაულტვან“ ნაცვლად „დაულთვანისა“. შდრ. „დაილტვნენ მთანი სისხლითა მათითა“ (ესაია, 35, 4). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973 წ., დალტობა, დავლტობა.

4. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 125.

5. იქვე.

6. გ. ნარსიძე, უძველესი ქართული თხზულება, მნათობი, 1985, № 9, გვ. 157-159.

7 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 114.

8 მარტვილობაჲ თეკლაჲსი, ენიმკის მოამბე, ტ. VIII, გვ. 99, 1-9.

9 ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 41.

10 იქვე, გვ. 65.

11. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ტყუე.

12 ქართული ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი, გვ. 573.

13 ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ტყუობა.

14 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 105.

15 ვ. გოილაძე, წმინდა ნინოს ქართლში შე-

მოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის, მნათობი, 1986, № 2 გვ. 151.

16. გ. ნარსიძე, უძველესი ქართული თხზულება, გვ. 158.

17 ფრიკენი, რომის კატაკომბები, ნაწ. II, მოსკოვი, 1877, გვ. 25-26.

18. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 121, 122.

19 მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 135.

20 რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 92.

21 იქვე, გვ. 94.

22. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 119.

23. ე. ჭელიძე, „უჩინოი და ცხადი, „კრიტიკა, 6, 1985, გვ. 103-107.

24. ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, „მაყულოვანი“ თუ „სამოთხე სამეუფო“?, ლიტერატურული საქართველო, 26 თებერვალი, 1988 წ., გვ. 10.

25 ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, რას მოგვითხრობს მირიანის „წიგნი“, კრიტიკა, 6, 1985 წ., გვ. 60.

26. თ. მგალობლიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთი ადგილის გაგებისათვის, ლიტერატურული საქართველო, 22 ივნისი, 1984 წ., გვ. 10.

27 ბ. გიგინეიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს ქრონოლოგია“, „მნათობი“, № 8, 1988 წ.

28 „ნინოს ცხოვრება“, მე-4 ს-ის I ნახევრით პირველად დაათარიღა მ. ჩხარტიშვილმა. (დას. ნაშრ., გვ. 74).

29. მ. ჩხარტიშვილი, დას. ნაშრ. გვ. 72-74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალისტრატე ცინცაძის სიტყვა

თემული ტფილისის ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ნიკო ნიკოლაძის სულის მოსახსენებლად გარდახდილის პანაშვიდის წინ, 1928 წლის მაისის 13.

რამდენად თვალსაჩინო და შესანიშნავი პიროვნება არის ნიკო ნიკოლაძე, რომლის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, ჩვენ შევკრებილვართ აქ, და რამდენად ძნელია მისი ღვაწლის გათვალისწინება და სრულის სისწორით შეფასება, ცხადი იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ განსვენებული 1861 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ ჟამამდე არ მოშორებია სამოღვაწეო ასპარეზს: აქ შეკრებილთა შორის კი დაბადებიდან 67 წლისა იშვიათად თუ ვინმე აღმოჩნდება. მერე რა მომხდარა ამ შვიდი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში, გინა მთელს მსოფლიოში ისეთი ოდნავ შესანიშნავი რამ, რასაც ნიკო ნიკოლაძე არ გამოხმაურებოდეს სიტყვით და სისხლ-ხორცი არ შეესხას საქმით! შეეხებოდა საკითხი ჯიხაიშის სასოფლო საქმეებსა თუ რუსეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობას, ხონი-ენერის სარწყავ არხსა თუ ფოთის ნავთსადგურს, გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების ბედ-იღბალს თუ ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებელის დაარსებას, საქართველოს მევენახეობას თუ ტფილისის ბალნეოლოგიურ სადგურად გარდაქმნას და გამშვენება-გალამაზებას, ტყიბულის მაღაროების მოწყობას თუ ფოთის საკათედრო ტაძრის აგებას, ჭიათურის მარგანეცის დამუშავებას თუ ბაქოს ნავთის წარმოებას, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში სწავლა-აღზრდის რაციონალურად დაყენებას თუ ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღებას, „მადაგასკარში ბავშვების მოვლას" თუ იაპონიის ჩინეთთან ბრძოლას, სასოფლო გზების გაფართოება-შეკეთებას თუ ჩვენი ქვეყნის რკინის გზის ლიანდაგით მოფენას, გაბრიელ ეპისკოპოზის მოღვაწეობის შეფასებას თუ ლეონ ტოლსტოის ლიტერატურულ დახასიათებას, ლიობლან-გამბეტას მამულიშვილობას თუ ჭავჭავაძე-მაჩაბლის დაცვა-ცილაობას, ტფილისის თვითმმართველობის ხოლერასთან ბრძოლას თუ რუსეთის სახელმწიფოს მმართველთა უკულმართობას, და სხვა აუარებელ საჭირ-ბოროტო საკითხებს, რომელთა აღნუსხვა საეკლესიო კათედრიდან მე არ ძალმიძს, მათი სირთულე-სიმრავლისა, თუ ჩემს განკარგულებაში საკმაო დროის უქონლობისა გამო, — ნიკო ნიკოლაძე ყველგან და ყოველთვის ღირსეულად იდგა თავის სადარაჯოზე და თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მიუხედავად ამისა, მე მაინც უნდა აღვიარო, რომ, ჩემი აზრით, მის დამსახურებათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს განსვენებულის მიერ ჩვენი, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, დაქვეითების, დალაჩრების და დაგლახაკების მიზეზის სისწორით აღნიშნვას, და ამ უბედურებიდან თავის დასაღწევად უტყუარ საშუალებაზე მითითებას...

დღიდან სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისა, ნიკო ნიკოლაძე გულმოდგინედ იკვლევს, თუ „რამ დაჩაგრა, რამ დასცა და რამ დასწია უკან ჩვენი ქვეყანა"? ერთს წერილში, რომელიც დასტამბულია ნახევარი საუკუნის წინათ, განსვენებული ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხზე იძლევა შემდეგ პასუხს: „ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალჭურვილია თანამედროვე მეცნიერების იარაღით და გაძლიერებულია გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით“-ო. ამ დებულების შეურყევლობას ის გვისურათხატებს ჩვენი წარსულით: ჩვენ პატარა ხალხი ვიყავით, სწერს განსვენებული, გარემემო გვეხვია დიდრონი ხალხები, რომელნიც ხშირად დაგვეცემოდნენ, აკლებას დაგვიპირებდნენ, მაგრამ არა იშვიათად ჩვენ ვძლევდით და ვჯობნიდით, ხოლო თუ ხანდისხან გვჯობნიდენ, — გვჯობნიდენ მარტო იმით, რომ თითო ჩვენს მეომარს ოცი ოსმალოს ან სპარსეთის მეომარი უხვდებოდა წინ; სათითაოდ კი ვერც ოსმალო და ვერც სპარსელი ვერ სჯობნიდა ჩვენს მეომარს. ამ მოვლენის მიზეზი ცხადია: ჩვენცა და ჩვენი მოწინაალმდეგენიც ერთნაირად ვიყავით გაზრდილნი, ერთნაირად განსწავლულნი და ერთნაირად შეიარაღებულნი... მაგრამ... ზოგიერთი ხალხი მეცნიერებამ დააწინაურა, და ვინც ამ მეცნიერებას ვერ ეზიარა, ის სუსტი დარჩა. ომის ხასიათიც შეიცვალა: ევროპაში გამოიგონეს ისეთი ზარბაზნები, რომლებითაც თათრებმა ცხრამთის სიშორიდან დაგვინგრიეს ჩვენი ციხე-დარბაზები, ხოლო ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ ამნაირი მანქანა სადმე არსებობდა... ამ სახედ, რაც მტრის რიცხვს ჩვენთვის ოცის საუკუნის განმავლობაში ვერ დაეკლო, ის ოცი წლის განმავლობაში მტრის დაწინაურებამ წაგვართვაო. თავისთავად საგულისხმოა, რომ ნიკო ნიკოლაძეს ამ მსჯელობის დროს სახეში აქვს სხვა ერების დაწინაურება არა მხოლოდ სამხედრო დარგში, ამისათვის დაასკვნის: „მაშინ უცხო ერის წინ დაიჩოქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა. რაკი ჩვენ დავკარგეთ რწმუნება ჩვენს თავზე და გონებაზე, რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრედ ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ათჯერ თუ ასჯერ მომეტებულ მტერს, გაგვიცურდა ხელიდამ, — მას აქეთ ჩვენ მოვტყდით და წავხდით. მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა რწმუნების დაკარგვამ წაგვახდინა: აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა“-ო.

აღნიშნავს რა სისწორით განსვენებული ნიკო მიზეზს ჩვენი წახდენისა და თავისთავზედ რწმენის დაკარგვისას, თანვე გვიკარნახებს, რომ „დაწინაურებული მეზობლების მორევა და წინანდებურად მათ შუა მარჯვედ გამოჯგიმვა“ შესაძლებელია ჩვენთვის ცოდნისა და სწავლის შეძენით, გონების განვითარებით და აზრის მუშაობის შეჩვევით, მაგრამ ყოველივე ეს უნდა მოხდეს საკუთარი შრომით, საკუთარი მუხლით სიარულით, საკუთარი ნელის გამაგრებით, საკუთარი ძალით სარგებლობით, საკუთარი თავის იმედით და საკუთარის გაძლიერების გზაზე მტკიცედ დადგომით. და როცა ეს მოხდება, მაშინ ერთი „დასტვენის“ მეტი არა დაგვჭირდება რა: „მაშინ ყველას ჩვენი ნდობაც ექნება, პატივიცა და რწმუნებაცა“-ო.

რომ ნიკო ნიკოლაძის ეს სიტყვები მეტად საფუძვლიანია და ნაკარნახევია ცხოვრების სინამდვილის მიერ, რომ ჭკვიანს, განათლებულს, შორსმჭვრეტელს, თავისთავის მოიმედეს, მამაცსა და საკუთარ რწმუნებაზე დაყრდნობილ ადამიანს ყველა ანგარიშს უწევს, ყველა ეკრძალვის, ყველა ენდობა და ყველა პატივსა სცემს, ამის მაგალითს წარმოადგენს თვით განსვენებული ნიკო...

ბევრს თქვენგანს მოეხსენება, რომ წარსული საუკუნის სამოცდაათიანი და ოთხმოციანი წლების საზღვარზე ნიკო ნიკოლაძე ტფილისში რედაქტორობდა გაზეთ „ობზორს“. გაზეთი სიცოცხლის დუღილით სავსე ორგანოს წარმოადგენდა და ყოველ საგანსა და მოვლენას საკუთარ სახელს უწოდებდა, რის გამოც მკითხველ საზოგადოებაში გამოიწვია დიდი თანაგრძნობა, ხოლო მთავრობის წრეებში უდიდესი გულისწყრომა. ამას დაერთო „სასახლის ნომრებში“ (სასტუმროს სახელია) დაბანაკებულ ტფილისის სხვილ მემამულეთა, ეგრედ წოდებულ „გაწვრთნილ სპილოებთან“ სასტიკი ბრძოლა ტფილისის თვითმმართველობის საქმეთა გამო, — ნიკო ხმოსანიც იყო, — რასაც გულგრილად ვერ იტანდნენ „გაწვრთნილი სპილოების“ მოკავშირე თვითმპყრობელობის დარაჯნი. საქმე დამთავრდა სულ უბრალოდ და იმ დროისათვის ჩვეულებრივად: „ობზორი“ დახურეს და მისი რედაქტორი სამშობლოდან გააძევეს...

ტფილისის ადმინისტრაციის და კავკასიის საცენზურო კომიტეტის სამწუხაროდ, 1881 წლის თებერვლის გასულს ნიკოს ნება ეძლევა სამშობლოში დაბრუნებისა და ისიც მოემგზავრება ტფილისისაკენ მტკიცე განზრახვით, — განაახლოს თავისი საყვარელი გაზეთის გამოცემა. ნიკო ჩამოდის დედა ქალაქში 1881 წ. მარტის პირველს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მოხდა იმპერატორის ალექსანდრე მეორის მოკვლა. მოწინავე საზოგადოების მოლოდინი, — ახალი ხელმწიფე კონსტიტუციონალურ წესწყობილებას დაამყარებს რუსეთში და ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავსო, არ გამართლდა. განსვენებულ ნიკოსთვის ცხადზე უცხადესი შეიქმნა, რომ ის ტფილისში ვერც გაზეთის გამოცემას მოახერხებს და ვერც მოსვენებით იცხოვრებს...

მაგრამ მაცხოვარმა ხომ ბრძანა: ვერ ხელეწიფების დაფარვად ქალაქსა

მთასაზედა დაშენებულსა-ო (მატ. 5. 14), და ვერც ნიკო დაეფარა: მან სწორედ ამ დროს მიიღო რევოლუციური აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება, ეტვირთა იმ ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორობა, რომლის გამოცემას კომიტეტი აწყობდა საზღვარგარეთ. დღეს რომ რომელსამე ქართველს, ნ. ნიკოლაძის სულიერ შვილს ან შვილიშვილს, მიმართონ ამგვარი წინადადებით, მაინცა და მაინც არ გაგვიკვირდება, მაგრამ ნახევარი საუკუნის წინად რევოლუციონური ძალებით მდიდარი დიდი რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტისაგან გაკეთებული წინადადება კი, მეტის მეტად თვალსაჩინო ადამიანად ჰქმნიდა და ამ წინადადების მიმღებს პატარა ერის შვილს. და აკი ამ თვალსაჩინო ადამიანის ვინაობა არ გამოეპარა მაშინდელ საიდუმლო პოლიციას...

ნიკო ნიკოლაძე და აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი ი. ბოგდანოვიჩი (კობოზევი) ვერ შეთანხმდნენ: პირველი ამტკიცებდა, ხალხის განთავისუფლებისათვის თვითმპყრობელობის რეჟიმიდან საჭიროა ამჟამად, — ინტელექტუალური ძალების დარაზმვა და ლოდინი, სანამ რუსეთის მთავრობა გარეშე მტრების მეოხებით ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, როგორშიდაც ჩავარდა ყირიმის ომის შემდეგ, მეორე კი ამ აზრს არ იზიარებდა და ამჯობინებდა დაუყოვნებლივ მოქმედებას. მიუხედავად შეუთანხმებლობისა, ბოგდანოვიჩის წარმომგზავნელთა და ნიკო ნიკოლაძის შორის კეთილი განწყობილება არ დარღვეულა. ეს ამბავი, ტფილისიდან ბოგდანოვიჩის მიერ გაგზავნილი წერილის საიდუმლო პოლიციის ხელში ჩავარდნით, მივიდა „სვიაშჩენნაია დრუჟინამდე" და სწორედ ამ უმაღლეს წრეში დაიბადა აზრი ნ. ნიკოლაძის ავტორიტეტისა და ნიჭის დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის გამოყენების შესახებ. განსვენებულ ნიკოს მიუგზავნეს ვინმე მოხუცი კ. ბოროზდინი, ორმოცდაათიან წლებში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ ყოფილი, ნიკო ნიკოლაძის ოჯახში ნაპურმარილევი და თვით ნიკოს ბავშვობიდანვე მცნობი. კ. ბოროზდინმა გადასცა ნიკოს „სვიაშჩენნაია დრუჟინის" თხოვნა — მინდობილობა: დღეს თუ ხვალ უნდა მოხდეს ალექსანდრე მესამის კორონაცია, მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა წარმომადგენელნი თავს მოიყრიან მოსკოვში, და, ამ დროს რომ რაიმე ტერორისტულ გამოსვლას ექნეს ადგილი, სამუდამოდ მოგვეჭრება თავი, — ამისათვის: გვიშველე, დაგვეხმარე, მოგვარიგე რევოლუციონერებთან, ვიცით, ისინი შენ გენდობიანო.

მოითათბირა რა ნ. მიხაილოვსკისთან (მისი მეშვეობით კი ვერა ფიგნერთანაც), ს. კრივენკოსა და მ. ანტონოვიჩთან, ნიკომ გადასწყვიტა პირადად მოლაპარაკებოდა „სვიაშჩენნაია დრუჟინის" თვალსაჩინო წევრს, მაშინდელ სასახლის მინისტრს. ხოლო შემდეგ ჩვენში მეფისნაცვლად ყოფილ გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვს. გრაფთან მოლაპარაკება მით უფრო საჭირო იყო, რომ კ. ბოროზდინისაგან მან უკვე იცოდა ნიკოლაძის მთავარი დებულება, — ადრე თუ გვიან რუსეთში თვითმპყრობელობამ უნდა დაუთმოს ადგილი ერის მპყრობელობას-ო, და რახან შემდეგ გ. ვორონცოვ-დაშკოვი მას იწვევდა მოსალაპარაკებლად, შესაძლო ხდებოდა მასთან იმ პროგრამა-მინიმუმზე საუბარი, რომლის გარშემო უნდა გამართულიყო თათბირი რევოლუციონერებთან. თავის მხრივ კი ნიკოს გამორკვეული ჰქონდა შემდეგი: საზღვარგარეთ საკუთარი ხარჯით წასვლა, ოცი წლის ტუსაღობით განამებულის ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლება, რითაც უნდა გათავებულიყო რევოლუციონერებთან მოლაპარაკება, პოლიტიკურ დამნაშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესება და დასტური, რომ მთავრობა ახლო მომავალში შეუდგება სოციალურ-ეკონომიურ რეფორმების შემოღებას. გრაფთან აუდენცია გაგრძელდა ორ საათს და მას, როგორც შემდეგ გამოირკვა, დაესწრო ფარდას მოფარებული — რუსეთის ახალი თვითმპყრობელი ალექსანდრე მესამე, რომელიც აღნიშნული დროის მანძილზე გულდასმით უგდებდა ყურს სკანდა-ჯიხაიშის მოქალაქის მიერ რუსეთის სამეფოს მდგომარეობის დასურათხატებას: დღევანდელი არანორმალური განწყობილება მთავრობასა და საზოგადოების შორის შედეგია მთავრობის მიერ ერის საჭიროებათა უცოდინარობისა. მთავრობას რომ გათვალისწინებული ჰქონდეს ხალხის საჭიროებანი და იცნობდეს იმ პირებს, რომელთაც ათასობით და ათი ათასობით მსხვერპლად წირავს თავის ჯიუტობას და უვიცობას, შექმნიდა ამ გულწრფელი ახალგაზრდებისაგან ლეგიონ გმირებს, რომელნიც დიდების შარავანდედით გააბრწყინვებდენ ბედკრულ სამშობლოს. მაგრამ იგი — მთავრობა — ხსენებულ უანგარო მოღვაწეთ სთვლის ქვეყნის მტრებად. და ვერც კი გარკვეულა, რომ დაგვიანებით აკეთებს იმას, რასაც რამდენიმე ათეული წლით ადრე ქადაგებდენ ქვეყნის ერთგული შვილები: განა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის რეფორმების შემოღება, თუნდაც გლეხთა განთავისუფლება, წინასწარ არ იქადაგეს მათ, ვინც თანამედროვე მთავრობისაგან ქვეყნის მტრებად და ორგულებად იყვნენ მონათლულნი? ამისათვის, ახლა მაინც უნდა უსმინოთ დროს და დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას სოციალურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური რეფორმები; და ამ საქმესთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ჟამს ბეჭდვითი ორგანოებისა და ერობა — ქალაქების თვითმართველობათა წარმომადგენლებს უნდა მიენიჭოს საკმაოდ ძლიერი ხმა. ხოლო თუ თქვენ, მიმართა დასასრულ ნიკომ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, ყოველსავე ამას მხარს დაუჭერთ და განახორციელებთ, — უეჭველად გაუწევთ რუსეთის მეფესა და მის ერს დაუვიწყარ სამსახურს, მაშინ თქვენ გამოიყვანთ მეფეს იმ ტრაღიკული მდგომარეობიდან, რომელშიდაც ის იმყოფება: მართლადაც, მეფე, რომელსაც უნდა სურდეს თავისი ერის კეთილდღეობა და რომელსაც უზენაესი თავის მდგომარეობის მიხედვით არც ძალუძს იქონიოს რაიმე კერძო ან წვრილმანი ინტერესები, დღეს იძულებულია სახელმწიფოს უმთავრესი ძალა მიმართოს რუსეთის ინტელიგენციის წინაალმდეგ. იმ ინტელიგენციისა, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ და მხოლოდ მეფისავე ქვეშევრდომი ერის კეთილდღეობით-ო... რამდენიმე აუდენციის შემდეგ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა შესაძლებლად დაინახა ნიკო ნიკოლაძის პირობების მიღება, თუ კორონაციამდე და კორონაციის დროს ადგილი არ ექნება ტერორისტულ გამოსვლებს და თუ რევოლუციონერები მოისურვებენ ლეგალურ მდგომარეობაზე გადასვლას, — და ნ. ნიკოლაძეც გაემგზავრა საზღვარ გარეთ...

განსვენებულმა ბრწყინვალედ შეასრულა ნაკისრი მოვალეობა: ჩამოუტანა გ. ვორონცოვ-დაშკოვს ლ. ტიხომიროვის ხელით დაწერილი რევოლუციონერების პირობები, მაგრამ ჩვენი სასიქადულო თანამემამულის მეცადინეობამ თითქმის ამაოდ ჩაიარა, — მისს საზღვარ გარეთ ყოფნის დროს „სვიაშჩენნაია დრუჟინა“ დაშლილიყო, და გრ. ვორონცოვ-დაშკოვიც ჩამოეშორებიათ პოლიტიკური საქმეების წარმოებიდან, — ყველაფერს დაპატრონებოდა გრ. დ. ტოლსტოი... მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძემ მაინც მოითხოვა — და მოახერხა კიდევაც გრ. პ. შუვალოვის დახმარებით, ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლება და ცოტა მეტიც: ვ. ფიგნერს, ი. ბოგდანოვიჩს და ზოგიერთ მათ ამხანაგებს აჩუქეს სიცოცხლე, თუმცა სენატმა მათ ჩამოღრჩობა მიუსაჯა. კარაში მოთავსებულ პოლიტიკურ მოღვაწეთა მძიმე მდგომარეობის გამოსარკვევ მოსაწესრიგებლად გაიგზავნა ბარონი ნოლდე...

ნიკო ნიკოლაძეს მოკრძალებით ეპყრობოდნენ და არა ჩვეულებრივ ანგარიშს უწევდენ არამცთუ ზემოხსენებული პირები და მსგავსნი მათნი, არამედ ისეთი რუსეთისათვის ღვთისრისხვად მოვლინებული ადამიანიც, როგორიც იყო კ. ფონპლევე. უკვე ცნობილს კ. ბოროზდინს საზიზღარი ქაღალდს [illegible] სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან, — ვითომც ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოსათვის ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს აწვდის რევოლუციონერებს, რომელთაც თვით ღებულობს გრ. მ. ლორის-მელიქოვისა და ვორონცოვ-დაშკოვისაგანაო. ფონ-პლევესაც დაევალებია გრ. ლორის-მელიქოვისათვის, ნიკოლაძე გამოცხადდეს ჩემთანაო. განსვენებულმა გამოცხადებისთანავე მოსთხოვა ფონ-პლევეს უსასტიკესი გამოძიების დანიშვნა და გარანტიის მიცემა, რომ შემდეგში არ შეაწუხებენ მას ამგვარი დაბეზღების გამო, ცხადი გახდა, რომ ფონ-პლევე ამგვარ რასმე არ მოელოდა, ამისათვის მოითხოვა ნიკო ნიკოლაძის საქმე და ნარბებ შეჭმუხვნილმა ბრძანა: ჩვენ რომ თქვენი დამბეზღებლის ფასი ვიცით, ამას ადასტურებს ის, რომ თქვენ ხელუხლებელი და თავისუფალი ხართ, მაგრამ ჩვენ თქვენ შესახებ ბევრი რამ ვიცით, ასეთი წვრილმანებიც კი: ამა და ამ სახელმწიფო მოღალატეს ამდენი და ამდენი მანეთი მიეცით, ამადაამ მოღალატის წინაშე ცუდათ მოიხსენიეთ ახალი იმპერატორიო და სხვ. მიიღო რა წამოყენებულ „ბრალდებებზე“ დამაკმაყოფილებელი პასუხი, ფონ-პლევემ განაგრძო: ამადაამ სახელმწიფოს მოღალატე ქალს თქვენ დაეხმარეთ, თავი დაეღწია პოლიციისაგანაო... ჩემს ადგილზე თქვენ სხვანაირად მოიქცეოდითო, მსწრაფლ მიუგო გონებამახვილმა ნიკომ.

დასტოვა რა უპასუხოდ ნიკოს შეკითხვა, ფონ-პლევემ განაგრძო: ჩვენ ვიცით თქვენი მიდრეკილება და მისწრაფებანი, ვიცით, რომ წერილებს ათავსებთ ისეთ ჩვენთვის არასასიამოვნო ჟურნალში, როგორიც არის „ოტეჩესტვენნია ზაპისკი“, მაგრამ მაინც არ გიშლით, იცხოვროთ სატახტო ქალაქში, არ გიშლით ნახვიდ-წამოხვიდეთ საცა და როდესაც გნებავთ, გარნა გარანტიის მოცემა, რომ თქვენ ხელი არასოდეს არ გახლონ, არ შეგვიძლია, და არ შეგვიძლია იმისათვის, რომ თქვენ თითონ ინებეთ ორ სკამშუა ჯდომაო... ამაში კი, მოუჭრა სიტყვა განსვენებულმა ნიკომ, თქვენო აღმატებულებავ, სასტიკად სცდებით: მე ორთავე მხარის გარეშე ვდგევარ-ო...

განცვიფრებულ ფონ-პლევეს ერთიღა დარჩა: იმ წამს შესწყვიტა აუდიენცია, შემდეგ კი გადასცა ნიკო მზვერავ საიდუმლო პოლიციას, რომლის ზედამხედველობიდან განთავისუფლებისათვის ათის წლის შემდეგ საჭირო შეიქნა კავკასიის მთავარმმართებელის და ტფილის-ქუთაისის გუბერნიების მარშალთა განსაკუთრებული შუამდგომლობანი...

ცხადია, ასეთი იშვიათი ყურადღება, არა ჩვეულებრივი პატივისცემა და მეტად დიდი

ეროვნული

მოკრძალება ნიკო ნიკოლაძისადმი მემარჯვენეთა და მემარცხენეთა, დიდთა და პატარათა, ახლობელთა და შორიელთა შედეგია მისი, რომ განსვენებული შემოსილი იყო თანამედროვე ცოდნით, დაუშრეტელი ენერგიით, რაინდული გამბედაობით, მამულის სიყვარულით და თავისთავის იმედით. მართალია, ის ყველას აფასებდა, ყველას პატივსა სცემდა, მაგრამ ისიც უტყუარია, რომ უცხოელი მის „თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად" არ იყო გამოხატული, მის „ტვინში უცნობი ძალის შიში არ იყო გამჯდარი", მის „გონებას უცხოეთის წინაშე არ დაუჩოქნია", მას „თავის თავის რწმუნება არ დაუკარგნია", არავისა და არაფერში არ ჩამორჩენია, არავისათვის მიუცია ნება „ცოდნასა და ოსტატობაში" მასთან შედარებით „დაწინაურებულიყო", ხოლო თუ ვინმე გამოიჩენდა ასეთ სურვილს, ყოველგვარ ზომებს მიიღებდა, „მოსწეოდა", „გასწორებოდა" და გატოლებოდა. ამისთვის იყო რომ ჟიხაისსა და პეტროგრადში, ლონდონსა და პარიზში, ბერლინსა და სტამბოლში ნიკო ერთნაირ და თანასწორუფლებიან მოქალაქეთ გრძნობდა თავს და არვის წინაშე ქედს არ იხრიდა...

მაშასადამე, თუ ჩვენც გვნებავს, და ეს კი უეჭველად ყველას უნდა გვინდოდეს, არავის ჩამოვრჩეთ, არავინ გაგვასწროს, არავინ გვაჯობოს, არავინ დაგვჩაგროს, ყველასგან პატივცემულნი ვიყვნეთ და მოკრძალებით მოსაპყრობნი, უნდა ნიკოსავით დავეწაფოთ სწავლასა და ცოდნას, გონების ვარჯიშობას და ფიზიკურ შრომას, სხვა ერების მიერ მიღწეული ცოდნის დონემდე ამაღლებას და ცხოვრებაში გამოყენებას. ეს თუ მეტად ძნელი იყო ნიკო ნიკოლაძის დროინდელი ახალგაზრდობისათვის, მეტად ადვილია დღევანდელი მოზარდი თაობისათვის: თუ მაშინ საქართველოს სივრცეზე მოქმედი საშუალო სასწავლებლები — და ისიც უცხო ენაზე სწავლის მიმწოდებელნი — ცალი ხელის თითებზე ჩამოითვლებოდა, დღეს სამშობლო ენაზე დაყრდნობილ საშუალო სასწავლებელთა რიცხვი ბევრად აღემატება ორივე ხელის თითების სალსართა რიცხვსაცკი: ამასთან ერთად, უმთავრესი ის არის, რომ საქართველოს სასწავლებლებს აგვირგვინებს საკუთარი სახელმწიფო ტაძარი უმაღლესი ცოდნისა და განათლებისა, რომლის არსებობის ათი წლისთავის ზეიმის ამბებს აღტაცებით ისმენდა იშვიათი ქართველი, თუმცა უკვე სარეცელზე მიკრული...

შევევედროთ ზეციერ მამას, რომ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც ყოველწლივ ასობით გამოდიან უმაღლესი სასწავლებელის კარებიდან მეცნიერების სხვა და სხვა დარგით განბრძნობილნი, თავის სასიკეთო მოღვაწეობით გადაეჭარბებინოს ნიკო ნიკოლაძისათვის, ხოლო ჩვენში ცოდნისა და განათლების მნიშვნელობის და შეძენის საჭიროების სამოცდაათი წლის განმავლობაში დაუღალავ ქადაგს, აწ განსვენებულ ნიკოლოზს მიანიჭოს ზეცათა შინა წიაღი აბრაამისა, ქვეყანასა ზედა კი საუკუნო ხსენება. ქრისტე აღდგა!

მიტროპოლიტი **კალისტრატე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მღელვარე ემოციით, მოქალაქეობრივი პათოსით

სამშობლოსადმი სიყვარულით განმსჭვალულ ლირიკული ლექსის სტრიქონებს ვკითხულობთ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის, 50-იანი წლების პოეტური თაობის შესანიშნავი წარმომადგენლის შოთა ნიშნიანიძის ახლახანს გამოქვეყნებული ლექსების კრებულში.

წიგნში წინა პლანზეა წამოწეული პატრიოტული ლექსების რკალი, რომელშიც ავტორი სიტყვის იშვიათი პლასტიკით, ვირტუოზული ტროპული აზროვნებით ამხელს გულის სიღრმიდან მომდინარე ფიქრსა და ოცნებას სამშობლოზე. ამ რკალს მიეკუთვნება ლექსები: „მე ვარ მისანი ხარი წიქარა", „ქართული ზღაპარი", „ციხე-ტაძართა საგალობელი" და სხვა... ცალკე უნდა გამოვყოთ ლექსი „მე ვარ მისანი ხარი წიქარა", სადაც პოეტი საკუთარ თავს წიქარას სიმბოლოში ხედავს. ხალხურ თქმულებაში წიქარა კეთილი და სიმართლისათვის თავგანწირული მებრძოლია. ამიტომ პოეტი აცხადებს, რომ თვითონაც „ზღაპრიდან გამოპარული" ერთგული მსახურია თავისი ხალხისა, როგორც „მისანი ხარი წიქარა".

ლექსებში „ქართული ზღაპარი" და „ციხე-ტაძარი საგალობელი" პოეტი ორიგინალურ ვერსიფიკაციულ ნიმუშებს გვთავაზობს, რითაც მკითხველის ემოცია აპოგეამდე აჰყავს.

აქ მოცემული პოეტური შედარებები ბონდის ხიდისა ოქროს ხიდთან, გლეხის ქალისა — ღვთისმშობელთან იდეალიზებულია, მაგრამ ბუნებრივი და ლამაზია;

ლექსში „ყვირილაო, გუშინდელო ზანგელა..." მოთხრობილია მდინარე ყვირილაზე, რომელსაც საუკუნის განმავლობაში სიანკარე და სილაჟვარდე ჰქონდა დაკარგული, გაშავებული იყო ჭიათურის მანგანუმის ნარეცხით. მაგრამ როგორც იქნა გადაწყდა თაობათა ოცნება და ყვირილა თავის პირვანდელ სიკამკამეს დაუბრუნდა. პოეტი მდინარე ყვირილას სიშავის გამო ზანგელას უწოდებს, ხოლო უკვე თეთრ ყვირილას კი ასე მიმართავს:

> დრომ შენთვისაც მოიცალა დიდ საქმეთა
> სამკელად,
> კოხტა ბიჭო, თეთრო ბიჭო, გუშინდელო
> ზანგელა.
>
> . . . . . . . . . . . . . . . .
>
> მაშ გაძოდი, გადმოქუხდი დიდ საქმეთა
> სამკელად,
> ყვირილაო, — თეთრო ბიჭო, გუშინდელო
> ზანგელა.

პოეტი, იქვე, ქვეცნობიერად უკეთესი ცხოვრების სურვილითა და რწმენით მოუწოდებს თავის ხალხს:

> ჩემო ხალხო, ბევრი ჭირის, ბევრი ლხინის
> მომკელო,
> ყველა შავი საქმისათვის მალე ასე
> მოგვევლოს.

პატრიოტული ლექსების რკალს მიეკუთვნება აგრეთვე: „მკვიდრნო მარადისობის...", „პეტრე ბაგრატიონის პრწანისის კართან დაბრუნება", „როცა მე გარდავიცვალე", „ხევსური", „ქართლი", „გოგებაშვილის „დედაენა", „სიმღერა სამეგრელოზე", „ელასა-მელასა ანუ ქართული ნადიმი", „ბალადა პროფესორ ყორდანიას გმირობაზე", „ვაზის სიმფონია", „საქართველოში ყველა ციხესთან...", „ქართული ლაშქრის სადიდებელი", „ვახტანგ მეფე", „დგას საქართველო სულ სხვა სიმაღლის..." „თევდორე", „დიოსკურია", „ცოტნე," „ჰაბო", ანუ ფერფლის ლეგენდა", „წინაპართა საგალობელი" და სხვ. რომლებშიც ავტორი თანამედროვეობასთან ერთად რეტროსპექტულად წარმოსახავს ქართველი ხალხის სასწაულებრივ გმირობას და ამტანობას როგორც დამპყრობთა ჭარბი ძალების წინააღმდეგ ვაჟკაცურ ბრძოლაში, ასევე ქვეყნის შიგნით რთული ეკონომიკური და სოციალური სიძნელეების გადალახვაში. ამ ჭირთ გადამხდელობის ჟამს ჩვენი ხალხის მიერ გამომჟღავნებული სულის სიმტკიცით აღფრთოვანებული პოეტი ამბობს: .

> წინაპარო, შენი ღირსი გამხადე,
> გმადლობ, რაკი მომიყვანე აქამდე.
>
> დაგიკოცნო რაც არ იქცა მიწადა —
> ბატის ფრთას თუ გატეხილი ხმლის ვადას.
>
> ფესვი მომეც სამუხე და საყურძნე,
> მზით, ვენახით და სიმღერით დამხუნძლე.
>
> („წინაპართა საგალობელი")

ლექსი „ვაზის სიმფონია" მკითხველს ასოციაციურად გაახსენებს საქართველოს ერთიანობაზე დუტუ მეგრელის პოპულარულ ქმნილებ-

---

შოთა ნიშნიანიძე. უპირველეს ყოვლისა, „საბჭოთა საქართველო". 1988 წ.

ას — „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო...“ მაგრამ ისინი სხვადასხვა ავტორის სხვადასხვა ლექსებია, როგორც სიუჟეტით, ასევე გამომსახველობით. მათი მსგავსება დაახლოებით ერთნაირ კონსტრუქციასა და ინტონაციაშია.

შოთა ნიშნიანიძის ლექსში სიუჟეტს თვისობრივად ახალი ელვარება აქვს მინიჭებული ორიგინალური გამომსახველობითი პლასტიკითა და ჰარმონიულად მისადაგებული რიტმითა და მელოდიური ინტონაციით. აი, ერთი პასაჟი „ვაზის სიმფონიიდან“.

ქართლ-კახეთი ლეგენდაა,
იმერეთი — ზღაპარი,
სამეგრელო ოცნებაა — გაფრენილი
ფაფარი,
გურია კი სიმღერაა — ხოლო რაჭა —
სიზმარი,
ყველა ერთად ვენახია ჩვენი დასაფიცარი.

ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებს ამ თემაზე შექმნილი მაღალმხატვრული შემოქმედება. შოთა ნიშნიანიძის მეგობრობისადმი მიძღვნილ ლექსებში მკითხველი გრძნობს მგზნებარე მოწოდებას, კეთილ სურვილებს, წრფელ მიზანსწრაფვას. პოეტი კოლორიტულად ხატავს ჩვენი მოძმე და მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ხალხის სამყარო შვილების ტიპიურ პორტრეტებს, რისთვისაც არ იშურებს მხატვრული წარმოსახვის მრავალფერ სამკაულებს. დიდ ინტერესს იწვევს ლექსი „ბიჭები“, რომელიც ეძღვნება სხვადასხვა ერის დაახლოებით ერთი ასაკის გამოჩენილ ახალგაზრდობის ღირსეულ წარმომადგენლებს — გავროშს, პაატას, ოლეგსა და სხვებს. ამ ბიჭებმა „სულ მთლად ბავშვებმა“ საკუთარი თავი შეგნებულად შესწირეს სამშობლოს ბედნიერებას.

კრებულში დაბეჭდილი ხალხთა მეგობრობის თემაზე დაწერილი ლექსების ციკლს მიეკუთვნება აგრეთვე — „ილია მურომელი“, „სიმღერა უკრაინულ პილპილზე ანუ ტარას ბულბაზე“, „იან ქიეკას ანდერძი“, „ფედერიკო გარსია ლორკა“, „უოლ უიტმენი — ბალახის ფოთლები“, „ლეგენდა იანოშ კორჩაკზე“ და სხვ.

სარეცენზიო კრებულში შეტანილია სატრფიალო ლექსები, რომლებშიც უშუალობა, ახალგაზრდა კაცის რომანტიზებული პათეტიკა, ინტიმური იდეალი ინდივიდუალური მხატვრული ხედვით არის წარმოჩენილი. ამ ლექსების რიგს მიეკუთვნება — გახსენება“, „წვიმა და მეზობლის გოგონა“, „გული ხელისგულზე“, „პატარა იყავ და ამიტომაც“, „ერთი პატარა მიყვარდა“, „აღარ მაძინებდა მზერა ალმაცერი“ და სხვ. ეს ლექსები მკითხველს ბევრ სასიამოვნო ამბავს გაახსენებს თავისი განუმეორებელი და ტკბილი სიყრმისეული ცხოვრებიდან.

სამამულო ომის მამაც მებრძოლებისადმი მიძღვნილ პუბლიცისტურ ლირიკულ ლექსებში „ბიჭო გოგია“, „ბალადა კაპიტანზე“, „ჯარისკაცის დაბრუნება“ და სხვ. პოეტი იხსენიებს დიდი სამამულო ომის საშინელ შედეგებს და გაფრთხილებას იძლევა, რომ დღეს აღარ უნდა განმეორდეს ის უბედურება, რაც ხალხს მეორე მსოფლიო ომმა მოუტანა... ახლა პლანეტაზე მშვიდობის პრობლემა ყველაზე მთავარი პრობლემაა და ამ საქმის სამსახურში დგას საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა დარგი, მათ შორის მწერლობა. შოთა ნიშნიანიძე თავისი მგზნებარე მხატვრული სიტყვით შემართული დგას მშვიდობის სადარაჯოზე და ბნელეთზე გამარჯვების ღრმა რწმენით აცხადებს:

დროს ისევ ვფურცლავ... ნასანგრალებს
ფიქრით გავწვდები,
გზებს სიკვდილისას მოვაბრუნებ სიცოცხლის
გზებად.
(„ჯარისკაცის დაბრუნება“).

მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის ეწეოდა ზნეობრივ პროპაგანდას. პოეტი მოვალეა მხატვრული ხერხებით მკითხველს უჩვენოს ცხოვრება სიღრმისეული არსით და იბრძოლოს დროისმიერი ხარვეზების დასაძლევად. შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში გაბედული, მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპულობითა და მხატვრული ზემოქმედებით არის მხილებული და დაგმობილი ანტისაზოგადოებრივი დანაშაულებები, რომელთა ლიკვიდაცია პოეტის შესაძლებლობას სცილდება, ხოლო ვისაც ის შეუძლია თავს არ იწუხებს. ასეთ ადამიანებს პოეტი ორიგინალური სარკაზმით ასე ათქმევინებს:

თავს ისე ვიჭერ
ვითომ ბრმა ვარ, ვითომ მუნჯი ვარ,
არც არვინ მერჩის,
არხეინად თავი ქუდში მაქვს
(„თავს ისე ვიჭერ“).

ამიტომ ლექსების ამ რკალს შეიძლება ეპიგრამად წავუმძღვაროთ მისივე საკმაოდ გახმაურებული აფორისტული გამოთქმა: „სწორი პასუხი სადაა, თორემ კითხვა ისედაც ყველა სწორია“. ლექსში „ბარიერი“ პოეტი რაინდის ტონითა და ჟესტით გამოხატავს თავის მებრძოლურ განწყობილებას, რაც მკითხველზე დიდ შემეცნებით და ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს:

რაც დადგა სიმართლე სიცრუის პირისპირ,—
ჯავრი არ მასვენებს ბარეორთა
და სეკუნდანტივით ჩამძახის სინდისი:
— ბარიერთან!
. . . . . . . . . . . . .
სუფრებზე. კრებებზე მართავენ მასკარადს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხოტბით მრავალი გაგვიმადლიერდა
კლოუნო,
თაღლითო,
წყეულო მასხარავ,
— ბარიერთან!

(„ბარიერთან“).

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში ზედმიწევნით მძაფრად არის შეგრძნობილი და მხატვრულად წარმოჩენილი თანამედროვეობა, დღევანდელობა და მისთვის დამახასიათებელი რთული სიძნელეები, რომელთა დაძლევისათვის ბრძოლაში, პოეტი თვლის, რახან კაცი ლექსისა და მუსიკის მსახურია, იგი საწერ მაგიდას კი არ უზის, არამედ ბარიკადზე დგას. თავის ერთ-ერთ ლექსში „სიტყვა თანამედროვეს“ პოეტი ამბობს:

რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც
და მსახური ხარ რახან,
საწერ მაგიდას კი არ უზიხარ —
ბარიკადაზე დგახარ,
ბარიკადაზე, ბარიკადაზე
სიტყვას ავარდეს ბოლი!
ჩვენთვის დაცემულ მრავალ ათასებს
შეეხმიანე სროლით!

დიდებული მეტაფორული გარდასახვაა.

საზოგადოების მოწინავე ადამიანები თავიანთი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით, შრომაში გამორჩეული შემართებითა და სამაგალითო მოღვაწეობით თვითონ ჰქმნიან თავიანთ მისაბაძ ბიოგრაფიას. პოეტი ლექსში „მეგობარ პოეტს“ ემოციურად, ლამაზი და პლასტიკური სახეებით წარმოაჩენს ასეთი ადამიანის ბიოგრაფიას:

ვინა თქვა შენი ღარიბული ბიოგრაფია?
ახალი წიგნი,
ქანდაკება,
ტილო,
მუსიკა,
ბელტს აბრუნებ თუ კომბაინის საჭეს
უზიხარ,
რაც დიადია, რაც ღირსებით დასადაფნია.
განა არ არის ეს გმირული ბიოგრაფია?
მიტინგზე დგახარ
თუ მარტენში ღმუის ლითონი,
კრება გელის თუ საძოვარი, ფართო ტაშირი.
შენ აიტაცებ გმირულ რიტმებს, გმირულ
სტრიქონებს,
და მთელ სხეულზე შემოიხვევ
პატრონტაშივით.

შოთა ნიშნიანიძე ლექსებს უძღვნის გამოჩენილ ადამიანებს, თავის მეგობრებს, ნაცნობებს და მხატვრული დამაჯერებლობით ამხელს თავის ჰუმანურ გრძნობებს, ადამიანთმოყვარეობას. ამ ლექსებს მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებებთან ის ღირებულებაც გააჩნიათ, რომ ისინი არ არის დაწერილი კონიუნქტურული თუ კონვენციური გამიზნულობით, რითაც ერთ დროს ჩვენი პოეზია იკვებებოდა. შოთა ნიშნიანიძის ყოველი სტრიქონი მართალი კაცის გულის ფეთქვაა.

შოთა ნიშნიანიძე არის ჭეშმარიტად მდიდარი ქართული პოეტური ტრადიციების გამგრძელებელი. მისი ლექსი გამოირჩევა საკუთარი პოეტური ხმითა და ელვარებით, ქართული ტემპერამენტითა და ეროვნულობით, გამოსახვის ნაირსახეობით. შოთა ნიშნიანიძე მეტად მგრძნობიარე, ემოციური, ამასთან მორიდებული პოეტია, მის ლექსებს ჰყავს მრავალრიცხოვანი მკითხველი და თაყვანისმცემელი. ბესარიონ ბელინსკი ამბობდა: „სილამაზე მისი შემქმნელის სულში იმალება და მერე ლირიკული განცდით გარე გამოვლინდება“. შოთა ნიშნიანიძის სულში დამალული სილამაზისა და ლირიკული განცდის გარეთ გამოვლინების ნათელი დასტურია ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მისი შესანიშნავი პოეტური კრებული და აგრეთვე მისი სამაგალითო კეთილშობილური პირადი ცხოვრება.

ილია ფეიქრიშვილი.

# თანამედროვე ქართული მწერლობა და ხალხური საწყისები

მხატვრული ლიტერატურა, დღიდან თავისი არსებობისა, განუყრელადაა დაკავშირებული კოლექტიური გენიის მიერ საუკუნეთა სიღრმეში შექმნილ ზეპირსიტყვიერებასთან.

„რაც კი რამ დაწერილა დიადი და გენიალური, — ამბობს ვახტანგ კოტეტიშვილი, — სათავე ხალხური შემოქმედების წიაღში ეძებნება. ამ ფაქტის წინააღმდეგ ვერ წავა ვერც ერთი ლიტერატურის ისტორიკოსი“.

თანამედროვე ფოლკლორისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ იწვევს კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას მითოლოგიისა და მწერლობის ურთიერთმიმართების საკითხი. მითების „მაცოცხლებელი წვენის“ მნიშვნელობა XX საუკუნის მსოფლიო სიტყვაკაზმული ლიტერატურის განვითარების საქმეში კვლავაც რჩება მკვლევართა მზარდი ინტერესის საგნად.

ა. ცანავა. ფოლკლორი და თანამედროვე ქართული მწერლობა, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1986 წ.

ცივილიზაციის არნახული წინსვლის პირობებში, კომპიუტერული სისტემებისა და ატომური ენერგიის ეპოქაში, დღეს, როცა ადამიანის გონება ახალ-ახალი ინფორმაციის დამთრგუნველ „დაწოლას“ განიცდის, მეტ „ხიბლსა“ და აქტუალობას იძენს ე. წ. მითოლოგიზაციის პრობლემა, თანდათანობით მძაფრდება იმ ძირების ძებნისა და მიგნების წყურვილი, რაც ბალავრად დასდებია კაცობრიობის მონაპოვარს სულიერი კულტურის სფეროში.

გამონაკლისი ამ მხრივ, ცხადია, არც მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობაა. საერთო ლიტერატურული პროცესების ძირითადი ტენდენციები და უმთავრესი მიმართულებანი, მეტ-ნაკლები „დოზით“ და ინტენსივობით, ჩვენს მწერლობაშიც იჩენენ თავს. მითოლოგიზაციის კანონზომიერებათა კვლევა და დადგენა ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით ჩვენთვისაც საშურ და საჭირო საქმეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია ის ცხოველი დაინტერესება, რასაც მშობლიური მწერლობის ავკარგში გარკვევის მოწადინე მკითხველი აღნიშნული მიმართულებით შექმნილი ყოველი სერიოზული ნაშრომის მიმართ იჩენს.

1986 წელს „მერანმა“ გამოსცა აპოლონ ცანავას წიგნი „ფოლკლორი და თანამედროვე ქართული მწერლობა“. აქ თავმოყრილია სხვადასხვა დროს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული, ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობის ამსახველი წერილები და გამოკვლევები.

ავტორს გულდასმით შეუსწავლია ფოლკლორული თემებისა და სიუჟეტების სრულფასოვანი გადამუშავების, წარმართული ტრადიციების გაცოცხლებისა და გამოყენების, უძველესი მითოსური მოდელებით სარგებლობის ტიპიური ასპექტები თვალსაჩინო ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

ცნობილია, როგორ ღრმად სწვდებოდა დიდი ქართველი მწერალი, კონსტანტინე გამსახურდია მშობლიური ზეპირსიტყვიერების შიდა შრეებს, როგორ ორგანულად ჰქონდა განცდილი და გათავისებული ქართველ ტომთა ენობრივი სტიქია (გავიხსენოთ, რა შეხედულების იყო მწერალი დიალექტებთან სალიტერატურო ენის მიმართების თაობაზე: „ისე როგორც ჩვენი მკლავმაგარი დიდი მეფეები იბრძოდნენ და ილვწოდნენ ფეოდალური პარტიკულარიზმისაგან დაქსაქსული მიწების გაერთიანებისათვის, ქართულ ენაზე მეტყველი ოსტატიც უნდა ეცადოს, გააერთიანოს ქართულ დიალექტებში გაბნეული მარგალიტები ხალხური მეტყველებისა, ახალი ელერადობა და ახალი სიცოცხლე მიანიჭოს მათ“). ალბათ ბევრს უგრძვნია და „ამოუჩენია“ ტრადიციული ფოლკლორული თემების, მცირე თუ ვრცელი ზეპირსიტყვიერი სიუჟეტების, არქაული ხალხური რწმენა-წარმოდგენების, მაგიური ფუ[illegible]ბო პოეზიის და ა. შ., კვალი მის ნოველებსა და რომანებში, მაგრამ არ უცდია (რაც რიგით მკითხველს არც მოეთხოვება), გარკვეულ სისტემაში მოეყვანა და გაეაზრებინა ის „ნედლი“ სამუშაო მასალა, მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატის ხელში სულ სხვა მასშტაბი და რეზონანსი რომ შეიძინა.

ა. ცანავა მართებულად მიუთითებს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალის გამოყენება „მისადაგებულია ინდივიდუალური მხატვრული სახის შექმნის პროცესთან“. წარმართული და ქრისტიანული პლასტების მონაცვლეობა „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“, ფოლკლორული წყაროები ადრეული პერიოდის ისეთი ნაწარმოებისა, როგორიც გახლავთ „ტაბუ“, „მშვენიერება“ და „ხოგაის მინდია“, განხილული და გაანალიზებულია მაღალკვალიფიციურად, საკვლევი საკითხის საფუძვლიანი ცოდნით. იგივე ითქმის კ. გამსახურდიას ისტორიული რომანების („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“) ხალხური წყაროების გამოვლენისადმი მიძღვნილი გამოკვლევის მიმართ, რომელსაც სარეცენზიო წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. მისაღებია აზრი იმის შესახებ, რომ „კ. გამსახურდიას შემოქმედებაში არსად არ იგრძნობა წარმართული და ქრისტიანული ტრადიციის ისეთი დაპირისპირება, რომ მწერალმა ამით დაამტკიცოს წარმართობის უპირატესობა ქრისტიანობასთან შედარებით. ამგვარ თვალსაზრისს არაფერი აქვს საერთო მწერლის მსოფლმხედველობასთან“.

გარდა ზეპირსიტყვიერი საწყისებისა, გამოკვლევაში ყურადღება გამახვილებულია ხალხურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებზე (ხმით ტირილი, ფარიკაობა, ძმადგაფიცვა), რომელთა მეტყველ ასახვას თავისი იდეური და მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად, გმირთა ხასიათებისა და სულიერი სამყაროს უკეთ გამოკვეთის მიზნით მიმართავს მწერალი. „გარდასული საოცრებანი ახალი ძალით აღვიძებენ მწერლის ქვეცნობიერ იმპულსებს“ და განუმეორებელ ელფერს ანიჭებენ მისი ხელიდან გამოსულ ქმნილებას...

„დავით აღმაშენებლის“ ხალხურობაზე საუბრისას ა. ცანავა ცალ-ცალკე გამოყოფილ ქვეთავებში ჩერდება მეზირის კულტსა და მაგიაზე, გაქარჩხულ სასახლეზე, მუხის კულტზე, ხატის ტყესა და საკრალურ ორშაბათზე, ხალხურ სანახაობებზე, ანიმიზმზე, ტოტემიზმზე და მითოლოგიაზე, მხატვრული ენისა და სტილის ხალხურობის საკითხებზე. მითითებულია, რომ ხალხის მიერ დავით აღმაშენებლისთვის მიკუთვნებულ ზებუნებრივ თვისებებს (ეშმაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრთნა, გველის გეშვა, დემონურ არსებათა დამორჩილება, ადამიანთა მოდგმის მტარვალთა ხმალში გაწვევა, დამარცხება და „მოჯადოებული" ციხე-სიმაგრის განთავისუფლება, რაც ქვეყნის დაცვისათვის იყო საჭირო) მწერალი დიდი ტაქტითა და ოსტატობით იყენებს რომანის ცალკეული პასაჟების შესაქმნელად.

გამოკვლევაში დამოწმებულია კ. გამსახურდიას გამონათქვამები მხატვრული ლიტერატურისათვის მითის და, საერთოდ, ფოლკლორული შემოქმედების მნიშვნელობის შესახებ, რაც ავტორის დებულებათა სამართლიანობას ნათელყოფს და პერსპექტივას სახავს, უფრო ფართო მასშტაბით იქნას შესწავლილი ჩვენი საუკუნის საყოველთაოდ აღიარებული მწერლის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

აქვე შევნიშნავთ, რომ მკვლევარს არასწორად აქვს ახსნილი სიტყვა „მწერელთტყვეს" მნიშვნელობა. „ეს არის ეთნოგრაფიული, ყოფითი ტერმინი, — ვკითხულობთ სარეცენზიო წიგნში, — რომელსაც ფშავ-ხევსურეთში ხატის მიერ „დამონებულ", „დატყვევებულ" ადამიანზე იტყვიან. მწერელთტყვეები ხატობათა განუყრელი თანამგზავრები არიან, ეცემიან ქადაგად და სიკვდილამდე ემსახურებიან „დამტყვევებელ" ხატს".

შესაძლოა, ტერმინს თავდაპირველად მართლაც ასეთი გაგება ჰქონოდა, მაგრამ დღეს მისი მნიშვნელობა ფშაველ-ხევსურთა მეტყველებაში სხვაგვარია. „მწერელთტყვე" ანუ „მწერელთშვილი" ნიშნავს ბეჩავს, უთავბოლოს, უგუნურს. სხვათა შორის, აკად. ა. შანიძის თხზულებათა თორმეტტომეულის I ტომზე დართულ ლექსიკონში ამ ცნების განმარტებას საგულისხმო ცნობაც ახლავს: „ერთი ფშაველი მიმტკიცებდა, რომ ხევსურებმა „მწერელ(თ)ტყვეი" იციანო, მაგრამ მ წ ე რ ე ლ თ შ ვ ი ლ ი ხევსურეთშიც მაქვს გაგონილი, როცა მე ვიკითხე, რას ნიშნავს-მეთქი, კინაღამ ჩხუბი ატყდა ჩემს მოსაუბრე ხევსურსა და ერთ კარგა მოსულ ხევსურს შორის, რომლის მიმართ ითქვა ეს სიტყვა. მან იწყინა და დაემუქრა: გაგაიორ მია, გაგაი. — მიაც გიგიაი-ორ, იყო პასუხი" (თხზ., ტ. I, 1984, გვ. 368-69).

წერილში „ხალხური ფესვებიდან ამოზრდილი მწერალი" განხილულია ლეო ქიაჩელის შემოქმედების ფოლკლორული წანამძღვარები. მკვლევარი, როგორც წესი, წინაპირველად მწერლის რომელიმე ნაწარმოების მისთვის საგულისხმო პასაჟს გვაცნობს, ხოლო შემდგომ მის ხალხურ შესატყვისს. დემონოლოგიური პერსონაჟების გამოხმობა თუ ჰეჰეთობის (ჰიაკოკონობის) ტრადიციის მხატვრული წარმოსახვა მისადაგებულია მწერლის ჩანაფიქრთან — შექმნას გმირთა შთამბეჭდავი მხატვრული სახეები, გაგვითვალსაჩინოოს მათი შინა ბუნების არსებითი ნიშნები.

ზეპირსიტყვიერების კონკრეტულ ასპექტებთან ლ. ქიაჩელის შემოქმედებითი დამოკიდებულების თავისებურებათა საჩვენებლად წერილში განხილულია ქართველი მკითხველისთვის კარგად ნაცნობი ნოველები და რომანები: „თავადის ქალი მაია", „ალმასგირ კიბულან", „ტარიელ გოლუა", „გვადი ბიგვა", „მუხა და ტირიფი", „კრიმანჭული", „სიკოს ხვედრი ოქრო", „სისხლი".

ა. ცანავამ, შეიძლება ითქვას, სკრუპულოზურად შეისწავლა ჭაბუა ამირეჯიბის რომანის — „დათა თუთაშხია" — მითოლოგიური საწყისები; აჩვენა მითოსური მოტივების რეკონსტრუქციისა და მოდელირების მაგალითები დასახელებულ ქმნილებებში და, რაც მთავარია, მკითხველისთვის სარწმუნო გახდა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ახალი მითის შექმნის პროცესთან, ე. ი. „ავტომითთან", არამედ ტრადიციული მითოლოგიური არქეტიპებისა თუ სიუჟეტების შემოქმედებით გააზრება-გარდასახვასთან, მისტიფიკაციის საყოველთაოდ ცნობილ მხატვრულ ხერხთან. მკვლევარის სიტყვით, „ყოველ ნიჭიერ მწერალს სხვადასხვა მითოსური მოტივის გამოყენებით შეუძლია შექმნას მისთვის საჭირო ისეთი კონსტრუქციის სიუჟეტი, რომლის ტოლფარდი არ იცის ხალხურმა შემოქმედებამ, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ახალი მითის შექმნას — „ავტომითს", რადგან ყოველი მისტიფიკაცია მაინც მითის შინაგან კანონზომიერების ცოდნას ემყარება და მისი დანაწევრება ცალკე მითოსურ ერთეულებად მეტად ადვილი საქმეა".

დემნა შენგელაიას „ბათა ქექია", ქართული საბჭოთა პროზის კლასიკური ნიმუში, ეროვნული მითო-ზღაპრული ეპოსისა და პერიოდულად კვდომადი და განახლებადი ნაყოფიერების ღვთაებების ქმედებათა ძირეულ მოტივებზეა აგებული. რომანის ცენტრალური გმირის სახე აგუნასა და დიონისეს ინსიგნიებითაა აღჭურვილი. „მუხადქცეული კოლხეთის უკვდავი სული" — ბათა ქექია „დღესაც მოარღვევს სივრცეს და მშობელი მიწისა და ოჯახის სიყვარულის, სიკეთის, თანადგომისა და თანალმობის ეტალონად ევლინება ყოველ მომდევნო თაობას", — წერს მკვლევარი. ხასიათების მთლიანობით და კოლორიტულობით გამოირჩევიან რომანის სხვა გმირებიც. მათ ინტერესთა და მისწრაფებათა ნათელყოფის მიზნით მწერალი მიმართავს თვითმყოფად კოლხურ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიას...

ქართული მითოლოგიური პანთეონის კარდინალური საკითხებისადმი მიძღვნილი დ. შენგელაიას წერილების გათვალისწინება მკვლევარს ეხმარება პერსონაჟთა პორტრეტების ხატვის მწერლისეული პრინციპების წარმოჩენაში... „ბათა ქექიას" და „სანავარდოს" შეპირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირებითი ანალიზის გზით ა. ცანავა ნათელყოფს კონტრასტს, ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო სულისკვეთებისა და მიზანდასახულობის რომანს შორის რომ არსებობს. პირველი რომანი მიწიერი სიუხვისა და უშრეტი ნაყოფიერების ერთგვარ აპოლოგიას წარმოადგენს, ხოლო მეორე — უნაყოფობის, თავად-აზნაურთა დეგრადაციის ჩვენების გზით გამოვლენილი ეროვნული ტრაგედიის მხატვრულ ხორცშესხმას... მარჯვედ შერჩეული სათაური — „ნაყოფიერების სიკეთე და უნაყოფობის ტრაგედია" — დასაწყისიდანვე სწორი მიმართულებით წარმართავს მკითხველის გულისყურს და უადვილებს დასმული საკითხების არსში წვდომას.

ქართული იუმორის განვითარების ისტორიაში თვისებრივად ახალი საფეხურის შექმნაა დაკავშირებული ნოდარ დუმბაძის სახელთან. ა. ცანავა სამი რომანის („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს", „მზიანი ღამე") მაგალითზე იძლევა ნ. დუმბაძის ზომიერი იუმორით შეფერილი განუმეორებელი მხატვრული სამყაროს პროფესიონალურ დახასიათებას, იკვლევს მწერლის ბოლოდროინდელ მოთხრობებში („ჰინკები", „ხაზარულა"), გამოყენებულ მითოსურ მოდელებს.

ლირიკული ტონალობით ხასიათდება წერილები, რომლებშიაც ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძისა და არჩილ სულაკაურის პოეტური შემოქმედების ძირითადი თავისებურებებია წარმოჩენილი.

წიგნში წარმოდგენილია რამდენიმე წერილი, რომელთა მიზანია ოთარ ჭილაძის რომანებისა („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა", „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან") და პოემების („თიხის სამი ფირფიტა", „ევრიდიკე და ორფეოსი") მხატვრული სტრუქტურის მეცნიერული ახსნა, ახლებური წაკითხვა. ეს არის წარმატებული ცდა თანამედროვე მწერლის ინტელექტუალური სამყაროს „საიდუმლოებათა" ინტერპრეტაციისა. ქართულ-ბერძნული, შუმერული და, საერთოდ, მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიების ჯეროვანი ცოდნა ა. ცანავას საშუალებას აძლევს, შეუმცდარად მიაკვლიოს საანალიზოდ შერჩეულ ნაწარმოებთა ამა თუ იმ მითოლოგიური პასაჟის ხალხურ პირველწყაროს და თავიდან აიცილოს შემთხვევითი, ზედაპირული, თუ ნაძალადევი ანალოგიებით აპელირებს.

მწერლის დაინტერესებას ეროვნული ზეპირსიტყვიერებით წინასწარ გაცნობიერებული სურვილი უდევს საფუძვლად: წარუვალი მნიშვნელობის სულიერ ფასეულობათა ორიენტირზე შეამოწმოს და გამოსცადოს საკუთარ გმირთა ზნეობრივ-მორალური სახე, შინაგანი სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა. ამ ხერხის მოშველიებით მიზნის მიღწევა, ე. ი. მწერლური ჩანაფიქრის მაქსიმალური რეალიზაცია, ალბათ, არც ისე ადვილი საქმეა. მეტადრე ისეთ რთულ, მრავალპლანიან რომანებში, როგორიც გახლავთ თამაზ ბიბილურის „ქამი კითხულისა" და „შვიდი ხმისა და ტოროლასათვის". უტყუარი შემოქმედებითი ალღოს წყალობით თ. ბიბილური იოლად „იმორჩილებს" ქართული ხალხური ზღაპრებისა თუ რიგი მითოლოგიური მოტივების სულს და რომანების სიუჟეტურ ქარგას ღირსსახსოვარი დეტალებით ავსებს. ნაწარმოებთა პარადიგმატიკული ღერძი „იმოსება" ეპიზოდებით, რომელთა არარსებობა საგრძნობ ხარვეზად დააჩნდებოდა ქმნილების ერთიან ქსოვილს. და ეს რომ ნამდვილად ასეა, ცხადად ჩანს თამაზ ბიბილურის ზემოდასახელებული რომანების ანალიზიდან.

საყურადღებოა წერილი „მითოსური გმირი და თანამედროვე პოეტი", სადაც მითოსურ სახემდე ამაღლებულ მთიელთა სახალხო გმირის თორღვა ძაგანის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ლექს-სიმღერებისა და გადმოცემების ჭრილშია გაანალიზებული მ. წიკლაურის ახალი ტიპის ლირიკული პოემა „თორღვა ძაგანი".

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა წერილებს, რომელთა მიზანია ჯემალ ქირიას რომანის „მარადი მხედარი" და კობა არაბულის პოემის „ჯოყოლას სიკვდილი" განხილვა ნაციონალურ მითოსურ მოდელებთან და საგმირო-საისტორიო სიტყვიერების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან მიმართებაში.

ა. ცანავას სარეცენზიო წიგნი აფართოებს ჩვენს ცოდნასა და წარმოდგენას სხვადასხვა თაობის ქართველ მწერალთა შემოქმედებით მეთოდებსა და მხატვრული მეტყველების თავისებურებებზე.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორის — 93-55-11, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17; 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 21. 02. 89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 04. 89 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15.5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09235. ტირაჟი 26.000. შეკვ. 435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

6 112/53

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ